

ISSN 0235-8417

4

2012

par al el i

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი

parallel



გამომცემი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

90 წლისთვის

4

2012

UDC-უაკ
001.92

მთავარი რედაქტორი: **revaz mi Svelaze**

სარედაქციო კოლეგია: მერაბ ახოზაძე
გიორგი გაჩეჩილაძე
ჯემალ გახოვიძე
ბორის გითოლენდია
ვახტანგ დავითაია
ივანე თვალავაძე
იგორ კვესელავა
ჰენრი კუპრაშვილი
შალვა ნაჭყებია
ვაჟა პაპასკირი
გიორგი სალუქვაძე

სოსო სიგუა

(რედაქტორის მოადგილე)

არჩილ ფრანგიშვილი
ქეთევან ქოქრაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე

ბადრი ცხადაძე

(პასუხისმგებელი მდივანი)

თემურ ჯაგოდნიშვილი
მეუფე ანანია ჯაფარიძე

ყდის დიზაინერი **ვახტანგ დავითაია**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა
ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;
ვებ-გვერდი: www.jurnali-paraleli.gtu.ge
ISSN 0235-8417; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru

გთავაზობთ:

saxel ovani iubil ari

არჩილ ფრანგიშვილი - სათავიდან დღემდე - ინტერვიუ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორთან

უმაღლესი ტექნიკური განათლების ამაგდარნი
ივანე გორგიძე, შალვა ნაჭყებია - საინჟინრო მეცნიერებია და განათლების
სათავეებთან

ზურაბ გასიაშვილი - უცხოეთის გზებზე
გიორგი სალუქვაძე - აკადემიური საბჭო
ლევან კლიმიაშვილი - საინჟინრო კადრების აღზრდა - მთავარი მიმართულება
დავით თავხელიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც
ქვეყნის საინჟინრო შემოქმედების ძირითადი ცენტრი

† ანზორ შავგულიძე - გიორგი ნიკოლაძის ნათელ ხსოვნას
ჯემალ გახოკიძე - სენატი - კანონიერების გარანტი. ინტერვიუ სტუ-ს სენატის
სპიკერთან, პროფ. ჯემალ გახოკიძესთან

დეკანთა კომპეტენტური აზრი
იგორ კვესელავა - სწავლის, სწავლების და ცოდნის ძიების გზით
რევაზ მიშველაძე - მწერლობა და ტექნიკური უნივერსიტეტი
ვაჟა პაპასკერი - სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა
გოჩა მიქიაშვილი - გამარჯვებათა პანორამა
ალექსანდრე გრიგოლიშვილი - საგამომცემლო სახლი
ბორის გითოლენდია - ხელოვნება და სპორტი
სტუდენტთა აზრი
„ინჟინერი - XXI“

poezia, proza

ნესტორ რეხვიაშვილი
ცოტნე სივსივაძე
ირმა კეცხოველი
თემურ ჭახნაკია
ნინო მორჩილაძე,
აკაკი მორჩილაძე
მიხეილ რამაზაშვილი
ალექსანდრე ლაზარტყავა
ამირან ასანიძე

weril ebi

† ლევან სანიკიძე - ერეკლემდე (ლევან სანიკიძის გამოუქვეყნებელი წერილი) . .

არ გვავიწყდება - საქართველოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას 150

წლისთავისათვის

იური ბიბილეიშვილი

სოსო სიგუა

ეკა ცხადაძე

დიანა ფოცხვერაშვილი

ბადრი ცხადაძე

გიორგი ტალახაძე

ზაზა იაშვილი

ნინო ქუთათელაძე

გელა ღვინფაძე

კობა საყვარელიძე

ვაჟა შუბითიძე

ავთანდილ დიასამიძე

ედიშერ გვენეტაძე

recenzi a

მურმან თავდიშვილი

დავით ანდრიაძე



სათავიდან დღემდე
ინტერვიუ რექტორთან
პროფ. არჩილ ფრანგიშვილთან

– ბატონო არჩილ, გილოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების 90-ე წლისთავს.

– გმადლობთ, თქვენც გილოცავთ.

– **ორიოდე სიტყვით, რას გვეტყვით სტუ-ს დაარსებისა და მისი განვლილი წლების შესახებ?**

– ჩემში ეს იუბილე და განვლილი 90 წელი მრავალ განცდას და გრძნობას აღძრავს, უპირველესად, ინოვაციური, ახალი საინჟინრო გამოგონებებით, სასწავლო-აღმზრდელობითი რეფორმატორული წიაღსვლებით, მეცნიერული წინადადებებითა და გამოგონებებით, კოლეგათა პატენტებით, ახალი ტექნოლოგიებით, აქ და უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე სპი-სა და სტუ-ს კედლებში აღზრდილი ტექნიკური ინტელიგენციით, საერთოდ, 90-წლიანი „სასწავლო-სამეცნიერო ცხოვრებით“.

– **სტუ-ს მერამდენე რექტორი ბრძანდებით?**

– მეთოთხმეტე.

– **სტუ-ს წინაპირობად, ტექნიკური უნივერსიტეტის დაბადების თარიღად, ზოგი ჩვენი კოლეგა საქართველოში (თბილისში) 1915 წელს დაარსებულ ტექნიკურ ინსტიტუტს ასახელებს. რა აკავშირებს, გარდა სახელდებისა, ამ ორ, ძველ და ახალ უმაღლეს სასწავლებელს, „ტექნიკურის“ გარდა? ვინ და რა იდგა სპი-ს დაარსებისა და დაფუძნების სათავეებთან?**

– ის ინსტიტუტი კერძო იყო, არა მარტო საქართველოში, მთელ კავკასიაში პირველი, ცხადია, რუსულენოვანი, მან 1917 წლამდე იარსება, ისე რომ კადრებიც კი არ გამოუშვია.

– **საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება (1922 წ.) დრომ მოიტანა, ფაქტობრივ ამ ინსტიტუტის არსებობა საბჭოთა ეპოქას დაემთხვა. როგორ შეაფასებდით აწ უკვე უახლესი ისტორიის კუთვნილებად ქვეულ სპი-ს მეცნიერულ და სასწავლო-აღმზრდელობით ცხოვრებას?**

– ჩვენი უნივერსიტეტის დაბადება, პირველი ნაბიჯები ივანე ჯავახიშვილის მიერ დაფუძნებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იწყება. ეს ის დროა, როცა მენშევიკური მთავრობის დასასრულს, 1922 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა პოლიტექნიკური ფაკულტეტი, რომელიც შემდეგ, სულ მალე, დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად და ტექნიკური დარგის სპეციალისტების კერად იქცა. 1922 წლიდან, მისი დაარსე-

ბის სათავეებიდან დღემდე, ბევრი რამ გაკეთდა, შეიქმნა, გაფართოვდა, შეიცვალა, არაერთი თაობა ერთგულად ემსახურა საქართველოში საინჟინრო კადრების აღზრდის საშვილიშვილო საქმეს.

– მართლაც, სწრაფად იცვლება ყოველივე: დრო, სივრცე, მოთხოვნები და მოთხოვნილებები, გამოიცვალა ჩვენი უნივერსიტეტის ლოგო და ემბლემა. ძველი ლოგო ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინა ფასადს ამშვენებდა დაბადების თარიღთან ერთად (1922). ძველთან შედარებით რა სიმბოლური დანიშნულება აქვს ახლანდელ ლოგოს?

– ახალი ლოგოს და ემბლემის შექმნის იდეა XX საუკუნის მიწურულს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველივე ეტაპზე გაჩნდა. მას ხორცშესხმა და გაფორმება აკლდა და შარშან ჩანაფიქრი სიტყვად ვაქციეთ. _ შეიქმნა ლოგო და ემბლემა არწივის გამოსახულებით. უფრო სწორად, ჩვენს ემბლემასა და ლოგოს საფუძვლად ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი არწივის მართვის ქანდაკება დაედო, რომლის სტილიზება მოვახდინეთ _ ფრთებგაშლილი მართვე (რომელსაც ფეხები მყარად გაუდგამს მიწაზე) სიმბოლურად ჩვენი ახალფეხადგმული დამოუკიდებელი სახელმწიფოცაა, ჩვენი უნივერსიტეტიც და უნივერსიტეტის კედლებში მოფუსფუსე პროფესორებიც და სტუდენტობაც.

– საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნიკურ უნივერსიტეტად ქცევა XX საუკუნის მიწურულს, ლამის ჩვენ თვალწინ მოხდა. რა შეიცვალა, დაიხვეწა, დაზუსტდა და გარდაიქმნა ამ მხრივ? როგორია სტუ-ს დღევანდელი დღე? ჩვენ თვალწინ იცვლება ძველი და მკვიდრდება ახალი, ამ მხრივ პერსპექტივები გამოკვეთა თქვენმა საგანმანათლებლო და რეფორმატორულ-სტრატეგიულმა ხედვამ, რომელიც ფაქტობრივ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა (20012-2016 წწ.) ამ ჯერზე რომელ პრიორიტეტს მიანიჭებდით უპირატესობას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენს „სტრატეგიულ გეგმაში“ რაიმეს ხომ არ შეცვლიდით ან დაამატებდით?

– ზოგადად, ძალიან მოკლედ, მოგახსენებთ: რეფორმატორული მიდგომით ბევრი რამ შეიცვალა, მოხდა ფაკულტეტების შერწყმა-დაახლოება, ახალი პროექტების, მიმართულებებისა და სპეციალობების, ლაბორატორიების გაჩენა, ახალი ქართული სამეცნიერო კადრების მოზიდვა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჩართვა სტუ-ს სამეცნიერო და აღმზრდელობით ცხოვრებაში. ბიზნეს-ინჟინერინგის კუთხით ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. უნივერსიტეტის განვითარების „სტრატეგიული გეგმა“, ცხადია, ერთჯერადი და ერთწლიანი არაა, ამიტომ მის „შეცვლა-დამატებაზე“ ამჯერად თავს შევიკავებ, ყველაფერს დრო იტყვის.

– როგორ უბამს მზარს სტუ-ში მიმდინარე რეფორმებს „კომპიუტერული ეპოქა“ და რა სიახლეებია ამ მხრივ?

– კომპიუტერული ეპოქა“ ჩვენს სასწავლო-პროცესს, სილაბუსებსა და ლექციებსაც დაეტყო, ცხადია, ამ მიმართულებითაც ბევრი რამ გვაქვს შესაქმნელი. ამ მხრივ ჩვენი სამეცნიერო პოტენციალი თავის სიტყვას იტყვის მონოგრაფი-

ების, აღმოჩენების, გამოგონებების, ინოვაციური პროგრამების სახით... ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერები და პროფესორა ამ საიუბილეო თარიღს გარკვეული წარმატებებით ხვდებიან. კიდევ უფრო მეტ წარმატებას ვუსურვებ ჩვენი უნივერსიტეტის ყველა კოლეგას, საინჟინრო-ტექნიკური დარგების სპეციალისტებს, მეცნიერებს, სტუდენტობას, ტექნიკურ პერსონალს.

– ბატონო, არჩილ, თქვენთვის ეს წელი ორმაგად სასიხარულოა: გარდა სტუ-ს იუბილესი, თქვენ უნივერსიტეტის კოლექტივმა ხელახლა აგირჩიათ რექტორად და ამასთანავე მოგნიჭათ საქართველოს ეროვნული პრემია სამეცნიერო ჯგუფთან ერთად, გილოცავთ.

– გმადლობთ.

ინტერვიუს უძღვებოდა პროფ. ბადრი ცხადაძე

ბ ც

ბ


ფუძემდებელი

ც

უმაღლესი ტექნიკური განათლების ამაგდარნი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ანუ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მენშევიკური მთავრობის დასალიერს და ბოლშევიკური საქართველოს გარიჟრაჟზე იშვა. მისი დაბადების ადგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, რომლის უპირველეს ფუძემდებლად დიდი ივანე ჯავახიშვილი ითვლება.

ივანე ჯავახიშვილი (1876-1940). ისტორიკოსი, საზოგად მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939). 1895 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია, ხოლო 1899 წელს – პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. იმავე წელს იქვე დატოვეს საპროფესოროდ.




1907 წელს ი. ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრე. მისი თაოსნობით დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. იგი იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, 1919-26 წლებში უნივერსიტეტის რექტორი, 1921-30 წლებში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე.

ი. ჯავახიშვილმა წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში. არ დარჩენილა ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა არც ერთი დარგი, რომლებშიც მას ფუძემდებლური ნაშრომები არ დაეტოვებინოს. მან დაუფასებელი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეშიც.

ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით თბილისის უნივერსიტეტში 1922 წელს დაარსდა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. მისი საზეიმო გახსნა 1922 წლის 16 იანვარს შედგა. პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის რექტორი ი. ჯავახიშვილი, რომელიც ვრცლად შეეხო ქართული მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობისათვის უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე ეროვნული კადრების მნიშვნელობას.

თბილისის უნივერსიტეტში დაწესებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი და სტიპენდია.

პეტრე მელიქიშვილი (1850-1927). ქიმიკოსი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რექტორი (1918-1919). საბჭოთა კავშირის მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1927).



დამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია (1868), შემდეგ ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი (1872).


1873 წელს პ. მელიქიშვილი გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც გაეცნო გამოჩენილ მეცნიერთა ლაბორატორიებს. 1876 წელს მუშაობა დაიწყო ოდესის უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიაში. 1881 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია, ხოლო 1885 წელს – დოქტორის ხარისხზე. 1885-1917 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის პროფესორი. 1918 წლიდან განაგებდა თბილისის უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრას.

პ. მელიქიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაარსებაში; იგი აქტიურად მოღვაწეობდა ამ მიზნით შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

1900 წელს პ. მელიქიშვილსა და მის მოწაფეს ლ. პისარჟევსკის დიდი სამეცნიერო დამსახურებისათვის პეტერბურგის აკადემიამ მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის პრემია და დიდი ოქროს მედალი მიაკუთვნა.

პ. მელიქიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის – წიაღისეულის შესწავლას, რამაც დიდად შეუწყო ხელი შესაბამისი ტექნიკური დარგების განვითარებას. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის უნივერსიტეტში დაარსებულია მისი სახელობის პრემიები.

ანდრია რაზმაძე (1889-1929). მათემატიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და საქართველოში თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ფუძემდებელი. დამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი (1906), შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტი. 1914 წლიდან სამეცნიერო მივლინებაშია დასავლეთ ევროპაში. იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი (1917-18), თბილისის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პირველი დეკანი. პირველმა წაიკითხა ქართულ ენაზე მათემატიკის, აგრეთვე მექანიკისა და ფიზიკის ძირითადი კურსი, დაწერა ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელოები მათემატიკაში უმაღლესი სკოლისათვის – „მათემატიკური ანალიზის კურსი“ (1920). „ვარიაციათა აღრიცხვა“ (1933).



ალექსანდრე დიდებულიძე (1882-1951). ენერგეტიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), ტექნიკის მეცნიერებათა დოქ-

ტორი (1943), პროფესორი (1918), მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1941). დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1911). 1916-17 წლებში სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ოდესაში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნაში. 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში, იყო თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის გამგე. ხელმძღვანელობდა ამ უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის დამფუძნებელ კომისიას, იყო ამ ფაკულტეტის პირველი დეკანი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1928), ამ ინსტიტუტის თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგე. 1923-25 წლებში პარალელურად ხელმძღვანელობდა თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას, 1930-45 წლებში – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრას, 1948-51 წლებში კი აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტს. ავტორია მნიშვნელოვანი გამოგონებებისა (თბოელემენტების დამზადების ახალი პრინციპი, სითბოს იზოთერმული აკუმულატორი და სხვ.). მის მიერაა შექმნილი უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები: „ელექტრო- და მაგნიტომეტრია“ (1929), „ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები“.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი (1891-1976). მათემატიკოსი და მექანიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი პრეზიდენტი (1941-1972), შემდეგ საპატიო პრეზიდენტი (1972), მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი.




დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, 1922 წლიდან, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1928 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგებში, 1933-35 წლებში და 1941 წლიდან გარდაცვალებამდე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ნ. მუსხელიშვილი ავტორია უმაღლესი სკოლებისათვის განკუთვნილი ფუნდამენტური სახელმძღვანელოებისა ანალიზურ გომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში. მისი მონოგრაფია „დრეკადობის თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ დიდი ხანია იქცა მეცნიერთა სამაგიდო წიგნად როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. იგი იყო მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემია მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში (1977). ნიკო მუსხელიშვილის მრავალწლიანმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ, ჯერ უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტექნიკური დარგის ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდას, სწავლების აკადემიური

დონის ამაღლებასა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდიდარი ტრადიციების დამკვიდრებას.

გიორგი ნიკოლაძე (1888-1931), მათემატიკოსი, მეტალურგი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, სპორტსმენი. დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (1913), რის შემდეგ მუშაობდა ტულის, იუზოვკის (დონეცკის), ენაკიოვოს მეტალურგიულ ქარხნებში (1913-18) და გამოჩენილ რუს მეცნიერებთან ერთად (აკად. ი. ბარდინი და სხვ.) მონაწილეობდა ამ ქარხნების რეკონსტრუქციაში.



1918 წელს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო მრეწველობის სამინისტროში ინჟინერ-მეტალურგად. მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში მეტალურგიის განვითარებას.

გ. ნიკოლაძეს მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული მათემატიკაში, კერძოდ, ალგებრულ გეომეტრიაში. მისი სადისერტაციო ნაშრომი „გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემების შესახებ“ დაცულ იქნა სორბონაში (1928) და ცალკე წიგნად გამოვიდა პარიზში.

1918 წლიდან გ. ნიკოლაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს ანალიზურ გეომეტრიაში და დიფერენციულ გეომეტრიაში. მან შექმნა დიფერენციული გეომეტრიის პირველი ქართული სახელმძღვანელო. იგი ხელმძღვანელობდა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნას.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების შემდეგ (1928) იგი უძღვებოდა გაერთიანებულ საგნობრივ კომისიას უმაღლეს მათემატიკაში, თეორიულ მექანიკასა და მხაზველობით გეომეტრიაში (რომლებიც შემდეგ ცალკე კათედრებად დაიყო).

გ. ნიკოლაძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სპორტის პოპულარიზაციის საქმეში, მან დასაბამი მისცა ქართულ ალპინიზმს. სტუ-ში ტექნიკის დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის დაარსდა გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია (1973) და მედალი.

ანდრია ბენაშვილი (1868-1941), ასტრონომ-გეოდეზისტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, პროფესორი (1927), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს



პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი (1887), გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია ასტრონომ-გეოდეზისტის სპეციალობით (1898). 1916 წლიდან კორპუსის სარდალია. პარალელურად მოღვაწეობდა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (1902-18) და სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში (1905-16).

1918 წელს ბრუნდება საქართველოში და აქტიურად მონაწილეობდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში, სადაც იმავე წელს აარსებს გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრა დააარსა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების

შემდეგ მან ჩამოაყალიბა გეოდეზიისა და სამარკშიდერო საქმის კათედრა, რომლის უცვლელი ხელმძღვანელიც გარდაცვალებამდე იყო.

ფასდაუდებელია ა. ბენაშვილის ღვაწლი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნაში. მას ეკუთვნის „ტოპოგრაფია“ (1932), „სფერული ტრიგონომეტრია“ (1933), „სფერული ასტრონომია“ (1938) და სხვ.

1919-23 წლებში ა. ბენაშვილი შეთავსებით მუშაობდა თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის გამგედ.


გრიგოლ წულუკიძე (1889-1950), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), ამავე აკადემიის ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე (1944-1950), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1930), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941).



დაამთავრა ლოვბენის (ავსტრია) უმაღლესი სამთო სასწავლებელი (1911) და ეკატერინოსლავის (დნეპროპეტროვსკის) სამთო ინსტიტუტი (1914). მუშაობდა ჩრდილო კავკასიის ნავთობის სარეწებზე (1914-18), ტყიბულის მაღაროებში (1918-22), იყო საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო კომიტეტის თავმჯდომარე (1923-28), ამავე პერიოდში კითხულობდა ლექციებს თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე. 1928 წლიდან იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დეკანი, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების კათედრის გამგე (1930-50).

გრიგოლ წულუკიძე საქართველოში სამთოელთა სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელია. იგი ავტორია სამთო დარგში პირველი სახელმძღვანელოებისა.

მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა ქიმიის, გეოლოგიის, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტები. გ. წულუკიძის სახელი მიეკუთვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტს (1959).



ალექსანდრე ჯანელიძე (1888-1975). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941). გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1923), პროფესორი (1925), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946). 1910 წელს დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტი (სორბონა), 1916 წელს ყაზანის უნივერსიტეტი. 1911-15 წლებში მასწავლებლობდა ქუთაისში, 1918-30 წლებში თბილისში. 1920-23 წლებში იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებაში საზღვარგარეთ (გრენობლი, პარიზი, ჰალა). ქართული გეოლოგიური სკოლისა და საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1924 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1942-45 წლებში იყო მისი რექტორი, 1924-72 წლებში განაგებდა

გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრას. 1928-46 წლებში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იყო გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგე, ხოლო 1925-55 წლებში – მის მიერვე დაარსებული გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (ამჟამად აკად. ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი). 1951-55 წლებში იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. იყო საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი თავმჯდომარე (1933). იგი ავტორია უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების: „კავკასიის გეოლოგია“, „ისტორიული გეოლოგიის კურსი“, „ზოგადი გეოლოგიის მოკლე კურსი“. 1982 წლიდან მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა ა. ჯანელიძის სახელობის პრემია.

ალექსანდრე თვალჭრელიძე (1881-1957).

ქართველი გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1947), პროფესორი (1919), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946). დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება (1912). მუშაობდა პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოქიმიის ლაბორატორიაში (1912-13), რომელსაც ხელმძღვანელობდა



და აკად. ვერნადსკი. შემდეგ, 1919 წლამდე – ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1919 წელს სათავეში ჩაუდგა თბილისის უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრას.



არჩილ ხარამბე (1895-1976). მეცნიერი და პედაგოგი, მათემატიკური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ორგანიზატორი საქართველოში, პროფესორი (1932), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944). დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1917).

მუშაობდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში (1917-18), შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში დოცენტის (1922-30), პროფესორისა და კათედრის გამგის (1930 წლიდან) თანამდებობაზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა კათედრის გამგედ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იყო თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი

(1935-38), პრორექტორი სასწავლო დარგში (1938-44), თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი (1947-52), საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი (1970-75).

ა. ხარამბის ძირითადი მეცნიერული გამოკვლევები ეხება ალგებრის, გეომეტრიისა და მათემატიკური ანალიზის საკითხებს. იგი ავტორია როგორც საინჟინრო სპეცილობის, ისე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის შექმნილი მრავალი სახელმძღვანელოსი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მათემატიკური ტერმინოლოგიის დადგენისა და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა პროპაგანდაში.


ვასილ კაკაბაძე (1888-1968). ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1943), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944). 1930-45 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, 1944 წლიდან გარდაცვალებამდე ამავე ინსტიტუტის არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების კათედრის გამგე.

დაამთავრა ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (1915), რის შემდეგ მუშაობა დაიწყო სამხედრო გზების მშენებლობაზე არზრუმის რაიონში. 1918 წელს დაბრუნდა თბილისში და აქტიურად ჩაება საქართველოს ტექნიკური საზოგადოების საქმიანობაში. სათავეში ჩაუდგა



საქართველოში პირველ საშუალო ტექნიკურ სასწავლებელს, რომელიც 1918 წელს შეიქმნა და 1921 წლიდან ინდუსტრიულ ტექნიკუმად გადაკეთდა. ვ. კაკაბაძე 1918-30 წლებში მისი დირექტორი იყო.

1922 წელს, ტექნიკური საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, ვ. კაკაბაძე აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაფუძნებაში. მისი ინიციატივით შექმნილმა სატერმინოლოგიო კომისიამ 1918 წელს გამოსცა პირველი ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი.




გიორგი გედევანიშვილი (1883-1957). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1949), პროფესორი (1932), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943). 1912 წელს დაამთავრა პეტერბურგის საარტილერიო აკადემია, მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

იყო მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პირველი დეკანი (1936-1950), მისი ინიციატივით დაარსდა მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრა (1936), რომელსაც განაგებდა 1936-41 და 1945-57 წლებში.

გ. გედევანიშვილს მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ლითონთა ჭრის თეორიასა და ტექნოლოგიაში, მათი წნევით დამუშავებაში,

შედულების პროცესთა საკითხებში. იგი ავტორია პირველი ქართული სახელმძღვანელოსი – „ლითონთა მექანიკური ტექნოლოგია“ (1925). აქტიურად მონაწილეობდა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნაში.

გიორგი მუხაძე (1886-1963). სამშენებლო მექანიკის ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946). პროფესორი (1932), მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1941). დაამთავრა ტომსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (1916). მუშაობდა ზაჰესის და სხვა ობიექტების მშენებლობაზე (1923-31), იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი (1933-42), ამავე ინსტიტუტის სამშენებლო მექანიკის (1928-61), შემდეგ მასალათა გამძლეობის და დრეკადობის თეორიის კათედრის გამგე (1961-63), მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1946-61).



გ. მუხაძის სამეცნიერო შრომები ეძღვნება სამშენებლო მექანიკის კლასიკურ საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად ეფექტურად იყენებდა ანალიზურ და გრაფოსტატიკის ხერხებს. იგი ავტორია სტატიკის პირველი სახელმძღვანელოსი (1935).



ivane gorgize, Sal va nallvebia

საინჟინრო მეცნიერებისა და განათლების სათავეებთან

უმველეს ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ქართველური ტომები წარმოებისა და ტექნიკის მთელ რიგ დარგებში იყვნენ დაწინაურებულნი. ცნობილია, რომ სწორედ ბერძენი მწერლები გადმოგვცემენ ქართველური ტომების მიღწევებზე მეტალურგიის დარგში. პეროდოტე, ქსენოფონტე და უფრო გვიანდელი მწერლები ხალიბთა ქართველურ ტომს თვლიან სწორედ მსოფლიოში ბეჭდვითი ხელოვნების შემომღებად და რკინის საგნების დამამზადებლად მსოფლიოში. პეროდოტესათვის ცნობილი იყო აგრეთვე ისიც, რომ კოლხები შესანიშნავ სელს ამზადებდნენ, განსხვავებით ეგვიპტური სელისაგან, კოლხურ სელს იგი სარდიონულს უწოდებს. სელის დამუშავება რომ ფართოდ იყო განვითარებული საქართველოში, ქსენოფონტეს ცნობებიდანაც ჩანს. იგი წერს: „ხალიბები ატარებდნენ სელისაგან დაწულ ჯავშანს, რომელიც მუცლამდე აღწევდა“.

ქართული ტომები ძველი წეთაღიციხვიდან მოყოლებული შესანიშნავად ფლობდნენ ხუროთმოძღვრულ საქმეს. სტრაბონი, რომელიც დაწვრილებით აგვიწერს კრამიტით დახურულ კოლხურ შენობებს, წერს: „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე რომ იქ არის კრამიტისანი სახურავები, სახლები არქიტექტონიკურად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი“.

ძველი ქართული ტექნიკის დასახასიათებლად საყურადღებოა რომელი მწერლის ვიტრუვიუსის ცნობა ქართული სამშენებლო ტექნიკის შესახებ. აღწერს რა კოლხური სახლის მშენებლობის წესებს, ვიტრუვიუსის აზრით, კოლხურ სახლში მთავარ მიღწევას შეადგენდა მისი დაქანებული სახურავი, რომლის აგება კედლებთან ერთად ადვილი იყო კოლხებისათვის მათ ქვეყანაში არსებული ხე-ტყის მასალის სიუხვის წყალობით.

საგულისხმო ცნობები აქვს შემონახული გელასი კესარიელს ქართული სამშენებლო ტექნიკის შესახებ. ისტორიკოსის გადმოცემით, როდესაც წმინდანინოს ქადაგებით ქართლის მცხოვრებლებმა ქრისტიანობა მიიღეს, გადაწყვიტეს, ეკლესიების დაფუძნებას შესდგომოდნენ. მირიან მეფემ ოსტატები დააყენა მცხეთაში ეკლესიის ასაგებად. „როდესაც სახლის გალავანს აშენებდნენ, ამბობს გელასი კესარიელი, საჭირო იყო, სხვათა შორის, შუაში სვეტების აღ-

მართავც მამაკაცებისა და დედაკაცების შესაკრებელთა გასაყოფადო”. როგორც ვხედავთ, მცხეთაში იმთავითვე თავის სიმაღლეზე მდგარა საარქიტექტურო ტექნიკა: შენობა იგებოდა მტკიცედ განსაზღვრული გეგმით, რომელიც შეეფერებოდა მაშინდელ სამშენებლო შემეცნებას და საბინაო საჭიროებას.

ცნობილია, რომ ეგრისისა და სვანეთის ერისთავის ქუჯის მიერ (ძვ. წ. III ს-ის დასაწყისი) აშენებული ციხე-ქალაქი არქეოპოლისის (ციხეგოჯი) ეგრისის ერთ-ერთი დიდი და ძლიერი ქალაქი იყო, სადაც მაღალი ტექნიკით იყო შესრულებული საფორტიფიკაციო სამუშაოები, ქალაქი უზრუნველყოფილი იყო ცენტრალური გათბობის სისტემაზე აგებული აბანოებით, რაც კომუნალური მეურნეობის მაღალ დონეზე მიუთითებს.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ (IV ს.) ეკლესიებმა და მონასტრებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის კულტურულ განვითარებაში. გელათის აკადემია პირველი უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა საქართველოში, იგი დავით აღმაშენებელმა დააარსა გელათის მონასტერთან და მას საფუძველი 1106 წელს ჩაეყარა. საქართველოში მცხოვრებ მეცნიერთა გარდა, დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიაში სამოღვაწეოდ უცხოეთში მყოფ გამოჩენილ მეცნიერებსაც მოუხმო. გელათის აკადემიის პირველ რექტორად მან მიიწვია პეტრიწონის ივერთა აკადემიის გამოცდილი რექტორი იოანე პეტრიწი. სასწავლო პროგრამა, ძირითადად ე.წ. ტრივიუმის (გეომეტრია-ქვეყნისმზომელობა, არითმეტიკა-რიცხული, მუსიკა-სამუსიკო) და კვადრიუმის ციკლის საგანთა შესწავლას ითვალისწინებდა (ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა და ასტრონომია-ვარსკვლავთმცოდნეობა). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის აკადემიას „სხუად ათინად“ და „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად იხსენიებს“.

იყალთოს აკადემიაში, რომელიც დავით აღმაშენებლის დახმარებით არსენ იყალთოელმა იყალთოს მონასტერთან დააარსა და მისი პირველი რექტორიც თვითონ ყოფილა, ასწავლიდნენ ტრივიუმ-კვადრიუმის ციკლის საგნებს, აგრეთვე მჭედლობას (მეტალურგიას), კერამიკას (მეკეცეობას) და მევენახეობა-მეღვინეობას.

ძველ ქართულ აკადემიაში საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის მდიდარ ტრადიციას. აქ შექმნილი ზოგიერთი სამეცნიერო შრომა ითარგმნა ევროპულ ენაზე. ადრინდელი ისტორიული ძეგლები (ციხე-სიმაგრეები, ჯვარი, სვეტიცხოველი, გელათი, ვარძია, ხანძთა, ოპიზა, დავით-გარეჯი და მრავალი სხვა სამონასტრო კომპლექსი, ტაძრები, სარწყავი არხები, სასმელი წყლის სისტემები და სხვა) მეტყველებენ საინჟინრო ხელოვნების მეტად მაღალ დონეზე ძველ საქართველოში.

ქართული ტიხრული მინანქრისა და ოქრომჭედლობის ნიმუშები შუასაუკუნეების მსოფლიოს ცივილიზაციის შეუდარებელ სიმდიდრეს წარმოადგენდნენ.

უცხოელ დამპყრობთა შემოსევებმა (XIII-XVII სს.) დიდი ზიანი მიაყენა ქართულ კულტურასა და მეცნიერების განვითარებას. დაიხურა აკადემიები, განადგურდა არქიტექტურისა და კულტურის მრავალი ძეგლი. მიუხედავად ამისა, არასოდეს არ შენელებულა ქართველი ხალხის ლტოლვა სამეცნიერო, კულტურული და აღმშენებლობითი მოღვაწეობისადმი.

აღორძინების პერიოდი XVII-XVIII საუკუნეში დაიწყო, როდესაც 1709 წელს ვახტანგ VI თბილისში დააარსა სტამბა და დასაბამი მისცა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. ვახტანგ VI და მისი სწავლულები: სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვები ესწრაფოდნენ ეხსნათ და შეენარჩუნებინათ ის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც გადაურჩა საქართველოს.

შემდომ, განათლების განვითარებამ ერეკლე II-ის მეფობის ხანაში მიიღწია. ვახტანგ VI-ის საქმის გამგრძელებლად იმ ხანად გამოვიდა ანტონ I კათალიკოსი, რომლის დიდი ძალისხმევით 1755 წელს თბილისში, ხოლო შემდეგ სიღნაღსა და თელავში დაარსდა სემინარიები.

1795 წელს თბილისში აღა-მაჰმად ხანის შემოსევამ ბევრი რამ ააოხრა, მათ შორის სემინარია თავისი მდიდარი ბიბლიოთეკით, სტამბა, ზარაფხანა და სხვა.

XVII საუკუნის დასასრულს 1799 წელს, იოანე ბაგრატიონმა – შწერალმა და მეცნიერმა, მამამისს გიორგი XII-ს წარუდგინა სახელმწიფო რეფორმათა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა თბილისში, გორსა და ქუთაისში უმაღლესი სასწავლებლების გახსნას, მაგრამ 1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ამ იდეას განხორციელება არ ეწერა, ვინაიდან რუსეთს არ სურდა კოლონიებად ქვეული ქვეყნების კულტურული აღმავლობა.

ერთ საუკუნეზე მეტი დასჭირდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნას, 1917 წლის 6 მაისს დაფუძნდა თბილისის რუსულენოვანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

თითქმის 125 წლის ბრძოლის შემდეგ საქართველომ მიიღო ქართული უმაღლესი სკოლა – თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც დაარსდა 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილი თ 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი 1922 წლის 16 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. მის პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის რექტორი, ივანე ჯავახიშვილი. პოლიტექნიკური ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა პროფესორი ალექსანდრე დიდებულოძე.

იმავე დღეს ფაკულტეტის სტუდენტებმა მოისმინეს პირველი ლექცია მათემატიკაში, რომელიც ანდრია რაზმაძემ წაიკითხა. ასე დაედო სათავე ქართული საინჟინრო კადრების მომზადების ეროვნულ საქმეს. უდიდესი პატივისცემით ვიგონებთ ჩვენი ერის სახელოვან შვილებს: ივანე ჯავახიშვილს, პეტრე მელიქიშვილს, ალექსანდრე დიდებულოძეს, ანდრია რაზმაძეს, ანდრია ბენაშვილს, ნიკოლოზ მუსხელიშვილს, გიორგი ნიკოლაძეს, ალექსანდრე ჯანელიძეს, ალექსანდრე თვალჭრელიძეს, გრიგოლ წულუკიძეს, გიორგი გედევანიშვილს, ვასილ კაკაბაძეს, გიორგი მუხაძეს, არჩილ ხარაძეს და სხვებს, რომლებმაც თავიანთი დაუღალავი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით არაერთი ნათელი ფურცელი ჩაწერეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიაში, როგორც მისმა დამფუძნებლებმა. ამ ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით არ შეიძლება არ მოვიგონოთ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები და ინჟინრებიც: ბესარიონ ჭიჭინაძე, ივანე თულაშვილი, კალისტრატე გაბუნია, არჩილ გულისაშვილი, ლევან დიასამიძე, ალექსანდრე ჩი-

ქოვანი, გრიგოლ ქურდიანი, სტეფანე ყირქესალიშვილი, ივანე ყიფშიძე, ივანე ვაწაძე, კონსტანტინე მარჯანიშვილი, ლეონიდ ლეიბენზონი და სხვები, რომლებიც გასული საუკუნის დასაწყისში თავგამოდებით იბრძოდნენ საქართველოში უმაღლესი საინჟინრო განათლების დასაფუძნებლად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მრავალათასიანი პროფესურა და სტუდენტი ახალგაზრდობა დღეს უდიდესი მადლიერებით ხრიან თავს ქვეყნის პირველი უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე, რომელმაც სიცოცხლე მისცა საინჟინრო კადრების სამჭედლოს და შემდგომ დაულოცა გზა დამოუკიდებლად არსებობისაკენ.

თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ სამშენებლო, მექანიკური და სამთო განყოფილებები (არქიტექტურული, საგზაო, ჰიდროტექნიკური, ელექტრომექანიკური, ჰიდრო და თერმომექანიკური, სამთო-მეტალურგიული და ქიმიურ-ტექნოლოგიური სპეციალობებით) პირველ სასწავლო წელს 182 სტუდენტი ჩაირიცხა. ფაკულტეტმა არსებობის პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. პოლიტექნიკური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს უდიდესი მალისხმევა დასჭირდათ მშობლიურ ენაზე ინჟინრების მომზადებასთან დაკავშირებული სირთულეების გადასალახავად. ფასდაუდებელია მათი ღვაწლის ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნაში, ქართულ ენაზე სპეციალურ დისციპლინებში პირველი სახელმძღვანელოების შედგენასა და თარგმნაში, აგრეთვე სასწავლო ლაბორატორიების მოწყობაში.

შეუძლებელია არ მოვიგონოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღზრდილი პირველი ქართველი ინჟინრები, რომლებმაც 1928 წლის 28 ივნისს საჯაროდ დაიცვეს სადიპლომო პროექტები. ისინი გახლდნენ: ნიკოლოზ კალატოზიშვილი, ივანე გვიჩია, ალექსანდრე მიქაბერიძე, ევგენი ჩიქოვანი და ირაკლი მაღალაშვილი. მალე მათ კიდევ ოთხი ინჟინერი შეუერთდა – კონსტანტინე ფერაძე, პარმენ ჯიქია, მიხეილ ხევსურიანი და მალაქია ბრეგვაძე.

ასე აღსრულდა დიდი ილიას ნატვრა საქართველოში ინჟინრების აღზრდის თაობაზე.

პატივს მივაგებთ ჩვენი უნივერსიტეტის პირველ რექტორს დავით კანდელაკს და პირველ პრორექტორს სასწავლო და სამეცნიერო დარგში ნიკო მუსხელიშვილს, პირველ დეკანებს: გიორგი წულუკიძეს, კირიაკ ზავრიევს, გიორგი გედევანიშვილს.

განსაკუთრებული აღნიშვნისა და პატივისცემის ღირსია უდიდესი ღვაწლი ქართული მეცნიერების დიდი პატრიარქის ნიკო მუსხელიშვილისა, რომლის მრავალწლიანმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ჯერ უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტექნიკური დარგის ამაღლებას და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდიდარი ტრადიციების დამკვიდრებას.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი იმთავითვე აქტიურად ჩაება ჩვენი ქვეყნის სამრეწველო დარგების განვითარების პროცესში. ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც სახელგანთქმული მეცნიერი და ინჟინერი ბესარიონ ჭიჭინაძე ხელმძღვანელობდა, პირველი დიდი სკოლა იყო ქართველი ინჟინრებისა და ტექნიკოსებისათვის. სწორედ ამ პე-

რიოდში ჩაუყარეს საფუძველი ე. ჩიქოვანმა, გ. მუხამემ და კ. ზავრიევმა სამშენებლო მექანიკისა და სამშენებლო სეისმოლოგიის საყოველთაოდ აღიარებულ სამეცნიერო სკოლებს, რომელთა წარმომადგენლებმა უკვე შემდგომ სათავე დაუდეს საქართველოში ფართო მასშტაბების სამრეწველო და სამოქალაქო ნაგებობების, გრავიტაციული და თაღოვანი კაშხლების, რთული რელიეფის პირობებში მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურების და სხვა სახის უნიკალურ მშენებლობებს.

საქართველოს სამთოელების პირველმა თაობამ, რომლებიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გრიგოლ წულუკიძის მოწაფეები იყვნენ, სათავე დაუდეს სამთომომპოვებელ მრეწველობას. დასაბამი მიეცა ტყიბულის, ტყვარჩელის, ჭიათურის, ახალციხის და სხვა საბადოების ამოქმედებას.

სამთოელების გვერდით ფართო ასპარეზზე გამოვიდნენ ქართველი გეოლოგები, რომლებმაც ცნობილი მეცნიერების: ა. ჯანელიძის, ა. თვალჭრელიძისა და კ. გაბუნიას ხელმძღვანელობით დაიწყეს ძებნა-ძიების საქმეში რთული სტრუქტურულ-ტექონიკური, გეოფიზიკური და გეოქიმიური მეთოდების გამოყენება, აგრეთვე, მნიშვნელოვან სიღრმეებზე ბურღვის ახალი ტექნოლოგიური სისტემების შექმნა. შესაძლებელი გახდა სასარგებლო წიაღისეულთა ახალი საბადოების აღმოჩენა მარნეულში, შაორში, ტყვარჩელსა და სხვა ადგილებში.

ჩვენი უნივერსიტეტის ფუძემდებლებმა პ. მელიქიშვილმა, გ. ნიკოლაძემ, ვ. კაკაბაძემ და მათთან ერთად პროფესორმა ლ. პისარჟევსკიმ საფუძველი ჩაუყარეს მეტალურგებისა და ქიმიკოს-ტექნოლოგების სამეცნიერო სკოლებს, რაც ესოდენ აუცილებელი იყო საქართველოში მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ამოქმედება ჭიათურის მანგანუმის საბადოების ბაზაზე, რასაც უდიდესი ინჟინერი და მამულიშვილი გიორგი ნიკოლაძე ედგა სათავეში, ქართული მეტალურგიის უძველესი ტრადიციების აღდგენას ნიშნავდა. რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური კომბინატები, ქუთაისის ლითოფონის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და მრავალი სხვა ქარხანა ქართველი მეტალურგებისა და ქიმიკოსების სახელოვანი თაობის თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

განსაკუთრებული ამოცანების გადაწყვეტა მოუხდათ ელექტრული და საგზაო ტრანსპორტის პირველი თაობის ქართველ ინჟინრებს. მათ რიგში მრავალი სახელოვანი მეცნიერი და სპეციალისტი აღიზარდა. არ შეიძლება არ მოვიგონოთ ელექტრული ტრანსპორტის დარგის ფუძემდებელი პროფესორი სტეფანე ყირქესალიშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც დაიწყო სურამის უღელტეხილის რთულ ბუნებრივ პირობებში საქართველოს რკინიგზების მშენებლობა და მისი ელექტროფიკაცია. წინასწარ დამაბული კონსტრუქციების შექმნა, სეისმურად მდგრადი საინჟინრო ნაგებობების პრობლემების გადაწყვეტა, გვირაბების მოპირკეთების ახალი კონსტრუქციების დამუშავება ელექტრული წევის ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა შეძლეს პირველი თაობის ქართველმა ტრანსპორტელებმა.

ქვეყნის აღმშენებლობისათვის თავგამოდებით იღვწოდნენ ქართველი ენერგეტიკოსებიც. აკადემიკოს ა. დიდებულის სკოლის მოწაფეები სათავეში ჩაუდგნენ საქართველოში ელექტროფიკაციის განხორციელებას. შეიქმნა ერ-

თიანი ენერგოსისტემა, რესპუბლიკა დაიფარა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების ქსელით. რიონჰესი, ხრამჰესი, ენგურჰესი, თბილსრესი, მრავალი სხვა ენერგობიექტი პირმოა ქართული ენერგეტიკის სახელოვანი ტრადიციებისა.

შეუძლებელია პატივისცემით არ მოვიგონოთ მანქანათმშენებელთა პირველი თაობები, რომლებიც დიდი მეცნიერისა და პედაგოგის გიორგი გედევანიშვილის სკოლიდან გამოვიდნენ. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიისა და ლოთონთა დამუშავების, მექანიზმებისა და მანქანების თეორიის სპეციალისტებმა. ამ სკოლის აღზრდილები ჩვენს ქვეყანაში სათავეში ჩაუდგნენ ჩარხმშენებლობის, საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის განვითარებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საქართველოს არქიტექტორების ღვაწლი ქალაქთმშენებლობისა და ქვეყნის კურორტების დაგეგმარებას. შეუფასებელია ქართული არქიტექტურული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის პროფესორ ირაკლი ციციშვილის ღვაწლი საქართველოს ისტორიული ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის ეროვნულ საქმეში.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა ახალგაზრდობის სწრაფვა საინჟინრო სპეციალობების დაუფლებისადმი. ყალიბდებოდა ახალი საინჟინრო დარგები, საფუძველი ეყრებოდა იმ დროისათვის უახლეს სამეცნიერო-ტექნიკურ მიმართულებებს. რესპუბლიკაში მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესი სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს საინჟინრო კადრების მომზადებისა და მეცნიერულ კვლევათა გაფართოების მიმართულებით.

გასულ საუკუნის 40-იანი წლების დასასრულს, არსებული რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობას დაავალა შესაბამის უწყებებთან ერთად შეემუშავებინა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პერსპექტიული განვითარების გეგმა და შეერჩია სათანადო ადგილი ინსტიტუტის ერთიანი სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის ასაშენებლად. ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა ღირსეულად გაართვეს თავი ამ დიდ საქმეს. პატივს მივაგებთ 40-იან წლებში ინსტიტუტის რექტორს არტემ ბოჯგუას, პრორექტორს სასაწავლო-სამეცნიერო დარგში ივანე ხუხუნიანიშვილს, მთავარ ინჟინერს ნიკოლოზ თევზაძეს, ნიჭიერ არქიტექტორსა და ხუროთმოძღვარს მიხაკო შავიშვილს, რომლებიც ჩვენი საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობის სათავეებთან იდგნენ და უდიდესი ამაგი დასდეს მის განვითარებას.

როდესაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარსულზეა ლაპარაკი, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით ქართველ პოლიტექნიკოსთა აქტიურ მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომში. ვინ მოთვლის, რამდენი ღირსეული ადამიანი მოწყდა მშობლიური ინსტიტუტის კედლებს. პატივს მივაგებთ დაღუპულთა ხსოვნას. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ინსტიტუტის ექვს კურსადმთავრებულს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ომმა ვერ შეაჩერა საინჟინრო კადრების მომზადების და მეცნიერული ძიების პროცესი. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტი ახალგაზრდობა აქტიურად იღვწოდნენ ომის შემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი განვითარებისთვის.

1947 წელს საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 25 წლისთავი. ქართულ ტექნიკური ინტელიგენციის მაღალი პროფესიული პოტენციალი რეალურ ძალად იქცა. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო სკოლები და მიმართულებები. უდიდესი პატივისცემით ვიგონებთ მეცნიერების და წარმოების სახელოვან მოღვაწეებსა და ორგანიზატორებს, ჩვენი უმაღლესი სკოლის დიდ მასწავლებლებს, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს კადრების აღზრდის, მეცნიერების განვითარების და საერთოდ ქვეყნის წინსვლაში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები: რაფიელ აგლაძე, პეტრე გამყრელიძე, არჩილ ძიმიგური, თეიმურაზ ლოლაძე, რაფიელ დვალი, ნიკოლოზ ლანდია, ფერდინანდ თავაძე, დავით თავხელიძე, ბორის ხვედელიძე, ვახტანგ გომელაური, მიხეილ ხვინგია, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: გიორგი ზარიძე, ლევან აბელიშვილი, იოსებ ბუაჩიძე, კონსტანტინე ბარამიძე, ნიკოლოზ გაბაშვილი, დიმიტრი ერისთავი, რამაზ ლალიძე, მერაბ მიქელაძე, კალისტრატე ქუთათელიაძე; ირაკლი ღუდუშაური, პროფესორები: რუსუდან ნიკოლაძე, არჩილ გულისაშვილი, ალექსი გორგიძე, დავით ავაზაშვილი, რუბენ ავაზაშვიანი, მიხეილ გარაყანიძე, ვლადიმერ გურგენიძე, მესროფ დანდუროვი, ნიკოლოზ დანელია, დიმიტრი დოლიძე, ალექსი კაკუშაძე, ოთარ ეზიკაშვილი, ნიკოლოზ თევზაძე, ბიძინა კანდელაკი, ალექსანდრე ქაშკაშვილი, გრიგოლ ღუდუშაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ნიკოლოზ ტყემალაძე, ალექსანდრე ხვიჩია, შოთა რაზმაძე, ნიკოლოზ მოწონელიძე, გიორგი ჯაბუა, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ ლომინაძე, ალექსანდრე კაკალაშვილი, სიმონ შათაშვილი, ნიკოლოზ ნინუა, შალვა ლომინაძე, ვლადიმერ სანაძე, გიორგი გორდაძე, ალიოშა ღურჭუმელია, იური ქართველიშვილი, ილია მიქაძე და სხვ. ნათელი და დიდება მათ სახელებსა და საქმეს..

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ათეული წლების მანძილზე სანამ ჩამოყალიბდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საინჟინრო-ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტის მთელი სიმძიმე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერებათა მხრებზე იდო, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა საინჟინრო დარგის სამეცნიერო სკოლების დაფუძნება და განვითარება.

1959 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს შეუერთდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი.

1962 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 40 წლისთავი აღინიშნა. ამ პერიოდისთვის, ძირითადად დამთავრებული იყო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების კომპლექსური სამუშაოები, რაც შემდგომ წლებშიც აქტიურად განვითარდა. ამ პერიოდში გაიხსნა ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის, კავშირგაბმულობისა და ელექტრონიკის, ავტომექანიკური ფაკულტეტები, აგრეთვე – საპრობლემო და დარგობრივი ლაბორატორიები – სადაც ქვეყნისთვის აუცილებელი და საჭირო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა: ზესუფთა მანგანუმის ნაერთებისა და მათი ანალიზი (ხელმძღვანელი აკადემიკოსი რ. აგლაძე), ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის (პროფ. ი. ბუაჩიძე), ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის (პროფ. ნ. გაბაშვილი), რადიოქიმიური კვლევის (პროფ. ვ. სანაძე), მონოკაზმის

მეთოდით მადნეულის მომზადების და გადამუშავების (პროფ. ა. ხვიჩია), ჩაის ფოთლის ნაკადური ხაზის კონსტრუირების (პროფ. ა. კაკალაშვილი), სამრეწველო და კომუნალური წყალმომარაგების (პროფ. ა. ზედგენიძე), მხატვრული კერამიკისა და მინის (პროფ. კ. ქუთათელაძე), ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების (პროფ. რ. ფარცხალაძე).

1972 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს 50 წელი შეუსრულდა. ინსტიტუტის ღვაწლი საინჟინრო კადრების აღზრდისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საქმეში საყოველთაოდ იქნა აღიარებული.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების კათედრის ინიციატივით უნივერსიტეტის შახტ-ლაბორატორიის მშენებლობას, რომელიც 1981-1991 წლებში განხორციელდა და ანალოგი არა აქვს, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს.

საქართველოში საინჟინრო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მსოფლიოში ცნობილ ქართველ მეცნიერებს: ივერი ფრანგიშვილს, ალექსანდრე ნადირაძეს, სამსონ ქუთათელაძეს, ვალენტინ ჭანტურას, ბორის ერისტოვს (ერისთავი), გიორგი ბერიევს (ბერიშვილი), ვახტანგ ვაჩნაძეს, შოთა ლუტიძეს, ბორის კარტოზიას და სხვ.

90-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც დღის 15 და საღამოს დაუსწრებელი სწავლების 12 ფაკულტეტზე 28 000 სტუდენტი სწავლობდა. ეს ფრიად გამორჩეული პერიოდი იყო როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფის, ისე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მასშტაბის გაზრდის მხრივ. განხორციელდა ფაკულტეტების ავტონომიზაცია, დაიწყო კომპიუტერული წიგნიერების ფართო დანერგვა, გაიხსნა ახალი სპეციალობები, გაფართოვდა საერთაშორისო კავშირები, მნიშვნელოვნად გაძლიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სწორედ ამ პერიოდში დაედო საფუძველი სპეციალური დანიშნულების ტრანსფორმირებადი სისტემების საკონსტრუქტორო ბიუროს, რომელიც კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. შეიქმნა მიკროკომპრესული და კრიოგენული ტექნიკის ლაბორატორია, რომელმაც რუსეთის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ენერჯიასთან“ ერთად მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა. გაიხსნა სამეცნიერო საინჟინრო ცენტრები, ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტრონული მიკროსკოპის რესპუბლიკური ცენტრი, მიკროელექტრონიკის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი და სხვ.

90-იანი წლების დასასრული უაღრესად რთული და მძიმე ხანა იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტისთვის. მიუხედავად ამისა, უამრავი სიახლე იქნა წამოწყებული. ინსტიტუტი გადაკეთდა ტექნიკურ უნივერსიტეტად, სადაც დაიწყო რეფორმები ევროპის განათლების სისტემასთან მისადაგების, დემოკრატიზაციისა და ავტონომიურობის პრინციპის დამკვიდრების მიზნით.

ტექნიკური ინსტიტუტი გადავიდა სწავლების სამსაფეხურიან სისტემაზე, რაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ერთობლიობას ითვალისწინებს.

საფუძველი ჩაეყარა სპეციალობების სწავლებას, როგორცაა: საინჟინრო მენეჯმენტი, სახელმწიფო მართვა, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი და სხვ. რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია საინჟინრო საქმის წინსვლისა და თანამედროვე მმართველობითი უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტების მოსამზადებლად.

2001 წელს სრულიად კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტექნიკურ უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, რომელსაც სათავეში უდგას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველი ანანია (ჯაფარიძე). ცენტრის არსებობის 10 წლის მანძილზე ათასობით სტუდენტი ეზიარა ღვთისმეტყველების საფუძვლებს. გაიდო მყარი ხიდი რელიგიასა და მეცნიერებას შორის.

XXI საუკუნის პირველი ათწლეული ბოლოს მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა. მას მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია შემოუერთდა ძლიერი ადამიანური რესურსებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მიღებულ იქნა ახალი საუნივერსიტეტო წესდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტში საფუძველი ეყრება სწავლების ახალ ტექნოლოგიებს, რეალური ღონისძიებანი ტარდება საუნივერსიტეტო ტექნო-პარკების დასაფუძნებლად, ინტენსიურად მიმდინარეობს სამეცნიერო საქმიანობების გაფართოების პროცესი, მყარდება ახალი საქმიანი კავშირები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან, უნივერსიტეტის აკადემიური შემადგენლობა ივსება ახალგარდა, ნიჭიერი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით, უახლესი დანადგარებითა და მოწყობილობებით შეივსო უნივერსიტეტის სასწავლო ლაბორატორიული ბაზა, რამაც საინჟინრო-ტექნოლოგიური სპეციალობებით ახალგაზრდების კიდევ უფრო მეტი დაინტერესება გამოიწვია. მძალვრი კომპიუტერული ცენტრები, უახლესი სახელმძღვანელოები მშობლიურ ენაზე, მოდერნიზებული ლაბორატორიები და სხვ. ხარისხიანი განათლების მიღების წინაპირობას ქმნიან.

2012 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დაარსებიდან 90-ე წელი უსრულდება. ისტორიისათვის დროის ამ მცირე მონაკვეთში, მისმა კურსდამთავრებულებმა თავდადებით იღვაწეს ქვეყნის აღმშენებლობისათვის და მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს მატთანში.

დამოუკიდებელი საქართველოს დღევანდელი პირობებში გაცილებით მეტის გაკეთების შესაძლებლობა მიეცათ საინჟინრო-ტექნიკური დარგების ახალგაზრდა სპეციალისტებს, მეცნიერებსა და მკვლევარებს, რაც იმის წინაპირობაა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და მისი აღზრდილები განახლებული ძალითა და სულისკვეთებით იმრომებენ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

უცხოეთის გზებზე

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის მრავალი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს. ზოგი მათგანი აქვე, საქართველოში, მოღვაწეობს, ზოგიც - უცხოეთში.

ჩვენ ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ ისეთ სტუდენტ-კურსდამთავრებულებს, რომლებიც უცხოეთში, ამერიკასა თუ ევროპაში დიპლომატიურ, კომერციულ, სამეცნიერო თუ ბიზნეს-საქმიანობას ეწევიან.

ამ თვალსაზრისით, ჩვენი უნივერსიტეტი და უნივერსიტეტელები არცთუ ურიგოდ გამოიყურებიან.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ აშშ-ში მოღვაწე მეცნიერ-მკვლევარები:

1. დავით ჭელიძე ერთ-ერთი გამორჩეული, ნიჭიერი და ახალგაზრდა მეცნიერია, რომელიც უცხოეთის ცის ქვეშ მოღვაწეობს. მას მოპოვებული აქვს დოქტორის ხარისხი საინჟინრო მეცნიერებებსა და მექანიკაში (აშშ, პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პენსილვანია, 2000), ასევე მაგისტრის ხარისხი მანქანათმშენებლობაში (Mechanical Engineering) (სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტი, კარბონდალე, ილინოისი, 1995); მისი სამეცნიერო კვლევები ეხება ანალიტიკურ და ექსპერიმენტალურ არაწრფივ დინამიკას, მექანიკის მტყუნებას, მოდალურ ტესტირებასა და ანალიზს, საინჟინრო სისტემების დინამიკასა და სტაბილურობას. აქცენტი გადატანილია ცოდნის სინთეზზე ისეთი სფეროებიდან, როგორცაა: დინამიკური და სტოქსტიკური სისტემები; წრფივი და არაწრფივი დროითი რიგების ანალიზი; საინჟინრო, გეოგრაფიული და ბიოლოგიური სისტემების იდენტიფიკაციის, დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და იმპლემენტაციის თეორიის შეფასება და ფილტრაცია.

შთამბეჭდავია მისი პროფესიული გამოცდილება: ა) პროფესორი (07/2009-დღემდე) მანქანათმშენებლობისა და გამოყენებითი მექანიკის კათედრა, როდ აილენდის უნივერსიტეტი; ბ) ასოცირებული პროფესორი (07/2005 – 06/2009) მანქანათმშენებლობისა და გამოყენებითი მექანიკის კათედრა, როდ აილენდის უნივერსიტეტი; გ) ასისტენტ-პროფესორი (09/2000 – 06/2005) მანქანათმშენებლობისა და გამოყენებითი მექანიკის კათედრა, როდ აილენდის უნივერსიტეტი; დ) მთავარი ინჟინერი (04/2000-08/2000)მ „Preschutti and Associates“, Inc, სახელმწიფო კოლეჯი, პენსილვანია;

მისი ჯილდოებისა და ნომინაციების ნუსხა ასეთია: ა) ედმუნდ და დორო-თი მარშალების ჯილდო ფაკულტეტის წარმატებისთვის სამეცნიერო კვლევებში, 2007, ინჟინერიის კოლეჯი, როდ აილენდის უნივერსიტეტი; ბ) CAREER-ის ჯილდო, ნაციონალური სამეცნიერო ფონდი, 2003; გ) წარჩინების დიპლომი, 1992, სტუ, თბილისი, საქართველო; დ) სსრკ/აშშ სტუდენტთა საპრეზიდენტო გაცვლითი პროგრამა, 1991-1992; ე) აკადემიკოს თავხელიძის სტიპენდია, სტუ, თბილისი, საქართველო, 1989-1992; **შენიშვნა 1:** ჯილდოს მინიჭება ხდება რამდენიმე წელიწადში ერთხელ მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის საუკეთესო სტუდენტისათვის; ვ) წარჩინების დიპლომი და ჯილდო 58-ე (1988) და 59-ე (1989) ღია სამეცნიერო ტექნიკურ კონფერენციებში გამორჩეული მოხსენებებისათვის, სტუ, თბილისი, საქართველო. **შენიშვნა 2:** ჯილდო საუკეთესო სტატისათვის სტუდენტთა შორის ფიზიკაში, მათემატიკაში, თეორიულ მექანიკაში, მანქანების დიზაინში, მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, მხაზველობით გეომეტრიაში და რუსულ ენაში;

მოპოვებული აქვს ორი პატენტი:

- ა) აშშ-ის პატენტი NO. 6,567,752 B2, „აღჭურვილობის კომპონენტებში ფარული დაზიანების ან სხვა არასასურველი ცვლილებების ევოლუციის მეთვალყურეობის ზოგადი მეთოდი და დარჩენილი ვარგისიანობის ვადის პროგნოზირება“, ჯ.ფ. კუსუმანო და ა. ჩატერჯისთან ერთად. პენის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოგონება NO. 2002-2008, 2003;
- ბ) სსრკ-ს პატენტი NO. 1,814,970, „მხარდაჭერა-ხელმძღვანელობის ერთეული დიდი ზომის დეტალების გადაზიდვებისათვის“, ნ. ხაჩიძე, გ. დ. ჭელიძე და ვ. ნ. ხაჩიძესთან ერთად, სტუ-ს გამოგონება. NO. 4824161, Bul. Iz., NO. 18, 1993.

დავით ჭელიძის დაფინანსებული საგრანტო პროექტებია:

აღსანიშნავია, რომ პირველი გრანტი, რომელიც მან 2003 წელს მიიღო (დაფინანსებული ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის მიერ), როდ-აილენდის უნივერსიტეტისთვის იყო პირველი პროგრამის დაარსებიდან ბოლო 20 წლის განმავლობაში და მეორე – უნივერსიტეტის ინტორიაში;

დ. ჭელიძის ამ პროექტს ზედიზედ მოჰყვა 20-მდე დაფინანსებული საგრანტო პროექტი (საერთო ჯამში რამდენიმე მილიონის ღირებულების). ძირითადი დამფინანსებლები: ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდი, აშშ, არმია, აშშ საჰაერო ძალების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ბოინგი, NASA და ა. შ. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს ამერიკის ერთ-ერთი უნივერსიტეტის დოქტორანტურას.

ბოლო რამდენიმე წელი ხელმძღვანელობს როდ-აილენდის უნივერსიტეტის ასპირანტურას („პოსტგრადუეტიდს“). უნივერსიტეტის სპეციალობებისათვის ეძებს და აფინანსებს ნიჭიერ ახალგაზრდებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში მონაწილეობისათვის.

2. ლადო გარაყანიძე წარმატებული მეცნიერია. მათ 1987-1993 წლებში უმაღლესი განათლება სტუ-ში მიიღო ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე (ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრა). ელექტრო-ინჟინერინგის სპეციალისტმა წარმატებით განვლო მკვლევარ-მეცნიერის გზა სტუ-დან სამეცნიერო კვლევით ცენტრ „NASA“-მდე. 2009 წლიდან დღემდე ბატონი

ლადო სწორედ ამ ცენტრში მოღვაწეობს. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

3. ასლან ცივაძე (1943 წ. ქ. ბათუმი). 1966 წელს დაამთავრა სპი-ს ქიმიური და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი.

1966-1970 წლებში საბჭოთა კავშირის მეცნ. აკადემიის ნ. კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის ასპირანტია, 1970-1974 წწ. მოსკოვის ოპტურ-ფიზიკურ განზომილებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შემდეგ ამავე ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიურ კვლევათა სექტორის გამგე, 1999-2002 წლებში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 2002 წლიდან კი რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ი. ფრუმკინის სახელობის ფიზიკური ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

არის არაერთი მედლისა და ორდენის მფლობელი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2000 წ.), ხოლო 2002 წელს დაჯილდოვდა რუსეთის ფედერაციის ღირსების ორდენით.

4. ოთარ მგალობლიშვილი (1940 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი). 1958-1963 წლებში სპი-ს მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტი.

1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1963-1998 წლებში სპი-ს ლითონსაჭრელი ჩარხების კათედრის უფროსი ლაბორანტია, 1964 წლიდან მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის ასპირანტი, შემდგომ წლებში ასისტენტი და უფროსი მასწავლებელი.

1975-1976 წლებში სოლფორდის უნივერსიტეტის (მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი) სტაჟორია. 1984 წლიდან მოღვაწეობს შტუტგარდის უნივერსიტეტში (გფრ).

1995 წლიდან თანამშრომლობს ჯონ მურის უნივერსიტეტთან, 1998 წლიდან ამავე უნივერსიტეტის საინჟინრო და ტექნოლოგიური მენეჯმენტის ფაკულტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

1999 წელს მიენიჭა უნივერსიტეტის პროფესორის წოდება. 2008 წლიდან ამავე უნივერსიტეტის პროფესორ-კონსულტანტი.

5. რევაზ ქავთარაძე საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია (1975). სწავლის დამთავრების აქვე მუშაობდა მეცნიერ-თანამშრომლად. შედგომ იგი მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტია. აქვე დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1981-1992 წლებში ამ უნივერსიტეტის დოცენტია, ხოლო შემდგომ – პროფესორი.

მისი მეცნიერული ინტერესის სფეროა თბოენერგეტიკა და ძრავათმშენებლობა. ძრავების თეორიაში ფართოდაა ცნობილი რ. ქავთარაძის ფორმულები, რომლებიც საწვავის თვითაალების შეფერხების პერიოდის და წვისკამერაში თბოგაცემის კოეფიციენტის საანგარიშოდ გამოიყენება. არის 10 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს, 170-ზე მეტი სტატიისა და 2 გამოგონების ავტორი, სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს მიუნჰენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, როსტოკის უნივერსიტეტში (გფრ), პეკინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (ჩინეთი), ბრაიტონის უნივერსიტეტში, თანამშრომლობს მრავალ

ვალ უცხოურ ფირმასთან (1995 წელი Dimler Benz, 2000 წელი MAN, 1982-2011 წწ. ООО Камаз, ООО ЗМЗ, ВНИГАЗ.

შესანიშნავად იცის ქართული, როგორც მშობლიური ენა, თავისუფლად ფლობს რუსულ და გერმანულ ენებს.

რ. ქავთარაძის მონოგრაფიულ სახელმძღვანელოს „ლოკალური თბოცვლა დგუშიან ძრავებში“ 2002 წელს მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის პრემია მიენიჭა.

არის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის თბოცვლის თეორიის ნაციონალური კომიტეტის, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნოლოგიური ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

6. შალვა მარჯანიშვილი (15.04.1989. ქ. თბილისი), ტმდ, მოღვაწეობს კალიფორნიაში (ქ. სან-ფრანცისკო, ფირმა „Dhinman constling Engineers“ მეცნიერ-მკვლევარის თანამდებობაზე. 1992 წელს დაამთავრა სპი-ს სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. 1997-1998 წლებში სწავლობდა მაგისტრატურაში (აშშ, აიდაჰოს უნივერსიტეტი), 1998-2000 _ დოქტორანტურაში (აშშ, სტენფორდის უნივერსიტეტი), მანამდე კი, 1990-1992 წლებში, სპი-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ლაბორანტად, ხოლო 1992-1993 წლებში სტუ-ს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ინჟინერ-მკვლევარად. დღემდე იგი აშშ-ში (კალიფორნია, ქ. სან-ფრანცისკო) ფირმა „Dhinman constling Engineers“ მეცნიერ-მკვლევარია. არის 2 მონოგრაფიისა და 29 სამეცნიერო სტატიის ავტორი. თავისუფლად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

7. გიორგი გუგუციძე (14.10.1979, ქ. თბილისი). ტმდ, მუშაობს სლოვაკეთის რესპუბლიკის ცენტრალური სამშენებლო ფირმა „Doprasta“-ში განვითარებისა და ინოვაციების განყოფილების ინჟინერ-პროექტანტად.

1995-2000 _ სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. 2000-2003 წლებში სწავლობდა სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის ასპირანტურაში სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით, ხოლო 2003 წელს სტუ-ს ამავე ფაკულტეტის დოქტორანტურაში 2004-2009 წლებში სლოვაკეთისა და საქართველოს რესპუბლიკების სამთავრობათაშორისო პროგრამით (კონკურსში გამარჯვების შემდეგ) სასწავლებლად გაიგზავნა ქ. ბრატისლავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში.

2009 წლიდან დღემდე სლოვაკეთის რესპუბლიკის ცენტრალური სამშენებლო ფირმა „Doprasta“-ის განვითარების და ინოვაციების განყოფილების ინჟინერ-პროექტანტია. არის 10 სამეცნიერო სტატიის ავტორი, თავისუფლად ფლობს რუსულ, სლოვაკურ, ინგლისურ ენებს.

8. ბესარიონ ლორთქიფანიძე (1971, ქ. თბილისი) ტმკ, 1987-1992 წლებში სწავლობდა სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით, ხოლო 1992-1993 წლებში სტუ-ს ეკონომიკისა და საქმიანო ურთიერთობის ფაკულტეტი; 1992-1995 წლებში სტუ-ს რკინა-ბეტონის კონსტრუირების კათედრის ასპირანტია, 2001-2002 წლებში აშშ კორნელის უნივერსიტეტის დოქტორანტი. 1995-2000 წლებში მუშაობდა ქ. მოსკოვში (რუ-

სეთის ფედერაცია) სამშენებლო ფირმა „VALDES“-ში. არის 5 სამეცნიერო სტატის ავტორი. თავისუფლად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

9. ნოდარ მახარაშვილი 1996-1997 წლებში სწავლობდა სტუ-ს მოსამაზადებელ კურსზე ბიოტექნოლოგიის განხრით, ხოლო 1997-2001 წლებში – სტუ-ს ქიმიის ფაკულტეტზე ბიოტექნოლოგიის განხრით (ბაკალავრის ხარისხი).

2003-2005 წლებში მონაწილეობდა სენტ ლუისის უნივერსიტეტის კვლევით პროექტში. 2005-2009 წლებში დაამთავრა სენტ ლუისის უნივერსიტეტის დოქტორანტურა. 2009-2012 წლებში პოსტ-დოქტორული მკვლევარი იყო სენტ ლუისის უნივერსიტეტის ასპირანტურის ბიოქიმიის განყოფილების სტუდენტური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, 2008-2012 წლებში აშშ ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის საზოგადოების წევრი, 5 სამეცნიერო სტატის ავტორი.

10. ზაზა გომურაშვილი. 1992 წელს დაამთავრა სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი, 1993 წლიდან ასპირანტია (ხელმძღვანელი პროფ. რამაზ ქაცარავა). 1994 წელს მოიპოვა დაადის სტიპენდია და სადისერტაციოდ სწავლა განაგრძო გერმანიაში – ჰამბურგის უნივერსიტეტში (ხელმძღვანელი ჰანს კრიხელდორფი).

1997 წელს დაიცვა დისერტაცია. 1998-2003 წლებში ჰამბურგის (გფრ) უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევარია. იმავდროულად თანამშრომლობს აშშ-ს (რენსლაერი) და კანადის (მაგილი) უნივერსიტეტთან. 2003 წლიდან მუშაობს მონრეალის (კანადის) ბიოსამსახლო ფირმაში („ბიოგელტექნოლოჯი“), ხოლო 2004 წლიდან 2009 წლამდე სანდიეგოს ბიოტექნოლოგიურ ფირმაში – „მედივას შპს“ (კალიფორნიის შტატი), სადაც ხელმძღვანელობს საინოვაციო ჯგუფს, მოგვიანებით კი პოლიმერების განყოფილებას.

ამჟამად მოღვაწეობს კალიფორნიის შტატში ფირმა აქსის საბრენდო კომპანიაში უფროს ინჟინერ-ქიმიკოს მკვლევარად იკვლევს კბილის (ენდოდონტიკა) სამედიცინო მასალების სრულყოფის საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს ორი პუბლიკაცია, სამი მიმოხილვითი სტატია, თანაავტორია 17 ამერიკული და საერთაშორისო პატენტის.

10. შოთა გუგუშვილი (1980 წ. თბილისი) თბილისის 50-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სტუ-ს სტუდენტი გახდა (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ინსტიტუტის გამოყენებითი მათემატიკის განხრით). 1998 წ. იყო საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი, ხოლო 2000 წ. გ. თოფაძის სტიპენდიანტი. 2002 წელს მიენიჭა ბაკალავრის წოდება. 2003-2008 წწ. სწავლობდა ამსტერდამის უნივერსიტეტის კორტვეგ-დე ფრიზის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 2008 წელს აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 2008-2010 წწ. მუშაობდა პოსტდოკად იურანდომში (აინდჰოვენი, ნიდერლანდები), ხოლო 2010-2012 წწ. პოსტდოკად ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე. 2012 წლიდან არის ლაიდენის უნივერსიტეტის (ლაიდენი, ნიდერლანდები) მათემატიკის ინსტიტუტის პოსტდოკი. მისი კვლევების ინტერესის სფეროა არაპარამეტრული სტატისტიკა, სტატისტიკური ამოცანები დიფერენციალური განტოლებებისათვის და არაპარამეტრული ბაიესური სტატისტიკა. გამოქვეყნებული აქვს 9 სამეცნიერო სტატია, 22 სამეცნიერო თეზისი, არის 1 სამეცნიერო კრებულის თანარედაქტორი, 3 საერთა-

შორისო კონფერენციის ორგანიზატორი. იცის ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, ბერძნული ენები.

11. ქეთევან პატაშური. საინტერესოა 90-იანი წლების საქართველოში, ფასანაურის საშუალო სკოლადამთავრებულის, „სიმენსის“ ფირმის ერთადერთი ქართველი თანამშრომლის ქეთი პატაშურის სასწავლო-შემოქმედებითი გზა. როგორც თვითონ მოგვითხრობს, მან სტუ-ში სწავლისას სტიპენდია მოიპოვა და სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა. მართალია, მან იმ მომენტში გერმანული არ იცოდა, მაგრამ სწავლა ინგლისურ ენაზე იყო და... ქეთიმაც სწავლა მაგისტრატურაში სენსორული სისტემების ტექნოლოგიით განაგრძო. აქ, ინტერნაციონალურ ჯგუფში მოხვედრილი, ეზიარა სწავლების საინტერესო მეთოდს, რაც გამოიხატება ყოველ სემესტრში დამოუკიდებელი პროექტის შექმნაში. ქ. პატაშურმა სტუდენტური სწავლისა და მუშაობის გერმანიაში მიიღო ძალიან დიდი გამოცდილება. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა მუშაობა აქვე განეგრძო. გასაუბრების შემდეგ იგი „სიმენსის“ ფირმის თანამშრომელი გახდა. „სიმენსში“ ფირმაში მუშაობისას კი მისი განყოფილება საავტომობილო ინდუსტრიის ძრავის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებით იყო დაკავებული. ასეთ სპეციფიკურ ფირმაში ძრავის ელექტრონულ მართვას, საქმის დეველოპერულად დანერგვა-გაძლიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქ. პატაშური კი დღეს დიდ გერმანულ საავტომობილო ფირმაში მუშაობს, ხვეწს და იმაღლებს პროფესიულ ოსტატობას.

12. ალექსანდრე რუსანოვი. 1961 წელს დაამთავრა სპი-ს ქიმიური და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი, 1964 წელს – მოსკოვის დ. ი. მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა.

1965 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1980 წელს – სადოქტორო დისერტაცია.

ალ. რუსანოვმა სამეცნიერო მოღვაწეობა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ნესმეიანოვის სახ. ელემენტორგანულ ნაერთთა ინსტიტუტს დაუკავშირა. აქ განვლო მან გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლობიდან ლაბორატორიის ხელმძღვანელობამდე. მისი კვლევის სფერო და ინტერესებია პოლიკონდენსაციური ტიპის არომატული კარბო- და ჰეტერო-ჯაჭვური პოლიმერები და მათ შორის ე. წ. „კიბისებრი პოლიმერების“ სინთეზი. მკვლევრის ხელმძღვანელობით დაცულია 30 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 3 მონოგრაფია, 59 მიმოხილვითი ხასიათის სტატია, 350-ზე მეტი სამეცნიერო წერილი, თანაავტორია 155 ეროვნული და საერთაშორისო პატენტის.

13. ტ.მ.დ., პროფ. ალექსანდრე შარმაზანაშვილმა (დაიბადა 1960 წლის 13 მარტს), 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1991 წელს კი მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურა, იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1992-2002 წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ეწეოდა სამეცნიერო და აკადემიურ მუშაობას. იყო 18 სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელი, 2003-2004 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი ინფორმატიზაციის საკითხებში.

2004 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

2005 წლიდან მუშაობას იწყებს ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში – CERN, ჟენევა, შვეიცარია, სადაც ამჟამად ეწევა საინჟინრო და IT პროექტების კოორდინაციას. მისი ხელმძღვანელობით: შეიქმნა ATLAS-ის დეტექტორის ერთიანი კომპიუტერული მოდელი; განხორციელდა დეტექტორის მაგნიტების ინსტალაცია და 700-ზე მეტი ინტეგრაციის კონფლიქტის გამოვლენა დეტექტორის კონსტრუირებისას.

2010 წელს CERN-ში ჩატარებული სამუშაოების გამო საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვდა ეროვნული პრემიით.

14. ვადიმ ერისთავი ცნობილი ქართველი მეცნიერია. 1988-1992 წწ. სტუ-ს ქიმიის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. 1992 წელს მუშაობას აშშ-ში იწყებს ფარმაციის განხრით. 2004 წლიდან დღემდე სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი წარმატებული კომპანიის (Genentech/Roche) წამყვანი სპეციალისტია. თანასაქმიანობდა სინგაპურსა და დუბაიშიც. მისი გამოცდილება მოიცავს როგორც კომერციული ოპერაციების პროდუქტის ხარისხის ტესტირებასა და შეფასებას, ისე მომარაგების დაგეგმვის ოპტიმიზაციასა და საწარმოთა მართვის სტრატეგიული გადაწყვეტილების შემუშავებას.

წლის განმავლობაში მკვლევარს ინდუსტრიაში მოღვაწეობით მიღებული აქვს 20 სერთიფიკატი, აღიარება მარკეტინგის, მენეჯმენტის, ინოვაციური პროექტირების ორგანიზების და დაგეგმვის სხვადასხვა სფეროში.

აღსანიშნავია, რომ ვადიმ ერისთავმა 2009 წელს ძირითად საქმიანობასთან ერთად ამერიკაში ხელი მოჰკიდა ღვინის წარმოების მცირე ბიზნესს, რაც გამოიხატა კალიფორნიული ჯიშების ყურმნისაგან ქართული და ძველი ევროპული ტექნოლოგიის ახლებური გამოყენებით. შედეგმა და აღიარებამაც არ დააყოვნა – ავტორმა და მისმა პროდუქციამ ღვინის საერთაშორისო კონკურსებზე დაიმსახურა 10 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი.

16. ნათია ოჩხიკიძემ 2003 წელს დაამთავრა სტუ-ს ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი, მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხოლო 2005 წელს – მაგისტრისა, 2011 წელს კი ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2012-2013 წწ., როგორც მკვლევარი, მოღვაწეობს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ), აქ ატარებს იგი ნაირგვარ კვლევებს, პოლიმერების სფეროში ეუფლება ვერცხლის ნანონაწიკლაკების ფორმირების სხვადასხვა მეთოდს. გამოქვეყნებული აქვს ათი პუბლიკაცია, ავტორია 1 აშშ პატენტის.

17. თამარ მემანიშვილმა 2003 წელს წარჩინებით დაამთავრა სტუ-ს ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი, 2005 წელს მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი, 2008 წელს გახდა დოქტორანტი.

2009 წლიდან სადისერტაციო თემაზე მუშაობა განაგრძო აშშ-ში – ბოსტონის ნორდისტერნ უნივერსიტეტის ფარმაცევტული ბიოტექნოლოგიისა და ნანომედიცინის ცენტრში, როგორც მკვლევარ-სპეციალისტი ირიცხება პროფ. ვლადიმერ ტორჩილინის ჯგუფში. იგი 2010 წლიდან ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის საქართველოს სახელმწიფო გრანტის მფლობელია. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს მან გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი

სტაჟირებისათვის 2011 წელს) გამოცხადებულ კონკურსში, რის საფუძველზეც (2011-2012 წწ. დეკემბერი-ივნისი) სტაჟირება გაიარა შვედეთში, ლუნდის უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების კვლევით ცენტრში.

2011 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ამჟამად მოღვაწეობს შვედეთში, ქ. ლუნდის უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების ცენტრში პროფ. ზაალ კოკაიას ხელმძღვანელობით, სადაც იკვლევს ამინომჟავების საფუძველზე მიღებული ბიოდეგრადირებად პოლიმერებს (ტვინის ინსულტის ღეროვანი უჯრედებით მკურნალობის დროს ფუნქციური აღდგენის გასაუმჯობესებლად).

პუბლიკაციები გამოქვეყნებული აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში, არის არაერთი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და საქართველოს პატენტის თანაავტორი.

18. გიორგი სონდულაშვილმა 2001 წელს დაამთავრა სტუ-ს ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი, 2003 წელს ისრაელში, ჰაიფას უნივერსიტეტში მოიპოვა მაგისტრის აკადემიური ხარისხი, აქვე მუშაობდა 2008 წლამდე.

2008 წლიდან მოღვაწეობს ბელგიაში. არის ბრიუსელის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი მიკრობიოლოგიის განხრით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (RESP. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის – სპი) და მისი კურსდამთავრებულები სწავლითა და მეცნიერული მუშაობით უცხოეთის უნივერსიტეტებში მეტალურგიის მიმართულებითაც გამოირჩევიან. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობენ:

1. ნატო ბარბაქაძე [სპეციალობით – ლითონმცოდნე, დოქტორი, მუშაობს ქ. მიუნხენში ფირმა „ცუბაკი“-ში მასალათმცოდნეობის მიმართულებით];
2. მალხაზ აიწურაძე [სპეციალობით – სამსხმელო წარმოება, დოქტორი, მუშაობს ქ. ფრაიბერგის ტექნიკურ უნივერსიტეტში მეცნიერ თანამშრომლად];
3. არჩილ ბარბაქაძე [სპეციალობით – სამსხმელო წარმოება, დოქტორი. მონაწილეობს ფრაიბერგის ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელთა გაცვლით პროგრამებში];
4. ზურაბ ლილუაშვილი [სპეციალობით – სამსხმელო წარმოება, დოქტორი. ქ. ჰანოვერში ერთ-ერთი ფირმის მთავარი ტექნოლოგი];
5. გენადი ციკორიძე [სპეციალობით – მეტალურგი, დოქტორი, დრეზდენის უნივერსიტეტის პროფესორი, იმავდროულად ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს მასალათმცოდნეობის მიმართულებით];

19. ზვიად შელია [მეტალურგი. სპეციალობით – სამსხმელო წარმოება. ქ. ჰედმტეტის სპილენძის გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი].

სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტს (როგორც საქართველოს გარეთ, ისე მის შიგნით(სამინისტროებში, ბანკებსა და საქართველოს პარლამენტში მოღვაწე და სხვ.) ჰყავს 38 წარმატებული კურსდამთავრებული. სტატიის სათაურიდან გამომდინარე, დავასახელებთ მხოლოდ უცხოეთში მოსწავლე და მოღვაწე-მომსახურე სპეციალისტებს:

1. ნინო აბრალავა – „HSBC“ ბანკის უფროსი აღმასრულებელი აუდიტი, დიდი ბრიტანეთი, ლონდონი;
2. ბაკურ კვარაცხელია – საქართველოს საელჩოს მეორე მდივანი ინდონეზიაში;
3. არჩილ ლომიძე – გერმანულ-ქართული ფირმა „ვიურტის“ მთავარი მენეჯერი;
4. მარიამ აბელიშვილი – საქართველოს ელჩის პირველი მოადგილე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში;
5. ირინა ფრუიძე – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. როსტოკის უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორის ასისტენტი;
6. მარიამ სულავა – აშშ-ის „გორგან ჩეის“ ბანკის მენეჯერი;
7. ირინა დახუნდარიძე – ინგლისში საქართველოს საელჩოში ელჩის მრჩეველი;
8. ზურაბ პოლოლიკაშვილი – საქართველოს ელჩი ესპანეთის სამეფოში;
9. შოთა ღვინერია – საქართველოს ელჩი ჰოლანდიაში;

PS. საქართველოში 2008 წელს დაარსებულ სტუ-სთან არსებულ ენობრივ-საინფორმაციო ფონდს (სესფ-ის ხელმძღვანელი პროფ. გ. ქაშაკაშვილი, წევრები: ა. ფრანგიშვილი, ბ. ცხადაძე, ზ. წვერაიძე, თ. ჯაგოდნიშვილი) უკრაინაში, წარგზავნილი ჰყავს სტუ-ს კურსდამთავრებული, აწ უკვე ქ. კიევის ენობრივ-საინფორმაციო ფონდის ასპირანტი გიორგი კობხეიძე (ხელმძღვანელი: უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ენობრივ-საინფორმაციო ფონდის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ვოლოდომირ შიროკოვი), რომელიც, როგორც პროგრამისტი, წელს დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას კომპიუტერულ ლინგვისტიკაში.

ჩვენში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმამ, უცხოეთის უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობამ, ევროამერიკულ ინოვაციებთან ზიარებამ, მეცნიერულ-კულტურულმა ინტეგრაციამ, სასიკეთო ნაყოფი გამოიღო. ყოველივე ეს, სამომავლო გეზი და მიზნობრივი ხედვები გაცხადებულია სტუ-ს რექტორის, პროფ. არჩილ ფრანგიშვილის „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის (2009-2013 წლისათვის)“ პრიორიტეტებში“, ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით...

სტატიის დასასრულს ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩვენი უნივერსიტეტ-დამთავრებულები წარმატებით შრომობენ და სწავლობენ უცხოეთის უნივერსიტეტებში, კერძო ფირმებსა და ბანკებში. სამეცნიერო ცენტრებში ისინი ტრადიციისამებრ განაგრძობენ და მხარს უბამენ უცხოეთში მოღვაწე წინათაობელ ტექნიკური დარგების აწ გარდაცვლილ სპეციალისტებს – ცნობილ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს (ივერი ფრანგიშვილი, გიორგი ბერიაშვილი და სხვ.). დარწმუნებული ვართ, უახლოესი მომავალი კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩენს ჩვენი უნივერსიტეტელების ღვაწლს საზღვარგარეთ – უცხოეთის გზებზე სტუ-ს შესანიშნავი კოლექტივი, თავისი სამეცნიერო პოტენციალით, ამის დასტურია.

giorgi sal uqvaZe

აკადემიური საბჭო

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დაარსების 90 წელი უსრულდება. ეს იუბილე თავისი მნიშვნელობით საერთო ქართული მოვლენაა, რადგან საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, მუდამ განსაკუთრებულად დაფასებული იყო საინჟინრო აზროვნება და საინჟინრო განათლება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ღირსეული მემკვიდრე თბილისის უნივერსიტეტისა, წარმატებით ასრულებს იმ საპატიო მისიას, რომელიც მას დაეკისრა ქვეყნისათვის საინჟინრო კადრების მომზადების საქმეში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომლის ძარღვებში ძველი (სპი-ს) სისხლი ჩქეფს, არის ქვეყანაში საინჟინრო მიმართულების წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ქვეყნის საინჟინრო აზროვნების ფლაგმანი. იგი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების შესაბამისად ახორციელებს ღირსეულ ტრადიციებზე, ეროვნულ და საერთაშორისო გამოცდილებასა და ინოვაციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებასა და სამეცნიერო-კვლევებს პიროვნებისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

ქვეყნისათვის ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის _ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის _ აკადემიურ საბჭოს, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა აქტების შესაბამისად.

მრავალმხრივია აკადემიური საბჭოსათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას და, ამის შესაბამისად, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების განხორციელებას.

სტუ-ს აკადემიური საბჭოს, როგორც კოლეგიური, საგანმანათლებლო – სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მართვის ორგანოს, ხელმძღვანელი პრინციპებია: კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება, მათი საჯაროობა და ხელმისაწვდომობა; არჩევნების სამართლიანობა; აკადემიური პერსონალისა

და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება; საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის ფარგლებში დისკუსიისათვის, ნებისმიერი აზრის გამოხატვისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომ მასში მონაწილე პირებმა არ იგრძნონ საკუთარი უფლებების შეზღუდვა.

აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება. ზოგ შემთხვევაში ის მიმართავს სტუ-ს სენატს იმ საკითხებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად საჭიროებს სენატის მიერ დამტკიცებას.

აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი. სხდომების ორგანიზებას, განსახილველი საკითხების წინასწარ შესწავლა-მომზადებას, შესაბამისი დადგენილებების გაფორმებას, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს ამ საბჭოს სამდივნო აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

აკადემიური საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ორჯერ ან საჭიროებისამებრ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მისი შექმნიდან (2006 წლიდან) დღემდე ჩაატარა 152 სხდომა და მიიღო 730 დადგენილება. დადგენილებათა თითქმის 50% ეხება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, 30% – სამეცნიერო საქმიანობას და მის შემდგომ განვითარებას, დანარჩენი – უნივერსიტეტის წინაშე მდგომ ყოფითსა თუ სოციალურ საკითხებს, რომელებიც აკადემიური პერსონალის საქმიანობასთანაა დაკავშირებული. მშრალი, სტატისტიკური წარმოდგენა აკადემიური საბჭოს მიერ გაწეული მუშაობისა ნაკლებად მეტყველია და ვერ გადმოსცემს იმ პასუხისმგებლობასა და რეალობას, რომელთანაც სინამდვილეში გვაქვს საქმე. არადა თითოეული დადგენილება თუ გადაწყვეტილება, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდთა მიერ გაწეული, დიდი შრომის შედეგია. მაგალითად, უნივერსიტეტის წესდებასა თუ სხვა დებულებებსა და აქტებზე მუშაობა, ან უმაღლესი განათლების ის სადღეისო ამოცანები როგორცაა: განათლების ხარისხის განვითარება; ჩვენი უმაღლესი განათლების საერთაშორისო მიზიდველობის უზრუნველყოფა; ევროპულ საუნივერსიტეტო სივრცესთან თავსებადობა; სწავლების შინაარსისა და სწავლის შედეგების ჰარმონიზება; საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოება; სწავლების და კვლევების ინტეგრირება, სამეცნიერო-კლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და სხვა.

უზრუნველყოფილია აკადემიური საბჭოს ყველა სხდომის ჩაწერა-დაფიქსირება. გარდა ამისა, აკადემიური საბჭოს სხდომები ფორმდება საოქმო ჩანაწერის სახითაც და ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ხდება შესაბამისი დადგენილების მიღება, რომელიც შემდეგ განთავსდება სტუ-ს ვებგვერდზე, სხდომის ჩანაწერი კი აკადემიური საბჭოს სამდივნოს არქივში ინახება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ თავისი მოღვაწეობის მანძილზე, 52 ღვაწლმოსილ პედაგოგს მიანიჭა სტუ-ს საპატიო დიპლომი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერ პედაგოგიური მუშაობისათვის და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში

გაწეული დიდი წვლილისათვის; 10 უცხოელს მიანიჭა სტუ-ს საპატიო დოქტორის წოდება, მათ შორის: რუმინეთის ელჩს საქართველოში ბატონ დან მიხაილ ბარლიბას; უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს ბატონ ენდრიუ ჰუდს; იტალიელ ბიზმესმენს, მეცენატს, კონცერნ „პედროლოს“ ხელმძღვანელს ბატონ სილვანო პედროლოს; საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს ბატონ ანდრიან ვან დერ მერს; ვილნიუსის გედემინოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს რომაულდას ჯინევიჩუს; გამოჩენილ მეცნიერსა და ქველმოქმედს პროფ. მინკო ბალკანსკის; ცნობილ იტალიელ დიზაინერს დოქტორ ფაბრიციო ჯუჯაროს; თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს ბატონ ალი რიზა ალთუნელ-დარბაზიშვილს და სხვ.

უნივერსიტეტში დაწესებულია უმაღლესი ჯილდო „გიორგი ნიკოლაძის“ სახელობის მედალი, რომლითაც ჯილდოვდება სტუ-ს თანამშრომელი, საქართველოს და სხვა ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერი, პედაგოგი, ინჟინერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ნათქვამია, რომ აკადემიური საბჭოს წევრები, აირჩევიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ჩვენი წესდებით ყველა ფაკულტეტი ირჩევს ორ-ორ წარმომადგენელს აკადემიურ საბჭოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუ-ს აკადემიური საბჭოს პირველი შემადგენლობის არჩევა ჩატარდა 2006 წელს და მისი წევრების უფლებამოსილების ცნობა მოხდა იმავე წლის პირველ ნოემბერს.

აკადემიური საბჭოს პირველი შემადგენლობა ფაკულტეტების მიხედვით:

- 1. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი**
პროფ. გიორგი სალუქვაძე
პროფ. კონსტანტინე ამირეჯიბი
- 2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი**
პროფ. გია არაბიძე
პროფ. სერგო შავგულიძე
- 3. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი**
პროფ. ალექსანდრე ლაშხი
პროფ. ზურაბ გასიტაშვილი
- 4. ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი**
პროფ. თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი
პროფ. ნუგზარ სიხარულიძე
- 5. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი**
პროფ. ზურაბ მგელაძე

პროფ. ნოდარ ფოფორაძე

6. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

პროფ. რამაზ ქაცარავა

პროფ. ზურაბ ლომსაძე

7. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

პროფ. ბორის ბოქოლიშვილი

პროფ. თამაზ ჭურაძე

8. სამშენებლო ფაკულტეტი

პროფ. თამაზ ბაციკაძე

პროფ. ლალი ლოდელაიანი

9. საავიაციო ინსტიტუტი

პროფ. აკაკი დუმბაძე

პროფ. ავთანდილ აფხაიძე

10. მარნეულის ფაკულტეტი

პროფ. რევაზ თევზაძე

პროფ. ვასილ ლაფერაშვილი

2007 წელს სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ მის წევრებს პროფესორებს: რ. თევზაძეს, ვ. ლაფერაშვილს, ა. აფხაიძეს და ა. დუმბაძეს იმის გამო, რომ მათ საგანმანათლებლო ერთეულებს (მარნეულის ფაკულტეტს და ავიაციის ინსტიტუტს) შეუწყდათ შრომითი ურთიერთობა სტუ-სთან, ავტომატურად შეუწყდათ აკადემიური საბჭოს წევრობაც და გამოყვანილი იქნენ აკადემიური საბჭოს შემადგენლობიდან. (იხ. ბრძანება #16/03 30 13. 01. 2007 წ.)

ამ დროს აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობდა პროფ. არჩილ მოწონელიძე. საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში ეხმარებოდნენ რექტორის თანაშემწე ბ-ნ დ. კუჭაიძე, შემდეგ ქ-ნი ნ. კუპრაშვილი. 2007 წლის თებერვლიდან შემოღებულ იქნა აკადემიური საბჭოს მდივნის თანამდებობა. ამ დროიდან მარტის ჩათვლით აკადემიური საბჭოს მდივანი იყო პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი, ხოლო 2007 წლის აპრილიდან დღემდე აკადემიური საბჭოს მდივანია პროფ. გ. სალუქვაძე.

ამ წელს აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ცვლილება მოხდა. პროფ. გ. არაბიძე ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანად არჩევის გამო გავიდა აკადემიური საბჭოს შემადგენლობიდან.

2008 წლის 28 ოქტომბერს აკადემიური საბჭოს შემადგენლობა გადახალისდა _ არჩევნების საფუძველზე აკადემიურ საბჭოს შემადგენლობაში ახალი ვადით შეყვანილ იქნენ:

1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტიდან _ პროფ. **ო. ზუმბურიძე**;
2. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტიდან _ პროფ. **ა. ლაშხი**;

3. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტიდან – პროფ. **გ. აბრამიშვილი**;
4. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან – პროფ. **გ. სალუქვაძე**;
5. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტიდან – პროფ. **გ. მჭედლიშვილი**.

(იხ. აკადემიური საბჭოს დადგენილება #34 28. 10. 08)

2008 წლის ნოემბრიდან სტუ-ს რექტორის და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი იყო პროფ. არჩილ ფრანგიშვილი. 2009 წლის 14 თებერვალს აკადემიურმა საბჭომ იგი აირჩია სტუ-ს რექტორად.

იმის გამო, რომ პროფ. ზ. გასიტაშვილი გადავიდა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, ვაკანსიის შესავსებად საბჭოში ინფორმატიკის ფაკულტეტიდან არჩეულ იქნა პროფ. ლევან იმნაიშვილი, რომლის უფლებამოსილება აკადემიურმა საბჭომ ცნო 2009 წლის 17 ივლისს (იხ. დადგენილება #133).

2009 წლის 27 ოქტომბერს მოხდა აკადემიური საბჭოს შემადგენლობის გეგმური განახლება, რომლის შედეგებიც 2010 წლის 1 ნოემბრის #341 დადგენილებით დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ. ამ დროისათვის აკადემიურ საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ:

სამშენებლო ფაკულტეტი

პროფ. თამაზ ბაციკაძე

პროფ. ლალი დოღელიანი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

პროფ. ოთარ ზუმბურიძე

პროფ. შალვა ნაჭყებია

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

პროფ. ირაკლი გუჯაბიძე

პროფ. მერაბ თევზაძე

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

პროფ. გიორგი მჭედლიშვილი

პროფ. ზურაბ ლომსაძე

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

პროფ. ზორის ბოქოლიშვილი

პროფ. გიორგი აბრამიშვილი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

პროფ. კონსტანტინე ამირეჯიბი

პროფ. გიორგი სალუქვაძე

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

პროფ. ალექსანდრე სიჭინავა

პროფ. ზურაბ ჩხაიძე

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

პროფ. ალექსანდრე ლაშხი
პროფ. ლევან იმნაიშვილი

2010 წლის 24 ნოემბერს აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა პროფ. ა. ლაშხის განცხადება აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ, (ოქმი N106), ვინაიდან ის აპირებდა კენჭი ეყარა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებში. ამიტომ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტიდან სტუ-ს აკადემიურ საბჭოში არჩეულ იქნა პროფ. თ. ლომინაძე.

აკადემიური საბჭოსთვის (და არა მარტო საბჭოსთვის, არამედ მთლიანად უნივერსიტეტისთვის) დიდი დანაკლისი იყო ქართული გეოდეზიის სკოლის დირსეული წარმომადგენლის, პროფესორ მ. თევზაძის გარდაცვალება.

2011 წელს დეკემბერში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოხდა ცვლილება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – რეორგანიზებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტად, რამაც განაპირობა აკადემიური საბჭოს ხელახალი არჩევნების ჩატარება. ფაკულტეტებზე 2012 წლის 25 იანვარს ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით აკადემიური საბჭოს შემადგენლობა ასე დაკომპლექტდა:

სამშენებლო ფაკულტეტი

პროფ. თამაზ ბაციკაძე

პროფ. ლალი ლოღელიანი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

პროფ. ოთარ ზუმბურიძე

პროფ. შალვა ნაჭყებია

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

პროფ. ირაკლი გუჯაბიძე

პროფ. ნანი ხუნდაძე

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

პროფ. ლერი გვასალია

პროფ. ზვიად კოვზირიძე

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

პროფ. ბორის ბოქოლიშვილი

პროფ. გიორგი აბრამიშვილი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

პროფ. ვლადიმერ ვარდოსანიძე

პროფ. გიორგი სალუქვაძე

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

პროფ. ალექსანდრე სიჭინავა

პროფ. ზურაბ ჩხაიძე

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

პროფ. ლევან იმნაიშვილი

პროფ. თამარ ლომინაძე

აი, ასეთი შემადგენლობით აგრძელებს დღეს თავის საქმიანობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თითოეული წევრი ყოველთვის გრძნობდა და გრძნობს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ აკისრიათ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის წინაშე. ისინი, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ და ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას და მათი ეს უანგარო და თავდადება შრომა აკადემიურ საბჭოში დასტურია იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, რომელიც მათ გააჩნიათ ჩვენი უმაღლესი სკოლის, ჩვენი საყვარელი უნივერსიტეტის წინაშე, იმ უმაღლესი სკოლის წინაშე, რომელიც დაარსებიდან დღემდე იღვწის მშობლიური ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, საინჟინრო აზროვნების განვითარებისათვის, ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრთა 2009 წლის შემადგენლობა



პირველ რიგში მარცხნიდან: პროფ. თ. ბაციკაძე, პროფ. ა. ფრანგიშვილი (უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე), პროფ. კ. ამირეჯიბი.

მეორე რიგში: პროფ. ნ. სიხარულიძე, პროფ. გ. მჭედლიშვილი, პროფ. ლ. დოღელიანი, პროფ. ო. ზუმბურიძე, პროფ. გ. სალუქვაძე (აკადემიური საბჭოს მდივანი), პროფ. ზ. ლომსაძე.

მესამე რიგში: პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი, პროფ. ზ. მგელაძე, პროფ. ლ. იმნაიშვილი, პროფ. ნ. ფოფორაძე, პროფ. გ. აბრამიშვილი, პროფ. ბ. ბოქოლიშვილი.

(სურათზე არ არის საბჭოს ორი წევრი: პროფ. ა. ლაშხი და პროფ. ს. შავგულიძე).

სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრთა 2012 წლის შემადგენლობა



სხედან მარცხნიდან: პროფ. ბ. ბოქლოშივილი, პროფ. ლ. ლოდელიანი, პროფ. თ. ბაციკაძე, პროფ. ა. ფრანგიშვილი (სტუ-ს რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე), პროფ. ნ. ხუნდაძე, პროფ. ო. ზუმბურიძე, პროფ. ლ. იმნაიშვილი, პროფ. ლ. გვასალია,

დგანან მარცხნიდან: პროფ. გ. სალუქვაძე (აკადემიური საბჭოს მდივანი), პროფ. ვლ. ვარდოსანიძე, პროფ. ზ. კოვზირიძე, პროფ. ი. გუჯაბიძე, პროფ. შ. ნაჭყებია, პროფ. გ. აბრამიშვილი, პროფ. ზ. ჩხაიძე, პროფ. ა. სიჭინავა.

(სურათზე არ არის საბჭოს წევრი: პროფ. თ. ლომინაძე).

ბ ა ს

I evan kl imiaSvil i

საინჟინრო კადრების აღზრდა - მთავარი მიმართულება

მსოფლიოს ისტორიაში ოქროს ასობით ჩაიწერება მესამე ათასწლეულის დასაწყისი – ოცდამეერთე საუკუნე, როგორც კაცობრიობის წინსვლის, ადამიანის პიროვნული უფლებებისა და თავისუფლების, დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების, ახალი მეცნიერული აღმოჩენების, ტექნოლოგიური ინოვაციების ეპოქა. თანამედროვე გლობალიზაციური პირობები სხვადასხვა წარსულის ერებსა და ქვეყნებს დიდ სამომავლო პერსპექტივებს უსახავს. მთავარია, ვინ რა გზას აირჩევს – ინტეგრაციისას თუ იზოლაციისას. ცხადია, იზოლირებული ყოფა დამლუპველია ყველასათვის, მით უფრო ახალგენადგმული, დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის. საქართველოში, ასეთ ვითარებაში, თავისი სიტყვა უნდა თქვან სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებმა, საზოგადოების გონითმა ნაწილმა.

1922 წლის 16 იანვარს იშვა პოლიტექნიკური ფაკულტეტი, რაც ითვლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების წლად. 1928 წლიდან იგი დამოუკიდებლად ფუნქციონირებს, როგორც საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1936 წლიდან, როგორც საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, 1947 წლიდან, როგორც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სპი), ხოლო 1990 წლის 6 იანვრიდან, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ). ამ ინსტიტუტმა ქართული ტექნიკური ინტელიგენციის არაერთი თაობა აღზარდა, რაშიც გამორჩეული წვლილი მიუძღვით ნიკო, გიორგი და რუსუდან ნიკოლაძეებს, ალექსანდრე ჯანელიძეს, ალექსანდრე დიდებულოძეს და სხვებს. მათი დიდი ღვაწლის განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად ტექნიკური უნივერსიტეტის გამოჩენილი თანამშრომლების დამსახურებული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ყველაზე საპატიო ჯილდოდ დაწესდა ერთ-ერთი პირველი „გეპეელის“ მეტალურგი-პროფესორის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალი.

ყოველივე ეს კარგად ესმოდათ ჩვენს წინაპარ მეცნიერებს მეოცე საუკუნის დასაწყისშიც, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო და მთელი კავკასია რუსეთის იმპერიის „მვარველობის ქვეშ“ იმყოფებოდა. მოგეხსენებათ, საქართველოს დედაქალაქი თბილისი მაშინ მთელი სამხრეთ კავკასიის დედაქალაქი იყო, როგორც სომხების, აზერბაიჯანელებისა და ქართველებისათვის, ისე მრავალტომოვანი მთის კავკასიელებისათვის.

20-იანი წლების დამდეგს საქართველოში დაისახა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ფართო პროგრამა, რომლის განხორციელება აუცილებლად მოითხოვდა სხვადასხვა პროფილის მქონე საინჟინრო კადრების მომზადებას. ამის გამო ხელისუფლების მიერ თბილისის უნივერსიტეტის წინაშე დაისვა საკითხი პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაარსების შესახებ, რაზეც 1921 წლის 16 ნოემბერს, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ იმსჯელა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ. მისი მოთავე ივანე ჯავახიშვილი და სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერები იყვნენ. სწორედ ამ უნივერსიტეტის კედლებში, 1922 წელს, იშვა პოლიტექნიკური ფაკულტეტი.

საქართველოს უახლეს ისტორიაში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს (სპი), ამჟამინდელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (სტუ) არაერთი ინდუსტრიული და საინჟინრო სიახლით უსახელებია თავი – გამოგონებებით, პატენტებით, მონოგრაფიებით, სამეცნიერო სიახლითა თუ კადრების აღზრდით.

სამხრეთ კავკასიაში უძველეს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამჟამად რვა ფაკულტეტია: სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, ბიზნეს-ინჟინერინგის.

კადრები ჩვენს უნივერსიტეტს არასდროს აკლდა, არც აღმზრდელ პროფესურას ვუჩიოდით. მაგალითად,

2010-11 სასწავლო წელს სტუ-მ მიიღო ბაკალავრიატში და პროფესიულ უმაღლესში 2009 წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ მეტი სტუდენტი ისე, რომ არ გაგვიზრდია სწავლის წლიური საფასური. 2012 წელს უფრო მეტ რაოდენობას და ხარისხობრივ ზრდას ველოდებით.

მისაღები კონტინენტის გადიდება დაკავშირებულია საინჟინრო კადრებზე მოთხოვნილების გაზრდასთან; ეს თავის მხრივ გამოწვეულია საქართველოში ენერგეტიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, მშენებლობის (განსაკუთრებით – საგზაო), ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციის, მეტალურგიის, სამთო საქმის, ქიმიური ტექნოლოგიების, ნანოტექნოლოგიების და სხვა დარგების აღორძინებით.

სტუ-ში ბოლო წელია ფუნქციონირებს მოსამზადებელი განყოფილება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის (სომხები, აზერბაიჯანელები). 2012-2013 წწ. ასეთ სტუდენტთა სამჯერ მეტ რაოდენობას ველით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ 2012-13 სასწავლო წელს სტუდენტების მიღება წარმოებს საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან, რაც ჩვენს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში უპრეცედენტოა.

სტუ-ში სწავლების პირველ საფეხურზე სპეციალისტების მომზადება წარმოებს 8 პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო და 49 აკადემიურ უმაღლეს (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებიც მოიცავენ როგორც საინჟინრო, ასევე საბუნებისმეტყველო, მათემატიკის, კომპიუტერული

ტექნოლოგიების, ბიზნეს-ინჟინერინგის, სამართალმცოდნეობის, მასკომუნიკაციის და სხვა დარგებს.

აღსანიშნავია, რომ ისეთი დარგები, როგორცაა სამართალმცოდნეობა, ეკონომიკა, ბიზნესი, მასკომუნიკაცია (ჟურნალისტიკის სხვადასხვა სახეობა) არა მარტო კონკურენტუნარიანია, არამედ მოწინავე პოზიციები უკავიათ ქვეყნის შიდა ბაზარზე.

სწავლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სპეციალისტები მზადდება 35 სამაგისტრო პროგრამით, რომლებიც ასევე პრაქტიკულად ყველა დარგს მოიცავს.

სწავლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სპეციალისტები მზადდება 58 სადოქტორო პროგრამით.

დღესდღეობით სტუ-ში, სწავლების სამივე საფეხურზე, სწავლობს თითქმის 18400-მდე სტუდენტი, რომლებსაც ემსახურება 1773 პროფესორი (სრული, ასოცირებული, ასისტენტი), ასევე მოწვეული პროფესორი და მასწავლებელი.

სწავლების ხარისხის ერთ-ერთი კრიტერიუმი არის ერთ პროფესორზე სტუდენტების რაოდენობა. ამ მაჩვენებლით (1 პროფესორზე – დაახლ. 10 სტუდენტს შეადგენს) ჩვენი უნივერსიტეტი განსხვავდება საქართველოს სხვა უნივერსიტეტებისაგან და უახლოვდება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს.

სტუ-ში ბოლო პერიოდში დიდი სამუშაოები ტარდება სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესებისა და სასწავლო დისციპლინის ასამაღლებლად. ამ მიზნით ფართოდ ვიყენებთ ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს. სტუ-ში საკუთარი ძალებით შეიქმნა და 2009-2010 სასწავლო წლის II სემესტრიდან დაიწყო სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. მისი ძირითადი მიზანია გამჭვირვალე გახდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების აღრიცხვისა და შეფასების პროცესი. სისტემა სტუდენტს შესაძლებლობას უქმნის სემესტრის განმავლობაში აკონტროლოს სასწავლო კურსების მიხედვით მის მიერ მიღებული მიმდინარე შეფასებები; იგი სტუდენტს სტიმულს აძლევს, თანამიმდევრულად და დროულად შეასრულოს გრაფიკით დადგენილი ყველა სამუშაო, რადგან სამუშაოს დაგვიანებით შესრულებისას სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ ვედარ მოხერხდება მისი შეტანა ელექტრონულ უწყისში. გარდა ამისა, სისტემის მნიშვნელობას ზრდის მშობლისთვის იმის შესაძლებლობის შექმნა, რომ სახლიდან გაუსვლელად შეამოწმოს შვილის შეფასებები.

სისტემა მომხმარებლისათვის წარმოდგენილია ინტერაქტიული ვებგვერდის სახით, რომლის ფუნქციონირებასაც საფუძვლად უდევს შეფასებათა მოქმედი უწყისი. სისტემა ავტომატურად აჯამებს სტუდენტის მიმდინარე მოსწრების ქულებს და სათანადო ფერების საშუალებით გვატყობინებს გადალახა თუ არა სტუდენტმა გამოცდაზე გასვლის დადგენილი ქულების ბარიერი, ნება დაერთო თუ არა თუ არა დამატებით გამოცდაზე გასვლისა ან თუ მიიღო დადებითი შეფასება. სისტემა კრძალავს რომელიმე უჯრაში დასამუშავებზე უფრო მეტი ქულის შეტანას.

სასწავლო პროცესის ინფორმატიზაციის პროცესი მხოლოდ ამ სიახლით არ შემოიფარგლება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილია სას-

წავლო პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის – სტუდენტის ცოდნის დონის შეფასების პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად, სემესტრის განმავლობაში ორჯერ, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით სწავლების ყველა საფეხურზე ტარდება შუასემესტრული შეფასებები, ხოლო სემესტრის ბოლოს, სასესიო პერიოდში, სტუდენტებს უტარდებათ დასკვნითი და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა. ჩვენი უნივერსიტეტის დიდი კონტინენტის გათვალისწინებით, სემესტრის განმავლობაში ასეთი მრავალჯერადი შეფასებების ობიექტიურობისა და შედეგების ოპერატიულობის უზრუნველყოფა ძალიან აქტუალური პრობლემაა.

მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტში ანალოგიური პრობლემის გადასაწყვეტად გამოიყენება ცოდნის დონის შეფასების ტესტური მეთოდი, რომელიც ტრადიციულ ზეპირ და წერით გამოცდებთან შედარებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის მხრივ უფრო ტექნოლოგიურია. ამ მხრივ ჩვენს უნივერსიტეტსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. მრავალ სასწავლო დისციპლინაში შეფასების პროცესში აპრობირებულია და წარმატებით გამოიყენება ტესტური დავალებები. პროცესის ინფორმატიზაცია ანუ კომპიუტერული ტესტირების სისტემის მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით დანერგვა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სხვა საინფორმაციო სისტემებთან ინტეგრირებას, ტესტური დავალებების საუნივერსიტეტო ბაზის ორგანიზებას.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა ახლანდელი კონტინენტის და ამ კონტინენტის დაგეგმილი ზრდის გათვალისწინებით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით ასეთი პროექტის განხორციელება მოითხოვს კარგად გათვლილ და დაგეგმილ ღონისძიებებს, როგორც პროგრამულ-აპარატურულ, ისე ორგანიზაციულ, ადმინისტრაციულ, საკანონმდებლო და პროცედურულს.

გარდა აღნიშნულისა, საინფორმაციო ტექნოლოგიებს უახლოეს პერიოდში პროფესორ-მასწავლებელთა მეცადინეობებზე გამოცხადების რეგისტრაციისა და აღრიცხვისათვისაც ვიყენებთ; სისტემა აღრიცხავს ჩასატარებელ, ჩატარებულ, შეწყვეტილ და გაცდენილ მეცადინეობებს; იძლევა მეცადინეობების ჩატარების საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას და აგროვებს მონაცემებს შემდგომი ანალიზისა და რეაგირებისათვის.

სასწავლო პროცესის გაუმჯობესების დიდი რეზერვა ლაბორატორიული ბაზის განახლება და კეთილმოწყობა, ახალი ინვენტარით აღჭურვა. ამ თვალსაზრისითაც ბოლო პერიოდში გარკვეული წინსვლა გვაქვს, რაშიც გარე კონტაქტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგალითად, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტზე სს “თელასის” ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა სასწავლო ცენტრი “მნაიდერელექტრიკ-თელასი”. ცენტრში გათვალისწინებულია “მნაიდერელექტრიკის” მიერ წარმოებული ელექტრომომოცილობებითა და აპარატურით აღჭურვილი და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი სამი: „ავტომატიზებული ელექტროამძრავის“, „ელექტრომომარაგების დაბალი ძაბვის“ და „ელექტრომომარაგების საშუალო ძაბვის“ სასწავლო ლაბორატორიის მოწყობა.

ამასთან ერთად, ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. ცენტრის ოთახების რემონტისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ინვენტარით აღჭურვას უზრუნველყოფს სს „თელასი“.

ცენტრი აქტიურად ჩართულია სტუ-ს სამეცნიერო საქმიანობაში. იგი აგრეთვე უზრუნველყოფს წარმოებებსა და ქალაქების ელექტრომომარაგების ქსელებში დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მონათესავე სპეციალობის კადრების გადამზადებას.

ცენტრში სასწავლო პროცესს უძღვებიან კომპანია “შნაიდერელექტრიკის” მთავარი სასწავლო დეპარტამენტის ჯგუფის მიერ მომზადებული ჩვენი სპეციალისტები. ისინი ჩართული არიან “შნაიდერელექტრიკის” სასწავლო დეპარტამენტის კომპიუტერულ ქსელში.

ცენტრი რეგიონული მნიშვნელობისაა. იგი უზრუნველყოფს საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების სპეციალისტების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი აღიარებულია კომპანია «შნაიდერელექტრიკის» მიერ.

გერმანელი კოლეგების მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით მართვის სისტემებისა და რობოტოტექნიკის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 2009 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს „მართვის ჩაშენებული სისტემების“ სასწავლო ლაბორატორიაც. 2011-2012 სასწავლო წლიდან ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ელექტროტექნიკისა და საინფორმაციო ტექნიკის დეპარტამენტის მხარდაჭერით ექსპლუატაციაში შევიდა „მართვის ციფრული სისტემების“ სასწავლო ლაბორატორია. იგი მთლიანად დაფინანსდა ფოლცვაგენის ფონდის მიერ. აღნიშნული ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებებითა და შესაბამისი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფით, სასწავლო პროცესს კი უძღვებიან გერმანიაში სტაჟირებული ახალგაზრდა სპეციალისტები.

ერთი თვის წინ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ექსპლუატაციაში შევიდა „მართვის ციფრული სისტემების“ სასწავლო ლაბორატორია. იგი შეიქმნა გერმანიის ქალაქ კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროტექნიკისა და საინფორმაციო ტექნიკის დეპარტამენტის მხარდაჭერით და იგი მთლიანად დაფინანსდა ფოლცვაგენის ფონდის მიერ. აღსანიშნავია, რომ გერმანელი კოლეგების მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით მართვის სისტემებისა და რობოტოტექნიკის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 2009 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს „მართვის ჩაშენებული სისტემების“ სასწავლო ლაბორატორიაც.

აღნიშნული ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებებითა და შესაბამისი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფით, სასწავლო პროცესს კი უძღვებიან გერმანიაში სტაჟირებული ახალგაზრდა სპეციალისტები ია მოსაშვილი, დავით მხეიძე და სხვ. გერმანელი კოლეგების მხარდაჭერა და უანგარო დახმარება შედეგია იმ ნაყოფიერი სასწავლო თუ სამეცნიერო ურთიერთობისა, რო-

მელიც მრავალი წელია არსებობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის.

სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის უნიკალური ნაგებობის – სასწავლო მადარო-ლაბორატორიის რემონტი.

სტუ-ს მჭიდრო აკადემიური და სამეცნიერო კავშირები აქვს დამყარებული გერმანიის (ქ. იენის, ქ. საარბრიუკენის, ქ. კარლსრუეს, ქ. ჰეილბორნის), დიდი ბრიტანეთის (ქ. ნოტინგემის, ლონდონსიტის), ავსტრიის (ქ. გრაცი), აშშ-ის (ვირჯინიის, პენსილვანიის, კალიფორნიის) უნივერსიტეტებთან, აგრეთვე ამერიკის კოლეჯთა და უნივერსიტეტთა ასოციაციასთან, საერთაშორისო განვითარების სახალხო კოლეჯებთან, მუსკატინის სახალხო კოლეჯთან და ა.შ.

სტუ-ს მეცნიერები ინტენსიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ფონდების (GNSE, GRDF, TEMPUS, USAID, STCU) მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტებში. 2009-2010 წწ. სტუ-ს მეცნიერების მიერ მოგებული იქნა 30-ზე მეტი საგრანტო პროექტი. ამავე პერიოდში სტუ-ში შესრულებულია 90-მდე სამეცნიერო-ტექნიკური პროექტი, რომელთა ნახევარიც უკვე ინერგება პრაქტიკაში. მიმდინარე წელს სტუ-მ დააფინანსა 50-მდე სამეცნიერო-ტექნიკური პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა თითქმის 1 მილიონი ლარი.

აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ წლის განმავლობაში იგეგმება და პერიოდულად ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიება, მათ შორის – ექსკურსიები, ლაშქრობები, სპორტული ტურნირები, სემინარები, ტრენინგები, კონცერტები, წვეულებები, შეხვედრები, საჯარო ლექციები, იმიტირებული სასამართლო პროცესები, კონფერენციები, პროფესიული ექსკურსიები, ეკლესია-მონასტრების აღდგენითი სამუშაოები, ფესტივალები, ერთჯერადი სტუდენტური დასაქმებები, სტაჟირებები, პრაქტიკები, საქველმოქმედო და სხვადასხვა სიმბოლური აქციები და ა.შ.

ასევე სტუ-ში სტუდენტებისათვის ფუნქციონირებს სამი სპორტული დარბაზი და 5 სპორტული სექცია. გვაქვს წარმატებებიც. მაგალითად, წელს სტუ-ს სენატისა და საფინანსო განყოფილების აქტიური მხარდაჭერით უნივერსიტეტის ვაჟ ხელბურთელთა გუნდმა ესპანეთში სტუდენტთა ევროოლიმპიადაზე ჩემპიონობა მოიპოვა.

სტუ-ში არსებობს თეატრი-სტუდია "მოდინაზე", სადაც სტუდენტების მონაწილეობით იდგმება სპექტაკლები და სხვადასხვა წარმოდგენები; ფუნქციონირებს საგუნდო კაპელა და სიმებიან საკრავთა სტუდენტური კვარტეტი.

სტუ-ში მოქმედებს რამდენიმე სტუდენტური არასამთავრობო ორგანიზაცია და საინიციატივო ჯგუფი; არჩეულია სტუდენტური თვითმმართველობა, წარმომადგენლობით საბჭოსა და ფაკულტეტების საბჭოებში სტუდენტები წარმოდგენილები არიან კანონით დადგენილი კვოტის შესაბამისად და ჩართულები არიან უნივერსიტეტის მართვის პროცესებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ქვეყნის საინჟინრო შემოქმედების ძირითადი ცენტრი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის მრავალდარგოვანი საინჟინრო უმაღლესი სასწავლებელია, რომლის ცნობადობა განპირობებულია სათანადო სწავლების დონით და საერთაშორისო აღიარებული სამეცნიერო შემოქმედებით.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ერთ-ერთი მძლავრი სამეცნიერო სტრუქტურა, რომელიც თავისი სპეციალიზაციის შესაბამისად დაკავშირებულია საინჟინრო შემოქმედებასთან და წარმოადგენს ერთ-ერთს, თუ არა ერთადერთ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელს, სადაც მიმდინარეობს სწავლება და სამეცნიერო მოღვაწეობა ისეთ თანამედროვე აქტუალურ მიმართულებებში, როგორიცაა: საინფორმაციო ტექნოლოგიები, მეტალურგიული და ქიმიური ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგია, მანქანათმცოდნეობა და მანქანათმშენებლობა, ავიაცია და კოსმონავტიკა, სამოქალაქო მშენებლობა და არქიტექტურა, კავშირგაბმულობა და ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სამთო საქმე, გეოლოგია და სხვ.

2010 წლიდან უნივერსიტეტში ახალი სამეცნიერო სტრუქტურების სახით ფუნქციონირებს 13 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც შედიოდნენ საქართველოს ეროვნული მეცნიერების აკადემიის სისტემაში. ეს ინსტიტუტებია: კიბერნეტიკის ინსტიტუტი, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, მართვის სისტემების ინსტიტუტი, კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი, მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი, ინსტიტუტები – „ტალღა“, „ანალიზხელსაწყო“, „ტექნიფორმი“, ასევე ბიოტექნოლოგიის ცენტრი და საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი.

გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტში დაფუძნდა და ფუნქციონირებს 52 სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი, რომლებიც მოღვაწეობენ თვითდაფინანსების პრინციპების საფუძველზე.

ზემოთნახსენები საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტების სახით უნივერსიტეტმა მიიღო მძლავრი სამეცნიერო შევსება, რის საფუძველზეც მკაფიოდ გა-

მოვლინდა ტექნიკური უნივერსიტეტისა და მასში შემავალი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო ცენტრების მძლავრი სამეცნიერო პოტენციალი, რომლის შეკავშირება არსებულთან და დაგეგმილი საერთო კვლევების ჩატარება, კიდევ უფრო გაზრდის უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევების მრავალფეროვნებას და გააძლიერებს ამ კვლევების ქმედითუნარიანობას, მიმართულს საბოლოო პროდუქტის მისაღებად, რომელსაც ექნება კომერციული დატვირთვა. აღნიშნული კი ძალზე მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 2011 წელს შეიცვალა იურიდიული სტატუსი და ამჟამად იგი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რაც უფლებას იძლევა უნივერსიტეტის კედლებში წარმოებული ინტელექტუალური თუ სხვა საინჟინრო პროდუქტის რეალიზაციას. ხოლო, სამეცნიერო პროექტების დანერგვა მრეწველობის სხვადასხვა დარგში და მეწარმეებთან ბიზნესურთიერთობების გაღრმავება საბოლოოდ დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

თუ განვიხილავთ სტატისტიკურ მონაცემებს, მარტო გასულ წელს უნივერსიტეტში დაფიქსირდა 40-ზე მეტი პატენტი, ხოლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ გამოქვეყნდა – 59 მონოგრაფია, 145 სახელმძღვანელო. სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის საზღვარგარეთის მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო პერიოდიკაში, დაიბეჭდა 1617 სამეცნიერო სტატია და სხვა სახის პუბლიკაციები. სტუ-ს მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღეს 724 შიდა და საერთაშორისო კონფერენციაში. რაც შეეხება სამეცნიერო პროექტებს უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე განხორციელების სტადიაშია უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული 65 პროექტი, ხოლო 72 პროექტი ფინანსდება საქართველოს რუსთაველის (ეროვნული) და 27 სხვადასხვა საერთაშორისო ფონდების მიერ. ეს ფონდებია *TEMPUS, USAID, STCU, STG, ISET, MARIS, UP-GRATE BS-SCENE, CNRS, UNICEF, OSF LONDON, SCOPES, EPSRC*.

ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ სისტემატურად სრულდება სხვადასხვა სახის სამეცნიერო სამუშაოები, რომლებიც პირველ რიგში მიმართულია ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებაზე. ასე მაგალითად, გარდამავალი ეკონომიკის განვლილ, ხანგრძლივ პერიოდში, როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული მეურნეობის ყველა სექტორში შეიქმნა და განვითარდა სხვადასხვა სახის ობიექტური და სუბიექტური პრობლემები, რომლებიც პირველ რიგში ნეგატიურად აისახა ქვეყნის ენერგეტიკული სტრუქტურების სამეურნეო ფუნქციონირებაზეც. აქედან გამომდინარე, აქტუალური გახდა ენერგომოთხოვნილების ზრდის გათვალისწინებით, საქართველოს ენერგოსისტემაში მოსალოდნელი დეფიციტის თავიდან აცილება, რისთვისაც სტუ-ს მეცნიერების ყურადღება დაეთმო ჰიდრო და თბოენერგეტიკას.

როგორც ცნობილია, საქართველოში, ათვისებულია მისი ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის 19%. მისი უფრო სრულად ათვისება უნდა განხორციელდეს, როგორც საშუალო და მძლავრი წყალსაცავიანი ჰესების, აგრეთვე მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარებით. ამ უკანასკნელის გარე-

მოზე ზემოქმედება უმნიშვნელოა, ხოლო მშენებლობის ვადები – მოკლე. მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარების ორი გზა არსებობს: არსებული ჰესების მოდერნიზაცია და ახალი ჰესების მშენებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით უნივერსიტეტში ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე დამუშავებულია მიკრო სიონი ჰესის, ყაზბეგი ჰესისა, სნო ჰესის და ასევე ფოთი ჰესის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის პროექტები. გარდა აღნიშნულისა, ჰიდროენერგეტიკის ამოცანების გადაწყვეტით დაკავებულნი არიან, როგორც სამშენებლო ასევე ინფორმატიკისა და მართვის სისტემების და ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტების მკვლევრები. კერძოდ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე დამუშავებულია და დანერგილია მაღალი ძაბვის ქვესადგურის ელექტრული პარამეტრების გაზომვის, ვიზუალიზაციის და მართვის სისტემა, მაღალი ძაბვის ქვესადგურის გამავალი ფიდერების მონიტორინგისა და კომპიუტერული მართვის სისტემა, წყლის დონის მონიტორინგის კომპიუტერული სისტემა, რომელიც უნიფიცირებულია და განკუთვნილია მცირე ჰესებისათვის. ხოლო, მანქანათმშენებლების მიერ დაპროექტებული და შექმნილი იქნა ბანკის ტიპის ორმაგი მოქმედების ჰიდროტურბინა. ამ ტიპის ტურბინები წარმატებით ფუნქციონირებენ სანალიაჩირუხის ჰიდროელექტროსადგურზე.

გარდა ჰიდროენერგეტიკისა უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრები დიდ ყურადღებას უთმობენ თბოენერგეტიკის განვითარებას და შესაბამისად სამეცნიერო კვლევების ინტერესების სფეროებს წარმოადგენენ – თბოელექტროსადგურები; ორთქლტურბინული, აირტურბინული და ორთქლაირული დანადგარები; კომბინირებული ციკლით მომუშავე თბოელექტროსადგურები; მყარი, დაბალკალორიული სათბობის წვის თანამედროვე ტექნოლოგიები; ენერგოდამზოგი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები; ენერჯის განახლება-დი და გენერაციის არატრადიციული დანადგარები და სისტემები ამ დანადგარების შექმნა და დანერგვა. აღნიშნულის გათვალისწინებით ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების უშუალო მონაწილეობით ქ.თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განხორციელდა ენერგოეფექტურობის საპილოტო პროექტები, ჩატარდა თბილსრესის სამაზუთე მეურნეობის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაცია, დამუშავდა თბილსრესის №3, №4 და №8 ენერგობლოკების რეაბილიტაციის განსახილველი ვარიანტები, დაინერგა ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები საყოფაცხოვრებო, სასწავლო-საგანმანათლებლო, სამედიცინო, კომერციულ და სამრეწველო სექტორებში. დაბალკალორიული სათბობის გამოყენების მიმართულებით მაღალტემპერატურული თბოენერგეტიკული დანადგარების სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიაში დამუშავებულია წვრილფრაქციული, დაბალი ხარისხის ნახშირის მდუღარე ფენაში წვის ტექნოლოგია, რაც ითვალისწინებს მყარი საწვავის ყოველგვარი წინასწარი გადამუშავების გარეშე აეროფონტანურ რეჟიმში წვას ვიბრომდუღარე პროცესის გამოყენებით პრაქტიკულად შესაძლებელია ნებისმიერი თბოუნარიანობის დაბალხარისხიანი მყარი სათბობის ეფექტური დაწვა ეკო-

ლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს სამუშაოები, რომლებიც მიმდინარეობენ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საინჟინრო მომსახურეობის ცენტრში, სადაც შეიქმნა ბრიკეტების, როგორც ეკოლოგიურად სუფთა ბიოსაწვავის მაფორმირებელი მაღალი წნევის დანადგარი, რომლის საშუალებითაც წარმოებს ყველანაირი ტიპის დაქუცმაცებული ბიომასის გადამუშავება ბრიკეტების დასამზადებლად. ხოლო, აღნიშნული საწვავისათვის, ამჟამად მზადდება მაღალეფექტიანი პიროლიზული ღუმელი, რომლის გამოყენება გათვალისწინებულია სასწავლო დაწესებულებებში და სასათბურე მეურნეობებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის მიყვანილი ბუნებრივი აირის მილსადენები.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებენ ისეთი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ტრადიციულად მუშაობენ გამოყენებითი მეცნიერების თანამედროვე ამოცანების შესრულებაზე, რომელთაგანაც უნდა გამოიყოს "სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრი", სადაც მიმდინარეობს კონდენსირებულ გარემოთა სტრუქტურულ-ფაზური გარდაქმნების ფუნდამენტურ კვლევები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის ნანოტექნოლოგიების, სამეცნიერო საფუძვლების შემუშავებასთან თანამედროვე ტექნიკისათვის საჭირო ახალი კონსტრუქციული და ფუნდამენტური დანიშნულების მასალების და ნამზადების შესაქმნელად. კერძოდ ცენტრის მეცნიერების მიერ შეიქმნა ახალი ტიპის ნანოკრისტალური სცინტილაციური მასალების ფხვნილები, ნანოკრისტალური სალი შენადნობები და ნამზადები და ასევე შემუშავებულია ანოკრისტალური კომპოზიციური მასალების მიღების საწარმოო ტექნოლოგიები.

ასევე უნდა აღინიშნოს „კონსტრუქციების, სპეციალური სისტემების და ტექნიკური უზრუნველყოფის ინსტიტუტი“, რომლის ძირითად სამეცნიერო მიმართულებას წარმოადგენს დასაკეცი კოსმოსური რეფლექტორის სქემის დამუშავება, ახალი ტიპის ამძრავის გამოყენების საფუძველზე. გარდა ამისა, ცენტრში მუშავდება მრავალჯერადი გამოყენების სწრაფად ასაწყობი მეტალის ხიდების სქემები და საპილოტე ნიმუშები. ამ სახის ხიდებს გააჩნიათ, როგორც სამხედრო დანიშნულება, ასევე გამოიყენება საგანგებო სიტუაციების პირობებში. ასევე უნდა გამოიყოს ალმასების და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრი, სადაც ალმასწარმოქმნის თეორიის საფუძველზე მუშავდება ახალი ინოვაციური ტექნოლოგიები წინასწარ დაგეგმილი სასურველი ზომისა და თვისებების მქონე ალმასური კრისტალების მისაღებად, რომლებიც გამოიყენება ზესალი მჭრელი იარაღების შესაქმნელად ლითონური და არალითონური მასალების დასამუშავებლად. ასევე ახალი მასალების შექმნასთან და მის გამოყენებასთანაა დაკავშირებული „ბოჭკოებით არმირებული კომპოზიციური მასალების ცენტრის“ საქმიანობა, სადაც კოროზიამდეგვი მინა ბოჭკოს და საქართველოში წარმოებული ბაზალტის ბოჭკოს ბეტონის არმატურის ელემენტად გამოყენების გზით, შემუშავებულია ორგინალური ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება სამშენებლო კონსტრუქციების, შენობების გარე ფასა-

დებისა და ინტერიერის შესაფუთი დეკორატიული ელემენტების, სადრენაჟო და საკანალიზაციო სისტემების ელემენტების დასამზადებლად.

ცალკე უნდა გამოიყოს „სამედიცინო პოლიმერებისა და ბიომასალების სამეცნიერო ცენტრი“, რომელიც ორიგინალური ბიოდეგრადირებადი პოლიმერისა, ბაქტერიოციდებისა და ბაქტერიოფაგების გამოყენების საფუძველზე შემუშავებულია ჭრილობების შესახვევი მასალა (ხელოვნური კანი) „ფაგობიოდერმი“, რომელიც ხასიათდება მაღალი ბაქტერიოციდული და ანთების საწინააღმდეგო თვისებებით. გამოიყენება ჭრილობების, წყლულებისა და დამწვრობების სამკურნალოდ. ასევე შექმნილია ხელოვნური ძვალი და სამედიცინო ბაქტერიოციდული წებო გფ-6 (გამფრქვევადი), რომლებიც ასევე წარმოადგენენ ეთანოლისა და ბიოდეგრადირებადი პოლიმერის ნაერთს.

ძალზე საინტერესოა ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მიერ შექმნილი ახალი პროგრამული პროდუქტები, რომელთა შორის უნდა გამოიყოს დისტრიბუციის ავტომატიზებული სისტემა, აბონენტებთან ანგარიშსწორების ავტომატიზებული სისტემა და უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო პროცესის მართვის სისტემა.

ამ უკანასკნელის დანიშნულებაა სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასება; სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორების მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის მონიტორინგი; სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; სტუდენტთა და პროფესორთა ინფორმირებისათვის შეფასებათა წარმართვა კალენდარული გეგმის მიხედვით. აღნიშნული სისტემა წარმატებითაა დანერგილი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლის საფუძველზეც საგრძნობლად ამაღლდა სწავლების დონე და ხარისხი.

გარდა ნახსენებისა, აღსანიშნავია ფიზიკის დეპარტამენტის მყარი სხეულების ფიზიკის ლაბორატორიაში წარმოებული კვლევები, რომელთა ძირითადი სამეცნიერო მიმართულებაა იშვიათ მიწაელემენტების შენაერთების თხელი ფირების მიღება და მათი კომპლექსური კვლევა. კვლევების შედეგად მიღებულია 15 ახალი შენაერთის თხელი ფირი და შესწავლილია მათი ელექტროფიზიკური, გალვანო-მაგნიტური, ლუმინესცენციური, ოპტიკური თვისებები; გათვლილია ზონური სტრუქტურების პარამეტრები, განსაზღვრულია მათი პრაქტიკული გამოყენების არეები. ამჟამად მიმდინარეობს სამარიუმის, იტერბიუმისა და დისპროზიუმის სულოფიდებისა და ანთიმონიდების თხელი ფირების მიღება და ფიზიკური თვისებების კვლევა. რაც შეეხება თბოტექნიკის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის მოღვაწეობას აქ ბუნებრივი გაზის კომპრესორების ბაზარზე არსებული სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული დანადგარების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ახალი ტექნიკური გადაწყვეტები, რომლებიც იძლევიან ბუნებრივი აირის მაღალი წნევის კომპრესორების თვითღირებულების 45-50% -ით შემცირების საშუალებას და ამ დანადგარების სერიული წარმოების დაწყების მიზნით დამუშავდა ყველა ძირითადი კვანძის ესკიზური პროექტი.

თუ ვიმსჯელებთ უნივერსიტეტთან შემოერთებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებზე, ხაზი უნდა გაესვას ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შემოქმედებას, სადაც სხვა სამუშაოებთან ერთად უნდა აღინიშნოს, შიდა განათების გარეშე თხევად-კრისტალური დისპლეის, ახალი ტიპის ნანო მავთულების, კიბოს სადიაგნოსტიკო ლაზერული კანცეროსცოპის და შემთხვევით გარემოში გავრცელებული ელექტრომაგნიტური ტალღების სტატისტიკური მახასიათებლების საზომი ხელსაწყო შემუშავება და შექმნა.

შემოერთებული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებიდან მძლავრი სამეცნიერო პოტენციალით გამოირჩევა „კვების მრეწველობის ინსტიტუტი“, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენი ქვეყნის ისეთ სტრატეგიული პროდუქტის წარმოებას, როგორცაა ღვინო. აქ შემუშავებულია ყურძნის დამუშავების ახალი ტექნოლოგია, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ადგილობრივი ყურძნის ჯიშებისაგან მიღებული ღვინის ხარისხს და ამავე დროს მიიღება ბუნებრივი საკვები საღებავები, როგორც თანამდევი პროდუქტი, ასევე აღსანიშნავია პექტინის წარმოება. ინსტიტუტის ბაზაზე შემუშავებულია ორგანული მასქელების – პექტინის – წარმოების ეფექტური ტექნოლოგია, რაც დაფუძნებულია მეორეული ნედლი მასალის – ვაშლის, ყურძნის, ციტრუსების და სხვა სახის ხეხილის გადამუშავებისაგან მიღებული ნარჩენების გამოყენებაზე. ინსტიტუტი ასევე დაკავებულია ეთერზეთების (აქროლადი) წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დამუშავებით. აქ შემუშავებულია ვარდის ეთერზეთის წარმოების ახალი ტექნოლოგია, რომელიც 2-3 ჯერ ზრდის ეთერზეთის მიღებას. პირობითად, ასევე შესაძლებელია დავუკავშიროთ კვების მრეწველობას, კერძოდ კი, საკვები პროდუქტების უსაფრთხოებას მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოღვაწეობა, სადაც დამუშავებული მემბრანული დანადგარის ორგინალური სქემის საფუძველზე, შექმნილია მოწყობილობების მთელი სპექტრი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ღვინის, ლუდის, წვენების და სხვა სითხეების გაწმენდა-გასუფთავება, კონცენტრაცია, ცივი სტერილიზაცია; სასმელი წყლის გაწმენდა; – ბიოლოგიურად აქტიური წყალხსნარების გაწმენდა, კონცენტრაცია და სტერილიზაცია მედიკამენტების დასამზადებლად; მაღალმოლეკულური ნაერთების და კოლოიდური სისტემების შექმნა; წყლის და დიალიზის ხსნარის ფილტრაცია და სტერილიზაცია ხელოვნური თირკმლის აპარატისთვის.

თუკი გავითვალისწინებთ თანამედროვე მდგომარეობას კლიმატის შეცვლასთან დაკავშირებით, ძალზე მნიშვნელოვანია „საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში“ მიმდინარე კვლევები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს რეგიონების ჰიდრომეტეოროლოგიული მდგომარეობის მონაცემთა ბაზის შექმნასთან, წყალდიდობის რისკის შეფასებასთან და საქართველოს მდინარეთა კომპლექსური მენეჯმენტთან და ასევე ზღვაში ნავთობის შემთხვევითი ჩაღვრის ეკოლოგიური შედეგების პროგნოზირებასთან.

შემოერთებულ ინსტიტუტებს შორის თავისი სამეცნიერო და საწარმოო მძლავრი პოტენციალით აღსანიშნავია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "ანალიზხელსაწყო", რომელიც ახორციელებს სხვადასხვა ანალიზური ხელსაწყოებისა და ავტომატიზირებული საინფორმაციო-გამზომი სისტემების პროექტირებას და დამზადებას. აქ შექმნილია და სერიულად მზადდება ელექტროგამტარობის მზომი ჩEL-1M2 ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი ხსნარის კუთრი ელექტროგამტარობის გასაზომად. ასევე გაერთიანებაში დამუშავებულია და დამზადებულია თირკმლის ადგილობრივი ჰიპოთერმიის აპარატის საპილოტე ნიმუში. აღნიშნული აპარატი გამოიყენება ქირურგიულ უროლოგიაში. გარდა აღნიშნულისა, გაერთიანება ამზადებს წყალხსნარებში წყალბადის იონების და ჟანგვა-აღდგენის პოტენციალის გამზომ აპარატს და სხვა.

გასაგებია, რომ წინამდებარე მოკლე სტატიაში შეუძლებელია სრულად იქნეს აღწერილი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე თუ დასრულებული სამეცნიერო სამუშაოები, მაგრამ იმედს გამოვთქვამთ, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურის ცვლილება გამოიწვევს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას და როგორც ყოველთვის, უნივერსიტეტი, როგორც საინჟინრო შემოქმედების აღიარებული ცენტრი, ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.



anzor Savgul ize †

გიორგი ნიკოლაძის ნათელ ხსოვნას

თითქმის რვა ათეული წელი გავიდა იმ დღიდან, რაც ბატონი გიორგი ნიკოლაძე სამუდამოდ გამოეთხოვა თავის ახლობლებს, მეგობრებს, საყვარელ სამშობლოს. მიუხედავად ამისა, ცხოველი ინტერესი მისი მეცნიერული მემკვიდრეობისადმი, პირადი ცხოვრების შესწავლისადმი არათუ შენედა, არამედ პირიქით, თითქოს ხელახლა შეისხა ხორცი და მარად უჭკნობი ყვავილივით კვლავ იფურჩქნება.

„...მე არ შემოდია გულდამშვიდებით მოვიგონო ეს მაღალი, ჯან-ღონით სავსე ადამიანი, ასეთი ნათელი და ალალი გამოხედვით“, – წერდა სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ელი კარტანი ნიკოლაძის „დიფერენციალური გეომეტრიის ელემენტების“ წინასიტყვაობაში.

რა დიდი პატივისცემა, სითბო, პიროვნებისადმი მაღალი შეფასება იმალება ამ სიტყვების მიღმა. და, მართლაც, გიორგი ნიკოლაძის პიროვნებაში განსხეულებული იყო მისი ხალხის, მისი სამშობლო მდიდარი ისტორია, მშობლიური ბუნება, აზრითა და გრძნობით აღსავსე ხმა კი, ძალუმად მეტყველებს იმ სიყვარულზე, რასაც გიორგი ნიკოლაძე განიცდიდა თავისი ქვეყნისადმი.

გიორგი ნიკოლაძე იმ სახელოვან მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სამოქმედო ასპარეზზე ეროვნული მეცნიერების განვითარების გარიჟრაჟზე გამოვიდნენ, წილად ხვდათ ამ მეცნიერების სათავეებთან დგომა და მრავალ საქმეში ფუძემდებლური როლის შესრულება. ბატონმა გიორგიმ მხოლოდ 42 წელი იცხოვრა, მაგრამ მან მაინც შეძლო ღრმა და წარუშლელი კვალი დაეტოვებინა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საწყისებში.

მრავალმხრივია გიორგი ნიკოლაძის შემოქმედება და მოღვაწეობა: იგი იყო მეტალურგი და მთამსვლელი, გეომეტრი და ტანმოვარჯიშე, გეოგრაფი და გამომგონებელი, პოეზიით გატაცებული, ქართული ხუროთმოძღვრების ნაშთთა აღმწერი, ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის უზადლო მოსიყვარულე, ქართული სამეცნიერო-ტექნიკური და სპორტული ტერმინოლოგიის რეფორმატორი, სამეცნიერო-ტექნიკური წიგნების მთარგმნელი, რედაქტორი და ახლის შემქმნელი.

მეგობრებო! ნება მიბოძეთ, გიორგი ნიკოლაძის მრავალმხრივი შემოქმედებიდან გამოვყო ერთი პატარა სეგმენტი, რომლითაც მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია საქართველოში მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის ქართული სკოლის ჩამოყალიბებას და რომელმაც იგი ამ სკოლის უპირველეს ფუძემდებლად აქცია. ეს გახლავთ ბატონი გიორგის სასწავლო-

სამეცნიერო ხასიათის ნაშრომი – მხაზველობითი გეომეტრიის კურსი, რომელიც მან, თავის ახალგაზრდა თანამოაზრეებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დაწერა და 1926 წელს გამოაქვეყნა. დიდი იშვიათობაა, როდესაც ასეთი დონისა და ღირებულების წიგნი მასწავლებლისა და მოწაფეების ერთობლივი ძალისხმევით იქმნება. საქმე ისაა, რომ ეს სახელმძღვანელო გამოცემულია „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სამეცნიერო ტექნიკური წრის“ სახელით. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მრეწველობისა და მეურნეობის განვითარების გზაზე დამდგარი საქართველო მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსულ ახალგაზრდებს დაეძებდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური ცოდნით აღჭურვისათვის გზავნიდა, გიორგი ნიკოლაძე კი ერთ-ერთი იმათათგანი იყო, ვინც მწვავედ განიცდიდა მშობლიურ ენაზე გამოცემული ტექნიკური ლიტერატურის სიღარიბეს და ძალას არ იშურებდა ამ ხარვეზის შესავსებად.

საკითხის რამდენადმე ფართოდ გაშუქების მიზნით, ზოგადად მიმოვიხილოთ გრაფიკული მეთოდების შემოღებისა და განვითარების ისტორია.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც უკვე წელში იყო გამართული მათემატიკური მეცნიერებები, საფრანგეთის მეზიერის სკოლაში მოღვაწე გასპარ მონჟი აყალიბებს ახალ იდეას სტერეომეტრიულ აგებებში გეომეტრიის გამოყენების შესახებ და მას მხაზველობითი გეომეტრიის სახელით ნათლავს. ამ იდეაში მონჟი აერთიანებს გრაფიკული გამოსახულებების აგების მანამდე არსებულ ყველა ხერხს და საშუალებას, უმატებს პირადი კვლევების შედეგებს და მხაზველობით გეომეტრიას სისტემატიზებული სასწავლო დისციპლინის სახეს აძლევდა. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მეზიერის სკოლა ამ მონაპოვარს საიდუმლო გრიფს ადებს და მხოლოდ 20 წლის შემდეგ, როდესაც იხსნება პარიზის ნორმალური სკოლა ანუ დედამიწაზე პირველი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, აძლევს მზის სინათლეზე გასვლის უფლებას. მხაზველობითი გეომეტრია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო დისციპლინა, საპატიო ადგილს იჭერს ახლად გახსნილი სასწავლებლის სასწავლო გეგმებში. ეს ხდება XVIII საუკუნის მიწურულს, უფრო ზუსტად, 1795 წელს. ამავე პერიოდში, 1798 წელს, მონჟის ავტორობით ქვეყნდება მხაზველობითი გეომეტრიის პირველი სახელმძღვანელო და აქედანვე იწყება ამ დისციპლინის ისტორია.

როგორც უკვე აღვნიშნე, მონჟის იდეაში და, შესაბამისად, მის წიგნში თავი მოიყარა გრაფიკული მეთოდების თეორიასა და პრაქტიკაში მანამდე ჩადებული ყველა ხერხმა და საშუალებამ, მაგრამ მონჟის მიგნების გენიალურობა გახლდათ ის, რომ მან დააფიქსირა ჰორიზონტალური და ვერტიკალური საკოორდინატო სიბრტყეების თანაკვეთის წრფე (რასაც მოგვიანებით გეგმილთა ღერძი ეწოდა), ამ წრფის ირგვლივ ბრუნებით ორივე სიბრტყე ერთ სიბრტყესთან შეათავსა და ამით წერტილის ორი გეგმილი თანაკვეთის წრფის (გეგმილთა ღერძის) პერპენდიკულარულ ერთ წრფეზე განალაგა. თანამედროვე გაგებით, ეს იყო დეკარტეს მართკუთხა კოორდინატთა სისტემის რეკონსტრუქცია, მაგეგმილებელი პარალელიპედის შემოტანა და საკოორდინატო მონაკვეთების

მეშვეობით, სამგანზომილებიანი სივრცის შექცევადი ასახვა სიბრტყეზე (ეპი-ურზე).

XIX საუკუნის თითქმის მთელ პირველ ნახევარში მონუსი იდეა ხელშეუხებლად მუშაობდა და ითვლებოდა, როგორც ნახაზის შედგენის თეორიული საფუძველი, ამასთან გამეფებული იყო აზრი, რომ ნახაზი არის ტექნიკის ენა, ხოლო მხაზველობითი გეომეტრია – ამ ენის გრამატიკა. მოგეხსენებათ: ის, რაც არ ვითარდება ან უეჭველად კვდება, ან აგრძელებს უღიმღამო არსებობას. რასაკვირველია, მხაზველობითი გეომეტრია ამას არ იმსახურებდა და ამასვე შესანიშნავად გრძნობდა ამ დარგში მომუშავე პროგრესულად მოაზროვნე ყველა დროის მეცნიერი.

ბოლო ფრაზის დასაზუსტებლად ორი მეცნიერის – გერმანელი გეორგ შეფერსისა და ქართველი გეორგი ნიკოლაძის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები. ეს ორი პიროვნება დროის ერთსა და იმავე პერიოდში მოღვაწეობდა: შეფერსის ორტომეული გამოცემულია 1919-1920 წლებში, ხოლო ნიკოლაძის, როგორც უკვე ვთქვით, 1926 წელს. თუ ამ წიგნებს ერთმანეთის გვერდიგვერდ დავდებთ და ერთმანეთს შევადარებთ, იოლად მივაღწეოთ იმ დასკვნამდე, რომ ნიკოლაძე, როგორც ყოველთვის, აქაც ორიგინალურია და ამართლებს აკადემიკოს ივანე ბარდინის ოდესღაც ნათქვამ შეფასებას: „გეორგი არვის არ ჰგავდა და იყო ის, ვინც იყო“. და მაინც, ამ ორ ნაშრომს აერთიანებს ერთი იდეოლოგია: – მხაზველობითი გეომეტრიის დაკავშირება პროექციული გეომეტრიის იდეებთან ანუ პროექციული გეომეტრიის, როგორც მეცნიერების მონაპოვრებთან. ცნობილია, რომ თუ წყალსაცავი, მისი ზომების მიუხედავად, ოკეანეს არ უერთდება, ზღვა არ არის. პროექციული ანუ სხვაგვარად სინთეზური გეომეტრიის მექანიზმების მხაზველობითი გეომეტრიის ამოცანებში გამოყენებამ, მხაზველობით გეომეტრიას ახალი სული შთაბერა, ახალი სისხლი გადაუსხა და მეცნიერების სახე მისცა. შემთხვევითი არ არის გერმანელი და ქართველი მეცნიერის ერთ კონტექსტში მოხსენიება. ამით იმის თქმა მიიწინააღმდეგება, რომ ნიკოლაძეს ხელს არ უშლიდა ქართული აზროვნება და ქართული განათლება იმაში, რომ იგი განათლებული ევროპის მოწინავეთა რიგებში დამდგარიყო და ამის გამო კი არ გაფერმკრთალებულიყო, არამედ პირიქით, მთელი თავისი სიდიადით გამოჩენილიყო. სწორედ ღრმა ქართული განათლება იყო საფუძველი იმისა, რომ ნიკოლაძეს ევროპული განათლებაც სიღრმისეულად მიეღო. საქმე ის გახლდათ, რომ ევროპაში მისი ყოველი მოგზაურობა სამეცნიერო ექსპედიციის ხასიათს ატარებდა. ნიკოლაძე ყოველივე ნანახს და გაგონილს თავისი ქვეყნის სასარგებლო პრიზმიდან უყურებდა და მხოლოდ იმას იმახსოვრებდა, რაც მისი სამშობლოსათვის იქნებოდა გამოსადეგი. საამისო მზაობას კი ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მან ზედმიწევნით კარგად იცოდა თავისი და მერე სწავლობდა სხვისას.

„ისწავლეთ, რაც შეიძლება ღრმად, ზედმიწევნით, ევროპიული ენები და სვით ევროპიული მეცნიერება ხარბად და გაუმადლად... მაგრამ ამასთან არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ევროპიელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავისს მშობლიურს ენასა და მხოლოდ მასუკან შეუდგება ხოლმე უცხო ენების ცოდნის შეძენას“. იაკობ გოგებაშვილის ეს შეგონება შესანიშნავად

ესმოდა გიორგი ნიკოლაძეს და რაოდენ დასანანია, რომ იგი არ ესმით და არც უნდათ გაიგონ დღევანდელი „გპი“-ის ე.წ. რეფორმატორებმა (ეს ისე, ცნობისათვის).

სამწუხარო ფაქტად მიმაჩნია მსოფლიოსა და, კერძოდ ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის განწყობა შეფერსის, ნიკოლაძისა და სხვათა იდეის მიმართ. როგორც ჩანს, მეცნიერთა ამ ნაწილმა არ ისურვა ან უბრალოდ ვერ შეძლეს მხაზველობითი გეომეტრიის ახალ ყაიდაზე გადაწყობა და მონუსის პირვანდელი თეორიის უცვლელად დატოვება არჩია.

დავუბრუნდეთ ნიკოლაძის სახელმძღვანელოს, რომელიც არა მარტო შეფერსის, არამედ ჩემს ხელთ არსებულ არც ერთ სახელმძღვანელოს არ ჰგავს და ამდენად იგი აბსოლუტურად ორიგინალურია, როგორც პედაგოგიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით. აქვე უნდა ითქვას, რომ ნიკოლაძეს ბუნებრივად აქვს საერთო იდეოლოგია იმ წინდახედულ მეცნიერებთან, რომლებსაც მხაზველობითი გეომეტრია სინთეზური გეომეტრიის ორგანულ ნაწილად მიაჩნდათ.

პედაგოგიკურად ნიკოლაძის სახელმძღვანელო გამორჩეულია კონსტრუქციული სქემით; დიდაქტიკური პრინციპების დაცულობით; მარტივიდან რთულისაკენ გადასვლის რაციონალური გზების ჩვენებით; მკითხველის დაუბრკოლებელი მოგზაურობის უზრუნველყოფით მხაზველობითი გეომეტრიის ხვეულებში. ავტორი დასაწყისშივე ახერხებს მკითხველის ჩაყენებას მომგებიან პოზიციაში: მარტივად ხსნის დაგეგმილების მოქმედების ცალსახობის მნიშვნელობას, აყალიბებს პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების გეომეტრიულ არსს და ყოველივე ამას ამდიდრებს მეთოდიკურად სწორად შერჩეული მაგალითების ჩვენებით. ამის შემდეგ ავტორი, მისთვის ჩვეული მტკიცე ლოგიკით, იწყებს მსჯელობას მართობულ გეგმილთა მეთოდზე ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა – მართობულ გეგმილთა გზაწყობაზე და მთელ ამ ვრცელ თემას ორ ნაწილად ყოფს.

პირველ ნაწილში იგი მკითხველს ესაუბრება ძირითადი გეომეტრიული ფიგურების ასახვის პრობლემებზე, შემდეგ, ამ ფიგურებს ურთიერთობაზე და თემატიკას აჯამებს მრავალწახნაგების ასახვისა და მათზე გრაფიკული მოქმედებების მაგალითების ჩვენებით.

მეორე ნაწილში ავტორი განიხილავს მრუდე წირებსა და ზედაპირებს ეპიურზე მათი ასახვის თვალსაზრისით. წიგნის ამ ნაწილში გამოკვეთილია პროექციული გეომეტრიის იდეების გამოყენების მიზანშეწონილობა აგების ამოცანებში. სახელდობრ, ახსნილია კოლინეარობა, დეზარგის დებულება და ევკლიდეს სივრცე შევსებულია არასაკუთრივი ელემენტებით; ჩამოყალიბებულია სამგანზომილებიანი სივრცის მთლიანად, გამონაკლისის არეში, დაგეგმილების გეომეტრიული არსი პროექციული გეომეტრიის მოდელის ბაზაზე. დეტალურადაა აღწერილი პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული მრუდე ზედაპირების ასახვისა და მათზე გრაფიკული მოქმედებების ზოგადი მაგალითები. ნაჩვენებია, აგრეთვე, კერძო შემთხვევები.

ორივე ნაწილისათვის დამახასიათებელია ორიგინალური, ავტორისეული წყობა. სახელდობრ, აქ ხაზგასმულია თეორიული მასალის განლაგება ლაკო-

ნიურად ჩამოყალიბებულ დებულებებში და პრაქტიკუმების ფორმატი: ამოცანის პირობა; წინასწარი მოსაზრება; ამოცანის ამოხსნა; ამოცანის პასუხი; საჭიროებისამებრ კერძო შემთხვევების ჩვენება. ერთი სიტყვით, წიგნში დაცულია ავტორისეული პრინციპი, რაზედაც იგი წინასწარსიტყვაობაშივე უთანხმდება მკითხველს: „მათემატიკური წესებისა და ფორმულების მექანიკურ დაზეპირებას არავითარი ფასი არ აქვს. საჭიროა საკითხის ჯერ სრული გაგება, მისი ნათლად წარმოდგენა, აუცილებლობის შეგნება და დამტკიცება. დამახსოვრებას (რომელიც ამის შემდეგ ერთიათად ადვილდება), მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა ფასი“.

მეცნიერულად ნიკოლაძის წიგნი ასევე განუმეორებელია. ზემოთ, შემთხვევით არ შევჩერდი შეფერსისა და ნიკოლაძის ნააზრევზე. მონჟმა ფასდაუდებელი მემკვიდრეობა აჩუქა კაცობრიობას, შთამომავლებმა კი, რომლებმაც ამ იდეის უცვლელად დატოვება ინდომეს, ცუდი სამსახური გაუწიეს გენიალურ წინაპარს. მაგრამ აღმოჩნდნენ შეფერსისა და ნიკოლაძის ნიჭიერებით დაჯილდოებულნიც, რომლებმაც შეავსეს მონჟის იდეა და შთამომავლობას, არა კონსერვატორიული და მილევადი, არამედ მუდამ მზარდი და განვითარებადი მეცნიერება შემოუნახეს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტი და სახელდობრ, ამ დეპარტამენტში შემავალი საინჟინრო გრაფიკის მიმართულება, დიდი ერთგულებით აგრძელებს ნიკოლაძისეულ გზას. ამის დასტურია დღეს მოქმედი მხაზველობითი გეომეტრიის ორიგინალური სასწავლო პროგრამა, რომლის მეშვიდე თავი მთლიანად დათმობილი აქვს გეომეტრიულ გარდაქმნებს ანუ სინთეზური გეომეტრიის ძირითად იდეებს, ასევე, პროფ. გ. ვანაძის მხაზველობითი გეომეტრიის სახელმძღვანელო და ყველა სასწავლო კურსი თუ სამეცნიერო შრომა, რომელიც, უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში გამოაქვეყნეს ჩვენმა თანამშრომლებმა.

გიორგი ნიკოლაძის სახელის უკვდავსაყოფად, გარდა მისი იდეებისადმი ერთგულებისა, კათედრის თანამშრომლებმა ააშენეს და 30 წლის განმავლობაში უპატრონეს სასიქადულო მამულიშვილის სახელობის სალექციო დარბაზს. ჩვენი და საერთოდ სასწავლო დაწესებულებების სინამდვილეში ძალზე იშვიათია ერთხელ გაკეთებულმა უმაღლესი დონის რემონტმა ჟამთა სავსე გაუძლოს და სამი ათეული წლის შემდეგაც, თავისი პირვანდელი სახე შეინარჩუნოს. ჩვენმა ესოდენ რუდუნებით მოვლილმა დარბაზმა ჟამთა სიავეს კი გაუძლო, მაგრამ ვერ გაუძლო ვაირეფორმატორების შემოტევას: ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით კათედრას დისლოკაციის ადგილი შეუცვალეს, პირობების გაუარესებით; დაანგრეს და მიწასთან გაასწორეს კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის უნიკალური ლაბორატორია; დაანგრეს მეუფე ანანias მიერ ნაკურთხი ულამაზესი სამლოცველო; შერყვნეს გიორგი ნიკოლაძის სახელობის სალექციო დარბაზი; განადგურების პირამდე მიიყვანეს კათედრის ძალებით შექმნილი პროფ. ე. მჭედლიშვილის სახელობის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა და ყოველივე ამას, უდიდესი ცინიზმით, წარმატებული რეფორმა დაარქვეს. ამ ბარბაროსული ქმედების შედეგად უნიკალური ობიექტის დანგ-

რევას (მამხილებელი ფოტომასალა დაცულია!) თან მოჰყვა უდიდესი იმედ-
გაცრუება პატიოსანი შრომის, ერთგულების, როგორც ადამიანური თვისებების
მიმართ. ამგვარი ქცევით გამოუსწორებელი ზიანი მიადგა კეთილსინდისიერი
და ერთგული თანამშრომლების ცნობიერებას და იმავე ქცევამ ზეიმის განცდა
ჩაუნერგა იმას, ვინც საზოგადოებრივი ღირებულებების მიმართ ყოველთვის
აგდებული დამოკიდებულებით იყო გამორჩეული.

მეგობრებო! პატიებას გთხოვთ საუბრის თემიდან ასეთი გადახვევის გამო.
გამიგეთ სწორად! ეს ჩემი ტკივილია. სად ვთქვა სხვაგან! სად ვიპოვო უფრო
მაღალი ტრიბუნა! მე მჯერა სულის უკვდავების და შესაბამისად იმისიც
მჯერა, რომ ჩემ გოდებას თქვენთან ერთად დღეს ბატონი გიორგიც ისმენს.

ბატონო გიორგი! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საქმიანობას მავანმა და
მავანმა მრავალჯერ გამოსდო სარმა, დღეს კათედრა, მართალია, ახალ ადგი-
ლას, მაგრამ მაინც განიცდის აღორძინებას. კეთილი ადამიანებისა და ჩვენი
თანამშრომლების ძალისხმევით საბიბლიოთეკო ფონდი, 6000-ზე მეტი ერთე-
ული, გადარჩენილია, ჩვენი პროფესურა სათუთად ინახავს თქვენს ხსოვნას და
შემღობისდაგვარად ისევ საუბრობს სტუდენტურ აუდიტორიაში თქვენზე,
როგორც დიდ მეცნიერზე, პრაქტიკოსსა და უდიდეს მამულიმზვილზე.

მეგობრებო! უღრმესი მადლობა ყურადღებისათვის. წინასწარ გილოცავთ
დამდეგ შობას და ახალ წელს. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მწყალობელი!
ამინ!

2008 წლის 19 დეკემბერი.

პაპ

j emal gaxokiZe

სენატი - კანონიერების გარანტი

საუბარი სტუ-ს სენატის სპიკერთან,
პროფ. ჯემალ გახოკიძესთან

– ბატონო ჯემალ, გულითადად გილოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების 90-ე საიუბილეო თარიღს.

– გმადლობთ.

– თქვენ ამჟამად სტუ-ს საკანონმდებლო ორგანოს – სენატის – სპიკერი ბრძანდებით. მეცნიერულ-საზოგადოებრივ და იურიდიულ სარბიელზე ბევრი რამ გინახავთ, არაერთი კანონის შექმნა-განხორციელებაშიც მიგიღიათ მონაწილეობა. თქვენი შეფასებით, როგორია და რა თავისებურებით გამოირჩევა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაში სენატის საქმიანობა?

– როგორც მოგესხენებათ, სენატი არის უნივერსიტეტის კოლეგიური და წარმომადგენლობითი ორგანო. მისი სპეციფიკურობა ისაა, რომ მასში ყველა ფაკულტეტის ორი აკადემიური პერსონა (ორი პირი – სრული ან ასოცირებული პროფესორი) და თითო სტუდენტია წარმოდგენილი. სენატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სტუდენტებიც იღებენ უშუალო მონაწილეობას. ზემოთქმულის საფუძველზე, ნამდვილად არ ვაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ სენატი დემოკრატიული მმართველობის საუკეთესო ფორმაა.

სენატის წინამორბედი იყო წარმომადგენლობითი საბჭო, მაგრამ ჩვენ, აკადემიურმა საბჭომ, უპირატესობა სენატს მივანიჭეთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამის საშუალებას უმაღლესი განათლების შესახებ არსებული კანონი იძლევა, ფუნქციურადაც ჩვენს მუშაობას სენატი უფრო შეესატყვისება.

სენატის შემადგენლობაში შედის სტუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორი.

სენატის უფლებამოსილების ვადა არის 4 წელი.

თავდაპირველად, სტუ-ში 2006 წლის 7 დეკემბერს ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი საბჭო. საბჭოს სპიკერად არჩეულ იქნა პროფ. ეკატერინე თევზაძე, რომელიც საბჭოს მუშაობას უძღვებოდა 4 წლის მანძილზე. საბჭო წარმოდგენილი იყო 36 წევრით.

პირველი ვადის გასვლის შემდგომ მე-2 მოწვევის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 2010 წლის 30 ნოემბერს, სადაც მონაწილეობას იღებდა 36 წევრი. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერად ამირჩიეს მე, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

2012 წლის 31 იანვარს გაიმართა სენატის პირველი სხდომა, სადაც კვლავ ერთხმად ამირჩიეს სპიკერის თანამდებობაზე. ამჟამად სენატში მოღვაწეობს 27 წევრი.

ვფიქრობ, ურიგო არ იქნება სენატის შესახებ ზოგი რამ უფრო დაწვრილებით მოგახსენოთ:

სენატი, უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უფლებამოსილია:

ა) აკადემიურ საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს უნივერსიტეტის წესდების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ბ) აკადემიურ საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს უნივერსიტეტის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი;

გ) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილოს და აკადემიური საბჭოსა და სენატის გაერთიანებული სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით დაამტკიცოს უნივერსიტეტის სტრუქტურა და სამტატო განრიგი;

დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით დაამტკიცოს ბიუჯეტის შედგენის წესი, ადმინისტრაციის სტრუქტურა და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;

ე) აირჩიოს სენატის სპიკერი;

ვ) დაამტკიცოს რეგენტთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა;

ზ) თანხმობა მისცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის რეგენტთა საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენაზე;

თ) თანხმობა მისცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წლიური ანგარიშის რეგენტთა საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენაზე;

ი) წელიწადში ორჯერ მოისმინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე;

კ) თანხმობა მისცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქონების იჯარით გაცემის თაობაზე;

ლ) უფლებამოსილია აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით, რეგენტთა საბჭოს წინაშე დააყენოს საკითხი ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე;

მ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით დაამტკიცოს აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები;

ნ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით დაამტკიცოს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი, ასევე შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები;

ო) აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილოს და რეგენტთა საბჭოს შესათანხმებლად წარუდგინოს უნივერსიტეტის განვითარების ფონდის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) დირექტორის კანდიდატურა;

პ) რეგენტთა საბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცოს უნივერსიტეტის წესდება, აგრეთვე დანიშნოს და გაათავისუფლოს უნივერსიტეტის განვითარების ფონდის დირექტორი;

ჟ) მოსმინოს ფონდის დირექტორის ანგარიში გაწეული მუშაობის თაობაზე;

რ) მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც მოსმინოს მენეჯერის ინფორმაცია ფაკულტეტის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე;

ს) უფლებამოსილია, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციით გათვალისწინებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და შექმნას ექსპერტთა ჯგუფი (ჯგუფები);

ტ) დაამტკიცოს უნივერსიტეტის სიმბოლიკა;

უ) განახორციელოს უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები;

სენატი თავის მუშაობას წარმართავს სენატის მუდმივმოქმედი კომისიების მეშვეობით. ესენია:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;

ბ) სასწავლო პროცესის და სწავლების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;

გ) სოციალური, კულტურისა და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;

დ) მეცნიერებისა და ბიზნესინოვაციების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;

ასეთია ჩვენი უნივერსიტეტის სენატის მოკლე ისტორია და უფლებამოსილებანი.

– საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ბრძანდებით. საქართველოში თქვენს თვალწინ მოხდა ის პოლიტიკური კატაკლიზმები, რამაც ჩვენი საზოგადოება პოლიტიკურ-ეკონომიკურად დააპირისპირა და დაანაწევრა. ქართველები ემოციური ხალხი ვართ, როგორც ჩვენი თანამედროვე, XX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მოღვაწე, აკაკი ბაქრაძე ბრძანებდა, „ქართველი კაცის მოქმედებაში ემოცია გონს უსწრებს“, ძნელია ამ დროს, როგორც ქართველმა, მეცნიერმა და სამართლის დამცველმა, ძალოვანი უწყებისა და დიდი თანამდებობის პირმა, საკუთარი ემოციები დათრგუნო და შეინარჩუნო პიროვნული და სამართლებრივი წონასწორობა, რასაც თქვენ კარგად ახერხებდით და ახლაც ახერხებთ. როგორ მიაღწიეთ და მიაგენით ასეთ ოქროს შუაღედს?

– ჩემი ცხოვრების მთავარი პრინციპი, სადაც არ უნდა მემუშავა, იყო ორი ძირთადი მოთხოვნის დაცვა: 1. ჩემი საქმიანობა არ უნდა გამოსულიყო კანონის ფარგლებიდან; მუდმივად მქონდა კანონის შიში (შდრ. შოთა რუსთაველის აფორისტული თქმა „შიში შეიქმს სიყვარულსა“...) – კანონმორჩილება და კანონისადმი პატივისცემა; 2. მეორე მოთხოვნა, რისთვისაც არ მიღალატია, ისაა, რომ ვცდილობდი არ გამეშვა ხელიდან მომენტი სიკეთის ქმნისა, თუმცა სიკეთის ქმნა არავითარ შემთხვევაში საზიანო არ უნდა გამომდგარიყო არავისთვის...

– სტუ-ში ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე სენატში არჩევამდე და მის გაძლოამდე სამართალმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყავით. თქვენი ადგილი – დეპარტამენტის უფროსობა დიდბუნებოვნად გადაულო-

ცეთ ერთ-ერთ ჩვენს ახალგაზრდა იურისტს, ნიჭიერ პროფესორსა და კოლეგას ირაკლი გაბისონიას, ეს თქვენს დიდ ადამიანურობაზე მეტყველებს. შინაგანი თუ გარეგანი აურით არამკაცრი პერსონა, სულაც რომ არ ჰგავხართ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა უმრავლესობას, სხვადასხვა ექსტრემალური სიტუაციისას, როგორ უმკლავდებოდით მოსალოდნელ ხიფათს თუ არასასურველ მოვლენას?

– ძალიან ბევრი რამ გადამხდა თავს. დაახლოებით 30 წელი ვიმსახურე სამართალდაცვით სისტემაში. მოგეხსენებათ, ეს რა პერიოდი იყო, რა გადავიტანეთ: ომი, რევოლუციები, განუკითხაობის პერიოდი – 1994-1995 წწ. შემოდგომა თამამად ვთქვა, რომ არც ერთ ეტაპზე უკან არ დამიხევია, ერთი კაცის საკეთებელ საქმეს მაინც ყოველთვის ვაკეთებდი. მაგალითად, ორჯერ მომიწია უშუალოდ მონაწილეობის მიღება იმ სიტუაციაში, როცა არასწორ გადაწყვეტილებებს ქვეყანა შეიძლება სამოქალაქო ომამდე მიეყვანა. ეს ორი მოვლენა ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა, საკუთარი სიცოცხლის ფასად ვცდილობდი ორივე კონფლიქტი მშვიდობიანად დამემთავრებინა. მხედველობაში მაქვს 1998 წლის თებერვალი, როცა გოჩა ესებუამ სამეგრელოში საერთაშორისო დამკვირვებლები გაიტაცა. მოწინააღმდეგე მხარის მიერ ყველაფერი კეთდებოდა, რომ ხელისუფლებასა და ზვიად გამსახურდიას მომხრეთა შორის ახალი კონფლიქტი დაწყებულიყო. მაშინ მე, ჩემს კოლეგებთან ერთად, ეს სიტუაცია განვმუხტე და ოთხივე დამკვირვებელი დავაბრუნე (დავიხსენი). მეორე შემთხვევა იყო 1999 წლის ოქტომბრის ე. წ. ელიავას სამხედრო გამოსვლა, რომელიც სამოქალაქო ომისათვის იყო გამიზნული. მაშინ უშუალოდ მე ვიკისრე ამ სიტუაციის განმუხტვა, ღვთის შეწევნით, ყველაფერი მშვიდობიანად დავამთავრეთ. ეს რომ არ გამეკეთებინა, საქართველო არასაიმედო, არასტაბილური ქვეყნის იმიჯს დაისაკუთრებდა კიდევ დიდი ხნით.

ბევრი სხვაც შეიძლება დავიმოწმო. მაგალითები ბევრია, ჩემი ცხოვრება ქვეყნის უსაფრთხოებასთან იყო დაკავშირებული, და რა გასაკვირია, რომ მუშაობისას, ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისას მხოლოდ ქვეყნისა და სახელმწიფოს ბედზე მეფიქრა, ყოველთვის არათუ ოჯახი – ცოლ-შვილი, საკუთარი თავიც კი მავიწყდებოდა.

– ბოლო წლებში, როგორც სამართალმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, რა სიახლე შეიტანეთ და დანერგეთ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე სამართლისმცოდნეობის სწავლების მხრივ?

– ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე სამართლისმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემს დიდ და ძველ მეგობარს, ბატონ ივორ კვესელავას, რომლის რჩევით აღმოვჩნდი სტუ-ში. შესანიშნავად ვითანამშრომლე ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანთან ქალბატონ რუსუდან ქუთათელაძესთან. სამართლისმცოდნეობის დეპარტამენტის გაძღოლა დაახლოებით ორ წელს მომიწია. ამ პერიოდში, პირველ რიგში, შევეცადე დეპარტამენტში ჯანსაღი ატმოსფერო შემექმნა, ვფიქრობ, რომ ამას სასვებით მივაღწიე. მაგალითად, ჩემთვის საამაყო იყო იმის მოსმენა, რაც ერთ-ერთმა ჩვენმა პროფესორმა კარლო ბზიშვილმა განაცხადა: „სამსახურში მოსვლა მიხა-

რიაო". შემდეგ, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, ის იყო, რომ შევეცადე ცნობილი მეცნიერების მოწვევას დეპარტამენტში სამუშაოდ, თუმცა მე, ჩემს მისვლამდე დამხვდა ბევრი გამოჩენილი მეცნიერი და მკვლევარი. აქცენტი გავაკეთე როგორც თეორეტიკოსებზე, ისე პრაქტიკოს სპეციალისტებზე, რადგან სტუდენტებისათვის პრაქტიკულად დიდი გამოცდილების მქონე ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე მინდა ისიც ვთქვა, რომ აქამდე ახალგაზრდებთან ურთიერთობა ჩემთვის „სუსტი წერტილი“ იყო და ამ შემთხვევაში ბევრი ახალგაზრდა ამოვიყენე გვერდში. მათგან გამოვყოფდი ირაკლი გაბისონიას, რომელმაც შემდეგში ჩაიბარა სამართალმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. მე ვთვლი, რომ ღირსეული კაცი ჩაუდგა სათავეში ამ დეპარტამენტს. აქვე ერთი ლირიკული გადახვევა: მე რექტორს, ბატონ არჩილ ფრანგიშვილს, რამდენჯერმე ვთხოვე სამართლისმცოდნეობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლება, ვინაიდან მიზანშეწონილად არ მივიჩნეე სენატისა და დეპარტამენტის ერთდროულად მართვა. ბატონმა არჩილმა ჩემს თხოვნაზე რამდენჯერმე თავაზიანი უარი მითხრა, მაგრამ ერთხელ თანხმობა მივიღე და მკითხა: ვის გაუწევთ რეკომენდაციას?

მე საუბრისას ირაკლი გაბისონია კანდიდატურა შევთავაზე რექტორს, ბატონმა არჩილმა მითხრა: თქვენს რეკომენდაციას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსო.

ჩვენს დეპარტამენტსა და, ცხადია, ფაკულტეტს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მართო სამართლის კლინიკის ფუნქციონირებას რად ღირს, რამეთუ იქ თავს იყრიან ნიჭიერი ახალგაზრდები, სადაც მათ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება ეძლევათ. სამართლის კლინიკა მუშაობას ორი მიმართულებით წარმართავს: 1. მოქალაქეებისათვის კონსულტაციების გაწევა, და 2. საჯარო სკოლებში უფროსკლასელებისათვის სამართლის საფუძვლების შესწავლა. შეფობას ვუწევთ თბილისის 10 სკოლას. სასიამოვნოა, რომ მსგავსი თხოვნა-მოთხოვნები რაიონების სკოლებიდანაც მოდის.. არ მინდა გამომჩეს და დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებს, მთელ შემადგენლობას, მთელ ფაკულტეტს, ჩვენს დეკანს ქალბატონ რუსუდან ქუთათელაძეს ვუთხრა დიდი მადლობა თანამოაზრებისათვის, თანადგომისათვის, მხარდაჭერისათვის, თუმცა მე ახლაც ხომ მათი პროფესორი ვარ და წასვლასაც არსად ვაპირებ, აქტიურად განვაგრძობ მათთან ერთად სამეცნიერო-პედაგოგიურ თანამშრომლობას.

ჩემთვის ძალიან კარგი იყო სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობები, რათა სტუდენტებისათვის მიგვეცა საშუალება, მიეღოთ სათანადო პრაქტიკა. ამ მიზნით სერიოზული ურთიერთობები გვაქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, საქართველოს სანოტარო პალატასთან, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან. ბევრი ჩვენი ყოფილი სტუდენტი ხომ ამ დაწესებულებებში მუშაობს და სამსახურთან ერთად ცოდნა-კვალიფიკაციასაც იმაღლებს.

– ბატონო ჯემალ, თქვენ იურისტი და იურისპრუდენციის მკვლევარი ბრძანდებით. მე პირადად, ძალიან მომეწონა თქვენი სამეცნიერო წერილი, რომელიც ჩვენი ჟურნალის („პარალელის“) პირველსავე ნომერში დაიბეჭდა.

თქვენ მიერ საზოგადოებისა და სპეციალისტების წინაშე დასმული ეს პრობლემა, რომელიც სტატიის სათაურიდანაც კარგად ჩანს – „კულტურულ-ცივილიზაციური და ეროვნული ერთიანობის პრობლემები განდგომილ რეგიონებთან“, კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენი ქვეყნისა და ქართული სამოქალაქო საზოგადოებას „აქილევსის ქუსლად“. ვფიქრობ, ჩემ მიერ აქ დასახელებული თქვენი სამეცნიერო ნაშრომი არათუ სტუდენტმა, პროფესიონალმა იურისტმა და სახელმწიფო მოღვაწემ ან კონფლიქტოლოგმა უნდა წაიკითხოს, არამედ საქართველოს ყველა მოქალაქემ, მიუხედავად იმისა, ის სახელმწიფო მოხელეა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაკი, წარმოშობით ქართველი თუ არაქართველი... ამასთან დაკავშირებით ასეთი კითხვა გამიჩნდა: როგორც სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, უახლოეს მომავალში რაიმე სამეცნიერო-სამართლებრივი პროექტის განხორციელებას ხომ არ აპირებთ?

– მოკლედ გეტყვით: საკანდიდატო დისერტაცია 1987 წელს დავიცავი სამართლის სპეციალობაში, ხოლო სადოქტორო – 2004 წელს პოლიტიკის სფეროში, ასე რომ ორგზის დოქტორი ვარ – სამართლისა და პოლიტიკის.

რაც შეეხება სამეცნიერო პროექტებს. ძალიან ბევრი პროექტი გვაქვს გადაწყვეტილი. მაგალითად, გვინდა შევქმნათ მაღალი დონის კრიმინალისტური ლაბორატორია და მას ცნობილი იურისტისა და ჩვენი უნივერსიტეტის აწვადცვლილი პროფესორის ნუგზარ გაბრიჩიძის სახელი ვუწოდოთ. ლაბორატორია საშუალებას მოგვცემს სტუდენტებს შორის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას შევუწყვთ ხელი. რექტორისა და რექტორატისაგან ამის სრული მხარდაჭერა გვაქვს.

რაც შეეხება ჩემს პირად მიზნებს: დავამთავრე მუშაობა წიგნზე, რომელიც დაკავშირებულია ჩემს საქმიანობასთან ბოლო 20 წლის განმავლობაში. შევეცადე ვყოფილიყავი ობიექტური და შეუვალი იმ მოვლენების შეფასებაში, რომლის უშუალო მონაწილე თავად გახლდით ან ძალიან ახლო მანძილიდან ვუყურებდი ამას ყველაფერს. როგორ და რანაირად გამომოვიდა ეს, ამას თავის დროზე მკითხველები შეაფასებენ.

– როგორი ინიციატივითა და ინივაციით გამოირჩევა ჩვენი ახლანდელი საუნივერსიტეტო ორგანო – სენატი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ?

– სენატის ინივაციურ ხედვაზე მხოლოდ ერთს ვიტყვი: სტუ-ს წესდებაში (რომლის ინიციატორი მე ვიყავი) ჩაიწერა დებულება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის რექტორს უფლება აქვს სენატში წარმოადგინოს თავისი კვოტით დამატებით კიდევ სამი წევრი. ეს მართლაც ინივაცია და სიახლეა. რამდენადაც მე ვიცი, საქართველოს სხვა უნივერსიტეტების წესდებაში ასეთი რამ გათვალისწინებული არ არის. რექტორმა ისარგებლა ამ უფლებით და სენატს წევრად წარუდგინა სახელოვანი მამულიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი, მსოფლიოს ბანი,საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ პრეზიდენტი, გაეროს კეთილი ნების ელჩი ბატონი პაატა ბურჭულაძე (ყოფილი „გეპეელი“). სენატმა ერთხმად დაუჭირა მხარი ამ წინადადებას. ასე რომ ბატონი პაატა გახლავთ ჩვენი სენატის წევრი. ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან დიდ მადლობას ვუთვლიჩვენი სენატის წევრებს, შესანიშნავ

მეცნიერებსა და პედაგოგებს, მამულიშვილებსა და ტექნიკური განათლების მოღვაწეებს... ჩემთვის დიდი პატივი იყო მათი მხრიდან ჩემი სპიკერად არჩევა. აქვე მინდა ერთ შემთხვევაზეც მოგახსენოთ: სტუდენტთა თვითმმართველობამ დააყენა შუამდგომლობა, რათა ჩვენს სენატს მიეღო გადაწყვეტილება და გამოგვეყო საჭირო ფინანსები ჩვენი ხელბურთელი გუნდის ესპანეთში გასამგზავრებლად. ცხადია, თავიდან პესიმიზმიც იყო – იქნებ სახსრები სხვა მიზნებისთვის დაგვეხარჯაო, მაგრამ უმრავლესობამ ჩათვალა, რომ მათთვის ხელი შეგვეწყო. მართლაც ჩვენმა გუნდმა დიდი სიხარული მოგვანიჭა და ჩემპიონატზე, ევროპისუნივერსიდააზე ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ზოგჯერ გაბედულებაც გვმართებს სიფრთხილესთან ერთად.

– რას უსურვებთ ჩვენს სტუდენტობასა და საერთოდ ახალგაზრდობას, კოლეგებს?

– მოდის იუბილე, ვამაყობთ, რომ სტუ ერთ-ერთი ლიდერია საქართველოს უნივერსიტეტებს შორის, რასაც განაპირობებს, პირველ რიგში, ჩვენი სტუდენტობა, ასევე უცხოეთში და ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში მოღვაწე მაღალი აკადემიური დონის სახელოვანი მეცნიერები და პედაგოგები ჩვენს ღირსეულ რექტორთან, ბატონ არჩილ ფრანგიშვილთან ერთად.

ყველა მათგანს მინდა წარმატებები ვუსურვო ჩვენს სახელმწიფოდ შემდგარ სამშობლოსთან ერთად.



I რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): დავით ნოზაძე, ნაომ ბოჭორიშვილი, ნოდარ კოდუა, თამარ ბუზიაშვილი, ჯემალ გახოკიძე, ნაზი კუციავა, ჯუმბერ იოსებიძე, სოფიო მიდელაშვილი.

II რიგი: იგორ კვესელავა, თენგიზ მახარაშვილი, ნოდარ ქაჯაია, ზურაბ ლომსაძე, ლევან კერესელიძე, დავით ჯაფარიძე, ბაადურ ჭინაშვილი, სალომე ცხადაძე.

III რიგი: როინ იმედაძე, მერაბ ახოზაძე, მზია მელაშვილი, მარიამ ნინუაშვილი, გური შარაშენიძე, ბექა კოპაძე.



მარცხნიდან მარჯვნივ:

თამარ ბუზიაშვილი, ჯემალ გახოკიძე, ქეთევან ქოქრაშვილი

ინტერვიუს უძღვებოდა პროფ. ბადრი ცხადაძე

ბაზ

დეკანთა კომპეტენტური აზრი

პროფ. გოჩა მიქიაშვილი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი:

ფაკულტეტმა მიზნად დაისახა მსოფლიოს წამყვანი არქიტექტურული სკოლების გამოცდილების გაზიარება, იქ აპრობირებული სწავლების ფორმების, სხვა ინოვაციების დანერგვა.

ვამზადებთ სრტუდენტებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებით.

ჩვენი არქიტექტურული სკოლის ავტორიტეტის ამაღლებას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს მრავალი აღიარებული არქიტექტორი არის ჩვენი ფაკულტეტის საპატიო პროფესორი (Professor Honoris Causa). ესენი ბრძანდებიან: კიშო კუროკავა (იაპონია), ბერნარ ვარნიე (საფრანგეთი), რიჩარდ ინგლენდი (მალტა), ვიქტორ ვლადიმროვი, ალექსანდრე კუდრიავეცი და ილია ლეჟავა (რუსეთი), გიორგი სტოილოვი (ბულგარეთი), ვარაზდატ არუთუნიანი, ჯიმ ტოროსიანი (სომხეთი), ედგარ კნოპი, ჰელგე ბოფინგერი, კარლ ციგლერი, ჰანს დენჰარტი, ეკჰარტ ჰანგარტერი და იოსტ შრამი (გერმანია), იუსტუს დაჰინდენი (შვეიცარია), იან ბოჩანი (ჩეხეთი), მარკ სპენსერი (აშშ).

ამ კურსს კიდევ უფრო განვამტკიცებთ და განვაგრძობთ.

პროფ. რუსუდან ქუთათელაძე

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი:

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ისტორია ლოგიკურად პასუხობს თანამედროვე განათლების ინტერდისციპლინარულ შინაარსს, როდესაც სხვადასხვა დარგები და მეცნიერებები სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმსაზღვრელი ხდება. სწორედ ამან განაპირობა ისეთი სპეციალობების ფორმირება, როგორცაა: ბიზნესსამართალი, მასობრივი კომუნიკაცია, ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა. გლობალური და რეგიონული ურთიერთობების განვითარება აახლოებს ქვეყნებს მრავალმხრივად და მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი არის საგანმანათლებლო მიმართულება. ამ თვალსაზრისით ფაკულტეტი პასუხობს მსგავსი პროფილის უმაღლესი განათლების პროგრესულ ტენდენციებს. ფაკულტეტის ისტორია, შეიძლება ითქვას, მთლიანად უკავშირდება განვითარების თანამედროვე მაჯისცემას და სრულფასოვნად არის ჩართული საერთაშორისო კონკურენციაში, რასაც ადასტურებს ჩვენი კურსდამთავრებულების ჩართვა მაღალ-ინტელექტუალური შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში.

პროფ. ვია არაბიძე

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი:

მართალია, ენერგეტიკის ფაკულტეტი 1930 წელს დაარსდა, თუმცა ინჟინერ-ელექტრონმექანიკოსების მომზადება ჯერ კიდევ 1922 წლიდან დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე (პირველი დეკანი ა. დიდებულიძე).

ჩვენს ფაკულტეტზე სწავლების ოთხივე საფეხურზე სწავლობს 2 000-ზე მეტი სტუდენტი, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 40 სრული პროფესორი, 60 ასოცირებული პროფესორი, 40 ასისტენტ პროფესორი და მასწავლებელი.

ჩვენი ფაკულტეტის მისიაა:

ა) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დარგში საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი, შრომის თავისუფალ ბაზარზე კონკურენტუნარიანი საინჟინრო და სამეცნიერო კადრების მომზადება;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო-მეთოდური და საექსპერტო-საკონსულტაციო ცენტრის ფუნქციების განხორციელება;

გ) გამოყენებითი სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების წარმოება.

ასეთი კომპლექსური მიდგომით გვინდა გავზარდოთ ახალგაზრდა სპეციალისტები.

პროფ. ზურაბ წვერაიძე

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი:

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი ერთ-ერთი მსხვილი ფაკულტეტია სტუ-ში. სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა დეპარტამენტების მეშვეობით. ჩვენი ძალისხმევა და ორიენტირი სტუდენტების მეცნიერული წრთობა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვაა. საამისოდ ჩვენი სილაბუსები და სასწავლო საუნივერსიტეტო საგნები უთანაბრდება მსოფლიო სტანდარტებს. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიები და ცენტრები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და პროგრამული რესურსებით.

ფაკულტეტზე ასევე დავაფუძნეთ და წარმატებით ფუნქციონირებს კომპიუტერული ქსელური CISC-ს აკადემია. იგი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ პრაქტიკული და თეორიული ცოდნა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

პროფ. ანზორ აბშილავა

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი:

ჩვენი ფაკულტეტის ისტორია 1922 წლის 16 იანვრიდან იწყება, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი.

პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე თავდაპირველად სამი განყოფილება იყო: სამშენებლო, მექანიკური და სამთამადნო. სამთამადნო განყოფილებას ჰქონდა სპეციალობები – სამთო (საექსპლუატაციო), მეტალურგიული და ქიმიურ-ტექნოლოგიური.

1928 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1955 წელს ფაკულტეტს სამთო-გეოლოგიური ეწოდა. 1971 წლიდან 1992 წლამდე სამთო და გეოლოგიური ფაკულტეტები ცალ-ცალკე არსებობდნენ, ხოლო 1992 წელს კვლავ გაერთიანდნენ.

ბოლო წლებში ფაკულტეტზე სტუდენტთა აღზრდის საქმეს სწავლების სამივე საფეხურზე უძღვებოდა 14 კათედრა, რომელთა უმრავლესობა მაპროფილებელი იყო. ამ კათედრაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ისეთი მრავალი გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს თანამედროვე საინჟინრო სკოლის შექმნასა და განვითარებაში. ფაკულტეტზე სწავლა მიმდინარეობს სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), აგრეთვე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ჩვენი მიზანია ახალგაზრდა სპეციალისტის ისეთი აღზრდა, რომელიც წარმატებით იღვაწებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

პროფ. ზურაბ გედენიძე

სამშენებლო ფაკულტეტი:

ფაკულტეტის დღევანდელი და ხვალისდელი დღე, განახლებული, რეგიონში საუკეთესო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, დანადგარებითა და მოწყობილობებით აღჭურვილი ლაბორატორიული ბაზაა, რომლის გაფართოება-განვითარებას გეგმავს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მსოფლიო ბანკთან ერთად.

აღნიშნული სიახლეების წარმატებით განხორციელების შედეგად ფაკულტეტი ქვეყანას მისცემს ინტელექტუალურ ძალას, რომელიც შექმნის ისეთ შენობებსა და ნაგებობებს, თავისი სიმტკიცით, სილამაზითა და საიმედოობით, რომელიც დროს რომ გაუძლებს და საბოლოოდ მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის ისტორიის მემკვიდრედ გადაიქცევა. ჩვენს ფაკულტეტს საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირები აქვს აიოვას სახელ-

მწიფო უნივერსიტეტთან, თომფსონ რივერ უნივერსიტეტთან, აიოვას უნივერსიტეტთან.

ჩვენი ფაკულტეტის პრიორიტეტი და მისიაც ესაა – უცხოეთის საუკეთესო უნივერსიტეტებთან კომპაქტური თანამშრომლობა, სტუდენტების ურთიერთ გაცვლა და მათთვის საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვა ახალი ტექნოლოგიების დანერგვით.

პროფ. ოთარ გელაშვილი
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი:

ჩვენი ფაკულტეტი ამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტებს ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის დარგებისათვის.

ფაკულტეტის მისიაა ეროვნული მეურნეობის სათანადო დარგებთან მიმართებით უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, მათი საჭირო ხარისხისა და რაოდენობის სპეციალისტებითა და მეცნიერული კვლევის შედეგებით უზრუნველყოფა. ფაკულტეტის მიზნები გახლავთ: ევროპული განათლებისა და კვალიფიკაციის შესაბამისი დონის მქონე სპეციალისტების (უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე დიპლომირებული სპეციალისტები, ბაკალავრები, მაგისტრები, დოქტორანტი-ბი) მომზადება და კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის შექმნა.

ფაკულტეტის ამოცანები კი ასე გვესახება: სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება; პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების – ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება; ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის დარგების სპეციალისტთა პროფესიული სრულყოფა და გადამზადება; უწყვეტი განათლების პრინციპების განხორციელება; სასწავლო პროცესთან სამეცნიერო საქმიანობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფისათვის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებში ფაკულტეტის პერსონალისა და სტუდენტების ჩაბმა; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების სასწავლო პროცესში და წარმოებაში დანერგვა; მონათესავე პროფილის სასწავლო და საწარმოო დაწესებულებებთან შემოქმედებითი ურთიერთობის უზრუნველყოფა ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით; სხვადასხვა სახის გრანტების მოზიდვა მაღალი დონის მეცნიერებატევადი კვლევების ჩასატარებლად; სტუდენტთა და თანამშრომელთა მობილურობისათვის მხარდაჭერა.

პროფ. ნუგზარ წერეთელი
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი:

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა 2006 წელს. ორი ფაკულტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის და

მეტალურგიის ფაკულტეტების ბაზაზე. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ფაკულტეტი რესპუბლიკაში, წლების მანძილზე ერთპიროვნულად ემსახურებოდა ქიმიკოს ტექნოლოგების მომზადებას. აღნიშნული კვალიფიკაციით სპეციალისტების მომზადება სათავეს იღებს 1922 წლიდან.

ფაკულტეტზე ამჟამად სწავლობს 1250 სტუდენტი. გვაქვს სწავლების ოთხ საფეხუროვანი სისტემა.

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი ერთერთი ძლიერი სასწავლო სამეცნიერო ცენტრია, სადაც წარმატებით შრომობს 45 სრული პროფესორი, 69 ასოცირებული პროფესორი, 21 ასისტენტ პროფესორი.

ფაკულტეტზე მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1 აკადემიკოსი, საინჟინრო აკადემიისა და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტები.

ბაზ

✎ igor kvesel ava

**სწავლის, სწავლების და ცოდნის
ძიების გზით**

(სტუ-ს 90 წლის იუბილეს გამო)

– ბატონო იგორ, მოგილოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების 90-ე წლისთავს.

თქვენ ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრის მომსწრე და მნახველი პროფესორი ბრძანდებით. როგორ დაახასიათებთ XX საუკუნის მეორე ნახევრის დროინდელ სასწავლო-სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესს საერთოდ და კონკრეტულად სპი-ს და სტუ-ს განვლილ წლებს?

– ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელსაც მაშინ, პოლიტექნიკური ინსტიტუტი ერქვა და საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უძლიერეს სასწავლო-სამეცნიერო საინჟინრო კერას წარმოადგენდა, ჩემი პედაგოგიური „ნათლობა“ 1968 წლის სექტემბერში შედგა, პარალელურად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი ვიყავი და ეს ერთ-ერთი უბედნიერესი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. 1972 წელს, მეც ერთ-ერთმა ახალგაზრდა ლექტორმა, დიდი სიხარულით გავიზიარე პოლიტექნიკური ინსტიტუტის 50 წლის იუბილე. მას შემდეგ იყო, უმაღლესი სასწავლებლის დაბადების 60, 70, 80 საიუბილეო თარიღები. და აი, დამოუკიდებელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსების 90 წელს ზეიმობს. თუ განგებამ ინება ძალიან მინდა სხვებთან ერთად მისი 100 წლის იუბილითაც გავიხარო.

„გეპეი“ – ტექნიკური ინტელიგენციის დიდი სამჭედლო, არაერთი ღირსეული პოლიტიკური სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, სიმღერის ანსამბლ „რეროს“, „კაპელას“, ჯაზ-ორკესტრების, გამორჩეული თეატრის, გამოჩენილი მომღერლების, ცნობილი სპორტული გუნდების, სახელოვანი მწერლების, პოეტების, დრამატურგების, არქიტექტორების, დიდი ინჟინრების განუმეორებელი საზუდარი და, როგორც სახალხო იტყოდნენ, „კაცებისა“ და „კაცობის“ ინსტიტუტი იყო.

ჩემთვის „გეპეი“ და „გეპეელობა“ ბევრ რამეს ნიშნავს, აქ ბევრი რამ ვისწავლე, ბევრი რამ გავიცნობიერე, ბევრი გაკვეთილი მივიღე, დაშვებული შეცდომის აღიარების და მონანიების უნარი შევიძინე და გავიგე, რას ნიშნავს პატივბაც და მიმტევებლობაც. საერთო ჯამში „გეპეიმ“ ერთ პარადიგმამდე მიმიყვანა – თუ შეგიძლია, ეძებე და თესე სიკეთე.

XX საუკუნის 70-90-იანი წლების პოლიტიკური ინსტიტუტი, პრუსიულ-გერმანული საგანმანათლებლო სისტემით მუშაობდა, იმდროინდელ სასწავლო-სამეცნიერო და საერთოდ საგანმანათლებლო პროცესს, ბევრ დადებითთან ერთად ხარვეზებიც გააჩნდა, თუმცა იმ პერიოდის საგანმანათლებლო სისტემამ არაერთი გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი მისცა ჩვენს ქვეყანას. თანამედროვე სისტემა სხვა ხასიათის მატარებელია, როგორც ყველა ახალი, ის არ არის დაზღვეული „საყმაწვილო“ სახის შეცდომებისაგან, მაგრამ იმედია, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაც დაიწმინდება, ლექი ჩამოშორდება და მყარად დამკვიდრდება ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში პოლიტიკურმა ინსტიტუტმა ცხოვრება ახალი სახელწოდებით – ტექნიკური უნივერსიტეტი – გააგრძელა. ჩამოყალიბდა ახალი ფაკულტეტები და სპეციალობები. უმნიშვნელოვანესი იყო ჩვენთან ჰუმანიტარულ-ტექნიკური მიმართულების ფაკულტეტის შექმნაც. მას სათავე დაუდო 1974 წელ ჩამოყალიბებულმა „საზოგადოებრივ-პროფესიათა“ ფაკულტეტმა, სადაც სტუდენტები იმდენდენ მეორე სპეციალობას (სამართალმცოდნეობა, სოციოლოგია, უცხო ენები, ფოტოხელოვნება, ჟურნალისტიკა, ტექნიკური თარგმანი და ა.შ.).

ამ ფაკულტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ რექტორი, აკადემიკოსი არჩილ დიმიტრი, პრორექტორი აკაკი კოტარია, პარტიული კომიტეტის მდივანი ჯემალ კუხალაშვილი, პროფესორი ტიტე ყანჩაველი და სხვები. მე, ამ ფაკულტეტთან ბევრი რამ მაკავშირებს. მისი პირველი დეკანი იყო ბრწყინვალე პიროვნება, პროფესორი კოტე ტოტოჩავა, რომელმაც დეკანის მოადგილეობა შემომთავაზა და 10 წლის განმავლობაში დავეყავი ამ თანამდებობაზე. შემდგომში დეკანი გახდა კოლორიტული ფიგურა, პროფესორი ტიტე ყანჩაველი, რომელთან ერთად ბევრი რამ გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს ფაკულტეტი გვექცია სწავლისა და აღზრდის ერთ-ერთ ჩინებულ კერად.

სწორედ მის ბაზაზე ჩამოყალიბდა დღევანდელი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, რომელიც სხვადასხვა სახელწოდებებით ფუნქციონირებდა და დღეს წარმოადგენს ერთ-ერთ დიდ სასწავლო-სამეცნიერო და ორგანიზაციულ ერთეულს 5 ათასზე მეტი სტუდენტით და 500-მდე პროფესორ მასწავლებლით. ფაკულტეტის დეკანები სხვადასხვა დროს იყვნენ ა. ცინცაძე და ქ. ქოქრაშვილი. ამჟამად ფაკულტეტს ხელმძღვანელობს პროფესორი რ. ქუთათელაძე.

– როგორი წარმატებით ხვდებიან ამ საიუბილეო თარიღს ჩვენი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მეცნიერები, პროფესორა?

– დღეისათვის ფაკულტეტზე 100-ზე მეტი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა მოქმედებს. მრავალი ჩვენი კურსდამთავრებული წარმატებით საქმიანობს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში. ფაკულტეტზე ბოლო წლებში არა ერთი საინტერესო სადოქტორო დისერტაციაა დაცული ისტორიის, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის, სამართალმცოდნეობის, ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების, ფილოლოგიის და სხვა პრობლემებზე.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული საკონკურსო შერჩევის შედეგად ფაკულტეტზე შეირჩნენ პროფესიონალიზმის და ღირსების მქონე პროფესორ-მასწავლებლები – ყველა თაობის წარმომადგენლები.

– საინტერესოა თქვენი აზრი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის და აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის ისტორიის შესახებაც, როგორ მიღწევები გვაქვს, რა ჟურნალები გამოიცემა?

– რაც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტს, ის 2006 წლიდან ჩამოყალიბდა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების, საქართველოს ისტორიისა და კულტურის, და ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კათედრების ბაზაზე და ამჟამად აერთიანებს 100-ზე მეტ კონკურსში გავლილ, მოწვეულ და საათობრივი ანაზღაურებით მომუშავე პროფესორ-მასწავლებელს და თანამშრომელს. ბევრი მათგანი გამოირჩევა ღრმა პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობის გრძნობით და ღირსებით. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: ნ. ხაზარაძე, რ. მიშველაძე, გ. გაჩეჩილაძე, ვ. შუბითიძე, თ. გრიგოლია, მ. პაპაშვილი, ა. სონდულაშვილი, გ. მჭედლიშვილი, ჰ. კუპრაშვილი, ს. სიგუა, გ. ინანიშვილი, ვ. ჭიაურელი, ტ. რეხვიაშვილი, თ. ფანჯიკიძე, ქ. ჯიჯეიშვილი, მ. ამირგულაშვილი, მ. ყიფიანი, მ. გურამიშვილი, ნ. ლომიძე, მ. დარჩაშვილი, ე. გვენეტაძე, ზ. კვენეტაძე, რ. გაფრინდაშვილი, ს. ხიზანიშვილი, დ. ფოცხვერაშვილი, ი. კეცხოველი, ხ. ჩაფიჩაძე, ნ. გომართელი, თ. ხოხობაშვილი, მ. მესხია, მ. ქუთათელაძე, კ. კუტუბიძე, გ. ხეომვილი, ნ. ბახსოლიანი, ნ. ჯორჯიკია, დ. ცუცქირიძე, ნ. ზაალიშვილი, ხ. თოდაძე, მ. აბუთიძე და სხვები.

სიამოვნებით ვიგონებ ტექნიკური უნივერსიტეტის ძველ თაობას, ჩემს მასწავლებლებს და უფროს მეგობრებს და კოლეგებს, რომლებიც ღირსეული ადამიანები იყვნენ, უყვარდათ და პატივს სცემდნენ უმაღლეს მასწავლებელს, თავიანთ სამშობლოს – საქართველოს. ეს იყო დიდი თაობა, ნამდვილი კოლორიტები. ერთ-ერთი მათგანი ახლაც ცოცხალია, 90 წელს მიღწეული ოთარ აბუთიძე, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა კეთილშობილებით, სიმართლით და პატიოსნებით. არ შეიძლება პატივი არ მიაგო „დაუბერებელ“ ბორის იმნაძეს, გამორჩეულ პიროვნებას, უნივერსიტეტის კოლორიტს და სახელოვან მეცნიერს. შეუძლებელია ტექნიკური უნივერსიტეტის საიუბილეო ჟამს არ გაიხსენო გრიშა ბრეგაძე, ნიკო ქორთუა, კოტე ტოტოჩავა, ბორის გუბელიძე, ვახტანგ გაგოიძე, ზურაბ ჩხენკელი, ვალიკო მეიფარიანი, ნესტორ რეხვიაშვილი, შალვა გულორდავა, ზაურ ბაბუნაშვილი, ვარლამ ქაცარავა, ნოდარ მებონია, სეით სიმონგულოვი, კირილე აქუზარდია, პეტრე გიორგაძე, ილია გოქაძე, ვალერიან ბენიძე, პროკოფი ნოზაძე, გურამ მეტრეველი, მარადი ხეცურიანი, სოსო ჟღენტა, ლევან ჩიქოვანი, გუგუზი ჯორჯიკია, შოთა თეთვაძე, ბონდო გაბრიაძე, ვლადიმერ ჭანუყვაძე, გივი მარუაშვილი, ნუგზარ გაბრიჩიძე და სხვ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის რაოდენობა, წიგნების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სალექციო კურსების, სამეცნიერო წერილებისა თუ სტატიების სახით 1000 აჭარბებს. მრავალი მათგანი იბეჭდება უცხოურ გამოცემებში. დეპარტამენტის ინიციატივით

ორ წელიწადში ერთხელ ტარდება საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „მსოფლიო და კავკასია“. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები, როგორც ექსპერტ-ანალიტიკოსები, ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა სატელევიზიო არხებს, იბეჭდებიან ქართულ პრესაში.

– თქვენ მიერ დაარსებული საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“ შარშან 20 წლის გახდა, ვრცელდება ოცზე მეტ ქვეყანაში. რა საიხლით გამოირჩევა იგი თუნდაც მისი დაარსების-დრონიდელი ნომრებისაგან?

– დეპარტამენტის ინიციატივით აღდგა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნებართვით დაარსებული, საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“. ახლახან გამოვიდა მისი 25-ე ნომერი, რომელშიც ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა ამერიკელი დოქტორანტის საინტერესო წერილი. დეპარტამენტის თაოსნობით განახლდა ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალის „პარარელი“-ს გამოცემაც, რომლის მთავარი რედაქტორია გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი და მეცნიერი რევაზ მიშველაძე.

– რა მეცნიერული წარმატებებით გამოირჩევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ?

– დეპარტამენტში სწავლება სამივე საფეხურზე მიმდინარეობს. აქ ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების საბაკალავრო და საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის, ევროპა-ამერიკათმცოდნეობის და კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო და სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამები.

– ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს ახალი საუნივერსიტეტო დისციპლინები ხომ არ დაემატა?

– აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებს სალექციო კურსები მიჰყავთ სხვადასხვა ტექნიკურ ფაკულტეტებზეც, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ აირჩიონ ზოგადი საუნივერსიტეტო საგნები: საქართველოს ისტორია და კულტურა, პოლიტოლოგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია. ბოლო ორი წელია სტუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ზოგად საგნებს დაემატა საინტერესო კურსი „კულტუროლოგია“, რომელსაც კურატორობს სრული პროფესორი რევაზ მიშველაძე. ჩვენმა ავტორთა კოლექტივმა გამოსცა სახელმძღვანელო კულტუროლოგიაში. დაიბეჭდა რ. მიშველაძის წიგნები „კულტურა და თანამედროვეობა“, „კულტურა და პოლიტიკა“, გამოვიდა ს. სიგუას ორტომიანი ნაშრომი „კულტუროლოგიის საფუძვლები“.

– სტუდენტთა რაოდენობისა და ცოდნის ხარისხის შესახებ რას იტყვით?

– თანამედროვე სასწავლო პროცესი ახალ მიდგომებს მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობაში. პროფესორი ცოდნით და ზნეობით აღსავსე უნდა შედიოდეს აუდიტორიაში, უნდა უყვარდეს და პატივს სცემდეს სტუდენტს, რომელსაც არ შეიძლება დღეს მონოტონური და გაუგებარი ლექცია მოახვიო თავს, აზრთა ურთიერთგაცვლისა და დიალოგის გარეშე. დღეს შემოქმედებითი ანუ როგორც იტყვიან კრეატიული აზროვნებაა საჭირო.

– რას შეცვლიდით ან დახვეწდით სტუდენტისა და ლექტორის ურთიერთობაში საგანმანათლებლო კუთხით?

– უმაღლესი სასწავლებელი მთლიანად დეპოლიტიზირებული უნდა იყოს და არ უნდა გახდეს რომელიმე პარტიის საბუდარი. ტექნიკურ უნივერსიტეტს ახლა დადებითი ტრადიციების აღორძინების, აღმავლობის პერიოდი უდგას. აქეთ არის მიმართული რექტორის და მისი სასწავლო-სამეცნიერო და ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობაც.

ყველამ თავისი საკეთებელი საქმე უნდა აკეთოს და ამისათვის პასუხისმგებლობის ტვირთიც უნდა ზიდოს. უცხოეთის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტი ისე ამთავრებს საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებს, რომ მას ამისათვის დეკანის „შეწუხება“ არ სჭირდება. მით უმეტეს, რექტორის. სასწავლო პროცესის მთელ მიმდინარეობას დეპარტამენტი ან კათედრა ხელმძღვანელობს, რომელიც უდავოა, ყველაზე უფრო მეტად იცნობს თავისი სტუდენტის ცოდნის დონეს, შემოქმედებით უნარ-ჩვევებს და ზნეობრივ სახეს. ვფიქრობ, ჩვენი დეპარტამენტი ამ გზით უნდა წავიდეს, ახალი სტატუსი შეიძინოს და მეტი ავტონომიურობა მიიღოს ფაკულტეტის სივრცეში. ასეთია სწავლისა და სწავლების დღევანდელი პარადიგმა.

– რას უსურვებდით თქვენს კოლეგებსა და სტუდენტობას?

– ბატონო ბადრი, დიდი მადლობა, რომ შესაძლებლობა მომეცით შევხმიანებოდი ტექნიკური უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს. როგორც კონფუცი იტყოდა: „**მეცნიერთა მელანს ღმერთი ისე აფასებს, როგორც წამებულთა სისხლს**“. მასწავლებლისა და მოძღვრის გზა ძალიან რთულია, ზოგჯერ დაუფასებელიც, ისინი განებივრებულები არ არიან დიდი კეთილდღეობით და ოქროს მთებით, მაგრამ რუდუნებით აკეთებენ საქვეყნო საქმეს და არ კითხულობენ, თუ რა შეუძლია საკუთარმა ქვეყანამ მათ მისცეთ, ისინი თავის თავს ეკითხებიან, თუ რისი გაღება შეუძლიათ მათ საკუთარი ქვეყნისათვის. ეს კი არის ცოდნის გაცემა. მით უმეტეს, ცივილიზაციის ისტორია რვა სიტყვით გამოითქმის: **– რაც უფრო მეტი იცი, მით უფრო მეტი შეგიძლია.**

– ბატონო იგორ, კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს, ასევე თქვენი სამეცნიერო ჟურნალის „საისტორიო ვერტიკალების“ ოცი წლისთავს.

– გმადლობთ.

ინტერვიუს უძღვებოდა პროფ. ბადრი ცხადაძე



ნ. გელაშვილი, მ. ოზგაძე, ვ. მეიფარიანი, დ. კოლაძე, ი. მაცაბერიძე, ე. კაკაურიძე, ნ. ჯალაღანია, ლ. ბურბურაძე, ნ. ჩაჩუა, ზ. როსტომიშვილი, ნ. ბურბურაძე, ა. ბურბურაძე, მ. ხუციშვილი, მ. კვიციანი, ვ. დავითაშვილი, ბ. დობოჯანიძე, ს. ხიზანიშვილი, ჯ. კორძია, ვ. ლასხიშვილი, ტ. ყანაშვილი, ნ. კასრაძე, ნ. ბიჭიანი, ზ. ზუბიაშვილი, დ. მაღლაკელიძე, ტ. შაფათავა, ნ. ხურცილავა,

1. გ. ჯორჯიკია, 2. მ. ესიტაშვილი, 3. ა. ნ. რეხვიანი, 4. ვ. რამიშვილი, 5. ვ. დვალა, 6. რ. რეხვიანი, 7. ვ. კორჩინსკი, 8. მ. ფლენტი, 9. ვ. ჭიაურელი, 10. ა. ბამელიძე, 11. ლ. ჩიქოვანი, 12. ანზორ ჩინჯალაძე, 13. ტ. რეხვიანი, 14. გ. მოსწრაფიშვილი, 15. ალ. კაკულია, 16. აკ. კობაძე, 17. თ. ლუტიძე, 18. ა. პოპიაშვილი, 19. მ. გველეხიანი, 20. რ. დობრაძე, 21. გ. ტალახაძე, 22. ვ. კვიციანი, 23. კორ. აქუზარდია, 24. ნამ. კოსთაშვილი, 25. ვარ. ქარცხავა, 26. ბ. დეკანოზი, 27. დ. თაქაიშვილი, 28. ა. მამაშვილი, 29. ზ. ბერკეშვილი, 30. ნ. ბულბუაძე, 31. რ. ანდრიაშვილი, 32. ლ. ლორია, 33. ნ. ფლარკავა, 34. ვ. ლაფერაშვილი, 35. დ. ბატიაშვილი, 36. რ. გაფრინდაშვილი, 37. დ. ფოცხვერაშვილი, 38. ნ. სირაძე, 39. ვ. ბაგოიძე, 40. ჯ. ოშიანი, 41. ნ. სიხარულიძე, 42. ნ. კიკნაძე, 43. ნ. გელაშვილი, 44. ოზგაძე, 45. ბ. როსტომიშვილი, 46. ვ. დავითაია, 47. ზოლია ვარდენიკა, 48. გ. კიკნაძე, 49. ბ. დობოჯანიძე, ტ. ყანაშვილი, 50. გ. კიკნაძე, 51. ზ. როსტომიშვილი, 52. ვ. დავითაშვილი, 53. ზოლია?

მწერლობა და ტექნიკური უნივერსიტეტი

ხომ განუზომელია ჩვენი იუბილარი უნივერსიტეტის წვლილი ინჟინერთა კადრების აღზრდაში, ხომ სწორუპოვარი აღმოჩნდა ტექნიკურ სიახლეთა შემუშავებასა და წარმოებაში დანერგვის მიმართულებით საქართველოს ყველაზე დიდი უნივერსიტეტის მიერ შესრულებული როლი, მაგრამ ამასთან ერთად შეიძლება სიამაყით ვილაპარაკოთ ქართული კულტურის ისტორიაში ე.წ. `გეპეი--ს მიერ ჩაწერილ არაერთ სახელოვან ფურცელზე. ტექნიკური უნივერსიტეტის კედლებში დაბადებული და აღმოცენებული (უნიკალური ჯაზ-ორკესტრი, `ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი-, `კვარტეტი-, `სექსტეტი-, `დრამატული თეატრი-...) ათეული წლების განმავლობაში ამინდს ქმნიდნენ ქართულ სამუსიკო და თეატრალურ ხელოვნებაში, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტერატურული ძალები დღესაც ორიგინალურ სამწერლო ინდივიდებად ემატებიან ჩვენს მწერლობას.

ამ წერილში ორიოდე სიტყვით ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტერატურულ ცხოვრებაზე შევჩერდებით.

მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ 1928-44 წლებში პოლიტექნიკური ინსტიტუტის უცხო ენების კათედრის გამგე გახლდათ და გერმანულ ენას ასწავლიდა დიდი ქართველი მწერალი, ქართული იმპრესიონიზმის მამა ნიკო ლორთქიფანიძე. სულიერი არისტოკრატიაში, უაღრესად ორიგინალური ლიტერატურული სტილი და, რაც მთავარია, მაღალი პატრიოტული შეგნება, საქართველოს დაღვრემილი ჭირისუფლის პოზიცია ნიკო ლორთქიფანიძეს განსაკუთრებულ ადგილს უჩენს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ლიტერატურულ ელვარებას და მკითხველზე ზემოქმედების მაგიურ ძალას ათეული წლების განმავლობაში არ კარგავენ სამშობლოს ბედით შეწუხებული მწერლის რომანები და მინიატურები: `იყიდება საქართველო-, `ტრაგედია უგმიროდ-, `შელოცვა რადიოთი-, `ბებრები-, `ბილიკებიდან ლიანდაგებზე-, `ჟამთა სიავე- და სხვანი. სწორედ რომ, ლამის ორი ათეული წლის განმავლობაში ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის მაღალი ტრიბუნიდან ელაპარაკებოდა მთელ საქართველოს (და თუ გნებავთ, მთელ სამყაროს) პროფესორი ნიკო ლორთქიფანიძე და უნერგავდა როგორც თავის სტუდენტებს, ასევე ფართო მკითხველსაც მაღალი ზნეობრიობის, სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის მუხლჩაუხრელი ბრძოლის იდეებს.

გარდა ნიკო ლორთქიფანიძისა, საყოველთაოდ ცნობილ ქართველ მწერალთაგან ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტი დაამთავრა გურამ ფანჯიკიძემ. გურამ ფანჯიკიძე დამთავრებისთანავე დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში ასპირანტად და, ამავე დროს, ხუთი წლის განმავლობაში რედაქტორობდა უნივერსიტეტის გაზეთს `პოლიტექნიკური ინსტიტუტი-. შემდეგ გურამ ფანჯიკიძე გადაყვანილ იქნა `ცისკრის- პასუხისმგებელ მდივნად, ერთხანს მუშაობდა გამომცემლობა `საქართველოს-დირექტორად და მთელი ათი წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა საქართველოს მწერალთა კავშირს. გურამ ფანჯიკიძის, როგორც გამოჩენილი პროზაიკოსის და პუბლიცისტის შემოქმედება საეტაპო ფურცელს წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მისი რომანები: `მეშვიდე ცა-, `თვალი პატიოსანი- და `სპირალი- ითარგმა მსოფლიოს მრავალ ენაზე და კრიტიკის მიერ შეფასებულ იქნა როგორც მხატვრული მატრიანე XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებისა. ამ ნაწარმოებებისთვის გურამ ფანჯიკიძეს რუსთაველის პრემია მიენიჭა. ასევე თვალსაჩინოა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გურამ ფანჯიკიძის, როგორც საზოგადო მოღვაწის იერსახე. მას გვერდს ვერ აუვლის ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი.

დღესაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართველ მწერალთა უაღრესად საინტერესო რაზმი მოღვაწეობს.

კულტუროლოგიის მიმართულების სრული პროფესორია საყოველთაოდ ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე სოსო სიგუა. სოსო სიგუა ფართო მკითხველისათვის უპირველეს ყოვლისა, ცნობილია თავისი ოთხტომიანი მონოგრაფიით `კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება-, რისთვისაც მის ავტორს დამსახურებულად მიენიჭა სახელმწიფო პრემია. სოსო სიგუა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების უაღრესად ავტორიტეტული მკვლევარია და სწორედ მან შეძლო დაენახა კომპლექსურად დიდი ქართველი მწერლის შემოქმედება და მისთვის მიენიჭებინა სამუდამო ადგილი ქართული მწერლობის და ქართული ცნობიერების ისტორიაში. ამის პარალელურად სოსო სიგუა ათეული წლების განმავლობაში იკვლევს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს და ცალკე წიგნებად გამოცემული მისი ლიტერატურული სტატიები დიდი პოპულარობით სარგებლობს. ქართული ლიტერატურის კრიტიკულ სინდისს უწოდებენ სოსო სიგუას მისი წიგნების შემფასებლები. აქვე უნდა მივუთითოთ სოსო სიგუას შემოქმედებაში არსებულ ერთ მეცნიერულ სიახლეზე. ამ ბოლო დროს სოსო სიგუას, როგორც კრიტიკოსის და ლიტერატურათმცოდნის ტიტულს კულტუროლოგიის საპატიო ტიტულიც დაემატა. იგი არის თანაავტორი დღემდე ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილი ერთადერთი კულტუროლოგიის სახელმძღვანელოსი და სულ რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში მანვე შეძლო დაეწერა და გამოეცა `კულტუროლოგიის საფუძვლების- ორი ფრიად სოლიდური ტომი.

ტექნიკური უნივერსიტეტის კულტურული პროფესორია ცნობილი კრიტიკოსი და უზადო სტილისტი მურმან თავდიშვილი. მურ-

მან თავდიშვილმა ათეული წლების განმავლობაში მიგვაჩვია დიდი გემოვნებით, ობიექტურობით და მეცნიერული სკრუპულოზურობით გამორჩეულ სტატიებს. უახლესი ქართული ლიტერატურის ნიმუშების მისეული შეფასება ყოველთვის იწვევს მკითხველის ინტერესს, რადგანაც მათი ავტორის სახით ჩვენს წინაშე დგას მიუდგომელი, ობიექტური და შეუმცდარი არბიტრი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა. მურმან თავდიშვილი ფართო დიაპაზონის სწავლული გახლავთ. მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ავტორიტეტული აკადემიკოსების მიერ შეგნებით თუ შეუგნებლად დამახინჯებულ `ვეფხისტყაოსანს`- და არა მარტო ფხიზელ გუშაგად უდგას ჩვენი უპირველესი წიგნის ტექსტს, არამედ ორჯერ გამოსცა უაღრესად საინტერესო `ვეფხისტყაოსნის` დაფანტული სტროფები-, რომელიც ჩემის ფიქრით, საფუძვლად უნდა დაედოს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის ყოველ შემდგომ გამოცემას. გარდა ამისა, მურმან თავდიშვილმა უკანასკნელ წლებში რუსთველოლოგია კიდევ ორი ფრიად ორიგინალური ნაშრომით გაამდიდრა, ესენია: `რუსთაველი და ნიჟამი განჯელი`- და `რუსთაველი და ფირდოუსი`-.

სპეციალობით ქიმიკოსი და მოწოდებით ნიჭიერი მწერალია ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, რეზო კლდიაშვილი. დავით კლდიაშვილის შთამომავალთა ოჯახში აღზრდილი ბატონი რეზო წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას. ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ სალიტერატურო პრესაში გამოქვეყნებული მისი მოთხრობები აღბეჭდილი იყო მახვილი თვალით დანახული შთამბეჭდავი ხასიათებით და იმერული კოლორიტით. რამდენიმე წლის შემდეგ კი ქართული თეატრი თითქმის ერთბაშად დაამშვენა მისმა გახმაურებულმა პიესებმა: `საპოვნელამ`-, `იადონას თეატრმა`-, `მარტოობის ბინადარმა`- და `ზარატუსტრას ჟამმა`-. დრამატურგიის ურთულეს ჟანრში რეზო კლდიაშვილის ცდები წარმატებით დაგვირგვინდა. იგი დღეს ჩვენი თეატრების სასურველი ავტორი და საინტერესო თანამდგომელია.

ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტერატურულ ცხოვრებას წლების განმავლობაში ამშვენებდა ამავე უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, აწ უკვე ცნობილი მწერალი და, ამავე დროს, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი. ზაალ სამადაშვილის მოთხრობები და მინიატურები ლაპიდარობით, სათქმელის ნათლად გამოხატვით, მხატვრული სახეობრიობით, ხალასი, გამართული ქართულით და შთამბეჭდავი ხასიათებით ავტორს განუმეორებელ ადგილს ანიჭებს თანამედროვე ქართულ მწერლობაში. თუ ამას დავუმატებთ მის ქვეყნისთვის უაღრესად სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობას, დავრწმუნდებით, რომ ზაალ სამადაშვილის სახით ჩვენს ქვეყანას ტექნიკური უნივერსიტეტის ბუდიდან აფრენილთაგან გამორჩეული მწერალი და უანგარო მოღვაწე ჰყავს.

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესურას სახელოვნად წარმოადგენენ ცნობილი ქართველი მეცნიერები და ლიტერატურისმცოდნეები: ქალბატონი ეკა ცხადაძე და ბატონი ბადრი ცხადაძე. ქალბატონი ეკა უაღრესად ნიჭიერი კრიტიკოსი გახლავთ, ხოლო ბადრი ცხადაძე, გარდა მეცნიერული

საქმიანობისა, დრამატურგიაშიც ცდის კალამს და ამასწინათ, `პარალელის-#3-ში გამოქვეყნებულმა პიესამ `გენიუს ლოც (`ადგილის დედა-)- მკითხველთა ინტერესი დაიმსახურა.

პროფესორი გიორგი გაჩეჩილაძე რამდენიმე წელია ტექნიკური უნივერსიტეტის პედაგოგიურ კოლექტივს პროფესორის მანტიით მოეწვინა. იგი ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი როგორც ორიგინალური სტილის ესთეტი კრიტიკოსი და თავისი ორთოდოქსული პოლიტიკურ-ფილოსოფიური შეხედულებებით გამორჩეული პიროვნება.

ჟურნალისტთა კადრების დაოსტატებას ამაგს სდებს ცნობილი ქართველი მეცნიერი, ნოდარ ტაბიძე. იგი გალაკტიონ ტაბიძის ძმისშვილი და თავის დიდ ბიძაზე დაწერილი არაერთი საინტერესო წიგნის ავტორი გახლავთ. ამავე დროს, ცნობილია ფუნდამენტალური ნაშრომებით ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საკვანძო საკითხების შესახებ.

ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურისა და აკადემიური წერის კათედრას ხელმძღვანელობს ნიჭიერი ლიტერატურათმცოდნე პროფესორი თემურ ჯაგოდინიშვილი. მისი უაღრესად საინტერესო ნაშრომი ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაზე დღემდე შეუცვლელ წიგნად ითვლება მეცნიერების ამ დარგში.

საქმეში ჩახედულ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ პროფესორი ზურაბ ხასაია არა მარტო ავტორიტეტული პროფესორია, იგი ცნობილი პოეტი და მთარგმნელიც გახლავთ. ბატონი ზურაბი ლექსების არა ერთი კრებულის ავტორია და მისი პოეტური შემოქმედება გამოირჩევა ჩვენი თანამედროვის სულიერ ლაბირინთში ღრმა წვდომითა და მხატვრული განზოგადების თვალსაჩინო უნარით.

ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან სახელი და დიდება მოუტანა მშობლიურ უნივერსიტეტს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, ცნობილმა ქართველმა პოეტმა, ბალათერ არაბულმა. ბალათერ არაბულის შემოქმედება, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, საინტერესო ორიგინალურ ეტაჟს წარმოადგენს ქართულ პოეზიაში. აღსანიშნავია პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, რომლითაც ბალათერ არაბული თავის თითოეულ ნაწარმოებს ეკიდება. პოეტმა უკვე შეძლო მიეპყრო მკითხველთა ფართო აუდიტორიის გულისყური და თავისი ნათელი მოქალაქეობრივი პოზიციით ხაზგასმული ეროვნულობით ქართველი ერის სულის მესაიდუმლე გამხდარიყო.

ტექნიკურ უნივერსიტეტს კიდევ ერთი საქვეყნოდ გახმაურებული პუბლიცისტი ამშვენებს. ეს გახლავთ ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, დემიკო ლოლაძე. დემიკო ლოლაძის პუბლიცისტური წიგნები ცნობილ ქართველ სპორტულ მოღვაწეებზე და მის მიერ დიდი სიყვარულითა და უანგარობით შექმნილი ფოტომატიანე მაღალი პროფესიონალიზმით და, რაც მთავარია, მასალის ღრმა ცოდნით ჯანსაღი ფსიქოლოგიზმით ხასიათდება.

ვაჟა ოთარაშვილმა ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა. იგი სწორედ ამ უნივერსიტეტის კედლებიდან გავიდა ლიტერატურული და საზოგადო-

ებრივი ცხოვრების ფართო შარაგზაზე. ვაჟა ოთარაშვილი ომახიანი ხმის და მაჟორული პუბლიცისტური ჟღერადობის პოეტია. მის ყოველ ახალ წიგნს მოუთმენლად ელოდება ჩვენი მკითხველი, რადგანაც მასში პოულობს პასუხს ჩვენი დრამატული ცხოვრების ამა თუ იმ მხარეზე.

გონებამახვილური, სოციალური პრობლემატიკით გამოირჩევა სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორის ალექსო ნაცვლიშვილის პამფლეტები და მოთხრობები. განსაკუთრებით საინტერესოა ალ. ნაცვლიშვილის ერთ წიგნად შეკრული ორი მოთხრობა „ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს“ და „დაუპატიჟებელი სტუმრები“ (რედაქტორი პროფ. მურმან თავდიშვილი). გარდა ამისა, ავტორი მუსიკალური ნიჭითაც არის დაჯილდოებული, ბევრს ემახსოვრება მისი მუსიკალური ნაწარმოებები მისივე შესრულებით „ტელეკომპანია 202“-ზე.

ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტერატურული ცხოვრების სრული სურათი ვერ წარმოიდგინება ამავე უნივერსიტეტის პროფესორის, პოეტ ალი გუგუციძის გარეშე. ალი გუგუციძის შთამბეჭდავი პოეზია ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების ლირიკული მატეანის ორიგინალურ ფურცელს წარმოადგენს. ალი გუგუციძეს გვერდით უდგანან იუბილარი უნივერსიტეტის ბუდიდან აფრენილი აწ უკვე ცნობილი მწერლები: ვაჟა ჩორდელი, ვია ლომაძე ავთანდილ სიხარულიძე, ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში მათი საქმიანობა ნათელ, ქვეყნისთვის სასარგებლო კვალს ამჩნევს ქართულ კულტურას.

ათეული წლების განმავლობაში ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწე ლიტერატორთა ტრიბუნას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“- „პარალელი“- დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წვეტილად, 2011 წლიდან კი უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის თაოსნობით აღდგა „პარალელის“- გამოცემა და ამავე დროს დაარსდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანება. სიახლე, რომელიც ახასიათებს ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტერატურულ ცხოვრებას და ჟურნალ „პარალელს“- ამჟამად ის გახლავთ, რომ ჟურნალის ფურცლებზე გვერდიგვერდ იბეჭდებიან როგორც პროფესორები (როზა გაფრინდაშვილი, ირმა კეცხოველი, ზურაბ ჯოხარიძე, დოქტორანტი ცოტნე სივსივაძე...), ასევე სტუ-ს სტუდენტები: გეგა აბულაძე, ავთო ონიაშვილი, დიანა კაპანაძე, რუსუდან კილასონია, თეონა გიგაური, ბელა კოკაია, ნინო მორჩილაძე, ანა ბარბაქაძე, დიმიტრი შარიქაძე, საბა სალუქვაძე, მიხეილ რამაზაშვილი, ლიკა მუკბანიანი, თეა ხაჩიძე, ნანა ბაიდაური, ნათია მესხიშვილი, ქეთი თელია და სხვები.

ტექნიკური უნივერსიტეტის კედლებში მიმდინარე საინტერესო ლიტერატურული ცხოვრება ხვალ უკეთეს ამინდს გვიქადის, რაც დასტური გახლავთ იმისა, რომ 90 წლის ქართული უნივერსიტეტი არა მარტო ტექნიკურ-საინჟინრო კადრების, არამედ ახალგაზრდა ქართველი მწერლების აღზრდისა და დაოსტატების სკოლაც გახლავთ.



vaJa papaskiri

სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც ასაკით უნივერსიტეტის თანატოლია, ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი და მრავალდარგოვანი წიგნთსაცავია, რომლის საბიბლიოთეკო ფონდი შედგება როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო ერთეულებისაგან.

გამომდინარე უნივერსიტეტის პროფილიდან, წიგნთსაცავის საბიბლიოთეკო ფონდში პრიორიტეტულია ტექნიკური ლიტერატურა, თუმცა ბოლო წლებში უნივერსიტეტში ჰუმანიტარული სპეციალობების შემოღებამ განაპირობა მისი ფონდის უფრო მეტად უნივერსალური სტრუქტურა. (ბიბლიოთეკის დაარსებიდან დღემდე მისი წიგნადი ფონდი შეადგენს – 2 253 234 საბიბლიოთეკო ერთეულს, მათ შორის 1 726 467 წიგნსა და 5 26767 პერიოდულ გამოცემას).

საცავებში განთავსებული ლიტერატურა, თავისი შემადგენლობითაც და უნიკალურობითაც გამორჩეულია. იგი მოიცავს ტექნიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებების თითქმის ყველა დარგს, მათ შორის პრიორიტეტულია ისეთი მიმართულებები, როგორცაა: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, სამთო, სამშენებლო და საინჟინრო საქმე, მანქანათმშენებლობა, საინფორმაციო და გამოთვლითი ტექნიკა, ენერგეტიკა და ელექტროტექნიკა, სატრანსპორტო მეურნეობა, არქიტექტურა, მეტალურგია და კავშირგაბმულობა.

წიგნადი ფონდის შემადგენლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა წიგნების ელექტრონული ვერსიების წილი, რომელთა რაოდენობამ დღეისათვის შეადგინა 5800 ერთეული. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფონდი ამჟამად ყველაზე უფრო გამოყენებადი და მზარდია, რადგანაც ამ ფონდით სარგებლობა სტუდენტთათვის უაღრესად გამარტივებულია, მას შეუძლია ინტერნეტით მიიღოს ნებისმიერი ელექტრონული საბიბლიოთეკო ერთეული, მისთვის სასურველ დროსა და სივრცეში.

ამჟამად ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების ენობრივ შემადგენლობაში პრიორიტეტი ენიჭება ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოცემულ ლიტერატურას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბიბლიოთეკო ერთეულების მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულ ენაზეა გამოცემული, აქ ასევე შეხვდებით ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, პოლონურ, ჩეხურ და სხვა ენებზე გამოცემულ სხვადასხვა სახის ლიტერატურას. ცენტრალური ბიბლიოთეკის ფონდში დიდი რაოდენობითაა დაცული უძველესი და თანამედროვე ენციკლოპედიური გამოცემები, ლექსიკონები (P. Larousse, Grand Dictionnaire Universel, Paris, 1891წლიდან, 33 ტომი), (Brockhaus Ronderfatons Letikon, Berlin 17 ტომად

1894 წლიდან, გერმანული გამოცემა), (ბროკჰაუზის რუსული გამოცემა – Энциклопедический словарь. Спб. 1905 წლიდან 82 ტომად.), (Annales Des Ponts Et Chaussées, Paris, 69 ტომი, 1856 წლიდან), (ენციკლოპედია “Промышленность и техника”, Спб, 1903 წლიდან 40 ტომი) და სხვადასხვა – სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების სამეცნიერო შრომები, მათ შორის პრიორიტეტულად, ტექნიკური უნივერსიტეტისა.

ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ასევე გააჩნია 4200 ერთეული, გამორჩეულად უნიკალური, რარიტეტული ლიტერატურა, რომელიც თავისი შემადგენლობით უაღრესად მრავალფეროვანია და საინტერესო, კერძოდ, აქ ნახავთ XVIII-XIX სს. ევროპულ, რუსულ და ქართულ უნიკალურ გამოცემებს ტექნიკის მრავალ მიმართულებაში, ასევე უძველეს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ფილოლოგიურ კვლევებს, რომელთა შორის ზოგიერთი ქვეყანაში თითო ეგზემპლარადაა შემონახული. აქვე იხილავთ XVIII-XIX სს. ევროპულ პერიოდულ გამოცემებს მანქანათმშენებლობაში (Publication Industrielle des Machines, Outils et Appareils, 1866, 1879, 1882, 1883, 1884, Paris); სატრანსპორტო საქმეში (Die Eisenbahn – Heft I und II, 1873, Berlin.); მშენებლობაში (Allgemeine Bauzeitung. Wien, 1880, Zeitschrift für Bauwesen 1861, 1870, 1876, 1886, 1888 – Berlin); არქიტექტურაში (Zeitschrift des Architekten-und Ingenieur, 1831, 1863, 1864, 1871, 1872, 1878 – Vereins. Hannover) ნავთობის მრეწველობაში (Das Kaukasische Erdöl. Halle, 1892, Voitures Automobiles Voitures A Petrole – Paris, 1899), სამთო საქმეში (Горный журналъ 1861, 1865, 1866, 1870, 1871, 1883 С.-Пер.) და სხვა.

ამავე ფონდში ინახება კავკასიაში პირველი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დაარსების ისტორია, რომელიც შექმნილია 1912-1914 წწ. კავკასიის მთავარმმართველის გრაფი ი.ი. ვარანცოვ-დამკოვის ბრძანებით და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ე.წ. რუდოლფის შესრულებით ორ ტომად, სადაც დაწვრილებითაა მოცემული ამ სასწავლებლის დაარსების აუცილებლობა და მიზნები მისი მთელი სტრუქტურა – ფაკულტეტები და მიმართულებები, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა.

ყველაზე უძველესი წიგნი, რომელიც ინახება ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დათარიღებულია 1770 წლით – “Cours de mathematiques, Paris, 1770”.

ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, ყოველ ფაკულტეტზე გააჩნია საბიბლიოთეკო ფილიალი, სადაც განთავსებული ლიტერატურა, ფაკულტეტის სპეციფიკითაა განსაზღვრული, ამის გარდა, თითოეული ფაკულტეტი ასევე ღებულობს მისთვის სასურველი საბიბლიოთეკო ერთეულის ნებისმიერ ეგზემპლარს, ფაკულტეტებისავე შეკვეთებით ხორციელდება ბიბლიოთეკის ფონდის ახალი გამოცემებით შევსება.

2012 წლის 6 თებერვალს ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რესტავრირებულმა და განახლებულმა ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, რომელიც გახსნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა დავით ბაქრაძემ და საქართველოს განათლების (აწ უკვე ყოფილმა) მინისტრმა ბატონმა დიმიტრი შაშკინმა.

სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკას ა.წ. 19 მარტს ეწვია და სტუდენტებს შეხვდა საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მივიღეთ სრულიად განახლებული და ტექნიკურად აღჭურვილი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი, რომელსაც შეუძლია ერთდროულად მიიღოს 300 სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი.

ცენტრალური ბიბლიოთეკის სტრუქტურულ შემადგენლობაშია ოთხი დარბაზი, საკუთარი, ღია ფონდითა და თავისუფალი დაშვებით, სადაც ნებისმიერ მკითხველს შეუძლია მისთვის სასურველი ლიტერატურით უშუალოდ სარგებლობა. დარბაზთა შორის მოდერნიზებულით გამოირჩევა საბუნებისმეტყველო მიმართულების წიგნებისა და წიგნების ელექტრონული ვერსიების დარბაზი, სადაც მკითხველის განკარგულებაშია ინტერნეტის ქსელში ჩართული 100 კომპიუტერი. მკითხველებს ასევე სთავაზობს სამსახურს პერიოდული გამოცემების დარბაზი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის მუდმივად ღიაა საკონფერენციო-სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია ცნობილი ამერიკული გამომცემლობის "NOVA" უახლეს წლებში გამომცემული წიგნები, რომელთა ოდენობამ გადააჭარბა 2100 ერთეულს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს საპატრიარქოს და აღნიშნული გამომცემლობის მეპატრონეს ქალბატონ ნადია გოცირიძეს.

აღნიშნული ტექნიკური პროგრესი ბიბლიოთეკას საშუალებას აძლევს ერთდროულად უმასპინძლოს რამდენიმე კონფერენციასა და სემინარს, სწორედ ამგვარი სრულყოფილების გამო, მიმდინარე წელს ბიბლიოთეკაში სამეცნიერო ხარისხი დაიცვა 26 დოქტორანტი და ჩატარდა ორი სამეცნიერო კონფერენცია. ასევე სრულად ახლდება ბიბლიოთეკის სასაცავო მეურნეობა, რომლის განახლების პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

ცენტრალური ბიბლიოთეკა მკითხველთა მომსახურების ტრადიციულ ფორმებთან ერთად დიდი მნიშვნელობას ანიჭებს მომსახურების ახალ ფორმებს – ინტერნეტ მომსახურებას, რითაც ბიბლიოთეკის ნებისმიერ აბონენტს შეუძლია სასურველი ადგილიდან ბიბლიოთეკაში მოუსვლილად გაეცნოს ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგსა და ბეჭდური ერთეულების ელექტრონულ რესურსებს. ასევე მკითხველს საშუალება ეძლევა უფასოდ ისარგებლოს შემდეგი ვებ-გვერდებით: <http://royalsocietypublishing.org>; <http://journals.cambridge.org>; search.epnet.com; <http://www.polpred.com>, რომლებიც მათ მყისიერად დააკავშირებს ამერიკის და ევროპის უდიდეს წიგნთსაცავებთან.

ახლახან ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაინერგა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონული სისტემა "KOHA", რომელმაც მთლიანად, ძირეულად შეცვალა საბიბლიოთეკო მეურნეობა.

დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაერთიანებულია – 14 632 მკითხველი, მათ შორის – 1269 თანამშრომელი (პროფესორ-მასწავლებელი), მაგისტრი და დოქტორანტი – 493; ბაკალავრი – 12870.

გამარჯვებათა პანორამა

ჩვენს დრომდე მოღწეული ქართული არქიტექტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობა ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე მოღვაწეობდნენ მაღალი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ხუროთმოძღვრები. ქართულ საისტორიო წყაროებში მრავლად არის მოხსენიებული მათი სახელები და მათ მიერ შთამომავლობისათვის დატოვებული ზოგადსაკაცობრიო კულტურული ღირებულების მქონე ნაწარმოებები.

საქართველოში მოპოვებული უძველესი არქეოლოგიური მასალები, კერძოდ, IV საუკუნით დათარიღებული ბერძნული წარწერები, მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნის ძველ დედაქალაქ მცხეთას ჯერ კიდევ იმ დროს ჰყოლია ქალაქის ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი – ავრელიოს აქოლისი. საკათედრო ტაძრის – სვეტიცხოვლის კედლის წარწერაში დღემდე შემონახულია XI საუკუნეში მოღვაწე ხუროთმოძღვარ არსუკიდის სახელი. თუმცა, როგორც ჩანს, ქართული ხუროთმოძღვრების უაღრესად ხანგრძლივ და საინტერესო ისტორიას უცხოეთში განსწავლული ადამიანები ქმნიდნენ. XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე კლასიკურ არქიტექტურულ განათლებას ქართველი ახალგაზრდები დასავლეთ ევროპის და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში იღებდნენ.

საქართველოში უმაღლეს არქიტექტურულ განათლებას 1922 წლის 16 იანვარს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი (დეკანი – პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე). პოლიტექნიკური ფაკულტეტი სამი განყოფილებისაგან (სამშენებლო, მექანიკური და სამთამადნო) შედგებოდა. სამშენებლო განყოფილების ერთ-ერთ დარგს, საგზაო და ჰიდროტექნიკურ დარგებთან ერთად, წარმოადგენდა „არქიტექტურა“, რომელიც თანამედროვე არქიტექტურული განათლების პირველ კერა გახდა. 1924 წელს სამშენებლო განყოფილების არქიტექტურის დარგს ეწოდა „სახუროთმოძღვრებო“. აქ მოღვაწეობდნენ ლეონ მელიქსეძე-ბეკოვი, მიხეილ ნეპრინცევი, სერგეი უკრაინცევი და სხვები.

1928 წლის ოქტომბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც 1917 წლიდან ფუნქციონირებდა, დაარსდა დამოუკიდებელი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი – სამშენებლო, სამთო-ქიმიური და ელექტრომექანიკური ფაკულტეტებით.

1928 წლიდან სამშენებლო ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალ არქიტექტურის კათედრას ეწოდებოდა სამოქალაქო ხუროთმოძღვრების, 1930 წლიდან – სამოქალაქო მშენებლობისა და დაპროექტების, 1933 წლიდან – არქი-

ტექტურის, პირველი ქართული უმაღლესი არქიტექტურული განათლების დიპლომის მფლობელები გახდნენ შემდგომ საქვეყნოდ ცნობილი არქიტექტორები არჩილ ქურდიანი და ქეთევან სოკოლოვა-ქურდიანისა, რომლებმაც 1928 წელს დაამთავრეს პოლიტექნიკური ფაკულტეტი.

ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა ქართველ არქიტექტორთა მთელი პლეადა – ისეთები, როგორებიც იყვნენ: მიხაკო შავიშვილი, ზორის გოქაძე, სანდრო თევზაძე, მიხეილ ჩხიკვაძე. მალე მათ შეემატნენ მოსკოვში მიღებული არქიტექტურული განათლებით – ივანე ყირქესალი (ყირქესალიშვილი), სანდრო ინწვირველი, შალვა თავაძე. გერმანული განათლების მქონე, ქალაქთგეგმარების პიონერი საქართველოში – ალექსანდრე ნიკოლაიშვილი.

ხსენებული პრაქტიკოსი არქიტექტორები იმავდროულად არქიტექტურულ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ ფაკულტეტზე მხატვრებთან – ჰენრიკ ჰრინგესკისთან, შალვა მამალაძესთან, მოქანდაკე გიორგი სესიაშვილთან, კონსტრუქტორ მირონ წულეისკირთან, ინჟინერ ვალენტინ ვართაპეტოვთან და გიორგი მუხაძესთან ერთად.

ამ პერიოდში ხუროთმოძღვრის სპეციალობას ეუფლებოდნენ მომავალში სახელგანთქმული ქართველი არქიტექტორები:

ბეჟან ლორთქიფანიძე, ლონგინოზ (ლონგო) სუმბაძე, ვალერიან კეცია, ლევან (ლეო) რჩეულიშვილი, მიხეილ მელია, ალექსი მიმინოშვილი, სერგო დემინსკი, ლეო ხარაშვილი, იოსებ (სოსო) ზაალიშვილი, გიორგი გოგავა, ვიჩესლავ (ბიჭიკო) ქორქაშვილი, შალვა თულაშვილი, ზაქარია ქურდიანი, ივანე (ვანო) ჩხენკელი, ლევან ჯანელიძე, ლევან (ლეო) მამალაძე, ვახტანგ ბერიძე, მანანა კანდელაკი, თეონა ნიკოლაძე, რუსუდან გვერდწითელი, რუსუდან (რუდა) მეფისაშვილი, კოტე მელითაური, სერგო ყუბანეიშვილი, რომან დავლიანიძე, იური კასრაძე, გიორგი ცეცხლაძე, ნიკოლოზ ჩუბინიშვილი, ვახტანგ ფეიქრიშვილი, არჩილ ციცაგი, გიორგი (გოგი) ჯანდიერი, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, ლელი ჰაჯიბეილი, ვახტანგ ცინცაძე, ვლადიმერ (ლადო) ალექსი – მესხიშვილი და სხვანი.

არქიტექტურის კათედრის პირველი გამგე იყო ივანე თულაშვილი (1922-1933 წწ.). შემდეგ კათედრას ხელმძღვანელობდნენ ივანე ყირქესალი (1933-1938 წწ.), მიხეილ მაჭავარიანი (1938-1951 წწ.), მიხეილ (მიხაკო) შავიშვილი (1951-1955 წწ.), ირაკლი ციციშვილი (1955-1989 წწ.), გიორგი შაიშმელაშვილი (1989-1992 წწ.), ვახტანგ დავითაია (1992 წლიდან დღემდე).

1969 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის არქიტექტურის კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა არქიტექტურის ფაკულტეტი, რომელსაც სხვადასხვა წლებში, როგორც დეკანები ხელმძღვანელობდნენ: აკაკი ბერიშვილი (1969-1972 წწ.), ნოდარ მგალობლიშვილი (1972-1972 წწ.), თინათინ ჩიჩუა (1972-1974 წწ.), მიხეილ ლორთქიფანიძე (1975-1978 წწ.), გიორგი სალუქვაძე (1978-1983 წწ.), კონსტანტინე ამირეჯიბი (1983-1987 წწ.), ნიკოლოზ შავიშვილი (1987-1989 წწ.), გოჩა მიქიაშვილი (1989-1991 წწ.).

1991 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გადაკეთდა ტექნიკურ უნივერსიტეტად, ხოლო მის შემადგენლობაში მყოფი არქიტექტურის ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა არქიტექტურის ინსტიტუტი, რომლის დირექტ-

ტორი 1991-2005 წლებში გახლდათ არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი გიორგი სალუქვაძე.

2005 წელს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტს კიდევ ერთხელ შეეცვალა სახელი და მას ეწოდა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა პროფესორი გოჩა მიქიაშვილი, რომელიც დღემდე ხელმძღვანელობს ფაკულტეტს.

ამჟამად, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე სწავლა სამსაფეხურიანია;

პირველი 4 წლიანი საფეხური მოიცავს პროფესიული და საბაკალავრო განათლების პროგრამებს, მეორე საფეხური 2 წლიანია და მოიცავს სამაგისტრო პროგრამებს, ხოლო მესამე საფეხური, რომელიც 3 წლიანია – მოიცავს დოქტორანტურას.

ფაკულტეტზე მოქმედებს სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭო. (ვინ და როდის ხელმძღვანელობდა)

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს 2 დეპარტამენტი: არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი პროფესორი მზია მილასვილი) და არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის (ურბანისტიკის) დეპარტამენტი (ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო იმნაძე).

ამ დეპარტამენტებში გაერთიანებულია შემდეგი აკადემიური მიმართულებები:

- არქიტექტურული გეგმარების (№ 24),
- შენობა-ნაგებობათა არქიტექტურული კონსტრუქციების და არქიტექტურული ფიზიკის (№ 97),
- არქიტექტურის შესავლის (№ 98).
- სახვითი ხელოვნების (№ 106).
- ურბანული დაგეგმარების (№ 108),
- სამოქალაქო და სამრეწველო შენობების ინტერიერის და არქიტექტურული გარემოს დიზაინის (№ 116),
- არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის ისტორიის და თეორიის (№ 128).

არქიტექტურის ფაკულტეტზე 1992 წელს შეიქმნა კომპიუტერული სწავლების ცენტრი, რომელიც 2005 წელს გადაკეთდა მულტიმედიური პროექტირების ლაბორატორიად. ამ ცენტრის მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ჰამბურგიდან პროფესორმა იოსტ შრამმა და კაიზერსლაუტერნიდან პროფესორებმა ჰანს დენჰარტმა და კარლ ციგლერმა. მულტიმედიურ ლაბორატორიას 2008 წლიდან ხელმძღვანელობს პროფესორი ბადრი გორგილაძე.

1993 წელს არქიტექტურის ინსტიტუტში შეიქმნა ბიბლიოთეკა, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალი. ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია უახლესი სპეციალური ლიტერატურით, ჟურნალებითა და წიგნებით. ამჟამად ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს არქიტექტორი ელენე მურდულია. 1997 წელს აქვე მოეწყო ექსპოზიცია,

სადაც გამოიფინა ჩვენი არქიტექტურული სკოლის ისტორიის, სასწავლო პროცესის, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა დაწყებული 1922 წლიდან.

1998-2008 წლებში არქიტექტურის ინსტიტუტთან და შემდეგ ფაკულტეტთან, მოქმედებდა არქიტექტურული პროფილის მქონე ნატიფი ხელოვნების სკოლა, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ახალგაზრდებში არქიტექტურისადმი ინტერესების გაღვივებას და პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებას.

2010 წლის მაისში სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე www.gtu.ge/architecture განთავსდა არქიტექტურის ფაკულტეტის „ვიდეომატეანე“, რომელიც პროფესორ გიორგი სალუქვაძის თაოსნობით და პროფესორ ზადრი გორგილაძის მონაწილეობით შეიქმნა. მასში ქრონოლოგიურად არის წარმოდგენილი ბოლო რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში არქიტექტურის ფაკულტეტზე მომხდარ განსაკუთრებით საინტერესო მოვლენები.

ჩვენი არქიტექტურული სკოლის სტუდენტებმა არაერთ საერთაშორისო კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და მათ მნიშვნელოვანი წარმატებები გააჩნიათ.

1960 წელს მოსკოვში არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) V კონგრესთან დაკავშირებულ მსოფლიოს არქიტექტურული სკოლების სადიპლომო პროექტების საერთაშორისო კონკურს-დათვალიერებაში ვახტანგ დავითაიას პროექტმა „მესტიის ცენტრის დაგეგმარება-რეკონსტრუქცია“ ლაურეატის დიპლომი დაიმსახურა.

წარმატებით იყო ექსპონირებული სტუდენტთა საერთაშორისო გამოფენებზე: 1961 წელს ლონდონში კობა ხატიაშვილის პროექტი „გადასაადგილებელი თეატრი“, ხოლო 1963 წელს ჰავანაში – გოგი ტონიას „მიკრორაიონი 10000 მცხოვრებზე“. 1965 წელს პრელაში გიორგი მურმანიშვილის პროექტი „საცხოვრებელი კომპლექსი“ აღნიშნული იყო წამახალისებელი პრემიით. 1969 წელს ბუენოს-აირესში დემურ ელოშვილის პროექტი „საცხოვრებელი კომპლექსი განვითარებადი ქვეყნებისათვის“ აღინიშნა ადოლფ ლოოსის სახელობის ვენის პრემიით. 1972 წელს ვარნაში პავლე ძინძიბაძის პროექტი „დასასვენებელი ზონა ქ. მცხეთაში“ აღნიშნული იქნა დიპლომით. 1975 წელს მადრიდში გივი ქობულიას პროექტი შევიდა 20 საუკეთესო ნამუშევართა რიცხვში. 1983 წელს პარიზში გამართულ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობდა ბ. ქორიძე. 1985 წელს ლონდონში – ბექა გოცაძე და ალექსანდრე რამიშვილი. 1986 წელს ინგლისში მარიამ მაღალურაძემ გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსის პირველ ტურში. 1987 წელს პარიზში სერჟი-პონტუაზის ზაფხულის უნივერსიტეტის ტრადიციულ კონკურსში I პრემია მოიპოვეს გაგა კიკნაძემ და ლევან მუშკუდიანმა. 1988 წელს ამავე კონკურსში I პრემია მიიღო თამარ კვესიტაძემ და ლევან ლომინაშვილმა, II პრემია მიიღო ნინო ჩხეიძემ, ხოლო გიორგი გელაშვილმა წამახალისებელი პრემია.

შემდგომ წლებში აღნიშნულ კონკურსში ჩვენი სტუდენტების მონაწილეობა ტრადიციული ხდება და მათ დაიმსახურეს: 1989 წელს თინათინ ყაზახიშვილმა და გვანცა რადლევესკაიამ II პრემია; 1990 წ. თამარ ჩხეიძემ I პრემია და

დავით ჩიქოვანმა წამახალისებელი პრემია; 1991 წელს ლევან გეგეშიძემ I პრემია; 1992 წელს ალექსანდრე ბალიაშვილმა I პრემია; დავით ნიკოლაიშვილმა კი წამახალისებელი პრემია; 1993 წელს დავით სუხიაშვილმა II პრემია და მიხეილ ჩიტაშვილმა წამახალისებელი პრემია; 1994 წელს აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობდნენ სოლომონ მიქიაშვილი და დიმიტრი ნაფეტვარიძე; 1996 წელს სერჟი-პონტუაზის საერთაშორისო კონკურსში I პრემია მოიპოვა ლელა გურგენიძემ; 1997 წელს მიხეილ ბუჯიაშვილმა კი მიიღო წამახალისებელი პრემია. 1998 წელს ირაკლი ჟვანიამ მოიპოვა II პრემია, ხოლო 1999 წელს შორენა წილოსანმა წამახალისებელი პრემია.

2005 წლიდან ჩვენი სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო სტუდენტურ კონკურსში, რომელიც შვეიცარული ფირმა „Shindler Group“-ის თაოსნობით მიმდინარეობს. ამავე წელს 350 პროექტს შორის პირველ ნომინაციაში – „10 საუკეთესო“ დასახელდა დიპლომანტ სანდრო კაციტაძის პროექტი, ხოლო მეორე ნომინაციაში – „20 საუკეთესო“ მოხვდა დიმიტრი მოძმანაშვილის და რევაზ ქეშელაშვილის პროექტები.

„2006 წელს საფრანგეთის ქალაქ სერჟი-პონტუაზის ტრადიციულ საზაფხულო სკოლის კონკურსში დავით ზოსტანაშვილმა მოიპოვა I პრემია.

2008 წელს მსოფლიო არქიტექტორთა კავშირის UIA-ს მიერ გამოცხადებულ ახალგაზრდა არქიტექტორთა კონკურსში, რომელშიც 400-ზე მეტი პროექტი მონაწილეობდა ჩვენამ მაგისტრანტებმა კახა კახნიაშვილმა, დათო გორგაძემ და გიგი შუკაკიძემ მეორე პრემია დაიმსახურეს.

2010 წელს სერჟი-პონტუაზის კონკურსში ჩვენმა მაგისტრანტებმა ვასილ გორგაძემ I პრემია, ხოლო ლაშა ჩხაიძემ მესამე პრემია დაიმსახურეს. ამავე 2010 წელს „შინდლერის“ საერთაშორისო სტუდენტურ კონკურსში სპეციალური პრემია „კრეატიული გადაწყვეტისათვის“ დაიმსახურეს ჩვენმა მაგისტრანტებმა ლევან მათიაშვილმა და მიხეილ როყვამ.

ათეული წლების განმავლობაში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების არქიტექტურული სკოლების სადიპლომო ნამუშევრების საკავშირო დათვალიერება-კონკურსი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი არქიტექტურული სკოლაც.

1960 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა წლებში უმაღლესი და პირველი პრემიები მოპოვებული აქვთ: ვლადიმერ ქურთიშვილს, რამაზ კიკნაძეს, ვაჟა გიგაშვილს, ამურ ფხაკაძეს, თემურ ბოჭორიშვილს, თამაზ ქავთარაძეს, გოგი ტონიას, ალიკა ჯაფარიძეს, გურამ აბულაძეს, გია ნადირაძეს, ვალერი ბახტაძეს, გივი გაბუნიას, ომარ ნაფეტვარიძეს, თამაზ გერსამიას, ზაურ მამალაძეს, ნოდარ ჯანშიაშვილს, საყვარელა სალუქვაძეს, პლატონ ხუხიას, მარინა ნარეშელაშვილს, თენგიზ სეფიაშვილს, რუსუდან ლორთქიფანიძეს, თემურ ზედელაშვილს, ნანა ცომაიას, კახა ქორიძეს, გივი გეგეშიძეს, შოთა ზოსტანაშვილს, ლალი ხუციშვილს, თინა ჯირაშვილს, დავით მახარობლიშვილს, გია აბულაძეს, გივი ქობულიას, ტარიელ მერაბიშვილს, ზურაბ ღონდაძეს, დონარა მჭედლიძეს, გივი გოგრიჭიანს, გია ტყემალაძეს, თინა სირბილაძეს, მირიან გედენიძეს, ზაქარია ფილიშვილს, ვახტანგ დოგრაშვილს, ბესიკ გაბათაშვილს, ნატალია ვასილევას, დათო იოსებიძეს, მაია ძიმიგურს, თამაზ კვიციანიშვილს, მარინა მისურაძეს, ზაზა სვანაძეს, დათო ჩხეიძეს, სვეტლანა კამოილოვას, გია

სიბაშვილს, ბადრი მიქაძეს, შაკო მელქაძეს, გიორგი ინასარიძეს, კახი კავთუაშვილს, შოთა დევდარიანს, მანანა ბასილიძეს, ირაკლი ჯაფარიძეს, გაგა კიკნაძეს, ლევან მუშკუდიანს, დიტო მარგალიტაშვილს, ეკა რამიშვილს, მიხეილ ხომერიკს, მამუკა ქევხიშვილს. ხათუნა ხაგულაშვილს, ალევო ჯობავას, ნ. ოქუაშვილს, ზაზა გაგნიძეს, ლევან მათიაშვილს, გიორგი მელაძეს, გიორგი შაყულაშვილს, ალექსანდრე ხასიას, ნათია ლეკვეიშვილს.

მეორე პრემია მოიპოვეს: კობა ხატიაშვილმა, ელდარ ჩხეიძემ, ციალა გიორგაძემ, ჯონი გამყრელიძემ, ლიალია აგაბაბიანმა, გიორგი სალუქვაძემ, ლევან ბოკერიამ, თინა ერისთავმა, მარინა მამინაიშვილმა, ჯონი ჩხაიძემ, მანანა ჯიბლაძემ, გივი ნანიტაშვილმა, ნანა კაიშაურმა, თემურ სვანიძემ, ასმათ ჭიკაიძემ, ნუგზარ ბილანიშვილმა, ავთო მახარაძემ, ზურაბ ბაქრაძემ, დარეჯან ფიცხელაურმა, გია ქინქლაძემ, დავით მაჭავარიანმა, ნუგზარ მაღლაკელიძემ, თეიმურაზ ხოჯავამ, ირაკლი ხოსიტაშვილმა, ბესიკ კაპანაძემ, ლევან კვიციანიძემ, მერაბ გუჯაბიძემ, ლეილა მეგრელიშვილმა, კობა ვარდანაშვილმა, პაატა ჭავჭავანიძემ, ნინუკა ჩიქოვანმა, გოგი მარგიშვილმა, ვალერი კეკელიშვილმა, კარენ ხაჩატუროვმა, რუსუდან საბანაძემ, ირაკლი როსტომიშვილმა, ზურაბ ლოლაშვილმა, მამუკა ზვიადაძემ, ნინო მანჯავიძემ, ა. წულუკიძემ, თინათინ ჩიგოგიძემ, შალვა ჟღენტმა, ნინო გეთიამ, გიგა მაქარაშვილმა, ლევან ყავლაშვილმა, ნინო მჭედლიშვილმა, ვიქტორ მეტრეველმა, ქეთევან ცირეკიძემ, ლელა შანიძემ, ზურაბ ჯაფარიძემ, ალექსანდრე ფეტვიანიშვილმა, ბაადურ ჯინჭარაძემ, სოლომონ მიქიაშვილმა, თეა რიჟამაძემ, თ. გამცემლიძემ, გურამ აბულაძემ, ვახტანგ ნემსაძემ.

მესამე პრემიები მოპოვებული აქვთ: ნინო ორაგველიძეს, ცისანა ჩაჩანიძეს, ირაკლი მასხარაშვილს, გიორგი შაიშმელაშვილს, ვახტანგ მიქელაძეს, ნესტან რაზმაძეს, ალბერტ ჯანელიძეს, ნოდარ ნინუას, ზურაბ სეხნიაშვილს, ბადრი გეგელიას, ქეთინო კიკალეიშვილს, შოთა გვანცელაძეს, გოდერძი მაჩაბლიშვილს, გიორგი მირიანაშვილს, ბესიკ ჯოხარიძეს, ნატო ჯოხაძეს, ნესტან თათარაშვილს, ქეთი ქობულიას, ია კუპატაძეს, ვალერი ვარდანაის და სხვებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტს მჭიდრო, პროფესიული ურთიერთობები აქვს უცხოეთის წამყვან არქიტექტურულ სკოლებთან.

მას შემდეგ რაც ჩვენი ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას, ფაკულტეტმა მიზნად დაისახა მსოფლიოს წამყვანი არქიტექტურული სკოლების გამოცდილების გაზიარება, იქ აპრობირებული სწავლების ფორმების, სხვა ინოვაციების ჩვენთან დანერგვა.

წლების განმავლობაში ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიის, დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტთან, რომელთანაც წარმატებით ხორციელდებოდა სტუდენტთა და პედაგოგთა ორმხრივი გაცვლა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

1990 წლიდან აქტიური თანამშრომლობა გადვივდა კარლსრუეს უმაღლესი ტექნიკური სკოლის არქიტექტურის ფაკულტეტთან, სადაც წლების განმავლობაში სადიპლომო ნამუშევრების შესასრულებლად იგზავნებოდა ჩვენი ფაკულტეტის ორ-ორი საუკეთესო სტუდენტი.

დღეს ეს ტრადიცია გრძელდება გერმანიის ერთ-ერთ წამყვან უმაღლეს არქიტექტურულ სკოლასთან, როგორცაა კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. ჩვენი და ამ სკოლის სტუდენტები წარმატებით ასრულებენ ერთობლივ საკურსო სამუშაოებს. ჩვენი სტუდენტები გერმანიაში სისტემატურად გადიან პროფესიული პრაქტიკის რამდენიმე თვიან კურსებს „ფოლქსვაგენის“ ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ფაკულტეტი თანამშრომლობს იტალიის, კერძოდ, პალერმოს, მილანის და რომის არქიტექტურულ სკოლებთან. ჩვენმა სტუდენტებმა და პედაგოგებმა 2004 წლის მაისში რომის უნივერსიტეტის არქიტექტურულ სკოლაში “ლა საპინცა” მოაწყვეს საკუთარი ნამუშევრების გამოფენა, ამავე დროს გაიარეს იტალიის არქიტექტურის გაცნობითი პრაქტიკა.

2007 წელს კონკურსის საფუძველზე შერჩეულმა ჩვენი ფაკულტეტის 5 სტუდენტმა შვეიცარიელ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს პირობებისათვის სოციალური საცხოვრისის შექმნისადმი მიძღვნილ ვორქშოფში, რომელიც 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა შვეიცარიის ქალაქ მენდრიხიოს არქიტექტურის აკადემიაში.

2008 წელს ჩვენმა 8 სტუდენტის მიერ შესრულებულმა პროექტმა ბერლინში ტექნიკური უნივერსიტეტის ქალაქთგეგმარების კათედრის სტუდენტებთან ერთად გაიმარჯვა კონკურსში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ჩვენს ფაკულტეტს თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ჩეხეთის, პრადის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტთან. 2010 წლის განმავლობაში ჩვენი სტუდენტები მონაწილეობდნენ ჩეხი არქიტექტორის იან ბოჩანის მიერ ჩატერებულ სტუდიურ სწავლებაში, რომელიც თბილისის ისტორიული ცენტრის ქალაქთგეგმარებითი განვითარების პრობლემებს მიეძღვნა. შვიდი საუკეთესო ნამუშევრის ავტორებმა (თამარ ცანავა, ელენე დარჯანია, ეკა მალუტაშვილი, თამარ ონიანი, ლაშა ბარბლიშვილი, ბექა ხუციშვილი, ვახტანგ ნემსაძე) თავისი ნამუშევრები გამოფინეს პრადის ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში. გამოიცა ამ ნამუშევრების ილუსტრირებული კატალოგი.

ჩვენი არქიტექტურული სკოლის ავტორიტეტის ამაღლებას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს მრავალი აღიარებული არქიტექტორი არის ჩვენი ფაკულტეტის საპატიო პროფესორი (Professor Honoris Causa). ესენი ბრძანდებიან: კიშო კუროკავა (იაპონია), ბერნარ ვარნიე (საფრანგეთი), რიჩარდ ინგლენდი (მალტა), ვიქტორ ვლადიმროვი, ალექსანდრე კუდრიავცევი და ილია ლეჟავა (რუსეთი), გიორგი სტოილოვი (ბულგარეთი), ვარაზდატ არუთუნიანი, ჯიმ ტოროსიანი (სომხეთი), ედგარ კნოპი, ჰელგე ბოფინგერი, კარლ ციგლერი, ჰანს დენჰარტი, ეკეჰარტ ჰანგარტერი და იოსტ შრამი (გერმანია), იუსტუს დაჰინდენი (შვეიცარია), იან ბოჩანი (ჩეხეთი), მარკ სპენსერი (აშშ).



al eqsandre grigol iSvil i

საგამომცემლო სახლი

XX საუკუნის 20-იან წლებში ახლანდელ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნისთანავე წამოიჭრა სტუდენტების ქართული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი.

უპირველესად აუცილებელი იყო ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავება, თუნდაც მცირე მოცულობით, რაც გიორგი ნიკოლაძის მუდმივი ზრუნვის შედეგად მოკლე დროში შესრულდა კიდევ.

ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს გამოცემის პირველი ცდა ეკუთვნის პროფ. გ. გედევანიშვილს, რომლის ლექციების კურსი „ლითონების მექანიკური ტექნოლოგია“ 1925 წელს დაიბეჭდა.

სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკურმა წრემ 1926 წელს გამოსცა გ. ნიკოლაძის „მხაზველობითი გეომეტრია“, რამაც დიდად შეუწყო ხელი ამ საგნის სწავლების მეცნიერული დონის ამაღლებას.

პირველი სახელმძღვანელოები ფუნდამენტურ და სპეციალურ ტექნიკურ დისციპლინებში (მეოცე საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში) შექმნეს ნ. მუსხელიშვილმა, ა. ბენაშვილმა ა. გულისაშვილმა, ა. ჭრელაშვილმა, გ. წულუკიძემ, ლ. დიასამიძემ, მ. მაჭავარიანმა, გ. ქურდიანმა, ვ. გურგენიძემ, შ. ნოდიაშვილმა, თ. ქარუმიძემ, ვ. კაკაბაძემ, დ. მშენიერაძემ, ა. ბაქრაძემ, ვ. გოთოშიამ, ს. დიძემ.

1959 წელს შეიქმნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამომცემლობა, მაგრამ, საკავშირო მთავრობის ბრძანებით, 1962 წელს დაიხურა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუტოვეს მხოლოდ სარედაქციო ჯგუფი სამი თანამშრომლით. რექტორატის მცდელობის შედეგად, სამოციანი წლების ბოლოს შტატი გაიზარდა და ჩამოყალიბდა სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი (მთავარი რედაქტორი დ. მირიანოვა, უფროსი რედაქტორები: ე. გიორგაძე, თ. მახარაძე, რე-



დაქტორები: მ. პრეობრაჟენსკაია, მ. ძიძიგური, ზ. ხოსროშვილი, ტექ. რედაქტორები: ნ. ცირეკიძე, ო. ჭანკვეტაძე, კორექტორი ნ. დოლიძე) სარედაქციო ჯგუფს უფლება ჰქონდა გამოეცა მხოლოდ მცირეტირაჟიანი დამხმარე სახელმძღვანელოები სპეციალურ დისციპლინებში, ლექციების კონსპექტები, მეთოდური მითითებები, აგრეთვე სამეცნიერო შრომების კრებულები.

ამასთანავე, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განყოფილებასთან შეიქმნა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის პუბლიკაციის სექტორი, რომელიც განაგებდა როგორც პოლიტექნიკური ინსტიტუტის შიგა საგამომცემლო საქმიანობას, ისე ჩვენი ავტორების სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების ბეჭდვას სხვა გამომცემლობებში (სექტორის გამგე ე. ცისკარიშვილი). სექტორი მართავდა გამოცემული სახელმძღვანელოების საჯარო განხილვას სპეციალისტთა ფართო წრეში (გამოცემიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ). აღსანიშნავია, რომ პოლიტექნიკური ფაკულტეტის სამეცნიერო შრომების პირველი კრებული გამოიცა 1924 წელს, მისი რედაქტორი იყო ნიკო მუსხელიშვილი. დღეისათვის სულ გამოცემულია სამეცნიერო შრომების 486 კრებული.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებულების მაღალი დონის ნათელი აღიარებაა მისთვის საერთაშორისო ინდექსის მინიჭება - ISSN 1512-0996.

1975 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მინისტრმა, მეცნიერ მეტალურგმა ვ. პ. ელუტინმა გამოსცა შავრანზულის სულისკვეთებით აღსავსე ბრძანება, რომლითაც მოკავშირე რესპუბლიკებს ეკრძალებოდათ სახელმძღვანელოების გამოცემა მშობლიურ ენაზე, ვითომდა დუბლირების აღმოფხვრის მიზნით. ამავე ბრძანებით, რესპუბლიკურ უმაღლეს სასწავლებლებს (რომელთაც მთავრობის მიერ დამტკიცებული საკუთარი გამომცემლობები არ გააჩნდათ) სასტიკად აეკრძალათ სამეცნიერო შრომების კრებულების სისტემატური გამოცემა. მათ ეძლეოდათ მხოლოდ ინსტიტუტთა შორისი თემატური სამეცნიერო შრომების ბეჭდვის უფლება (ნუმერაციის გარეშე).

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობა არ დაემორჩილა საკავშირო მინისტრის შეურაცხმყოფელ ბრძანებას და გააგრძელა ინტენსიური საგამომცემლო საქმიანობა (სამეცნიერო შრომების კრებულებს სწორედ მას შემდეგ მიენიჭა საერთაშორისო ინდექსი).

1992 წელს, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, შესაძლებელი გახდა დაარსებულიყო გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი".

გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი" გამოსცემს სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, ლექციების კონსპექტებს, სასწავლო-მეთოდურ მითითებებს, სამეცნიერო შრომათა კრებულებს, მონოგრაფიებსა და სხვ.

2007 წელს ძირეული რეორგანიზაციის შედეგად გამომცემლობა გარდაიქმნა საგამომცემლო სახლ "ტექნიკურ უნივერსიტეტად".

* * *

მხოლოდ 2012 წლის პირველ ნახევარში ჩვენ მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

1. 70 დასახელების სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა
2. 5 მონოგრაფია
3. სტუ-ის სამეცნიერო შრომების 2 კრებული. (კრებულში ქვეყნდება სტატიები მეცნიერული კვლევების ახალი შედეგების შესახებ შემდეგი თეორიული და გამოყენებითი დარგების მიხედვით:

მშენებლობა

ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია

სამთო-გეოლოგია

ქიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია

არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი

ინფორმატიკა, მართვის სისტემები

სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობა

ჰუმანიტარულ-სოციალური

ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი)

4. სხვადასხვა დასახელების სამეცნიერო შრომების 24 კრებული

5. საუნივერსიტეტო ბლანკები და მრავალი სხვა.

საგამომცემლო სახლის ლოგოს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს, ერთის მხრივ ორ პაპირუსს შორის ამოზრდილი მცენარე წარმოადგენს ზოგადად ჩვენი უნივერსიტეტის განვითარების მიმართულებებს და ლათინური აფორიზმი VERBA VOLANT, SCRIPTA MANENT ზუსტად მიესადაგება ჩვენს საგამომცემლო საქმიანობას.

საიუბილეო გამოცემები:

სტუ-ს სათავეებთან _ 1922-2012. ეძღვნება გამოჩენილი და ღვაწლმოსილი მოღვაწეების _ ფუძემდებლების, რექტორების, ცნობილი მეცნიერებისა და პედაგოგების ნათელ ხსოვნას.

გამოჩენილი ინჟინრები (სტუ-ს კურსდამთავრებულები)

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები“ შრომების კრებული.

ბ ა ც

boris giTol endia

ხელოვნება და სპორტი

საესტრადო ორკესტრი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იმთავითვე გამორჩეულია თავისი კულტურული ცხოვრებით. ჯერ კიდევ ათეულობით წლის წინ ყოფილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არსებობდა ისეთი მხატვრული კოლექტივები, რომელთა სახელი და მნიშვნელობა სასწავლებლის ფარგლებსაც სცილდებოდა და ქვეყნისასაც. ასეთი იყო, მაგალითად, **საესტრადო ორკესტრი**, რომელმაც მრავალწლოვანი მოღვაწეობის განმავლობაში შინაარსიანი და მდიდარი შემოქმედებითი გზა განვლო. სტუ-ს ახლად აღდგენილი ორკესტრის პრეზენტაცია სულ ახლახანს გაიმართა. დიდია მისი დამსახურება სტუდენტური თვითშემოქმედებისა და, საერთოდ, ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში.

ინსტიტუტში საესტრადო ორკესტრის შესაქმნელად პირველი ნაბიჯი 1932 წელს გადაიდგა, როდესაც პროფესორ ნიკოლოზ თევზაძის ხელმძღვანელობით, პირველი სასულე ორკესტრი ჩამოყალიბდა. ორკესტრმა თითქმის ათ წელიწადს იარსება. მომდევნო წლებში განახლებულ ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ რობერტ შაჰნაზაროვი და კოტე კარგარეთელი. ამის შემდეგ ორკესტრის ხელმძღვანელობაც და შემადგენლობაც ბევრჯერ შეიცვალა, მაგრამ მას პოპულარობა არ დაუკარგავს. მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში, ორკესტრის ყველა კონცერტი სრული ანშლავით ტარდებოდა. იგი წარმატებით უწევდა შემოქმედებით მეტოქეობას ქვეყნის საუკეთესო პროფესიულ საესტრადო კოლექტივებს.

სპი-ს საორკესტრო კოლექტივმა არამარტო ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში თქვა ახალი სიტყვა, მან ბევრი სიახლე შემოიტანა ესტრადაზე, რამაც დროის გამოცდას გაუძლო. ეს იყო პირველი ორკესტრი, რომელმაც წინ წამოწია კონფერანსიეთა როლი, ჩამოაყალიბა ვოკალური კვარტეტი და ტრიო, დაამკვიდრა ახალი თემატიკა და ფორმები, იღვწოდა ეროვნული სახის შესაქმნელად, ესტრადაზე გზა გაუკაფა იუმორს, ქართულ სიტყვას, სიმღერას, ცეკვას, ჯაზურ იმპროვიზაციებს. იგი საესტრადო ძალების ნამდვილი სამჭედლო იყო – ქართული ესტრადის გამოჩენილ წარმომადგენელთა დიდმა უმრავლესობამ სწორედ აქ აიღვა ფეხი. აქ გადადგა პირველი ნაბიჯები ჩვენმა სასიქადულო მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ, აქვე გამოჩნდა პატარა ირმა სოხაძე; ამ სცენიდანვე დაუტოვა თავის საყვარელ მსმენელს განუმეორებელმა ჯილდა დათუაშვილმა მარადიული სახსოვარი. კიდევ ბევრი შესანიშნავი სახელის ჩამოთვლა შეიძლება: ჯანო ბაგრატიონი, ნიკო ჯადუგიშვილი, რობერტ ბარძიმაშვილი, ზუზა კიკაბიძე, ჯემალ ბაღაშვილი, ნანული აბესაძე, მედეა გონგლიაშვილი, ეთერ კაკულია, ჯულიეტა ვაშაყმაძე, გიული ჩოხელი, თენგიზ

ჩანტლაძე, კაკო ვაშლომიძე, გია მაჭარაშვილი, ბიძინა მახარაძე, ჯემალ სეფიაშვილი, მერაბ სანოძე, ლელა სიხარულიძე, ევა კვალიაშვილი, ნატო მეტონიძე, მაია ბარათაშვილი, თემურ თათარაშვილი, ბესო ბერულაშვილი, ალექო თეთრაშვილი და სხვები.

1990-იანი წლებიდან, ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, ორკესტრმა არსებობა დროებით შეწყვიტა, თუმცა ამჟამად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და პირადად რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის ინიციატივით, მოხერხდა ორკესტრის აღდგენა. აღდგენილ ორკესტრს სათავეში ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი კალანდაძე ჩაუდგა.

თეატრ-სტუდია "მოდინახე"

ხელოვნების მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრ-სტუდია "მოდინახე". პირველი დრამატული დასი 1945 წელს შეიქმნა, მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ინიციატივით, რომელსაც არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი დორიან კიტია ხელმძღვანელობდა. შემდგომში თეატრალურ დასს რეჟისორობდნენ ქართული თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები – ავთანდილ იმნაძე, ნოდარ ჩხეიძე, კოტე მახარაძე, მიხეილ თუმანიშვილი, ბორის წიფურია და სხვ. 1975 წლიდან დღემდე დასს სათავეში უდგას ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნუგზარ ბუცხრიკიძე.

1945 წლიდან დღემდე ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე დაიდგა 200-მდე პიესა, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორების ნაწარმოებების მიხედვით. სპექტაკლები დიდი წარმატებით იქნა ნაჩვენები საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის სცენებზე (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, ჰოლანდია, ფინეთი, რუსეთი და სხვ).

დასის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებს მრავალი პრემია და ჯილდო აქვს მოპოვებული. სპექტაკლები **"ზრალდება"** (რ. სტურუა და გ. ქავთარაძე) და **"ვოსკან პეტროვიჩი ჯოჯოხეთში"** (გ. სუნდუკიანი) 1969 წელს ვილნიუსსა და კაუნასში დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით საუკეთესო რეჟისურისათვის. **"უცხო ჩიტი"** (რ. გაბრიაძე) 1985 წელს ჰოლანდიაში, ქ. უტრეხტის მოყვარულთა თეატრების მსოფლიო ფესტივალზე, ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დასახელდა ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრალურმა დასმა საუკეთესო თეატრალური კოლექტივის სტატუსი მოიპოვა. 1986 წელს იგივე სპექტაკლი ნაჩვენები იყო გერმანიის ქალაქებში ბადენ-ბადენში, კარლსრუეში, შტუდგარტსა და ლანდენბურგში, სადაც სპეციალისტებისა და მაყურებლების ერთობლივი აღიარება მოიპოვა და დღემდე რჩება დასის სავიზიტო ბარათად. 1991 წელს დასმა რ. გაბრიაძის **"უცხო ჩიტი"** დიდი ბრიტანეთში (ლონდონი, კარდიფი, სვანსეა, აიტა) გამართულ ფესტივალზე წარადგინა და საუკეთესო რეჟისურისთვის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. სპექტაკლმა **"ათვინირებენ მიმინოს"** (ლ. თაბუკაშვილი) 1988 წელს იაპონიაში მოყვარულთა თეატრების მსოფლიო ფესტივალზე მოიპოვა გრანპრი და სპეციალური პრიზი საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის, ხოლო მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი დასის ორმა მსახიობმა – თამაზ ბეიტრიშვილმა და თამაზ კაპანაძემ მიიღეს.

სპექტაკლი "ფიროსმანი" (ვ. კოროსტილევი) 1990 წელს აშშ-ში დაჯილდოვდა პრიზით საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის, 1992 წელს კი მოსკოვში საერთაშორისო საუნივერსიტეტო ფესტივალზე გრანპრი მოიპოვა და გადაეცა პრიზი საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის. სპექტაკლმა "სტუმარ-მასპინძელი" (ვაჟა-ფშაველა) 1994 წელს აშშ-ში მოყვარულთა თეატრების მსოფლიო ფესტივალზე მოიპოვა პრიზი საუკეთესო სცენოგრაფიისათვის. სპექტაკლი "იადონას თეატრი" (რ. კლდიაშვილი) 2002 წელს გერმანიაში, მცირე თეატრების ფესტივალზე დიდი წარმატებით იქნა ნაჩვენები და დაჯილდოვდა პრიზით საუკეთესო რეჟისურისთვის, ხოლო ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი ცუცა კაპანაძეს გადაეცა. სპექტაკლი "ხანუმა" (ა. ცაგარელი) 1993 წელს გერმანიაში, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალზე დაჯილდოვდა საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის კი პრიზი საქართველოს სახალხო არტისტმა ელენე ყიფშიძემ მიიღო. რ. კლდიაშვილის პიესა "პილონი" (ვარიაციები ნობელის პრემიის ლაურეატ ჯ. სტეინბეკის მოთხრობის „ტორტილა ფლეტის“ მიხედვით) 2011 წლის ივლისში დასმა წარადგინა გერმანიაში ქ. კარლსრუესა და დურლანხში. თეატრის გასტროლებმა ანშლაგით ჩაიარა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრს მჭიდრო კულტურულ-შემოქმედებითი კავშირები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედებით კოლექტივებთან, მათ შორის აშშ-ის ქალაქ რასინისა და ნიუ-იორკის ახალგაზრდულ თეატრებთან. აღსანიშნავია გერმანიის ქ. კარლსრუეს "სანდკორნ თეატრისა" და სტუ-ს თეატრს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ საუკეთესო სპექტაკლების გაცვლას, ამ ურთიერთობებმა შემდგომში საფუძველი ჩაუყარა კარლსრუესა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტების საქმიან ურთიერთობებს, რომლის შედეგადაც ხდება ორი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების, ასევე შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლა.

თეატრისთვის შემოქმედებითი თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესო გამოდგა ბოლო წლები, მთლიანად შეიცვალა დასის შემადგენლობა, მოხდა თაობათა ცვლა, დასი შეავსეს სხვადასხვა ფაკულტეტის სცენისმოყვარულმა სტუდენტებმა. ამჟამად თეატრში ორმოცდაათამდე მოყვარული და რამდენიმე პროფესიონალი (მოწვეული) მსახიობია.

ამ სცენაზე მოხდა "თეატრალური ნათლობა" კულტურისა და ხელოვნების თვალსაზრისით წარმომადგენლებისა, რომელთა უდიდესი ნაწილი დღესაც განაგრძობს მოღვაწეობას საქართველოსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

დღეისათვის თეატრის რეპერტუარშია ნ. დუმბადის "მე ვხედავ მზეს", დ. ტურაშვილის "ხვალ ჩვენს ეზოსაც გადაუფრენენ", ვ. კოროსტილევის "ფიროსმანი", რ. კლდიაშვილის "იადონას თეატრი" და "პილონი". უახლოეს მომავალში გაიმართება საპრემიერო ჩვენება: ნ. დუმბადის "საბრალდებო დასკვნა" და ო. იოსელიანის "ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი".

ვაჟთა სახალხო კაპელა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვაჟთა სახალხო კაპელა 1965 წელს ჩამოყალიბდა და მუსიკალურ საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა, მისი პირველი ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე იუზა კუბლაშვილი იყო, რომელიც გუნდს 24 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა (1965-1989). დღეს კაპელა სწორედ მისი სახელობისაა.

ვაჟთა გუნდი თავდაპირველად 15 კაცისაგან შედგებოდა, პირველი კონცერტის შემდეგ რომელიც 1966 წლის 15 მაისს სპორტის სასახლეში ჩატარდა და რომელმაც გუნდს დიდი წარმატება მოუტანა, მათი რიცხვი 70 კაცამდე გაზარდა.

კაპელის ყოველი წინსვლის მოწმე და მონაწილე იყო მისი ქორმაისტერი სოსო ფალავანდიშვილი, რომელიც 1981 წლიდან მისმა ქალიშვილმა ციციწო ფალავანდიშვილმა შეცვალა. 1989 წლიდან დღემდე ქალბატონი ციციწო ვაჟთა სახალხო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია. მისი ხელმძღვანელობით კაპელამ ახალი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

1965 წლიდან დღემდე კაპელას მრავალი კონცერტი აქვს ჩატარებული საქართველოსა და სხვა ქვეყნებში (გერმანია, ჰოლანდია, იტალია, რუსეთი, პოლონეთი, უკრაინა, ფინეთი, თურქეთი, საბერძნეთი და სხვ.) კაპელამ არაერთი აღიარება მოიპოვა, გახდა უამრავი ფესტივალის ლაურეატი და პრიზიორი, მათ შორის: 1984 წელს ვილინიუსში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალზე გრანპრი მოიპოვა; 1989-1991 წლებში ქ. რიგაში გამართულ ვაჟთა გუნდების კონკურსზე მიიღო სპეციალური პრიზი ხალხური სიმღერების შესრულებისათვის და პრიზი მაყურებელთა სიმპათიისთვის; 1997 წელს პოლონეთში საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალზე გრანპრი მოიპოვა; 2005 წელს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი გახდა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი საბერძნეთში (როდოსის კუნძული); 2007-2008 წლებში მონაწილეობა მიიღო პროექტში "პატრინოტი".

კაპელა ყოველწლიურად მართავს საანგარიშო კონცერტებს და მონაწილეობს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში. კაპელის რეპერტუარშია ქართული ხალხური სიმღერები, ქართველ კომპოზიტორთა და დასავლეთ ევროპის კლასიკოსთა საგუნდო ნაწარმოებები, ამერიკული სპირიტუელსები.

ვაჟთა კაპელაში დაიწყო მოღვაწეობა დღეს უკვე სახალხოდ აღიარებულმა შემოქმედებმა, რომლებიც მუსიკისა და დრამის თეატრში მოღვაწეობენ და ოპერის თეატრის სოლისტები არიან. კაპელაში დაიწყო მუსიკალური მოღვაწეობა "ცისფერმა ტრიომ", ტრიო "თბილისმა" და "ტრიო "სიმმა".

ქორეოგრაფიული ანსამბლი "მერანი"

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი "მერანი" 1934 წელს გამოჩენილმა ქართველმა მოცეკვავემ ჯანო ბაგრატიონმა დააარსა. 1993 წლიდან დღემდე ანსამბლს ხელმძღვანელობენ საქართველოს დამსახურებული არტისტები ნინო ლაზიშვილი და თეიმურაზ კობახიძე.

ანსამბლი, ძირითადად, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისაგან შედგება.

2008 წლიდან "მერანი" გახდა UNESCO-ს წევრი, ამავე წელს ანსამბლი მიიწვიეს გიორგი კალანდიას დოკუმენტურ ფილმში გადასაღებად.

ანსამბლს უამრავი კონცერტი აქვს გამართული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, არის მრავალი ფესტივალის მონაწილე და პრიზიორი, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, ესპანეთი, ინდოეთი, თურქეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი და ა.შ.): 1997-1998 წლებში ანსამბლმა ფესტივალ "თბილისურ გაზაფხულზე" დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა გრანპრი; 1999 წელს ჰონგ-კონგში აზიის საერთაშორისო მუსიკის ფესტივალზე გაიმარჯვა; 2001 წელს მოიპოვა გრანპრი სირიის საერთაშორისო ფესტივალზე; 2009 წელს 7-12 ივლისს თურქეთის ქალაქ ბურსაში ფოლკლორული ცეკვების 23-ე საერთაშორისო კონკურსი "ALTIN KARAGÖZ" გაიმართა, რომელშიც მსოფლიოს 23 ქვეყანა მონაწილეობდა. კონკურსზე საქართველოს "მერანი" წარმოადგენდა და 23 ქვეყანას შორის პირველი ადგილი სწორედ მას ხვდა წილად.

ანსამბლი "მერანი" განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობს სტუდენტებში, მათი მოთხოვნით ხშირად იმართება კონცერტები. "მერანი" ყოველწლიურად მიემგზავრება გასტროლებზე სხვადასხვა ქვეყანაში.

ჯგუფი "ურსა"

სტუ-ში ასევე ფუნქციონირებს ვაჟთა და გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, მათ შორის, ჯგუფი "ურსა", რომელიც 2010 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა შექმნეს. ამ ხნის განმავლობაში ჯგუფმა უამრავი კონცერტი გამართა როგორც თბილისში, ასევე ბათუმში, თელავსა და მცხეთაში. "ურსამ" უკვე მრავალ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და მსმენელის სიმპათია მოიპოვა, "სტუდენტური დღეები 2011"-ზე კი ჯგუფი კომპეტენტურმა ჟიურიმ წლის აღმოჩენად დაასახელა. ჯგუფის მუსიკალური მიმდინარეობა "მოდერნ ფოლკი", იგივე იმპროვიზებული ფოლკია, ჯაზის ელემენტებით, "ურსას" ორიგინალური კონცეფცია აქვს არჩეული, მათი რეპერტუარი აერთიანებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, ახლებური ინტერპრეტაციით.

ანსამბლები "ქართველო" და "ჩელა"

სტუ-ში არსებობს ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლები "ქართველო" და "ჩელა". ისინი აქტიურად მონაწილეობენ კონცერტებსა და სატელევიზიო შოუებში. "ჩელა" უკვე რამდენიმე წელია ფესტივალ "არტგენის" აქტიური მონაწილეა და დიდი სიმპათიით სარგებლობს, 2011 წლის ზაფხულში ანსამბლმა "ქართველომ" ფესტივალზე მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

გოგონათა ანსამბლი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლი 2011 წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა და ამ მცირე დროის განმავლობაში, უკვე მრავალ

ფესტივალსა და კონცერტში მიიღო მონაწილეობა. გოგონათა ანსამბლის რეპერტუარი ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერებისგან შედგება.

სტუდენტური ცხოვრება

ყოველწლიურად ტექნიკური უნივერსიტეტის 100-ობით სტუდენტი კვალიფიციური ტრენერების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს გადის სხვადასხვა, მათთვის საინტერესო და აქტუალურ თემებზე, მათ შორის "ლიდერი და ლიდერობა", "როგორ დავწეროთ CV და გავხდეთ დამსაქმებლისათვის საინტერესო", "ზოგადი მენეჯმენტი (RP-მენეჯმენტი, HR-ადამიანური რესურსების მართვა)", "გუნდური მუშაობა და ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები" და ა.შ.

ტარდება საერთაშორისო კონფერენციები, მათ შორის აღსანიშნავია "სტუ-ის სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია", რომელსაც მრავალწლიანი ტრადიცია აქვს და წელს 80 წელი უსრულდება. "სტუ-ის სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია" გამოირჩევა მასშტაბურობით, მასში ყოველწლიურად სტუ-სა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების 1000-მდე სტუდენტი მონაწილეობს.

ტარდება ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?", საჯარო ლექციები სტუდენტებისთვის სასურველ, საზოგადოებისთვის ცნობილ სტუმრებთან პროფესიულ და სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. ეწყობა პროფესიული ექსკურსიები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს მომავალი პროფესიის სპეციფიკის უკეთ გაგნობასა და დაუფლებას.

თავისუფალი დრო

სტუ-ში სტუდენტებისთვის უამრავი გასართობი ღონისძიება ეწყობა. პერიოდულად ტარდება კონცერტები, რომლებშიც ტექნიკური უნივერსიტეტის ანსამბლებთან ერთად ცნობილი მომღერლები და ჯგუფები მონაწილეობენ, იმართება პოეზიის საღამოები, სტუდენტური წვეულებები. სტუდენტებს უფასოდ ურიგდებათ კინოსა და თეატრის ბილეთები.

ეწყობა ექსკურსიები, სადაც ყოველწლიურად ათასობით სტუდენტს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ისტორიული ძეგლის მონახულების საშუალება ეძლევა.

ტარდება გასართობი შეჯიბრებები ("კარტინგები", "ლაზერული სამყარო", "ქაუნთერი" და სხვ.).

იმართება ტურნირები შემდეგ სპორტულ სახეობებში: მინიფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მკლავჭიდი, ნარდი და სხვ..

აღსანიშნავია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ყველა პროექტი სტუდენტებისთვის უფასოა.

სპორტი

სტუ-ში ფუნქციონირებს 6 სპორტული კლუბი, კალათბურთის (სუპერლიგა და ოცწლამდელები), ფეხბურთის I ლიგის გუნდი, ფრენბურთისა და ხელბურთის გუნდები, რომლებიც ასპარეზობენ საქართველოს ჩემპიონატის უმაღ-

ლეს ლიგაში და სარაგბო კლუბი "სტუ". აღნიშნული გუნდები მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა ჩემპიონატებში.

კალათბურთის 20 წლამდელთა გუნდი საქართველოს 2011 წლის ჩემპიონატის გამარჯვებულია.

სამწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღდგა ხელბურთელთა გუნდი, რომლებმაც პირველივე წელს მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2012 წლის ივლისში ესპანეთის ქალაქ კორდობაში ჩატარებულ „პირველ ევროპულ უნივერსიტეტების თამაშებში“ მიიღო მონაწილეობა და აღნიშნული გათამაშების გამარჯვებული გახდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სტუ-ს ხელბურთელთა გუნდი პირველი სპორტული გუნდია, რომელმაც საუნივერსიტეტო თამაშებში მსგავს წარმატებას მიაღწია.

სტუ-ს საუნივერსიტეტო ნაკრები გუნდის წევრები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს უნივერსიდაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ ბოლო ორი წელია (2011-2012) სტუ „საქართველოს უნივერსიადის“ გამარჯვებულია. სპორტსმენი სტუდენტები, რომლებიც სხვადასხვა სპორტულ სახეობაში ასპარეზობენ სტუ-ს სახელით, მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებსა და ტურნირებში, და წარმატებით გამოდიან სტუდენტურ უნივერსიადაზე.

საქართველოს უნივერსიტეტთა შორის ჩემპიონია სტუ-ს საფეხბურთო (ფუტზალის), კალათბურთის, ფრენბურთის და რაგბის საუნივერსიტეტო ნაკრები გუნდები.

უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სექცია მათ შორის – ორთაბრძოლების, მაგიდის ჩოგბურთის, კარატის, ჭადრაკისა და ხრიდოლის.



სტუდენტთა აზრი

ქეთევან ხორავა:

მეოთხე წელია, რაც ვსწავლობ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე. აღნიშნული ფაკულტეტი გამოირჩევა სპეციალობების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყოველი თანამშრომელი მოტივირებულია, ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტივობასა და სრულყოფილი განათლების მიღებას. ფაკულტეტზე ხშირად იმართება შემეცნებითი შეხვედრები მოწვეულ სტუმრებთან, რაც სტუდენტების აქტივობასა და მათი შემეცნების არეალის გაფართოებას უწყობს ხელს. ყოველ სემესტრში ტარდება სპორტული ტურნირები და კულტურული ღონისძიებები, რაც მრავალი სტუდენტის ინტერაქტიულობასა და მოწონებას განაპირობებს. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ასევე აქტიურად ზრუნავს განათლების ხარისხზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სავსებით შესაძლებელია მიიღო ხარისხიანი და მაღალი დონის განათლება, რაც განპირობებულია თავად აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმითა და მათი მრავალწლოვანი გამოცდილებით. ყოველ წელიწადს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ტარდება „სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია“, რომელშიც მონაწილეობას ინტენსიურად იღებენ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები. ეს ღონისძიება ხელს უწყობს სტუდენტობას ჩაერთოს სამეცნიერო მუშაობაში, შეძენილი ცოდნისა და კვლევის შედეგად მოამზადოს ნაშრომი და წარადგინოს დამოუკიდებლად, იგი სტუდენტებს გამოუმუშავებს იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც შემდგომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოადგებათ.

რაც შეეხება ჩემს სპეციალობას _ საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმეს _ მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალობაა ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე, რადგან ეს სწორედ ის სპეციალობაა, სადაც სტუდენტები შეძლებენ უნივერსიტეტშივე ჩამოყალიბდნენ საბანკო საქმის სპეციალისტებად, რადგან თეორიული მასალა და ამავდროულად პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც სწავლის პროცესში მონაწილეობენ, თავად ქართული საბანკო სისტემის მართვისა და ფუნქციონირების მონაწილენი არიან. მათი მეშვეობით სტუდენტობა არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკაში არსებულ მეთოდოლოგიებსაც ეცნობა. თუმცა, სასურველი იქნებოდა თითოეული ჩვენგანი, არა მხოლოდ თეორიის დონეზე, არამედ პრაქტიკით დაუფლებოდა საბანკო

საქმეს და მესამე კურსიდან ხელგვეწიფებოდეს სტაჟირების გავლა ჩვენი სპეციალობით.

ნინო მეტრეველი:

მე, ნინო მეტრეველი 2009 წელს ჩავირიცხე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე. პირველი კურსის დახურვის შემდეგ მოვხვდი ფარმაციის სპეციალობაზე და ვარ პრეზიდენტის სტიპენდიანტი. ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა მომცა საშუალება ამეხდინა ბავშვობის ოცნება და გავმხდარიყავი ფარმაცევტი. ძალიან მომწონს ჩემი პროფესია. ამაში მეხმარებიან ჩემი პედაგოგები. ისინი მასწავლიან არა მარტო წამლის შემადგენლობას, არამედ მის გამოყენებას დანიშნულებისამებრ. მომწონს სასწავლო საგნები და ყველა პედაგოგი, განსაკუთრებით ფარმაკოლოგია, რადგან იგი უშუალოდ ჩემს პროფესიას ეხება. წელს გავიარე პრაქტიკა თბილისის ერთ-ერთ აფთიაქში, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. მქონდა უშუალო შეხება მომხმარებელთან, ასევე უკეთესად შევისწავლე წამლის შემადგენლობა, მისი მოხმარება და მომხმარებლისათვის სწორად მიწოდება.

გვყავს ძალიან კარგი ჯგუფი. გამოცდების პერიოდში ჩვენ ვეხმარებით ერთმანეთს. ყოველთვის, როცა თავისუფალი დრო გვაქვს, მივდივართ კინოში, თეატრში ან ექსკურსიაზე.

ჩვენი ფაკულტეტის დეკანი ბატონი ნუგზარ წერეთელი და დეკანატის ყველა თანამშრომელი გამოირჩევა დიდი გულისხმიერებით თითოეული სტუდენტის მიმართ, რაც დიდ როლს თამაშობს ჩვენი, როგორც პიროვნული სრულყოფის, ასევე ჩვენი არჩეული პროფესიის სრულყოფილად დაუფლებაში.

შორენა ლომიძე:

სკოლის დასრულების შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. მან უნდა აირჩიოს თავისი მომავალი პროფესია და ის ადგილი, სადაც სათანადო განათლებას მიიღებს. მე ეს არჩევანი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე შევაჩერე. 2006 წელს ჩავირიცხე ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე. ზოგადი პირველი კურსის დახურვის შემდეგ სწავლა განვაგრძე მიმართულებით „კომპიუტერული ტექნოლოგიები მენეჯმენტში“. ვიყავი მუდამ პრეზიდენტის სტიპენდიანტი. ოთხი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ფარგლებში ურთიერთობა მომიწია ისეთ ადამიანებთან, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ჩემი თვალსაწიერის გაფართოებაში და საერთოდ ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მადლობას ვუხდის უფალს, რომ ასეთ ადამიანებთან შეხვედრის საშუალება მომცა და ამასთან მადლობას ყველა ჩემს ლექტორს.

მყავდა ძალიან მეგობრული ჯგუფი. ხშირად დავდიოდით კინოში, ექსკურსიებზე უნივერსიტეტის დაფინანსებით. სტუდენტობის წლები იყო ულა-

მაზესი ჩემს ცხოვრებაში. დაუვიწყარი და ასე იქნება მუდამ. ლექციების შემდეგ ყოველდღე დავდიოდი ბიბლიოთეკაში, სადაც საოცრად თბილი გარემო სუფევდა და იყო ყველა პირობა რათა სტუდენტს თავი კომფორტულად ეგრძნო და ემეცადინა სრულყოფილად. მრავალი საინტერესო საგანი შევისწავლე, მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა საგანმა „ორგანიზაციული მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიები“, რომელსაც ბატონი გიორგი ძიძიგური გვიკითხავდა. ამ ლექციების მოსმენის შემდეგ მივხვდი, რომ ამ მიმართულებით უნდა გამეგრძელებინა ჩემი მსოფლმხედველობის განვითარება. 2011წელს ჩავაბარე მაგისტრატურაში. ჩემი ხელმძღვანელი ბატონი გიორგი ძიძიგური გახლავთ და ვეუფლები ადამიანური რესურსების მართვის ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

მადლობას ვუხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც დამეხმარა განათლების მიღებაში. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანს ბატონ ზურაბ წვერაიძეს, №41 მიმართულების ხელმძღვანელს ბატონ თენგიზ მაჭარაძეს და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩემთვის სასურველი მიმართულებით წინსვლაში.

ბაგ

„ინჟინერი _ XXI“

სტუ-ს სტუდენტებს მოუწევთ სალექციო კურსის გავლა და პროექტების ჩაბარება კულტუროლოგიაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავის 90 წლის იუბილეს, როგორც საგანმანათლებლო კერა, კულტუროლოგიის დანერგვითაც ხვდება. მისი ავტორი და დამწერგავი, პროზის ცნობილი დიდოსტატი, შოთა რუსთაველის, სახელმწიფო და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პრემიებისა და ჯილდოების მფლობელი პროფესორი რევაზ მიშველაძეა, რომელმაც კულტუროლოგიაში ახალი ნაკადის სტუდენტებისათვის საგანგებოდ შექმნა სახელმძღვანელო „კულტურა და თანამედროვეობა“.

კულტუროლოგიის კურსისათვის ნიადაგი ჯერ კიდევ 2010 წელს მომზადდა, როცა საქართველოში სტუ-ს სტუდენტებისათვის დღის სინათლე იხილა პირველმა კულტუროლოგიურმა სახელმძღვანელომ. მისი ავტორები არიან: იგორ კვესელავა, რევაზ მიშველაძე, გიორგი მჭედლიშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, ავთანდილ ძამაშვილი, სოსო სიგუა და ოლეგ ნამიჭიეიშვილი, საერთო ხელმძღვანელობა გასწია სახელმძღვანელოს თანაავტორმა სტუ-ს რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა. ავტორთა კოლექტივის თანამშრომლობა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მალე 2012 წლისათვის ორიგინალური სახელმძღვანელო გამოსცა კულტურის სექტორის ხელმძღვანელმა რევაზ მიშველაძემ.

სასწავლო სახელმძღვანელო სრულიად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და განკუთვნილია ფართო პროფილის ტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. წიგნის მთავარ ღირსებას სხვა საკითხებთან ერთად წარმოადგენს „კულტურისა“ და „ცივილიზაციის“ არსის გაგება. კულტუროლოგიაში მომუშავე მეცნიერებისათვის მთავარი თავსატეხი იყო კულტურისა და ცივილიზაციის გამიჯვნის ცდა და მათი სრულყოფილი განმარტება. რევაზ მიშველაძემ სწორედ ამ საკითხებში შეიტანა სიცხადე და შემოგვთავაზა მკაფიო და ზუსტი განმარტებები. მან „კულტურა“ მხატვრული აზროვნების პროდუქტად მიიჩნია (ცალკე გამოყო), ხოლო „ცივილიზაცია“ კაცობრიობის მხატვრულ და შემეცნებით-მეცნიერულ ქმედებას დაუკავშირა. ამრიგად, კულტურა ცივილიზაციის ცალკე პლასტად და ფენომებად დაისახა და არა ცივილიზაციის სინონიმურ და იდენტურ ტერმინად.

შორეულ წარსულში ინჟინერ-სპეციალისტები საზოგადოების არამართო იშვიათ და მაღალანაზღაურებად ფენას წარმოადგენდნენ, არამედ მაღალგანვითარებული და წიგნიერი ადამიანებიც იყვნენ და ერთმნიშვნელოვანად იმსახურებდნენ აღიარებასა და პატივისცემას.

ლიტერატურიდან ცნობილია მთელი რიგი პერსონაჟებისა, რომლებიც საუკეთესოდ გვისურათებენ ტექნიკური სფეროს წარმომადგენლებს, მათ ხასიათს, სოციალურ მდგომარეობას და მათდამი საზოგადოების დამოკიდებულებას. მართო ი. კუპრინის „თეთრი პუდელის“ ინჟინერი პერსონაჟი რად ღირს, რომელსაც ყირიმში ჰქონდა სასახლე და ჰყავდა მსახურთა არმიაც... რითია იგი ნაკლები ჩვენს თანამედროვე ე. წ. ოლიგარქებზე, ანდა კომიკური პერსონაჟი ინჟინერი ბრუნსი, რომელიც ადრეული ხანის საბჭოთა რუსეთის პირმშოა.

ხაზგასასმელია ის მომენტიც, რომ ინჟინრები მრავალმხრივ განათლებულ ადამიანებად ითვლებოდნენ. ერთი ძველი ანეკდოტისა არ იყოს, მათი ჰორიზონტი მოიცავდა „ბახიდან ფოიერბახამდე“ ცოდნასა და განათლებას და ეს მათ არამართო საარსებო მინიმუმის გამომუშავებაში ეხმარებოდა... საბჭოთა ეპოქაში კი დამოკიდებულება აშკარად შეიცვალა. ამის ნათელი მაგალითია არკადი რაიკინის ცნობილი ფრაზა: „как на простой инженер пилюет“, ამასვე მოწმობს საბჭოთა ეპოქის კონვეირული და გამთანაბრებელი სულისკვეთება, რაც, იმედა, საბოლოოდ წარსულს ჩაჰბარდა.

ისტორიას ციკლორობა სჩვევია. ჩვენს სინამდვილეში მსოფლიო საზოგადოება, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ „ვიწრო სპეციალობაზე“ სწორებას კარგი არაფერი მოაქვს. ექიმი, რომელიც პაციენტის მარჯვენა ხელს მკურნალობს, მარცხენის სამკურნალოდ მას სხვა „მეზობელ კაბინეტში“ აგზავნის, შედეგსაც მინიმალურს იმკის. დღეს საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში სულ უფრო იკაფავს გზას ჰუმანიტარული დისციპლინები, რაც სპეციალისტებს ეხმარება არამართო ფართო პროფილის ასათვისებლად, არამედ ფართო ჰორიზონტსაც ანიჭებს. საგულისხმო ფაქტია, რომ სტუ-ში კულტუროლოგიას აითვისებენ სამეცნიერო-ტექნიკური დარგის სპეციალისტები ქართულ და რუსულ ენებზე. ეს ხომ აუცილებელი და საშური საქმეა, რაც იმიტაც მტკიცდება, რომ კომპაქტურად ჩასახლებული ნაციონალური უმცირესობებისათვის ჩვენთან და ერთმანეთთან საურთიერთობო ენა ჯერ კიდევ რუსულია.

რევაზ მიშველამის სახელმძღვანელო კულტუროლოგიაში რუსულად ითარგმნება და სექტემბრიდან სტუ-ს სტუდენტებს ლექციას წაუკითხავს ფილოლოგიის დოქტორი, საერთაშორისო ლიტერატურული პრემიების ლაურეატი ვლადიმერ სარიშვილი.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე „არგუმენტები და ფაქტების“ კორსპონდენტი იროდიონ უზნაძე ესაუბრა პროფესორ რევაზ მიშველამეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა:

– ბატონო რევაზ, როგორ წარმოიშვა იდეა კულტუროლოგიის კურსი შეგექმნათ არაჰუმანიტარული სექტორის სტუდენტებისათვის?

– იდეა გაჩნდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და სტუ-ს რექტორის შეხვედრის შემდგომ. პრეზიდენტმა გამოთქვა მოსაზრება კულტუროლოგიის კურსის საყოველთაო დანერგვის შესახებ. ამის შემდგომ სტუ-ს რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა არჩილ ფრანგიშვილმა, უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე, გამოსცა ბრძანება კულტუროლოგიის კურსის საერთო საუნივერსიტეტო მასშტაბით შემოღების თაობაზე. 2011-2012 სასწავლო წელს კულტუროლოგიის სალექციო კურსი აპრობირებულ იქნა – ოღონდ იკითხებოდა ერთი სემესტრის განმავლობაში.

– ჩვენო, თქვენ ბრძანეთ...

– დიახ. ჩვენ – მონოგრაფიის რედაქტორი, საზოგადოებრივი მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი იგორ კვესელავა, რეცენზენტები პროფესორი სოსო სიგუა და პროფესორი მურმან თავდიშვილი. ასევე ჩვენი გუნდის „ახალი მოთამაშე“ ვლადიმერ სარიშვილი, რომელიც დღევანდელ საქართველოში მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურის რუსულ ენაზე საუკეთესო მთარგმნელად ითვლება. სწორედ იგი გაუძღვება კულტუროლოგიის სალექციო კურსს ნაციონალური (ეთნიკური) უმცირესობების წარმომადგენლებთან.

– თუ შეიძლება მოკლედ მოხაზეთ, რას წარმოადგენს კულტუროლოგიის თქვენული ინტერპრეტაცია ჩვენი სტუდენტებისათვის და მისი პრაქტიკაში დანერგვისას პირადად თქვენ როგორ შედეგს ელით?

– ცალსახად ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, თუმცა შევეცდები. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენი სასწავლო სახელმძღვანელო რეკომენდებულია არამარტო უმაღლესი საუნივერსიტეტო დაწესებულებებისათვის, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ლიცეუმებისა და გიმნაზიებისთვის.

ჩვენი კულტუროლოგიის სახელმძღვანელო მოიცავს კულტურის არსის გაგებას, ტერმინოლოგიურ განმარტებებს, ხელოვნების ნაწარმოების ძირეული იდეის გაგების კრიტერიუმებს, მხატვრული აზროვნების სპეციფიკურ საკითხებს, კვლევისას აქტუალური საკითხების გამოყოფისა და გათავისების ხერხებს და ყოველივე ამის თანამედროვე მსოფლიო პროცესებთან დაკავშირების შესაძლებლობებს. თანამედროვე ახალგაზრდები შეძლებენ სახელმწიფოსა და კულტურის, კულტურისა და რელიგიის, კულტურისა და გლობალიზაციის ურთიერთმიმართებაში გარკვევა-გაგებასა და წვდომას. ყოველივე ეს, ახალგაზრდებს დაეხმარება კაცობრიობის თანამედროვე თანამეგობრობის არსებობის ლაბირინთულ პირობებში გამოიმუშაონ სწორი ორიენტაცია.

განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა ქართული კულტურის თავისებურებებზე, მის ფენომენზე. ჩვენი სახელმძღვანელოს ერთი ქვეთავიც სწორედ ასეა დასათაურებული – „ქართული ფენომენი“. სტუდენტები გაეცნობიან საქართველოს მატერიალურ და სულიერ კულტურას, უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ მონაპოვრებს, ქართულ ფოლკლორს, ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას, ეთნოქოროგრაფიას, სახვით ხელოვნებას, კინოსა და თეატრს. ცალკეულ ლექციებში ისინი გაეცნობიან ქართულ კლასიკას, მის მსოფლიო მნიშვნელობას. ჩვენ ვეცდებით ახალგაზრდა თაობას დაწვრილებით და სრულყოფი-

ლად გავაცნოთ ქართული კულტურის თავისებურებები, ხალხის სწრაფვა თავისთავადობისაკენ და ამ გზაზე გამოვლენილი ტენდენციები, ქართული კულტურის სათავეები და მისი სპეციფიკური და კუთვნილი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში.

– და როგორია ეს – „ქართული კულტურის სპეციფიკური და კუთვნილი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში“?

– ქართული კულტურის განვითარების ეტაპები მოიცავს ბერძნულ, ბიზანტიურ, არაბულ-მაჰმადიანურ და ევროპულ კულტურასთან შეხების წერტილებს, რამაც შექმნა მისი სინთეზურობა – გაამდიდრა ქართული ნაციონალური ხასიათი. ალბათ, განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს სახელმძღვანელოს შემდეგი საკითხები: „მითოლოგიური, ელინისტური და აღმოსავლური გავლენა ქართულ კულტურაზე“, „დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქა, როგორც ქართული კულტურის ოქროს ხანა“, „ქართული საგანმანათლებლო კერები საზღვარგარეთ (იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ათონის მთა (ივირონი), პეტრიწონი – ბაჩკოვო...), ქვეყნის შიგნით – ფაზისის, გელათის, იყალთოს აკადემიები“. საბოლოო დასკვნა კი ასეთია: ქართული კულტურა უაღრესად თავისთავადი, ორიგინალური ფენომენია.

ასევე საინტერესოა ქართული კულტურის ანთროპოლოგიური და ზნეობრივი არსის გააზრება, ეროვნული წეს-ჩვეულებების, რიტუალების, ენისა და მეტყველების, მეცნიერების, დიპლომატიის ერთიან სირცემში მოქცევა, ანალიზი და მისი მიმართება თანამედროვე ცივილიზაციასთან.

ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენს, სტუდენტებს გაფუადვილოთ მსოფლიო ცივილიზაციის არსში წვდომა და მისი გათავისება-გაცნობიერება. ამიტომ ცალკე გამოვყავით „მსოფლიო კულტურის მიღწევები“, რომელიც იწყება მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში ფინიკიელების მიერ ჩაყრილი საძირკვლით და გრძელდება ძველი ეგვიპტის, ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, ირანის, ძველი ებრაული, ბერძნულ-რომაული, ევროპულ-რუსული, ამერიკული, კავკასიური, წინააზიური კულტურების გაცნობით. განვიხილავთ ასევე „სათავეთა სათავეს“ – კულტურის გენეზისს, რაც პირველყოფილი საზოგადოებისა და მეტყველების ჩასახვით არის გამორჩეული.

– თემატიკის მასშტაბები მართლაც შთამბეჭდავია.

– ამ თემატიკის ირგვლივ ჩვენი სტუდენტები ზოგად ცოდნას მიიღებენ, რადგან სტუ მაინც ტექნიკური პროფილის უნივერსიტეტია. უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მაინც არ არის კულტუროლოგიის კურსის ჩვენეული გააზრების სრული სურათი. სასწავლო პროგრამა მოიცავს სხვა თემატურ პლასტებსაც, რომლებიც კულტურასა და პოლიტიკას, კულტურასა და მხატვრულ აზროვნებას შეეხება. სტუდენტს, ჩვენი გათვლით, ამ კურსის ათვისების შემდეგ შეეძლება თავად გაიკვილოს გზა და მოძებნოს სწორი ორიენტირები მსოფლიოს კულტურულ პროცესებში, ასევე შეიძენს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს, დამოუკიდებლად შეაფასოს ხელოვნების ნაწარმოებები. „კულტურა და გლობალიზაცია“ ჩვენ მიერ ცალკე გამოკვეთილი თემაა, სადაც წარმოვადგინეთ გლობალიზაციის ნაციონალურ კულტურებთან მიმართების საკითხები, რაც „მასკულტურის“ აგრესიული ფორმების

წახალისებაში გამოიხატება. საკუთრივ გლობალიზაცია, როგორც ზოგადსაკაცობრიო მოვლენა, განხილული გვაქვს როგორც დადებითი, ისე მისი უარყოფითი მხარით, სადაც გათვალისწინებულია ჩვენი მისწრაფება ნაციონალური კულტურის შენარჩუნების კუთხით.

ჩვენი აზრით, დიდი ინტერესი უნდა გამოიწვიოს ისეთმა აქტუალურმა თემამაც, როგორც არის „მეცნიერული შედეგების სპეციფიკა და კულტურა“, აქ ყურადღება გამახვილებულია სამეცნიერო მიღწევებსა და მის თანამედროვე კულტურაში გამოყენებაზე, მაგ., ეიფელის კოშკი და ამერიკული ცათამბჯენები და სხვა მსგავსი ქმნილებები. უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია კულტურის ფილოსოფიის ასპექტებიც, მისი როგორც სულიერი და ამადლებული მხარეები, რაც მოიცავს კულტურის მიმართებას თავისუფალ ნებასთან ზოგადად, ასევე კულტურა და შედეგება, მხატვრული და შედეგებითი აზროვნება, კულტურის როლი პიროვნების ზნეობრივად აღზრდის საკითხში და სხვ., ცალკე გამოვყავით „ტრადიციული და ტექნოგენური ცივილიზაცია“, რომელშიც მკაფიოდ არის გააზრებული გლობალური კრიზისი და ცივილიზაციაზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზეწოლა.

და კიდევ: ყურადღება შევაჩერეთ „კულტურასა და რელიგიაზე“ – ვაჩვენეთ კულტურის როლი რელიგიური შეხედულებების ფორმირებასა და მის განმტკიცებაზე. სტუდენტებს ინტენსიურად გავაცნობთ მსოფლიო კულტურის შედეგებს, რელიგია ხომ მრავალი გენიოსისთვის შთაბამონებელი იყო და მათ აღიარებას მსოფლიო მასშტაბებით უწყობდა ხელს.

– როგორ უყურებთ პროფესიონალად ჩამოყალიბების პროცესს თანამედროვე კომპიუტერიზაციის პირობებში?

– ეს მართლაც არის პრობლემა. გასულ საუკუნეში ბავშვები, რომელთა „პირით ჭეშმარიტება ღალატებს“, სვამდნენ ასეთ შეკითხვას: „რატომ უნდა ვისწავლოთ თვლა და ანგარიში, როცა არსებობს კალკულატორი და იგი ამას სწრაფად და შეუცდომლად აკეთებს“? ჩვენს ძირითად ამოცანად დავისახეთ სტუდენტებისათვის სწორედ ამ დილემის წარმოჩენა და ახსნა, თუ რა განსხვავებაა სუბკულტურას, მასკულტურას, სუროგატულ წარმონაქმნებსა და ზოგადგაცობრიული კულტურის მონაპოვრების შორის. ჩვენ საფუძვლიანად ვუხსნით, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება ჰომუნკულუსივით კოლბში ვერ შეიქმნება. დასასრულს, შემიძლია გითხრათ, რომ აზროვნებას ვაჩვევთ ახალგაზრდებს, რათა მათ თავად განსაზღვრონ, ემუქრება თუ არა კულტურას გაუფასურება თუ პირიქით? კულტურის მთავარი მიზანი რა არის – პიროვნების აღზრდა თუ კიდევ სხვა რაიმესადმი მსახურება?

პირადად მე, ღრმად მჯერა, რომ ჰუმანიტარულ იდეალებს ზიარებულ კულტურას მთელი მისი მრავალფეროვნებით, ალტერნატივა არ აქვს და სურათის შეცვლა, ვფიქრობთ, ამ კუთხით წარმოუდგენელია.

იროდიონ უზნაძე

გაზეთ „Аргументы и факты“-დან (131, 2012, გვ. 16) სპეციალურად თარგმნა და სტუ-ს საზოგადოებას მიაწოდა პროფ. ბ. ცხადაძემ.

პოეზია

პ

პოეზია, პროზა

პ

 *nestor rexviaSvil i*

veZeb

ქართველებში იმ კაცს ვეძებ,
ვინც არ იყო აგენტი,
ცოტა ვპოვე და ამიტომ
დავობლდი და დავკენტდი.

ქართველებში იმ კაცს ვეძებ,
ვინც მოძმისთვის ეცადა.
ცოტა ვპოვე მიტომ ვკვდები,
თუმც სიცოცხლე მეწადა.

ქართველებში იმ კაცს ვეძებ,
ვინც ფასსა სდებს ერთობას.
ცოტა ვპოვე და ამ იტომ
ვწყევლი ამ უღმერთობას.

ქართველებში იმ კაცს ვეძებ,
ვინც ქვეყნის ერთგულია.
ცოტა ვპოვე, ჩემი გული
უკვე განგმირულია.

ქართველებში იმ კაცს ვეძებ,
ვინც მტერს დახვდა მტრულადა.
ცოტა ვპოვე და მიტომ ვთვლი,
ჩემს თავს განწირულადა.

ქართველებში იმ კაცს ვეძებ,
ვინაც შური დათრგუნა.
ცოტა ვპოვე ჩანს მე ზეცამ,
მწარე ბედი მარგუნა.

ქართველებში იმ კაცს ვეძებ,
მტერ-მოყვარეს ვინც არჩევს,
ცოტა ვპოვე ამ ქვეყანად
აწი რაღა დამარჩენს.

ქართველებში იმ კაცს ვეძებ,
ვინც სწორედ სჯის, რაც მოხდა.
ბევრს ვეცადე, ცოტა ვპოვე,
ბებნით სული ამომხდა.

mi yvars, momwons

მიყვარს ქართული სარს ჩახლართული
ოქროს მტევნება ვაზი,
ქართველი კაცი წელგამართული
ქართველი ქალი - ნაზი.
ასო ქართულ ფარიშეევანგივით
მონახატ-მონახაზი,
მეფე ქართველი ბრძენი მმართველი
დავითი, ფარნავაზი.

*

* *

მწამს და მიყვარს საქართველო
ფარნავაზის, ვახტანგისი.
დავითისი, თამარისი
და გიორგი ბრწყინვალისი,
თევდორესი _ გმირი მღვდლისი,
ცხრა მმა ხერხეულიძისი.
შოთას, აკაკის, ილიას,
ვაჟას, გალაკტიონისი
და ერისთვის თავდადებულ
მერაბის და ზვიადისი.

დას

გ ა ქ ც ე ვ ა

მე მიყვარს მზე, სითბო და დღის სინათლე. ადამიანი ვარ და ეს სახესებით ნორმალურია. ყოველ დილით ადრე ვდგები, რომ მზის ამოსვლას შევეგებო და ახალი სხივებით გავითბო სხეული... მერე კი იწყება ნამდვილი წამება...

... დღეს მანქანის ღრიალმა გამაღვიძა, დილიდან თავი მტკივა და საგნებს ვერ ვეგუები. ადამიანებს შორის გზას ვერ ვიგნებ და სხეულის თითოეული უჯრედი მეწვის. ქალაქის აუტანელ სიციხეს ვერსად გავურბივარ, მანქანების მძლოლები გონგადაცდენილებივით აგინებენ ერთმანეთს. აღარ მაკვირვებს მათი ანთებული სახეები, ჩასისხლიანებული თვალები და დასკდომამდე დაბერილი კისრის ძარღვები.

პატარა საქმე მაქვს, უნდა მოვათავო. მერე იქნებ გავეცალო აქაურობას და სადმე მშვიდი ადგილი ვიპოვო. ესეც ათასში ერთხელ ხდება, თორემ ვის შეუძლია ქალაქის ჯოჯოხეთს გაექცეს? პრობლემებს მიჯაჭვული ადამიანების გარემოცვაში ძნელია ცხოვრება, მე თვითონაც პრობლემებს მიჯაჭვული ვარ, რას ვიზამ? ქალაქი ენერგიას მოითხოვს! თავს ვერ ვაღწევ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ხელით შექმნილ საგნებს დამსგავსებთან და ხანდახან ცისკრის ან ჟამისწირვის ზარების რეკვა თუ შეაფხიზლებს და გამოარკვევს მათ შორის ჩამდგარი ყინულისფენით ცივი ხმაურისაგან, რაც სახლიდან სამსახურამდე და პირიქით გზაზე მიაცილებს ხოლმე.

მეგობართან შევიარე, კომპიუტერს მისჯდომია და თამაშობს, თავს არ აბრუნებს ჩემკენ. ვეუბნები _ მიატოვე მაგიტოვით გართობა, რადგან სული არ აქვს, რასაც ახლა უყურებ და აღამაშებ! მეუბნება _ მერე რაო? ვპასუხობ _ რა და, ვერაფერს მოგცემს ის, რასაც სული არ ქვს. მან ვერ გაიგო და თამაში განაგრძო. განწირულია ეს კაცი, ჭეშმარიტად განწირული!

ადამიანი შემავსებელი რგოლი გახდა ელექტროტექნიკის ჯაჭვისა, ის გარეშე არსებობა აღარ ძალუძს.

არ ვიცი, რა გზას დავადგე. გადაუღებელი ოპერაცია მჭირდება, ეს ათას ხუთასი ლარი ჯდება, მე კი ერთი თეთრიც არ მიგდია ჯიბეში. მაღაზიებში დარიგებული წიგნების იმედად ვარ. წიგნების გამავრცელებელ ერთ-ერთ კომპანიაში მივედი.

– გამარჯობა, ქალბატონო ნინო. – ნინო ახალგაზრდა ქალია, სანდომიანი გარეგნობის, ლამაზი. – შეგიძლიათ გაყიდული წიგნების თანხა გადმომირიცხოთ?

– თქვენ უნდა შეგემოწმებინათ საბანკო ანგარიში.

– როგორ?

– თანხა დიდი ხანია სრულიად დავფარეთ.

მისთვის არაფერი მითქვამს. აზრი არ ჰქონდა. ნუთუ ისეთი არასერიოზული ვჩანვარ, რომ კომპანიაში მოუმზადებელი მივსულიყავი? ვიფიქრე, იქნებ სულ ახლახანს გადმორიცხეს-მეთქი?! წავედი ბანკში, ისე მილიმის ოპერატორი, როგორც ყველას.

– შეგიძლიათ 2011 წლის მარტიდან 2012 წლის მარტის ჩათვლით ამონაწერი მომცეთ?

ამომიბეჭდა და მომაწოდა. ერთი თეთრიც არ ყოფილა გადმორიცხული.

რა ვქნა? ახლა ჩემთვის მთავარი მოვალეობის დევნა არ არის. თუ რამე იყო ანგარიშზე მოვსხენი, დავიხურე ქუდი და წამოვედი. საშინლად დამდალა ამ გაუთავებელმა ღრიანცალმა. თავის ტკივილმა მიმატა. ქალაქში იმდენი მანქანაა, ფეხით მოსიარულეებისთვის ძლივს რჩება ადგილი – მათ ღრიალს ნულარ იკითხავ.

ჰაერი არ მყოფნის და ოფლი მასხამს.

სტუდენტობის დროინდელი ერთი ნაცნობი შემხვდა, ერთმანეთი მოვიკითხეთ. პირველად შევამჩნიე, რომ ქუჩაში ლაპარაკის დროს ერთმანეთს ვუყვიროდით, არ მიცდია, მისთვის ჩემი პრობლემები გამეზიარებინა, ან განა შეიძლება ასეთ ვითარებაში ადამიანს პრობლემებზე ელაპარაკო? ხანდახან მგონია, ურთიერთობებმა აზრი დაკარგა. ხანაც ის, რომ მიცვალებულისგან აღარაფრით განვსხვავდები. სისხლ-ხორციანად გარემოზე ვარ დამოკიდებული და ნელ-ნელა ვკარგავ თავისუფლებას! ა, აზრმა სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა. დავიღალე! კაციშვილის დანახვა აღარ მინდა. ერთი საათით მაინც უნდა გავერიდო ამ კოშმარს.

გაჩერებაზე ავტობუსს შევახტი. აქაც შეიძლება ახალი ამბების გაგება. სადღაც ტერორისტული აქტი მოუწყვიათ – ვინ იცის მერამდენედ? ბოლო წლების მოვლენები მაფიქრებინებს, რომ ადამის მოდგმა გაცოფდა და ცნობაგადასული, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაერია ერთმანეთს. ზოგჯერ კი ეს საზოგადოებრივი კატასტროფები იმდენად ჩვეულებრივი მგონია... მეც ხომ არ გადავცდი ნეტავი?! აბა, როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა ეს ამბები ჩვეულებრივად ჩათვალოს?! ან იქნებ ვაჭარბებ და უბრალოდ, ისე ხშირად მეორდება, ბუნებრივად მეჩვენება? ღმერთმა ქნას!

უკვე მუხლები დამედალა. ავტობუსს კონდიციონერი არ აქვს, რაც ჩვენს სილატაკეზე ლაღადებს და მგზავრები, მათ შორის მეც, ოფლში ვიწურებით. გამახსენდა და ერთჯერადი ხელსახოცი მოვიშველიე. ავტობუსმა, როგორც იქნა, ქალაქის ცენტრიდან გააღწია. ნახევრად ღია კარიდან ჩავხტი.

შედარებით სუფთა ჰაერია.

აქვე, ახლოს, ერთი მოზრდილი სკვერი მეგულება, ცოტა ფეხით სიარულია საჭირო და სანატრელი სიმშვიდეც მეწვევა.

ჯერ სამუშაო საათებია. ბაღში ადამიანები კანტი-კუნტად ჩანან, ძირითადად, ასაკოვან პენსიონერებს თუ შეხვდები. ბაღის დასავლეთისკენ, ცაცხვების ჩრდილში, სკამი მეგულებოდა. გეზიც იქით ავიღე. ჩემს ადგილზე ახალგაზრდა ქალი იჯდა, ჩემზე ცოტა უმცროსი იქნებოდა.

– შეიძლება თქვენ გვერდით დაჯდეთ? მე ეს ადგილი ძალიან მიყვარს.

ეს ადგილი მისთვისაც ერთადერთი ყოფილა, სადაც შეეძლო გაქცეოდა საგნებსა და ადამიანებს. დედა პოლონელი ჰყოლია, მამა არ ახსოვდა. ჰქონდა მუქი მწვანე თვალები, ბეჭებსქვემოთ ჩამოშვებული ქერა თმა, რომელსაც თურმე არასოდეს იღებავდა. დედას უზრუნია მის გაზრდაზე. მოქნილ, კოხტა ტანს მაღალი ფეხები უმშვენებდა. მოკლე, უმკლავებო გულამოდებული სარაფნიდან რძისფერი კანი მოუჩანდა.

– მეც აქ გაგურბივარ ქალაქის ორომტრიალს. ახლოს მომიჯდა და თავი მარჯვენა მხარზე დამადო. არ ვიცი, რა მოეწონა, ალბათ, ის, რომ რაღაცით ვგავდით ერთმანეთს. მე კი ვიფიქრე, რომ მხოლოდ მიცვალებულები შეიძლება ერთმანეთს ჰგავდნენ და, ცოტა ხნით, თავი მკვდარიც კი მეგონა, რომ არა მისი ცხელი სხეულისაგან აკრეფილი მღელვარება. წელზე შემოვხვიე ხელი და მეც თავი თავზე დავადე, მისი სუნთქვა მესმის. ლამაზი ქალის სუნთქვას ასეთ დროს არაფერი სჯობს.

– მე შენ არც კი გიცნობ.

– სამაგიეროდ მე გიცნობ. შენ ყოველდღე მხვდები ქუჩებში, ავტობუსებში, მანქანებში, მეტროში და ყველგან, სადაც შეიძლება ადამიანი იყოს.

– ასე მეც შეიძლება გიცნობდე.

ისე არასოდეს მიგრძენია სიცოცხლის მშვენება, როგორც მასთან ურთიერთობისას. მივხვდი, რომ ისიც გაურბოდა რაღაცას და განტვირთვას ეძლეოდა. ალბათ, მთლიანად ამიტომაც დაიხარჯა... და მე მაშინ პირველად შევიწყნარე მარტოობისთვის განწირული ადამიანის მდგომარეობა.

გვიან გამეღვიძა, ელენე წასულიყო. რაც მქონდა, უპოვნია ჩემს პატარა სამზარეულოში, სადაც ხანდახან თუ მიაგნებდი სასუსნავს, და მაგიდაზე საუზმე გაეწყო. აჰა, თურმე შეუძლიათ ადამიანებს ერთმანეთისთვის ზრუნვა.

ავდექი, წყალი გადავივლე (ელენეს აბაზანაც მოუწესრიგებია), შემწვარ კვერცხს პირიც კი ვერ დავაკარე, გაცივებულიყო. გრილი ჩაი ჩავუშვი სტომაქში და ჭურჭელი სამზარეულოში გავიტანე. მისი გარეცხვის თავი არ მქონდა, არც გამირეცხავს.

თავი აღარ მტკიოდა, მაგრამ სისუსტეს ვგრძნობდი. კარი დაკვეთე და ქალაქში გავედი.

სად გაექცევი ხმაურს?!

ოპერაციის დღე ახლოვდებოდა, მე კი ფული არ მქონდა. გამახსენდა რამდენიმე კეთილსინდისიერად გადამხდელი მაღაზია. დავიარე. ჩემი წიგნები მთლიანად გაეყიდათ, შემპირდნენ – თანხას მომდევნო ორი დღის განმავლობაში გადმოგირიცხავთო. საქმე აღარაფერი მქონდა და ქალაქიდან მოშორებით, ტბაზე წავედი. ვიფიქრე, ცოტას გავგრილდები-მეთქი. სანაპიროზე ბევრი ხალხი იყო, წყალი ისე ამღვრეულიყო, შესვლა არ ღირდა. სანაპიროსთან, ჩრდილში წამოვწყექი, თავი ხეს მივაყრდენი და გარემოს თვალთვლივას შევე-

დექი. ახალგაზრდა გოგო-ბიჭები საცურაო კოსტიუმის ამარა მზეს ეფიცებოდნენ. ერთმანეთს ეარშიყებოდნენ, თავდავიწყებას ეშურებოდნენ. უდარდელი იყო მათი მიხრა-მოხრა, ალბათ, ჯერ არ შეედეგათ ფეხი სიცრუისა და უნდობლობის უბინძურეს ქაფში. რამდენიმე მათგანი, მოცურავე ნავეებს შორის, წყალზე წამოწოლილიყო.

ნელ-ნელა ბინდებოდა და წასვლაც დავაპირე, რომ წყლიდან ყრუ ბაგუნთ შემომქმნა, იქით გავიხედე, თურმე ერთ-ერთ ნავს მოცურავისთვის დაურტყამს. მენიჩბეს კი არც შეუმჩნევია. პერანგი და ფეხსაცმელები გავიძრე და შარვლიანად წყალში გადავვარდი, იქით, სადაც გოგონა უნდა ყოფილიყო, მკლავურით გავცურე. ჩავყვინთე ამღვრეულ წყალში, დიდხანს არ მიძებნია, მარცხენა ხელი წელზე მოვხვიე, წყლის ზედაპირზე ამოვედი და მარჯვნივ ნაპირისკენ გავუტყე. ერთი შუახნის კაცი მომეშველა ნაპირზე გაყვანაში. წყლის პირას წამოვაწვინეთ და გონს მოვიყვანეთ. თვალები რომ გაახილა, შვებით ამოვისუნთქეთ და ეს შეგვემჩნა. ან როგორ არ უნდა შეგვემჩნეოდა? გოგონას თავის სტკიოდა, ფეხზე ვერ დგებოდა, ნელ-ნელა ჩავაცვით, სადგომზე ტაქსი დავიჭირეთ და საავადმყოფოში წავიყვანეთ. იქიდან მის ახლობლებს დავუკავშირდით. მშობლები მოვიდნენ. ისეთი დაღლილი ვიყავი, მადლობის მოსმენის თავი არ მქონდა, რამდენად გულწრფელიც არ უნდა ყოფილიყო იგი. კოორდინატები მთხოვეს, სამაგიერო პატივისცემა ჩვენზე იყოსო, ვიფიქრე, რომ ამას აზრი არ ჰქონდა და მათთვის ტელეფონის ნომერი არ ჩამიწერინებია.

საავადმყოფოდან რომ გამოვედი, ბნელოდა. ახლა ჭირივით მეზარება სახლი. ერთ მყუდრო ადგილას კარგი ბისტრო ვიცოდი და იქით გავემართე. ტრანსპორტში ასვლის გუნებაზე არ ვიყავი და გზას ფეხით გავემართე. ბისტროსთან რომ მივედი, მთვრალეები ჩხუბობდნენ. აულელებლად ავუარე გვერდი და კარი შევადე. ბართან მივედი, სკამზე ჩამოვჯექი და ერთი ჭიქა რომი მოვითხოვე. დამისხეს. ნელ-ნელა წრუპვას შევუდექი. ბისტროში ნახევრად ბნელოდა და საგნები ბუნდოვნად ჩანდა. მაგიდასთან ჩემი ძველი კურსელი, ნატკა გავარჩიე, რუსულ სექტორში იყო. მაშინ ეს გოგო მომწონდა, როგორც ქალი. ძალიან ლამაზი და მიმზიდველი იყო, მაგრამ ვერიდებოდი კურსელებთან რომანების გაბმას, მეშინოდა მომავალში არ მენანა. მგონი მართალიც ვიყავი. ნატკა რუსი იყო, ქართული კარგად იცოდა. ძალიან ვუყვარდი და გაუხარდა ჩემი ნახვა. თავისი ამბები გადმოალაგა. გათხოვილა, ქმარი მორფინისტი გამოდგომია და მიუტოვებია. კიდევ კარგი, მისგან ბავშვი არ დამრჩაო. ნატკას ცისფერი თვალები, გამოყვანილი ყვრიმალეები, მაღალი, მკვრივი მკერდი და ბარძაყები ჰქონდა. მეტრი და სამოცდათექვსმეტი იყო – თვითონ მითხრა. არაფერი სჯობდა მის თვალიერებას, როცა ქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. ლამაზი სახე ჰქონდა და ლაპარაკის დროს სულ ილიმებოდა. დადებით განწყობას ქმნიდა. ზომიერად ქალური იყო და სიმკაცრეც იმდენი ახლდა, რამდენის მისნაირ ქალს სჭირდებოდა. არასოდეს არაფერს მიმალავდა. თავისი ცხოვრებიდან ყველაფერს დეტალურად მიყვებოდა. რომ დავუკვირდი, მნიშვნელოვნად არ შეცვლილიყო. ისეთივე ეშხი ჰქონდა, თუმცა, მეტ გამოცდილებასა და დაღლილობას ვამჩნევდი, რასაც მის თვალეებზე შეპარული ძნელადშესამჩნევი ნაოჭები უმქლავებდა. თავისებურად ესეც უხდებოდა. თურმე, ხანდახან, ძალიან

ვენატრები, ენატრება ჩემთან ლაქლაქი. სახლში წასვლა არ მინდაო, ოჯახმა და ყოველდღიურობამ დამძალაო, მომზერდა ერთი და იმავე კედლების ყურებაო. მე მივხვდი, რასაც შეიძლება ასე ძალიან გადაელაო, ისიც შევამჩნიე, რომ ხედავდა მის გარშემო არსებულ ადამიანებსა და საგნებს შორის გაწოლილ უკანასკნელ ზღვარს, რომელიც საკაცობრიო აგონიაში ჯოჯოხეთურ ქაოსს ქმნის.

მისი მესმოდა და რომ მოხოვა დღეს შენთან დავრჩებიო, უარი არ მითქვამს. ერთი ბოთლი გერმანული „SHNAPS“ აიღე და სახლში წავედიო. სიცხისგან გავითანგე! ნატკა რაღაცეებს ხუმრობდა, თავისი ჭკუით მართობდა. მეც მსიამოვნებდა მისი გაუთავებელი ტიტინი. ჭიქები გადმოვიღე, სასმელი ელენესთვის მოტანილ ფორთოხლის წვენში გავაზავე, კარგად ავთქვიფე, განიერ ჭიქებში ყინული ჩავყარე, კოქტეილი დავასხი და სმას შევუდექით. თავი არაფრისა მქონდა, არაყმა მკვდარივით მიმაგდო. ბანგმორეულივით დამეძინა.

დილით ადრე გამეღვიძა, ნატკა ფეხზე დამხვდა, სახლში საცვლისამარა, ფეხშიშველი დატყაპუნობდა. გაღვიძებული რომ დამინახა, გამიღიმა – რა ძილქუში დაგემართაო? – მე არ ამიხსნია, რომ გადაღლილი ვიყავი და ნელ-ნელა თავისუფლება მერთმეოდა, რის ბოლომდე გააზრებასაც სიკვდილი მერჩივნა. არც ის შემიჩვილია, ჯერ რომ ვერ გამირკვევია, რომელი სჯობს, მკვდარი ვიყო თუ მკვდარს ვგავდე? და თუ რამე იყო ჩემში ცოცხლად დარჩენილი, იმის დადგენას სწირავდა თუ სად დამთავრდა სიცოცხლე და სად დაიწყო სიკვდილი?

იმ ჩლატებში წავყავი ფეხები, რომელიც წინა დღეს ელენეს ეცვა და აივანზე გავედი, მზის ამოსვლას ველოდებოდი. ხელები გავშალე და ღრმად ჩავისუნთქე. ნატკა გაოცებული მიყურებდა, იმიტომ კი არა, რომ აივანზე საცვლისამარა გავედი, უბრალოდ არ ელოდა თუ კიდეც არსებობდა ადამიანი, რომელიც მზის ამოსვლას დაელოდებოდა. ნატკამ სკამები გამოიტანა, მაცივრიდან მინერალური წყალი გამოდგა. ჩამოჯდა და ჩუმად დამიწყო ყურება. როცა მზე ამოვიდა და ძვლებიც გამითბა, სკამზე ჩამოვჯექი. ნატკა ჩემზე ფიქრობდა – ასეთ დროს ალღო არ მატყუებს.

– შენ ის გჭირდება, რასაც მხოლოდ სხეული არ მოითხოვს შენგან – მეუბნება ის – ხანდახან ვგრძნობ, როგორი ჩანთქმული ვარ საგნებს შორის და თავსაც ვერაფრით ვინუგეშებ, რადგან არ არის ადგილი, სადაც შეიძლება მათ ქაოსს დაემალო.

– მე მათ ვემსგავსები, ჩემო ნატკა, მათსავით ვცივდები და ვკვდები. ამიტომ ვცდილობ მზის სხივებით გავითბო სხეული, მხოლოდ ასე შემიძლია ვიგრძნო სიცოცხლე, რაც ქვისა და რკინისაგან განმასხვავებს.

– წარმოგიდგენია, ერთ მშვენიერ დღეს რომ მზე სამუდამოდ დაბნელდეს? ნუთუ შეძლებს ჩვენი მეცნიერება მისი შემცვლელი მანქანის შექმნას?

– შეიძლება, მაგრამ მიწა ვეღარ გამოიღებს ნაყოფს და უნაყოფო შეიქმნება ადამიანიც.

დავიღალე ამაზე ლაპარაკით. ისედაც ძალიან ბევრს ვფიქრობდი. გავჩუმდი. ახლალა დაუუკვირდი მის შიშველ სხეულს, მწიფე გულაბივით ამობურცულ მკვრივ ბუბუებს თავები დასაკრეფი მარწყვებივით ამოეწკიპათ. მე იშვია-

თად შემხვედრია ქალი მსგავსი აღნაგობის, არაამქვეყნიური, მითიური სილამაზის.

მივუახლოვდი, ავაყენე, ხელი მოვხვიე, მივიზიდე და ვაკოცე. ეს სხვა კოცნა იყო, ბევრად განსხვავდებოდა იმ კოცნისაგან, რომელიც ელენემ მიიღო ჩემგან.

მე მიხაროდა, რომ ნატკას ამ ქვეყნად ვერავინ და ვერაფერი წართმევდა თავისუფლებას, ჩვენ ერთმანეთს ვგავდით, ეს უფრო გაახლოვდა და ვნებას გვმატებდა.

როცა ტანზე ჩაიცვა და წასვლა დააპირა, პირველად ვინანე, რომ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში ადამიანი, რომელთანაც უფრო მეტი დრო უნდა გამეტარებინა და ეს შემთხვევა ხელიდან გავუშვი.

აივნიდან ვუყურებდი, როგორ მიდიოდა ნატკა. ამომხედა, გამიღიმა და ხეილ დამიქნია, ძალიან ლამაზი იყო. მას მარტო სხეული არ ჰქონდა ლამაზი და ეს ამბავი მაკმაყოფილებდა.

მეც ნელ-ნელა ავკრიფე სხეული, ჩავიცი და ბანკს მივაშურე. მართლა გადმოურიცხავთ ფული. ცოტა თანხა დამიგროვდა საოპერაციოდ. უფრო სწორად, მნიშვნელოვანი ნაწილი. საავადმყოფოში ანალიზებისთვის მეორე დღეს უნდა მივსულიყავი. ამის სახსრები მქონდა და იმედიანად ვიყავი. დანარჩენსაც მოვუყრიდი თავს რამენაირად. ეს აღარ მადარდებდა. ნატკას გამოჩენამაც რამდენადმე წამახალისა. თანხის ასათავებლად ოჯახს მივმართე. მითხრეს ოპერაციაზე ჩვენც მოვალთო. არ გინდათ, რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი?

საქმე არაფერი მაქვს. სამსახური მაინც მქონოდა, დროს გავიყვანდი, მაგრამ რომ არ მაქვს, რა ვქნა?!

სახლში მივბრუნდი, გადავწყვიტე იმ დღეს დამესვენა, წამოვწოლილიყავი. გასაღები სამალავში არ დამხვდა, გამიკვირდა. სახელური ჩამოვწიე, კარი შეიღო. მაგიდასთან ელენე დამხვდა, ყავა მოედუღებნა, სვამდა და მელოდებოდა. გამიღიმა.

– როგორ ხარ?

– შენ წარმოდგენა არ გაქვს როგორ დავიღალე, ელენე.

უხმოდ ადგა და ყავა დამისხა. გუშინდელი „SHNAPS“ გამოვიღე მაცივრიდან და ჭიქებში გავანაწილე.

– დიდი ხნის მოსული ხარ?

– არა, იქნება ასე ოცდახუთი წუთი.

– შენს მოსვლას გაუმარჯოს! – და არაყი სულმოუთქმელად გადავკარი. ელენე ტელევიზორს უყურებდა, მიწისძვრებსა და წყალდიდობებს დიდი ზარალი მოუტანია.

– რა უნდა ქნას ახლა ამ ხალხმა, ელენე?

– რა მოხდა? უბრალოდ მეტი საზრუნავი გაუჩნდა თავისი თავისთვის!

მე გამაკვირვა ელენეს ასეთმა გულცივობამ, მაინც მართლი იყო. საერთოდ, მის ნათქვამს ყოველთვის ახლდა ცოტაოდენი სიმართლე.

– შენ როგორ ხარ?

– მე ზევ ოპერაციას ვიკეთებ, ხვალ ანალიზებს ავიღებ.

– მოვიდე?

– როგორც გინდა, ჩემთვის სულ ერთია.

გულის სიღრმეში გამიხარდა, ელენე მომავითხავდა, მარტო არ დავრჩებოდი. მეტიც, ძალიან მსიამოვნებდა. არ უკითხავს, რის ოპერაციას ვიკეთებდი, ან რომ სცოდნოდა, რა აზრი ჰქონდა? არაყი მოვსვი და წამოვწევი. ჩამძინებია. რომ გამეღვიმა ბნელოდა, ტანზე გახდილი ვიყავი და გადასაფარებელი მეხურა. ელენე ისევ ტელევიზორს უჯდა და არხებს ატრიალებდა. გამიხარდა, რომ მარტო არ ვიყავი. ავდექი, არაყი დავისხი და ჩავცალე. ელენემ ისევ გამიღვიმა. ამჯერად მისი ღიმილი უფრო თბილი და საზრიანი იყო. სასმელი ჩემგან გამოვიღე ჭიქაში დაასხა და ერთბაშად ხახაში გადაუძახა. თან ამბობდა: ხანდახან თუ არ დალიე, გაგიჟდებიო. ალკოჰოლი ადამიანს ასვენებს და სინამდვილისაგან სწყვეტსო. მე არ დავეთანხმე, რადგან ეს აზრი ყოველთვის მოცილილებისა და ლოთების არგუმენტად მიმაჩნდა და აივანზე გავედი, ელენე გამომყვა. ცა მოწმენდილი იყო და ვარსკვლავები მოჩანდა. მანქანები ყურის-წამლებად გრიალებდნენ.

– ოდესმე შეწყდება თუ არა ეს ხმაური?

– ამას მეორედ მოსვლა თუ შეაჩერებს, თორემ ადამიანის ძალას აღემატება – ვუპასუხე მას.

– ჰმ, ადამიანი ის შექმნა, რასაც ვეღარ იმორჩილებს! – დაასრულა ელენემ.

– დიახ, ასეთი აღმოჩნდა ნება მისი!..

მე სკამ-ლოგინი გავშალე. ქალს ვნება მოემალა – არ მინდა გადავიტვირთო-მეთქი.

ჩემს ლოგინზე მოკალათდა და დაიძინა.

უთენია ჩემი ჩლატების ტკაცუნმა გამაღვიმა. დილაობით ელენესაც ნატკასავით ყვარებია საცვლისამარა ტანტალი და ყავის დულემა.

– მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა და მაკოცა, საუზმე მალე მზად იქნებაო.

ავდექი, ხელ-პირი დავიბანე და აივანზე გავედი. მოღრუბლულიყო და წვიმას აპირებდა, დილის ჰაერი ჩავისუნთქე და უკან შემოვედი. ელენეს ჩაეცვა და მაგიდასთან მეპატიჟებოდა. ვისაუზმეთ. წინა დღეს სერვილატი, მაიონეზი და ნამცხვრები ამოეზიდა. საუზმის მერე დამემშვიდობა, მაკოცა და წავიდა – სამსახურში მივდივარო – ახლა გავიგე, თურმე ნამუშევარა.

მე ჩავიცვი და საავადმყოფოსკენ გავწიე. ფოიეში რეგისტრაცია გავიარე. ქირურგმა თერაპევტს მიმაბარა – საოპერაციოდ გამზადეო. სამჯერ ამიღე სისხლი ვენიდან. ლაბორანტს ვეუბნები – სისხლს გაფრთხილება უნდა, მაინც-დამაინც ნუ დამაცარიელებს, უბრალოდ არ უნდა იკარგებოდეს. თუ დაღვრი მხოლოდ შენი სამშობლოსი და მისი მზისთვის-მეთქი. ლაბორანტის ჩაწიკვიკებული კბილების დანახვამ სიამოვნება მომგვარა.

– ვნახოთ, რას გვეტყვის შენი სისხლი.

ეტყობა, ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო.

– პასუხი ორ საათში იქნება.

თერაპევტმა ახლა ანესთეზიოლოგთან მიმიყვანა. გამომკითხეს. ყველაფერი რიგზე მქონია. ოპერაციის გაკეთება შეიძლებოდა თუ არა, ახლა ანალიზის პასუხს უნდა ეთქვა.

რა მეკეთებინა საათი და ორმოცდახუთი წუთი? მშოდა. კაფე-ბარში ჩავედი. შემწვარი კარტოფილი „ფრი“ და პომიდვრის საწებელი მოვითხოვე. არ არის ჩვენებური კერძი, მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს? მშვიდად შევუდექი ჩემი ულუფის ჭამას.

იმაზე კი არ ვფიქრობდი, ოპერაცია როგორ ჩაივლიდა. არ მეშინოდა. ვფიქრობდი – კაცს, რომელიც მიცვალეხლისგან არაფრით განსხვავდება, შეიძლება თუ არა ეშინოდეს სიკვდილის? მგონი, არ უნდა ეშინოდეს, არ ვიცი, რა ვიცი? კაცმა არ იცის, სიკვდილის წინ რას ხედავს, გრძნობს, ფიქრობს და განიცდის ადამიანი.

ჩემი ულუფა გეახელით. სიგარეტს ძლივს ვწევდი, ფილტვებში მაინც ღრმად ვუშვებდი კვამლს, რადგან ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა – ისედაც ქალაქის ბული მახრჩობდა.

საავადმყოფოში მივბრუნდი, თურმე შეიძლება ოპერაციის გაკეთება. ჩიყვი არ მქონია – გამიხარდა. წარმოვიდგენიათ?! სხვა კლინიკაში დადებითი პასუხი მივიღე. არა უშავს, ისედაც დიდი ხანია აღარავის ვენდობი! ქირურგმა რაღაც-რაღაცები დამავალა.

– ხომ არ გეშინია?

– რატომ უნდა მეშინოდეს?

– ძირითადად ეშინიათ.

– მე გეკითხებით, ექიმო, სიკვდილის შემთხვევაში, კაცს სძვრება სული თუ პირიქით?

– მაგაზე არ მიფიქრია?!

– მე კი მიფიქრა და მგონია, რომ სხეული უმალ გასძვრება სულს ვიდრე, ეს უკანასკნელი ამოუვა ადამიანს – ამიტომაც როცა თქვენს პაციენტებს ეშინიათ, ძალიან ცდებიან!

– ყველა შენსავით რომ ფიქრობდეს, ოპერაციის წინ წნევას აღარ გავზომავდი – მიმიხვდა ბატონი ექიმი და დილის ცხრა საათზე დამიბარა.

ოპერაციისთვის განკუთვნილი თანხის გარდა, ცოტაოდენი კიდევ მრჩებოდა. ჩემს ბისტროში მივედი, სადაც ნატკა მეგულეობდა, ისე ძალიან მინდოდა მისი ნახვა... არ დამხვდა. რომი და ფორთოხლის წვენი ავიღე და სახლში დავბრუნდი. ცუდ ხასიათზე დავდექი, მარტოობა მტანჯავდა.

ასე ცუდად არასოდეს მიგრძენია თავი. სივრცეში გაშლილი ლითონის დისკარმონიული გუგუნის გულ-გვაშში ყველა უჯრედს მიწიწკნის. შევწუხდი. საკუთარ სხეულს ვეღარ ვიტან. თავბრუ მეხვევა, შენობები, მანქანები, ხეები, დახლები, გაფითრებული ადამიანები, არაფრისმთქმელი თვალები, სიცრუე, ბოროტება, მასობრივი სიკვდილი – ყველაფერი კოსმიური სიჩქარით ბრუნავს ჩემს ირგვლივ და ლამპიონების სინათლეში ითქვიფება. სული მეხუთება, ნაბიჯებს ძლივს ვადგამ. გაჭირვებით ვაღწევ სახლამდე, მინდა სხეული გავიხადო და სადმე შორს, ჩემგან ძალიან შორს გადავავდო. ისე რომ, ხელი ვერავინ ვერასოდეს შეახოს, ვერავინ ვერასოდეს დაინახოს! მაცივრიდან ყინული გამოვიღე, პოლიეთილენის პარკებში გავანაწილე და ორივე საფეთქელზე მივიჭირე. ცოტათი მეამა. ყურისწამლები, არაბუნებრივი წივილი შედარებით მიწყდა. ოდნავ დავმშვიდდი, მაგრამ ვიცი, რომ სხვა დროს

განმეორედება შეტევა და ეს მაფორიაქებს. ახლა ისე მენატრება ვინმესთან ყოფნა, როგორც არასდროს. თუნდაც ნატკასთან და ელენესთან. მარტო ვარ. კედლებს ვასკდები. მინდა სიცივე, პარკებს ვავსებ, ისევ და ისევ, ისევ და ისევ, მთლიანად ვშიშვლდები და მთელ ტანზე ვიწყობ ყინულებს. მინდა ვიგრძნო, რომ ცოცხალი ვარ. ნახევარი ბოლი რომი ვერ მშველის, სასმელი მეკიდება, აივანზე გავდივარ და უკანასკნელი ხმით ვყვირი – ადამიანო, მე აქ ვარ, შენს გვერდით!.. თვალთ მიბნელებს.

უთენია ვფხიზლდები, აივანზე ვგდივარ, ვკანკალებ, ბოროტი ბავშვები-საგან ზამთრის სიცივეში გაწუწული ძაღლივით ვკანკალებ. ისევ ხმამალა ვყვირი – მე მინდა სიცოცხლე! მზის ამოსვლას ველოდები, მარტო ის დამიბრუნებს დაკარგულ თავისუფლებას. სხეული მძიმეა და შებოჭილი. აი, ამოვიდა მზე და მე, როგორც ყოვეთვის, ხელებგაშლილი შევეგებე მას. გავთბი! და-მეტყო სიცოცხლის ნიშანი...

ცხელი შხაპი მივიღე, საოპერაციოდ გავემზადე, ჩავიცვი, კარი ჩავკეტე, გასაღები სამალავში მოვათავსე და საავადმყოფოში წავედი.

ისეთი სიცარიელე არასდროს მიგრძენია, როგორც დღეს. ვერაფერს ვამჩნევ, არაფერი მესმის, არაფერზე ვფიქრობ, მხოლოდ ვიცი, რომ სადღაც უნდა მივიღე, რაღაცა უნდა გავაკეთო, მერე სახლში დავბრუნდე ან არ დავბრუნდე. ან ამას რაღა მნიშვნელობა აქვს?! ჩემი ცხოვრება უმიზნო და აბსურდულია. როგორ შეიძლება ადამიანს ჩემსავით მძიმე სხეული ჰქონდეს? კარგია, როცა კითხვები გიჩნდება და პასუხებს ეძებ...

მედდამ საოპერაციოში ტანზე გამხადა და რაღაცნაირი პერანგი ჩამაცვა, ღილები უკან ეკვრებოდა და ლურჯი იყო. საოპერაციო მაგიდა ცივია და მსიამოვნებდა. წუთი არ გასულა ანესთეზიოლოგები შემოვიდნენ. წნევა გამიზომეს, – აზრი არ აქვს-მეთქი – წესიაო. მე ვინ მეკითხებოდა?! მაგიდაზე ხელები ქამრებით მიმიკრეს. მარწუხივით ინსტრუმენტი გამიკეთეს მარჯვენა ხელის ცერა თითზე, რაც დენს დაბალი სიხშირით ატარებდა. კარდიოგრამა ჩამირთეს, ცხვირზე სასუნთქი აპარატი მომარგეს...

* * *

... მე, როგორც ყოველთვის, ხელებგაშლილი ვეგებები მზეს. ეს ერთადერთია, რაც მეუბნება, რომ ცოცხალი ვარ! აივნიდან ნაბიჯი წავდგი. თეთრია მზის შუქი, დიდია მისი ნათელი, თვალს ჭრის მისი შარავანდედი, მაგრამ არ წვავს, გადავდგი მეორე ნაბიჯიც... სადღაა მიწა, საგნები, შენობები, მანქანები, ყურისწამლები ხმაური და სულისშემძვრელი სიცრუე! ეს მსიამოვნებს და წინ მივიწევი, სულ წინ და გზა უსასრულო ჩანს და უვნებელი, აქ არ არის ტკივილი და არც სხეულის სიმძიმე. მშვიდია უკიდევანო სივრცე. აქ დრო არ არის და ავისმომსწავებელი საათებიც არ წიკწიკებენ. ცოტაც და გამოჩნდა გული სივრცისა. ზის თეთრ ტახტრევანზე. პირველად ვარ ბედნიერი, მე მზისკენ მივდივარ! მაინც ვერ ვუახლოვდები, ვგრძნობ მის სიდიადეს და პირქვე ბემბობი, რადგან იგია სრულყოფილი და აბსოლუტური და ჩვენ შეგვიძლია ვგავდეთ მას... მე ავტირდი ბავშვივით, ცრემლი მდის უწყვეტად და ვევედ-

რები _ დავკარგე ნება და წამერთვა თავისუფლება, ვეღარა გხედავ და საკუთარ სხეულში ვკვდები!

_ მე თვითონა ვარ ნება და თუ შეძლებ და ახლოს მოხვალ, მე შენ მოგცემ თავისუფლებას!

_ სხეული მბოჭავს და იმაზე უფრო მამძიმებს, ვიდრე შენამდე მოსვლას სჭირდება!..

* * *

...და მე დავინახე საოპერაციო მაგიდაზე განრთხმული უსუსური ჩემი სხეული, მიგდებული სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე..

... მე დავინახე ყასბებდაქცეული ადამიანები, ჩემს შუაზე გახსნილ გულ-გვამში ხელებს როგორ აფათურებდნენ...

პალატაში რომ გადამიყვანეს, ელენე იქ დამხვდა.

ნატკაც ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან მე არც სიყვარული ვიცი რა არის და ამიტომაც ვერასოდეს ვგრძნობ მის მოახლოებას!

ბაზ

irma kecxovel i

mouvl el i baRi

vuZRvni Cems mamas vl adimer (I ado) kecxovel s

„შენ დამიტირე ბალის კიდეზე“ –
 ასეთი არის რომანსის არსი,
 დაამღერებდა მას მამაჩემი.
 შემდეგ სიტყვები – რა მოსდევდა,
 რა იყო, მე არ ვიცოდი და არც ახლა ვიცი.
 მხოლოდ ვფიქრობდი, რადგან სატირლად
 ბალს ჰქონდა საქმე, მაშინაც ასე დაამღერებდნენ,
 (დღეს ამ სიმღერას შეასრულებდნენ მაღალ დონეზე)
 - ძალიან ცოტა, ოდნავ გაგებით, თუ შევეხებით ბალს ზაგეებით,
 სურვილი დიდი მაქვს, იმ ბალისათვის მეც რომ მომეცლო,
 მარტოს და ერთად, ოღონდ მომეცლო.
 - ისე, ცნობისათვის, ერთი ხის ჩარგვაც რომ მოვინდომე
 ისიც მომპარეს,
 რა საოცარია?! ნეტავ, იმ ბალის კიდეზე კიდეც მღერიან?!

saTnoebis saxl i

სათნოების სახლის ტოლი, გაჩნდა ქვეყნად ერთი `სტოლი-,
 შემოუსხდნენ ამ დიდ სუფრას და შემოჰკრეს დიდი დოლი,
 ის ხმაური ისე მძლავრად გაისმოდა როგორც ბროლი,
 შემდეგ ასით შემობრუნდნენ, და ჩაბუქნეს ერთი-ორი.

შემდეგ თითქოს ხომ ჩამწკრივდნენ, ერთი ორი, ერთი ორი,
 ბოლოდან რომ გავითვალეთ, დავრჩით მხოლოდ ერთი-ორი;
 შემდეგ ისევ მოგვაგონდა თურმე გვყავდა ერთი ორი,
 ხომ გავცხრილეთ ერთი ორი, ხომ შემოგვრჩა თითო სწორი,

შემდეგ ისევ მივუმატეთ კრებადია ყველაფერი,
რალა სიტყვა გაავარძელო, გამოვიდა ერთი-ორი;
შესვენება გამოცხადდა ერთი ორი, ერთი ორი,
შემდეგ მერხებს მივუსხედით, წიგნი ხელში დავიჭირეთ.

გადავფურცლეთ, ჩავიხედეთ, ერთი ორი, ერთი ორი;
გავიცანით, ვისაუბრეთ, შემდეგ კიდევ შევამოწმეთ, ერთი ორი, ერთი ორი.
თითქოს ერთად მოგვეჩვენა საარაკო დაფის წინა
ხომ გადავდგით ნაბიჯები – ერთი წინ და ორი უკან.

იქ კარნახიც მოგვეწია, ერთი ორი, ერთი ორი;
ხომ ჩამოვრჩით საუკუნით ერთი ორით, ერთი ორით;
ამის შემდეგ დიდხანს ვეძებთ ახალ სახლსა სათნოების,
იქნებ სადმე შევალწიოთ ერთი ორი, ერთი ორი.

...

აგერ მოჩანს მალლა მდგომი, კარიც თითქოს გაუღიათ,
აბა, მარდად შევალწიოთ, ერთი ორი, ერთი ორი.

Tbil isuri Sexvedrebi

გახვალ ქუჩაში, მიმოიხედავ, შეხვდები ნაცნობს,
ხომ მოიკითხავ, რომ გაიღიმებ, თავსაც დაუკრავ,
ხელსაც დაუქნევ, გაავარძელებ გზას და ისევ მიდიხარ.
საოცარია, თბილისის ქუჩებში ვის არ შეხვდები,
ბავშვობის მეგობარს, ყრმობის ცელქობას, ტრფობის ნარჩენებს,
საგულდაგულო მეგობარ-ვაჟებს, შემდეგ ნაცნობებს, მეზობლებს და
იმათ ნაცნობებს;

ასეთი არის თბილისის ქუჩა, მოულოდნელი ხედვით და რეტით
შემდეგ მოკითხვით, კიდევ განკითხვით, ისევ რჩევით და შემობრუნებით.
ცოტა ხნის შემდეგ შეხვდები მშიერს, შემდეგ მაწანწალას, კიდევ გარეწარს,
მოარულს ქუჩის ფერებით, თანაც ზრახვებით, გაუთავებელ

პრობლემებს გიჩენს;

ამ დროს ის ქუჩა სულაც არ გიყვარს, გიჯობს შინ ყოფნა და იქით ჩივილი.
თანაც უყურებ ქუჩას ფანჯრიდან;

იქიდანაც ხომ ნაცნობს შეხედავ, ხომ გიხარია ცოცხალი არის,
დაუქნევ ხელსა შემახილებით, ისევ მოკითხვით, შემდეგ – ნახვამდის.

ისევ გამოხვალ იმ შენს ქუჩაზე, თან გიხარია, თავიდან იწყება –

- რა იწყება და ახალი ანცობა, ახლო მეზობელი და ახალი ტრფობა,

კიდევ წუხილი, თანაც ჩივილი, კბილის ტკივილიც. ჰო,

კბილის ტკივილზე რომ გამახსენდა, გაივლი ქუჩაში, არ შეწუხდები,
დანტისტებია თქვენი პატრონი. თავი თუ გტკივთ, რა მოგახსენოთ;
ასეთი არის თბილშეხვედრები. ო, აგერ მოდის კიდევ ნაცნობი,
როგორ ბრძანდებით? – უაზრო კითხვა და უაზრო პასუხი.
რატომ უაზრო? – სხვა არაფერი არ დაგვრჩენია.
რა მოვიკითხოთ? რომ კარგად არის? ეგ ხომ ტყუილია,
ვუთხრათ ცუდად ვართ, ისიც ხომ ცუდად გახდება, ავადმყოფობა კი,
მძიმე საქმეა;

უმჯობესია ჩვენს ნაცნობს თავი დავუკრათ და გავიაროთ;
სახეზე გვაწერია, კარგად რომ არა ვართ,
ცოდობი ვართ, ქუჩაში ვცდილობთ ეთიკის დაცვას, ო, რა ძნელია;
ცუდად თუ გაცვია, ეგ არაფერია – აგერ გვერდზევე „სეკენდ ჰენდი“.
ასეა ბატონო, ქუჩაში დადიხარ, ყველას უმზერ და ყველა შენია.
ასეა ჩვენთან: ასეც გვეგონა, მთელი ქვეყანა ჩვენი გვეგონა.

. . .

არაფერი შეგეშალოთ...

ბაზ

erTi Rame wvimiani

ჩრდილი აკროთბს სიბნელეში დამდგარ ლამპებს,
 ჩუმი სევდა ეპარება, სტრიქონებში ვარაუდებს,
 ცის ელვებმა სიბნელეში შავი ღამე გადაყლაპეს
 ბნელ ჩრდილებს კი სიგოგმანე მოსტაცეს და გადაუდეს.
 როცა გვრგვინვამ წყლის წვეთები ღრუბლებიდან ჩამოყარა
 ხეს კისერი დაუმძიმდა, თავი მორცხვად ჩამოხარა,
 მე ვამჩნევდი ამ მოვლენებს და კადრები მაცვებდა
 მერე, ზეცას ჩავცქეროდი, რაღაც ჩუმად მალოცვებდა.
 მთვარე დიდი ლამპიონი, ღამეს თეთრად აცისკროვნებს
 ზეცას შუბლზე ვარსკვლავები, ჭორფლებივით დასევია,
 ღამე გმინავს სიბნელეში, შუქზე ვამჩნევ ვარდის კონებს
 და რვეულში უჩვეულოდ, იდუმალი ხაზებია...

ზეცა ღრუბლებს ლაჟვარდებში, გასაშრობად აშხეურებს
 ქარიშხალმა ხის ფოთლები, ფურცლებივით ააფრინა,
 და ჭრიალი გააქვთ სადღაც, შეუწყვეტლად გზაზე ურმებს
 ქარის ტალღამ სიმაღლიდან, სეტყვის ცხრილი დამაფინა.

ნელა ქრება სისადავე და ფიქრები მოლიდინებს
 მე ვერ ვმაღავ სიჯიუტეს, მერე ბრაზიც შემეტყობა,
 ყაყაჩოებს მწკრივში ვაწვენ, ვხედავ წითლად მობიბინეს,
 შევტოპავდი, მაგრამ მაინც კვლავ მინდოდა შემეტოპა.
 პირველად და საბოლოოდ, რაღაც მძაფრი იგრნო მკერდმა
 შევიგრძენი შენგან სითბო და პულსები ამიძგერდა,
 მე არ მინდა შევამჩნიო ამ გრძნობასაც ბოლოს ფერფლი
 და თუ მაინც უიღბლო ვარ, დაე, გავხდე ტრფობის მსხვერპლი.

Ramis stumari

მტვრიან გიტარას შენთვის გავწმენდ და
ჰანგებს მოვუხმობ ტრფობის ჟრუანტელს,
ცხელ სიმებს გუშინ ცრემლი აწვეთდა
და დღეს ვივიწყებ ტკივილს წუხანდელს.
მუზები ჩემთან კავშირებს არ წყვეტს
მოდიან შენზე, თან გამუდმებით,
შენს ტუჩებს მერე, დაჟღაჟა მარწყვებს
თავიდან ვხატავ, როცა ბრუნდები.
შენი სპეტაკი სახის ნაკვთები
თეთრი, ქათქათა, როგორც გვირილებს,
როცა, შენს ხატვას ხიბლით ვაკვდები
თვალზე ცრემლები მორცხვად ლივლივებს.
დამით სასურველ ფიქრების სტუმარს
უფრო უკეთესს, ვიდრე უწინდელს,
და წერის ადგილს, მგოსნის სასთუმალს
მუზები უნდა, უხვად უწვიმდეს.
აქ ბნელ ოთახში კნიათებს ლამპა
და კედლებს ხატავს მკრთალი ჩრდილები,
წამი წუხილის ცივ ცრემლში დალპა
და ლანდები ჩანს აქოჩრილები.

ღაღ

✎ *nino morcil aze*

sisul el ea imisTvis Tovdes, rom
qveyanaze zamTari iyos

რაც გარედან ჩანს, ხშირად ყალბია,
იაფი სცენის კვალი ატყვია..
თუმც ცხოვრებაში ყველას როდი აქვს
შირმად მოსხმული ოქროს მანტია...

ზოგს მოსწონს, როცა ხალხს ეცოდება,
თავს მოისაწყლებს,თვალეებს ძირს დახრის,
ზოგს უყვარს ზნის და აზრის ცვლადობა
თითქოს ტილოა უნიჭო მხატვრის.

ზოგი თავის თავს ღმერთსაც ადარებს
გააფეთიშებს..ისიც არ ესმის,
რომ საბრალოა ისეთი შვილი,
ვინც დამრღვევია მამათა წესის.

შენ ღმერთმა ათი მცნების სახელით
გადმოგცა როგორ იცხოვრო ქვეყნად,
შენ კი სიბრიყვით, ამპარტავნებით
არღვევ იმას, რაც ღმერთმა ჰქმნა წესად?!

„სისულელეა იმისთვის თოვდეს,რომ
მსოფლიოში ზამთარი იყოს“
ყველა შემთხვევას შედეგი მოსდევს
შემთხვევითობად წოდებულს, თითქოს...

ბედის უკუღმართ ბრუნვას ვაბრალებთ
რაც კი სიბრიყვით ჩავვიდენია
ჩვენს სიბრმავეზე, უგულობაზე
არასდროს სიტყვა არ დაგვცდენია

ყოველთვის ვეძებთ ადამიანებს
ჩვენი სიუნჯე გადავებრალოთ,
ვერ ვიტანთ, როცა გვამძიმებს ჯვარი
სიცოცხლეში რომ უნდა ვატაროთ.

ეს ჯვარი არის ჩვენი არსება,
ადამიანად ყოფნის სიმწუხრე,
სინდისი _ ჩვენი შინაგანი ხმა
დამუნჯებული, სულსაც გვიმუნჯებს

დაწყლულებული სული ჩირქად სდის
აყვავებული ხორციდან ნელა...
სანამ ბოლომდე დაღუპება ხორცი,
სულში თანდათან ღამდება...ბნელა...

ოქროს ჭიშკარი ჩარაზეს მყარად
დაბუდებულმა იქ დემონებმა
გონებაც, ვითომ ცივად მეტყველი
თავდაღუნული მას ემონება.

არსაიდან ჩანს მცირე სარკმელი
გასანათებლად ბნელი არსების,
ადამიანის დამპალი სული
ცოდვის მორევში კვდება სავსებით.

„რად მიმატოვე, ადამიანო
მე ხომ სიცოცხლე გაჩუქე მისთვის,
რომ მომენიჭა მარადისობა,
რომ შენი სული მიმეცა ცისთვის“.

ხომ დააბრალე შემთხვევითობას,
რაც კი შეგემთხვა უგუნურებით,
ხომ გადავარდი ცეცხლის უფსკრულში
ამპარტავანი შენი ბუნებით.

არ გაამართლე შენი არსება
და არასწორად გაიგე ის,
რომ „სისულელეა იმისთვის თოვდეს,
რომ მსოფლიოში ზამთარი იყოს...“

* * *

როცა ცხოვრება ინტერესის გარეშე გტოვებს
ნებდები სევდას და დაღლილი ჩუმად თავს უხრი...
გაიხსენე, რომ შემოქმედი შენთან არს მუდამ
და არ გაქვს ნება, გაიკარო ტკივილი მწუხრის!

გადი, გახედე რა ლამაზად იღვიძებს ზეცა,
როცა მზის სხივი პირველ კოცნას უგზავნის მიწას.
ვარდის კოკორი, ჯერ უშლელი, მზის სხივის სატრფო
რა თავმდაბლობით, მზის სიყვარულს დარცხვენით ჰფიცავს..
ყური დაუგდე გამალებულ მდინარის გულსაც
იქნებ იპოვო მასში შენი სისხლის ძარღვები,
გაუღე კარი ფართოდ შენთან მომავალ მგზავრსაც
გასწიე შენი მომაკვდავი სულის ფარდები!
აქციე წამი უკვდავებად, ჰქმენი სიკეთე!
გაიკვალე გზა სასუფეველის სუფთა ხელებით,
ნუ მისცემ ნებას სიამაყეს სული დაგილოპოს
ნუ!
ალამაზე იგი წმინდა ციურ ფერებით..
თუ განსაცდელი მუდამ შენი თანამდეგია,
მაშ გიხაროდეს! რჩეული ხარ ათასთა შორის
უდარდებლობა მხოლოდ ციყვებს, კურდღლებს სჩვევიათ,
მით ვერ იპოვეს ლომთა შორის მათ თვისი სწორი.
მხოლოდ სიკეთე, სიყვარული არის ხსნა მათთვის
ვინც მძიმე ხვედრით ან ცხოვრებით დაღდასმულია,
ღმერთს ეძიებდე შენს გულში და არა მის გარეთ
რადგან უფალი თავად დიდი სიყვარულია!

პაპ

მგზავრის ჩანაწერები

– გაიღვიძე!.. – ჩამძახა რაღაც უცნაურმა ხმამ. წამოვხტი და ძილისგან დაზინდული თვალებით მიმოვიხედე. ვერაფერი დავინახე. ვიფიქრე, ალბათ, დამესიზმრა-მეთქი, ისევ დავწექი.

– გაიღვიძე!.. – შემომესმა კიდეც ერთხელ. ამჟამად არ მეძინა, ფხიზლად ვიყავი. სიზმარი ვერ იქნებოდა... მაშ, რა იყო? რა იყოს ის, რაც მე ჩამძახოდა და მადვიმებდა. ნუთუ ზედმეტი დასვენებისგან გადავიღალე? არა... ეს ხომ... ეს, ალბათ, ჩემი შინაგანი ხმა არის, რომელიც სამშობლოსაკენ, სახლისა და ოჯახისკენ მიხმობს.

უკვე სამი კვირაა, რაც ბათუმში ვისვენებ. მაგრამ ასეთი დასვენება ვის რად უნდა?! როცა ოჯახს, მეგობრებს ხარ მოწყვეტილი და მათი მონატრება და ნახვის სურვილი გკლავს. მაგრამ, გამოგიტყდებით, რომ ჩემი აქედან წასვლის მიზეზი მართლ ჩემი ქალაქის მონატრება არ არის. სიმართლე რომ გითხრათ, ზღვა არ მიყვარს. დიახ, არ მიყვარს, რადგან ის ცივი და დაუსრულებელია. მთა კი სულ სხვა არის. მთაში ბუნება მშვენიერი და დიდებულია. ამ სილამაზის ყურება ყოველთვის მაწყნარებს და ოცნების წიაღში მითრევს. ზღვაში კი მშვენიერს ვერაფერს ვხედავ.

ცხრა საათზე სადგურში მივედი, საიდანაც ჩემი სამარშრუტო მანქანა გადიოდა. ავედი. სკამზე გაწოლილმა, შავულვაშიანმა, მეტად შავკანიანმა მძღოლმა ჩემს დანახვაზე თავისი თეთრი კბილები დაკრიჭა და მომესალმა. მეც მივესალმე და შუა რიგში ერთ კაცს მივუჯექი გვერდით. მას უბრალო ტანისამოსი ეცვა. დაბერებული, გამხდარი ხელებით პატარა სავი ჩანთა ეჭირა, თან მუხლებზე ედო და ისე უჭერდა, თითქოს ეშინოდა _ ვინმემ არ წამართვასო. წყლიანი ცისფერი თვალებით ფანჯარაში იყურებოდა, ეტყობოდა, რომ რაღაც სევდიანზე ფიქრობდა. ამაზე მისი ჩამომტირალი პირ-სახე მეტყველებდა. როგორც ჩანს, ფიქრი არ უწყდებოდა, თვალის დაუხამხამებლად იჯდა. მხოლოდ გამყიდველი ქალების ჭყიპინა ხმა გამოაფხიზლებდა და ამოიყვანდა ფიქრთა მორევიდან.

შეივსო ადგილები... მანქანა დაიძრა. წავედი... მოვცილდი ამ უხეირო ზღვას. ვბრუნდები იქ, სადაც ჩემი გული და სული შვებას იგრძნობს. ვხედავ ჩემს ქალაქს, თბილისს და მთელი სულითა და გულით ჩავეხუტები და მივეფერები მას. – ასე ვფიქრობდი და თან მშვენიერ გზას და ბუნებას შევყურებდი. ჩემი ფიქრი მძღოლის როხროხა ხმამ შეწყვიტა.

– აბა, ჩამობრძანდით, თუ შეიძლება! – მიუგო მან მგზავრებს. მანქანაში ყაყანი ატყდა. გაუკვირდათ. ასე მალე როგორ ჩამოვედით?!. ხომ არ შეგვეშალა და სხვა მანქანაში ხომ არ ჩავსხედითო.

მძღოლმა დააწყნარა ისინი და მანქანის დაცლა გვთხოვა, რადგან საბურავი დაშვებული ჰქონდა. ჩვენ ჩავედით. ჩემ გვერდზე მჯდომი კაცი გაურკვეველობაში იყო. ვერ გაეგო, რა ხდებოდა და აქეთ-იქით გაოცებული იყურებოდა.

მძღოლმა მალევე მოაგვარა ყველაფერი. საქმის დამთავრების შემდეგ ჭუჭყიანი და ტალახიანი ხელები პერანგზე შეიწმინდა. შემდეგ კარი გააღო. ჩაჯდა... საზამთროსავით დიდი ღიპი მოიფხანა და მანქანა დაქოქა. მგზავრები ავიდნენ და დასხდნენ თავიანთ ადგილებზე. მხოლოდ მოხუცი კაცი იდგა. მე მასთან მივედი და ვუთხარი, რომ უკვე წასვლის დრო იყო. შემდეგ ასვლაში დავეხმარე. დავსხედით. მანქანამ ისევ დაიწყო დანჯღრეულ გზაზე ლაყლაყი.

ასე მეგონა, რომ ეს გზა დაუსრულებელი იყო. ამბობენ, როცა რაღაც ძალიან გინდა, ლოდინი დიდხანს გრძელდებაო. ეს მართლაც ასეა. მეგონა, რომ რამდენიმე დღე იყო გასული, მას შემდეგ რაც გზაში ვიყავი.

– უკაცრავად, ხომ არ იცით, მალე ჩავალთ? – მკითხა მოხუცმა ოდნავ აკანკალებული ხმით, ისე, რომ არც კი გამომხედა.

– ალბათ, ერთ-ორ საათში. – ვუპასუხე მე.

– რა მალე ვნახავ ჩემს საყვარელ მამულს. რამდენი ხანია არ მინახავს. როგორ მომენატრა ჩემი ტურფა სამშობლო. – ჩაილაპარაკა მან, თითქოს არ უნდოდა რომ მე ეს გამეგო.

მე მისი სურვილი არ გავითვალისწინე და ჩემი ფიქრების გავუზიარე. ვუთხარი, რომ მეც იმავე მდგომარეობაში ვიყავი.

მოხუცმა პასუხი არ გამცა. ცოტა ხნის შემდეგ კი გამომხედა.

– რა ლამაზი გოგონა ხარ! – მითხრა ბაბუამ და თავისი თბილი თვალებით კიდეც ერთხელ შემათვალისწინა სახეზე.

მე გავუღიმიე და ვაგრძობინე, რომ მისი ასეთ სიტყვები ძალიან მესიამოვნა.

ჩვენ ბევრი არ გვისაუბრია, თუმცა მისი ერთი სიტყვაც კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ მივმხვდარიყავი თუ როგორი კეთილი, სათნო და განათლებული მოხუცი იყო. მისი ლექსიკა გამდიდრებული იყო ქართული ძირძველი სიტყვებით. მას პოეტების: ორბელიანისა და ბარათაშვილის ლექსებიდან მოჰყავდა ციტატები. ისე მშვიდად და ლამაზად საუბრობდა, რომ მსიამოვნებდა მისი მოსმენა... არ მინდოდა, რომ საუბარი შეეწყვიტა.

როდესაც ნახევარი გზა უკვე გავლილი გვქონდა და თანდათან თბილისს ვუახლოვდებოდით, მოხუცმა გაკვირვებული ხმით თქვა:

– ო, რა დრო გასულა და როგორ შეცვლილა ჩემი სამშობლო. ეს ადგილები სულ არ მეცნობა.

მე არაფერი ვუპასუხე, რადგან მგზავრობისგან დადლილს თვალები დახუჭული მქონდა და ნახევრად მეძინა. ცოტა ხნის შემდეგ ბაბუამ იკითხა:

– შვილო, მალე ჩავალთ აფხაზეთში?

მე დავეჭყიტე თვალები და მოხუცს კითხვის გამეორება ვთხოვე.

– მალე ჩავალთ აფხაზეთში? – გამიმეორა.

მგზავრებმაც გაიგონეს. თავიდან ვერ მიხვდნენ რაში იყო საქმე, ისევე, როგორც მე. მაგრამ შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. მოხუცი კაცი აფხაზეთიდან დევნილი იყო. სამშობლოს მონატრებისა და სიყვარულისგან დაბრმავებულს თურმე გონება გადაუტრიალდა. მამულმა და სიბერემ მეხსიერება დაუქვეითა. სამარშრუტო მანქანამ უახლოეს გაჩერებაზე მისვლისას გააჩერა. ერთმა ახალგაზრდა მგზავრმა ბაბუის ჩაყვანა და უკან – ბათუმში გაშვება გადაწყვიტა.

– ოჯახი გყავს ბაბუ? შვილი ან ცოლი...

დაბნეული მოხუცი ხმას ვერ იღებდა, ვერაფერს ხვდებოდა.

– სად მივდივართ?... ჩამოვედით?!

– ბატონო... თქვენ გზა აგერიათ... ეს მანქანა თბილისში მიდის. – უთხრა ალერსიანი ხმით მგზავრმა.

– კი მაგრამ... როგორ?... მე ხომ ცოლ-შვილი აფხაზეთში მელოდება. იქ უნდა წავიდე!.. ჩემს სამშობლოში.

უცებ ბაბუის შიშით ავსებული თვალების დანახვაზე ცრემლები მომადგა. ვუყურებდი, როგორ ჩაყავდათ საბრალო მანქანიდან. როგო აწყნარებდნენ მას და ცდილობდნენ, რომ მომხდარი ამბავი რამენაირად აეხსნათ. მეცოდებოდა... მას ხომ სიცოცხლეზე მეტად უნდოდა სამშობლოს მიწაზე ფეხის დადგმა და მამულის ალერსიანი ჰაერის შეგრძნება, თავის დაბერებულ და ნაოჭიან კანზე. არავინ იცოდა, მართლა ჰყავდა თუ არა მას ოჯახი აფხაზეთში.

მალე ჩავედით თბილისში. ჩემი სურვილი ავიხდინე, ჩემს ქალაქს მივუალერსე, მაგრამ გზაში ამ მოხუცი კაცის დარდის გარდა ვერაფერზე ვფიქრობდი. სულ თვალწინ მედგა მისი სახე... ახლაც კარგად მახსოვს მისი თვალები: წყლიანი, თბილი, სიყვარულით სავსე, გაურკვეველობისგან დაბნეული და შიშით შეჰყრობილი.

რა დააშავა?... რატომ დატოვა ბედისწერამ იგი უსამშობლოდ? მას ხომ თავისი საყვარელი აფხაზეთის ნახვა უნდოდა.



mixeil ramazaSvil i

* * *

რა დრო გასულა ქალო, მაქვს ამ ცხოვრების ვალი,
 მსურს ჩემთან წაგიყვანო, არ მოგაშორო თვალი,
 დრო არ დაგვიცდის არა, ნუ მაძებნინებ შენს თავს,
 ჩემი ტრფობა რომ გიყვარს, მინდა ყოველთვის გეთქვას,
 არ მოუსმინო, ქალო, ბოროტ ენათა ფეთქვას,
 ეს სიცოცხლე ხომ შენ ხარ, შენ დაგდევს ჩემი გონი,
 ფრთები გავშალოთ შევსვათ, წითელი „ზადაგონი“!

* * *

გაბუტულ ტუჩებზე წვიმის წვეთები,
 შენი თვალები ოცნების ფერია,
 მაგ თითებს დალალებს, სუნთქვით თუ ვეხები,
 ეს კოცნა _ ნუ მეტყვი რომ არაფერია,
 ვარდებს და გვირილებს თუ შევაჯიბრებდი,
 ორივეს საერთოს მოვნახავ ლამაზო,
 ვერც ერთი შენს ღიმილს ვერ შეეცილება
 მე კი ჩემებურ სიყვარულს გთავაზობ!

* * *

შენ მიგამსგავსეს უეკლო ვარდებს,
 მე კი ტირიფებს, შენს გამო მტირალს,
 შენ შემოდგომის ფოთოლთა ფარდებს,
 მე ამ ფარდის წინ დამსხვრეულ მინას,
 შენ მთის მდინარეს სიცოცხლით სავსეს,
 რომ წაუღია თან მთის კალთები,
 შეუდარებლად დავლიოთ ღამეც,
 შეუდარებლად შემეყვარდები.



al eqsandre I apartyava

evoi si amazes, evoi mSvenierebas!

ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრად ვიყავი. მეზვიდე დღეს ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა გინეკოლოგმა ჯეკ ჰადლსტონმა სასტუმროს შესასვლელთან თავისი ახლათახალი გერმანული მანქანით მიმიყვანა, შემდეგ კი თავაზიანად გამომეთხოვა: დაისვენე, საინტერესო სადამო მოგველის, შეხვედრას დანიშნული ქართველ ექიმებსა და ატლანტის უნივერსიტეტის სტუდენტებთანო.

კლინიკიდან სასტუმრომდე მგზავრობისას ჯეკმა მიაგმო ახლად მიღებული კანონის შესახებაც – პიროვნების ნებისმიერი შეურაცხმყოფელი ისჯება დიდი ფულადი ჯარიმით ან პატიმრობითო.

მომეწონა ეს კანონი, თუმცა, კი გონების კუნჭულში ვეკამათებოდი ჩემს თავს: როგორ, მხოლოდ განცხადების საფუძველზე ისჯება ადამიანი სასამართლო გადაწყვეტილებამდე-მეთქი.

ჯეკმა სხვაც რამ მაუწყა: მოსალოცავად გვაქვს საქმე, რადგან მთავრობამ ერთი უფასო დღეც დაგვიმატა მელოგინის კლინიკაში გასაჩერებლადო. ცოტა არ იყოს, მიკვირდა: რა ძალა ადგათ, ქალებს მშობიარობის მეორე დღესვე შინ რომ წერენ-მეთქი?!

აი, ახლა კი სამშობიაროში ცოტათი მეტხანს გააჩერებენ!

ამ ახალ ამბებზე ფიქრით გართული შევედი ლიფტში. გვერდზე არც გამოხედავს. ერთობ გვიანლა შევნიშნე – იქვე იდგა მანდილოსანი.

შევნიშნე და გავოცდი: მომაჯადოვა ჩემ გვერდით მდგარმა მაღალმა, მომხიბლავი გარეგნობის ქალმა. მას ირმისფერი კოპლებიანი თხელი ქსოვილის კაბა ეცვა, ტანზე შემოტმასნილი. ავათვალიერ-ჩავათვალიერე უზადო სხეული და პირისახე. ქალს ჩემთვის არც შემოუხედავს.

უკანა ტანი, დუნდული, გავა – რა დავარქვა, არც კი ვიცი, ჩვეულებრივზე მეტად აზიდული უჩანდა და ლამაზი მკერდივით მიმზიდველი იყო. ასეთი სხეული მხოლოდ ერთხელ ვიხილე მუსიკალური კომედიის თეატრში. მახსოვს, „თბილისის ცის ქვეშ“ გადიოდა. შესვენებისას იმაზე არავინ მსჯელობდა, თუ როგორ შეასრულეს მსახიობებმა თავიანთი როლი. ყველას მზერაში ერთი სურათი გაყინულიყო: მშვენიერი ქალის უცნაურად და მომხიბლავად აპრეზილი უკანალი, და ახლა ყველა ამ ამბავზე ლაპარაკობდა.

არცთუ ისე ხმამაღლა მსჯელობდნენ მამაკაცები, ქალებმა კი გამოთქვეს ვარაუდი: „ეს ხელოვნურიაო“. თუმცა იმ დროს ჩვენში სხეულის ამ ნაწილის ხელოვნურად შეცვლის ხერხებს ნამდვილად არ ფლობდნენ. მსგავსი ამბავი, მართალი გითხრათ, არც კი მსმენია.

კიდევ ერთხელ გაიელვა ჩემ თვალწინ მრავალგზის ემპიონის, თარჯებზე მორბენალი ქალის სხეულმა, ფინიშის შემდეგ რომ გვეპრანჭებოდა ეკრანიდან. მისი გვარი კარგად არ მახსოვს.

ნუთუ ასეთი აღნაგობა ბუნებრივია? მე ხომ, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, ცოტა რამ მაინც ვიცი ქალის სხეულის შესახებ! არ მასვენებს ფიქრი, თუმცა ბუნებრივი ხომ უფრო ლამაზი და მიმზიდველია. მე ასე მჯერა. მინდა სიმართლეში დავრწმუნდე, ხელით შევეხო. თვალს კი ვერ ვაშორებ მომხიბვლელ ქანდაკებას. მაშ, ის კანონი, ახლახან რომ მიიღეს?!

რა დროს კანონია – თავხედურად წავილე ჩემი მარჯვენა ხელი, ხელისგულითა და თითებით შევეხე მის სხეულს და შევიგრძენი იგი – ბუნებრივია! მყისვე დამეუფლა მწველი სირცხვილი ჩემი საქციელის გამო, ველოდები მოსალოდნელ რისხვას, რომელიც დავიმსახურე, სასჯელს, რომელიც დიახაც მეკუთვნის. აჰა, თითქოსდა გარედან ვხედავ ჩემს თავს – დასჯილს, დატუქსულს. მუდარით ავხედე, ჩაიღიმა, ჩაიჩურჩულა thank you! გადავრჩი.

ლიფტი შედგა. ლამაზმანი გავიდა. კაბინის კარი დაიხურა და ისევ განაგრძო სვლა. აღარც ვიცი, რით ვიყავი კმაყოფილი და ბედნიერი: ცნობის წადილი რომ დავიკმაყოფილე თუ იმით, ამ მშვენიერმა თავხედობა რომ მაპატია. მაშ, thank you! არა? რა დიდებლი, რა მომნადირებელი პასუხია.

ჯეკის მოსვლამდე ათჯერ მაინც გავიარე ქალის სართულზე, მეზობელი სართულებიც შემოვირბინე, იქნებ, სადმე მოვკრა თვალი, ზოდიში მოვუხადო, ეგების, გავიცნო კიდევ-მეთქი, ოღონდ - ამაოდ.

სალამოს ჯეკმა გამომიარა. წავედი, წავჩანჩალდი. თანამემამულეებთან შეხვედრაზე ჩემსავით მოწყენილი არავინ შემინიშნავს. რა იცოდნენ მასპინძლებმა თუ სტუმრებმა, რა ფიქრი მაწვალებდა: სირცხვილი, მადლიერება თუ სურვილი. ამაოდ ლამობდა ჩემს გართობას ერთი მშვენიერი თანამშრომელი, ვიცეკვეთ კიდევ.

მეორე დილით, საუზმის შემდეგ, ბაღში გავედი. რესტორანს ხელოვნურად შექმნილი კოპწია ბალი შემორტყმოდა. რუსხმულებზე პატარა ხის ბოგირებით გადავიდოდი; ჩხრიალებდნენ ჩანჩქერები. ირგვლივ უამრავი მცენარე და ნარგავი ყელყელობდა, დედამიწის მრავალი კუთხიდან ჩამოტანილი.

მე კი ერთთავად მერიზე ვფიქრობდი. დიახ, მას მერი დავარქვი.

უცებ ვხედავ: იამაიკელი ტურისტების ათკაციან ჯგუფთან ერთად არ მინარნარებს ჩემი მერი?! ჩასხდნენ პატარა ავტობუსში, წაიღო ჩემი მადლიერებით აღსავსე გული. ბაღის სკამზე ჩამოვჯექი, ვფიქრობდი, ვმსჯელობდი: ან ჩემი საქციელი რა იყო, ან იმ დიდებულმა ქალმა რა მითხრა პასუხად. ასე მოქცევა მხოლოდ სრულყოფილს თუ შეუძლია, რომელმაც იცის თავისი ჯადოს ძალა.

იქნებ, ოდესმე კიდევ მოვხვდე იამაიკაზე.

ოცნებაში ჩაძირულს თბილისი, თბილისური ადრე გაზაფხული წარმომიდგა თვალწინ.

რუსთაველის გამზირისა და მოედნის შესაყართან ექვსი ბიჭი ერთმანეთს ვეჯიბრებოდით მოწყენილობის დაძლევაში: ჰაი ფეხბურთით, ჰაი კალათბურთით, ჰაი, წინა დღეებში შესმული ღვინოთ, არაყით, ლუდიო. ანეგდოტმაც გა-

იყლერა. მოვიგონეთ ჩვენი ქალაქის ლამაზმანები, პირბუდადი, ტანადი კაცები, რამდენიმე მუშტი _ კრივიც უზნის, სკოლის, ინსტიტუტის „ყოჩების“ მონაწილეობით. ამ მრავალფეროვანი „მენიუს“ მიუხედავად, მძლავრობდა მოწყენილობა. ერთმანეთის გართობის სურვილი ვერ იმარჯვებდა.

ამდენი ხანია, ვდგავართ და ერთ კარგ, ლამაზ ქალსაც არ ჩამოუვლია, რა ხდება? _ ვკითხე.

ეს კითხვა თურმე, ყველას აწვალებდა. სათქმელი დამთავრებული არ მქონდა, დამიდასტურეს: _ აბა, აბაო!

მათრობელა მზის, სუსტი ნიავის, წყნარი ამინდის მიუხედავად, მოწყენილობამ კვინიხს მიაღწია. ცოტაც და ჩვენი სექსტეტი დაიშლებოდა. ოცდაერთი-ოცდაორი წლის ახალგაზრდებს რასმე უფრო ამაღელვებელს არავინ გვთავაზობდა.

აჰა, შეხედე! _ მივმართე მეგობრებს და მათი მზერა ჩემსას შეუერთდა.

რუსთაველის მხრიდან გამოჩნდა ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი ყმაწვილქალი, ჩვენი თანატოლი ან შეიძლება ერთი-ორი წლით უფროსიც. ასე მოგვეჩვენა, მთელი ცისქვეშეთი გვიახლოვდებოდა... სუნთქვაშეკრულნი თვალს ვერ ვაშორებდით მის მიხვრა-ოხვრას. სადღაც შორის, მეტაფიზიკურ სივრცეში, იცქირებოდა. ყველა ჩვენგანმა იცოდა მისი სახელი. ზოგიერთ ჩვენგანს ისიც იცნობდა. როს გაგვისწორდა, მე ტაში დავუკარი მის მშვენიერებას. ეგ სხვებსაც მოეწონა და ტაში იმათაც შემოჰკრეს.

ოდნავ ჩაედინა. კმაყოფილმა თითქმის შეუმჩნევლად დაგვიკრა თავი. გმადლობთო, ჩაილაპარაკა თავისთვის და განაგრძო სვლა. ყველა მის საცქერლად შემოვტრიალდით: ლამაზად, ერთობ ლამაზად მირონინებდა. აუჩქარებლად. მისი ტანის რხევას, მოცეკვავე ქალებს რომ სჩვევიათ, თბილისური მაუდის გაშლილი ქვედატანის კალთა იმგვარი რხევით მიჰყვებოდა. ისიც მომეჩვენა, თითქოსდა რუსთაველმაც კმაყოფილებით ჩამოხედა, მზერა გააყოლა და დასტურ დაინახა, თუ „ვით მიეფინების მზე ველად“; ხახადაფჩენილი ლომებიც მზად იყვნენ, გრგვინვითა და ღრიალით შეგებებოდნენ, ოღონდ ამას ველარ ახერხებდნენ, რადგან პირთაგან წყალი გადმოედინებოდათ.

ევოი სილამაზეს, ევოი მშვენიერებას!

სადამოს კი ქალაქი დამუნჯდა. მერე ცას უდიდესი მეტეორი მოსწყდა.

მეტეორი სილამაზის, სიყვარულისა და შეუცნობელი მწუხარებისა...



amiran asanize

eha biWebო!..

panTeadas

*გიგლა სარიშვილს, ავთანდილ გურგენიძეს,
სოსო პაიჭაძეს, თედო ბეჭიშვილს, ელდარ კერძევაძეს*

ეჰა, ბიჭებო!.. ძმებო, რა ძმებო!..
გაყრილნო სულად და სხეულებად;
ახლა ხვაშიდს უნდა გაძლება
და უთქვენობით დასნეულებას.

ანდამატური შუქით მოსილა
გრძნეული სივრცე თქვენი არენის...
რა ბუკით გიხმოთ იმ დალოცვილმა,
ასე ერთად რომ აიყარენით.

ჰაი, ჰაი, რომ ქვეყნად მოვლენილთ
ხშირად სამზეოც არ გვეამება,
ძნელი ყოფილა მაინც ცხოვრების
ნახევარ გზაზე შემოღამება.

დაისის შემდგომ ოქროდ დაფანტულ
ცას შელეკია თქვენი სულები,
ღვთიური გზნებით, რომ იფარფატონ
აქ და მარადის, დაუსრულებლივ...

თქვენ რომ გაავლეთ თეთრზე შავ ხნულად,
ძმებო, ის კვალი სულ იციმციმებს,
სული ხომ სულობს, ალბათ, სხეულიც
უკვე ვეღარ გრძნობს მიწის სიმძიმეს.

ცად მიწეულნო, თქვენდა ნათელი!
ჩვენ აქ შთენილნი სამარტვილოზე,
ისევ ვცოდვილობთ, თქვენ კი საყვარელ
საქართველოსთვის ცაში ილოცეთ.

Tu sunTqavda ukvdaveba...

მთას მთა კაცი შეიმართა
და სწორს სწორად ერგო,
საქართველოს გონებითა
მჩქეფარება – თერგო! –
ამობრძანდა ზედაზენზე
სანთლად დაღვენთილი
ივერიავ, კაცი შენთან
შვილთა შორის შვილი;
მნათობმა რომ მას მიმართა
სხივი ათასფერი,
რა საოცრად გაფერმკრთალდა
ელვა მყინვარწვერის;
მზე ღრუბლებში ჭავლთა შობდა
ყირმიზ ფერთა დარად
და ოცნება დაისობდა
წყნარად, მწუხრის დარად:
„ეჰა, მთებო, მერამდენედ
თქვენს გაზაფხულს ვხვდები,
თვით მამულო, საყვარელო,
როსდა აყვავდები?
სულიც შენი, სევდის მთოვი,
ვით აღზევდეს კიდევ,
რომ დარს ჯვრის და სვეტიცხოვლის
კვლავაც მოიმკიდეს?..“
როს ოცნება მგოსანს აჰყვა,
თუ არწევდა მაშინ,
ოქროს თევზი ოქროს აკვანს
ბაზალეთის ტბაში.
რო დამზერდა ვით ღვთაება
ფერთა ნაირნაირს.
თუ სუნთქავდა უკვდავებაც
საქართველოს ჰაერს.

april i (fragmenti) dedas

* * * კვლავ გაზაფხულდა და ლაყვარდები
გადმოედვარა მიწას ჩქერებად,
კვლავ ვერ დავასწარ ბუნებას, ჩემო,
შენზე ლექსი და ყელმოღერება.

მომირთმევია აპრილი შენთვის,
მზეში გაშლილი ჟივილ-ხივილად,
მე ტკივილით მშვი, მაღლაა ღმერთი,
ბოლომდე უნდა შეგრჩე ტკივილად.

მეტი რა გითხრათ ჩუმსა და უთქმელს,
შენ, ჩემი გულის დასაფიცარო;
მადლობელი ვარ, რომ ვსუნთქავ ვიდრე,
_ სულ სიყვარულით უნდა ვიწვალო.

gal aktioni

ააზიანა სილაში ვარდი –
შეფარებული ატმის ჩეროებს,
მთებს, ქლიავისფერს დაუდგა მხართით
და ცად დაქსელილ ხის კენწეროებს;
ლექსად მიაგო კუთვნილი ვალი
ცვრიან მდელოსაც, მამის ვენახსაც,
მოვიდა, მამულს მოავლო თვალი
და... ნიკორწმინდა იშვა ხელახლა.



ambrosi xel aia –
(saqarTvel os wamebul i patriarqi)

არ გვავიწყდება

150 wel i Sesrul da saqarTvel os wamebul i patriarqis *ambrosi xel aias* dabadebi dan. am TariRTan dakavSirebi T vbell-davT patriarqis mi marTvas genuis konferenciisadmi da wmind aRmsarebl is dakiTxvis oqms, romel Tac dResac ar daukargavT Zal isxmeva da erTxel kidev moagoneben dedaekl esias, Tu rogori unda iyos eris WeSmariti sul ieri mama.

**კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე
 წარმოდგენილს 1922 წლის 7 თებერვალი**

მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოსა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ პრაქრისტიანულ ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შეჰქმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და მდიდარი აქტუალური ნიჭით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინააზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკვდლა ერთმორწმუნე რუსეთს იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველ ჰყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიოროკრატისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებულობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკურსა და ეროვნულ-კულტურულ ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა

ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერჯია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენული პოლიტიკურ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, პატარა, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორეთ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენათ ბედნიერადა ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლათ ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გადატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მორეწილ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან; ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, მას უბღალავენ წმიდათა-წმიდას, _ სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდლოება უკიდურესად დევნულია; მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია იმდენათ, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოდებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონათ ვსთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ: 1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქმნეს საქართველოს საზღვრებიდან

რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქმნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან; 2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალადაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიხიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნათ დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულვე-ბელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვეს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.¹

მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოსა.
7/II-1922 წ.
ტფილისი
მნათობი, 1989, №9, გვ. 111-112.

№23. saqarTvel os sagangebo komisi is TanamSroml is mier kaTal i kos-pat ri arq ambrosi saTvis CamorTmeul i Cvenebebi

1922 წ. 12 ივნისი და 20 ივნისი

1922 წლის ივნისის 12 დღეს დაკითხულია ხელაია ბესარიონ ზოსიმეს ძე ამბროსი, 62 წლის, უმაღლესი განათლებით, საქართველოს კათალიკოსი, რომელმაც გენუის კნფერენციაზე გაგზავნილ მოწოდების გამო აჩვენა შემდეგი:

მოწოდება გენუის კონფერენციის სახელზე იყო ჩემ მიერ შედგენილი და ხელმოწერილი.

კითხვა: რა საბუთები გაქვთ იმისა, რომ ქართველი ერი გმინავს, არ შეუძლია აღიმადლოს თავისი ხმა და ბედკრულ მდგომარეობაშია?

პასუხი: ცნობებს, იმის შესახებ, რომ ხალხი ასეთ მდგომარეობაშია, ვღებულობდი პირადი დაკვირვებით, ეს ხდებოდა სოხუმის ოლქში, სადაც მიხდებოდა მორწმუნეთა შორის რელიგიოზურ საკითხებზე ბაასი და რაც

¹ შედარებულია და გასწორებულია კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის ხელნაწერის მიხედვით: საქ. უახ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღწ. 2, ს. 1, ფ. 132-133 (ჯ. გ.).

შეეხება პოლიტიკური ხასიათის ლაპარაკს საყდარში, როგორც მე და ისე სხვებსაც არ ვანებებდი. გარეშე ეკლესიის პოლიტიკურ თემებზე ლაპარაკი ხდებოდა, მხოლოდ ინიციატივა ამისა ჩემგან არ იყო და მორწმუნეები კი თვით ეხებოდნენ პოლიტიკას. სოხუმის ოლქში ხშირი იყო მოვლენა, რომ აგიტატორები ეხებოდნენ სარწმუნოებას, ლანძღავდნენ სარწმუნოებას და ეკლესიას; ასეთი შემთხვევები მენშევიკური მფლობელობის დროსაც იყო, მე ამას სათანადო ყურადღებას ვაქცევდი, რის გამო მიემართავდი მენშევიკურ მთავრობას. უმეტესად ეს აგიტატორები სოფლად იყვნენ ქართველები. ასეთი მოვლენები სამღვდელოების წინააღმდეგ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც იყო. მე დადებით თქმა იმისა არ შემიძლიან, რომ აგიტატორები მთავრობიდან იყვნენ, მაგრამ მე და ხალხიც ასე ფიქრობს, რომ წარმომადგენელი მთავრობის მოხელენი არიან. მე უშვალო დამოკიდებულება საქართველოს ხალხთან არა მქონია, მხოლოდ ჩემთან მოდიოდნენ მორწმუნენი, ერის ხალხი, სამღვდელოების და სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელი. ჩემთან მოდიოდნენ წმინდა საეკლესიო საქმეებზე და მორწმუნეთა წარმომადგენელი პოლიტიკას არ ეხებოდნენ. არ ვღებულობდი მათ პოლიტიკის შესახებ და მხოლოდ მუსაიფის დროს კი ჩამოვარდებოდა ლაპარაკი მთავრობის შესახებ, თავიანთ ცუდ მდგომარეობის ყოფნის გამო. არც ერთ ჩემთან ყოფილ წარმომადგენელს ჩემთვის არ მოუმართავს, რომ მე მათი სახელით მიმემართა გენუის კონფერენციისათვის. უმეტესნი მომსვლელ წარმომადგენლობისა ჩემთან აცხადებდნენ, რომ დღვანდელ არსეულ მთავრობის დროს სარწმუნოება და მორწმუნეები უფრო ცუდ პირობებშია, ვინაიდან ეკონომიურად, ეროვნულ სახით და სხვა, დაჩაგრულნი ვართ.

კითხვა: მოწოდება ვისი სახელით იყო და სთვლიდით თქვენ თავს ქართველი ერის წარმომადგენლათ?

პასუხი: ქართველი ერი მე მრწამს ყველა მორწმუნეთ, და რამდენადაც მე ეს ასე მწამს, ვსთვლი მე ჩემს თავს მისგან, ერისაგან არჩეულს და მისი სახელით, მორწმუნეების ვლაპარაკობ.

კითხვა: თქვენ გქონდათ რაიმე მინდობილობა იმ ერისაგან, რომელმაც აგირჩიათ?

პასუხი: მე არავითარი არც ოფიციალური და არც არა ოფიციალური მინდობილობა ერისაგან და საეკლესიო ყრილობისაგან, რომელმაც მე პატრიარქად ამირჩია, არ გამაჩნია, რომ მიმემართა გენუის კონფერენციისათვის. მხოლოდ ეს მიმართვა გამოწვეული იყო ჩემის პირადი დაკვირვებით და სინდისის მიხედვით, იმ სინდისით, რომლის მიხედვით მე დამავალა საეკლესიო ყრილობამ, მათი ინტერესების დაცვა. ვიმეორებ, რომ უმთავრესად ჩემი ეს მოქმედება ეხებოდა საეკლესიო საქმეებს.

კითხვა: აძლევდით თუ არა ხსენებულ მოწოდებას პოლიტიკურ ხასიათს, როდესაც მას სწერდით?

პასუხი: პოლიტიკურ ხასიათს არ ვაძლევდი, ვინაიდან საბჭოთა რუსეთს არ ვსთვლი მოკავშირედ, არამედ ოკუპანტად.

კითხვა: ოკუპაცია არის თუ არა პოლიტიკური ნაბიჯი?

პასუხი: ოკუპაცია არის დროებითი პოლიტიკური ნაბიჯი.

კითხვა: სთვლით თქვენს თავს ვალდებულად, ჩაერიოთ იმ საქმეში, რასაც თქვენ უწოდებთ ოკუპაციას?

პასუხი: მე ვალდებულად ვსთვლი თავს ჩავერიო იმ საკითხებში პოლიტიკური ხასიათისას სარწმუნოების სახელით.

კითხვა: რით აიხსნება ის წინააღმდეგობა თქვენს ჩვენებაში, რომ სამღვდელოება პოლიტიკურ საქმეებში არ ერევა, მაგრამ ოკუპაციის საკითხში, რომელიც პოლიტიკური ნაბიჯია, თქვენ ჩაერიეთ ხსენებული მოწოდების დაწერით?

პასუხი: იმიტომ ჩავერიე ამ საქმეში, რომ ოკუპაცია გათავებული მეგონა და მიხდოდა მთავრობას ჰყოლოდა საკუთარი ჯარი.

კითხვა: შეგიძლიათ თქვენ სთქვათ, რომ ქართული ჯარი არ არსებობს?

პასუხი: ქართული ჯარი არსებობს.

კითხვა: რით ამტკიცებთ, რომ რუსეთის წითელი ჯარი არის ოკუპაციონური?

პასუხი: ჯარი შემოვიდა და დარჩა.

კითხვა: სთვლით, რომ საქართველოში არ არსებობს მთავრობა?

პასუხი: საქართველოს მთავრობა არსებობს, საქართველოს დამოუკიდებლობა კი, ჩემის აზრით, არ არსებობს.

კითხვა: სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ არის თუ არა პოლიტიკური კითხვა?

პასუხი: არის.

კითხვა: ვინ წაართვა საქართველოს დამოუკიდებლობა?

პასუხი: დამოუკიდებლობა საქართველოს წაართვა რუსეთის საბჭოთა მთავრობამ.

კითხვა: სცნობთ თუ არა საჭიროდ, როგორც სარწმუნოების წარმომადგენელმა ხმა აღიმაღლოთ დამოუკიდებლობის შესახებ?

პასუხი: ვსცნობ იმდენათ, რამდენადაც ეს ჩარევა ხელს შეუწყობს ეკლესიის და ხალხის აღორძინებას.

კითხვა: ჩაერია თუ არა უცხო ელემენტები უშვალოდ, სახელდობრ რუსეთის ჯარი, ეკლესიის საქმეებში?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: ჩაერთა თუ არა თქვენ მიერ უცხო ელემენტებთან წოდებული ჯარი ან სხვა ვინმე კერძო პირი საეკლესიო საქმეებში სხვისი ვინმეს საშვალებით?

პასუხი: ამ კითხვაზე პასუხის მოცემა არ შემოიძლიან.

კითხვა: ჩაერთა თუ არა საქართველოს საბჭოთა მთავრობა საეკლესიო საქმეებში?

პასუხი: ჩაერთა.

კითხვა: რაში გამოიხატება ეს ჩარევა?

პასუხი: სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფაში, რომელიც, ჩემი აზრით, დასაგმობი არ არის. სხვა ჩარევა გამოიხატა შემდეგში: უარყოფითი შეხედულება მთავრობისა სამღვდელოებაზე, მამულების, სახლების და ყოველწარ ივრიდიულ უფლებების ჩამორთმევა.

კითხვა: რაში გამოიხატა იურიდიულ უფლებების ჩამორთმევა?

პასუხი: იმაში, რომ ეკლესიას არ შეუძლიან შეიძინოს საეკლესიო ქონება, მეორე, სკოლების გახსნის უფლების ჩამორთმევა.

კითხვა: არის თუ არა რაიმე განსხვავება ყოფილ სამეფო რუსეთსა და დღევანდელ საბჭოთა რუსეთს შორის?

პასუხი: განსხვავება არის!

კითხვა: რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

პასუხი: წინათ რუსეთს განაგებდა თვითმპყრობელი მეფე, ახლა კი განაგებს რუსეთის მშრომელთა წარმომადგენლობა საბჭოთა მთავრობის სახით, რომლის მოძღვრება აძლევს ყველას თანასწორობას, თავისუფლებას სიტყვისას, რწმენისას, სწავლისა და ივრიდიულ უფლებას, აგრეთვე საბჭოთა მოძღვრება აძლევს თვითგამორკვევის უფლებას.

კითხვა: ეხება თუ არა საბჭოთა რუსეთს მოწოდების სიტყვები, სადაც ნათქვამია, რუსეთს არ შეეძლო მოეთმინა საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც მის წინანდელ მზავრელს?

პასუხი: ეხება საბჭოთა რუსეთს.

კითხვა: სთვლით თუ არა საბჭოთა რუსეთს იმპერიალისტურ სახელმწიფოთ, რომელსაც მიზნად აქვს ახალ-ახალი ქვეყნების შეერთება?

პასუხი: მოძღვრებით და იდეით არ ვსთვლი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სინამდვილე ამას არ ეთანხმება.

კითხვა: დაიპყრო თუ არა საბჭოთა რუსეთმა სხვა ერი?

პასუხი: არა, მხოლოდ გამოიგონია, რომ საბჭოთა რუსეთს სურს დაპყრობა სხვა ერისა.

კითხვა: რით ხსნით, რომ საქართველო დაიპყრო რუსეთმა?

პასუხი: ეს მე ვერ ამიხსნია, მით უმეტესად, რომ იდეას და საბჭოთა მთავრობის მოძღვრებას ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველოს მშრომელთა ხალხს დახმარება ეთხოვა საბჭოთა რუსეთისთვის, საქართველოს ბურჟუაზიულ მთავრობის ჩამოსაგდებათ?

პასუხი: შესაძლებელია, თუმცა მე არ ვიცი.

კითხვა: რაში გამოიხატა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა?

პასუხი: ჯარის შემოსვლაში, მის აქ დარჩენაში და სუვერენობის დაკარგვაში.

კითხვა: რაში გამოიხატება სუვერენობის დაკარგვა და დამოუკიდებლობა?

პასუხი: იმაში, რომ მართვა-გამგეობა წარმოიხსნება მოსკოვის დირექტივებით.

კითხვა: მიმითითებთ მხოლოდ ერთ დირექტივზე?

პასუხი: არც ერთ დირექტივებზე მითითება არ შემიძლიან, მხოლოდ ასე ვფიქრობ.

კითხვა: შეგიძლიანთ თუ არა, საბუთიანათ დამტკიცება ხსენებულ მოწოდებაში ნათქვამისა: ერის მონობის, ჩაგვრის, ძალდატანებისა და უბედურების შესახებ?

პასუხი: ვფიქრობ, რომ შემიძლიან.

კითხვა: მიმითითებთ მხოლოდ ერთ საბუთზე ერის მონობის, ძალდატანების და ჩაგვრის დასამტკიცებლად?

პასუხი: ეხლა არც ერთ საბუთზე მითითება არ შემიძლიან.

კითხვა: რაში გამოიხატება მორალური და ფიზიკური გადაგვარება ერისა?

პასუხი: გამოიხატება ერის სარწმუნოების წინააღმდეგ მოქმედებაში, რასაც მოსდევს ფიზიკური გადაგვარება.

კითხვა: ვინ აკეთებს საქართველოში ექსპერიმენტებს საქართველოზე, ერზე ბოლო წლის განმავლობაში?

პასუხი: ის, ვინც ოკუპაცია მოახდინა.

კითხვა: ვინ მოახდინა ოკუპაცია?

პასუხი: ოკუპაცია მოახდინა რუსეთმა.

კითხვა: რაში გამოიხატა ექსპერიმენტები?

პასუხი: რუსეთის ექსპერიმენტები გამოიხატა მიწის სოციალიზაციაში, სარწმუნოების შევიწროებაში და სახლების მუნიციპალიზაციაში.

კითხვა: მიმითითებთ რომელიმე დეკრეტზე, რომელიც რუსეთის მთავრობის სახელით იყოს მოწერილი ზემოხსენებულ ექსპერიმენტების გასატარებლად საქართველოში?

პასუხი: ვერც ერთ დოკუმენტზე ვერ მიგითითებთ.

კითხვა: ამ ექსპერიმენტებს ატარებს თუ არა საქართველოს მთავრობა?

პასუხი: ექსპერიმენტებს საქართველოს მთავრობა ატარებს. მხოლოდ საქართველოს მთავრობა არ არის, არამედ მე ვსთვლი მას საქართველოში რუსე-

თის მთავრობათ, კონკრეტულად ამის დამტკიცება ჯერ-ჯერობით არ შემძღ-ლიან.

კითხვა: ვინ ართმევს საქართველოს ქონებას და უყოფს უცხო მოძალადე ელემენტებს?

პასუხი: რუსეთი ართმევს ხალხს ქონებას და უყოფს უცხო ელემენტებს.

კითხვა: რა ქონება არის ჩამორთმეული?

პასუხი: სახლები, ტერიტორია, რომელიც გადადის სხვის მფლობელობაში, მაგალითად, ზაქათაის ოლქი და ცხინვალი.

კითხვა: დამისახელეთ ერთი მაგალითი, რომ ქართველ მესაკუთრეს ჩამოართვეს სახლი და მისცეს სხვას, უცხოს, ან და ქართველები გამოასახლეს და ჩაასახლეს უცხოელები?

პასუხი: ამის შესახებ ცნობები არ მომეპოვება.

კითხვა: რა საარსებო საშვალეა წაართვეს ქართველ ხალხს და გაგზავნეს უცხოეთში?

პასუხი: ასეთი ცნობები ჩემ მიერ იქნება წარმოდგენილი, ახლა არ გეტყ-ვით.

კითხვა: რაში გამოიხატა ან რამ გამოიწვია ნაციონალური კულტურის და-მახინჯება?

პასუხი: ნაციონალური კულტურის დაცემა და მისი დამახინჯება საბჭოთა მთავრობის ბრალია იმდენად, რამდენადაც აქ საქართველოში არ არის დამყა-რებული მშვიდობიანი მმართველობა, კონკრეტულად მითითება არ შემძღ-ლიან, მხოლოდ საერთო მდგომარეობა ასეთია.

კითხვა: დამისახელეთ ისეთი მაგალითი, რომ უცხოელების მიერ იყოს შეურაცხყოფილი სარწმუნოება ან და ფიზიკურად შეეხო ეკლესიას როგორც საბჭოთა მთავრობა ან მისი წარმომადგენელი?

პასუხი: ახლა კონკრეტული ფაქტების მოცემა არ შემძღლიან.

კითხვა: რატომ სწერდით ყველა ამას მოწოდებაში?

პასუხი: იმიტომ, რომ მთავრობის უბრალო წარმომადგენლები შეურაცხყო-ფას აყენებდნენ სარწმუნოებას და ეკლესიას.

კითხვა: მიმითითეთ რომელიმე მთავრობის წარმომადგენელზე.

პასუხი: ახლა დასახელება არ შემძღლიან.

კითხვა: ასეთი შეურაცხყოფა სისტემატურია თუ არა? ან და სდევნიდნენ სამღვდელოებას იმისთვის, რომ ისინი იყვნენ სარწმუნოების მატარებელი?

პასუხი: არა.

კითხვა: იყო თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ სდევნიდნენ ერის ხალხს იმიტომ, რომ ის მორწმუნე იყო?

პასუხი: არა.

კითხვა: რისთვის მიმართეთ გენუის კონფერენციას?

პასუხი: მივმართე გენუის კონფერენციას იმისათვის, რომ მეგონა დაისმებოდა მცირე ერების საკითხი და რამდენადაც ერი განთავისუფლდებოდა, ამით სარწმუნოება აღორძინდებოდა, ვინაიდან ერი მწამს იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს სარწმუნოების გაძლიერებას და ერის აღორძინებას. საქართველოს საბჭოთა იდეა ხელს უწყობს ერის აღორძინებას.

კითხვა: დღევანდელი საბჭოთა საქართველო ხელს უშლის თუ არა ერის აღორძინებას?

პასუხი: ხელს ვერ შეუწყობს.

კითხვა: ხელს უწყობს თუ არა დღევანდელი მთავრობა გაბატონებას მშრომელი ხალხისას, მის გაძლიერებას პოლიტიკურად და ეკონომიკურად?

პასუხი: თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად გაცნობილი არა ვართ თქვენს მოქმედებას.

კითხვა: რა წაართვა რუსეთის წითელმა ლაშქარმა საქართველოს?

პასუხი: ძალით ჯარს არაფერი არ წაურთმევია, მხოლოდ ეს ჯარი იკვებება საქართველოს სურსათით.

კითხვა: საიდან გაქვთ ეს ცნობა, რომ საქართველოს სურსათით კვებება რუსეთის ჯარი?

პასუხი: ფაქტიური საბუთები იმისა, რომ რუსეთი წითელი ლაშქარი სცხოვრობს საქართველოს ხარჯზე არა მაქვს, მხოლოდ ასეთი აზრი ტრიალებს საზოგადოებაში.

კითხვა: ეს ჯარი უფლებრივად და პოლიტიკურად სჩაგრავს თუ არა ქართველს ერს?

პასუხი: ვფიქრობ, რომ ჩაგრავს.

კითხვა: რაში გამოიხატება პოლიტიკური და უფლებრივი ჩაგვრა?

პასუხი: მე მიმაჩნია, რომ შელახულია სუვერენობა.

კითხვა: მშრომელ ხალხს მიაჩნია თუ არა მჩაგვრელად წითელი ჯარი?

პასუხი: პასუხის მოცემა არ შემძლიან.

კითხვა: წითელი ჯარის აქ ყოფნა თუ საჭიროებათ მიაჩნიათ საქართველოს მთავრობას და ასეთი იყო გადაწყვეტილება მთავრობის, მაშინ თქვენ გქონდათ თუ არა უფლება მოგეთხოვათ ჯარის გაყვანა?

პასუხი: უფლება მაქვს თუ არა, არ ვიცი; თუ კი ეს მთავრობის დადგენილება იყო, უფლება არ მქონდა გენუის კონფერენციაზე ჯარის გაყვანა მომეთხოვა.

კითხვა: რუსეთის წითელი ჯარი სამუდამოდ არის აქ, საქართველოში, დარჩენილი თუ არა?

პასუხი: ამაზედ პასუხის მოცემა არ შემძლიან, ვინაიდან არ ვიცი.

კითხვა: იცით თუ არა, რომ საქართველოს მთავრობის დაუკითხავად რაიმეს გატარება ცხოვრებაში არ შეიძლება?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: იცოდით თუ არა, რომ ჯარის აქ დარჩენა იყო მთავრობის დადგენილება?

პასუხი: არ ვიცოდი.

კითხვა: იცით თუ არა საბჭოთა მთავრობის მმართველობა-გამგეობის სისტემა, მათი უმაღლესი ორგანოები, მათი კანონები, სამართალი, დეკრეტები და სხვა?

პასუხი: სავსებით გაცნობილი არა ვარ.

კითხვა: იცით თუ არა, რომელიც უმაღლესი ორგანო?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: იცოდით თუ არა, რომ ყრილობა იყო საბჭოების და ამ ყრილობამ აირჩია მთავრობა?

პასუხი: ვიცოდი, ყრილობა იყო, მაგრამ არ ვიცოდი, ამ ყრილობამ აირჩია მთავრობა თუ არა.

კითხვა: იცოდით თუ არა, რომ საქართველოში არსებობდა საბჭოთა მთავრობა?

პასუხი: ვიცოდი.

კითხვა: იყო თუ არა საბჭოთა მთავრობა ხალხის სურვილების გამომხატველი?

პასუხი: უნდა ყოფილიყო.

კითხვა: რომელი მთავრობა უფრო გამოხატავს ხალხის ინტერესებს?

პასუხი: საბჭოთა მთავრობა, თუ კი ის დამოუკიდებელი იქნება.

ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოსა.

damat ebi Ti Cveneba

1922 წლის ივნისის 20 დღესა, პატრიარქი სრულიად საქართველოსი ამბროსი (ბესარიონ ხელაია) დამატებით ჩემ ჩვენებაზე ვაჩვენებ შემდეგს:

კითხვა: ვის გაატანეთ მოწოდება უცხოეთში, გენუის კონფერენციაზე?

პასუხი: მოწოდება ვის გავატანე არ ვიცი, ვიცოდი, რომ საზღვარგარეთიდან იყო ჩამოსული და მას გავატანე.

კითხვა: ვისაც თქვენ გაატანეთ მოწოდება, ის სპეციალურად მოწოდებისთვის იყო ჩამოსული თუ არა, რა დავალება ჰქონდა იმ პირებისაგან, რომლებიც საქართველოდან კომუნისტების განდევნას ჰფიქრობენ?

პასუხი: დეკანოზ კაპანაძის საშუალებით გადავეცი მოწოდება უცნობს, რომელიც კაპანაძემ დამიხასიათა საიმედო პიროვნებათ, პირადად მე არ მინახავს. ეს უცნობი წამლები მოწოდებისა ვინ იყო ან რა მოხელე, არ ვიცი, მხოლოდ მე ვენდობოდი კაპანაძეს.

კითხვა: თქვენ როგორც სამღვდელოების წარმომადგენელს, უფლება გაქვთ თუ არა ჩაერიოთ მთავრობის საქმეებში, როგორც პიროვნება, ან და ეკლესიის თავი?

პასუხი: იმდენად, რამდენათაც მთავრობა სჩაგრავს ეკლესიას და მისი წინააღმდეგია, მე ჩემს თავს ზნეობრივად მოვალეობათ ვსთვლი, ჩავერიო მთავრობის საქმეში ეკლესიის და სარწმუნოების დასაცავად.

კითხვა: გარდა ეკლესიისა და სარწმუნოების საქმეებისა, უფლება გაქვთ თუ არა ჩაერიოთ სახელმწიფოს პოლიტიკურ საკითხებში?

პასუხი: მე, როდესაც სახელმწიფო არ ეხება ეკლესიას და სარწმუნოებას, ან მის მოქმედებას არ აქვს გავლენა სარწმუნოებაზე, უფლება არა მაქვს ჩავერიო პოლიტიკურ საკითხებში.

კითხვა: ყოფილა თუ არა რაიმე გავლენა მთავრობის მიერ სარწმუნოებაზე?

პასუხი: საზოგადოდ ვამბობ, რომ არის გავლენა უარყოფითი, თუ საჭირო იქნება დასამტკიცებელ საბუთებს წარმოვიდგენთ.

კითხვა: თქვენ ამბობთ, რომ მთავრობის მოქმედებას შეგიძლიანთ შეეხოთ მაშინ, როდესაც ეხება ეკლესიის საკითხს, და უფლება არა გაქვთ, პოლიტიკურ საკითხებს შეეხოთ, მაგრამ, თქვენ ამის და მიუხედავად, გენუის კონფერენციას მიმართეთ, რომ პოლიტიკური ცვლილება მოეხდინა საქართველოში – ეს ჩარევა თუ არა მთავრობის პოლიტიკურ საკითხებში?

პასუხი: მთავრობის პოლიტიკური მოქმედება ეხება ეკლესიას, სარწმუნოებას, ვინაიდან აქაური მთავრობა დამოკიდებულია. ეს სუვერენობა აქვს დაკარგული. ამის დასამტკიცებელ საბუთებს წარმოვადგენ. მე იმდენათ ვერევი პოლიტიკურ საკითხებში, რამდენადაც საქართველოს მთავრობა არ არის დამოუკიდებელი.

ამბროსი, პატრიარქი საქართველოსა.

საქ. უახ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღწ. 2, ს. 1, ფ. 96-107, 125-129.





I evan sanikiZe †

erekl emde

(ლევან სანიკიძის გამოუქვეყნებელი წერილი)

რუსეთის უბეში შეძვრომის, რუსის მფარველობის მიების, ანუ რუსეთუძობის ისტორია ჩვენში, ერეკლე მეორემდე, 300 წლით ადრე ანუ XV საუკუნის დასასრულს დაიწყო.

და აი, რუსეთუმე პირველიც – კახეთის მეფე ალექსანდრე პირველი, რომელიც ელჩებს აგზავნის ჩრდილოეთისკენ, მოსკოვის `დიდ მთავარ-ივანე მესამესთან. ელჩებს რუსთა მბრძანებელთან (რომელსაც ჯერ `მეფის-ტიტული არ გააჩნია) მიჰქონდათ ქართველი მეფის წერილი და `დამატე-ბით- ზეპირად დანაბარები.

და ამ პირველმავე `მოსკოვურმა წვევამ- უპასუხოზა და უმადუროზა დაიბედა სამომავლოდ მრავალ `წვევათა- მიმართაც.

მაშ, ესეც პირველი გაწბილება `უფროსი ძმისგან უმცროსისა- (უფრო დაზუსტებით – `სიმრავლით უფროსისგან ასაკით უფროსისა-!), რასაც შემდგომად გადაებმება სერიები გაწბილებათა...

ისედაც მაშინ იმ XV საუკუნის მიწურულს, – ვინ ქართველობა, რა ქართველობა, როცა თვითონ ეს `მოსკოვური რუსეთი- ახალი გამომძვრა-ლი ბრძანდებოდა ორსაუკუნენახევრიანი მონღოლურ-თათრულ უღლისა-გან, და `არა სცალოდა- ახლა ვიდაც შორეულ-სამხრეთელი, ახალმოვლენი-ლი `გრუზინებისთვის-.

ამას გარდაც, უკვე მონობაში `სასურველად გაწაფული- მოსკოვი და-ნარჩენ რუსულ მიწებს იერთებდა და, `შემდგომ ეტაპად-, რუსეთს-გარეთა ქვეყნებისა და ხალხების დასამონებლად ემზადებოდა გამალებული. ხო-ლო, ამ `რუსეთს-გარეთა- დასამონებელ არეალში ჯერ `კაკვაზ- და `გრუ-ზია- არა ჩანდა. თანაც, ჯერჯერობით მაინც – ჩრდილოელი დათვი უნდა მორიდებოდა სამხრეთელი ბაზრისა და ფოცხვერის ადგილობრივ-კუთვნი-ლი სამსხვერპლო ულუფის – `ვინმე საქართველოსათვის- თავგამოდებას.

ჯერჯერობით ასე მოიქცევა რუსეთი, ეს ახალი რუსეთი, ანუ `მოსკო-ვური რუსეთი-, რომლის `სიახლე- ადრინდელ-დასავლური, ანუ `კიევის რუსობისაგან- განსხვავებით – მონღოლური სულის მძლავრი დანაშრე-ვით... ჯერჯერობით თავს შეიკავებს შორეულ-სამხრეთელზე ფიქრისაგან... ჯერჯერობით (აკი ისედაც, ყველაფერი ხომ `ჯერ-ჯერობითია- ამა სამყა-როსა შინა!).

ჯერჯერობით... და, აჰა, მონღოლ-თათრული სულით ნაჯერი `ახალი რუსი-, სწორედ თათრული საომარი ბღავილით – `უურრაააჰ!!!- – იწყებს მსოფლიოზე გაბატონების `ახალ ვარიანტს-, მოსკოვურ-რუსულს.

დამდგარა XVI საუკუნე და რუსულ ექსპანსიას ფრთები გაუშლია ყველა მიმართულებით, ყველა მხრისკენ და ყველა ზღვისკენ. უკვე მრისხანებს სწორედ `მრისხანედ- წოდებული ივანე მეოთხე, `მეფის- ტიტულითაც პირველწოდებული ხელმწიფე `მოსკოვისა-. დაიპყრო სრულად ვოლგისპირეთი – თათრული ყაზანი, თათრული ასტრახანი და, აჰა, – აქამდე რომ სახმელეთო ირგვლივეთში ზღვის წყურვილით იხრაკებოდა – იმ `პირველ ზღვასაც- მიემთხვია და მიემწყურვალა – კასპიის ზღვას. იქვე დაპყრობა და `რუსიზაცია- ვოლგისპირეთის აღმოსავლეთით ურალისა და ურალს გადაღმა ირტიშის მხარე, ანუ ციმბირი... ჩრდილოეთით კი `ლივონიის ომით- რუსი მიელტვის ბალტიისპირეთს და... მაინც და მაინც არდავიწყება სამხრეთისა, – კვლავ ასტრახანი, კასპიის ზღვა, მზერა დასავლეთით და, აჰა კავკასიაც! და რუსს სულაც არ სჭირდება ცოდნა იმისა, რაც ესქილეს უბრძნებია თურმე სადღაც ორი ათასი წლის წინათ: `ყოველთა მთათა ხელმწიფეა კავკასიონი-! უამისოდაც ეს `მთა-ხელმწიფე- იხელმწიფებს სამარადჟამო განუყრელობით მის არსებაში: რაკი ვარ რუსი, განუყრელად და განუკვეთელად უნდა ვიყო კავკასიელიც!..

საპასუხოდ კავკასიელს არც მაშინ და არც არასოდეს ფიქრადაც არ გასჩენია `გარდასახვა რუსომორფოზად-. მაგრამ ზოგმა მათგანმა სამხრეთელი ბაზრისა და ფოცხვერის საპირისპიროდ მაინც ჩრდილოეთიდან ეს ახალმოვლენილი დათვი არჩია და მასვე შეერთეო `ქვეშევრდომად-, ან `მოყვარედ-. და, პირველნი, კავკასიელთაგან ასეთი `რუსოფილნი- ამოჩნდნენ ყაზარდოელები და ჩერქეზები.

იდგა მაშინ 1557 წელი, როცა ყაზარდოელი ელჩი მოსკოვში ივანე მრისხანეს ეუბნებოდა: მარტო ჩვენ კი არა, ჩვენთან ერთად, `ერთი ფიცითა და პირობით არიან შეკრულნი ივერიის მეუფე და ივერიის მთელი ქვეყანა-; ქართველები ჩვენთან ერთად ითხოვენ რუსეთის მფარველობასა და დახმარებას მათ მარადიულ სამხრეთელ მოსისხართა ასალაგმავად.

მერე, რუსობაში ქართველთა ამ `პირველი ხსენების- შემდგომ, 1561 წელს, კახეთის მეფე ლევან მეორემ, იაკობის მეთაურობით, პირველი ელჩობა გაგზავნა მოსკოვს.

მაშ, რუსეთუმე მეორე – კახთა მეფე ლევან მეორე, რომელიც რუსთა ხელმწიფეს ჯარს სთხოვდა.

რუსთხელმწიფემაც უყოყმანოდ აღასრულა ქართველის თხოვნა.

და ასე, `უმტკივნეულოდ-, თუ სხვა რაიმე `დიპლომატიური ჯანჯლობის- გარეშე, 1564 წელს, `რუსული სადათვეთის- საომარმა ძალამ პირველად შემოდგა ფეხი ქართულ მიწაზე.

ლევან მეფემ რუსი მხედრობა კახეთის ციხე-ქალაქებში ჩამოარიგა ციხიონებად.

მას უკან, 1567 წელს, ივანე მრისხანემ ჩრდილო კავკასიაში, მდინარეთა თერგისა და სუნჯის შესართველზე, დიდი რუსული ციხესიმაგრე ააგო, სახელად `თერგი`-.

სამხრეთისკენ რუსთა ეგზომ მუხლმგარმა და გულმყარმა სწრაფვამ შეარყია მუსლიმანური სახელმწიფონი – ცალკე ირანიც, ცალკე ოსმალეთიც და ჯერ კიდევ ძლიერი ყირიმის სახანოც.

თვითონ ივანე მრისხანე კავკასიაში ამ პირველ `რუსული ჩექმის ჩამოდმას- მოყვრობით ხსნიდა და `ასაბუთებდა`-: მას ჩერქეზთ-ბატონის თემურყვას ასული შეერთო ცოლად.

მაგრამ ყირიმის ხანმა მენგლი-გირეიმ ამნაირ `ახსნა-განმარტებას- ყურრიც არ ათხოვა და, 1571 წელს, მოსკოვს ილაშქრა, სასტიკად ააოხრა, მიანგრ-მონაგრია და დიდი ნაალაფევით დატვირთული უკან გაბრუნდა.

განსაკუთრებულ სიმძაფრით ხმაურობდა ოსმალეთის სასულტნოს კარი – სწორედ ფოცხვერ-ოსმალეთისა, ბაბრი-სპარსეთი რომ დაეთრგუნა, მაგრამ ახლა ამ დათვი-რუსეთის აღზევებას შეეშფოთებინა და აღეშფოთებინა: კავკასია ხომ სრულად, გადაღმაც და გადმოღმაც ჩემი, სულითაც და ხორცი-თაც სწორედ საოსმალაოა; ხოლო, შენ რუსეთს ჯერ ის შეგრჩეს, ასტრახანი რომ წამართვიო!.. მერე, ის მაინც როგორ მოხდა, რომ ამ ჩემს (!) ქართულ მიწაზე რუსმა ფეხი შემოდგაო?!

და, იმავე 1571 წელს, სელიმ სულტანმა ივანე მრისხანე კიდევაც აიძულა, თავისი ციხესიმაგრენი თერგისპირეთში თვითონვე დაენგრია და კახეთიდანაც თავისი ჯარი გაეყვანა.

მაგრამ კავკასიონი ვის არ გაუტკბებოდა და რუსებს ხომ გატკბობოდათ და გათაფლებოდათ. ამიტომ ის ნაციხვარი ადგილები თერგისპირეთში რუსმა კაზაკებმა დაიჭირეს, ჩასახლდნენ და ჩამკვიდრდნენ. რუსთა მეფე თითქოს პასუხს არ აგებდა ამ `თავისუფალ- და `უბატონო- კაზაკთა მუდმივ თავდასხმებზე და ძარცვა-რბევაზე, აქ რომ ისინი თავის მხრივ შემოსაგრებულ ოსმალებზე აწყობოდნენ.

და იდგა ასე განუწყვეტელი სისხლიანი ღიზავლიზავი სხვის ტერიტორიაზე შემოთესლებულ უცხოთესლთა შორის. მაინც უფრო ოსმალები მძლავრობდნენ და რუსებმა მოკავშირის ძებნაში ისევ ქართველები გაიხსენეს.

რუსეთის ახალმა მეფემ, თევდორე ივანეს ძემ, გამეფების მეორე წელს (1585) კახეთის იმჟამინდელ მეფეს, ალექსანდრე მეორეს ელჩი გამოუგზავნა – ტოლმაჩი რუსინ-დანილოვი. და მოვიდა რუსი ელჩი კახეთს, ეახლა ქართველ მეფეს და გადასცა რუსი ხელმწიფის მოკითხვის ბარათიც და ზეპირად დანაბარებიც: მე მზადა ვარ დავიცვა კახთა მეფე და მისი ქვეყანა ურწმუნოთა ყოველგვარი ძალადობისგანო!

და, ამაზე მეტი რაღა უნდა სდომებოდა და ენატრებინა ქართველ მეფეს: მანამდე რომ თვითონ ეხვეწებოდა და ეღრიტინებოდა კავშირსა და მფარველობას, ახლა უკვე რუსთხელმწიფე თვითონ სთავაზობდა. ქართველიც, რა თქმა უნდა, სიხარულით დათანხმდა, თითქოს ასეთი `ადგილობრივი დათანხმებაც- არ იკმარა და უკანგაბრუნებულ დანილოვს თავისი

ელჩებიც გააყოლა – იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტა ჩერქეზი.

მაშ, მკითხველმა ვინმლო დაიმახსოვროს – რუსეთუმე მესამე, ანუ კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე.

1586 წლის 9 ოქტომბერს, მოსკოვს ჩასული ქართველი ელჩები თევდორე მეფეს ეახლნენ, თავისი მეფის `თავისდება- მოახსენეს და სამაგიეროდ `ერთმორწმუნე რუსეთის- მფარველობის თხოვნა გაიმეორეს – მფარველობა ყოველი და ყოველნაირი მტრის ხელყოფისგან. აქვე ქართველები ითხოვდნენ, რაც შეიძლება სწრაფად ახალი ციხე აეგოთ თერგზე, შიგაც ბლომად რუსის ჯარი ჩაეყენებიათ, და კიდევ – თერგიდან, სამამხლოს გავლით, კახეთს მიმავალი გზა, სწორედ ოსმალეთის მოკავშირე სამამხლოს წართმეოდა და საკუთრებად კახეთს გადასცემოდა.

მოსკოვის სამეფო კარმა ქართველთა აჯა მოისმინა, მოიწონა და საქართველოსკენ გამობრუნებულ ქართველებს კიდევ თავისი ახალი ელჩები – ბირკინი, პივოვი და პოლუხანოვი გამოატანა. ამათ მოჰქონდათ `წყალობის სიტყვა-, რომელზეც ფიცი უნდა დაედოთ ალექსანდრე კახთა მეფეს და მის შვილებს. ასედაც აღესრულა: 1587 წლის 28 სექტემბერს რუსეთის ერთგულების ფიცზე ხელს აწერენ:

კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე,

მისი შვილები – ერეკლე, დავითი, გიორგი,

დარბაისლები – იასონი, გორჯასპი, შერმაზანი, ზაალი, დავითი ანდერმანი.

ხოლო ფიცის წიგნში ეწერა:

`ალექსანდრე კახთა მეფე შვილებით და უახლოესი დარბაისლებით აცხადებს: მან ელჩები გაუგზავნა რუსთა ხელმწიფე თევდორე ივანეს ძეს და სთხოვა: კახეთი თავის ხელქვეშ დაეჭირა, მასზე ხელი დაედვა და ალექსანდრე მეფისა და მისი ქვეყნის ყველა მტრისაგან დაცვა ებრძანებია. ხელმწიფე თევდორე ივანეს ძემ შეიწყალა კახთა მეფე, მფარველობის ხელი დასდო მას და მის ქვეყანას და მტრებისგან მათი დაცვა უბრძანა თავის სარდლებს. ამიერიდან ალექსანდრე მეფე თავისი შვილებით და მთელი თავისი ქვეყნით მკვიდრად და წაუვალად იქნება თევდორე მეფისა და მისი შვილების ხელქვეშ. თვითონ ალექსანდრე მეფე თავის შვილებით და მთელი თავისი ქვეყნით რუსთ ხელმწიფისა და მისთ შვილების ავსა და საზიანოს არაფერს ისურვებს და არც გონებაში გაივლებს. არავის რუსთ ხელმწიფის მტერს არ მიუდგება და არც თავის ხალხს არსად რუსთა ქვეყანაზე სალაშქროდ არავის მიაშველებს. ამიერიდან რუსეთის ხელმწიფის მეგობარს კახეთის მეფეც თავის მეგობრად მიიჩნევს, ხოლო რუსთ ხელმწიფის მტერს თავის მტრად დაიგულებს და ვითარცა მტერი ისე აღსდგება მის წინააღმდეგ ალექსანდრე მეფე გამოიძიებს, დასჯის და რუს სარდლებს გაუგზავნის ყველას, ვინც კი მისი ქვეშევრდომი რუსთ ხელმწიფისა და მისი კაცების მოლაღატე და ავისმოქმედი აღმოჩნდება თერგსა და ასტრახანს. ალექსანდრე მეფე შვილებით და მთელი თავისი ქვეყნით რუსთ ხელმწიფის სამსახურს შეუდგება წაუვალად, გულმართლად და თავდადე-

ბულად. ალექსანდრე მეფე თავს იდებს ყოველწლიური მოსაკითხი უგზავნოს რუსთ ხელმწიფეს...-.

ფიცის წიგნი, ალექსანდრესა და მისი სახლელ-დარბაზელის ხელრთვით, იმ რუსმა ელჩებმა _ ბირკინმა, პივოვმა და პოლუხანოვმა, მოსკოვს წაიღეს. ალექსანდრემ ჩრდილოელ სტუმრებს კიდევ გააყოლა თავის დიასპანნი, ყაფლან ვაჩნადის მეთაურობით. ამათ რუსეთის მეფეს რუსის ჯარი და სამამხლოს დაჭერა თხოვეს. თევდორე მეფემაც თხოვნის შესრულება აღუთქვა (რუსს ხომ აღუქმა არ ეზარებოდა, რადგან აღუქმულის აღსრულება არ ედარდებოდა!) და საქართველოსკენ გამობრუნებულ ქართველებს კიდევ თავისი ელჩები გამოაყოლა – ანტონოვი და ზვენიგოროდსკი, რომლებიც, 1589 წლის ოქტომბერში, კახეთის მეფეს წარუდგინენ და რუსეთის მეფის წყალობის სიგელი მიართვეს – სიგელი, რომელიც კვლავაც ადასტურებდა რუსეთისგან კახეთის მფარველობას ('დადასტურება-ხომ ადვილი იყო – ოდენ დადასტურება!').

და, ასე, ოცი წლის განმავლობაში მიდი-მოდოდა განუწყვეტელი ელჩთა ცვლა და `მიღმა-მოღმა-, ვითომ `ერთად ყოფნა-, `მფარველობა-, `დადასტურება-გადადასტურება- და... მეტი არაფერი... საქმით (საქმით-მეთქი!) არარა... და `საქმე- თუ დაერქმოდა – ერთადერთი საქმიანი სიახლე- ის უნდა ყოფილიყო, რომ კახეთს რუსეთის ქვეშევრდომი ერქვა, რუსეთის `გონებასუსტ- ხელმწიფეს კი ახალთახალი, მანამდე გაუგონარი ტიტულთიკუნი _ `ივერიის ქვეყნისა და ქართველი მეფეების ხელმწიფე- (!).

ასე იყო: რუსს სხვა ვინმე არარუსთან თანასწორყოფნა არ შეეძლო, არამედ მხოლოდ მონადყოფნა – ან ემონოს, ან დაიმონოს! შუათანა – თანაყოფნა, თანასწორობა არ არსებობს...

სრულიად საქართველოს და ყველა ქართველი ხელმწიფის ზედა ხელმწიფობა უცხოელსა ვის მოსწრებია?! არავის, იმ `გონებათხელი- რუსხელმწიფის გარდა, ასეთი `ზეგარდმო-ქართულ თიკუნი- დიახაც რომ არ მოსწრებია!

მთავარი იყო რქმეოდა მხოლოდ, თორემ თვითონ რა დღეში იყვნენ ქართლისა და იმერეთის სამეფო კარნი, რა ცოდვა-მადლის ბრუნვა იდგა აღმოსავლეთ-დასავლეთ `საქართველოებში- _ მოსკოვის კარს არც ცნობით გაეაზრებოდა, არც გრძნობით განეცდებოდა. იყო უცნობელ, იყო უგრძნობელ!..

`სხვა საქართველოები- კი არა – მარტო ეს ერთი, ასე `ჩაცივებულ-ჩაჭერილი- კახეთიც არ ედარდებოდა, არამედ ოდენ თავის `სახმარ-საყოფად- ეფიქრებოდა... და სხვა არაფრად...

იმავე ჟამს თერგის შესართავში რუსებმა ახალი ციხე-ქალაქი ააგეს და შიგ ციხიონ-გარნიზონადაც თვითონვე ჩადგნენ.

უარესად აზორგდა და აზვავდა ოსმალეთის სასულტნოს კარი. კავკასიის დაუფლებისათვის ჭიდილში მთავარი ნაკადი მაინც რუსეთ-საქართველოს შეკავშირება უნდა ყოფილიყო და აი, ერთ დღეს, ხონთქარ მურად მესამის ჩაუში ალექსანდრე მეორეს კახეთს ეწვია და რუსეთთან კავშირისათვის ომით დაემუქრა.

ქართველმა მეფემაც არც აცივა, არც აცხელა და უმაღვე ოსმალოს ეს მიახალა:

ნუ დაგაფიყდებათ, თერგი და ასტრახანი უფრო ახლოს არის, ვიდრე სტამბოლი!-

და, ამ რაღაცნაირმა, ქართულ-რუსული ერთობის აზრით დამუქრებამ, თითქოს, ერთ ხანზე მაინც, საგონებელში ჩააგდო ოსმალთა მხარე.

სამი წელი დუმილი იდგა მოპირდაპირე მხარეთა შორის – დუმილი ავისმაუწყებელი.

ყირიმის ხანსაც მაინც და მაინც არ გაუმართლა მოსკოვს მორიგმა ლაშქრობამ – ხელცარიელი და პირშიჩალაგამოვლებული დაბრუნდა უკან.

მერე, 1593 წელს, ოსმალეთი თითქოს კახეთს მოერიდა- და პირდაპირ რუსეთს დაემუქრა ომის გამოცხადებით, უკეთუ რუსეთი ჩრდილო-კავკასიურ საკომუნიკაციო გზებს არ დასცლიდა და აქ ნაშენებ ციხეებსაც არ მოთხრიდა.

მოსკვის კარიც ფრთხლი უარით გაეპასუხა თურქეთის მუქარას. მეფე თევდორემ ასე უპასუხა სულტან მურადს: დონზე, აზოვის ახლოს, მე არავითარი ციხეები არ გამაჩნია და იქაური კაზაკებიც ისე ცხოვრობენ, მე არაფერს მეკითხებიან. ხოლო, თერგსა და საშამხლოში ციხეები ჩვენ, რუსებმა, ყაზარდოსა და ჩერქეზეთის ბატონთა თხოვნით ავაგეთ, ხოლო ეს ტომები მამაპაპეულად რუსეთის მეფეების ყმები იყვნენ. მერე, ყირიმ-დარუბანდის მაერთებელი გზა თავისუფალია და მასზე დაუბრკოლებლად შეუძლიათ იარონ ოსმალო ვაჭრებმაც და ოსმალურმა მხედრობამაც. ჩვენც სხვას არაფერს ვითხოვთ, ოღონდ კავკასიაში მცხოვრებ რუსებს ნუ შეავიწროვებთ და ჩვენც არავის შევაწუხებთო.

ოსმალეთის მთავრობას ასეთი უპასუხო პასუხი- არ მოეწონა, მაგრამ მუქარა მაინც ვერ შეასრულა და რუსეთს ომი ვერ გამოუცხადა. თვითონ უჭირდა იმ დროს ოსმალეთს: გერმანიასთან ჰქონდა ომი. ირანიც გამალე-ბით ემზადებოდა ოსმალეთთან წინა ომში ნაწვენევი მარცხის სარევიანოდ.

მაგრამ ოსმალეთს მაინც იმდენად როდი უჭირდა, ერთი კახეთის ორგულ მეფეს- ვერ გასწორებოდა. ხოლო, თუ გასწორებას- დაუპირებს, მოვიდეს და უშველოს მისმა რუსეთმა-!

ალექსანდრემაც შეატყო, რომ რუსეთის უზენაესი ხელისუფლება, მგონი, ყველაფრის ისე შესრულებას არ აპირებდა, როგორც ეს წყალობის სიგელში იყო ოქროს ბეჭდით ჩაბეჭდილი-. თევდორე მეფეს, რომელსაც თვითონ რუსები გონებასუსტს- ემახდნენ, ჯერჯერობით მხოლოდ ივერიის ქვეყნისა და ქართველი მეფეების ხელმწიფის- ტიტულ-თიკუნი მოერგო მტკიცედ.

რუსეთი კავკასიაში თუ იყო, მხოლოდ თავისთვის იყო, საქართველო კი, თურმე რაში ენადვლებოდა! საშამხლო საქართველოს მიმართ თავის ავაზაკურ გამოხდომებს რუსების თვალწინ დაუსჯელად განაგრძობდა. კვლავ არხეინად მომზირალი რუსის თვალწინ ლეკიანობა ისევ სტანჯავდა, აწიოკებდა კახურ სოფელს. თერგზე ნაგები რუსული ციხეებიც საქართვე-

ლოსთვის სრულად უქმობდნენ. ასტრახან-კახეთის გზაზეც ისევ შამხალი ბატონობდა.

ამ `გაუსწორებელ რუსოფილ- ალექსანდრეს თურმე ამოდ ჰკონებია, რომ ოსმალეთსა და ირანს კავკასიიდან სწორედ რუსეთი განდევნიდა და გააბუზურებდა. მაგრამ აღმოჩნდა სრულიად პირიქით: თურმე რუსებს სდომებიათ ოსმალთა და ირანელთა განდევნა კავკასიიდან მხოლოდ თვითონ ქართველთა ხელით.

ანდა, ამნაირ რამესაც ურჩევდნენ რუსები ქართველებს ხოლმე – ნუ იზამთ და ოსმალებს ნუ განარისხებთო!..

და, ბოლოს და ბოლოს, ენა დაიკბინა ალექსანდრემ: – ეს როგორ წამომცდა, თერგი უფრო ახლოა, ვიდრე სტამბოლიო!

და მალე კიდევაც გასწორა ცთომილება თვისი: – სინამდვილეში, ჯერ-ჯერობით მაინც, ასტრახან-თერგი უფრო შორს ყოფილა, ვიდრე სტამბოლიო...

მაშ, კვლავ გაწბილება, ჩრდილოური, სწორედ რუსული...

1598 წლის დამდეგს, კახეთის მეფე სწერდა რუსხელმწიფეს: აჰა, უკვე თორმეტი წელია, შენი ხელდებული რომ ვარ, შენს მფარველობაში შემოსული; და აკი იმიტომ შემოველ შენს მფარველობაში, რომ შენ ქრისტიანს და მე ქრისტიანს ქრისტიანობა გადაგვარჩინდა ურჯულო საერთო მტერთაგან; შენგან აღთქმული (თანაც, რამდენჯერ აღთქმული!) დახმარება კი საქმით არა და არ გამოჩნდა. სად არის შენი ლაშქარი, რომელსაც ჩემთვის რამე გაეკეთებინოს?! ქრისტიანი ტყვე კვლავ ტყვედ მიჰყავს მუსლიმან აბრაგს, ისევ აოხრებენ და ატიალებენ ურჯულო მოთარეშენი ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს. არა და, აკი შენი სიტყვა, რუსო ხელმწიფე, ხომ ეს იყო: ალექსანდრე მეფეს მფარველობის ხელი დავსდე და კიდევაც საუკუნოდ ვფიცულობ მის დაცვასო! ჩვენც ვირწმუნეთ სიტყვა თქვენი, სასოება თქვენი და, აჰა, შედეგი თქვენივ აღთქმებისა: ქვეყანა კვლავ ტყვევანარბევით მექცევა და მეღუპება, ეკლესია-მონასტრები იცლება და ყრუვდება. მეზობელი მუსლიმანნი მკიცხავენ და დამცინიან: `აი, ეგეც შენ! როგორ გიმველა შენმა სახელოვანმა ქრისტიანმა რუსხელმწიფემ... ხომ გიმველა! ხომ აგაშენა!.. ეგეც შენ, ეგეც შენ!..

ამას სწერდა კახელი მეფე და ეს დაწერილი მაშინვე ავიწყდებოდა, თუ ემართებოდა, კვეხნასაც რომ არ იშლიდა: მთელ საქართველოში (ანუ `საქართველოებში-) მარტო ჩემი კახეთია, რომელმაც არც თურქული ოსმალთა იცის, არც სპარსული ყიზილბაშობაო.

ეს მეექვსე ელჩობა იყო მოსკოვში – თავადი სოლომონ და მდივანი ლევან, რომლებიც შესჩიჩინებდნენ რუსეთის ხელისუფლებას: ბოლოს და ბოლოს, სიტყვა საქმედ ხომ უნდა იქცესო; ჯარი მოგვაშველეთო, მეზარბაზნეები მოგვეციო, ზარბაზნეები რომ ჩამოგვისხან და სროლაც გვასწავლონო.

ბოლოს, ასეთი `მომხიბვლელი- რამედ გამოუცხადეს რუსხელმწიფეს ქართველმა ელჩებმა, მათი მეფისგან დანაბარები: ოღონდ ოსმალთა მოძალებისგან გადაგვარჩინე და იმ ხარკს, სწორედ ოსმალთა ხონთქარს ჩვენ-

გან რომ მიაქვს, იმ დღიდანვე იმას მოვუშლით და თქვენ, მოსკოვის ხელმწიფეს მოგართმევთო.

იმავე 1598 წელს თევდორე მეფე გარდაიცვალა და მოსკოვის ტახტი მისმა ცოლისძმამ, ზორის გოდუნოვმა დაიჭირა. თუმცა ამ ცვლილებით საქართველოსადმი დამოკიდებულება არსებითად არ უნდა შეცვლილიყო, რადგან ზორის გოდუნოვი მისი `გონებასუსტი- სიძის მეფობის დროსაც ფაქტიურად ხელმწიფობდა და მაშინდელი რუსულ-ქართული ურთიერთობის სინამდვილევ მისივე `საკუთარი პოლიტიკა- იყო.

მაინც ორ წელზე მეტ ხანს შეაყოვნა სოლომონი და ლევანი ზორის გოდუნოვმა, მესამე წელს (1601) კი გამოისტუმრა და თან თავისი ელჩები გამოატანა – ნაშროკინი და ლეონტიევი, რომელთაც ალექსანდრე კახთა მეფე, შვილებით და დიდებულებით, ახლა ზორის გოდუნოვის `ერთგულება-მფარველობაზე- (მამასადამე, ქვეშევრდომობაზე!) უნდა დაეფიცებინათ. სწორედ ეს იყო მთავარი და ეს `მთავარიც- აღესრულა. ხოლო, ვითომ სხვათა შორის ნათქვამი – რუსებმა და კახელებმა (რაკი კახელებს ასე სურთ!) შეერთებული ძალებით ქრისტიანთა მომტრე შამხალ-დალესტენელებსა და ყუნუხებს შეუტიონო – ძლივს, კნინად ითქვა და უმაღვე განქარდა.

იმავე წელს კახეთის სამეფო სახლში, შინაოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, ალექსანდრე მეფობიდან გადადგა და ბერად შედგა. მეფედ მისი ძე დავითი გამოცხადდა.

ახლა ამ ახალი მეფის ფიცი და მტკიცი სჭირდებოდა რუსხელმწიფეს. დავით მეფემაც, მისი სახლელ-დარბაზეულით, მოაწერა ხელი ახალ `ერთგულების ფიცს-.

მაგრამ მაინც ნუ მოვნათლავთ `რუსეთუმედ- ამ უდღეურ მეფეს, რაკილა მალე მოკვდა და მხოლოდ ხელის მოწერა მოასწრო.

კახეთის სამეფო ტახტზე ისევ ალექსანდრე (`რუსეთუმე მესამე-) მობრუნდა. მოსვლისთანავე მეფემ რუსი ელჩები საყვედურებით აავსო, რომ პირობა არ შესრულდა და რუსთა ჯარი, აღთქმისამებრ, კახეთის მომტრე შამხალზე სალაშქროდ არადა არ გამოჩნდა.

1603 წელს გაბრუნდნენ რუსეთს ნაშროკინი და ლეონტიევი და ამათაც გააყოლა ალექსანდრემ საკუთარი ელჩები – ბერძენი არქიმანდრიტი კირილე ქსანთოპულო და მდივანი საბა.

იმავე 1603 წელს, სანამ რუსი და ქართველი ელჩები მოსკოვს ჩაადწევდნენ (ნაშროკინი გზაში გარდაიცვალა), სამხრეთში იმ დროისათვის მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები დატრიალდა. ირანის დიდმა ხელმწიფემ, შაჰ აბას პირველმა ოსმალეთთან დიდი ომი დაიწყო. ამ ომს, რომელიც 35 წელი გაგრძელდა, ბუნებრივად, გავლენა უნდა მოეხდინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზეც. შაჰ აბასი, `ირანის ლომი- _ ცოცხალის თავით არ დაუშვებდა მისთვის `უმვირფასეს საქართველოზე- არც ოსმალეთის, არც რუსეთის გაბატონებას.

მაგრამ რუსეთი, თითქოს ეტყობოდა, თანდათანობით ეჩვეოდა აზრს, რომ საქართველო მაინც და მაინც, ბოლოს და ბოლოს, მისად უნდა დარ-

ჩენილიყო, და 1604 წლის აგვისტოში კახეთს ახალი რუსული ელჩობა ეწვია – ტატიშჩევი და ივანოვი. ალექსანდრე მაშინ შაჰ აბასს ჰყავდა გაწვეული და რუსი ელჩები მისმა უმცროსმა ძემ, გიორგი ბატონიშვილმა მიიღო.

ახალგაწვეული რუსი ელჩები გიორგისგან მოითხოვდნენ რუსხელმწიფისადმი ერთგულების ფიცზე ხელისმოწერას და ამასთან – ბორის გოდუნოვის ძისათვის საცოლისა და ასულისთვის საქმროს შერჩევას.

საამისოდ – რუსეთის სასიძო და სადედოფლო კანდიდატებად, გარდაცვლილი დავით მეფის შვილები, ანუ გიორგი ბატონიშვილის ძმისწულები, ალექსანდრე მეფის შვილიშვილები – თეიმურაზი და ელენე იყვნენ მონიშნულნი, მაგრამ ამათვე ირანში წასაყვანად დაჟინებით და მკაცრი ჩაცვივებით მოითხოვდა შაჰ აბასიც.

და ასე – სამხრეთელ ბაბრსა და ჩრდილოელ დათვს შორის ჩავარდნილ-ჩაჭერილმა კახეთის მესვეურმა მამა-შვილმა, დიდი ბჭობა-ჭრის შემდგომ, მაინც `ნახლექობის- პოლიტიკა ამჯობინეს და გაბედეს: რუსეთის მეფეს კვლავ `ერთგულება-შევრდომობა- შეჰფიცეს, შაჰ აბასს კი თეიმურაზი და ელენე მიართვეს.

მომდევნო 1605 წელს, შაჰ აბასმა ალექსანდრე კახთა მეფეც და მისი უმცროსი ძე გიორგიც, ალექსანდრეს უფროს ძეს, სპარსეთში გათათრებულ კონსტანტინე-მირზას დაახოცვინა. კონსტანტინე კი აჯანყებულმა კახელებმა მოკლეს. კახეთის მეფედ შაჰ აბასმა მასთან წაყვანილი თეიმურაზი გამოგზავნა.

მაგრამ ეს შაჰისაგან გაზრდილი და გამოგზავნილიც აშკარა `რუსეთუმე- შეიქმნება – რუსეთუმე მეოთხე.

ხოლო, ეს ფანტიკური `რუსეთუმეობა- საქართველოს, სულ ცოტა, ნახევარი მილიონი ქართველის სიცოცხლედ დაუჯდა. შაჰ აბასის მარტო ოთხმა ღვარცოფულმა შემოსევამ მარტო კახეთს ორასი ათასი სული წაართვა.

ვიმეორებთ: ყველაფერი ეს იმის გამო, რომ კახეთის მეფე თეიმურაზ პირველმა – სწორედ ამ `რუსეთუმე მეხუთემ – ირანულ ხალათს რუსული სიასამურის წამოსხმა არჩია. არჩია და...

პირველ ურთიერთობითვე, პირველივე ტყუილი და იმედგაცრუება, 1635 წელს, თეიმურაზ პირველს რუსეთის მაშინდელი მეფის, მიხეილ რომანოვისაგან – პასუხის ღირსიც რომ ვერ გახდა რუსისაგან ქართველი, – პასუხისა თხოვნაზე: მოშველიებოდა საქართველოს, რომელიც სამის მხრიდან განიცდიდა უწყვეტ შემოსევებს – სპარსთა, ოსმალთა და ლეკთა მხარეთაგან. ჩრდილოეთიდან, ლეკებისგან მაინც დამიცავი, იმ ორი – სამხრეთელ და დასავლეთელ ვეშაპთა მოგერიება რომ მოვახერხოო, – ეაჯებოდა ქართველი რუსს.

მიხეილ თევდორეს ძე რომანოვი კი ქართველ ელჩს (არქიმანდრიტი ნიკიფორე), თერგში თუ მოსკოვში, გამუდმებულ თხოვნებზე გამუდმებითვე უპასუხოდ აყოვნებდა და ალოდინებდა. ბოლოს და ბოლოს კი, – სამხედრო თუ ფინანსური დახმარების ნაცვლად – რუსხელმწიფე საქართველოში სამღვდლო პირებს აგზავნიდა, აქაური ქრისტიანობის გასაცნო-

ბად და ქრისტიანულ მღვდელმსახურებაში `ჰკუის-მასწავლებლად-, `დამ-რიგებლად- და `დამტუქსველებადც- კი.

და ასე – წავლიდნენ ქრისტიანობას ეს `გუშინდელი ქრისტიანები- ამ `გუშინწინისწინანდელ ქრისტიანებს-, _ თანაც, ორივეს ქრისტიანობა ერთის წყაროდან მიედო – ბიზანტიის ქრისტიანული წიაღიდან – რუსებს გუშინ მიედოთ, ქართველებს კი გუშინწინისწინ!

ქართველი მეფეც მოკრძალებით შეახსენებდა რუსთა ხელმწიფეს: ჩვენთან საქართველოში, ახლაც ქრისტიანობის იმ პირველ-წიაღიდან სტუმრობენ მღვდელმთავარნი – კონსტანტინეპოლიდან, ანტიოქიიდან, იერუსალიმიდან, ალექსანდრიიდან – და არცერთ მათგანს ჩვენებურ ღვთისმსახურებაში, თუ არ მოუწონებიათ, დაწუნებით მაინც სწორედ რომ არაფერიც არ დაუწუნებიათო.

1636 წელს, საქართველოსთვის მუდამ ერთმანეთზე გადამტერებული სპარსეთი და ოსმალეთი შეთანხმდნენ და, ეს მათი მარადიული ომის `პრიზი- შუაზე გაიყვანეს: აღმოსავლეთ საქართველო – სპარსეთს, დასავლეთ საქართველო – ოსმალეთს.

თუნდაც ეს, ასეთი `გარიგება-, უფრო `ცოცხალი დათვის გატყავებას- ნიშნავდა, რაკილა მაინც საქართველო ჯერ ისევ ცოცხალი იყო და, რაც მთავარია, მას ნამდვილი, დიდი და თანაც – `ერთმორწმუნე დათვის- იმედი ჰქონდა.

მაგრამ იმედი იმედად და, მიხეილ რომანოვი ქართველებისათვის `უმაქნისად- წავიდა ამ ქვეყნიდან. მოსკოვის ტახტზე მისი ძე, ალექსი ავიდა.

მაშ, ახლა ალექსი რომანოვს უნდა `მისციცინ-მისცივებოდა- თეიმურაზი. მით უფრო, რომ იგი ირანელებს სულაც გაემევებინათ კახეთიდან. გაემევებინათ და იმერეთში გაქცეულიყო კახთა მეფე.

და, შეუჩნდა თემურაზი იმერეთის მეფეს, და დაითანხმა კიდეც, ერთად გაეგზავნდათ ელჩობა მოსკოვს.

და აი, 1640 წელს, მოსკოვში, მეფე ალექსი რომანოვის კარზე გამოჩნდნენ ქართველ მეფეთა ელჩები – თავადი ივანე გრიგოლაშვილი, არქიმანდრიტი პახომი, მღვდელი დავითი და ბერი ვასილი.

იმერთის მეფე ალექსანდრე მესამე ითხოვს რუსი ხელმწიფის `მფარველობაში- შევრდომებას. ხოლო, კახეთის ნამეფარი თეიმურაზ პირველი ითხოვს 20 000 რუს ჯარისკაცს კახეთის ტახტის დასაბრუნებლად.

ამ ორი თხოვნიდან პირველის შესრულებას რა უნდოდა და – ალექსი რომანოვმა მაშინვე მოაწერა ხელი იმერეთის მეფის თავის `მფარველობაში მოყუჩებას-.

მეორეს შესრულება კი – რუსული ჯარით მიშველება `უმველებელ-ქართულ საქმეზე, _ რაც აქამდე არ მომხდარა და არ გაჭაჭანებულა, არც ახლა მოხდება და არ გაჭაჭანდება!

_ ჯარი თუ არ იქნება, მაშინ ირანის ხელისუფლებაზე რუსეთის ხელმწიფობამ დიპლომატიური ზეგავლენა მაინც მოახდინოს და იქნებ ამ

გზით დაუბრუნდეს კახეთის ტახტი იქედან დევნილ თეიმურაზს, – შეჰკლადადეს ქართველმა ელჩებმა.

არა და არ გამოდიოდა. რომანოვების სასახლის კარს საქართველოს `დიდსახელმწიფოებრივი საქმეები- კვლავაც დაკნინებიათ და დაენამცეცებინათ. რუსეთის მთავრობას ისევ არ ედარდებოდა დაღოვის უფსკრულზე გადამხობილი საქართველოსთვის, ანუ უფრო `დაზუსტებით- ქართველობისთვის. საერთოდ მაშინ, რუსეთის ხელისუფლება იძულებულიც იყო `სამხრეთული საქმეები- უფრო ბოლო ადგილზე გადაეჩოჩებინა, ვიდრე უფრო გართულებული `დასავლური- და `ჩრდილოური- საქმეები. არც ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის წახდენა სურვებოდათ რუსეთის იმჟამინდელ მესვეურებს. ირანულ ვაჭრობას და ირანულ აბრემუმს თეიმურაზის `პოლიტიკური წუწუნისათვის- როდი გასწირავდა რუსთა ხელმწიფე.

... და გრძელდებოდა რუსთა ღალატი და ვერაგობა.





giorgi (iuri) bibil eiSvil i

ინტელექტუალური პროზა

მხატვრული ნაწარმოების შეფასების დროს მის შემეცნებით ღირებულებაზე ცოტას ან სულ არაფერს ვლაპარაკობთ, რადგან მიაჩნიათ, რომ მხატვრული ნაწარმოებში აღმზრდელობით და ესთეტიკურ ფუნქციებთან ერთად იგი მეორეხარისხოვანია. რა თქმა უნდა, არც არავინ ამტკიცებს, რომ მხატვრული ნაწარმოები მეცნიერული ნაშრომი უნდა იყოს. ეს შეუძლებელიც არის და ულოგიკოც თავისთავად. მაგრამ მწერლობა, მეცნიერებისაგან განსხვავებით, მთელ სამყაროს მოიცავს, მაშინ როცა მეცნიერების კვლევის საგანია ერთი რომელიმე დარგი. მხატვრული სინამდვილე მოიცავს ადამიანის მთელ ცხოვრებას, რომელსაც ქმნის ყველაფერი, რასაც კავშირი აქვს ადამიანურ ცხოვრებასთან. ამიტომ ჩვენი წერილის სათაური „ინტელექტუალური პროზა“ პირობითია. თუ ჭეშმარიტად მხატვრულია ნაწარმოები იგი, პირველ რიგში, ინტელექტუალურიც უნდა იყოს. ამ შეხედულებას აყალიბებს მკითხველში რევაზ მიშველაძის ნოველები.

ოცდახუთტომეულის მესამე ტომში თავმოყრილი ნოველები, როგორც წესი, მაღალმატერიებზე ფიქრისათვის განაწყობენ მკითხველს.

ნოველა „ჩიტების დარდი“ მცირერიცხოვანი ერების ბედზე არის დაწერილი. მწერლის შეხედულებით „მსოფლიო სწორედ კულტურათა მრავალსახეობითაა ლამაზი. კულტურა ყოვლისმომცველი, კომპლექსური მცნებაა და ერთიან მიმართებაში უმჯობესია სიტყვები თვითმთყოფადი, ორიგინალური ვიხმაროთ. ყოველი კულტურა, თვით ავსტრალიის აბორიგენებისაც კი, რაღაცით მშვენიერი და ძვირფასია კაცობრიობის ისტორიისათვის“. მაგრამ ასე არ ფიქრობს მრავალრიცხოვანი ერების მიერ შექმნილი იმპერია; რომელიც თვალის, რომ მის შემადგენლობაში ან მის მეზობლად მყოფმა მცირერიცხოვანმა ერებმა ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები. ნოველის პათოსი ამ მოგონილი თეორიის წინააღმდეგ განაწყობს მკითხველს და შთააგონებს, რომ: „ერთა და ენათა გაქრობაში ისტორიაა დამნაშავე და არა რაღაც გამოგონილი შინაგანი კრიზისი, ან შესაძლებლობათა ამოწურვის მცდარი თეორია“.

მწერალს შემოაქვს ე.წ. ენის ჩუქების მძაფრი კრიტიკა. ნოველაში აღწერილია გადაშენებული კულტურების შემსწავლელი ინსტიტუტის ხუთი თანამშრომლის ურთიერთობა. ამ ინსტიტუტის ერთ განყოფილებაში მომუშავე ხუთიდან სამი ხვანხელი და ორი რჯესიეთელია. როცა ორი რჯესიეთელი ერთმანეთში მშობლიურ ენაზე დაილაპარაკებენ, დანარჩენი სამი ხვანხელი იბღვირება. არ სიამოვნებთ მათთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკის მოსმენა.

სამაგიეროდ, როცა სამი ხვანხელი თავიანთ ენაზე გააბამენ საუბარს, მათი მოსმენა არც რჯესიეთელებს სიამოვნებთ. საუბარში ჩაერია ჩვანჩოქამა და ურჩია, რადგან ჩვანჩური ენა კარგად იცით, ილაპარაკეთ ჩვანჩურად.

დაზუსტებისათვის: ეს ნოველა რუსეთის საბჭოთა იმპერიის ძლიერების პერიოდში დაიბეჭდა. ჩვანჩური ენა იგივე რუსული ენაა, რომელიც გასაგები იყო, ვთქვათ, ქართველისათვისაც, სომხისათვის, აზერბაიჯანელებისათვის, ამიტომ ერთმანეთში უნდა ელაპარაკათ მხოლოდ რუსულ ენაზე. ეს იყო იძულება, სამაგიეროდ ყველასათვის სასურველი იყო მშობლიურ ენაზე მუშაობა: „ჩვენ ჩვენს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი გვირჩევნია. ძალიან გთხოვთ სწორად გამოგოთ, ეს სიჯიუტე კი არ არის, ან პროვინციული პოზა. ეს ჩვენი სულიერი მოთხოვნილებაა – აცხადებს ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელი და უარყოფს იმპერიაში გაბატონებული ხალხის ენაზე სამუშაოს წარმოებას, რადგან მიაჩნია იმპერიის ენა ნაჩუქარი ენაა მცირე ერებისათვის და იგი ვერ შეცვლის ეროვნული ენის ფუნქციას.“

ეს პრობლემა დღესაც იჩენს თავს დამოუკიდებელ საქართველოში. მართალია, ჯერჯერობით ინგლისური ენის ცოდნა ინფორმაციის მოპოვების საშუალებას წარმოადგენს და მაგრამ საშიშ ტენდენციად გვესახება ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსებზე ინგლისურ ენაზე და უცხო კომპოზიტორის მელოდიაზე შესრულების პირობის წამოყენება კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის. ნორმალურია საერთაშორისო კონკურსზე ეროვნული მუსიკალური კულტურების შეჯიბრება. მე ვერაფერ სიკეთეს ვერ ვხედავ ჩვენი ეროვნული კულტურისათვის, როცა ქართველი მომღერალი ინგლისური სიტყვებითა და უცხო ქვეყნის კომპოზიტორის მელოდიის შესრულებით იწონებს თავს საერთაშორისო ასპარეზზე.

მეორე პრობლემა, რომელიც დასმულია ნოველაში და ყოველდღე გვესმის რეალურ ცხოვრებაში: ორატორს არ ჰყოფნის მშობლიური ენის ლექსიკური მარაგი და ბევრ ცნებას უცხო სიტყვებით გადმოსცემს. მათ გასაგონად მწერალი თავისი ნოველის ერთ პერსონაჟს ათქმევინებს: „თუ თქვენ მშობლიურ ენაზე წერა გიჭირთ, ამაში ბრალი თქვენ მიგიძღვით და არა დღვიურს (თქვენს მშობლიურ ენა – ი. ბ.) არ არსებობს ცნება თუ მოვლენა, რომელიც დღვიურად არ გამოითქვას. ამისათვის საჭიროა ცოტა უფრო ღრმად შეხვიდეთ ხალხური ენის წიაღში, ჩახედოთ ლექსიკონებს, ისწავლოთ მშობლიური ენა“.

სხვათა შორის, მწერალი უყურადღებოდ არ ტოვებს სკოლას, მის ეროვნულ მისიას და მიაჩნია თუ ქართველმა სასკოლო განათლება ეროვნულ ენაზე არ შეიძინა, მის ცნობიერებაში ეროვნული მენტალიტეტი ვერ ჩამოყალიბდება. მხოლოდ მშობლიურ ენაზე ზოგადი განათლების მიღების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი უცხოეთში სპეციალობის დაუფლებაზე. უცხოეთში ქართველი უნდა გაიგზავნოს და იქიდანაც კარგად განათლებული ქართველი სპეციალისტი უნდა დაგვიბრუნდეს.

ინტელექტუალურ სფეროში გვაბრუნებს ნოველა „წავა?“ ფერეიდნიდან ქართველი დაუბრუნდა მშობლიურ საქართველოს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან, ფერეიდანში, დაბრუნება გადაწყვიტა! შემამფოთებელია! მწერალი მრავალ საინტერესო ასპექტზე მიაქცევს პერსონაჟის ყურადღებას, მაგრამ

ფერეიდნელი მაინც თავის გადაწყვეტილებაზე რჩება; კითხვაზე „არ მოგწონთ საქართველო?“, ფერეიდნელი პასუხობს: „მოუწონარ რა სჭირს. კაი ქოყანაა. ჩონ ასე არ უბნობთ, გურჯისტანი მოწონებაა, თუ არ მოწონებაა სამშობლო მარტო კაია. ცუდი სამშობლო არ არის“.

მაგრამ მიზეზი სხვა რამეა. ფერეიდნელს არ მოსწონს ცხოვრების საბჭოთა სისტემა. აი, აქ იკვეთება მთავარი სათქმელი.

რევაზ მიშველაძე საბჭოთა პერიოდში წერდა ამ ნოველას და ქვეყნის გასაგონად ამხელდა მშრომელი გლეხის გულისტკივილს ფერეიდნელის სიტყვებით: ფერეიდნელი კერძო მესაკუთრეა, მისთვის უცხოა საკოლმეურნეო ცხოვრება და საკუთრება, ამიტომ ამბობს: „ჩონ ფერეიდანში სხვა წესით ცხოვრობს. აქაურ სხვა წესი მოსულა. ჩონ გაჭირვება და შიმშილი ბევრი ნანახი არის, მაგრამ იქ, ფერეიდანში თუ ერთი ქათამი არის შენთანა, ვიცის, რომ ის ერთი ქათამი შენი არის; უნდა დაკლავ, უნდა გაპუტავ და ისემც გაუშვი. იქ, ფერეიდანში თუ მუშაობ, იცი, შენთვის მუშაობ; აქ სხვანაირი ცხოვრება არის, რამდენი ხანი სად მუშაობ, რატომ მუშაობ, რამდენი საათი მუშაობ. არ ვიცის; ერთი ცხვარი ჩონია, არ არის ჩონი, არ ვიცის. ტყუილები კიდომ ბევრი არის“.

მაგრამ, როგორც ჩანს, არც ეს არის ის მთავარი ადამიანური სატკივარი, რომელსაც ამის შემდეგ გაგვიმხელს ნოველის ავტორი: ფერეიდნელს იმიტომაც გადაუწყვეტია ისტორიული სამშობლოდან წასვლა, რომ ცხოვრების საბჭოთა სისტემა ადამიანს ართმევს ინიციატივის უფლებას, ადამიანს დაკარგული აქვს საკუთარი ფუნქცია, ადამიანი მხოლოდ სახელმწიფო მანქანის დანამატია. მხილებისა და განსჯის მეთოდოლოგია, რომლითაც მწერალი ხელმძღვანელობს პიკს აღწევს, რომ ფერეიდნელი საქართველოდან მისი წასვლის უმთავრეს მიზეზს ასახელებს და ეს მიზეზი პიროვნების თავისუფლების შეზღუდვაა, პიროვნებისათვის საბრძოლო ასპარეზის გამოცლა. თურმე, თანდათან რწმუნდება ამ ნოველის მკითხველი: ადამიანი ბედნიერია ბრძოლაში. ახლა მოვუსმინოთ ფერეიდნელს: „ჩონ სანამ ჩამოვიდოდით, ტანზე ხორც ვიგლეჯდით სიხარულისაგან. აბა, უფრო დიდი ბედნიერებაი რა იქნებოდა. ჩემი პაპა და მამა გურჯისტანზე ფიქრით, თვალცრემლიანი კვდებოდნენ. ჩონ ნატვრა აგვიხდა. ჩამავედით და ერთამად ყველაკაი გათავდა–ნატვრა გათავდა. ჩხუბის ფიქრი გათავდა. ადრილ, თუ ჩუმად, შიშით ვასწავლიდით შვილთ ქართულ ასოებს, ახლა სკოლაში ძალით ასწავლიან. თითქოს საქმე დავკარგე, მე, სულხან მიქელაძემ, აღარავის ვეომები, აღარავის ვემალებ. აღარავის კბილის მატლად ვარ და ნაღველი მოვიდა, ნაღველი ფერეიდნის გამო... იმ ცრემლის გამო, რომელი ტკბილია. რაი არს კაცი უცრემლოდ? ის მოლოდინი თურმე ტკბილ იყო. ახლა სამშობლოში დავბროუნდთ ნატვრა გათავდა, მოლოდინი გათავდა. აი, ეს ამბავმა შემაშინა და შემალონა“.

ნოველას ჰქვია „წავა?“. ამ მარტივ კითხვით წინადადებაში ურთულესი ინტელექტუალური პრობლემა ვნებონობს. ეს არს ადამიანის პირადი თავისუფლების, ადამიანის თაოსნობის თავისუფლების პრობლემა. ადამიანი უნდა იყოს სუბიექტი და არა ობიექტი.

ინტელექტუალური ცხოვრების პირველი და უმთავრესი მახასიათებელი სიმართლის, ჭეშმარიტების დადგენა, დაცვა და პატივისცემაა. პიროვნება ან

არის ინტელექტუალი და მისთვის ჭეშმარიტების დაცვა ცხოვრების საზრისის განმსაზღვრელია, ან არ არის ჭეშმარიტების მეგობარი და მისი ინტელექტუალობა ნულის ტოლია. ამ იდეით არის გამსჭვალული რევაზ მიშველამის ნოველა „კვალი“.

სახელმწიფო კომისია 80 წლის წინანდელ დანაშაულს იკვლევს. ილიას მკვლელობა საუკუნის დანაშაული იყო. სამი წლის მუშაობის მიუხედავად კომისიას საბოლოო დასკვნა ვერ გამოაქვს. კომისიის ერთ-ერთი წევრი არქივარიუსი ვახტანგ გორგაძე, პროტესტის ნიშნად ტოვებს კომისიის სხდომას, რადგან წყლის ნაყვად ეჩვენა ამდენი ხნის უშედეგო მუშაობა. ამ შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოებისათვის ისტორიულ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მწერალმა მოვლენების განვითარების სულისკვეთება უნდა გამოიტანოს სამსჯავროზე. ამ სულისკვეთებას კი ნათლად გვიჩვენებს დაპირისპირება სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის ერთ-ერთ წევრს შორის. კომისიის თავმჯდომარე მოითხოვს ისეთ საბუთს, „წყალი რომ არ გაუვა... ჰიპოთეზებით ხომ არ შეიძლება დასკვნის გაკეთება. სასამართლო ვართ ჩვენა და ფაქტებით. უნდა ვილაპარაკოთ“. თითქოს არის აქ ლოგიკა! მაგრამ არ არის ჭეშმარიტება. ჭეშმარიტებას მწერალი საპირისპირო პოზიციაში გვიჩვენებს: „თუ თვალს დავხუჭავთ, მზესაც ვერ დავინახავთ. საბუთი არ არის, რომ სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ერის თავკაცს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, ემუქრებოდა, კრებებზე გამოდიოდა და მის განადგურებას მოითხოვდა! რომ სიკვდილის შემდეგ გაზეთებმა მკვლელობის ორგანიზატორები ერთსულოვნად ამხილეს. როგორც კი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, მკვდარს ანგარიში გაუსწორა და სახელმძღვანელოებიდანაც კი ამოაღებინა „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორის სახელი: მეტი საბუთი რაღა გინდათ? საბუთი აღარ გაქვთ ხელთ? რომ მოგიტანეთ სამი სხდომის ოქმის ამონაწერი „ამა და ამ დღეს მოკლულ იქნასო“. სხვა რა გნებავთ, გითხარით, მისი არ იყოს, თითების ანაბეჭდს და წიწამურთან მკვლელების გვერდით და ბუჩქებში მიმალული მთავარი მკვლელის წევოს ნამწვავს აწი ვედარ ვიპოვით“.

ინტელექტუალები ასე მსჯელობენ, ბიუროკრატებს მათი გაგება არ შეუძლიათ.

ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა დიდი გამოცდაა პიროვნების ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი ცხოვრებისა. ამ ბრძოლაში ხშირად სიტყვა და საქმე შორდება ერთმანეთს და შედეგი ტრაგედიით მთავრდება. ნოველაში „საქართველოსათვის, ბატონო, საქართველოსათვის“ მწერალი ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში სიტყვისა და საქმის ერთიანობის თემას წამოჭრის და გვიჩვენებს რაოდენ მწელია ამ დროს სწორი პოზიციის არჩევა. აი ეს ეპიზოდი: მთავრობის სახლთან მოშიმშილეთა საპროტესტო დემონსტრაცია მიმდინარეობს. ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი, მეთერთმეტეკლასელი ხათუნაც შეუერთდა მოშიმშილეებს. დედას თავზარი დასცა ამ ფაქტმა. მამაც შეეცადა გამოეყვანა თავისი შვილი მოშიმშილეთა მწყობრიდან. თუმცა სიტყვით დიდ აღტაცებას გამოხატავდა მოშიმშილეთა თავგანწირვით, მაგრამ საკუთარი შვილის შიმშილობას კი ვერ ეგუებოდა, ხოლო როცა მის ცნობიერებაში საზოგადოებრივი აზრის ხმა შეიჭრა, მაშინ მივიდა სწორ დასკვნამდე და ქალიშვილს გადაწყვეტილება

მოუწონა. ამით მწერალი აშხელს ჩვენს ადამიანურ სისუსტეს: „ყველაფრის დაშლა შეიძლება შვილისათვის, მაგრამ სამშობლოს სიყვარულის არა!

ანალიტიკურ აზროვნების კარგ ნიმუშს წარმოადგენს ნოველა „საუბარი ჭადრების ჩრდილში“, რომელშიც გრძელდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თემა.

მოგეხსენებათ, დღემდე გრძელდება ისტორიკოსთა კამათი იმის შესახებ, თუ როგორი მომზადებული შეხვდა საქართველო საბჭოთა იმპერიის დანგრევას.

ერთნი ფიქრობენ, რომ საქართველო მოუმზადებელი აღმოჩნდა დამოუკიდებლობისათვის. ამ შეხედულებას ვიზიარებთ ჩვენც, ეროვნულმა ხელისუფლებამ ერთი დაკვრით დაწყვიტა ყველაფერი, რაც ორასი წლის მანძილზე ყალიბდებოდა ქართულ ეკონომიკასა და რუსეთის ეკონომიკურ ცხოვრებას შორის. ორასი წლის მანძილზე იქსოვებოდა ეს კავშირები და ერთი ხელის მოსმით მისი დაშლა მხოლოდ საქართველოსათვის აღმოჩნდა დამღუპველი. ქართული ეკონომიკა დიდხანს ვერ გასწორდა წელში. ამ სიძნელეებმა უშუალო გავლენა იქონია ცხოვრების სხვა სფეროებზეც და ცნობილი ქართველი პოეტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში წერდა:

„თავისუფლება არ იყო, ვწუხდით,
სხვა დროის ნატვრა დავიდგით უღლად.
თავისუფლება მოვიდა, მაგრამ
თავისუფალნი უფრო მეტს ვწუხვართ“.

რევაზ მიშველადის ნოველის გმირი კი დიდი ხნით ადრე აფრთხილებდა საზოგადოებრივ აზრს მოსალოდნელ გართულებების შესახებ. ნოველაში „საუბარი ჭადრების ჩრდილში“ ორი გულმხურვალე პატრიოტის მსჯელობაში ვკითხულობთ:

„– ჩვენი ვალია სისხლისღვრა ავაცდინოთ ისედაც ფერგალეულ ქართველს.
– მაინც როგორ გინდა ვარდის უეკლოდ კრეფა?
– ორ ეტაპად უნდა ჩატარდეს ჩვენი სახალხო მოძრაობა: საქართველოს ენობრივ-ეთნოგრაფიული გაძლიერების (გამრავლებისა და მოჭარბებული სტუმრებისაგან განწმენდის) და შემდეგ თვითდაფინანსების არსებით პოლიტიკურ-ეკონომიური თავისუფლების მოპოვების ეტაპებად. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, მე ვფიქრობ, იგი შეიძლება დიდხანს დარჩეს გეორგიევსკის ტრაქტატის სახით. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა და საქართველოსკენ მუშტის თვალით დამიზნებული თურქულ-ირანული მზერა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, მართლმორწმუნე რუსეთს გამოვეცალოთ“.

სამწუხაროდ, ამ ანალიტიკურ აზროვნებას ეიფორიამ სძლია ბრძოლის გზის ერთ მონაკვეთზე და მივიღეთ, რისგანაც თავის დაღწევას ორი ათეული წელი მაინც დასჭირდა.

ჭეშმარიტად მაღალი ინტელექტის ადამიანი უნდა იყოს ოთხმოცი წლის პიროვნება, რომ ჯანმრთელობის უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში ორფუთიანი არღანი აიკიდოს მხარზე და ორი კილომეტრის მანძილზე დაშორებულ ოჯახში გამართულ ქორწილს მოემსახუროს თუ გავითვალისწინებთ,

რომ იმ ოჯახის მამამ, – ფინგანის აგენტმა, – სიცოცხლე გაუმწარა მელიტონ კუხიანიძეს. შენი არღანი უნდა დავბეგრო, მაგით შემოსავალი შემოდის შენს ოჯახში; მაგრამ მელიტონ კუხიანიძე აღმოჩნდა ადამიანური ღირსების დონეზე და გადაწყვიტა შუალამის ჟამს, სხვის დაუხმარებლად ეზიდა მისი ასაკისათვის მძიმე ტვირთი მხოლოდ იმიტომ, რომ სათხოვნელად პირადად სიძე, ომარი, ყოფილი ფინგანის აგენტის შვილი მოვიდა. მეუღლეს, რომელიც შეშინებულია მელიტონის ჯანმრთელობით, ასე უსაბუთებს თავის გადაწყვეტილებას: „რა შუაშია, ქალო, სერგოია ფინგანი. ვინ ოხერია სერგოია თადუმაძე. ჩემთან სიძე მოვიდა თავისი ფეხით. ქორწილი მაქვს ამალამ, მიჭირს, მელიტონ ზიძია და მომეხმარეო. იცი, შენ რას ნიშნავს ეს ლაპარაკი? გესმის რამხელა საქმეა, სიძე რომ ქორწილის დამეს თავის ფეხით მოგაკითხავს?... ქორწილია, უბრალო ქეიფი და პურისჭამა რომ იყოს, სხვა საქმეა, ფეხსაც არ გავანძრევდი. სხვა რომ გამოეგზავნა და ჭირი მოეჭამა, მაინც არ გავყვებოდი. მარა, სიძე მევიდა, თვითონ ბატონი სიძე მობრძანდა ამალამ ჩემსას და ხვეწნა დამიწყო. რა ოხრად მიღდა ეს ბებერი ძვლები, სიძეს თუ წყენა გავაყოლე მისი ქორწილის დამეს“.

ასე მაღალი ინტელექტის ადამიანები იქცევიან და ანგარიშს არ უწევენ წარსულში მამებისაგან განცდილ წყენას, როცა საქმე ახალგაზრდების ბედნიერებას ეხება.

ინტელექტუალური პროზის საუკეთესო ნიმუშია ნოველა „ბებერი“. მწერალი თაობათა შორის განსხვავებულ გემოვნებას, შეხედულებებს და ცხოვრების წესს გვიჩვენებს და პირველი, რისი ცოდნაც ადამიანს თან უნდა დაჰყვებოდეს, ის არის, რომ „სიბერე იმდენად სხეულის თვისება არ არის, რამდენადაც ხასიათის თვისებაა“.

ორმოც წელს მიღწეული დიდი ხნის მეგობრები – პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი გენო შირაქაძე და ნუგზარ ფხაკაძე გეოფიზიკის ლაბორატორიის მუშაკი ახალგაზრდულ დასასვენებელ სახლში ისვენებენ.

გენო თავის ორმოცწლიან ასაკს გაურბის და სურს ცოტა ხნით მაინც ახალგაზრდობა დაიბრუნოს. ნუგზარი ახალგაზრდულად ცხოვრობს. დასასვენებელ სახლში ერთად ყოფნის რამდენიმე დღემ ცხოვრებაზე მათ შეხედულებებში საპირისპირო პოზიციები გამოკვეთა. გენო უკან იყურება. ნუგზარი წინ. გენო თავის ახალგაზრდობის თაობას თვლის ზნეკეთილად, ნუგზარს სასაცილოდ არ ჰყოფნის ოცი წლის წინანდელი ახალგაზრდების ჩაცმა-დახურვის გემოვნება და ცხოვრების წესი: „შე კაი კაცო, ჩვენ რომ გვეცვა, ისე რომ ახლა აქ კაცი მოვიდეს, პირველს შენ თვითონ გაგეცინება. არ გახსოვს, ერთ-ორ წელიწადს ლურჯი აბრეშუმის ფართო სპორტული შარვლებით რომ დავდიოდით კინტოებივით? აბა, მოდა იყო ის? იმაზე სასაცილო თუ იქნება ნეტავ რამე. ანდა ჩვენ რომ „ბუტილკა“ შარვლები გვეცვა და ერთმანეთს ძლივს ვხდიდით, ის უფრო ლამაზი იყო?“

პედაგოგიური კონსერვატიზმით შეპყრობილი გენო ახლა ქალ-ვაჟს შორის ურთიერთობების სხვა პოზიციიდან ამბობს: „მე რომ ვინმეს დავენახე გოგოსთან ჩახუტებული, სირცხვილით დავიწვებოდი. ასე არ ვიყავით ყველა? ახლა

ქვეყნის დასანახავად წრუპავენ ერთმანეთს და გინდა შენ წასწრებიხარ და გინდა ბუზს გადაუფრენია.

თავის ტრადიციულ შეხედულებებში ღრმად დარწმუნებული პედაგოგი კიდევ ახალ არგუმენტებს ასახელებს ახლანდელი თაობის გადაგვარების მანიშნებლად: „ჩვენ სხვაგვარად გვიყვარდა. მე ცხრა ძმა ხერხეულიძე შემთხვევით არ მიხსენებია. თუ მოხვედრილხარ მაგათ სუფრაზე. შენ იცი, რომ სადღერძელოს უკვე აღარ ამბობენ? თამადასაც აღარ ირჩევენ ხანდახან. შენ მეტყვი: მერე რა არის ამაში ცუდიო. მთელი სუფრა ერთი კაცის ჭკუაზე რომ იქცევა, ოთხ საათს რომ წელს ვერ გამართავენ, ეს არის კარგიო? თუ სადმე სამართალია, ჩვენი სუფრა ადამიანების გაცნობის, დამეგობრების, სადილის ღვინად გადაქცევის კლასიკური ფორმა. ნელა, თანდათანობით თვრება კაცი. აზრს გამოთქვამს, ახალ ამბებს იგებს. აბა, ჭამას კაცი ათ წუთში მორჩება. მერე უპრაგონოდ დაისხამს ზოგი და ერთბაშად დათვრება. უყურე მერე სუფრაზე მთვრალ კაცს“.

რევაზ მიშველაძე დიალოგის დიდებული ოსტატია. გენოს ამ „რკინის ლოგიკას“ თითქოს უნდა მოჰყევს ასევე რკინის ლოგიკით გაჭედილი საპასუხო მსჯელობა, რაც სიუჟეტის გაჭიანურებას გამოიწვევდა მხოლოდ. რევაზ მიშველაძის პერსონაჟი კი საღი გონების კარნახით მხოლოდ ერთ რეპლიკას ესვრის: „შენც ნუ უყურებ, ადექი და წადი“. მაგრამ ეს არ არის მთავარი სათქმელი. ეს მხოლოდ მხილებაა რევაზ მიშველაძის მხატვრული ასახვის მეთოდი განსჯაა.

რატომ არის ორმოცი წლის მამაკაცი ესოდენ სკეპტიკურად განწყობილი მასზე ოცი წლით უმცროსი თაობის მიმართ? ამასთან უნდა დავძინოთ, რომ ეს სკეპტიციზმი ძველი თაობის კაცისა მარადიული თემაა. თაობათა შორის დაპირისპირების ამ მოვლენას მრავალნაირი ახსნა აქვს იმის მიხედვით, თუ რა საფუძველზეა წარმოქმნილი ეს დაპირისპირება. ნოველის ავტორი მწერალი ფსიქოლოგიურ და მენტალურ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და ნუგზარს ათქმევინებს გენოზე:

„– უნდობლობის ჭია გხრავს.

– საიდან მოვიდა მერე ეს „უნდობლობის ჭია“?

– შეგეშინდა. აი, საფეთქლებზე ჭადარა შენიშნე და შეგეშინდა. სწორედ ამან გაგაბრაზა. დაკარგულმა სიყმაწვილემ გატკინა გული. ვერ ეგუება შენი გონება, რანაირად, ჩემს ადგილზე ესენი როგორ მოდიანო, ფიქრობ და სივდები გულზე. თორემ დაწყნარებულ ხასიათზე რომ გადახედო, რაც ახლა თქვი, ნახევარზე მეტს უკამათოდ წაიღებ უკან“.

მწერალი ამ ნოველაში და საერთოდ ყველა თავის ნაწარმოებში მხატვრულ სახე-ხასიათს, პირველ რიგში, ინტელექტუალურ საწყისებზე აგებს, რასაც სიუჟეტის განვითარებაში ემატება ფსიქოლოგიური შეფერილობა, ცხოვრების ცოდნიდან მომდინარე დეტალების სიმართლე და ვლერბულობთ სახეს, რომელიც თავს გვამახსოვრებინებს.

მწერალი არა მხოლოდ ინტელექტის მქონე სახეებს ხატავს, იგი ასევე პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს უინტელექტო სახეების დახატვას, რადგან უინტელექტო ადამიანებსაც ქალაქ მოწამეთში დამკვიდრებულ პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული მისია აკისრიათ. უინტელექტო ადამიანები იცავენ

წესრიგს, რომელიც არ არის დასაცავი, რადგან ეს წესი უგუნური ხელისუფლების მიერ არის დაწესებული. რაც უფრო შორს დგას ხელისუფლება ადამიანებისაგან, მით უფრო მეტ უინტელექტო ადამიანებს უყრის თავს იგი თავის სამსახურში. აი, ეს დეტალი: უხუცესთა საბჭოს შენობის წინ ფაეტონი გაჩერდა. მეეტლე გადმოვიდა და პირდაპირ შესასვლელისაკენ გაემართა, მაგრამ, ბოხმა, ოდნავ გაბზარულმა ხმამ უკან დააბრუნა:

- ეტლი თქვენია?!
- კი-ბატონო, - მიუგო მეეტლემ.
- აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება!
- სად წავიყვანო, აბა!
- აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება!
- სხვა ეტლები რომ დგას?
- აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება...
- საბჭოში მომსვლელმა ხალხმა სად დააყენოს ეტლი, არ მოგიკრავს ყური?

- ჰკითხა მეეტლემ.

- აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება - მერამდენედ გაუმეორა მკაცრმა ხმამ და აგრძნობინა, რომ მოსულთან დისკუსიის გამართვის არავითარი ხალისი არ ჰქონდა. იგი პატარა კაცი იყო. უთხრეს, აქ ფაეტონები არ დავინახოთო და სხვა არაფერი დაუვალეზიათ. მაგრამ ამავე დროს ეს „პატარა კაცი“ ადამიანიც ხომ არის, რომელიც ადამიანურად უნდა ელაპარაკებოდეს ადამიანებს?

პიროვნული ღირსების განცდა, გმირის ხასიათის დეტალების კარგი ცოდნა მჟღავნდება ნოველაში „შემთხვევა“. ნოველის პერსონაჟი, სტუდენტი ნოდარ ბერძენაძე, ერთადერთი შვილის მარტოხელა დედისა „დედის ბიჭად“ იზრდებოდა. „დედას ბიჭს“, როგორც წესი, საკუთარი სამყარო, საკუთარი შეხედულებები არ გააჩნია, მაგრამ უცხო ქალაქში დედის უნებართვოდ წასვლამ და იქ უცხოელ ტურისტთან შეხვედრამ, წერილობითი ახსნა-განმარტება დააწერინა სახალხო რაზმელის საბჭოში.

შინ დაბრუნებულ ნოდარს ბევრი ეხვეწა დედა აეხსნა მისთვის ვის გაუცვალა პერანგი. მაგრამ დედას არ გაუმხილა საიდუმლო. მწერალი იუვილერის სიზუსტით ხატავს ბიჭის ხასიათში მიმდინარე ცვლილებებს და მიგვანიშნებს: „დღეს პირველად იყო იგი მარტო, უცხო ქალაქში, დედის გარეშე. იყო უსაქმოდ, თუ უცხო ქალაქის დათვალიერების სურვილს საქმედ არ ჩავთვლით. და ეს ამბავი შეემთხვა.“

ნოდარს ეჩვენებოდა, თითქოს მისთვის ცხოვრება დღეს დაიწყო. დღეს იგი პირველად თავის საქციელისთვის ახსნა-განმარტებას ამღებდა დაინტერესებულ კაცს და მის გვერდით არავინ იყო. ასეთ საქმეებს დედას აღარასოდეს მოუყვებო, მტკიცედ გადაწყვიტა.

ნოდარი დღეიდან უკვე კაცი იყო.

თავის საიდუმლო ჰქონდა“.

ადამიანური ფენომენის ამოხსნა, დადგენა და შეფასება შეუძლებელია მეცნიერების ნებისმიერი დარგის მიერ შემუშავებული პრინციპებითა და მექანიზმებით. შეიძლება ადამიანის ფიქრი წაიკითხოს მანქანამ, მაგრამ თვით ფიქრის გაჩენის წყაროს მხოლოდ ნიჭიერი მწერლის თვალ-ყური თუ მიწვდებ-

ბა. ნოველა „ჟინის“ ავტორი სწორედ ამ ფენომენის ამოცნობას გვთავაზობს და ნოველის ბოლოს მაინც გაკვირვება იკითხება, რადგან ფაქტიურად მაინც მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის ადამიანის ღვთიური ბუნება.

ავგისტოს ერთ სულისშემზუთველ, პაპანაქება მზის მცხუნვარებით შეწუხებული მოხუცი მეწვრილმანე, რომელსაც ბაზარში საოჯახო ნივთები გამოეტანა გასაყიდად, გონებაგახსნილ ინტელიგენტ კაცს შეეცოდა და გადაწყვიტა დღეს ერთი სამადლო საქმე გაეკეთებინა – შეესყიდა მისთვის ეს სრულიად გამოუსადეგარი ძველმანები და გაეთავისუფლებინა მოხუცი. თითოეულ ნივთზე ტაქტიანად ევაჭრა ისე, რომ მოხუცს ეჭვი არაფერზე აეღო, გადაუხადა ფული და ავტობუსზეც გააცილა. „ესეც ასე... დღეს ერთი მადლიანი საქმე მაინც გავაკეთე – ფიქრობს გულში ალტრუისტი ახალგაზრდა კაცი, – ტვინი აუდუღდებოდა მოხუცს ამ გაგანიაში. ტყუილად მოცდებოდა. ვერც ვერაფერს გაჰყიდა და უკანვე სათრევი ექნებოდა თავისი ძველმანები. დროზე მაინც მივა სახლში, ჩრდილში მაინც დაჯდება და შვილიშვილებში გაიხარებს“.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და იგივე მოხუცი კვლავ გამოჩნდა ბაზარში. თვითმცლელი ავტომანქანის კაბინიდან დინჯად გადმოვიდა, ძველთაძველი ხის ჩემოდანი გადმოათრია და იმ ვაჭრის ენერგიულობით წამოვიდა, რომელსაც მიზეზის გამო შეაგვიანდა და შიშობს საქონელი გაუსაღებელი არ დარჩეს. მოხუცის გარეგნობის წარმოსახვისათვის მწერალი მიმართავს შედარებას რომელიღაც ათასწლეულიდან ჩამოფრენილ ბებერ ყვავთან, აფრენა რომ ეზარება და ფრთებში შემალული ნისკარტით ამ ქვეყნისაგან შეუმჩნევლად დარჩენას ცდილობს. მაგრამ შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესების წარმოდგენა მწერალს ათქმევინებს: „არა, ბატონო, ჩვენებურ კაცს შენ ასე ადვილად ვერაფერს მიუხვდები. იქნებ ნესტორ ხუნდამეს თავისი ძველმანების გაყიდვა სულაც არ აინტერესებს. იქნებ მასაც ამ მილეთის ხალხის ყურება უნდა. თავის შექცევა სურს დარჩენილი ორი დღის წუთისოფელში“.

ნოველა „ჟინი“ კიდევ მრავალ სხვა კითხვას აჩენს ადამიანურ ხასიათზე დამკვირვებელი მკითხველის გონებაში. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, ყოველი ადამიანი საინტერესოა სწორედ თავისი ინდივიდუალური, განუმეორებელი თვისებებით.

რა არის სამშობლო? რა არის თვისტომი? რა არის ადამიანის ცხოვრება? – აი, კითხვები, რომლებიც აღძვრის ნოველა „სიკვდილის“ მკითხველს. მექუდე მიხეილ ზონენაშვილი თავისი ოჯახით ისრაელში მიდის საცხოვრებლად. მისი მოხუცი მამა მოსე ზონენაშვილი რჩება ქუთაისში. მამა-შვილს განსხვავებული შეხედულებები აქვთ სამშობლოზე, თვისტომზე. ვერ იტყვი, რომ ერთი ბრძენია, მეორე – ბრიყვი. ორივეს საკუთარი არგუმენტი აქვს მიღებული გადაწყვეტილებისათვის. მიხეილი თვლის, რომ ისტორიული სამშობლო დიდი სახლია, რომელშიც უნდა დაბრუნდეს ყველა ებრაელი „დაბრუნების იმედი რომ გვქონდა, იმიტომ ვინახეთ ამდენხანს ჩვენი ღმერთი და ჩვენი ენა“.

მოსე თვლის, რომ „ის ისტორიული სამშობლო, ჩვენ რომ გამოვედით, აღარ არ არის... ბაბუაშენი იტყოდა, ერთ წყალში ტანს ორჯერ ვერ დაიბანო“.

წამსვლელი შვილი წავიდა. მამა დარჩა და ამით მადლიერების იდეა გადარჩა. მოსე ზონენაშვილმა იცის, რატომ დარჩა, თუმცა უახლესი ადამიანები-

საგან განშორება სატანჯველად ექცა: „მორჩა. აწი მე ჩემ შვილს და შვილიშვილებს ცოცხლად თვალს ვერ შევავლებ. ამხელა ტკივილი რის ფასად მომანიჭე, შენს სახელს ვენაცვალე? ამ ცის და მიწის ფასად? ამ ძველი ჯაჭვის ხიდის ფასად? ამ ძმასავით თანშეზრდილი მწვანე ბაზრის და ნაცნობებით სავსე ქუჩის ფასად? იქაც ხომ იქნებოდა ცა და ქვეყანა, ქუჩები და ბაზარი? მაგრამ ნოველის გმირი უფრო მაღალ მატერიებზე ფიქრობს. ეს პიროვნების ადგილია საზოგადოებაში. მოსესთვის ქუთაისი ის სამშობლოა, რომელსაც მოსე სჭირდება, სადაც მოსეს თავისი ადგილი აქვს. მან იცის, რომ „იქაც იქნებოდა ცა და ქვეყანა, ქუჩები და ბაზარი, მარა იქ არ იქნებოდა ის მოსე, რაც აქ არის: „მყიდველ-გამყიდველის მომრიგებელი, ჩხუბში გამზავებელი, დაბნეულისთვის ჭკუის დამრიგებელი. იქ სხვა მოსეები ხეირობენ. ამ სახელს და გამაგლობას, ამ ქალაქში რომ მაქვს, ორმოცი წლის სიცოცხლეც რომ დამრჩეს იქ, ვერ მივაღწევ. არა, მე არ გემდური, კაი ჰქენი, ღმერთმანი. მე ამ მიწის ბელტი ვარ. მაღლობელი ვარ, ღმერთო, მე აქ უნდა მოვმკვდარიყავი!“

სრულიად ახალ სიბრტყეზეა გააზრებული სამშობლო – პიროვნების ურთიერთობით სრულიად ახალ სიმაღლეზეა აყვანილი პიროვნების ღირსების შესახებ შეხედულება. ვრწმუნდებით, რომ პიროვნება მამულიშვილად ვერ იქცევა მხოლოდ ფიზიკური არსებობით. მამულიშვილობა განუმეორებელი სულიერი კომფორტია.

პორტრეტი პერსონაჟის ხატვის ურთულესი ელემენტია. მხატვრულ პორტრეტს ვერ წარმოქმნის მხოლოდ გარეგანი დეტალების თუნდაც ზედმიწევნით ჩამოთვლა. რევაზ მიშველასძის კალმით დახატულ პორტრეტში პერსონაჟის ხასიათი, სახასიათო თვისებები იკითხება. ცხოვრებით გატანჯული, მაგრამ ბუნებით კეთილი მოხუცის ხასიათი იკითხება ნოველა „მეთოკე“-ს პერსონაჟის პორტრეტში: „ხელოსანი საშუალოზე დაბალი ტანის, ყურის ბიბილოიანად სუფთად გაპარსული მოხუცი იყო. ნაოჭებით დაღარულ ნაყვავილარ სახეზე ყბები ისე გამოკვეთოდა, რომ ვერაფრით ვერ წარმოიდგენდით, ჰქონდა თუ არა ლოყები საერთოდ. გეგონებოდათ, რომ გადაგეწიათ ყბებზე მოშვებულად ჩამოფარებული თხელი, გაცვეთილი კანი, ძვლებს ხელით შეეხებოდით. წინ გამოშვერილი ქვედა დიდი ტუჩი, სასწაულებრივად შემორჩენილ ქვედა კბილებს გახევამდე შემოტმასნოდა და მოხუციც, ტუჩები რომ მაინცადამაინც არ გაეწვალეზინა, პირს ღიად სტოვებდა, ან, იქნებ ქვედა ყბა იმდენად დამძიმებული იყო, რომ საფეთქლები ვეღარ იჭერდნენ ძველებურად. ხშირი თეთრი წარბ-წამწამით დაფიფქული ფართო, ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, ოთხკუთხედ ნიკაპს ქვემოთ, ყელამდე ჩასდევდა ორად გაკეცილი ცარიელი დაბაბი. კანდამსკდარი, ძარღვებამოზურცული უზარმაზარი წითელი ხელები მუხლებზე ეწყო და საოცრად ჰგავდა გარემოების მიზეზით ყურებამდე გაპარსულ ბებერ ლომს“.

დიალოგი, პირველ რიგში, სიუჟეტის აქტიურად განვითარების საშუალებაა. მაგრამ, როცა დიალოგში პერსონაჟის ის ფიქრი და ხმამაღლა ნათქვამი კოტრასტული სტილით ერთდროულად იშლება მკითხველის წინაშე, სიუჟეტის გააქტიურება დამატებით იმპულსებს იძენს. ამგვარ დიალოგს ჩვენ ორმაგ

დიალოგს ვუწოდებთ. ორმაგი დიალოგის ნიმუშია ნოველა „ბებერ“-ში გამოყენებული ხერხი.

დასასვენებელი სახლიდან ახლოს, ზღვის სანაპიროზე ილუმინატორის ბოძთან გრძელ სკამზე ზის და ისვენებს გენოსათვის უცხო ქალიშვილი. გენო ანგარიშმიუცემლად იქეთ წავიდა და გაბედულად ჰკითხა:

– შეიძლება?...

– რა ბრძანეთ? – ჰკითხა ქალიშვილმა და გრძელ თმებზე ხელი ჩამოისვა.

– თუ შეიძლება-მეთქი თქვენს გვერდით დაჯდომა, – ხმის კანკალით ჰკითხა გენომ. „ალბათ, მიპასუხებს, – კი მაგრამ, სკამეიკების მეტი რა არის, ბიძა, ამ სანაპიროზე, მე ხომ არ მომისკუპდე გვერდით“ – გაიფიქრა მან.

– დაბრძანდით, – მიუგო ქალიშვილმა და ისევ ზღვას დაუბრუნდა.

– მარტო ხართ? – ჰკითხა გენომ და იმწამსვე ინანა, ცოტა რომ დავფიქრებულიყავი, უფრო მომგებიანი შეკითხვის მოფიქრება შეიძლებოდა. „ამას თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს“, ალბათ, ასე მიპასუხებდნო, გაუელვა გენოს, მაგრამ აქაც შეცდა.

– დიახ, – უპასუხა ქალიშვილმა.

– მე გეკითხებით, საერთოდ, აქ მარტო ისვენებთ-მეთქი? – გაასწორა გენომ. „ეტყობა, თავი მოვაბეზრე“, გული შეეკუმშა, რადგანაც ქალიშვილმა ეს შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

– საცეკვაოდ რატომ არ წახვედით? – „რა მჭირს დღეს, ეს რა პრიმიტიულ შეკითხვებს ვიძლევი, გოგოსთან ლაპარაკი მაინც ვიცოდი მე საწყალმა“ – ფიქრობდა გენო და დარწმუნებული იყო, რომ ქალიშვილი უპასუხებდა: „შეუძლოდ ვარ“ ან „ცეკვა არ ვიცი“.

– ბევრი ხალხის ერთად ყურებას ვერ ვიტან, – ჩაესმა გენოს, – თანაც ცეკვის დროს ადამიანებს ძალიან სულელური სახეები აქვთ და მათდამი რწმენას ვკარგავ.

– „ეს რა ჩემნაირი ხასიათისას შევხდი“ – გაეხარდა გენოს და საქმეზე გადავიდა“.

ასე მხოლოდ დიალოგის დიდოსტატები წერენ.

პერსონაჟის ენა. პერსონაჟის ენას პერსონაჟის ხასიათიდან გამომდინარე აყალიბებს მწერალი. პირველ რიგში, დიალექტის გამოყენებით იქმნება. პერსონაჟი თავისი კუთხისათვის დამახასიათებელი დიალექტით მეტყველებს. დიალექტი, გარდა პერსონაჟის თვალსაწიერისა, აგრეთვე მის გულგახსნილობასაც ამჟღავნებს. დიალექტზე მოსაუბრე პერსონაჟი თითქოს უფრო უშუალოდ და ბუნებრივია.

რევაზ მიშველამე ხშირად მიმართავს დიალექტს, პირველ რიგში იმერულ კილოს: „მინაგო ვარ, მინაგო, გესმით ჩემი?“ – „კიე! „რავა ხართ, ტიტე, ხომ მშვიდობაა თქვენკენ“. „კიე!“ „ხვარ შეგეშინდათ?“ („კაცნი“) „მეტს არ შეგაწუხებთ, არ გეიშვა თქვენი შემწუხებელი“ („სიკეთე“).

სხვა კუთხის დიალექტურ ფორმებსაც შევხვდებით რევაზ მიშველამის ნოველებში. მაგალითად, ქართველი ებრაელის მეტყველების სტილის: „არ დასწყევლო. ნუ დამიწყევლი. ისედაც არეულ ჭკუაზე ჰყავს გამჩენს. გზაზე დგას ეს

უბედური. აპატიე, ჩემო ეზევია, დაგენაცვლე“, ჩემი ჭკვიანი ეზევია არა ხარ შენ?!“ („სიკვდილი“).

კოლორიტულ ფორმას ანიჭებს ნოველაში „წავა“ პერსონაჟის ხასიათს ფერეიდნული კილოკავითა და ინტონაციით მეტყველება: „საქმეც მაგაშია. რატომ უნდა შეწუხება რაიკომ მდივანი ლურსმანისთვის? ჩონი ფული მოგეცი, ფული მოგეცი არ არის? აქაურ მარტო ფული არ გყოფნის, იქავ, ფერეიდანში ფული თუ იშოვის მთელი მაღაზია შენთვის არი. აქავ ყველას არა. შენ სიაში არი, ის სიაში არ არი! ჩონი მაღაზიის ნოქარი ასე სწირამს“.

რევაზ მიშველაძე პერსონაჟის ენაში ხშირად იყენებს ე.წ. აკვიატებულ ფორმებს: მაგალითად, „მე ვუთხარი“. „მე ვუთხარი, მაგისი ბავშვობა არ მაინტერესებს“, მე ვუთხარი, მე ახლა როცა იმას ვხედავ, მე ვუთხარი, ჩემთვის კარგია, მე ვუთხარი, საქმის ერთგულია და რაც შეუძლია, თავს არ ზოგავს, მე ვუთხარი, წადი, განაგრძე რეპეტიცია“ („ქორეოგრაფი“). „ჩვენ ბოდიში“ – ყოველ წინადადებას ამ აკვიატებული სიტყვით იწყებს ან ამთავრებს ნოველა „მეთოკეს“ პერსონაჟი.

– მე თქვენ არ მიცნობთ.

– კი მარა – არ მოეშვა მოხუცი, – აბა, რაფერ, რასაკვირველია, შენ... მიცნობ მეე.

– ვერც მე გიცნობთ.

– აგაშენა ღმერთმა. აბა, რაშია საქმე, რავაა აქ... ამ ქუჩაზე რასაკვირველია“ („აეროდრომი აღარ არის“).

„დიდი ხანია მინდოდა მეთქვა, შანშე, შენთვის და ვერ გიბედავდი – დაიწყო შალვამ.

– ბრძანე, ბატონო.

– ისეთი კი არაფერი, ერთი არაკის არ იყოს, მარა, მაინც მე ვთქვი, არ ეწყინოს-თქვა.

– რავა შეიძლება, ბატონო.

...

– რასაც გეტყვი, ჩემო შანშე, სხვამ, ერთი არაკის არ იყოს, ეგება არც ქე გითხრას.

– ჰო.

–ახლაც გვიანაა, ამის თქმა, მარა ადრე რომ გეთქვა, ჩემს სიტყვას არ გეიგონებდი, არც ახლა გეიგონებ, რავარც გინდა, იმ ერთი არაკის არ იყოს, მე ქე უნდა გითხრა... („მე ვარ“).

რევაზ მიშველაძის ნოველებზე საუბარი არ შეგვიძლია არ განვაგრძოთ მხატვრული შედარების შთამბეჭდავი ზემოქმედების თემით. რევაზ მიშველაძის შედარებები მოულოდნელობის ეფექტებით გვხიბლავს, განცდების სიღრმით და პოეტური სილამაზით. მაგალითად, „მოსე ზონენაშვილი დიდხანს იდგა ბაქანზე. შესაფუთავად გამოტანილ ქანდაკებასავით და საღორიას ტყისაკენ კვილით მიმავალ მატარებელს შეჰყურებდა“. „დაფაჩუნობდა თეატრისათვის შეწირული კაცი ორმოცი წლის განმავლობაში როგორც მეკელაპტრე ბერი ტაძარში“, „ემინოდა იმ მოთხილამურის შიშით, მოხვევა-გაჩერებაც კი რომ არ ასწავლეს და პირდაპირ სლალომის ტრასაზე შეაყენეს „ან გადარჩება, ან არა, ან

ფებს მოიტეხს ან (უკეთეს შემთხვევაში) სამარცხვინო ჩაგორება ელის“. „მძინარე გაბრიელი ფხიზელ თეთრ დათვს ჰგავდა“. „ფილოსოფოსი მარცხენა ხელს თადარიგის ოფიცრის კეთილსინდისიერებით იქნევდა“. „ახლა შენ აბრეშუმის ჭიასავით ტანსავსე ხარ“. „მელენტის პირზე ხელი აფარებინა, ოთარს ათვალიერებდა და მოგუდული სიცილისაგან ვერტმფრენში მჯდომივით მაგმაგებდა“. „ფუტკრის ლაშქარით ადევნებული ფიქრები გამოჰყვა“.

რევაზ მიშველამის სამწერლო პრაქტიკაში მხატვრული შედარება არ არის ეპიზოდური ხერხი. რევაზ მიშველამე შედარებებით აზროვნებს. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ეს ამონაწერი: „რამდენი სერიოზული კაცი მინახავს, ჯერ თავს ჩამოჰკიდებს ჭაჭანაჭამი ინდაურივით, მერე მუხლებზე დადებულ საქალაღებზე თითების კაკუნს მოჰყვება. ბოლოს წამოხტება, მდივან ქალს მივარდება და ენაზე ბზიკნაკბენი კაცის ჩიფჩიფით მიახლის: „ესენი, ეტყობა, დღეს არ გამოვლენ, წავედი მე“. მეორე მაგალითი: „ავთანდილის მეზობელი დაახლოებით ისეთ ხმას გამოსცემდა, მოზარდმაყურებელთა თეატრში დიდი ხომალდის ღუზის ჩაშვებას რომ ახმოვანებდნენ. დიახ, ეს კაცი ტრადიციულად, ჩვეულებრივად კი არ ხვრინავდა, უტაოტო ოწინარივით ღრჭიალებდა“.

რევაზ მიშველამე მხატვარია. მის ფრაზაში სიტყვას ფერიც აქვს. მელოდიაც აქვს, გემოც აქვს, არომატიც აქვს, სურნელებაც აქვს. მზის ჩასვლის ნაცვლად ის იტყვის „მზე უკანასკნელ სხივებს კრეფდა მთის წვერიდან“.

რევაზ მიშველამის სიტყვის ყველა ზემოჩამოთვლილი ღირსება თანაბარი ძალით ვლინდება მხატვრული გამოსახვის საშუალებებში. მაგალითად, მეტაფორებში: „ორმოცი წელიწადია ვდექავთ ერთმანეთს“. „ახლა რომ იგი ქორწილში წამოვიდეს, მღვდელი ზიარებას ვერ მოასწრებს“. „ემშაკის აწყობილი აქვს თავი“. „ყველა კურდღელს თავისი მწევარი დასდევს“. „რა ზღვარმტკავლობანას და ბაგირის გადაქაჩვას ეთამაშებით ერთმანეთს“. „რა ქვა გავტეხო, სად ვიშოვო ამდენი ხალხი“. „მაინც რას გვთავაზობს, გავჩუმდეთ? მივატოვოთ თონეში ჩაკრული პური?“. „არა ხარ შენ სახარე მოზვერი. სახარეს კოჭებში ეტყობა“. „ისაკას ბიჭს რაც პეპლები აქ ჰყავდა თავში, ის ეყოლება იქანაც“.

ჰიპერბოლა: „ქვიშის მინდორზე გაიჩენდა საქმეს: „თუ იტყოდა მელიტონი, მორჩა, მამაზეციური ვერ გადაათქმევინებდა“.

იდოიომები: „არაფერი მოიწიონ, არ ჩაგვბარდეს ხელში ეს კაცი“. „ცას ხომ არ გამოეკერებინან ისინი“. „უკულმართობაზე ჰქონდა ჭიპი მოჭრილი“.

იმერიზმები: „არ გინდა ახლა ამ ზუნზრუხოში ტოტყიალი?“ „არა ბატონო, ოთხმოცკაპიკიანი ღვინო არ მაქვს მე. შვლაპს სამოცათაც ქე იშოვი“. „მკლავი სახარატო ჩარხში ჩატნეოდა“.

რევაზ მიშველამე ირონიის დიდოსტატია. ირონია მის სამწერლო პრაქტიკაში ავტორის და მასთან ერთად, მკითხველის პოზიციაა: რაც არ მოსწონს, იმას მოწონების აღმნიშვნელი ფორმებით იტყვის. მაგალითად, არავითარი სიამოვნება არ არის დაკავშირებული ხელმძღვანელის კარებთან მოსაცდელში დგომასთან. მაგრამ ბევრი ხელმძღვანელი განგებ ახანგრძლივებს მისაღებში მოქალაქეთა დგომას. ეს მიუღებელია. მწერალი კი ირონიულად იტყვის: „მიყვარს მოსაცდელში შეჩერებული დრო და მყუდროება. ქალაქის ორომტრია-

ლიდან შემოვარდები მოსაცდელში და აქ დაესმება წერტილი შენს თავაწყვეტილ სრბოლას“. „როდის დაინტერესდებიან სოციოლოგები იმით, რომ ჩვენმა საუკუნემ კიდევ ერთი საჩუქარი უძღვნა კაცობრიობას – გაჩნდა სრულიად ახალი ტიპი ადამიანისა – მდივანი ქალი“.

ირონიის კლასიკური ნიმუშია ქირურგის ეს წარდგინება: „ალექსანდრე გობრონიძე ქირურგი გახლავთ. მისი საქირურგო ბიოგრაფია, მართალია, გულის გადანერგვის მსგავსი გაელვებებით არ იყო გაბრწყინებული, მაგრამ სამაგიეროდ, მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ალექსანდრეს შემთხვევა არ ჰქონია პაციენტის სტომაქში მაკრატელი ან პინცეტი ჩაეტოვებინოს“.

ირონია: „ცარიელ ბოთლთა მიმღები საქალაქო ტრესტის უფროსი საქონელმცოდნე“ „დანიშნულების ადგილს კი ტრიკო-პერანგეულის #3 ფაბრიკა წარმოადგენდა“. „მოხუცთა და ბავშვთა დაცვის წელი მიწურული იყო და სადარბაზოს სანიმუშოდ მოვლის წელი იდგა“.

ცალკე უნდა აღინიშნოს რევაზ მიშველაძის ნოველების კიდევ ერთი ღირსება. მწერალი გულმოდგინედ დაზუსტებულ, დამუშავებულ ცოდნით ამდიდრებს მკითხველს. მაგალითად, „შეკაზმვის დროს ლაგამ-აღვირით არ შეიძლება უკანიდან ან გვერდიდან მიხვიდე ცხენთან. წინიდან უნდა შემოუარო, რომ ცხენი ხედავდეს – ვინა ხარ, და რაშია საქმე. როცა ფეხდაფეხ მიგყავს, მარჯვნივ უნდა დაუდგე და ლაგამი მოკლეზე გეჭიროს“.

ცოდნა-შეგონებების კარგი ნიმუშებია: „საინტერესო ადამიანებთან საუბარი სულიერადაც გამდიდრებს კაცს“. „სამშობლო დიდი სახლია“. „ყველა ასაკს თავისი სილამაზე და სინათლე აქვს“.

ცხადია, ყველა მხატვრული ხერხისა და ყველა სახის ღირსების დეტალური ამოწერა-დახასიათება შორს წაგვიყვანს. ოცდახუთტომეულის მესამე ტომი მდიდარ მასალას იძლევა მწერლის მხატვრული ოსტატობის სპეციალური შესწავლისათვის.





მასობრივი და ელიტარული კულტურები

კლასიკა და მოდერნიზმი კულტურშემოქმედის წარმოდგენებში იცვლის სახეს და ფუნქციას, რათა მასებისათვის ადვილად მისაწვდომი და იოლი აღსაქმელი გახდეს.

არის თემები, რაც ყველას ადევნებს – სიცოცხლე და სიკვდილი, ვერაგობა და სიყვარული, გმირობა და მოვალეობა, სამშობლო და ოჯახი... ეს თემები, ეს გრძნობები, ეს მოტივები საერთოა ელიტისა და მასისათვის, თუმცა დრო, ცივილიზაცია, კომფორტი ცვლის მათი განცდისა და გამოხატვის ფორმებს, ობიექტებსა და ადრესატებს, ცვლის კულტურის მანიფესტებს.

კულტურის ზოგი დარგი უაღრესად პოპულარულია და სწრაფად ვრცელდება საზოგადოებაში (მაგ., საესტრადო სიმღერა, კინოფილმი), ზოგი რჩება პროფესიონალთა ვიწრო წრეში (მაგ., კლასიკური მუსიკა, ოპერა).

კულტურშემოქმედი შებოჭილია ჟანრის კანონებით, რომელშიც უნდა მოაქციოს ფანტაზია. მაგრამ თვით ჟანრის შიგნითაც ზოგი მეტად იზიდავს მასის გულისყურს, ზოგი – ნაკლებად; ზოგის აღქმა ძნელია, ზოგისა – იოლი. ერთისათვის შემოქმედება ექსპერიმენტული რისკი და სიახლეა, მეორისათვის – მასობრივი პოპულარობა.

ამის მიხედვით განასხვავებენ მასობრივ და ელიტარულ კულტურებს, მათ შუალედურ ფორმებს.

მასკულტურა, როგორც ნარკოტიკი

მასობრივი კულტურა აკმაყოფილებს ფართო ფენების მოთხოვნებს. გარდა იმისა, რომ ზოგი დარგი თავისი ბუნებით აქეთ არის მიმართული (მაგ., ესტრადო), ყველა დარგში გამოიყოფა ცალკეული ნიმუშები, რომელთა სიმსუბუქე, სინათლე პასუხობს დროის მტკივნეულ კითხვებს და თავად დროის სულის გადმოცემა საზოგადოებისათვის საინტერესოა (მაგ., ვ. ჰიუგოს ან ა. წერეთლის, გოეთეს ან ჰაინეს პოეზია).

20–30-იანი წლების ქართულ კულტურაში გაბატონდა რომანტიკულ–ჰეროიკული სტილი. იგი თავად ეპოქის სულისა და რიტმის ფიქსირება იყო. ომგამომგვლილი, რევოლუციებში მონაწილე, გამარჯვებასა და დამარცხებას, გმირობასა და ნგრევას შეჩვეული თაობები გამამხნეველ, ზეადმტაც, მეოცნებე კულტურას ქმნიდნენ, რადგან ხალხსაც ეს აინტერესებდა.

60–80-იან წლებში, როცა მშვიდი ცხოვრება ჩამოდგა და ხალხმა ეკონომიურად სული მოითქვა, წამოიწია ერთი მხრივ – კომიზმი, მეორე მხრივ, ინტელექტუალური ჭკრეტა, ხოლო ტრაგედია უკანა პლანზე გადავიდა.

გაბატონდა სექსი და ეროტიკა, დეტექტივი და სუპერმენი, საშინელება და ძალადობა, სპორტი და ფანტასტიკა, სენსაცია და სკანდალური ქრონიკა ანუ ის, რაც მიიზიდავს და შეარყევს მასის ფსიქიკას.

ინსტინქტებზე თამაშით იგი ცვლის ხალხის ცნობიერებას, იმორჩილებს როგორც, დოპინგი და ნარკოტიკი.

ადამიანი დამოკიდებული ხდება მასკულტურაზე.

იგი უკავშირდება ბიზნესს, შესაბამისად – პრაგმატულია: კარგია ის, რაც იყიდება, რასაც ფული მოაქვს.

რადიო და ტელევიზია, ჟურნალი და გაზეთი შედის ყველა ოჯახში, ესაუბრება მათ, ართობს, ზოგჯერ ანიჭებს სიხარულს, უქარვებს ნაღველს, აცნობს სიახლეს, სთავაზობს სენსაციასა და რეკლამას.

მომხმარებელს თავისი განცდები გადააქვს მოსმენილ, წაკითხულ და ნაჩვენებ ისტორიებზე, მსუბუქი, კომიკური, ფანტასტიკური ფილმების სიუჟეტებსა და პერსონაჟებზე.

ადამიანი შოშმინდება, ნევროზისა და სტრესისგან განიმუხტება, სულში ისადგურებს სასიამოვნო სიცარიელე.

დამკვეთი და შემსრულებელი აღძრული ემოციებით მიმართულებას აძლევენ მომხმარებლის ცნობიერებას, თანაც აძლევენ ყოველდღიური კონტაქტებისათვის საჭირო ცოდნას, რათა მოქალაქემ იგრძნოს თავისი დრო, სტილი და მოდა, გამოვიდეს მარტოობის უდაბნოდან და ჩაერთოს ცხოვრების რიტმში.

ასე ხდება როგორც ინფორმირება, ისე დეზინფორმირება. საფუძველი არის გართობა, მიზანი – მოგება, შედეგი – ცნობიერების შეცვლა.

ავტორი მუშაობს, როგორც კონვეიერი:

გერმანელმა ქალმა ჰედვიგ კურტს-მალერმა დაწერა 209 წიგნი, მეტწილად – რომანები. გერმანულ ენაზე გამოიცა 30 მლნ. ეგზემპლარი.

ასევე ათეულმილიონობით დაიბეჭდა კარლ მაისის თხზულებები – სათავგადასავლო ლიტერატურა, სულ – 74 ტომად.

ფრანგი ჟორჟ სიმენონი ავტორია ორასზე მეტი რომანისა.

1973 წლის ფრანკფურტის ბაზრობაზე წარმოადგინეს 300.000 დასახელების წიგნი, აქედან – 40.000 გფრ-ში გამოცემული.

დასავლეთ გერმანიის წიგნის ბაზარზე, ფდბ-ოს აგენტ ჯერი კოტონზე, ყოველკვირეულად 300.000 ტირაჟით ახალი რომანი გამოდიოდა.

ამ წიგნებს ჯგუფურად წერდნენ. ავტორთა რიცხვი ზოგჯერ 40-ს აღწევდა.

ასევე ყოველკვირეული სერია იყო პერი როდანზე, ამერიკელ ასტრონავტზე, რომელიც ატომური ომის შემდეგ ბრუნდება დედამიწაზე.

წიგნების ტირაჟი იყო 230.000. იცემოდა ჯიბის ფორმატითაც. აქაც კოლექტიურად წერდნენ რომანებს.

ამერიკელ ლუი ლამურს 80-იანი წლებისათვის თავისი 80 წიგნი გამოცემული ჰქონდა 130 მლნ ტირაჟით.

ასევე უაღრესად პოპულარული იყო ფლემინგის რომანები ავანტიურულ-ჯაშუშურ თემებზე. ეს მაშინ, როცა „ულისე“ პირველად მხოლოდ ათასი ეგზემპლარი დაიბეჭდა.

70-იანი წლების აშშ-ში ყოველთვიურად იყიდებოდა 40 მლნ. კომიკსების წიგნი (ეროტიკული, სათავგადასავლო, კომიკური). შემდეგ სერიული რომანები ტელესერიალებმა შეცვალა. რომანისტები სცენარისტებად იქცნენ და ახალი ინდუსტრია შეიქმნა.

მაგ., „სანტა ბარბარა“ 2.500 სერიისაგან შედგება და წლების მანძილზე გადიოდა ტელეეკრანებზე.

ჩვენ ყველა ვხედავთ თუ როგორ არის გადატვირთული ტელე-სივრცე ერთმანეთის მსგავსი სერიალებით. ისინი აკმაყოფილებენ მასების წარმავალ მოთხოვნებს და სწრაფად ქრებიან. მათ ადგილს იჭერს ახალი სუროგატი.

შესაბამისად – კულტურის ინდუსტრია (თეოდორ ადორნოს ტერმინია) მრავალმილიარდიან ბიზნესს ატრიალებს, რომელშიც წინა პლანზე გამოდიან კინომსახიობები და ესტრადის ვარსკვლავები.

მასას გართობა აინტერესებს, პური და სანახაობა, ცეკვა და სიმღერა, სიცილი და ლაღობა, რაც კულტურას აცლის დრამატულ საფუძველს.

მაღალი იდეალები დახურდავებულია. ყველაფერი მსუბუქია და წარმავალი, როგორც შეღამების ნიავი.

მასობრივისა და ელიტარულის განყოფა

მასობრივი კულტურის ნიმუშები, შესრულებული ტექნიკითა და სათანადო გემოვნებით, დიდად პოპულარულია. მაგრამ მათ წინ არ მიჰყავთ ინტელექტუალური აზრი, ესთეტიკური ფორმა და სტილი. ისინი გვიჩვენებენ არსებულის დაუფლების დონეს (შდრ: რომანტიზმი და ფრანგული „ბულვარული რომანტიზმი“, ბელეტრისტიკა და „ბულვარული ბელეტრისტიკა“, ფერწერა და ფერადი ფოტოგრაფია, კლასიკური მუსიკა და ჯაზი).

მასობრივი კულტურა ხალხურ-ფოლკლორული ტენდენციების იმიტირება და გაგრძელებაა შეცვლილ გარემოში, შეცვლილი ატრიბუტიკით.

მისი მომხმარებელია საზოგადოების ფართო ფენები, რომელთაც არა აქვთ და არც სჭირდებათ მკაცრი ესთეტიკური იდეალი.

საპირისპიროა ელიტარული კულტურა, რომელსაც აქვს პრეტენზია იყოს ახალი გზის გამჭრელი, გემოვნების კანონმდებელი, ფორმისა და აზრის ნოვატორი: ბარის სიმხურვალეს ენაცვლება მწვერვალების სიცივე.

ასეთი ორიენტირი იწვევს სტილის გართულებასა და სიმძიმეს: აღქმას სჭირდება მომზადება, სიახლეს კი შეეგუება.

ელიტარული კულტურა არისტოკრატიზმის გაგრძელებაა, თუმცა იყენებს დემოკრატიულ ფორმებსაც, ყოფით მეტყველებასა და ჰანგებს.

ელიტარული კულტურაა კლასიციისტური ხელოვნება, პარნასელთა პოეზია, სიმბოლიზმი, კუბიზმი, „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურა, ინტელექტუალური მწერლობა (მაგ., თ. ს. ელიოტი, თ. მანი, ჰ. ჰესე), გოტიკური არქიტექტურა, კლასიკური მუსიკა, ოპერა.

ავანგარდიზმიც ელიტარულია, მაგრამ თამაშობს დემოკრატიზმის ნიღბებით, ახდენს ხალხურობისა და ყოფითი ცხოვრების იმიტირებას.

მასობრივი კულტურა შოუ-ბიზნესის ნაწილია, ემორჩილება ფულს, კომფორტული ცხოვრების კულტს. იგი იღებს ელიტარულისაგან ცალკეულ მოდე-

ლებს, მათ ანიჭებს პოპულარულ სახეს და ასე ეუფლება საზოგადოებას (მაგ., ტელესერიალები, ანიმაციური, საშინელებათა და სექს-ფილმები).

ელიტარულ კულტურას ეს მიზანი არა აქვს. მას დღევანდელ ტაშისცემას ურჩევნია ხვალინდელი სიცოცხლე, არსებობის გაგრძელება თაობათა მუხსიერებაში (მაგ., ჯ. ჯოისი, მ. პრუსტი, ა. ჟიდი, პ. ვალერი, სტ. გეორგე, რ.მ. რილკე, თ. მანი, ფრ. კაფკა, ჰ. ჰესე, უ. ფოლკნერი, ჟ. პ. სარტრი, მ. ჰაიდეგერი, გ.გ. მარკესი, ი. ბერგმანი, ფ. ფელინი, პ. პიკასო, ს. დალი, ა. შონბერგი).

იგი ინტელექტუალური მარტვილობითა და განზე დგომით იქცევს ყურადღებას, როგორც მეზღვაურთა შუქურა, რომელიც ნიშანს იძლევა თუ საით უნდა იმოდრაონ.

იდეალი არის მათი სინთეზი. როცა მასობრივი ერწყმის ელიტარულს, მაშინ იგი იხვეჭს ყველა თაობის, ყველა ფენის სიყვარულს (მაგ., ბიბლია და ყურანი, ჰომეროსის პოემები, შექსპირის ტრაგედიები, დოსტოევსკის, ბალზაკის, დიკენსის, სერვანტესის, ლ. ტოლსტოის რომანები, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“).

ელიტარული კულტურის მიღმა ყოველთვის როდი დგას არისტოკრატი, ან საზოგადოების რომელიმე მაღალი ფენის წარმომადგენელი.

მაგ., ინტელექტუალური ზოჰემა ცხოვრობს დეკლასირებულ ადამიანთა წრეშიც, სადაც ირევინ მანანწალები, ლოთები და მეძავები.

ისინი არ ესწრაფიან საზოგადოების იერარქიულ კიბეს, ბიზნესს, თანამდებობას, არ ერწყმიან მმართველ ელიტას, არ ცდილობენ მასთან სიახლოვეს.

მათ ყველაფერს ურჩევნიათ თავიანთი მიკრო-სამყარო, თავიანთი იდეებით წარმოქმნილი რომანტიკა.

ისინი ქადაგებენ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, რომლის პრინციპი წამოაყენა პარნასელმა თეოფილ გოტიემ.

არაოფიციალურად საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა ელიტარული კულტურა, როგორც პარტიულ-ადმინისტრაციული სისტემის ნაწილი. იგი თითქოს მასებისათვის შეიქმნა, მაგრამ მათ განწყობილებებსა და მოთხოვნებს ნაკლებად პასუხობდა.

ასეთ დროს გაორება გარდაუვალი იყო. მაგ., მიხეილ შოლოხოვი იყო სკკპ ცეკას წევრი, აკადემიკოსი, დეპუტატი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური, სტალინური და ნობელის პრემიების ლაურეატი, რომლის მართლაც უდიდესი რომანი „წყნარი დონი“ ავტორის სიცოცხლეში 600-ჯერ გამოიცა.

სიტყვითა და ქცევით იგი ცეკას ყველა გენერალური მდივნისა და პარტიული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი იყო, მაგრამ შემოქმედებაში სიმართლეს იცავდა. ამისი დასტურია „წყნარი დონი“ – კაზაკების ტრაგედიის ეპოპეა.

მასობრივი კულტურა გულისხმობს ადრესატს, ელიტარული – არა.

მასკულტურა კი არ ქმნის, არამედ – სერიულად ამზადებს არტეფაქტებს რომელიღაც ფენისა, ასაკისა და დროისათვის, ელიტარული ზედროული და ზეეროვნულია.

მასკულტურა კომერციის ნაწილია. ეს არის ის, რაც კარგად იყიდება. ხოლო ის, რაც იყიდება, არ შეიძლება იყოს მტკიცე და ურყევი. მას განსაზღვრავს არა

შემქმნელის, არამედ – მომხმარებლის გემოვნება და ინტერესები. მომხმარებელი საზოგადოების უპირატესი ნაწილია და ავტორი იძულებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება.

მასობრივი ვრცელდება სივრცეში, ელიტარული – დროში.

ელიტარული კულტურა არ საჭიროებს მომხმარებელს, მყიდველს, მსმენელს, მაყურებელს. მისი აუდიტორია მცირეა, ამთვისებელი – ინტელექტუალთა, პროფესიონალთა ვიწრო წრე, რომელსაც ანგარიშს უწევს მასობრივი ხელოვნება, გადააქვს მისი მიღწევები კორექტირებული ფორმით მასებში, ახდენს მათ კომერციალიზებას.

ელიტარული კულტურა არ სცნობს კოლექტიურ ინტერესებს. იგი ენდობა ინდივიდუალურ აღმაფრენას, რომელსაც გაჰყვება მასა.

ამიტომ ქმნის თანამოაზრეთა ვიწრო წრეს (მაგ., იმპრესიონისტები, სიმბოლისტები, კუბისტები, ექსპრესიონისტები) და აქ კოლექტიურად ამკვიდრებს ახალ პრინციპებს.

ზოგჯერ ელიტარული ერწყმის მასობრივს, პოლიტიკური და სოციალური პრობლემატიკა იკავებს კულტურის სფეროს და ეს საერთო ნაკადი საზოგადოების შეცვლას ისახავს მიზნად (მაგ., „ახალი ჟურნალიზმი“ აშშ-ში, „ახალი მემარცხენეები“ – ევროპის ქვეყნებში), ან – ელიტარული ბიძგს აძლევს მასკულტურას (მაგ., გოტიკური რომანი), როცა ვნებათა ამბოხი გადადის საშინელებათა და სექსუალურ ძალადობათა სურათებში, პორნოგრაფიასა და ბილწისტიკვაობაში.

მშვენიერებას ცვლის სილამაზე, სიყვარულს – სექსი, გმირულ სულს – ფანტასტიკა. წიგნის ბაზარსა და კინოსცენას იკავებს ავანტიურული, ფსევდო-ისტორიული, სამხედრო-სათავგადასავლო, ჯაშუშური, დეტექტიური, ოკულტური, პორნოგრაფიული თემები და სიუჟეტები, ადვილად აღსაქმელი რომანები, ფილმები, მულტფილმები, ტელესერიალები, ჟურნალ-გაზეთები.

ისინი ზემოქმედებენ მილიარდიან აუდიტორიაზე, აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნილებას და ამასთან ერთად ცვლიან მას.

მათი ფუნქცია გართობაა და რა სისწრაფითაც იკავებენ სცენას, ასევე ჩქარა ქრებიან. მათ ენაცვლება მასკულტურის ახალი ნიმუშები.

პროდიუსერები რეკლამებით ამკვიდრებენ სტარიზმს – ვარსკვლავთა კულტს.

რეკლამა და პროპაგანდა მაღლა სწევს საესტრადო ანსამბლის, წიგნის თუ ფილმის სახელს. მაგრამ ეს მაინც სტიმულირებაა, ღირსების წარმოჩენა და განმარტებაა. თუ მასის მოთხოვნილებას ხელოვნების ნიმუში არ შეესაბამება, რეკლამა საკმის ვერ შველის. კომუნისტების დროს მძლავრი სახელმწიფო მანქანა ეწეოდა სასურველი ავტორების პროპაგანდას, მაგრამ მასა მათდამი მაინც გულგრილი რჩებოდა.

ბესტსელერებსა და სტეიდსელერებს ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშები პოპულარობით ვერ შეედრებიან. მაგრამ ცალკეული ავტორები, წიგნები, ფილმები თუ მსახიობები აღწევენ ფართო პოპულარობას, რაც დროში მეტხანს გრძელდება, მაგ., თომას მანის „ბუდენბროკები“, ერნესტ ჰემინგუეის, ერის

მარია რემარკის, ფრანსუაზა საგანის რომანები, ფედერიკო გარსია ლორკას პოეზია, ჩარლი ჩაპლინის ფილმები.

ბიულეტენები, პრესა, რადიო და ტელევიზია პერიოდულად აქვეყნებენ ბესტსელერთა სიას, შემოსავლის ოდენობას, ტირაჟს თუ თარგმანთა რიცხვს. მაგ., ჰიტ-პარადის მიხედვით „ჰარი პოტერის“ ავტორმა ჯოან როულინგმა მიიღო 3 მლრდ დოლარი ჰონორარი.

კლასიციტურ-ელიტარული წესრიგი

არისტოკრატია დისტანცირებულია საზოგადოების მიმართ. იგი კარნახობს თავის წესებს მასას და მორჩილებას მოითხოვს, უარყოფს იმპულსურ ქცევასა და შესაბამისად – ასეთსავე აზროვნებას.

არისტოკრატია მოითხოვს დისტანციის დაცვას თავის წრეშიც, იერარქიულ დანაწილებას ანუ რაციონალიზებას, კლასიფიკაციას, გრძნობათა შეკავებას, ზომიერებას. ეს კი თავიდანვე ჭვრეტას ანიჭებს უპირატესობას.

არისტოკრატია თავისი ენაც ჰქონდა, რითაც განირჩეოდა მასებისაგან. მაგ., ევროპელებს – ლათინური ან სანსკრიტი, რუსებს – ფრანგული ან გერმანული, ქართველებს – ჯერ ბერძნული და ირანული, შემდეგ – ბიზანტიური და არაბული, სპარსული, რუსული, ამჟამად – ინგლისური.

ზედაფენაზე მოქმედებს სიტუაციის ცვალებადობა. მაგრამ ინტელექტუალთა წრეში ეს ვლინდება როგორც კონსერვატიზმი.

არისტოკრატის მეტყველება სტილიზებული, მშრალი, ზუსტი, კონკრეტული, მოწესრიგებული, ყოველდღიური წვრილმანებისაგან განტვირთულია. ხალხის ენა მისთვის ვულგარულია, უხეში, ძნელად მოსასმენი. იგი მოითხოვს ენის სტანდარტიზებას, ეს მაშინ, როცა ხალხში დუდილი გრძელდება.

იგი ცხოვრობს სიმბოლურ და არა რეალურ წრესა და ურთიერთობებში, სცილდება მიწას, ყოველდღიურ მღვრიე ცხოვრებას.

ამიტომ პასუხობს ელიტარულ გემოვნებას კლასიკური მუსიკა, ოპერა და ბალეტი, სპორტში – ჩოგბურთი, ჭადრაკი ან ბილიარდი.

არისტოკრატია თავისი წიაღიდან გამოყოფს მმართველ და კულტურში-მოქმედ ფენებს. მმართველი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერია, კულტურში-შემოქმედი – რელიგიური ან ხელოვნების მოღვაწე.

ამიტომ იყო რენესანსის შემდეგ ევროპული არისტოკრატიული კულტურის ფორმები ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი.

ელიტკულტურა მკაცრი რაციონალიზებისა და ეტიკეტის დაცვის გამო სქემას ემსგავსება, თითქოს მსახიობები გამოდიოდნენ სცენაზე და თამაშობდნენ სპექტაკლს, ოტელოს, ჰამლეტის თუ მეფე ლირის როლებს.

ამიტომ იგი ჩარჩოში ექცევა, კარგავს შემოქმედებით აღმაფრენას. ცხოვრება კი გრძელდება, იჭრება ელიტაში და ცვლის გუშინდელ მასკულტურასაც.

დროდადრო ხელოვნებაში ირღვევა ელიტარული პრინციპი და იგი იძირება მასების განწყობილებაში. შემდეგ ესეც ახდენს თავისი გრძნობების ელიტარიზებას.

ეს პროცესი მუდმივად მონაცვლეობს.

ელიტკულტურა მიემართება საზოგადოების ვიწრო წრეს, სხვადასხვა, მაგრამ მაღალ ფენებს – არისტოკრატიულს, ინტელექტუალურს, პოლიტიკურს, რელიგიურს. მათ აქვთ პრეტენზია, რომ იყვნენ გემოვნების, ესთეტიზმის, აზრის, პროგრესის ლიდერები.

თავად ელიტკულტურის მიზანია სულიერ ფასეულობათა შექმნა, მომავლის სანიშნო შუქურების ანთება.

ელიტკულტურა ქმნის შედეგს, მასკულტურა ახდენს მის ტირაჟირებას და შაბლონიზებას. ამიტომ სდევნის წიგნს კომპიუტერი, თეატრს – კინო, კლასიკურ მუსიკას – ჯაზი, ფერწერას – ფოტოგრაფია, რადიოს – ტელევიზია, ოპერას – ესტრადა.

როცა ქრის რევოლუციის გრიგალი, იმსხვრევა ტახტები და სალონები, ირდევვა წყნარი, მშვიდი ცხოვრება და ასპარეზზე გამოდიან სისხლმომწყურებული მშვიერი მასები – ელიტკულტურა გზას უთმობს მასკულტურას.

მასას მოაქვს ახალი პრინციპები, სტილი და იდეალები.

მაგ., ფრანგი არისტოკრატის პარიკი, პუდრი, თეთრი გამაშები, ბურბუშელა საყელო ნაკლებად სჭირდებოდა კვერცხისა და ქათმის ვაჭარს. იგი მალე ბურჟუად იქცეოდა და დაადგენდა ახალ ეტიკეტს, ცხოვრების სტილს, უფრო ბუნებრივს, განტვირთულს ზიზილპილიებისა და ბუტაფორიისაგან. მას არქიტექტურაც შესაბამისი უნდოდა, ავეჯიც, სამოსელიც, ზნეობაც, ლიტერატურაც.

მასკულტურის სათავე არის კლასიციისტური „სამი სტილის თეორია“, რომლის თანახმად ხალხური ენით კომედიები და რომანები უნდა ეწერათ.

კომედია იყო მიჩნეული „დაბალ ჟანრად“, ტრაგედია – „მაღალ“ ჟანრად. ხელოვანს ბუნებისათვის უნდა მიეზამა. შერჩევითი პრინციპით გაემშვენიერებინა სინამდვილე. კლასიციზმის ორსახოვანი ბუნება – არისტოკრატიული და დემოკრატიული, ანტიკური და ყოფითი, მაღალი და დაბალი, ტრაგიკული და კომიკური, ზუსტი და ანარქიული განვითარდა ელიტარულ და მასობრივ კულტურებად.

შემდეგ დემოკრატიულ ნაკადს ამკვიდრებდნენ რეალისტები და ნატურალისტები, სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობები (მაგ., სოციალ-დემოკრატები), რათა მასები მიემხროთ. ისინი ეყრდნობოდნენ ხალხურ მასალას, ცხოვრებისეულ თემებს, ყოფით ენას.

დემოკრატიულ ნაკადს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, რომლის მობილური ფორმები შოუ-ბიზნესში ჩაერთო.

კლასიციისტური ჰარმონია და სიმეტრია ყველაზე ზუსტად გეომეტრიულ ფორმებშია გამოხატული, შესაბამისად – სკულპტურასა და ფერწერაში, არქიტექტურასა და მუსიკაში.

ბუნების კონსტრუირებაც გეომეტრიული პრინციპით ხდებოდა. მაგ., პარკების გაშენება, რომელსაც უნდა ჰქონოდა სწორი ხეივნები, ერთი სიმაღლის ხეები და ბუჩქები, მათ შორის მანძილი ერთნაირი სიზუსტით უნდა ყოფილიყო დაცული.

ასეთი წესრიგი ბატონობდა ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნებში და ამიტომ ჰქონდა ნეოკლასიცისტური ხასიათი მათ კულტურას (მაგ., სტალინური ეპოქის არქიტექტურა).

კლასიცისტური რაციონალიზმი გადავიდა განმანათლებლობაში, გონებისა და ცოდნის აპოლოგიაში. მაგ., განმანათლებლები იყვნენ ჩვენი „თერგდალეულები“, რომელთაც დაუპირისპირდნენ „შვილები“: პოლიტიკაში – სოციალ-დემოკრატები, კულტურაში – მოდერნისტები და ავანგარდისტები.

XX საუკუნის ინტელექტუალური ნაკადის პოეზიაში (მაგ., ეზრა პაუნდი, პოლ ვალერი, ტომას სტერნზ ელიოტი, ბორის პასტერნაკი, სენ ჟონ პერსი) ერთმანეთს შეერწყა კლასიცისტური სინათლე, ბერგსონის ინტუიტივიზმი, ანტირომანტიკული პათოსი, ფილოსოფიური ჭვრეტა, რაციონალიზმი.

ასეთივე თვისება აქვს მარსელ პრუსტის, თომას მანისა და ჰერმან ჰესეს პროზას, სადაც მთავარია არა კონფლიქტები, სიუჟეტური დრამატიზმი, არამედ – აზრობრივი კონსტრუქცია და დინამიკა.

ყველა კულტურა, ყველა ხელისუფლება ბოლოს კლასიცისტური ხდება, რადგან მთავრდება რომანტიკულ სიახლეთა ქადაგება, მთავრდება რევოლუცია და დამკვიდრებულ იდეებს თუ ფორმებს სჭირდება კონსერვატიუზება. თანდათან ისინი დოგმებად იქცევიან და წინსვლას აბრკოლებენ ან ხდება პროფანაცია, გადაგვარება და გაუხამსება. ამგვარი სახეცვლაც უკვე განვითარება, მაგრამ რეგრესული, ხოლო ჭარბი გამყინვარება, დოგმატების ფეტიშიზება თავის წიაღში ამზადებს ახალ რევოლუციას, რომლის მდულარე ნაკადები წალეკავენ ძველ ბარიერებს (მაგ., რაციონალისტური, სქემატიზებული კლასიციზმიდან იშვა სენტიმენტალიზმი, რომელიც გადავიდა რომანტიზმში).

კლასიცისტურ–ელიტარულ წესრიგს ენაცვლება რევოლუციურ–პლებეური ანარქია, რომელიც დაამკვიდრებს სიახლეს, გაიმეორებს ძველ გზას და ბედიც იგივე ეწევა. მაგ., გოეთე ჯერ ებრძოდა კლასიციზმს, შემდეგ თავად გახდა კლასიცისტი. ამიტომ მოხდა რომანტიკოსების მასთან დაპირისპირება.

კონსერვატიზმი და მოდერნიზმი მარად ურთიერთმონაცვლე ძალებია, რასაც წინ მიჰყავს კულტურა და საზოგადოება.

მომრაობა და ცვალებადობა კულტურისა და საზოგადოების სიცოცხლის ნიშან-თვისებაა (იხ. „ექსპერიმენტი – ესთეტიკური და ანტიესთეტიკური“).

მასკულტურის ფორმები

მასობრივმა კულტურამ, აუდიტორის მოსაზიდად, ერთმანეთში გათქვიფა სხვადასხვა სტილი, იდეა, ფორმა; არია ჟურნალიზმი და რომანტიზმი, ნატურალიზმი და ავანგარდიზმი, ერთი მხრივ – დავიდა სინამდვილემდე, ვულგარულ და უხემ ყოველდღიურობამდე, მეორე მხრივ – წამოსწია ის თემები და მოტივები, რომელთა თამაში აღვიძებს ინსტინქტებს, შეესაბამება მდაბალ გემოვნებას.

მასკულტურისათვის მთავარია პრაგმატიზმის თეორიული პოსტულატი – ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა (პირსი, ჯემსი, დიუი).

მასობრივმა კულტურამ შექმნა თავისი ჟანრები, ფორმები, ლექსიკა, დიზაინი, თავისი სტერეოტიპი, თავისი იმიჯი.

პრამატული, ინტერკავშირებით გაერთიანებული სამყარო მოუხმობს მოქმედ, ენერგიულ, პრაქტიკულ ადამიანებს – მათ სევდისა და ჭკრეტისათვის არ სცალიათ.

მასკულტურის ხელოვანი დადის ინსტინქტებამდე, რადგან ინსტინქტები ყველა ერსა და რასას მეტნაკლებად აერთიანებს.

მათი მოდელირებით ყალიბდება ყველასთვის გასაგები ინტერკულტურა, რაც ხელს უწყობს გლობალიზაციას.

„ახალი რომანი“, „სტრუქტურული კინო“, „იატაკვემა კინო“, კონკრეტული პოეზია, ბრეიქდანსი, ჯაზი, ელექტრონული მუსიკა, ვესტერნი და დეტექტივი, ტრილერები და ტელესერიალები, სპორტი და ესტრადა, ფანტასტიკა და პორნოგრაფია, საშინელებათა და სათავგადასავლო, ისტორიული და ბიოგრაფიული კინო და ტელეფილმები ავრცელებენ პოპულარულ, იოლად აღსაქმელ თემებს, მოტივებს, პერსონაჟებს, სიუჟეტებს.

ლიტერატურისა და კინოხელოვნების პერსონაჟები გახდნენ ბოვეიკი და სუპერმენი, მკვლელი და სექსბომბი, კოვბოი და ფლეიბოი. სუპერმენი თანამედროვე ზეკაცია, რომელიც თავის სხვებზე უპირატესობას ამკვიდრებს. იგი დაუმარცხებელი, ყოვლისშემძლე გმირია, ტყვია არ ეკარება ცეცხლი არ ეკიდება, ყველა ხიფათს თავს აღწევს (მაგ., სტალონი, შვარცნეგერი).

ცხადია, მათ გარდა ხელოვნება აჩვენებს ეჭვით, სევდით, ნევროზით შეპყრობილ ან თავიანთი საქმიანობის და განცდებით დაკავებულ უმწეო და უბრალო ადამიანებს, დისნეის მიკი მაუსის მსგავს აუტსაიდერებს, პატრიოტებსა და ინტელექტუალებს. მაგრამ ისინი არ არიან მასის იდეალი, მათი ფიქრები და ოცნებები არ გადადის ზეადმტაც ბრძოლასა და თამაშში.

მასების მოთხოვნა არის ჰიტი, შლაგერი, ბესტსელერი, როგორც მათი გემოვნების შესატყვისი.

მათ ბადებენ პარალიტერატურა, ტრილერი, პორნო-კიჩი, ჰეპპენინგი, გინოლი, ვესტერნი.

პოპ-არტი პუბლიკის მოსაზიდად, აუდიტორიის დასაპყრობად მიმართავს ექსპერიმენტებსაც, ანტიესთეტიკურსა და ნატურალისტურს.

ლიტერატურაში იგი ვლინდება სიუჟეტის, ხასიათის, კომპოზიციის დაშლით, ცხოვრების სურათების თავისუფალი, ასოციაციური დინებით, საგაზეთო ტექსტებითა და რეკლამებით, ინფორმაციების განმეორებით, ვულგარული ენით.

მეტყველება გამოდის სხეულიდან, ფიზიოლოგიური პროცესებიდან, არა გონებიდან. შესაბამისად იგი მიემართება არა ინტელექტს, არამედ – ინსტინქტებს, – თვლის პოპ-არტი („მე, პირველ ყოვლისა, ვარ სხეული, ცხოვრება კი მხოლოდ სხეულის ისტორია“).

ამისი შესატყვისია სპორტში კიჩი – ბრძოლა წესების გარეშე, რათა რეალობასთან მაქსიმალურმა მიახლებამ აღძრას მძაფრი ემოციები, როგორც ოდესღაც ამფითეატრში ბრძოლებმა ან დღევანდელ კორიდაზე – ხარებთან შეტაკებამ.

პოპ-არტის თეორია ჩამოაყალიბა იტალიელმა ანჯელო გულიელმომ წიგნში – „ეკონომური ლიტერატურა (1973)“, „მასობრივი საზოგადოების“ თეორია კი – უოლტ როსტოუმ წიგნში – „ეკონომიკური ზრდის თეორიები“ (1960).

გულიელმის სიტყვით, ლიტერატურამ ქაოსი უნდა შექმნას, მუდმივი დის-ჰარმონია, არ შეეგუოს არსებულ წყობილებას, ქცევის ნორმებს, უარყოს ესთე-ტიზმი და ენობრივი წესრიგი.

პოპ-არტი ცივილიზაციის კულტურაა, მისი სამოქმედო გარემოა თანამედ-როვე ქალაქი.

პოპ-არტი იყო კონტრკულტურა. იგი პირველად 1960 წელს გაისმა ჰიპები-სა და ბიტნიკების მისამართით. ისინი აგრესიას სხვადასხვა ფორმით გამოხა-ტავდნენ, მათ შორის ეროტიკის სფეროში – ჰომოსექსუალიზმით. ცივილიზა-ცია და კომფორტული ცხოვრება უღვივებდათ ნიჰილიზმსა და დეპრესიას, როცა არ იცი რა გააკეთო, შენ რაღა დაგრჩა მისაღწევი.

სხვადასხვა თაობის თინეიჯერებმა შექმნეს თავიანთი სუბკულტურა, მაგ., როკერებმა – ტყავით შემოსილმა მოტოციკლისტებმა გააღმერთეს როკი, შეკ-რეს თავიანთი ბანდა, სადაც დაამკვიდრეს მამაკაცური სტილი, აგრესია და ჩხუბი.

ერთხანს გავრცელდა პანკური მოძრაობა (პანკი „ქუჩის გოგონას“ ნიშნავს) – პანკ-მუსიკა, პანკ-პოლიტიკა, პანკ-კულტურა, ანსამბლი „სექს პისტოლზი“, პანკური ჯგუფები – „მახრჩობელები“, „დაწყევლილები“, „იქს თაობა“... შემ-დეგ მათ დაუპირისპირდნენ ტედები, ტედებს – ბაბები. ბაბა ჰიპს ბაძავდა, ნარ-კოტიკებს იყენებდა, მთელი დღე მუსიკას ისმენდა, გრძელ თმებს ატარებდა.

საზოგადოების დიფერენცირება აისახა მასობრივ კულტურაში, რაც, სო-ციოლოგიური თვალსაზრისით, კარგად გამოავლინა პოპ-არტმა.

მხატვრობაში სიტყვა „პოპი“ პირველად იტალიელმა ედუარდო პაოლოციმ გამოიყენა (1947), ხოლო გაავრცელა ინგლისელმა რიჩარდ ჰამილტონმა, რომ-ლის კოლაჟი პორნო-ნატურალისტურ ფოტოგრაფიას ჰგავდა (1956). მაგრამ ოფიციალურ დამწყობად ითვლებიან ამერიკელები – რობერტ რაუშენბერგი და ჯასპერ ჯონსი.

პოპ-არტი გადმოცემდა ნატურალისტურ, ყოფით, კულინარიულ, ეროტი-კულ, ექსცენტრულ, ურბანულ სცენებს, რომელთა ადრესატი არის ახალგაზრ-დობა.

პოპ-არტში მნიშვნელობას ჰკარგავს შემოქმედებითი ნიჭი, შთაგონება და აღმაფრენა. აქ მთავარია ფიზიკური რეალობის ნატურალისტურ-ფოტოგრა-ფიული, პლაკატური წარმოდგენა, მანქანური მოქმედება.

ასევეა კომიკსებშიც, სადაც სურათებს ერწყმის ტექსტი, როგორც ტელევი-რანებზე – კადრებს ტიტრები.

პოპ-არტში მთავარია კოლაჟი – სხვადასხვა საგნებისა და ფაქტების ნატუ-რალისტური თავმოყრა, მხატვრობაში – ქაღალდზე ან ტილოზე დაწებებული ყოფითი საგნები, ფერებითა და სიტყვებით თამაში. ასევე იქცეოდნენ პიკასო და ბრაკი.

პოპ-არტი გააქვს საზოგადოებაში და რეკლამას უწევს მას-მედია, ხოლო ითვისებს მას-მარკეტი – მაყურებელი, მსმენელი, მკითხველი. ისინი წარმოშო-ბენ ე.წ. ვარსკვლავებს, რომელთა სახელებით წარმართავენ შოუ-ბიზნესს, მას-მედიას. ვარსკვლავსა და მას-მარკეტს ერთმანეთი სჭირდებათ. ამ ტრიადის სინქრონულ მოქმედებას მოაქვს ფინანსური წარმატება, რაც არის მიზანი (მაგ.,

ჰიუსტონის სიცოცხლეში გაიყიდა მისი სიმღერების 170 მლნ ფირფიტა, ხოლო მაიკლ ჯექსონისა – 750 მლნ ჩანაწერი).

პოპ-მუსიკა და როკი მსუბუქ, საესტრადო სიმღერებს ავრცელებს, რომლებიც სრულდება ელექტროინსტრუმენტებზე და აკმაყოფილებს ახალგაზრდების აღზნებულ ფანტაზიას.

მათ ჰყავთ თავიანთი ფანები და ფენჯები.

მათ ერქვათ ჰიპები და პანკები, ბიტლომანები და ბიტნიკები. ისინი ანარქიულად მოძრაობდნენ, ესწრაფვოდნენ თავისუფლებას, ებრძოდნენ მორალურ ნორმებს, კომფორტულ ცხოვრებას, მიმართავდნენ ნარკოტიკებს, გრასსა (მსუბუქი ნარკოტიკი – ბალახი) და ტრიპს (ხანგრძლივი ზემოქმედების ნარკოტიკი).

„ამსტერდამისაკენ“ – ეს იყო ჰიპების პაროლი, რომელთაც მდიდრულ ცხოვრებას არჩიეს უკუქცევა პირველყოფილობისაკენ.

„გადარეულ მოდემას“ (აზიური ფუცინტოკუ), „გატეხილ თაობას“ თუ „გაბრაზებულ ახალგაზრდობას“ თავისი მესიტყვენი მოჰყავდა, რომლებიც ასცილდებოდნენ ოფიციალურს, დაამსხვრევდნენ კონსერვატივს, ტრადიციულ ნორმებს.

კულტურული და სექსუალური რევოლუციები სხვადასხვა სფეროებში ახდენდა გადატრიალებას. იცვლებოდა გემოვნება, თაობების შეგნება, ღირებულებები, დამოკიდებულებანი.

ჯინსიანი „შვილი“ ცილინდრიანი „მამისაგან“ განსხვავებულ გზას ეძებდა. მას ორიენტირიც სჭირდებოდა, რაც შეაკავშირებდა სხვადასხვა თაობებსა და მასებს.

საყოველთაოდაა ცნობილი ფრენსის კოპოლას „ნათლია“, ჟან მარეს ფანტომასი, ჟორჟ სიმენონის კომისარი მეგრე, კონან დოილის გამომძიებელი შერლოკ ჰოლმსი, ჯილბერტ ჩესტერტონის პატრი ბრაუნი, ალექს რაიმონდის ფლემ გორდონი, იან ფლემინგის ჯეიმს ბონდი, ვაისმიულის ტარზანი, შვარცნეგერის სუპერმენები...

ერთმანეთში ირევა სინამდვილე და ფანტაზია, სენსაცია და მელოდრამა, ოცნება და რეკლამა, ფაქტები და სააზროვნო მოდელები, მთავარია წიგნს მყიდველი ჰყავდეს, ფილმს – მაყურებელი, კონცერტსა და ესტრადას – მსმენელი. ამ ტენდენციას მოჰყვა პოლიტიკური თემებით სპეკულირება, მაგ., ფაშიზმის ისტორიასა და ჰიტლერზე დაიწერა 100.000-მდე ნაშრომი. კინო, ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება, ფირფიტები, პრესა, ტელევიზია – ერთი პერიოდი დიდ ადგილს უთმობდა ჰიტლერის თემას.

დაიბეჭდა მესამე რაიხის გენერლებისა და მოღვაწეების უამრავი მემუარები. გფრ-ში ყოველკვირა გამოდიოდა 100.000-იანი ტირაჟით ე.წ. „რვეულები“, სადაც ქვეყნდებოდა ყოფილ ჰიტლერელთა მოგონებები. არ დარჩენილა არცერთი გერმანული დივიზია, რომელსაც არ მისძღვნოდა გამოკვლევა.

მოხდა ისტორიული გმირებისა და ფაქტების გადახარისხება, ფსიქოანალიზური გადააზრება. მაგ., ცნობილ კინოფილმში „სპარტაკი“ (მსახიობი კერკ დუგლასი) გამოყვანილია არა შარვანდმოსილი მამაცი მემბოხე, არამედ – არც

თუ წარმატებული გლადიატორი, რომელიც შემთხვევით გახდა ლიდერი; ბრძოლაში კი არ დაიღუპა, არამედ – წამებით აღესრულა.

მასკულტურის შემოქმედებს, მის ვარსკვლავებს ასეულობით მილიონი დოლარი ჰქონდათ, სდევდათ ფანების ტაში და ლამის ღმერთებს გაუტოლეს. მაგრამ სასტიკი ბედისწერა მათ სიცოცხლესაც ანადგურებდა:

ჯონ ლენონი ფანატიკოსმა მოკლა, ელვის პრესლი, რომელიც ოქროთი და-ფარული „კადილაკით“ დადიოდა, დეპრესიამ შეიწირა, მერილინ მონრომ თავი მოიკლა, რიტა ჰეიორთი, რომლის პერსონაჟის სახელი „ჯილდა“ ეწერა ნა-გასაკიზე ჩამოგდებულ ატომურ ბომბს, ალკოჰოლს გადაჰყვა, ნარკოტიკების მსხვერპლი გახდნენ ედიტ პიაფი, ფრედი მერკური, მაიკლ ჯექსონი, უიტნი ჰიუსტონი...

მასკულტურა არღვევს აკადემიურ ფორმებს, შემოაქვს გრძნობათა მღვრიე და მსუბუქი ნაკადი, რათა კულტურას ჰქონდეს არა სტერილური, არამედ – ცხოვრების შესატყვისი სახე. ამიტომ მასკულტურა გადადის ელიტარულში, ელიტარული იშლება მასკულტურაში ან ყალიბდება შუალედური ჟანრები, რომლებიც ზომიერად აერთებენ ავანგარდისტულ ექსცენტრიკასა და ტრადიციულ კონსერვატიზმს (მაგ., დილან ტომასის პოეზია, ვლადიმერ ნაბოკოვის „ლ .ლ .ტ .“).

საბჭოთა კავშირში ამგვარი დაყოფა არ იყო მიღებული – აქ ყველაფერი მასისთვის იქმნებოდა, მაგრამ მას უნდა ჰქონოდა ინტელექტუალურ-იდეოლოგიური აზრი და ფორმა. ელიტარული ყოველივე სძულდატ ბოლშევიკებს – ეს აგონებდათ არისტოკრატიულსა და ბურჟუაზიულს.

გარდა ამისა, სახელმწიფო უზრუნველყოფდა კულტურის განვითარებასა და გავრცელებას, აყალიბებდა იერარქიულ პრინციპზე აგებულ კორპორაციულ კავშირებს. ამიტომ არ სჭირდებოდათ ფიქრი აუდიტორიის დასაპყრობად. ხელოვანი არსებული ფორმებისა და იდეების ჩარჩოში მოძრაობდა, ახალზე ფიქრი მხოლოდ ახალი თავსატეხი ხდებოდა – მას არ მიიღებდა ან ეჭვით შეხედავდა როგორც მასა, ისე პარტიული ელიტა.

მაგრამ არსებობდა ელიტარული და მასობრივი ტენდენციები. ეს უკვე გამოდიოდა თავად კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების სპეციფიკიდან, რომ ზოგი ფორმა და იდეამეტადაა პოპულარული, ზოგი – ნაკლებად. ცხადია, აქაც არსებობდა დაუფლების ხარისხი, მარჯვე და მომგებიანი თემების მეტი ექსპლოატაციის უნარი, ან – ჭვრეტისა და აზროვნებისაკენ მიდრეკილება (მაგ., ბ. პასტერნაკის, ს. ჩიქოვანის პოეზია, მ. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, ა. ტარკოვსკის ფილმები).

საბჭოთა კავშირში უნდოდათ, რომ კულტურის ეს ორი თვისება, ეს ორი ნაკადი გაეერთიანებინათ – წიგნი, სპექტაკლი თუ მუსიკა ერთდროულად ყოფილიყო როგორც მასებისთვის მისაწვდომი, ისე მაღალინტელექტუალური (ცხადია, პარტიული გაგებით).

საქართველოშიც ასე ხდებოდა.

ელიტარიზებაზე უფრო ფასობდა პოპულარობა, რადგან ეს პოპულარობა მოპოვებული იყო ფილტრაცია-შემოწმების სისტემაგავლილი სპექტაკლებით, რომანებით, ფილმებით, სიმღერებით.

საქართველოში გატაცებით კითხულობდნენ „ჯაყოს ხიზნებსა“ და „არსენა მარაბდელს“, „მთვარის მოტაცებას“ და „დიდოსტატის მარჯვენას“, „ილიკოსა და ილარიონს“, „დათა თუთაშხიას“. მაგრამ კიდევ უფრო პოპულარული იყო პარმენ ლორიას რომანები.

ერთხანს მათ გადაამეტა გვეტაძის „მონანიებამ“, რამაც მწერალთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

მასობრიობის ნიშანი იყო ხალხურობა და გასაგები ენა, ელიტარულობის – პარტიისათვის მისაღები იდეების (საბჭოთა პატრიოტიზმი, კლასთა ბრძოლა, მშვიდობის ქადაგება, საკოლმეურნეო მოძრაობა, ახალი ადამიანის – ბოლშევიკის ფორმირება) რეალისტური ფორმებით გადმოცემა.

ამიტომ მასკულტურა საბჭოთა კულტურის თანამდევნი იყო და სავსებით ბუნებრივია, რომ იგი ხალხის მხარდაჭერას ჰპოვებდა. ელიტარული ტენდენციები უარყოფილი არ იყო (მაგ., საქართველოში გალაკტიონის, ს. ჩიქოვანის პოეზია, კ. გამსახურდიას პროზა, თ. აბულაძის ფილმები, რ. სტურუას სპექტაკლები, ო. ჭილაძის პოეზია და პროზა), დაფასებულიც გახლდათ, მაგრამ ახალთაობისათვის მისაბამ ნიმუშად არ თვლიდნენ.

შოთა ნიშნიანიძე, ერთი მხრივ წერდა იდეოლოგიზებულ, კარგ ლექსებს, მეორე მხრივ – ისინი არ იყო ისე სადა, როგორც ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“; ალიო მირცხულავას კომკავშირულ-პარტიული პოეზია იდეოლოგიურ დოგმებს აკმაყოფილებდა, მაგრამ მათ მიღმა ვერ იხედებოდა, ე.ი. შეზღუდული იყო, აუდიტორიას ვერ იკრებდა. ამ თვალსაზრისით სანიმუშოდ იყო მიჩნეული ნოდარ დუმბაძის პროზა და მიენიჭა კიდევ ლენინური პრემია – საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო.

ჭაბუა ამირეჯიბის პოპულარობას დიდად შეეშველა სატელევიზიო კინოფილმი. იდეოლოგიის გარეშე მასკულტურის ტენდენციები განაპირობებდა ლადო ასათიანის, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის პოეზიის, რევაზ მიშველაძის ნოველების წარმატებებს. ხოლო ელიტარობისაკენ სწრაფვა ზღუდავდათ ტარიელ ჭანტურიას, ოთარ ჭილაძეს, ლია სტურუას, ოთარ ჩხეიძეს, რეზო ჭეიშვილს.

90-იანი წლებიდან საქართველოში მასკულტურა ანტიკულტურად იქცა. გაბატონდა ნატურალიზმი, პორნოგრაფია და ბილწსიტყვაობა, რითაც დაუპირისპირდა როგორც კლასიკას, ისე მოდერნიზმს. შედეგად პუბლიკა დაკარგა როგორც მასაში, ისე ელიტაში.

ალბათ, საქართველოშიც მოხდება განყოფილი ელიტარულ და მასობრივ კულტურებს შორის, ექნებათ თავიანთი ფორმები. ჯერჯერობით ხდება მასობრივის ვულგარიზება და ელიტარულის და პროფესიონალურის უარყოფა.





„ზღაპარ იყო“... (ზღაპრის მორფოლოგია)

ყველაფერს ამ ქვეყნად, ფშვინვიერსა თუ უსულოს, მიწიერსა თუ გონით შექმნილს, თავისი მორფოლოგია-აგებულება აქვს. ზღაპარი ამ უკანასკნელ რიგშია. მისი ძირითადი ინგრედიენტებია: სათაური (სახელდება), ფაბულა, სიუჟეტი, პერსონაჟები, გარემო, დრო და სივრცე, წარმოსახვა, მხატვრულობა, მეზღაპრისეული თხრობის მანერა და მანერულობა, დასაწყისი თუ დასასრული და სხვ.

სწორედ ეს უკანასკნელი – დასაწყისი და დასასრული გამოარჩევს ზღაპარს ინდივიდი მწერლის მხატვრული ტექსტისაგან. და კიდევ ერთიც: ზღაპრის ავტორობის კოლექტიური ხასიათი და ზეპირმეტყველება. ზღაპრისეული ზეპირმეტყველება კი სხვა არაფერია, თუ არა ზღაპრის მთქმელის ეპოქის ნიშნეული ენობრივი ქარგა – ცოცხალი მეტყველება დიალექტურ-კილოური სახე-ხვეულებით, ჩაგვირისტებულ-ჩაწნული სადა და სადაგი დიალოგებითა და ლანდშაფტური ლექსიკით – წმინდა, რაფინირებული, ფხიანი ქართული სიტყვებით.

ზღაპრის დასაწყისი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მთქმელი იმავდროულად ადასტურებს და უარყოფს ზღაპრის გმირთა არსებობას და ეს მაცდურობა, როგორც დასაწყისი, ერთგვარად აშანტაჟებს და იმავდროულად აინტრიგებს მსმენელსა თუ მკითხველს, ერთიორად ზრდის ზღაპრის შინაარსის გულდასმით და გულხმიერ აღქმას.

მაგალითად, თუ ერთმანეთს შევუდარებთ ქართული (ინგლისური, გერმანული, რუსული, აზერბაიჯანული ზღაპრების...) დასაწყისს ან დასასრულს, თვალნათლივ დავინახავთ ქართული მეზღაპრის ზღაპრისეულ არქიტექტინიკას, გადმოცემის სტრუქტურას, დასასრულის დასასრულს – პოეტურ ფინალს... რეფრენივით რომ დაჰყვება ოსტატურ-სალექსო თქმით მსმენლის ძილის მოსაგვრელ და ბავშვისთვის განკუთვნილ „დამავალ“ და მიძინებით-მინაბულ მეტყველებას.

თითქოს ქართულ „იყო და არა იყო რას“ სავსებით შეედარება სათანადო ზღაპრის რუსული დასაწყისი: „Кто был, а кого и не было. Жили-были два соседа“... ან კიდევ: „Жил-был...“, «Кто-то был, а кого и не было», „Давным-давно жил“, მაგრამ ქართული სხვაა, აქ უფრო მეტია ტევადობა – შთაყურსული აზრის სიღრმე.

რაც შეეხება ზღაპართა დასასრულს, არც ერთ ზღაპარს არ ახლავს ისეთი ლექსად თქმული დასასრული, როგორც ქართულ ზღაპარშია („ჭირი იქა...“, „მთას ურემი დავაგორე“, ან „ელასა-მელასა“ და მისთ.).

აღსანიშნავია, რომ ზღაპრის დასაწყისის თვალსაზრისით, ტიპოლოგიურად საინტერესოა ლიტერატურული თხზულების, კერძოდ, მოთხრობის ზოგი ავტორის ცდა _ ერთგვარ ხერხად გამოიყენონ ზღაპრის საწყისი აზნაფი. ჯერ კიდევ ქართულ ორიგინალურ და უძველეს ჰაგიოგრაფიულ ძეგლში, უპირველეს ძველ ქართულ მოთხრობაში „შუშანიკის წამებში“ ავტორი, იაკობ ხუცესი, ძირითადი ტექსტის მეორე აზნაფს ასე იწყებს: „იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში“ [1, 5]. პირველი აზნაფი კი, როგორც ცნობილია, „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“-თ იწყება. მიუხედავად იმისა, როგორი ინტერპრეტაცია და ახსნა-წარმომავლობა დაუძებნოთ ამ ორ აზნაფს, ვერც ერთი მკვლევარი და ინტერპრეტატორი გაექცევა „იყო მერვესა წელსა“-ს დასაწყისს. ჩვენი აზრით, ეს დასაწყისი წარმოშობითა და ტრადიციულობით ზღაპრისეულია. ზღაპარი ხომ ქრონოლოგიურად ბევრად უსწრებს ნებისმიერი ერის საეკლესიო თუ საერო მწერლობის ნიმუშებს..

თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც ხერხად ზოგ ავტორსაც გამოუყენებია „ზღაპრის დასაწყისი“. მაგ., საქართველოში არცთუ ცნობილ მწერალს მიხეილ ხარბიჭონაშვილს, რომელმაც 1991 წელს გამოსცა მოთხრობების კრებული „მამა და შვილი“ [2, 40]. კრებულში გამოქვეყნებულ ბოლო მოთხრობისათვის უწოდებია: „იყო ერთი მოხუცებული“ (გვ. 40). სათაური აქაც აშკარად „ზღაპრისეულია“. როგორც მოთხრობის დასასრულიდან (ფინალიდან) ვიგებთ, ქალაქელი ბიჭს, სოფელში ბებიასთან გაზრდილსა და დავაჟაკებულს, ჯარიდან დაბრუნებისას ბებია ძლიერ ავად დახვედრია და ბებიას, როგორც ირკვევა, დიდხანს აღარ უცოცხლია. შვილიშვილი ბებიას, გამხნეების ნიშნად, ასე მიმართავს:

„ _ ბებია, ჩვენს ეზოს მიკიოტმა ხომ არ გადაუფრინა, ასეთ ყოფაში რომ გხედავ? _ ვცადე გახუმრება, თუმცა თავს ძალას ვატანდი, რომ არ ავკვითინებულყავი.

_ შენ გჯერა მიკიოტების? _ მკითხა გაკვირვებით ბებიამ.

_ სულაც არა.

_ ჰოდა, მიკიოტმა ვის რა უნდა დააკლოს, ერთი საცოდავი ფრინველია, შვილო.... სიბერემ სიცოცხლის გზა გადამიჭრა, ეს არის და ეს. ჩემი სიკვდილი ნუ შეგაშინებს, შენ უკვე ვაჟკაცი ხარ, ერთსა გთხოვ მხოლოდ: საფლავზე ერთი უბრალო ქვა დამადე და უბრალოდვე წააწერე: „იყო ერთი მოხუცებული“ (გვ. 60).

შვილიშვილმა ბებიას ანდერძი შეუსრულა და ერთი კვირის შემდეგ მის საფლავზე ქვა დაადო, ქვაზე, ანდერძის კვალობაზე, საკუთარი ხელით ამოუკვეთა ნაანდერძევი სიტყვები: „იყო ერთი მოხუცებული“.

როგორც, მოთხრობის სათაურში, აქაც, სიცოცხლის დასასრულს ზღაპრის ზღაპრულობა _ „იყო ერთი მოხუცებული“ აშკარად „იყო და არა იყო რა“ არის. ვფიქრობთ, „იყო და არა იყო რა“ ზღაპარში მხოლოდ უბრალო დასაწყისი არაა,

პირიქით – აქ დიდი ფილოსოფიური სიღრმე და სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული შეყრა-გაყრის ფორმულირება გვაქვს. ეს ხატოვანი გამოთქმა არა მარტო ქრისტიანული ხანის, არამედ ქრისტიანობამდელი ეპოქების ფილოსოფიურ ფორმულად უნდა აღვიქვათ.

P.S. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: თეატრის რეჟისორმა რობერტ სტურუამ და კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ ერთობლივად დაწერილ და შუშანიკ დედოფლის იუბილესადმი მიძღვნილ ლიბრეტოს (1980-იანი წლები) „იყო მერვესა წელსა...“ უწოდეს“ [3, 22-38].

„იყო მერვესა წელსა...“ აქ თითქოს ერთგვარ რეფრენად ჟღერს, ისე როგორც ზღაპარშია: „იყო და არა იყო რა“.... ცხოვრება, ისე როგორც სიცოცხლე ხომ მართლაც ლამაზი ზღაპარია, რომელსაც დასაწყისიც აქვს და დასასრულიც.... ასე რომ როგორც ზღაპარამონარიდ ერთ საესტრადო სიმღერაშია: „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“-ს..., სათავე ანუ თავი და ბოლო, ან კიდევ ანი და ჰოე, კვლავ ზღაპარში ეძებნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ და ე. გიუნაშვილმა. თბ., 1985.
2. მ. ხარიტონაშვილი, „მამა და შვილი“. მოთხრობები, „ნაკადული“, თბ., 1991.
3. ნ. დეკანოსიძე, ბიძინა კვერნაძის ოპერა „იყო მერვესა წელსა (ლიტერატურული პირველწყარო, ლიბრეტო, კომპოზიტორისეული ვერსია. იხ.: კრებ.: სახელოვნებო მეცნიერებათა მიეზანი, #3 (32), თბ., 2007.





diana focxveraSvil i

შემოქმედებითი პროცესის შიდა მხატვრული და ზოგადკულტურული ფაქტორები

ისტორიულად ხელოვნების გარეგანი და შინაგანი ფაქტორების როლი არ იყო ერთგვაროვანი. მხატვრული ევოლუციის ვულგარულ-სოციოლოგიური ანალიზის თავიდან ასაცილებლად, ახალი მხატვრული ფორმების წარმოშობის მიზეზების განმარტებისათვის, მეცნიერება დაჟინებით მოითხოვდა „შიდა მხატვრული მუტაციების“ განმსაზღვრელი როლის აღიარებას.

ამასთან ერთად, ხელოვნების ენის კავშირებისა და ელემენტების დამოკიდებულებების წვდომით, მხატვრულად გათვითცნობიერებული ადამიანი არა მარტო ესთეტიკურ ტკობას განიცდის, არამედ კულტურული არსის სიღრმეებსაც ეზიარება. მხატვრული ტექსტის „მიღმა“ ყოველთვის ამოიცნობა ადამიანის განსაზღვრული სახე, ეპოქის მსოფლშეგრძნების ტიპი, სხვა სიტყვებით, ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი კულტურული დომინანტი. რა ინტენსივობით ახდენს უკანასკნელი გავლენას მხატვრული მიებისა და ევოლუციის პროცესზე? შესწევთ კი უნარი ისტორიულ-კულტურულ რეალიებს ხელოვნების სახივანი სტრუქტურის კორექტირება და თვით ფორმათწარმოქმნის მექანიზმებზე გაშუალებული ზემოქმედება?

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე არსებული ხელოვნებათმცოდნეობითი სკოლების მტკიცებით, ხელოვნების მხოლოდ შიდა მხატვრული და ტექნიკური პრობლემების კვლევა-ძიება ნაყოფს ვერ გამოიღებს, რადგან მხატვრული აზროვნების ხერხები მჭიდრო კავშირშია განსხვავებული ეპოქების ადამიანის ყოფასა და მსოფლშეგრძნებასთან, მისი კულტურული თვითცნობიერების თავისებურებებთან. ამ მხრივ, ბევრი გაკეთდა ვენის ხელოვნებათმცოდნეობითი სკოლების მიერ. მათი აზრით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ძნელია მოცემულ ნაწარმოებში განხორციელებული ახალი ფსიქოლოგიური ორიენტაციების წყაროს ამოცნობა: არა მარტო სამყაროს სურათი, და საერთო მენტალური განწყობილება, არამედ მხატვრული პროცესის ლაბორატორიულობა („შემოქმედებითი რობინზონადის“ ფენომენი), მისი თვითგანვითარება ბიძგს აძლევს რეაქციების, წარმოდგენების, გემოვნების ახალ სახეებს. ამგვარად, თვით ხელოვნება, ხშირად გვევლინება ახალი ფსიქიკური სტრუქტურების ჩამოყალიბების ფაქტორად და აქ მისი შესაძლებლობები უსაზღვროა.

ინტერესს იწვევს განსახილველი პრობლემების თანამედროვე კვლევის მეთოდები. ავტორიტეტული დისციპლინათა შორისო მიდგომებით წყალობით, ხელოვნების ისტორიის, სინთეზი კულტუროლოგიას, ისტორიულ ფსიქოლო-

გიასა და ანთროპოლოგიასთან, ნათელს ჰვენს ისეთ რთულ პრობლემებს, როგორცაა მხატვრული აზროვნების მყარი ფორმების ერთდროული წარმოშობა; უშულო ურთიერთზეგავლენის არ მქონე საზოგადოებების მხატვრული ნაწარმოების ერთიანი კომპოზიციური ხერხები, ეთნოსის ფსიქიკურ ნირსა და მხატვრული ფორმის წარმოქმნის პროცესს შორის უკუმოქმედების ურიცხვი ნიუანსი.

ხელოვნებათმცოდნეობითი, ფსიქოლოგიური და ესთეტიკური მიდგომების სინთეზის ახალი სურათი იმდენად რელიეფურია, რომ ძნელი დასადგენია, როდის გვაქვს საქმე მხატვრულ-მენტალური ტენდენციების სტრუქტურებთან ესთეტიკოსების მხრიდან, და როდის – მუსიკოსების, ხელოვნებათმცოდნეების, ლიტერატურათმცოდნეების მხრიდან. ასეთ მიდგომებს ახასიათებს დიაქრონია, წინა თაობების შეცდომების თავიდან აცილება, ზედაპირული სინთეზის გადალახვა, ისტორიულ-მხატვრული ხერხების ძიება და აღმოჩენა. ამ რიგის სახვითი, მუსიკალური და პოეტური ენის სახოვანი სტრუქტურის ისტორიის წარმატებულ კვლევებში, ისტორიულ-ფსიქოლოგიური მოტივები წარმოჩენილია, როგორც განვითარებადი მხატვრული პროცესის განუყოფელი შინაგანი მხარე.

ხელოვნების ისტორიაში მოქმედი კულტურული ფაქტების კომპლექსის გამოვლენის ახალ ეტაპად მიჩნეულია ერვინ პანოვსკის (1892-1968) და არნოლდ ჰაუზერის (1892-1981) მეცნიერული კვლევები. პირველის მოღვაწობა უკავშირდება, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩასახულ, ა. ბარბურგის, ე. კასირერისა და ა. რგლის სახელებთან დაკავშირებულ, ხელოვნების ანალიზს; ხოლო ჰოლანდიელი მკვლევარი გ.ხ. ხუგერვერფი იკონოგრაფიულ ანალიზით ცდილობდა დაედგინა თუ რა კულტურული მნიშვნელობა ან სოციალური აზრი შეიძლება ჰქონოდა მოცემულ ეპოქაში ფორმას, გამოხატვისა და გამოსახვის ხერხებს. ხელოვნების კულტურულ-ესთეტიკური ანალიზის ახალი, უნივერსალური ცნებების ძიებისას, პანოვსკიმ დაასკვნა, რომ ყოველი მათგანი დაიყვანება ერთ, „სისრულისა“ და „ფორმის“ ანტითეზაში გამოხატულ პრობლემაზე. თუ ამ ცნებებს მიუდგებით, როგორც ონტოლოგიურ ანტითეზას, მაშინ, ისინი, დროისა და სივრცის ცნებების შესაბამისად, კორელაციაში აღმოჩნდებიან. „თუ ანტითეზა „სისავსე“ და ფორმა“ – წერდა ე. პანოვსკი, – მხატვრობის პრობლემების არსებობის აპრიორული წინაპირობაა, მაშინ, „დროისა“ და „სივრცის“ ურთიერთზეგავლენა მათი არსებობის უზრუნველყოფის აპრიორული წინაპირობა იქნება“.

ამ ონტოლოგიური დაპირისპირების საფუძველზე, მეცნიერმა ჩამოაყალიბა ვიზუალური ხელოვნების ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებათა იერარქია: 1. ელმენტარული ღირებულებები (სხეულის საპირისპირო ოპტიკური სივრცის ორგანიზაცია); 2. ფიგურალური ღირებულებები (სიბრტყითი გამოსახულების საპირისპირო სიღრმე); 3. კომპოზიციური ღირებულებები (სიმშვიდე-მოძრაობა). პანოვსკის თანახმად, ნებისმიერ ნაწარმოებში შეიძლება ძირითადი მხატვრული პრობლემების გადაჭრის ერთიანი პრინციპის ან პრინციპების სისტემის აღმოჩენა. სწორედ ამაშია ყოველი ეპოქის ნაწარმოების შინაგანი მნიშვნელობა, შინაგანი აზრი.

როგორც კი მეცნიერი დაადგენს მხატვრული მოვლენის იმანენტურ მნიშვნელობას, იგი მას უმაღლეს შუპირისპირებს ალოგიკურ მოვლენებს, როგორც სახვით, ისე ხელოვნების სხვა სახეებში. ცივილიზაციის „სიმბოლური, მხატვრული ფორმების“, ფაქტები ჩაითვლება მხატვრული აზროვნების პირველ საფეხურად. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება შეუსაბამოთ ერთმანეთს ხელოვნების განმარტების ორი რაკურსი: ერთი მხრივ, როგორც ავტონომიური მოვლენა, მეორე მხრივ – მისი კავშირებით ისტორიული პროცესის ყველა ელემენტთან.

ცალკეული ნაწარმოებების პანოვსკისეული ინტერპრეტაცია ემყარებოდა ანალიზის რამოდენიმე დონის ერთან სისტემას. პირველი დონეა – ნაწარმოების, როგორც გრძნობადი ნიშნების, ფორმალური ანალიზი; აქ ფიქსირებულია ურთიერთკავშირი, როგორც ფორმებსა და ფერებს შორის, ისე, რეალური სამყაროს საგნებთან (ფსევდოიკონოგრაფიული დონე). ანალიზის მეორე დონეზე ვლინდება ნაწარმოების მეორადი მნიშვნელობა. ამ დონეზე სიუჟეტი (თემა), რელიგიის, მითოლოგიის, ფილოსოფიის, ჩვენს ცოდნასთანაა შეპირისპირებული. ეს იკონოგრაფიული – სიუჟეტებისა და ალეგორიების სფეროა. და ბოლოს, ანალიზის მესამე დონე, სახელდობრ, იკონოლოგიური ინტერპრეტაცია, ნაწარმოების „არსის“ ან „შინაგანი მნიშვნელობის“ გამოვლენას, ეპოქის გამომხატველი ფორმების, სიმბოლოების, მოტივების ინტერპრეტაციას უკავშირდება. ამგვარად აკავშირებს მკვლევარი ხელოვნების ნაწარმოებს ისტორიულ პროცესთან.

პანოვსკის იკონოლოგიურმა კონცეფციამ, კერძოდ, მისმა ცნობილმა, ტექსტუალურის და სახვითის „დაშიფრული“ შესაბამისობის ტრადიციების კვლევამ, იკონოლოგიის ფართო კულტუროლოგიურმა ორიენტაციამ, პრაქტიკულად, ხელოვნების მხატვრული მახასიათებლები გააიგივა ზოგადკულტურულ და სოციალურ სფეროებთან. ამ შემთხვევაში ხდებოდა იკონოლოგიური მიდგომის აბსოლუტიზაცია, რომლის დანიშნულებას, „არამხატვრული“ მონაცემების საშუალებით, ნაწარმოების სიმბოლური ნიშნებისა და ელემენტების ტოტალური გაშიფრვა წარმოადგენდა. ცხადია, რომ ასეთი მიდგომით არ ამოიწურება მხატვრული ნაწარმოების შინაარსი, რადგან უკანასკნელი არ დაიყვანება მხოლოდ სიმბოლიკის ერთობლიობაზე. მსგავსი მეთოდოლოგიური შეცდომები შესამჩნევი გახდა, როდესაც ამ თეორიას ანალიზის უნივერსალური მეთოდის პრეტენზია გაუჩნდა.

ისტორიულ-მხატვრული ვითარების მსგავსი ანალიზით დაინტერესდა, ე. პანკოვსკის თანამედროვე, ახალგაზრდა გერმანელი მეცნიერი ა. ჰაუზერი. ორ ცნობილ ნაშრომში, „ხელოვნების სოციალური ისტორია“ (1951) და „ხელოვნების ისტორიის ფილოსოფია“ (1958), ა. ჰაუზერმა დაამუშავა საკუთრივ სოციოლოგიური მეთოდი, რომელიც, მისი აზრით, არის ხელოვნების ფუნქციონირებისა და ისტორიული განვითარების ფილოსოფია. ჰაუზერის, ისე როგორც პანკოვსკის ღრმა რწმენით, ხელოვნების ნაწარმოები, როგორც სტრუქტურის თავისებური იერარქია, კომპლექსურად უნდა გაანალიზდეს.

ა. ჰაუზერის მტკიცებით, ხელოვნების ნაწარმოებში გადაჯაჭვულია, როგორც სპეციფიკური მხატვრული და ესთეტიკური ისე, არამხატვრული

ელემენტები. მხატვრული ფორმა, როგორც მემკვიდრეობითობით, ისე, ხელოვნების განვითარების დამოუკიდებლობით გამოირჩევა. „ერთი და იგივე სოციალური, ისტორიული მიზეზები, – ამბობდა იგი, წარმოქმნის განსხვავებული მხატვრული დონის ნაწარმოებებს“. აღნიშნული ჰაუზერის სოციოლოგიური მეთოდის შეზღუდულობაზე მიუთითებს; მხატვრულ ღირებულებას სოციოლოგიური ექვივალენტი არ გააჩნია.

როგორც მის წინამორბედს, ჰაუზერსაც ესმოდა, რომ მკვლევრისათვის ძნელია ხელოვნების განვითარების შიდა მხატვრული და გარემომხატვრული სტიმულების გათვალისწინება. ამ მიზნით, იგი ფსიქოლოგიური, ისტორიულ-სტილისტური და სოციოლოგიური მეთოდების შეთავსებას მოითხოვს, რადგან, მხატვრული ევოლუციის არაერთმნიშვნელოვან მოტივაციას, მათი ერთობა ავლენს. ყოველი ეპოქის ანალიზის, ჰაუზერისეული დასკვნა პესიმისტურია: „სხვადასხვა მხატვრის ნაწარმოებს არც საერთო მიზანი და არც საერთო მასშტაბი არ გააჩნიათ და არც ერთმანეთიდან წარმოიშობიან. ხელოვნებაში არ არის პროგრესი“.

ა. ჰაუზერთან მხატვრული შემოქმედების კვლევის ფსიქოანალიტიკური მეთოდისაკენ მიდრეკილება შეინიშნება. გერმანელი მკვლევარი აკრიტიკებს შემოქმედებითი პროგრესის და წრებრუნვის თეორიებს და უარს ამბობს, მხატვრული მოვლენების უსასრულო ცვლაში, რაიმე ობიექტური ტენდენციის აღმოჩენის მცდელობაზე. მოძღვრება ისტორიის პერიოდიზაციაზე, რითმისაკაზე ან წრებრუნვაზე, ისტორიულობის იდეა, ჰაუზერის აზრით, მხოლოდ ისტორიულ-ფილოსოფიური მისტიციზმის ვარიანტებია, ისტორიის პროცესების სქემატიზაციის სურვილი, რომელთა საფუძველში არც გეგმა და არც ლოგიკური აზრი.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის შუა პერიოდში, ხელოვნების ისტორიის ფილოსოფიაში, მხატვრულ-ისტორიულ მრავალფეროვნებაში, უნივერსალიების აღმოჩენის მოთხოვნილებასთან დაკავშირებული, ახალის ძიება, ერთდროულად დაინტერესებს ისეთ გამოჩენილ მკვლევრებს, როგორც არიან ე. პანკოვსკი და ა. ჰაუზერი. სიმპტომატურია, აგრეთვე, რომ მათი კვლევის განსხვავებულ შედეგებში, გამოვლინდა დიაქრონული და სინქრონული ანალიზის სიღრმისეული წინააღმდეგობა. უდავოა, ხელოვნების კვლევის დიაქრონულ მეთოდთან დაკავშირებული, ე. პანკოვსკის ღვაწლი: მხატვრული მოღვაწეობის გვიან სტადიებზე არქეტაპების დაფიქსირების და მის ახლებურად გააზრებული ფორმების აღმოჩენისას, მან შეისწავლა განსაკუთრებული მეთოდოლოგიური „ბიოველი“ და დაინახა მხატვრული ფორმების თანმიმდევრული განვითარების, ეპოქის შედეგების დამაკავშირებელი უწყვეტი ძაფი. ა. ჰაუზერმა უარი თქვა დიაქრონულ მეთოდზე, მისთვის მისაღები აღმოჩნდა სინქრონული მეთოდი. ა. ჰაუზერის დასკვნებზე ბევრს კამათობენ, მაგრამ მისი ერთგულება ისტორიული მასალის მიმართ უდავოა. ხელოვნების ისტორიის ანალიზის კომპლექსური მეთოდები, ჰაუზერის თანახმად, უნდა ითვალისწინებდეს უამრავი უხილავი რიფების არსებობას.

ხელოვნების, როგორც კულტურის ფენომენის შესწავლის მეთოდოლოგიის დახვეწის პროცესში ხელოვნებათმცოდნეობამ, ფორმის თავისებურებაში, სა-

ხოვან სტრუქტურაში, სტილისტურ ნიმუშში, გამოიმუშავა არა მარტო შიდა-მხატვრულის, არამედ ზოგადკულტურულის, ამოცნობის ხერხი. თუმცა, ზოგადკულტურულის ამგვარი „მხატვრული გაზომვები“, ხშირად, თვითნებურად და სხვადასხვა ნიადაგზე იჩენდა თავს, როდესაც სახვითი ან მუსიკალური ნაწარმოების „თვითგანვითარების“ წყაროს დასადგენად ათვლის წერტილი თვითნებური იყო. ასეთი ციკლის წარმოშობის მიზეზი, ერთ შემთხვევაში, შეიძლება ყოფილიყო რომელიმე ჟანრის მომწიფება ან დაცემა, მეორეში – სტილის, მესამეში – დომინირებული სახოვან-თემატური სტრუქტურა, მეოთხეში – კომპოზიციები, მხატვრული ფორმის ორგანიზაციის ხერხები და ა.შ.

ისე მოხდა, რომ არც სახვით და არც მუსიკის ხელოვნებაში ვერ აღმოაჩინეს შინაგანი, ფუძემდებლური „ატომი“, სახვითი ან მუსიკალური ხელოვნების პირველადი ელემენტი, როგორც ისტორიული ევოლუციის შედეგად გართულებული ფორმების მრავალფეროვნების საფუძველი და, ერთდროულად, ადამიანურის, ცვალებად-სულიერის, ზოგადკულტურულის ექვივალენტური.

ამ მიზეზით, როგორც სახვით, ისე მუსიკის სფეროში ვერ ჩამოყალიბდა ისტორიული ანალიზის კვლევის ისეთი მიმართულება, როგორცაა ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში – „ისტორიული პოეტიკა“. ისტორიულ-მუსიკალური „პოეტიკის“ ან „ისტორიული სახვითი პოეტიკის“ არ არსებობა არ უნდა იყოს შემთხვევითი. ლიტერატურის ისტორიკოსებმა, მუსიკის და სახვითი ხელოვნების ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, გამოავლინეს თავისი ხელოვნების პირველადი „ატომი“, როგორც ლიტერატურული შემოქმედების მარადიული საფუძველი. ნებისმიერ ისტორიულ პოეტიკაში ასეთ პირველად ელემენტად განიხილება სიტყვა, რომელიც ყოველი შიდაკულტურულის და ზოგადკულტურულის დამაკავშირებლად გვევლინება. ამ მიზეზით, ლიტერატურის ევოლუციის თეორია, ლიტერატურის კულტუროლოგია, უფრო ღრმად და საფუძვლიანადაა დამუშავებული, ვიდრე ხელოვნების სხვა სახეების თეორიები.

პოეტური ცნობიერების და მისი ფორმების განხილვას, ა. ვესელოვსკი, თავის „ისტორიულ პოეტიკაში“, ხაზს უსვამს ყოველი ეპოქის დამოკიდებულებას სიტყვასთან. სიტყვის ზოგადკულტურული გაცნობიერება წინ უსწრებს მის პოეტურ განხორციელებას. თავის მხრივ, პოეტური სიტყვა გამოიყოფა სიტყვის ისტორიულ-კულტურული ერთიანობის საზღვრებში. რასაკვირველია, არის ეპოქები, როდესაც პოეტური სიტყვა უპირისპირდება სხვა – ოფიციალურ და ყოფით – სიტყვის ფორმებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი შინაგანად არ არის დაკავშირებული კონკრეტულ-ისტორიულ მთლიანობასთან. ა. ვესელოვსკის მიერ გამოყენებული, მოცემული აქსიომატური ვითარება, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო ლიტერატურის საყოველთაო ისტორიის იმგვარი აგების საფუძველი, როდესაც ისტორიულ-კულტურული პრობლემები მოქცეულია ლიტერატურის ისტორიის შიგნით, ე.ი. არა როგორც მისი დანართი, არამედ როგორც მისი აუცილებელი შინაგანი მხარე. „თუ ვაღიარებთ, რომ ისტორიული სიდრმისეულადაა ორიენტირებული პოეტური ცნობიერების ფორმებზე, სიტყვაზე, ეპოქის ყველა სახის სიტყვიერი შემოქმედების მოდუსზე, მაშინ „ისტორიულმა პოეტიკამ“ თვალი უნდა ადევნოს სიტყვის განხორციელების

განვითარების გზას იმ ფორმებში, რა ფორმებშიც ხელოვნება თავისი მიზნის – სიტყვის პოეტურად გარდასახვისათვის აწარმოებს, – ხაზს უსვამს ისტორიული პოეტიკის ამ საფუძველს ა. მიხაილოვი.

XIX-XX საუკუნეების ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით, სიტყვის ისტორიულ-კულტურული მოდიფიკაციის კვლევა ჩაატარა, ცნობილმა ფრანგმა კულტუროლოგმა, მიშელ ფუკომ (დ. 1926). მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერის კვლევა-ძიება მხოლოდ ნაწილობრივ ემყარება მხატვრული ლიტერატურის ისტორიულ მასალას და ამთან ერთად, მოიცავს დიდ ისტორიულ ფაზებს (ან ფუკოს თანახმად, „ეპისისტემებს“), უკიდურესად ზოგადი, ჰიპოთეზური ხასიათის მატარებელია. და მინც, ფუკოს იდეები და ყოველი ციკლი – ეპისისტემების ფუძემდებლური აზრის გამოვლენის მეთოდი, – ინტერესს მოკლებულად არ მიიჩნევა.

ფრანგი მეცნიერი მხატვრულ ენას განიხილავს რეალური სამყაროს თვალსაჩინო ფორმების და მისი ფარული, ეზოტერული მნიშვნელობების შემადგენლობად. ყოველი ისტორიული „ეპისისტემის“ საერთო სააზროვნო სტრუქტურების სიდრმისეულ კავშირებს ფუკო ავლენს სიტყვების მოაზრების ისტორიული მუტაციების კვლევით, როგორც ყოველდღიურ ცნობიერებაში, ისე ლიტერატურულ შემოქმედებაში. ყოველ ასეთ ეპისისტემას, ძირითადად, აწესრიგებს „სიტყვათა“ და „საგანთა“ შესაბამისობა. ეპოქის ცნობიერებაში წარმოდგენილი „სიტყვათა“ და „საგანთა“ კავშირი, – აღორძინებიდან თანამედროვეობამდე, გაივლის სამ სტადიას. პირველ სტადიაზე – სიტყვა სიმბოლო – (სიტყვა და საგნები იდენტურია) რენესანსის ისტორიულად მყარი ეპისისტემას აყალიბებს (XVI საუკუნე). მეორე სტადია – სიტყვა-ხატი (სიტყვები აღარ ჰგვანან საგნებს) გამჟღავნებულად შეესაბამება ერთმანეთს). და ბოლო, მესამე სტადია – თავისთავში ჩაკეტილი სიტყვა-ნიშანი (სიტყვა ნიშანთა სისტემაში ნიშნად იქცევა, რომლის მხატვრული ზემოქმედება განისაზღვრება უკანასკნელის კავშირით მთელ მის წარსულთან).

თუ ადრე, ფუკოს აზრით, აღორძინების ეპისისტემაში, საკითხი იდგა ასე: როგორ უნდა გავიგოთ, რომ ნიშანი მართლაც მიანიშნებს აღსანიშნავზე, დაწყებული XVII საუკუნიდან, საკითხი სხვაგვარადაა ფორმულირებული: როგორ შეიძლება ნიშანი დაუკავშირდეს იმას, რასაც იგი აღნიშნავს? ამ საკითხს კლასიკური ეპოქა პასუხობს წარმოდგენილის ანალიზით, თანამედროვე კი – აზრისა და მნიშვნელობის ანალიზით. რენესანსული „წესრიგის“ კრიზისის ერთ-ერთ დამახასიათებელ ფიგურად მ. სერვანტესია მიჩნეული. მწერლის მხატვრულ სამყაროში გათიშულია მსგავსების ადრეული კავშირები. მაცდუნებელი მსგავსებები, ზმანებებად და ბოდვებად იქცევიან. დონ კიხოტი კი ალაღბედზე დაეხეტება მათ შორის. იგი გარდასულ დღეთა გმირია, ახალ ეპისისტემაში საგნებს მიაწერს მათთვის უცხო თვისებებს, ერთმანეთში ერევა ადამიანები, ვერ ცნობს მეგობრებს, უცხოს კი ნაცნობად მიიჩნევს. ჰგონია, რომ მან ჩამოხსნა და მანვე ააფარა მათ ნიღაბი.

XVIII საუკუნის ბოლოს ვითარება კვლავ იცვლება: ენის სიგნიფიკატური ფუნქციონირებით ირღვევა სინამდვილისა და მხატვრული ენის ურთიერთ-

ბები. მხატვრული ლიტერატურა უკვე შინაგანი რესურსების საშუალებით ვითარდება, რაც ენას უბრალო ფუნქციონირებისაგან იცავს.

ფუკოს თეორიულ სისტემაში ფენომენი „სიტყვა“, თავის მოდიფიკაციაში, გაანალიზებულია, როგორც კულტურის მოძრავი, ისტორიაში შემოჭრილი, ახალი წესების ამსახველი ელემენტი. მეცნიერის კონცეფციაში სუსტი მომენტებიც შეინიშნება. მასში ერთ-ერთ ძირითად წინააღმდეგობად მიჩნეულია ის, რომ მან არსებული ხარვეზები შეავსო ჭვრეტითი კონსტრუქციებით და არა რეალური ლიტერატურული პროცესების განზოგადებით. და მიუხედავად ამისა, სიტყვის კულტურული მუტაციებიდან გამომდინარე, მცდელობა, აზრობრივი სტრუქტურების ისტორიულ მოდიფიკაციებში აღმოეჩინა უმნიშვნელოვანესი ძვრები, მაღალ შეფასებას იმსახურებს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი. ამა თუ იმ ეთნოსისათვის დამახასიათებელ, ფანტაზიის ლოგიკის მძლავრ შინაგან სტიმულებზე დაკვირვებით, ზოგმა მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა ხელოვნების „თვითმოძრაობის“ წყაროზე. მაგალითად, კ. ლევი-სტროსის ცნობილ კონცეფციაში წამოყენებულია, სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებზე, და მოღვაწეობის სხვა ფორმებზე, კოლექტიურ-არაცნობიერი ფანტაზიის დამოუკიდებლობის თეზისი.

ი. გოლოსოვკერი, კ. ლევი-სტროსის კვალად, აგებს, მითში ჩადებული თავდაპირველი აზრის განვითარების და ამოწურვის პრინციპზე, „მითოსის ლოგიკას“. მაგალითად, ანტიკური მთლიანი „ხედვის“ ხატი აზრობრივად ვითარდება ვერტიკალური ღერძით: თავდაპირველად ცალთვალა ციკლოპს უპირისპირდება ათასთვალა არგუსი; შემდეგ – ყოვლისმხედველი ჰელიოსი; შემდგომი ნაბიჯი ლინკეოსის სახეა; შემდეგ, როდესაც გარე ხედვა ამოიწურება, საჭირო ხდება ახალი ლოგიკური ნაბიჯი – პანფეოსი, კასანდრა და ა.შ. თავის „ერთი“ თვალთ ციკლოპი იწყებს მოძრაობას, და თვალს ვადევნებთ ამ სახის მეტამორფოზას მის სრულად ამოწურვამდე.

გოლოსოვკერის თანახმად, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის შეიქმნა სახე, წარმოსახვის ლოგიკის მუშაობა იდენტურია. გაცეხას იწვევს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ეპოქის ხალხების წარმოსახვა კოლექტიურად, შემოქმედებითად მუშაობს ისე, რომ ჯამში, მთლიანი სახის შინაარსის საბოლოო ამოწურვამდე, იქმნება ლოგიკური განვითარების დასრულებული სურათი.

მრავალი მეცნიერის მიერ შემოქმედების სრულიად განსხვავებულ მასალაზე დამუშავებული ეს იდეა, მოწმობს, რომ წარმოსახვის, ფანტაზიის ლოგიკა, ვითარდება განსაზღვრულ ზღვრამდე, მნიშვნელობები ამოიწურება, როდესაც შეიკვრება წრე (დაბრუნება პირველ მიზეზთან, საფუძველთან). წარმოსახვაში, როგორც წესი, მოძრაობის მასტიმულირებელი, კონტრასტის პრინციპი, ნებისმიერ ვითარებაში ხორციელდება. იგი სახეს ართულებს ან აზრს გადაიტანს, „გადართავს“. ამ მექანიზმში უნდა ვეძიოთ ხელოვნების შიდა მხატვრული სტიმულების მძლავრი წყარო.

ამასთან ერთად, მხატვრული პროცესის არა ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ადასტურებს, რომ მხატვრული აზრის ამოწურვის კანონზომიერება არ არის მხატვრული პროცესის განმსაზღვრელი კანონზომიერება.

აქედან, ა. ვესლოვსკის სამართლიანი დასკვნა: ხელოვნების საკუთარი საწყისებიდან განვითარების „ჩუმი“ დინება წინ აღუდგება დროის ახალ მოთხოვნილებებს; „ისტორიაში ხელოვნების თანმიმდევრულ ლოგიკას“ ყოველთვის ემუქრება „სოციუმის მეტაფიზიკის“ მოულოდნელი აფეთქება.

ცხადია, რომ ფუკოს მეთოდში, ხელოვნების მოდიფიკაციის თვით ხელოვნებიდან განმარტების შეუძლებლობა, წინააღმდეგობის მიზეზი აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ფრანგი მეცნიერი დარწმუნებულია, რომ ენა შეიცავს განვითარების შინაგან პრინციპს, მეორე მხრივ, ფუკო, რაღაც მომენტში, თავს ანებებს ენის შინაგანი ლოგიკის კვლევას და კულტურის ახალი „ეპისისტემის“ წარმოშობის განმარტების მიზნით, აქცენტს აკეთებს ისეთ გარეგან ფაქტორზე, როგორცაა ემპირიული, წესრიგის უხამსი ყოფიერება“.

საბოლოოდ, ცხადია, რომ ხელოვნების ისტორიული მოდიფიკაციების სტიმულები მხოლოდ მხატვრული ენის შინაგანი ლოგიკით არ აიხსნება. მართალია, შემოქმედებით პროცესში თანმიმდევრობით და აუცილებლობით მოქმედებს შიდამხატვრული ფაქტორი, მაგრამ ხელოვნების ისტორიული როლის განსაზღვრებისათვის იგი არ არის ერთადერთი. მხატვრის შემოქმედებითი პროცესის ლოგიკა ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეწყდეს ეპოქის სულიერი ინტერესების ახალი ორიენტაციით, ახალი სოციალური წყობილებით.

DIANA POTSKHVERASHVILI

summary

The article deals with the cultural and psychological factors influence on a process to form in art. Therefore we attempt to consider the "artistic fill up" in E. Panofsky's conception and the artistic stimuli complex Houser's point of view.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიკვაძე მ., ხელოვნება და პოეტიკა, თბ., `ხელოვნება-. 1993.
2. შათირიშვილი ზ., გალაქტიონის პოეტიკა და ლოგოსი. თბ., 1940.
3. Hayser A. The social History of Art L., 1951. Вып. 1,2.
4. Hayser A. Philosophy of Art History L., 1956.
5. Panofsky E. Meaning the Visual Art. N.Y. 1955.
6. Веселовский А. Историческая поэтика. Л., 1940.
7. Вишпер Б.Р. Произведение искусства в мире художественной культуры. М., 1988.
8. Гачев Г. Жизнь художественного сознания: Очерки по истории образа. М., 1972.
9. Махлина С.Т. Язык искусства в контексте культуры. СПб. 1995.





badri cxadaZe

ქართული ენის დიალექტური მეტყველება და დიალექტური ლექსიკა

1. μ ბგერის არსებობისათვის ქართული ენის დასავლურ და სამხრულ კილოებში (იმერული, გურული, ლეჩხუმური, რაჭული, აჭარული, ტაოკლარჯული ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებთან და სამწერლობო ქართულთან მიმართებით)

μ ხშულმსკდომი ბგერაა, რომელიც უსუნთქველი თანხმოვნების რიგს განეკუთვნება. იგი სალიტერატურო ქართულ ენაში არ გვაქვს, მაგრამ რეალურად არსებობს ზანურში (მეგრულ-ჭანურში) და შეესატყვისება ქართულ ყ-ს. მეგრ-ჭან. μ უჯი // ქართ. ყური, მეგრ-ჭან. μ ონა // ქართ. ყანა, მეგრ. μ ინი // ქართ. ყინვა, მეგრ. μ უდე // ქართ. სა-ყუდ-ელ-ი [1, 16]. μ ფიზიოლოგიურად მომდევნო ხმოვნის ძლიერი შემართვის ასახვაა, რომელიც „დამდგარ“ ბგერად წარმოგვიდგება ზანურში. გ. ახვლედიანის ახსნით, აბრუპტივთა რიგში მისი მოთავსება იმით შეიძლება გამართლდეს, რომ ის არის სახმო სიმების სწრაფი სკდომის შედეგი; მართალია, მისი სკდომა ფილტვებიდან ამონადენი ჰაერით ხდება, მაგრამ ეს ჰაერნაკადი ისეთივე წყვეტილია, როგორც ჩვეულებრივი აბრუპტივებისათვის [2, 167]. ამიტომ მკვლევარი მას უსუნთქველთა რიგში ათავსებს, რადგან ენისა და ტუჩების მხრივ μ ისეთივე ინდიფერენტულია, როგორც ζ და დამოკიდებულია მომდევნო ხმოვნისაგან.

ამრიგად, ძლიერშემართვიანი ხმოვნები ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში არ იხმარება, მაგრამ, როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავს, ზოგჯერ წარმოითქმება ხოლმე ძლიერშემართვიანი ხმოვანი დაჟინებულად თქმულ არა'ში. არა' ნიშანი წარმოადგენს ბგერის ძლიერ შემართვას. ეს ის ბგერაა, რომელიც არაბულში ცნობილია ჰამზათ'ის სახელწოდებით (ნიშანია ყ)[3, 105]. მაგარი შემართვის შესახებ ნ. იმნაძეც აღნიშნავს: ქართული ენის იზოლირებულად წარმოთქმული ხმოვნებისათვის მაგარი შემართვა უცხო არაა. მაგარი დამართვა კი ბგერებს არ ახასიათებს. მარცვალში მოცემულ ინფორმაციას ფონემატური სმენა ჩვეული მოდელის შესაბამისად ანაწილებს ხოლმე [4, 5].

μ ბგერა დასტურდება ქართული ენის დიალექტებში. თ. უთურგაიძის შენიშვნით, μ სალიტერატურო ქართულსა და მის სხვა კილოებშიც გვხვდება, მაგრამ იქ იგი ფონემა არ არის, ექსპრესიული ფუნქციისაა მხოლოდ. თუმურ

კილოში კი ეს ბგერა ფონოლოგიურ ოპოზიციებს ქმნის სხვა ფონემებთან. მისივე თქმით, დისტანციის რეინტერპრეტაციად ანუ ტრანსფონემიზაციად უნდა მივიჩნიოთ /μ/ ფონემის გაჩენა თუშურ (და ხევსურულ) კილოში. /μ/ ფონემის გაჩენამ თუშურის ფონემატურ სისტემაში ხელი შეუწყო ამ კილოში გრძელი ხმოვნის წარმოქმნას [5, 17].

თუშურში μ ბგერის არსებობაზე ჯერ კიდევ 1915 წელს მიუთითა ა. შანიძემ, რომლის ახსნით, თუშურში ეს ბგერა გამოითქმის ყელში ქორდების დახურვით [6, 11].

ს. ჟღენტის აზრით, რომელიც თ. უთურგაიძის უფრო ადრინდელ ნაშრომს (იხ.: თ. უთურგაიძე, ქართული ენის თუშური კილო) ემყარება, μ ფართოდ გავრცელებული ბგერაა თუშურში, რომელიც არის არა ფონემა, არამედ ხმოვნის შემართვის ან დამართვის დამატებითი ელემენტი და ხმოვნის მაგარ შემართვას ან დამართვას გამოხატავს [7, 140].

თ. უთურგაიძის დასკვნით, თუშურში μ ბგერა არის ლარინგალური, ე.ი. სახმო სიმებისმიერი ხშული, დაჭიმული ბგერა. მისივე დაკვირვებით, „მიკროფონისა და ლარინგოფონის სინქრონიული ჩაწერით ნათელი გახდა, რომ μ არის მჟღერი ბგერა, რაც განპირობებულია მისი პოზიციით – ის ყოველთვის ხმოვანთან დგას. μ'ს ოსცილოგრამა რხევათა აპერიოდულობით ზოგჯერ /μ'ს მოგვაგოგებს, რაც შეიძლება μ'ს ჭყლეტილ ბუნებაზე მიუთითებდეს [5, 21-22]. თ. უთურგაიძის საბოლოო დასკვნით, μ ბგერა თუშურის ფონემატურ სისტემაში უთუოდ ფონემაა [5, 35]. ფონემაა [8, 31],

ზაცბურშიც μ ფონემაა [8, 31], μ ბგერა შენიშნულია ჩაჩნურშიც [9, 251], აჰ მორფემად გადმოყოლილია ხევსურულშიც, ისე როგორც თუშურში. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა აჰ მხოლოდ, მარტო, და ნაწილაკების ფუნქციის შემცველია. სიტყვის ფუძის ბოლო ბგერას, რომელსაც μა ერთვის, არ შეიძლია ამ მორფემის ფონეტიკურად შეცვლა, მაგ., კაციაჰ, წყაროია μ, ხეიაჰ, და სხვ. ამავე დროს იგი შეიძლება დაერთოს მეტყველების ნებისმიერ ნაწილს. მაგ., გავაშრიაჰ (<– გავაშრეა) „მხოლოდ გავაშრე“; ხვალიაჰ (<– ხვალეა) „მხოლოდ ხვალე“ [5, 40].

როგორც ადრე შევნიშნავდით, μ დამახასიათებელი ჩანს ე. წ. შუაიმერულისათვის. ზემოიმერულში, როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, იგი არ უნდა იყოს (თუმცა ჩვენ მის არსებობას მაინც არ გამოვრიცხავთ, შდრ. ზემოიმ. „კაჰად იყავი“). ე. წ. შუაიმერული კილოკავის გარდა, μ გვხვდება ფერეიდნულში, აჭარულსა [14, 26] და გურულში [10, 54].

ჯ. ნოღაიდელი აჭარული კოლოს დახასიათებისას წერს: „μ ბგერა უმთავრესად გავრცელებულია აჭარულში. ქობულურში თითქმის იგი სრულებით არ არის, μ ბგერა დადასტურებულია მხოლოდ სიტყვის თავში, ე. ი. როგორც თავკიდური ბგერა. მაგ., μე – რამითი კაცი გაბუნცულა, μე – დაუთ ემიავ, μა – იშტე მოვალთ და μე – ახლა პაწაჯ ბადვისა რომელია? μე – რამითათა ჭო, μე – შავი. μ ბგერა ჯ. ნოღაიდელს μ შეუმჩნევია იმავე აჭარულში, სოფელ ნანუზოდლების მეტყველებაში უნდა ნაწილაკის თავკიდურ პოზიციაში: უნდა > მნდა; გლახაჯ მიწა გამოგვიდგა, ჰიდან მნდა მოვთხაროთ არ ვიცი [14, 26].

μ'ს გავრცელების არეალია იმერულის ხანურ-ზეგნური მეტყველება [11, 110] და ოკრიბული [12, 164].

შუაიმერულში გვხვდება შორისდებულებში, ნაწილაკებსა და ზოგიერთ ნაცვალსახელში სიტყვის თავკიდურ ან ბოლოკიდურ პოზიციაში. მაგ.,

μ ἰ – გაცევის, გაკვირების გამომხატველი;

μ ἡ – გაკვირებისა და მწუხარების გამომხატველი;

μ ἔ – (<_ე <_ეე <_ეს).

μ ἰ, μ ἡ, μ ἔ, არაμ, μῆ და მისთ. სიტყვების წარმოთქმისას გვაქვს ხმოვნის მაგარი შემართვა. მათი წარმოთქმის დროს საწარმოთქმო ორგანოები დაჭიმულია და ცხვირში ნახევრად გამოითქმის. ამგვარად, μ, როგორც ფონემა, ე. წ. შუაიმერულში არ არსებობს [13, 63]. ამის შესახებ ჩვენც ადრე აღვნიშნავდით [10, 55].

რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ გურულში?

ცნობილი ლინგვისტი, ფონეტიკოსი, „გურული კილოს“ გამოკვლევის ავტორი პროფ. ს. ჟღენტია (რომელიც ავტორია არაერთი საინტერესო ექსპერიმენტული ნაშრომისა), გურულ დიალექტში μ ს არსებობის შესახებ არას წერს. მკვლევარი „გურული ტექსტების“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ტექსტების ჩაწერისას, რამდენადაც ეს ჩვენ მიერ შესაძლებელი იყო, დაჭერილია ყოველგვარი ბგერობრივი ნიუანები და საერთოდ თავისებურებები ისე, როგორც ამას გურულს სინამდვილეში აქვს ადგილი“ [15]. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევარს გურული კილოს არც ფონეტიკურ დახასიათებაში, არც მისეულ გამოქვეყნებულ ტექსტებსა და ლექსიკონში μ არ დაუდასტურებია.

დაისმის კითხვა: ისეთ გამოჩენილ, ცნობილ ფონეტიკოსს, როგორც პროფ. ს. ჟღენტია, მხედველობიდან გამორჩა და ვერ შეამჩნია μ არსებობა გურულში, თუ ეს ბგერა ამ კილოში საერთოდ არა გვაქვს?

ამ მხრივ ღირსსაცნობ მასალას წავაწყდით გ. შარაშიძის „გურულ ლექსიკონში“, რომელშიც ლექსიკოგრაფს სალექსიკონო ერთეულად შეუტანია პატარა ბავშვის, ჩვილის მიმართ დედის ნათქვამი ლექსი სათაურით „ტაი, ტაი ტაფელაო“ (ტაფელა აქ თოთო ბავშვის ეპითეტია) [16, 62], რაც ნიშნავს: „ტაში, ტაში, ტაფელაო“. მისივე ცნობით, დედა აიყვანს ფეხაუდგმელ ბავშვს, დასვამს ბალიშზე და ტაშის კვრით ეუბნება:

„ტაი, ტაი, ტაფელაო,
ჩემო ნიკორ, წიფელაო,
თუ მიტაფო, ქე მიტაფე,
თვარა წიგნი დამიწერე!
წიგნი დამიწერიაო,
ზღვაში ჩამიფენიაო;
ზღვაი ადუღებულაო,
ქალი აკივლებულაო,
ქალსა შვილი ყოლებია (ხოლებია)
ერთი ბრუტი, ერთი კოჭლი,
ერთი ყველაჲს უკეთესი.
– ჩემო ყველაჲს უკეთესო,
დილას ადრე ამიდექი,

დამიჭირე ოფოფაი,
გვერდს მომაბი ძეწვეითაო!
_ ძეწვეი დაუგლეჯიაო,
მთაი გადურბენიაო.
_ მთასა გავალ მაღალსაო,
დაუმახეფ თამარსაო,
თამარ მუა ჭიხვინითა,
თათრულითა ცხენითაო”.

ამრიგად, ამ საბავშვო, ბავშვისადმი მიმართულ, გასართობ ლექსში (რომელშიც გურული დედა ბავშვის ფეხის ადგმას, მის სიმარდესა და სიმკვირცხელს ნატრობს...) მ ორჯერაა ნახმარი, თანაც ერთსა და იმავე სიტყვაში, იმავდროულად ერთი და იმავე ბრუნვის ფორმით – ყველაჲს. აქ ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ ორჯერ ნახმარ ერთსა და იმავე სიტყვაში მ ბგერა კორექტურული ან სხვა რაიმე ტიპის შეცდომა არ უნდა იყოს. იგი ადეკვატური ასახვა უნდა იყოს გურული მთქმელის ცოცხალი მეტყველებისა. სამწუხაროდ, გ. შარაშიძე არას ამბობს ამ ლექსის წარმომთქმელის თუ მთქმელ-ინფორმატორის ვინაობის შესახებ. კერძოდ, კონკრეტულად, გურიის რომელი რაიონიდან ან სოფლიდანაა მოლაპარაკე, ქვემო გურული კილოკავის მატარებელია თუ ზემოგურული კილოკავისა. როგორც ჩანს, ს. ჟღენტს მართლაც არ სმენია გურულ მეტყველებაში და თავის ინფორმატორთა მოყოლილ ამბებსა და მათს მეტყველებაში მან’იანი სიტყვაფორმები, თორემ ფრიად გამოცდილი მკვლევარი ჩვენთვის საინტერესო ფაქტს უთუოდ აღწუსხავდა.

შენიშვნა: ყველა/ე დაბოლოება ზემოგურულის კუთვნილებაა, ქვემოგურულ კილოკავში ყველაი, ყველაყაი იხმარება [15, 44]. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა სიტყვაფორმა ყველაყაი, რომელიც არა მარტო გურულში, არამედ ქართული ენის დიალექტებში (მათ შორის მთისა) გვხვდება, რომელსაც ზოგჯერ ყველაკი ცვლის. შდრ. „მისი ყველაყისამ“, „მისი ყველა კი ვატირე“, დედა(ც) კი ვატირე, აქედან: დედაკი... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს – ყი დაბოლოება კი ნაწილაკის ფონეტიკური სახეცვლილება იყოს, რაც მართლაც მოსალოდნელია, მაგრამ არაა გამორიცხული მისი მიღება – ა ხმოვნისგანაც მომხდარიყო: ყველაი –> ყველაჲი –> ყველაყი –> ყველაკი, რაც კიდევ შემოუნახავს აქა-იქ გურულების ზეპირმეტყველებას (და არა მარტო გურულებისას...). ამრიგად, ორივე ახსნას თავისი მყარი არგუმენტაცია და ენობრივ-მასალობრივი მხარდაჭერა მოეპოვება.

დაისმის კითხვა:

გვეჩონდა თუ არა ისტორიულად, ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით, მაგარშემართვიანი ან მაგარდამართვიანი სიტყვაფორმები გურულაჭარულსა და საერთოდ, სამხრულ-დასავლურ ქართულ კილოკაურ მეტყველებაში? ამ მხრივ საინტერესო ფაქტი დაუცავს „ტბეთის სულთა მატინეს“ [17], რომელშიც ვკითხულობთ: მორთულასძე კაკა და მისი მეუღლე გუანცა (გვ. 22); „სულსა მორთულასძისა კაკასა და მისისა მეუღლის გუანცას შეუნდვენ ღმერთმან (ტსმ. 98, 296); სულსა მორთულასძისა დავითისა და მისისა მეუღლისა თამსისა შეუნდვენ (ტსმ. 108, 364); სულსა მორთულასძისა ნიკოლოზისა

შეუნდვენ (ტსმ. 112, 400); აქ არსად მ ბგერა თავჩენილი არაა. „ტბეთის სულთა მატიანეში“ მხოლოდ ერთ ადგილას გადავაწყდით ამ გვარსახელის -აყ და-ბოლოებიან ვარიანტს. ესაა **მორთულაყი**: სულსა ბასილი მორთულაყისასა და მეუღლისა მისისა კიბელისასა შეუნდვენ ღმერთმან (ტსმ. 86, 213).

ამრიგად, მატიანეში გვერდიგვერდ დამოწმებულია ისტორიული გვარსახელი **მორთულასძე // მორთულაყი**. რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ცნობილი ენათმეცნიერის ბესარიონ არკადის ძე ჯორბენაძის ყოფილი სტუდენტისა და ასპირანტის მარინე ბერიძის ცნობით, „ბატონი ბესიკის სემინარებზე თავად ლექტორი და მისი ასპირანტები „თავს იმტვრევდნენ“, თუ რატომ იყო მ გაჩენილი გვარსახელ **მორთულაყში**. ვფიქრობთ, ახლა გასაგები უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ძველად, სამხრეთ საქართველოს ამ რეგიონში, აბორიგენი ქართული მოსახლეობის მეტყველებაში ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებში არსებობდა მ ბგერა (პალეოგრაფიულად ამ საუკუნეებით ათარილებს ტექსტის გამომცემელი თ. ენუქიძე), რომელიც ჩვენს წინაპრებს ზოგჯერ ყ ფონემად გადმოუციათ (რადგან ქართულში მ ბგერის აღმნიშვნელი სიმბოლო არ გვექონდა. მისი შემოღება და ხმარება ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, რომელიც ერთ საუკუნეს ითვლის...), ზოგჯერ კი ნულით (ღ): **მორთულასძე**.

ნ. კახიძის შენიშვნით, ტბეთის სულთა მატიანისეული გვარების დიდმა ნაწილმა დღევანდლამდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია, მათ შორისაა გვარსახელი **მორთულამეც** (ვიმოწმებთ თ. ენუქიძის ნაშრომიდან).

როგორც გაირკვა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, XII-XIII სს-ში, მ ბგერის არსებობა ისტორიულად დადასტურდა. მ ბგერის არსებობაზე მიგვანიშნებს სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები [18, 60], „ტბეთის სულთა მატიანეში“ დამოწმებული სხვა ქართული გვარები და სახელებიც:

შავჩიტყ ნიკოლოზი, ცხორება და მათნი ქალნი (**ცხორება** აქ მეუღლის – ქალის სახელია; პალეოგრაფიულად თ. ენუქიძე ამ გვარსახელსაც XII-XIII საუკუნეებით ათარილებს), შდრ. ნიკოლოზ შავჩიტისძე: სულსა **შავჩიტისძისა** ვაჟისა ნიკოლოზისა შეუნდვენ ღმერთმან (ტსმ. 60, 12).

ამრიგად, ჩანს, რომ **ნიკოლოზ შავჩიტისძე** და **ნიკოლოზ შავჩიტყი** ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. **შავჩიტისძე** პიროვნების საერთო ქართული გვარსახელია, ხოლო **შავჩიტყი** – მისივე ადგილობრივი, კუთხური წარმონათქვამი. უფრო მეტიც, **შავჩიტყ**, ისე როგორც **შავჩიტისძე** წარმომდგარია **შავჩიტ** შერქმეული სახელისაგან (მეტსახელი), რომელიც შემდგომ საფუძვლად დასდებია ამ გვარის შექმნას.

სხვათა შორის, იმავე ტბეთის სულთა მატიანეში შავჩიტისძე /// შავჩიტყის პარალელურად გვხვდება გვარსახელი **ჩიტაშვილიც**, რომელსაც კვლავ იმავე პიროვნებად (?) შეიძლება წარმოჩინდეს, რადგანაც მასაც ნიკოლოზი ჰქვია; სულსა ჩიტაშვილს ნიკოლოზის შეუნდვენ ღმერთმან. მის ძ(ა) მას სუნბატს შეუნდვენ ღმერთმან (ტსმ. 104, 340). არაა გამორიცხული, რომ ისტორიულად, წარსულში, გვარის სამივე დაბოლოებას (შავჩიტისძე, შავჩიტყი, ჩიტაშვილი) ერთი და იგივე პიროვნება ფლობდა.

„ტბეთის სულთა მატიანეში“ სხვა მ დაბოლოებიანი გვარსახელებიც გვხვდება, მაგრამ, მათ, სამწუხაროდ, არ მოეპოვებათ საპირისპირო ფორმა. ამიტომ მნელია თქმა, მ ბგერისგან მომდინარეობს თუ პირიქით: მ სიტყვაფორმაში (გვარსახელში) დამოუკიდებელი ბგერაა.

მაგ., **ჩუფაჯისაყი** ცივნარის ჯალაბა: „სულსა ჯალაბასა ცივნარისა ჩუფაჯისაყისა შეუნდვენ“ (ტსმ. 86, 216).

თუ ამ გვარსახელში –ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, მაშინ მართლაც საქმე გვექონია -აყ // -აჲ მაგარდამართვიან დაბოლოებასთან.: ჩუფაჯისაყი. თუ ეს ასეა, ჩუფაჯ ისტორიულად ადამიანის საკუთარ სახელად უნდა ვიგულოთ.

და ბოლოს: ამ გვარსახელსაც თ. ენუქიძე, პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, XII-XIII სს-ით ათარიღებს.

„ტბეთის სულტა მატიანეში“ ადამიანის საკუთარ სახელად გვევლინება მურუყა (თ. ენუქიძის აზრით, ამ სახელის დაწერილობა პალეოგრაფიულად XII-XIII სს განეკუთვნება): „სულსა ეგნატეთ იოვანეს(ა)სა და მეტეხელისშვილისა, არსლანისშვილისა ბიბილასა, მურუყასა და მეულესა მისისა შეუნდვენ ღმერთმან“ (ტსმ. 86, 217).

სამწუხაროდ, ამ მატიანეში ჩვენ ვერ დავადასტურეთ **მურუყა** ანთროპონიმის საპირისპირო (ალტერნატიული) ფორმა **მურუჟა**, თუმცა იმავე წერილობით ძეგლში შეგვხვდა სახელი **მურვან** (გივიშვილი) და გვარსახელი **მურვანაშვილი** (მომესწარა), რაც გვაფიქრებინებს, რომ **მურუყა // მურუჟა მურვან // მურუჟან // მურუჟა** ანთროპონიმის დიალექტურ-ვარიაციულობას.

ყ // მ ბგერების თვალსაზრისით, საყურადღებოა XIII-XIV საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიის (საალაპე) მასალებში მოხსენიებული ერთ-ერთი გვარსახელი **სალდაყი** (ამას დღესა ალაპი **სალდაყისივე** გვ. 60 [18], რომელიც შესაძლოა სალდაძე გვარსახელის სალდა ფუძის არქტიპული და დიალექტური ვარიანტი იყოს: **სალდაყი // სალდაძე // სალდაძე**. თუ ეს ასეა, მაშინ სალდაყ ლექსემაში ა ხმოვნის ძლიერ დამართვასთან გვექონია საქმე: **სალდაყ <_ სალდაჲ**.

მსგავსი ინტერესის აღმძვრელია „ქართლის ცხოვრებაში“ (ტ. II. გვ. 406) მოხსენიებული პიროვნება პაპუნა **ვაშაყისშვილი**, რომელშიც ყ შესაძლოა მ-დან მომდინარე იყოს. შდრ. **ვაშაყისშვილი** (<_ ვაშაყის შვილი), **ვაშაძე**, **ვაშაკიძე... ვაშაკიძისეულ ვაშაკ**ში -აჲ კნინობით სუფიქსად კი არ უნდა გავიგოთ, არამედ იგი მაგარი დამართვის შედეგი შეიძლება იყოს.

შეიძლება დავასკვნათ: XII-XIII სს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონებში (ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, ლივანა, იმერხევი, აჭარა, გურია...) მ ბგერა გვექონია, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ხმოვნის შემდგომ. მისი არსებობა-თავჩენა ხმოვნის მაგარი შემართვით უნდა აიხსნას.

დაისმის კიდევ ერთი კითხვა: გვაქვს თუ არა ყ >_ მ რელიქტის სახით მაინც საქართველოს ამ რეგიონის ტოპონიმიაში, გვარსახელებში, დიალექტურ ლექსიკაში?

ამ თვალსაზრისით ჩვენ შევისწავლეთ არაერთი გვარსახელი და ტოპონიმი (გურია-აჭარის, ასევე სამეგრელოს ტერიტორიაზე...), რომლებშიც გამოვლინდა ისეთი ტოპოფაქტები, რომლებმაც კანონზომიერად აღგვადგენინა ისტორიუ-

ლი გვარსახელების ერთი წყება, ან პირიქით: გვარსახელებმა აღადგინეს ძველად არსებული ტოპონიმები [19, 102], [20,3-10], [21, 154-171]. ჩვენი აზრით, -ყვა დაბოლოებიანი გვარები და ტოპონიმები არა აფხაზურ-ადიღური (ან მხოლოდ აფხაზური) წარმომავლობისა კი არაა [22, 481-490], არამედ საკუთრივ ქართულ-ქართველური. ამაზე მიგვანიშნებს ტოპონიმი **გუდაყვა** (ძველად არსებობდა „გუდაყდს საეპისკოპოსო“) [23, 63], ახლანდ. **გუდავა** და სხვ.

ყ _ მ ბგერა-სიმბოლოების თვალსაზრისით, საყურადღებო ჩვენებას იძლევა გურული დიალექტის მონაცემები, როგორცაა **ჯირაყვა**, **თვალყვა** ლექსემები...

1. **ჯირაყვა** გურულში პატარა საწნახლის აღმნიშვნელია. ამ სიტყვაში – **ყვა** დაბოლოება-სუფიქსი, რომელიც (ი)ან'იდან მომდინარეა, შეზრდია **ჯირა** ფუძეს. **ჯირაყვა** წარმოშობით ზანური ლექსემაა. ზანური შეფერილობა ჩანს თვით ფუძეში: **ჯირა+ყვა** =ძირიანი (ქართ. ძ-ზან. ჯ. შდრ. **ციხისძირი** – **ჯიხანჯირი**. ამრიგად, **ჯირაყვა** <– **ჯირაყა** // **ჯირა** მ<– **ძირა** <– **ძირაანი** (<– **ძირიანი**) [20, 156-158].

გ. შარაშიძის „გურულ ლექსიკონში“ **ჯირაყვა**'ს გვერდით **ჯერაყვა** ფორმაცაა დამოწმებული [16]. ეს უკანასკნელი **ჯირაყვა**'ს ფონეტიკურ-დიალექტური ვარიანტია: **ჯირაყვა** // _> **ჯერაყვა**, რომელშიც –**ყვა** დაბოლოებისეული **ყ** მან'ნიდან მომდინარეა: **ჯირა**მ< // **ჯირა**მ< <– **ჯირა**მ<–**ძირე**მ< (=ძირიანი).

თვალყვა. გურულ დიალექტში ყ (/მ) **თვალყვა** ნაზმნარ სახელშიც დავადასტურეთ. გ. შარაშიძე მას გათვალვად განმარტავს [16]. მკვლევრის ცნობით, უფრო ხშირად იხმარება „გაღალვა“, „გათვალვა“. მისივე თქმით, თვალყვის შემდეგ ლოცვა იცოდნენ. წარმოვადგენთ ამ ტექსტს სრულად:

მოვიდოდა შავი წყალი,
 მას მოჰქონდა შავი გველი,
 ჩაკვარ შავი ყავარჯენი,
 ამევიღე შავი გველი,
 ჩავაგდე ქვაბსა რვალისასა.
 გასკდა რვაველი,
 წავარდა თვალი,
 მისი ავი სულით,
 ავი გულით,
 ავი თვალით
 შემხედვარის,
 მოხთა ღლაგში,
 გავარდა ყიაში.
 მე ვარ მლოცველი,
 ქრისტეა მარგებელი.
 ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი,
 არის ბრძანება თქვენი [16, 80].

გ. შარაშიძე **თვალყვის** განმარტებისას უდარებს ვ. ბერიძისეულ **გათვალყვას**, თითქოს ვ. ბერიძის „იმერულ და რაჭულ თქმათა სიტყვის კონაში“ [24, 16] გათვალყმა გვექონდეს ვ // ბ მონაცვლეობაც სავსებით შესაძლებელია, მაგრამ

ვ. ბერიძის მიერ „სიტყვის კონაში“ შეტანილია **გათვალყვანა**, რომელიც მიჩნეულია რაჭულად და განმარტებულია **გათვალყვანად** *сглазить*. ამრიგად, გ. შარაშიძეს მცირედენი უზუსტობა მოსვლია. ან უკეთ, კორექტურული შეცდომა გაპარულა: **თვალყვა // გა-თვალყვა ვ/მ** ეს პროცესი ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ ენასა და მის დიალექტებში. შდრ. რაოდენი **_>** რავდენი **_>** რამდენი, სავსე **_>** სამსე და მისთ. ამრიგად, **თვალყვა** არქაული ფორმაა.

ს. ჟღენტის „გურულ ტექსტებში“ **ლოცვა თუალყვისა**, როგორც სახელწოდება, გვხვდება, მაგრამ მკვლევარს იგი სალექსიკონო ერთეულად არ გაუტანია. თვით **თუალყვის** ტექსტიც გ. შარაშიძის ანალოგიური **თუალყვის** სახელდების მქონე ლოცვის შინაარსისგან სრულიად განსხვავებულია. დაისმის კითხვა: ს. ჟღენტს ლოცვა თუალყვისა'ს დაბოლოება ხომ არ მიაჩნდა **თვალყვ** ან **თვალყოფილ** სიტყვაფორმებიდან მომდინარედ? თეორიულად, რა თქმა უნდა, ეს არცაა გამორიცხული, მაგრამ ჩვენ, ისე როგორც გ. შარაშიძეს, ვ. ბერიძეს, უფრო **თვალვა**'დან მომდინარედ გვესახება. თუ ეს ასეა, მაშინ **თვალყვა**'ში ყ „განვითარებული“ (რესპ. გაჩენილი) უნდა იყოს, რომელიც რელიქტის სახით შემორჩენია გურულ კილოს.

3. **ბოჯაყი**. მთელ გურიაში გავრცელებული სიტყვაა. ს. ჟღენტის განმარტებით, **ბოჯაყ**'ს ეძახიან იმ ადგილს, სადაც ხის ტოტი უერთდება ტანს [15, 214]. ამ ლექსემას არ იცნობს გ. შარაშიძის „გურული ლექსიკონი“. ვვიქრობთ, იგი ანალოგიას პოულობს მეგრ. **ბოჭკა ჯა**'სთან, რაც ბორჯღლიან სარს ნიშნავს [43]. ჩვენი აზრით, **ბოჯაყის** **ბოჯ** იგივეა, რაც ქართული **ბოძი** [26, 55]. ბოძს იმერულში **ბოჯგი** შეესაბამება. **ბოჯაყ**'ში **-აყ** სუფიქსად გამოჩანს, რომელიც შესაძლოა **-აკ** კნინობითი სუფიქსის სახეცვლილება იყოს: **ბოჯაყი <_ ბოძაკი**, სხვაგვარი ახსნით, აყ **||**ამ მაგარი შემართვით გამო იყოს გაჩენილი: **ბოძაკი // ბოჯაკი //_> ბოჯაყი // ბოჯაყი**.

და ბოლოს: გურული **ბოჯაყის** ფონეტიკური სახესხვაობა შემოუნახავს ლეჩხუმურს **ბორჯოყო**'ს სახით: „ბორჯოყო – ტოტების გასაყარი ადგილი ხის ტანზე“ [27, 141]. ბორჯოყო'ში რ სონორი განვითარებული ბგერაა: **ბოჯაყი > ბორჯაყი > ბორჯოყო**. ამ უკანასკნელში ბოლოკიდური **-ო** სიტყვასაწარმოებელი სუფიქსია. როგორც ჩანს, გურული ლექსემა ამოსავალია ლეჩხუმურ **ბორჯოყო** და იმერულ **ბოჯგ** სიტყვაფორმებისათვის.

4. **ჯიჯაყვი**. ეს ლექსემა რაჭულია. ვ. ბერიძის განმარტებით ნიშნავს ბაყვებს შუა გამოსულ ჯირყვალს და დაბელვის შემდეგ ხეზე დარჩენილი ტოტების ჩანაჭერს [24, 164]. ღირსსაცნობია, რომ ლეჩხუმურში **ჯიჯა** სწორს ნიშნავს [27]. შდრ. მეგრ. **ჯიჯიხუა** – დაკორძება, დამსხვილება [25, 184]. **ჯიჯა** გურულ კილოში აღმნიშვნელია **კიდე, ბოლო**'სი [28]. ჩვენი აზრით, **ჯიჯ** ძირიდან ნაწარმოები დიალექტური ლექსემები დასავლურ დიალექტებში ზანიზმია. ზანურის ანუ მეგრულ-ჭანურის კვალი და გავლენა ქართული ენის დასავლური კილოებისათვის ცნობილია. ამრიგად, მეგრ. **ჯიინჯ** „ძირი“-დან ნაწარმოებ დიალექტურ ერთეულებში გურ.-ლეჩხ. **ჯიჯ**-ა, რაჭ. **ჯიჯაყვი**-ი –ა, **-აყვი** სიტყვასაწარმოებელი აფიქსებია. –აყვი –ა სუფიქსის მაგარდამართვიანი გამოვლინება უნდა იყოს, რომელიც რაჭულს, ამ შემთხვევაში, რელიქტის სახით შემოუნახავს.

5. **ასტამაყი**. თუშურ კილოში ასტამაყ იხმარება. იგი რკინის პატარა ნაჭერია, რომელიც გამოიყენება ქვაბსა და გოზზე დაკრული ცომის ასაფხეკად [29]. **ასტამაყი** სპეციალური სამეცნიერო ტერმინიცაა. **ასტამაყი** რკინის საფხეკია, რომელიც გამოიყენება ნავის უსკრულის (?) წყალმცენარეებისა და ნიჟარების გასაწმენდად [30, 350].

ასტამაყის ფუძეა **ასტამ**, რომელიც ძველი ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში (მაგ., „შუშანიკის წამება“) გვხვდება. **ასტამი** ქართულში ახლაც იხმარება, ნიშნავს თონიდან პურის ამოსაღებ, ცომის ასაფხეკ რკინის პატარა ნიჩაბს [31, 620]. ამავე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დამოწმებული და განმარტებულია **ასტამურა** – ტექნიკური ტერმინოლოგიის კუთვნილი ტერმინადექვეული სიტყვა („გამალაშინებული ზედაპირის მოსასწორებელი“ (გასაგლუვებელი) იარაღი ფოლადის თხელი ფირფიტის სახისა), რომელშიც **–ურა** (<–ურ-ა) რთული აღნაგობის სუფიქსი მსგავსება-წარმომავლობის შინაარსითაა აღჭურვილი.

ასტამაყში –**აყ**, შესაძლოა, –**აკ** კნინობითი სუფიქსი იყოს, ან მაგარი დამართვის გამომხატველი: 1) **ასტამ** –**აკ** > **ასტამაყ**, 2) **ასტამაკ** > **ასტამა** > **ასტამაყ** // **ასტამაყ**.

6. **ყუდე** // **ყუდე** // **უდე**. –**მ** ბერა მესხურ-ჯავახურშიც უნდა გვექონოდა, რასაც გვაფიქრებინებს ტოპონიმი **უდე**. **უდე** სოფელს ჰქვია ადიგენის რაიონში. ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებაში **უდე** ტოპონიმის თავკიდური **უ** ძლიერი შემართვით წარმოითქმის. არაა გამორიცხული ისტორიულად მის წინ **ყ** ბერაც გვექონოდა. როგორც ცნობილია, ამავე სიტყვაში დაიკარგა თავკიდური ფუძისეული **ყ** მეგრულშიც: **ყუდე** > **ყუდე** > **უდე** (არნ. ჩიქობავა). თავკიდურ პოზიციაში **ყ**ს დაკარგვას მერაბ ბერიძე ჯავახეთში არსებულ კიდევერთ ტოპონიმში ადასტურებს: ოფული <– ყორული, რომელიც თურქულიდან შემოსული ლექსემაა და შემოღობილ, ნაკრძალ ადგილს ნიშნავს [32, 100]. ამრიგად, **ყუდე** – **ყუდე** // **უდე** (შდრ. **აყუდე**ბს – **საყუდარი** > **საყდარი** // **სახტარი**...)

შეგვიძლია დავასკვნათ: თვალყვა, ბოჯაყ, ჯიჯაყ, ყველაყ... ქართული ენის სამხრული და დასავლური დიალექტების, ასევე ზანურისათვის დამახასიათებელი ისტორიული პროცესია, რომელშიც ასახულია სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში (ან თავში, სიტყვის დასაწყისში) ხმოვნის მაგარი შემართვა-დამართვის მომენტი...

7. **ბორიაყი** და მისი ნაირსახეობანი.

ქართული ენის ქართლურ დიალექტში **ბორიაყი** ჰაერში ავარდნილ მტვერს, ბდღვირს აღნიშნავს, რომლის სინონიმად იმავე კილოში **ბორიალი** გვევლინება. აღსანიშნავია, რომ ქართლშივე ბევრი ხალხის არეული სიარულის აღსანიშნავად ბორბოტსაც ამბობენ [33, 63]. ცხადია, პირველ ორ შემთხვევაში სუფიქსურ სიტყვაწარმოებასთან გვაქვს საქმე (**ბორიაყი**, **ბორიალი**), მეორე შემთხვევაში თხზულთან (**ბორბოტ**). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს უკანასკნელი ფონეტიკურად რედუპლიცირებული **ბორიალ** // **ბორიაყის** **ბორ** ძირია: **ბორბოტ** <– **ბორბორ**. **ბორ-ბორ** // **ბორ-ბოლ** ფუძეს განიხილავს ფ. ერთელიშვილიც [34, 188-200], მაგრამ მისეული **ბორბოლ** საკუთრივ ქართულ-ქართ-

ველური ძირია: **ბობორიკა**, **ბობორჩხიკა**, **ბორბალ**, რომლებიც ძირითადად მწერის წარსახეობათა აღმნიშვნელია ქართულსა და მეგრულ-ჭანურში და ჩვენეული, ზემოთ წარმოდგენილი **ბორიაც**'ის ძირთან საერთო არაფერი აქვს, გარდა გარეგნული იერსახისა.

გვეყვინდა თუ არა **ბორ** ძირი ძველ ქართულში?

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **ბორია** // **ბორიაც** შეტანილი არაა, ავტორი მხოლოდ ფუძეგაორკეცებულ **ბორბალ** ლექსემას იმოწმებს, რასაც ასე განმარტავს: „ბორბალი“, „ნიავექარი“, „გრიგალი“, „ქარიშხალი“; „მორგუ“ [35]. ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **ბორია** ლექსემაა, რაც **ჩრდილოეთის ქარადაა** განმარტებული [36]. მართლაც, ბასილი კესარიელის „სწავლათა“-ში ვკითხულობთ: „რამეთუ იხილა ბუნებად იგი ქუეყანისა მის, ვითარ ცივი იყო და ჟამი წელიწდისა, რამეთუ ზამთარი იყო, მოელოდა ღამესა, რაჟამს ნეფხვისა მის სასტიკებად გარდაემატა, რამეთუ ქარი იგი ჩრდილოდასა, რომელსა ეწოდების **ბორიად**, იგი ქროდა მას ღამესა სასტიკად, მაშინ ბრძანა განშიშულებად მათი და შეყენებად ყინელსა მას ტბისასა ღამე ყოველ, რადათა ესრეთ მოსწყედენ- [37].

ამრიგად, **ბორია** ძველ ქართულში „ჩრდილოეთის ქარს“ აღნიშნავს.

სულხან-საბას განმარტებით, „ბორეასი ქარია ჩრდილოთ გამო“. ლექსიკოგრაფს იქვე ცალკე სალექსიკონო ერთეულად შეუტანია **ბორი** (ჭმელი ნისლი მტვერის მსგავსი) და **ბორიაცი** („ბორიაცი იგივე ბორი“) [38]. დ. ჩუბინაშვილს ერთ (ბუდობრივ?) სალექსიკონო ერთეულად შეაქვს **ბორეა**, **ბორეასი ბორიო** „ჩრდილოეთის ცივი ქარი, северный холодный ветер, норей“ [39, 114], იმავედროულად იქვე **ბორ**, **ბუარ**, **ბურუს** ლექსემები ცალკე მოუთავსებია, რაც ასე განუმარტავს: „ხმელი ნისლი მტვერის მსგავსი, мгла, სიციხის ბორი, духота, душевота [39], ნ. ჩუბინაშვილს კი თავის ლექსიკონში **ბორეასი** (ქარი ჩრდილოეთისა норей, норéа) და **ბორი**, **ბური**, **ბურუსი** („ხმელი ნისლი მტვერის მსგავსი“) ცალკე სალექსიკონო ერთეულად გაუტანია [40].

ბორ ძირს **განბორებულ** და **ბოროტ**ში განიხილავს მზ. ადრონიკაშვილი [41, 82]. ჩვენი აზრით, ამ სიტყვებს (რომელიც მზ. ანდრონიკაშვილის მიერ ს.შ. სპარსულ ხბრ ძირთანაა დაკავშირებული) კავშირი არ უნდა ჰქონდეს ჩვენეულ **ბორიაც** ლექსემის ბორ ძირთან, თუმცა ისტორიულად, მათი ურთიერთთან დაკავშირება შესაძლებლად მიგვაჩნია (ბერძნული და სპარსული ხომ მონათესავე ინდოევროპული ენებია!). აქვე დავძენთ, რომ **ბოროტ** ლექსემა მეგრულშიცაა შესული **ბორო** (აუსლაუტში ტ კონსონანტი დაკარგულია) ფორმით.: **ბოროტ-ი** > **ბორო**, „სულელის“ მნიშვნელობით. პ. ჭარაიას განმარტებით, **ბორო** (ბონჩო) – აბუჩი, სულელი ქართ. ბოროა [25, 42].

პ. ჭარაიასვე ამავე „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ **ბორია** ფორმაცა შეუტანია (ისეთივე ფორმით, როგორც ძველ ქართულში გვეყვინდა). **ბორია** ავტორის მიერ „ქარად“ არის განმარტებული [25, 43]. გ. ელიავა მეგრულში არსებულ **ბორია**'ს ჩრდილოეთის ქარად განმარტავს, ხოლო **ბორო** ლექსემას „ბრიყვად, სულელად“ და შეცდომით ბერძნულად მიიჩნევს [42, 34]. იქვეა შეტანილი და განმარტებული **ბოროტ** ნომენი: **ბოროტი** – „ავი, უკეთური“. ვვიქოვთ, ეს უკანასკნელი ქართული ენიდან ახალი შესული უნდა იყოს მოძმე მეგრულში.

ჩვენი აზრითვე, ამავე **ბორიაცი**სეულ **ბორ** ძირს უკავშირდება მეგრული **ბორუა**, რომელიც ნიშნავს „ძლიერ თოვას“ [42, 34].


ბორიო ქარის სინონიმია სვანურშიც [43, 70].

როგორც ჩანს, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არსებული ბორ ლექსემის ნაირგვარი ფორმები **ბორი**, **ბორია**, **ბორიო**, **ბორიაცი** არაქართული, ინდოევროპული სიტყვაფორმებია. ლათინურში boreas ბორეუს ჩრდილოეთს ნიშნავს, ხოლო boreas (boreae) როგორც ჩრდილოეთს, ისე ჩრდილოეთის ქარს [44, 39]. ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს გ. შულცის ლექსიკონი [45, 72]. ი. დვორეცკის „ლათინურ-რუსულ ლექსიკონში“ Boreas მიჩნეულია ბერძნულ ლექსემად. ლათინური Aquilo განმარტებულია როგორც «бореи, северный ветер» [46, 105].

ღირსსაგნობია, რომ ეგვევ **ბურ** ძირი გვაქვს რუსულ ენაშიც: **Буря** – გრიგალი, ქარი, ნიავექარი, ქარიშხალი, ალმური, განსაცდელი, მღელვარება, Буран – ქარიშხალი, ბუქი, ბური [47, 45-46]. მ. ფასმერის „რუსული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ სალექსიკონო ერთეულად შეტანილია буря ფორმა, რომელიც ასეა განმარტებული: «буря, ветер ураганной силы»; Вост. Причерноморье, Кубань. Заимств. через тур. ბორა «сильный ураган» из нов.греч. μπύρα или ит.ბორა – источника всех этих слов» [48, 193]. თურქულში არსებული bora's სინონიმებია tufan, tuftina, რაც უდაბნოს ქარს ნიშნავს [49]. 1989 წელს ვ. შერბინინის მიერ შედგენილ „რუსულ-თურქულ ლექსიკონში“ Буря'ს განმარტებაში bora ლექსემა აღარ ჩანს. ავტორ-შემდგენელი ამ სიტყვის განმარტებისას „ფირტინა“ შესაბამისი მნიშვნელობის აღნიშვნით კმაყოფილდება [50, 63].

ამრიგად, როგორც ირკვევა, **ბორ // ბურ** ძირი წარმოშობით ბერძნულ-ლათინურია, რომელიც ძველთაგანვე შესულა და დამკვიდრებულა ძველ ქართულ, რუსულ, თურქულ... ენებში: **ბორეას** → **ბორეა** → **ბორია**. ქართულში **ბორეაც // ბორიაც** ფორმის გაჩენა ხმოვნის მაგარი, ძლიერი დამართვით უნდა აისხნას. ეტიმოლოგიურად **ბორ // ბორია** უკავშირდება ძველ ქართულშივე არსებულ **ბურობან**'ს, რომელიც ხშირ(ფოთლიან), დაბურულ ტყეს აღნიშნავს [51, 152-153]. **ბორობან**'ში –**ობან** –**ოვან** სუფიქსის ბადალი და მისი დიალექტური ვარიაციული სუფიქსია, მქონებლობის შინაარსით აღჭურვილი [52, 42-47]: **ბორ // ბურ** → **ბორეა** → **ბორია** → **ბორიაც //** → **ბორიაცი**.

ამრიგად, ზემოთ გაანალიზებულ ლექსემებში (ყველაყი // ყველაკი, მორთულაყი // მორთულაკი, ჯირაყვა // ჯირაყა <- ჯორაყა, თვალყვა <- თვალვა (=გათვალვა), ბოჯაყი // ბოჯაკი, ჯიჯაყვი, ჯიჯაყი // ჯიჯაკი, ასტამაყი // ასტამაკი, ყუდე // მ უდე, ბორიაცი // ბორიაკი) ხმოვნია ძლიერ დამართვასთან (სიტყვის ბოლოში) გვქონია საქმე, ყოველივე ეს კი იმას მიგვანიშნებს და ათვალსაჩინოებს, რომ ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით, ყ // მ ქართულ ზეპირმეტყველებაში გვქონია. ღირსსაგნობია, რომ აკად. არნ. ჩიქობავამ ლაზურის (რესპ. ჭანურის) მიხედვით ყ'ს ოთხი რეფლექსი დაადგინა მ —კ—ა—ც— [1, 10]. პროფ. ნ. ქუთელიამ [ყ]'ს სხვა რეფლექსებიც გამოავლინა: ნ-ღ-ხ-რ-ც (სპორადულად). ორივე მკვლევრის მიხედვით, ყ'ს რეფლექსების საერთო სქემა ასეთია:



მათივე აზრით, ყ→ მ პროცესი დეფარინგალიზაციაა. როგორც მკვლევარნი ფიქრობენ, ეს „საერთო ქართველური ტენდენციაა. ის უნდა დაწყებულიყო ჯერ კიდევ ქართველურ დიალექტთა ერთიანობის ხანაში და შემდეგ მეტნაკლები ინტენსივობით გაგრძელებულიყო ცალკეულ ისტორიულ ენებში“ [53, 34].

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ანალოგიური პროცესი დავადასტურეთ გურია-აჭარის, სამეგრელოს ზოგიერთ გვარსახელსა და ტოპონიმშიც, რომელიც საბოლოო შედეგების სახით გამოქვეყნდა კრებულში „გურია. ტ. II (მხარის კვლევა-ძიების შედეგები)“. მსგავსი პროცესი, როგორც აღმოჩნდა, სხვა შემთხვევაშიც გვექონია.

ამრიგად. შეიძლება დავასკვნათ: ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში (თუშური, ხევსურული, იმერული, რაჭული, გურული...) ასევე ისტორიულ სამხრულ დიალექტებსა და მეგრულ-ჭანურში მ მაგარი შემართვის შედეგად წარმოქმნილი ბგერაა. იგი დღესაც შემორჩენია ქართული ენის როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებს (გურული, იმერული...), ასევე გურია-აჭარის, სამეგრელოს ტოპონიმებსა და გვარსახელთა ერთ წყებას. როგორც ერთ-ერთ ადრეულ სტატიაში ვწერდით, ამ მხრივ ძველი კოლხურ-ქართული ანუ ქართველური დანაშრეგების თუ რელიქტთა ძიება შემდგომშიც არაერთ ღირსსაცნობ ფაქტს გამოავლენს...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი, 1936
2. გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1938
3. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი. მეორე გამოცემა, თბ., 1966
4. ნ. იმნაძე, ბგერების აღქმის საკითხები ქართულ სალიტერატურო ენაში, თბ., 1989
5. თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966
6. ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. I. თბ., 1957
7. ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956
8. Ю.Д.Дешериев, Бацбийский язык. М., 1953
9. თ. გონიაშვილი, ა ნაწილაკისა და -ie სუფიქსის ურთიერთობისათვის ჩაჩნურში, იკე. XIII, თბ., 1962

10. ბ. ცხადაძე, იმერულის თავისებურებანი თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით: ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები. თბ., 1978
11. პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება. იკვ. VIII, თბ., 1956
12. თ. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი. იკვ. VI, თბ., 1954
13. ვ. ფანჭვიძე, იმერული კილო. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1936
14. ჯ. ნოღაიდელო, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათომი, 1936
15. ს. ჟღენტი, გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), ტფ., 1936
16. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა. I. გურული, იმერული, ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938
17. ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977
18. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XII-XV სს) ტექსტები და გამოკვლევა მოამზადა ქრ. შარაშიძემ, თბ., 1982
19. ბ. ცხადაძე, -ყვა დაბოლოებიან გვარსახელთა და ტოპონიმთა წარმომავლობისათვის. ქუთაისური საუბრები. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, II. 1996
20. ბ. ცხადაძე, ქართველურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ, ქართულ) გვარსახელთა ისტორიისათვის. დაბეჭდ: ნ. ჯომიდავა, კოლხური გვარსახელები, წიგნი I. თბ., 1996
21. ბ. ცხადაძე, მეგრულ-ჭანურის ერთი პლასტი გურია-აჭარის ტოპონიმიაში. კრებული „გურია“ (მხარის კვლევა-ძიების შედეგები), II, თბ., 1997
22. ს. ჯანაშია, ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის. შრომები. ტ. II. თბ., 1976
23. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, თბ., 1990
24. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912
25. პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997
26. ქ. მოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, არნ. ჩიქობავასა და მ. ალავიძის რედაქციით. თბ., 1974
27. მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა. I. თბ., 1938
28. ალ. ღლონტი, სიტყვის კონა ქართულ კილო-თქმათა, II. თბ., 1975
29. პ. ხუბუტია, თუშური კილო. ლექსიკა. თბ., 1969
30. ზ. კუტალიეშვილი, ნაოსნობა ძველ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1987
31. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964
32. მ. ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმური ლექსიკისათვის: იხ. კრებ.: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. VI, თბ., 1987
33. ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შეაგინეს თ. ბეროზა-შვილმა, მ. მესხიშვილმა და ლ. ნოზაძემ, თბ., 1981

34. ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1980
35. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973
36. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995
37. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთდმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983
38. ს-ს. ორბელიანი, თხზულებანი ტ. IV. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1965
39. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი. მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984
40. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღდგენილი რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961
41. მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. თბ., 1966
42. გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), თბ., 1997
43. ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი [ჩოლურული კილო], თბ., 1994
44. ლათინურ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი უმაღლესის სასწავლებლების სტუდენტთათვის, თბ., 1940
45. Латинско-русский словарь приспособленный к гимназическому курсу. Составил Г.Шульц. Издание десятое. С-Пб., 1905
46. И.Х.Дворецкий, Латинско-русский словарь. Издание 3-е, исправленное. М., 1986
47. Русско-грузинский словарь вновь составленный новейшим русским словарям Д.Чубиновим, С-Пб., 1886
48. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка. перевод с немецкого и дополнения члена-корреспондента АН СССР О. Н. Трубачева. Под редакцией и с предисловием проф. Б.А. Ларина. Издание второе, стереотипное, в четырёх томах. т.1. М., 1986
49. Русско-немецкий словарь. Составили Э.М.Э Мустафаев и В. Г. Щербинин. М., 1972
50. В.Г.Щербинин, Русско-турецкий словарь. М., 1989 М., 1972
51. ი. აბულაძე, ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი. თსუშ. ტ. XVIII, თბ., 1941
52. ბ. ცხადაძე, -ობან სუფიქსი ძველ ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან. ეძღვნება აკად. ვ. თოფურიას ხსოვნას. თბ., 1980
53. ნ. ქუთელია, დეფარინგალიზაციის პროცესი ლაზურში. არნ. ჩიქობავას საკითხავები. VII. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1996.





giorgi tal axaze

ადამიანის ფენომენის რენესანსული გაგების მოდელი „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების, „ოქროს ხანის“ გვირგვინია, ისევე როგორც პეტრე იბერიელისა და იოანე პეტრიჩის „საფილოსოფიო მწერლობა“ და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა.

შოთა რუსთაველი, მისი პოემა, როგორც ჩვენი დღემდე ამოუცნობი ვინაობის საიდუმლო, პოეზიის მწერვალია, მის ნაწარმოებში მოცემული დიდი სიბრძნე შერწყმულია ორგანულ ჰარმონიად, იმ დროს მოწინავე ფილოსოფიურ იდეებთან. აქ იუველირის სიზუსტით გამოხატულია ბუნების მშვენიერება, პლანეტათა მოძრაობის, იმ დროისათვის ახლებური გაგება, გეო-პედიოცენტრული ხასიათისა და რაც უმთავრესია დიდი ფსიქოლოგის, ფილოსოფოსის თვალთაა დანახული ადამიანთა ემოციები, გრძნობები, განცდები და გამოვლენილი მისწრაფებები. პოემა – ჰიმნია ადამიანისა, მისი უმაღლესი გრძნობების, სიყვარულის, მეგობრობის, სამშობლოსათვის თავდადების მოწოდების საოცარი ფილოსოფიაა, ჰქადაგებს სხვადასხვა ერის შვილთა მეგობრობას, ურთიერთ სიყვარულზე დაფუძნებულს. „ვინ მოყვარეს არ ეძებს, იგი თავისა მტერიაო“ – გვეხმინება დიდი რუსთაველი.

დიდი მოძღვარი, დიდი რეალისტის თვალთა დანახულ სინამდვილეს, ადამიანის ბედს, მის დიდ წუხილს, ცხოვრების სირთულეს და ბედნიერებას გვიხატავს. იგი ქმნის, ძერწავს, რეალურ სინამდვილეში მოქმედი, ახლებური იდეებით აღჭურვილი და მოქმედი, რენესანსული დინამიზმით და ჰუმანიზმის მუხტით, ტრაგიკული ბედით დატვირთულ ახალ ადამიანებს, რასაც ჩვენ ძალიან მოკლედ და ზოგადად შევხებით.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ [1. 15]. რუსთაველის შეხედულება დროის ადეკვატურია, რისი თანამედროვე და მონაწილეც თავად იყო. იმდროინდელ ქართულ ცნობიერებაში განვითარებული იყო ადრეულ საქართველოში არსებული აზრი, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე, რაც ქართველებმა იმხანად პირველებმა გააკეთეს მსოფლიოში, როცა პირველად აიყვანეს ქალი მეფის ტახტზე.

პოემის ქალები ბუნებრივად და ბრწყინვალედ ადასტურებენ იმ ჰუმანიზმს, რომ ისინი მამაკაცთა ღირსეული პარტნიორები, თანამოაზრენი არიან, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფო საქმეებში, მამაკაცებს მოუწო-

დებენ საგმირო საქმეებისკენ, იცნობენ ნეოპლატონურ ფილოსოფიასა და არეოპაგიტიკულ იდეებს, რასაც ადასტურებს მათივე გამონათქვამები ღმერთის, „გამოუთქმელი“ ბუნების შესახებ, შრომობენ, იბრძვიან და დიდი სიყვარულიც იციან. ერთი სიტყვით, პოეტმა რენესანსული განწყობის ტიპები მოგვცა. მათი ტკივილი, განცდები, მწუხარება თუ სიხარული, სავსებით გასაგები და მისაღება ჩვენი თანამედროვე ეპოქისათვის, აქ არაა არავითარი ზღაპრები, თვით ქაჯებიც.....“ არ ქაჯნია კაცნიაო“. ეს ნაწარმოები, ბევრად ცილდება რაინდული, კურტუაზული რომანის, ლიტერატურის ჩარჩოებს, ის რეალისტური ლიტერატურის დიად რენესანსულ ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

ნაწარმოების მთავარი გმირი უდავოდ ავთანდილია, იგი ყველა მოვლენის ცენტრში ტრიალებს და გონივრულად წარმართავს, სწორედ ის არის რუსთაველის მიერ დახატული ადამიანის ჰარმონიასთან მიახლოებულ მოდელად, ნიმუშად. მის ანდერძში გადმოცემულია განათლებული პიროვნების ცხოვრებისეული მრწამსი, მისი განცდები, მისი მოვალეობა და საერთოდ კაცის პასუხისმგებლობა, იქ არის ნაჩვენები პოემის ძირითადი იდეა:

„არა ვიქმ ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,

მით ვისწავლებით მოგეცეს, შერთვა ზესდ მწყობთა წყობისა“ [1, 176]

აქ მოცემულია ქმნადობის აზრი, რითაც განხორციელდება ფილოსოფოსთა სიბრძნე, სხვანაირად ყველაფერი ფუჭია, ხოლო ამ სიბრძნის შესწავლა, საშუალებას გვამლევს ვეზიაროთ, შევერწყათ სამყაროს წესრიგის დამაწესებელ უზენაეს ძალას ანუ ღვთაებას. ესაა გამოძახილი პეტრე იბერიელის აზრისა, რასაც ადამიანი ეზიარება ან უკან დაბრუნდება ღვთაებაში, ადამიანის „განმდრთობის“ თეორიიდან.

ანდერძში ფაქტობრივად, გამოხატულია რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირითადი ასპექტები, რასაც ხორცი ესხმება მთელს ნაწარმოებში. ლაპარაკი კაცის მოვალეობაზე მოყვასის მიმართ, ავტორი წერს:

„მას რა ვარგო, ეს ჩემთვის დიდებად

და კმარის დავლად“ [1, 177]

ჩემთვის ყველაზე დიდი მონაპოვარია მოყვრის დახმარებაო, „სიყვარული აღგვამალვებს“, ამას გვასწავლიან ქრისტეს მოციქულებიო, სადაც ნათლად ჩანს ახალი აღთქმის ეთიკური მოტივის გავლენა.

„არვის ძალუმს ხორციელის განგებისა გარდავლენა“ [1, 176]

აქ გააზრებულია, ღვთაების ნების გარდაუვალობა, წითელ ზოლად გასდევს მთელ პოემას, მისი შეცვლა შეუძლებელია, ვერავინ შეცვლის, რადგან რაც უფალს სურს ის არის უკეთესი ადამიანისათვის. ეს სწამს რუსთაველის გმირსაც:

„რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?

ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილსა შემოქმედსა“ [1, 30]

ეს ნეოპლატონური აზრია, რომელიც განვითარდა არეოპაგიტიკაში, სადაც საერთოდ უარყოფილია ბოროტების არსებობა, მის სუბსტანციალობას ამიტომაც ვერ შეცვლის ადამიანი „ტკბილად მხედს, კეთილისა შემოქმედსა“.

აქედან გამომდინარე არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მოყვარე, მოყვასი, რაც ქრისტიანობის უანგარო პრინციპის გამხატულებაა და სჯობს „სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, რაც ადამიანის ღირსების რენესანსული მოტივია, რის საფუძველზეც მოგვიწოდებს დიდი ჰუმანისტი, „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი, რაც ქართველების საბრძოლო დევიზი გახდა. რუსთაველის მაგიური სიტყვები ჩვენი ხალხისათვის ბიბლიურ მნიშვნელობას იძენდა, ამიტომაც „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ხალხის „მეორე ბიბლიაა“, მისი ბრძნული იდეები ნოყიერ ნიადაგს პოულობდა ქართველი ხალხის სულში და ახალ საციცოცხლო ძალებს აძლევდა.

რუსთაველი ნათლად ხედავს, რომ სინათლის სხივები არ ასხვავებს მდიდარ და ღარიბ ადამიანებს და თავისი გმირის პირით, მოუწოდებს ხელისუფალთ, სიკეთის თანაბრად განაწილებაზე, რადგან რასაც გასცემენ ის სიკეთითვე დაუბრუნდებათ. საგულისხმო მომენტია, რუსთაველთან დემოკრატიზმის ჩანასახები, რაც ანაზღაურებს მას ყუთლუ-არსლანის დასის იდეებთან, თუმცა მასში მაინც არ უნდა ავუროთ. ისინი თანამედროვენი არიან და ამ პროგრესულ ადამიანებს, ცხადია, მსგავსებაც ბევრი აქვთ, მაგრამ რუსთაველის იდეალი მაინც აბსოლუტური, ოღონდ განათლებული მონარქიაა, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ფენას თავიანთი პროფესიონალიზმით, წოდებრივად პირადი ღირსებების მიხედვით უჭირავს თავისი ადგილი და აღარ არიან მონები ე. ი. რუსთაველი ითხოვს ბატონყმური წყობილების უფრო დახვეწას, სრულყოფას, რომელსაც სათავეში უდგას აბსოლუტური, განათლებული მონარქი, რის იდეალადაც მას მიაჩნდა დავით აღმაშენებელი და თამარი.

ავთანდილი დახმარების ხელს და გულს გაუწვდის, მისთვის უცნობ ვეფხისტყაოსან ჭაბუკს, პოემის მთავარ გმირს ტარიელს, რომელსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა უცნობი მდგომარეობიდან გამოეყვანა და მისთვის იმედი მიეცა. ის მიხვდა, რაც სჭირდა ტარიელს და შესანიშნავი ფსიქოლოგიური უნარი გამოავლინა ადამიანის ბუნების ცოდნისა, იგი ურჩევს, რად გინდა ბრძენთა დარიგება, თავის ცოდნას თუ არ გამოიყენებდა.

ავთანდილი მოქმედებს რაციონალური პრაგმატიზმით, მისთვის მიზანი ამართლებს საშუალებას, თუნდაც არცთუ შესაფერისი საქციელი ჩაიდინოს. ის ხომ რეალური, ცოცხალი, ცხოველი ინტერესებით აღსავსე პიროვნებაა და არა ზღაპრული-სარაინდო ეპოსის გმირი ვერ მოიქცევა იდეალურად, რადგან იმდროინდელი „კაცთა სოფელი“ არ აძლევს საშუალებას, საყვარელსაც გაიჩენს ფატმანის სახით, რომლის სატრფოც შეგნებულად იმსხვერპლა, რადგან მისი მიზნის განხორციელებას ეშლებოდა ხელი და მართლაც გაუმართლა, სასიამოვნო სიურპრიზი მიიღო, როცა შეიტყო ნესტანის ადგილსამყოფელი მისი დახმარებით და მიაწვდინა ხმა.

აქვე ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ ფატმანზეც. რუსთაველის დახატული ტიპების მხატვრული სახეები, მისი ეპოქის სხვა რაინდული ნაწარმოების პერსონაჟთაგან აშკარად განსხვავდებიან თვისებებით და ხასიათებით, მოკლედ, რომ ვთქვათ, ისინი უდავოდ რეალური პიროვნებების ინტერპრეტირებული

პროტოტიპებია, მოქმედება დინამიკურია სურათი მთლიანია და შეუწელებელი ინტერესით იკითხება, ერთ-ერთი ასეთი საინტერესო სახე უდავოდ არის. მართალია, შედარებით მეორე ხარისხოვანი გმირი, მაგრამ საკვანძო ხაზის გამხსნელი, სისხლსავსე და ხორცსავსე, ცოცხალი სახე ტურფა ფატმანისა, რომელიც ვაჭართა წრის წარმომადგენელი კლასიკური ქალბატონია. იგი უსიყვარულოდ გაათხოვეს მდიდარ ბებერ კაცზე, რაც თავადაც იცოდა, არც ჰქონდა პრეტენზია. თავის მოვალეობას კარგად ართმევს თავს, მოხერხებული, მომხიბლავი, თავაზიანი, გულკეთილი ქალია. ერთი სიტყვით, მას არაფერი აკლდა: სიმდიდრე, პატივი, საზოგადოებაში გამოსვლა. ის ხომ ვაჭართა უხუცესის ცოლი იყო. სიყვარულით თითქოს კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბუნებით თამამი ქალი იყო, ავანტურის მოყვარული და თავის თავზე გადამეტებული წარმოდგენის, მაგრამ ამას ცოდვად ნუ ჩავუთვლით, ადამიანების უმრავლესობა ხომ წმინდანების გარდა ასეთია. მან დაინახა ავთანდილი და სიყვარულმა შეიპყრო, ნერვიც კი არ შეტოვებია ისე დაღუპა საყვარელი, ჩვეულებრივი ქალური საქციელია, როცა კაცი მოწყინდებათ და ვეღარ იცილებენ, მაგრამ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ საკმაოდ გონიერი, გულისხმიერი ქალიცაა, მიუხედავად მისი ნაკლოვანებისა, ერთ-ერთი დადებითი გმირია, სიმპათიურად გამოხატული და მკითხველის შესაბამის თანაგრძნობასაც იმსახურებს.

ფატმანი მართლაც დედობრივი დიდი ქალური თანაგრძნობით მოვევია ნესტან-დარეჯანს, ყურადღება და დახმარება აღმოუჩინა, რაც მაშინაც არ შეწყვიტა როცა ავთანდილისაგან სიმართლე შეიტყო, პირიქით – უფრო გაამლიერა შემწეობა. ცხადია, გულში არ ესიამნებოდა ავთანდილის დაკარგვა, მაგრამ იგი ბუნებით კეთილშობილი ადამიანი აღმოჩნდა, დიდი აღფრთოვანებით დაეხმარა ავთანდილს, რა ამაგიც დიდად დაუფასეს მას ტარიელმა და ავთანდილმა.

პოემის, მთავარი გმირი ქალის პიროვნება ნესტანი, თინათინი ერთად, სილამაზის, მშვენიერების, სიკეთის, სიბრძნის ჰარმონიულად შეხამებული სიმფონიაა, ასევე დიდ პატივისცემას იწვევს, მეორეხარისხოვანი გმირი, ქალი ასმათი-ერთგულების და ჭკუის განსახიერებაა. ნესტანის წერილი ტარიელისადმი, საოცარი სითბოთი, სიყვარულით და სიბრძნით აღჭურვილი ქალის წერილია, სადაც მოცემულია ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ემპედოკლეს აზრი, ოთხი ელემენტის შესახებ „მზის“ ნეოპლატონური ხასიათის გაგება, ასევე არეოპაგიტული მომენტი, დღე-ღამით, მხედველი მარადიული მზისა ანუ ღმერთისა, სადაც მიესწრაფვის ნესტანი მის სატრფოსთან ერთად უკანდაბრუნებას „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“ (1016)

ეს „უსტარი“ ჰიმნია სიყვარულისა, სადაც აფრთხილებს სატრფოს, რომ ტყუილად ნუ დაშვრებით ჩემს გასათავისუფლებლადო, თორემ, შენ რომ რამე მოგივიდეს, კლდიდან გადავიგდებ თავსო.

ადამიანური სამყარო ტანჯვისა და ზრუნვის, მოვლის, პატრონობის სამგლობელოა, რომელიც მრავალფეროვანია თავისი სიკეთით – აჩვენებს ავტორი, რომელიც ეყრდნობა პეტრიწის შეხედულებას ადამიანის დანიშნულებაზე ანუ მისიაზე. მან განავითარა პლატონის ღრმააზროვანი კონცეფცია ზეციერი

სიყვარულის შესახებ, გაამდიდრა ახალი ჰუმანისტური პრინციპებით, ზეციური ბუნებრივად შეურწყა მიწიერს და ადამიანისათვის მისაწვდომი გახადა, ეს იყო ახალი სიტყვა სიყვარულის გაგებაში, რითაც იგი, ბევრად მალა დადგა, რაინდული ეპოსების გაგებაზე, დაძლია აგრეთვე სიყვარულის მლიქვნელური, სოფისტურ-სპარსული გავლენები და იგი ადამიანის რენესანსულ გაგების არსებით მომენტად იქცა.

რა თქმა უნდა, პოემაში სიყვარულია, მეგობრობასთან ერთად ძირითადი საშუალება, რადგან პოემის მიზანი ადამიანის ფენომენის, მისი ხვედრის, ბედის, გაცნობიერება იყო. საბოლოოდ, სიყვარული შეუღლებული, შეზიარებული მეგობრობასთან ერთად გაიმარჯვებს და რუსთაველი დაასკვნის:

„ამა საქმეს დაფრულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს

ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაზადებს“ [1, 323]

რა დაფარულ საიდუმლოს გაამჟღავნებს ბრძენი დიონისე ანუ პეტრე იბერიელი?

დასაწყისშიც ამბობს ავტორი „ამა საქმეს მიმოწმებენ ბრძენი დიონისე“ ეს საქმე, მოკლედ მჟღავნდება, იმაში, რომ ბრძენი, არეოპაგელის აზრით, ბოროტება დაუზადებელია, უარსოა „უმყოფო“ ანუ არა აქვს ყოფიერება, უფალი მხოლოდ კარგს აჩენს, მოავლენს, დაზადებს, მისი მიზანი სიკეთეა ანუ უკუდაბრუნება, იგივე ზიარებაა მასთან, ადამიანის ერთიანება, მიახლოება მზესთან, ღვთაებასთან, რომელიც სახლია ადამიანისა, აქ კლასიკურად არის განხორციელებული ადამიანის „განმღრთობის“ მოძღვრება, რის საფუძველზეც რუსთაველის გმირთა სამფლობელოში, თხა და მგელი ერთად ძოვს.

ადამიანის ფენომენის გაგების მოდელი, რუსთაველთან, ემყარება პეტრე იბერიელის ადამიანის განმღრთობის თეორიას, ნეოპლატონურ შეხედულებებს, პეტრიწის ნაზრევს, ანტიკური და ქრისტიანული რელიგიის წყაროებს, ავითარებს მათ, ადამიანის ბუნება არის სულის და ხორცის ერთიანობა, სადაც უპირატესობა სულს ენიჭება, იგი არის საშუალება რითაც ადამიანი მისი წარუფის ჰარმონიისაკენ, უკანდაბრუნების გზით ეზიარება ღვთაებას, შეიმცნებს მას ნაწილობრივ პოზიტიური განსაზღვრებებით, რითაც ამოწურავს რაციონალურ გაგებას, უმატებს უარყოფით განსაზღვრებებს მისი ბუნების გაგებაში, რომლის შემდეგ უკეთესთ, ადამიანებს შორის, ეძლევათ უფლისაგან ზიარების საშუალება.

ესე იგი ადამიანის ფენომენის საიდუმლო, მისი მოდელი რუსთაველმა ააგო, თავად ადამიანში უფლის მიერ ჩანერგილი ცოდნის, რაც მოიცავს რაციონალურ და მისტიკურ სწავლებას, ანუ ადამიანი თვადაც არის შემოქმედების უნარის მქონე, უფრო დაბალი საფეხურის მიმართ, იგი ხატია და მსგავსი უფლისა და უბრუნდება მას, იმავე აუცილებლობით, რა აუცილებლობითაც იგი შექმნა გამჩენმა.

ამრიგად, რუსთაველმა ჩამოაყალიბა ახალი რენესანსული გაგება ადამიანის ბუნებისა, რაც განსაზღვრულია ჰუმანისტური პრინციპებით. ადამიანი არა პასიური, მორჩილი, ამთვისებელი არსებაა სამყაროსი, ანუ ცხოვრების საშუა-

ლებების შემქმნელისა, ამასთანავე იგი არის შემოქმედი, ახალის შემქმნელი, რადგან უფალმა თავის მსგავსს მიანიჭა ცოდნის (რაციონალური და მისტიკური) თანდაყოლილი, გენეტიკური უნარი, რითაც საშუალოდ უკეთესი კაცთაგანი ეზიარებთან „დაუვალ მზეს“, „უჟამო ჟამს“, „მზიან ღამეს“ „ერთს“ ანუ ღმერთს, რის საფუძველზეც მიეახლებიან უკვადავებას, სიკეთეს, მარადისობას, ჭეშმარიტებას.

GEORGE TALAKHADZE

Summary

The great Georgian poet Sh. Rustaveli created the new renaissance vision of the human being's nature based on humanistic principles. Man is creator because God created Men in His own image and likeness, giving him congenital skills of ration end mystical reasoning and using them, he is able to unite with goodness and truth.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“ (ა. ბარამიძის, ვ. კვეციანის, ა. შანიძის რედ. თბილისი, 1992 წ.)
2. რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“ წიგნი I, პავლე ინგოროყვას რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, „მერანი“, 1970 წ.
3. ნუცუბიძე შალვა, შრომები, ტომი IX, „მეცნიერება“, თბილისი, 1986 წ.





როგორ, როდის და საიდან წარმოიშვა გვარები

*„ვინც რა ვართ, უნდა ვიცოდეთ
ღვთის დადებული წესია“
ვაჟა-ფშაველა*

ჩვენთვის თითქმის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება, რომ ადამიანს გვარი არ ჰქონდეს? მაშინ როგორ განვასხვავოთ ადამიანების ერთმანეთისაგან? მაშინ ხომ ყველას სულ სხვადასხვა საკუთარი სახელი უნდა ერქვას?

მაგრამ იყო დრო, როდესაც ადამიანებს გვარები არ ჰქონდათ, მათ გასარჩევად მაშინ მართო სახელები კმაროდა. ასეთი ვითარება თითქმის დღევანდლამდე შემორჩა ზოგიერთ მიუვალ, მივარდნილ ადგილებში მცხოვრებ ზოგ მცირერიცხოვან ტომებს, რომლებმაც ახლაც კი არ იციან, თუ რა არის გვარი ან რა საჭიროა, გარდა სახელისა კიდევ სხვა სიტყვა, რომ ერთი პირი მეორისაგან გამოვარჩიოთ.

ვიდრე ადამიანები მცირერიცხოვან ტომებად ცხოვრობდნენ, გაფანტული იყვნენ დიდ ტერიტორიებზე და ტომებს შორის მჭიდრო კავშირები არ არსებობდა, მაშინ მართლაც შესაძლებელი იყო ტომის ყველა წევრს სხვადასხვა სახელები რქმეოდათ და მართო სახელითაც მიხვდებოდნენ, ვის შესახებ იყო ლაპარაკი. მაგრამ კაცობრიობა დიდი ხანია გასცდა ტომობრივი კარჩაკეტილობის ხანას. მოსახლეობის მატება, შრომის განაწილება, ტომებს შორის სავაჭრო და სხვა სახის ურთიერთობების გაცხოველება და საბოლოოდ ხალხთა უფრო მრავალრიცხოვან გაერთიანებებად ჩამოყალიბება, აუცილებელს ხდიდა არა მართო იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა თუ იმ ადამიანს, არამედ ვისი შთამომავალია იგი, რა ხელობის კაცია, სადაურია და ა.შ. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ სახელის გვერდით გაჩნდა მეორე დამატებითი სიტყვა-სახელი, რომელიც თავის მხრივ აზუსტებდა პიროვნების, ადამიანის ვინაობას, იძლეოდა უფრო მეტ ცნობებს მასზე და ამით აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების _ სეხნიების გარჩევას. სწორედ ამ დამაზუსტებელი მეორე სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორ პიროვნული საკუთარი სახელის თანმხლები, განუყრელი, აუცილებელი ნაწილი ე.ი. სახელი უფრო ადრინდელია, ვიდრე გვარი. გვარი წარმოიშვა უკვე განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაში და ამიტომ მას სოციალური განსხვავების გამოხატვაც დაეკისრა. გვარების მიხედვით განასხვავებენ თავადებსა და აზნაურებს, დაბალი წოდების ადამიანებს _ გლეხებს.

არსებობს მეცნიერების სპეციალური დარგი _ ანთროპონომიკა, რომელიც შეისწავლის ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებს. ისინი, რა თქმა უნდა, მჭიდრო კავშირშია, მაგრამ მაინც, ცალ-ცალკე შეისწავლებიან და ამს გამო

გვარების შესწავლა ცალკე სამეცნიერო მიმართულებად ჩამოყალიბდა და მას პატრონომიკა, ანუ გვართმცოდნეობა ეწოდება.

საერთოდ, ანთროპონომიკა და პატრონომიკაც თავის მხრივ ონომასტიკის შემადგენელი ნაწილია. ონომასტიკა შეისწავლის ყოველგვარ სახელებს, ეთნონიმებს, ზოონიმებს, ტოპონიმებს და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანთა გვარები იგივე საკუთარი სახელებია, ოღონდ დამატებითი, მეორეული სახელები, რომელთა შექმნა განაპირობა გარკვეულმა სოციალურმა პირობებმა და პრაქტიკულმა საჭიროებებმა.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე საკმარისი არ აღმოჩნდა პიროვნების მხოლოდ სახელით მოხსენიება, აუცილებელი გახდა იმის მითითებაც, თუ რომელ ოჯახს, თემს, სოფელს და ა.შ. მიეკუთვნებოდა ადამიანი. ამიტომაც ადამიანთა პიროვნულ სახელებს კაცობრიონის კულტურის პირველ საფეხურებზევე დაემატა თემურ-გვაროვნული, ყოფითი შინაარსით განპირობებული მეორე სახელი, ვინაობის დამაზუსტებელი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ჯერ არ იყო გვარი დღევანდელი გაგებით, ე.ი. ეს მეორე სახელი არ იყო კანონმდებლობით განმტკიცებული და ოფიციალურად აღიარებული, იურიდიული უფლებით აღჭურვილი ადამიანის მეორე სახელი.

ჩინეთში უძველეს დროში არსებობდა ოჯახებში ზამზუკის ფირფიტები, ე.წ. „ცინცე“, რომლებშიც მოცემულია ამა თუ იმ გვარის ისტორია, მისი წარმოშობა, წინაპრები. ფაქტიურად, ეს იყო გენეტიკური ცხრილები, საგვარეულო მატრიანე, საგვარეულო ხე დაწყებული პირველი ცნობილი წინაპრიდან.

ჩინელები დიდი პატივისცემით ეპყრობიან მშობლებს, წინაპარნი ხომ ჩინელებისათვის იგივე არიან, რაც ჩვენთვის წმინდანები. წინაპართა სულები, ჩინელების სარწმუნოების სწავლით, მარად ცოცხლობენ და თავის შთამომავლობას შველიან, მათი სიხარული ახარებთ და უბედურების დროს მათთან ერთად სწუხან. სიხარულ-ბედნიერების დროს ჩინელები მადლობით იხსენიებენ თავიანთი წინაპრების სულებს და უბედურების დროსაც კი შველა-დახმარებას შესთხოვენ. ყველა ჩინელმა იცის თავისი წინაპრის ისტორია და ამბავი. მათ აქვთ განსაკუთრებული წიგნები, რომლებშიც უწერიათ მთელი ისტორია გვარისა, დაწყებული ოჯახის პირველი დამაარსებლიდან. ამავე წიგნში იწერება ყოველი კეთილი და ბოროტი საქმე გარდაცვილი ოჯახის წევრისა. ამ წერილებით აფასებენ ჩინელები ადამიანს: უკეთუ ბოროტი საქმეები კეთილს აღმატება, მაშინ იმ პირთ საოჯახო წიგნიდან ამოშლიან და ეს უსასტიკესი სასჯელია ჩინელებისათვის. მათი შეხედულებით, წიგნიდან ამოშლილი ოჯახის წევრის სული შორდება თავისი ნათესავების სულებს და განმარტოებული დაუსრულებლად აქეთ-იქით ხეტიალობს.

ავტორს (ი. ცისკარიშვილს) თავისი ბროშურისათვის საჭირო ცნობები ამოუკრეფია ფრანგი სიმენის წიგნიდან. ასე, მაგალითად, ი. ცისკარიშვილი ერთ-ერთ წიგნში წერს: სიმენს გადაუთვალთვალა თავისი ნაცნობის, უანგ მინგტის საოჯახო წიგნი, რომელშიც წინაპართა შესახებ ამბავი იწყება 800 წლის წინათ.

ამ წიგნში აღნიშნული საოჯახო შესანიშნავი ამბები ყველა ოჯახის წევრმა იცის რადგანაც მას საოჯახო ყოველ დიდ დღესასწაულზე ხმამაღლა კითხულობენ.

მეფეების, ქვეყნების მმართველების, მითიური გმირების საგვარეულო ნუსხები ჯერ კიდევ ძველ დროში არსებობდა, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მან შუა საუკუნეებში შეიძინა, როდესაც პრივილეგიები ყალიბდებოდა.

რომელიმე კონკრეტული გვარის ისტორიას შეისწავლის ისტორიის დამხმარე დისციპლინა – გენეალოგია. ეს სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა და საგვარეულო ნუსხას ნიშნავს.

ევროპაში XV საუკუნიდან ჩნდება საგანგებო საგვარეულო, გენეალოგიური ცნობები გენეალოგიური შტოს ან ნუსხის სახით, სადაც აღინიშნებოდა გვარის ყველა ძირითდი და გვერდითი შტოების წევრები, მათი საქორწინო კავშირები.

ევროპაში გვარების გაჩენა X-XI საუკუნეებით თარიღდება. დადგენილია, რომ პირველად გვარები ჩრდილოეთ იტალიაში გაჩნდა. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება, რომ გვარები VIII საუკუნეში წარმოიშვა, არ დასტურდება, რადგან მათ გვარებად მიიჩნიერ ოჯახების დასახელებები, სახელწოდებები, რომლებიც მემკვიდრეობით არ გადაეცემოდა და არ ვრცელდებოდა შთამომავლობაზე. ასევე დასაბუთებას საჭიროებს მოსაზრებები, რომ გვარები ქართველებში (და ასევე სომხებში) IV-VI საუკუნეებში ჩნდება და რომ გვარებად მიჩნეული სახელწოდებები აღნიშნავდნენ არა ოჯახების წარმომავლობას, არამედ ისინი გადადიოდნენ შთამომავლობაზე მემკვიდრეობით.

საფრანგეთში, სტრასბურგში უკვე XIII საუკუნესი ქალაქის ყველა მაცხოვრებელს ჰქონდა გვარი. შემდეგ გვარები გამოჩნდა გერმანიაში და ნორმანდიაში. საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ გვარები ინგლისშიც დამკვიდრდა. უფრო გვიან, 1526 წელს დანიის მეფემ თავის ქვეშევრდომებს უბრძანა გვარების ტარება.

გვარების დამკვიდრებას რუსეთში თითქმის ოთხი საუკუნე დასჭირდა. პეტრე პირველმა თავისი ბრძანებულებით მოითხოვა, რომ ბოიარებს (თავადებს) გვარები ჰქონოდათ. რუსული გვარები ძირითადად მამის სახელიდან იქნა წარმოებული გარკვეული ნაწილი გვარებისა წარმოიშვა თავადთა ადგილმამულების სახელწოდებებისაგან.

რუსეთში XVI საუკუნეში გაჩნდა პირველი საგვარეულო ნუსხები. 1682 წელს შეიქმნა საგვარეულო საქმეთა სპეციალური პალატა, რომელმაც შეადგინა ე.წ. „ხავერდოვანი წიგნი“, რუსეთის ყველაზე წარჩინებული გვარების სია.

უფრო გვიან 1854-1857 წლებში გამოქვეყნდა რუსეთის „საგვარეულო წიგნის“ ოთხტომეული, ხოლო 1895 წელს პეტერბურგში ჩამოყალიბდა „რუსეთის გენეალოგიური საზოგადოება“, შემდეგ უკვე 1904 წელს მოსკოვში შეიქმნა „რუსეთის საისტორიო საგვარეულო საზოგადოება“.

ბატონყმობის გაუქმებამ 1861 წელს, აიძულა სახელმწიფო სხვა სახის რეფორმებთან ერთად ქვეყანაში შემოეღო ქვეყნის მოსახლეობისათვის გვარები.

როგორც აღვნიშნეთ მთელ რიგ ხალხებს საერთად არ გააჩნდათ გვარები XX საუკუნის 30-იან წლებამდე შუა აზიის მრავალი ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდათ გვარები.

იაპონიაში ე.წ. „მეიდის რევოლუციამდე“ (1867 წ.) გვარების ტარების უფლება მხოლოდ გაბატონებული ფენის წარმომადგენლებს ჰქონდათ. ევროპის მრავალ ქვეყანაში საკანონმდებლო აქტებით იქნა განსაზღვრული გვარების

აუცილებლობა (ბავარიამი _ 1877 წ., ავსტრიაში _ 1776 წ., პრუსიაში _ 1794 წ.). საფრანგეთში მხოლოდ ნაპოლეონ ბონაპარტეს კოდექსმა დააკანონა გვარები.

გაცილებით გვიან მოხდა გვარების იურიდიულად დაკანონება თურქეთში (ჯერ 1926 წელს და შემდეგ 1934 წელს მუსტაფა ქემალის დეკრეტებით), ირანში (1934 წ.), ეგვიპტეში (XX საუკუნის 50-იან წლებში), ტუნისში (1959 წ.).

გვარების შესწავლის საინტერესო ძეგლს წარმოადგენს პირველი ქართული ორიგინალური ნაშრომი გენეალოგიაში _ სუმბათ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფეთა ქართველთა“, რომელიც XI საუკუნით თარიღდება და იგი „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აბუსერიძეთა საგვარეულოს შესახებ მონაცემები შემორჩენილია XIII საუკუნის ჰიმნოგრაფისა და მწერლის, ტბეთის ეპისკოპოსის ტბელ აბუსერიძის თხზულებაში „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამის გიორგისანი“, ასევე ლარგვისის მონასტრის ერთ-ერთ ბერს, გრიგოლ ბანდაის ძეს მიეწება ნაშრომი „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც 1248-1400 წლებით თარიღდება. ამ შრომაში მოცემულია ქსნის ერისთავთა თავგადასავალი _ ისტორია. ფაქტობრივად, ის წარმოადგენს ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანეს.

XV-XVIII საუკუნეებში საქართველოს ცალკეულ არისტოკრატიულ სახლებში (ოჯახებში) ჩვეულებად ჰქონდათ საკუთარი საგვარეულო მატთანეების, ქრონიკების შედგენა. ამის მაგალითია XVI საუკუნის „მესხური დავითნის ქრონიკა“ და სხვა შემორჩენილი მატთანეები და ქრონიკები, რომლებიც მკვლევრებს უხვ მასალას აწვის ამა თუ იმ გვარის წარმომავლობასა და გენეალოგიაზე. „მესხური დავითნის ქრონიკის“ ავტორად ითვლება დედისიმედი, XV საუკუნის მეორე ნახევრის სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწის ქაიხოსრო მეორის მეუღლე, ბაგრატ მუხრან-ბატონის ასული, რომელმაც მოგვცა სამცხე-საათაბაგოს მმართველთა მატთანე.

ვახუშტი ბაგრატიონი თვლიდან, რომ ისტორიის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს „ნათესავმეტყველება“, ანუ ჩვენი თანამედროვე ენით გენეალოგია. სწორედ ვახუშტიმ შეისწავლა ფეოდალური საქართველოს ზოგიერთი თავდაზნაურული საგვარეულოს ისტორია.

XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის დასაწყისში იოანე ბატონი-შვილმა შეადგინა ვრცელი გენეალოგიური ნაშრომი ქართლ-კახეთის სამეფოს 62 სათავადო და 200-ზე მეტ აზნაურთა სახლების შესახებ.

საქართველოში 1897 წლის მონაცემებით თავდაზნაურობა შეადგენდა მოსახლეობის 5,29%-ს (დაახლოებით 70 000).

ქართულ გვარებში აღსანიშნავია უძველესი გვარები: გრძელიძე, რომელიც მოიხსენიება 1028 წლის დოკუმენტში, ყანჩაველი (1030 წლის საბუთში), დადიანი (1103 წლის საბუთში) და დვალი (1038 წლის დოკუმენტში).

IX საუკუნეში ცნობილი იყო კახეთში დონაურების ფეოდალური გვარი, X საუკუნეში ბაღვაშების საგვარეულო. უფრო ადრე აღსანიშნავია მარუშიანები _ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ფეოდალური გვარი (X-XI საუკუნეები).

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში გვარი განმარტებულია როგორც სისხლით ნათესავთა ჯგუფი, რომლის წევრები თავიანთი წარმომავლობით დედის ან მამის მხრიდან საერთო (რეალურ ან მითიურ) წინაპარს უკავშირდებოდნენ და საერთო სახელწოდება ჰქონდათ“ (ქსე, ტომი 3), ხოლო ქართული ენის

განმარტებითი ლექსიკონი გვარს განმარტავს, როგორც საოჯახო სახელწოდებას, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან) ან ცოლს ქმრისაგან (ერთი წიპანრის შთამომავალი ერთი და იგივე მატარებელ ადამიანთა ჯგუფი, ქეგლი, ტ. 2, გვ. 1433).

საყოველთაო მოძრაობა „გვარიშვილობა ოცდამეერთე საუკუნე“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და საგვარეულო შეკრებების ინიციატორი, პროფესორი ლ. ფრუიძე წერს: „ხანგრძლივმა კვლევა-ძიებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენთან ყველა ჭეშმარიტი ქართული გვარი კეთილშობილურია... რაც უფრო ღრმად შევისწავლით ქართულ გვარებს, მით უფრო ნათელი გახდება თითოეულის კეთილშობილება, ერისა და ქვეყნის წინაშე თითოეულის დამსახურება... თითოეულმა გვარმა თუ საკუთარი ისტორია არ შეისწავლა, მეცნიერები, ამ უზარმაზარ სამუშაოს ვერ მოერევიან... ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა უნდა იცოდეს „ვისი გორისა“, სადაა მისი ადგილის დედა და ზედაშე, თუ გაწყვეტილ კავშირებს ვეღარ აღადგენს, თვითშემეცნებაში მაინც უნდა იგრძნოს წინაპართა საფლავების მადლი და საკრალური ძალა, ამ საფლავების წინაშე წელიწადში ერთხელ მაინც მოიყაროს მუხლი და წმინდა სანთელი დაანთოს“.

საქართველოში დღეისათვის დაახლოებით ოცი ათასამდე ქართული გვარია. მათ შორის ყველაზე გვარცელელებული გვარებია: ბერიძე (დაახლოებით 25 ათასი ადამიანი), კაპანაძე (19 ათასი), გელაშვილი (18 ათასი), მაისურაძე, გიორგაძე, ლომიძე, კვარაცხელია და სხვები. თითოეული ჩვენგანისათვის საინტერესოა საკუთარი გვარის წარმოშობის ისტორია. ყველას სურს გაარკვიოს თავისი გვარის წარმომავლობა. ამის შესახებ ლამაზად და მოხდენილად უთქვამს ქართველ პოეტს:

„მითებში,
სიზმრებში დავემბ ფესვებს:
ვინა ვარ, საიდან მოვდივარ?
გენეალოგიის ბიბლიურ ხეზე
რომელი, რომელი ტოტი ვარ?“

ყველა უნდა დაინტერესდეს თავისი გვარის ისტორიით, უნდა გაარკვიოს:

„ვინ იყო პირველი მომწვნიელი ფაცხების,
გვარის წინამძღოლი თუ გვარის დამწყები.
ვინ იყო, სად იყო ან როდის სახლობდა
რომელ მდინარესთან ან რომელ მაღლობთან“.





nino quTaTel aze

ივანე კოტლიარევსკის „ენეადა“ ქართულად

ივანე კოტლიარევსკის „ენეადას“ თარგმანი ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში ისევე, როგორც XVII საუკუნის უკრაინულ ლიტერატურაში გახლდათ. ამ პოემამ დასაბამი დაუდო თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურულ ენას და ვერგილიუსის „ენეიდას“ სრულიად ახალ ხედვას.

შეამჩნიეთ, ალბათ, განსხვავება სათაურში: ვერგილიუსის პოემას „ენეიდა“ ჰქვია, ხოლო კოტლიარევსკისას – „ენეადა“. მთარგმნელმაც, რა თქმა უნდა, სიზუსტე არჩია.

კოტლიარევსკის პოემა-მედევი ბურლესკურ-ტრავესტული ნაწარმოებია. [ლიტერატორთათვის ეს ტერმინი კარგადაა ცნობილი, მაგრამ მკითხველთა ფართო წრეებისათვის მაინც განვმარტავ: burlesque – პაროდია, კარიკატურა (ინგლ.), ფარსი (ამერ.); travesty – პაროდია, დამახინჯება (ინგლ.)]. ის, პრაქტიკულად, ვერგილიუსის „ენეიდას“ პაროდიაა. მასში ტროელი, ლათინელი, ბერძენი და თუნდაც ოლიმპოელი ღმერთები ზაპოროჟიელ კაზაკებად არიან წარმოდგენილნი. გარეგნულადაც სწორედ კაზაკებს მოგვაგონებენ: განიერი შარვლები, შემოსალტული წელი, ნაქარგი პერანგები, მოზრდილი გადაგრეხილი ულვაშები და, რა თქმა უნდა, ჩუპრინა. თვით ზევსსაც კი ჩუპრინა ამშვენებს – ღირსების ეს ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი. ნაწარმოების გმირები ხასიათითაც და წეს-ჩვეულებითაც კაზაკები არიან: უყვართ მამა-პაპური ქეიფი, ბლომად ლუდსა და ორნახად არაყსაც მიირთმევენ; აქ შეხვდებით უკრაინული ეროვნული კერძების ისეთ მრავალფეროვნებას, ჩამოთვლაც კი გაჭირდება. კაზაკები თავგანწირული, კეთილი და სამართლიანი ადამიანები არიან, ღირსებას არავის შეალახვიანებენ, იბრძვიან თავგამოდებით, ერთმანეთს ბრძოლის ველზე არ ტოვებენ, ძმურად იყოფენ ჭირსა და ღვინს. მოკლედ, ყველაფერი ამით, რაც ჩამოვთვალე, ძალიან ჰგვანან ქართველებს. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი იმისა, რომ ამირან ასანიძემ ამ ვებერთელა პოემის თარგმანს მოჰკიდა ხელი (ჰო, კიდევ ერთი პატარა გადახვევა... რატომღაც ჩვენი პოლიტიკური ელიტა „კაზაკის“ ნაცვლად „კოზაკს“ ხმარობს, რომ ამერიკელებს კაზაკი ყაზახში არ აერიოთ. და ამიტომ, მოდით, ჩვენ ჩვენს ენას მივხედოთ და ამერიკელებმა – თავის საქმეს).

ამირანი ი. კოტლიარევსკის „ენეადას“ ოცი წლის განმავლობაში თარგმნიდა და სამწუხაროდ, მის წიგნად დასტამბვას ვერ მოესწრო. ეს გახლდათ რუტინული შრომა. ყოველ ფრაზას რამდენჯერმე უბრუნდებოდა, უკრაინულის ზუსტ შესატყვისებს ეძებდა, რუსულ თარგმანს ადარებდა და უსაზღვროდ

უხაროდა, როცა მისი თარგმანი უფრო ახლოს იყო ორიგინალთან. სადაც არ უნდა წასულიყო, ერთი-ორი სტროფი, თავისივე გაკეთებული ბჭკარედით, თან მიჰქონდა, რომ საყვარელი საქმის გარეშე წუთითაც არ დარჩენილიყო.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ვერგილიუსის „ენეიდას“ ორიგინალში არ გავცნობივარ. სამაგიეროდ, შეძლებისდაგვარად ვიცნობ ი. კოტლიარევსკის პოემას და თამამად შემიძლია განვაცხადო, თარგმანის სიზუსტე თითქმის ფანტასტიკურია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველი მთარგმნელი საკუთარი პოეზიის ძარცვის ხარჯზე ქმნის მსგავს თარგმანებს. და როგორც ბატონი რევაზ ხვედელიძე წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ამირან ასანიძემ „ქართულ ენაზე შექმნა ორიგინალის კონგენიალური შესატყვისი“.

მინდა შევეხო თარგმანის ფორმა. ვერგილიუსის „ენეიდა“ დაქტილური ჰეგზამეტრით არის გაწყობილი. ი. კოტლიარევსკი კი უკრაინულ ხალხურ მეტყველებას ეყრდნობოდა და აქ გამოყენებული ექვსსტროფიანი ქორე ორგანულად ერწყმის სათქმელსა და ენის ბუნებას. იდენტური ფორმა შემოგვთავაზა მთარგმნელმაც, და თუ ჩვენ, ქართველები ვამბობთ, რომ რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ იმიტომ გამოიყენა მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობა, რომ მკითხველი არ დაღლილიყო, არ მოეწყინა, ანალოგიურის თქმა შეგვიძლია დიდი უკრაინელი პოეტის ამ შედეგზე. თარგმანის წაკითხვისას მიხვდებით, რომ ექვსსტროფიანი ქორე თავისი მრავალგვარი ვარიაციით მოწყენის საშუალებას არავის მისცემს, უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როცა სიცილს ვერ იკავებ. აბა, ბურლესკი, რის ბურლესკია! აქვე მოვიყვან ერთ მაგალითს:

შიშველ-ტიტველი რაზმის ამარამ,	a
ხელად გაჩაღხა ნავები ზღვასთან,	B
შიგ ჩასხდნენ _ ის და მისი ამალა	d
სამშობლო მიწის ნაპირებს გასცდა.	B
მაგრამ მზაკვრულად დამზერდა მალლით	c
ფლოტს იუნონა, ის შობელმაღლი,	c
ხალხი რომ ნახა ზღვაში გასული	d
გაუცხოველდა გულის წუხილი _	g
კრიახს და ქოთქოთს მოჰყვა კრუხივით _	g
ცოცხალიაო ჯერაც ავსული!	d

მიხვდით, ალბათ, ლატინური ასოებით აღნიშნულია რითმები. თავდაპირველად გამოყენებულია ჯვარედინი რითმა, შემდეგ _ მოსაზღვრე, ხოლო ბოლო ოთხი სტრიქონი რგოლური რითმითაა გაწყობილი და თითქმის მთელ პოემაში ასე გრძელდება. არის იშვიათი გამონაკლისიც, როცა ბოლო ოთხ სტრიქონში კვლავ ჯვარედინი რითმა გვხვდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი არასოდეს არ წირავს რითმას აზრს და ეს უდავოდ, დიდი მიღწევაა.

ბევრი რამის თქმა შეიძლება ასანიძისეულ რითმათა განსაკუთრებულობაზე, რადგან ამხელა პოემაში არცერთი რითმა არ მეორდება ერთი-ორჯერ იყო ისეთი შემთხვევაც, რომ რითმები დაემთხვა, მაგრამ ის დაუბრუნდა და დიდი ხნის ნათარგმნი შეცვალა. ეს ამირანისთვის პრინციპული რამ გახლდათ.

კიდევ ერთი ფრაგმენტი მინდა მოვიყვანო ბატონი რევაზ ხვედელიძის წერილიდან: „ენეადას“ თარგმანის სირთულეს სწორედ ბურლესკურ-ტრავესტული თხრობა და ავტორის უმდიდრესი პოეტური ენა ქმნის. პოემაში ხშირად გაისმის გინება, ქუჩური გამოთქმები, ჟარგონი, უწმაწური სიტყვები, რაც საერთოდ ნიშანდობლივია ამ სტილისთვის. ყოველივე ეს თარგმანის დიდი ზომიერების დაცვას მოითხოვს. მთარგმნელმა კარგად გაართვა თავი ამ სირთულეს...“. ამის დასტურად კიდევ ერთ სტროფს მოვიხმობ თარგმანიდან:

იმ ცრუპენტელებს აიძულებდნენ
ენით ელოკათ ტაფები ცხელი,
ადნობდნენ ვერცხლს და მდიდრებს, კრიჟანგებს
პირში ასხამდნენ ნაცადი ხელით;
უცოლოები – მიწვივ დრანჯები,
თავს რომ იქცევდნენ კახპა-ხარჭებით,
სარზე ეკიდნენ იმ ნაწილებით,
რითაც იცხრობდნენ ვნების სტიქიონს,
რომლითაც ურცხვად სცოდავდნენ ხოლმე,
თანაც ეკიდათ ზედ საიქიო.

დიახ, უწმაწურია, ქუჩური! – თუმცა შეუკავებელ სიცილს იწვევს და ამასთან – მისაღებია მსგავსი ხასიათის ნაწარმოებში. ამას მაშინ ამბობს ივან კოტლიარევსკი, როცა მამის – ანქიზეს – სანახავად ენეასის ჯოჯოხეთში გამგზავრებას აღწერს და თან იმასაც ურთავს, „რა გამეგება მე ჯოჯოხეთისო“.

მთარგმნელი, რა თქმა უნდა, ვერ ასცდა მხოლოდ უკრაინული ყოფისთვის დამახასიათებელი ატრიბუტების ორიგინალის ენაზე გადმოცემას; ასეთებია: ჩუპრინა, სვიტა, კარაბლიკი, რუმნიკი და ა.შ.; ცეკვები: „ჰარლიცია“, „სანჟარიკა“, „მეტელიცა“ და სხვ. აქვე ვხვდებით იმ გეოგრაფიულ სახელებს, რომლებსაც დღეს უკვე აღარ ხმარობენ. ივან კოტლიარევსკის „ენეადა“ თითქოს დროშია განფენილი და მხოლოდ კონკრეტულ ამბავს არ ეხება. მაგალითისთვის მოვიყვანოთ „კოშევი“, რაც უკრაინულად მეთაურს ნიშნავს. ეს თანამდებობა, ძირითადად, XIV საუკუნიდან გვხვდება უკრაინაში, ასევე შეგვიძლია დავასახელოთ „ნეჩესა თავადი“ – ეკატერინე მეორისდროინდელი მოღვაწე, საგაიდაჩნი და ვინ მოთვლის კიდევ ვინ, რომლებიც სხვადასხვა საუკუნეში ცხოვრობდნენ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ი. კოტლიარევსკის დამოკიდებულება ვერგილიუსისადმი, რომელიც ისეთივე გროტესკულია, როგორც მთელი ნაწარმოები. მთარგმნელიც, რა თქმა უნდა, ზუსტად მიჰყვება ავტორის მიერ დასახულ მიზანს და ეხმაურება დიდ წინაპარს:

ღმერთმა აცხონოს ვერგილიუსი,
ჭკვიანი კაცი იყო ძალიან,
მაგრამ სხვაგვარად ნუ გაგვიგებს და
გარდაიცვალა კაი ხანია –
ჯოჯოხეთს ემხით აღწერს სულმნათი,

მაგრამ დღეს სხვაა მისი სურათი
და ვინძლო ველარ იცნო სრულებით;
ზოგი რამ თვითონ შევაფერადე,
ვაკელ, ვამატე და ჰა, თქვენამდე
მომაქვს ნათქვამი ხანდაზმულების.

აქვე შეიძლება მრავალი რამ გვეთქვა ნაწარმოების ცალკეულ პერსონაჟზე, მაგრამ მცირე წერილში ამის ჩატევა შეუძლებელია. მთავარი გმირი კი ზაპოროჟიელი კაზაკის დარად კარგი მეომარი, ქალთა გულთამხილავი, ჭამასმის მოყვარული, ძმათა ერთგული და ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეებით აღსავსე ადამიანია. მისთვის არ არის უცხო არც შიში, არც სასოწარკვეთა, არც სიბრალული. მას ებრალება არკადიელი უფლისწულის მკვლელი ტურნუსი, თუმცა, როცა მის წელზე მოკლულის სარტყელს შენიშნავს, ცოფდება; ებრალება საყვარელი ქალი, დიდონა, რომელიც ღმერთთ ბრძანებით მიატოვა. და ყველაფერი ეს ისე ქართულად არის გადმოცემული, ზოგიერთი სახელი და ტერმინი რომ არა, ორიგინალური ნაწარმოები გეგონებოდათ.

არ შეიძლება არ შევეხოთ ტროელთა და ლათინელთა ომს. სიტყვათა მონაცვლეობა, დინამიკა, რიტმი – მკითხველს მართლაც ბრძოლის ველზე წარმოადგენინებს თავს:

იფშუტებიან ფაკლი ღაწვები,
ქრიან კბილები მჯიღდანაცემი,
ტკაცუნი გააქვთ ძვლებსა და ნეკნებს,
ჩეხვა და გაყრა მიდის ართქმული;
ვინ დაოთხილა, ვინ ყირაზეა
და ვინ მიძვრება, მიწას გართხმული.

მიუხედავად იმისა, რომ პოემა ვერგილიუსის „ენეიდას“ პაროდიას, განუზომელია მისი მხატვრული ღირებულება უკრაინულ ლიტერატურაში. მთარგმნელი კი თხრობის თავისებური სტილის გარდა, ბევრ ისეთ მეტაფორას, შედარებას თუ ჰიპერბოლას მიმართავს, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს ამა თუ იმ გმირის ხასიათსა და ქმედების განსაკუთრებულობას. მაგალითისთვის ორ მცირე მონაკვეთს მოვიხმობ:

ფეზოსის ტაძრის ვარ ფოფოდია,
ვილა არ მიცნობს კუმელ სიბილას,
ქვეყნად ჩემი ხნის ქვაც აღარ გდია,
დრომ თმაზე თეთრად გადამირბინა...

ანდა:

როგორც კი უკუნს ცრიატმა სძლია
დღისა და ღამის უკვდავ მიჯნაზე.
ნავლი დაედო მთიების იერს
და შეეპარა ზეცას რიჟრაჟი...

როგორც მახსოვს, სწორედ ეს მონაკვეთი წამიკითხა ზეპირად თარგმანით ადფრთოვანებულმა გრიგოლ აბაშიძემ და მეც მაშინ მივხვდი, რომ ჩემს თვალწინ მშვენიერება იქმნებოდა.

ორიგინალის კიდევ ერთ მნივნელოვან პასაჟს უნდა შევეხო, ესენია: მეტყველების ე.წ. „მაკარონული სტილი“ და „ქაჯური ენა“. ამას კოტლიარევსკი რამდენიმე ეპიზოდში მიმართავს. პირველ შემთხვევაში, როცა მისნობის უკეთ გადმოსაცემად სიბილას ამეტყველებს „ქაჯური ენით“, რომელსაც სემინარიელები და ქურდები იყენებდნენ თავისი ნათქვამის სხვათაგან დასაფარად; ხოლო მეტყველების „მაკარონული სტილი“ დიდად გავრცელებული იყო იმდროინდელ უკრაინასა და პოლონეთში. ეს ე.წ. „მაღალი სტილი“ გულისხმობდა ეროვნულ ენაში ლათინური სიტყვების ჩართვას. ასეთი გონებრივი აღრევა ბაროკოსდროინდელ ლიტერატურაში მეტად პოპულარული გახლდათ, – აღნიშნავს მთარგმნელი კომენტარებში. მაგრამ რა რთული უნდა ყოფილიყო მსგავსი ეპოზოდების გადმოქართულება, ნაწარმოების კითხვისას, ალბათ, არც დავფიქრდებით. არადა, ის განიცდიდა, წერდა და ხევდა, ხშირად ურეკავდა ბაჩანა ბრეგვაძეს, ეკითხებოდა, როგორ გაეგო ესა თუ ის ლათინური გამოთქმა, რჩევას სთხოვდა. ბატონი ბაჩანაც მოთმინებით პასუხობდა, ურჩევდა, აქეზებდა და ამისთვის დიდი მადლობა მას.

რა გითხრათ, ამ პატარა წერილში მეტის ჩატევა ვერ მოვახერხე და ეს არც იყო ჩემი მიზანი. მე მხოლოდ მსურდა ლიტერატურით დაინტერესებული საზოგადოებისთვის შემეხსენებინა ამირან ასანიძის სახელი და ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობენ ხელოვნებას შეწირული ადამიანები და სულ მგონია, რომ მათში წვეთ-წვეთ გადმოდის ფიროსმანის სული.





gel a Rvinefaze

დე ბონოს კონცეფცია – ექვსი ქუდის მეთოდი

შესავლის მაგიერ

ახალ ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლა მწვავედ აყენებს ქვეყანაში დამზადებული ნაწარმის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტ-უნარიანობის საკითხს. დღეს მეწარმე, ბიზნესმენი მხოლოდ მაშინ მიაღწევს რეალურ წარმატებას, თუ იგი უშვებს მსოფლიო სტანდარტებებთან მიახლოებული დონის პროდუქციას, ხელეწიფება მომხმარებელს შესთავაზოს ამგვარივე დონის სერვისი, ხოლო თუ ნაწარმის ექსპორტირებაც სურს – შეუძლია, უზრუნველყოს მისი კიდევ უფრო მაღალი დონის ხარისხი.

თვისებრივი სიახლეების მისაღწევად საკმარისი არ გახლავთ მხოლოდ ტრადიციული მეთოდებით მიღებული ცოდნის იმედად ყოფნა – გასაოცარი სისწრაფით ცვლად გარემოში აუცილებელია, ვიაზროვნოთ ახლებურად, შემოქმედებითად.

ადამიანებს, რომელთაც საკუთარი თავი ყველაფრის მცოდნედ არ მიაჩნიათ და, რაც მთავარია, არ ეთაკილებათ "სხვისაგან ჭკუის სწავლება", ვთავაზობთ მსოფლიოში აღიარებული იმ სპეციალისტების ნააზრევს დაიჯესტს, რომლებიც არ მორიდებიან სწორედ ჭკუის მასწავლებელთა როლში მოვლინებოდნენ ადამის ტომის "დანარჩენ" ნაწილს, და რომელთა ნაღვაწსაც ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ იცნობს ჩვენი ახალგაზრდობა.

ამ სპეციალისტების მიერ შემუშავებული თეორიების და პრაქტიკული რეკომენდაციების გაცნობასთან ერთად ნაშრომის მიზანია, მკითხველი დავარწმუნოთ თავის შესაძლებლობებში, ვისწავლოთ და სხვებსაც ვასწავლოთ, როგორ გავხდეთ ნოვატორი, რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ჩვენი შემოქმედების ნაყოფით არა მარტო გარშემო მყოფნი (ვთქვათ, ოჯახის წევრები) გავაოცოთ, არამედ სხვა სივრცეებშიც გავიდეთ.

თითოეულს ამ აღიარებული სპეციალისტებისაგან წარმატებათა მიღწევის საკუთარი რეცეპტი გააჩნია, ყოველი მათგანი საკითხის დაყენება-გადაწყვეტისათვის საკუთარ ტაქტიკას გვთავაზობს (და სწორედ ამის გამო მოიპოვეს მათ მთელ მსოფლიოში აღიარება), მაგრამ სტრატეგიული ხაზი, ვფიქრობთ, ერთია. მისი არსი შესანიშნავად განმარტა ცნობილმა მათემატიკოსმა და პედაგოგმა ჯორჯ პოიამ:

"დავფიქრდეთ ფიქრის დაწყებამდე".

დევიზი ეხმიანება ქართველი კაცის გამონათქვამებს:

"ხერხი სჯობია ღონესა..." და *"შორი გზა მოიარე..."*-ს.

ეს პარალელები საფუძველს მოკლებული არ გახლავთ!

ამა თუ იმ მეცნიერის განაცხადის მიზანია, ადამიანებს ასწავლოს შემოქმედებითად აზროვნება, დღესაც კი (როდესაც პრაქტიკამ შესანიშნავად დაამტკიცა, რომ ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია) საბჭოთა ეპოქაში აღზრდილი ადამიანების ნაწილისათვის საკმაოდ შეურაცხმყოფლად ჟღერს. ამგვარი განწყობა თავის დროზე ნეგატიურად აისახებოდა ნოვატორთა მინიმუმ საქმიანობაზე, ხშირად კი პირად ცხოვრებაზეც. ნათქვამს ადასტურებს შემოქმედებითი აზროვნების პრობლემატიკის მკვლევართა კოჰორტის თუნდაც ერთი უმესანიშნავესი წარმომადგენლის – ჰენრიხ ალტშულერის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, რომელსაც საბჭოთა სასამართლომ 25 წელი(!) მიუსაჯა შემოქმედებითი აზროვნების საკითხებზე ოფიციალური აზრისაგან განსხვავებული, საკუთარი შეხედულებების გამოთქმის გამო.

მაშინ, როცა საბჭოეთში მოქმედებდა პრინციპი: “Я начальник – ты дурак, ты начальник – я дурак”, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ხელისუფალთ თუ ნებისმიერი დონის ბიზნესის წარმომადგენლებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ კაცობრიობის წინსვლის საქმე სწორედ ასეთი “შერეკილების” ხელშია და სრულებით არ გახლდათ შემთხვევითი, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ, როგორც იქნა, შეწყალებული ალტშულერის სახელზე უამრავი წერილი მოდიოდა საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნებიდან ლექციების წასაკითხად მისი იქ ჩასვლის თხოვნით.

დღესაც კი საქართველოში ცოტა ვინმეს (მით უფრო ახალგაზრდებიდან) თუ აქვს გაგონილი დოქტორ დე ბონო, იმავე ალტშულერის, იაპონელი ემოტოს თუ სხვათა სახელები – ადამიანებისა, რომელთაც გადატრიალება მოახდინეს აზროვნების შესახებ მეცნიერული თეორიების სფეროში.

სტატიის ძირითადი მიზანია, გავცნოთ ზოგიერთი მათგანის ნააზრევს და, განხილულ კონცეფციებზე დაყრდნობით, ვაჩვენოთ მაგალითები ზოგიერთი რთული პრობლემის გადასაწყვეტად ახალი მიდგომების, გზების მოძიებისა.

აი, რას გვთავაზობს დოქტორი დე ბონო:

შემოქმედებითი აზროვნების პრობლემატიკის მკვლევართა პორტრეტების გალერეას ხსნის დოქტორი დე ბონო, რომელიც აღნიშნული დარგის იმდენად მაღალი დონის, მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტია, რომ საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენი ჟურნალის მკითხველი მის მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებსაც გაეცნოს.

ედვარდ დე ბონო დაიბადა მალტაზე 1933 წელს. მას სამჯერ მიენიჭა დოქტორის ხარისხი მედიცინის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის დარგებში მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მიერ. სხვადასხვა წლებში დე ბონო ასწავლიდა ოქსფორდის, კემბრიჯის, ლონდონის და ჰარვარდის უნივერსიტეტებში. ლექციების წასაკითხად მიწვეული იყო მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში.

მეცნიერს დაწერილი აქვს 60-მდე წიგნი, რომლებიც ნათარგმნია 40-მდე ენაზე. მის მიერ დამუშავებული აზროვნების მეთოდიკა ისწავლება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ათასობით სკოლაში.

დე ბონოს საყოველთაო საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს მისთვის მინიჭებული უამრავი ჯილდოც.

დოქტორი დე ბონო წლების განმავლობაში მჭიდროდ თანამშრომლობდა ისეთ უმსხვილეს კორპორაციებთან, როგორც გახლავთ IBM, Du Pont, Prudential, AT & T, British Airways, British Coal, NTT (იაპონია), Ericsson (შვეცია), Total (საფრანგეთი) და მრავალი სხვ. ევროპის ყველაზე დიდ კორპორაცია Siemens-ში, რომელშიც 370.000-მდე ადამიანი შრომობს, მისი მეთოდები შეისწავლება ყველა დონის მოსამსახურეთა მიერ. როდესაც კომპანია Microsoft-მა ჩაატარა მარკეტინგის საკითხებისადმი მიძღვნილი თავისი პირველი კონფერენცია, სწორედ დე ბონო იქნა მიწვეული პლენარული მოხსენების წასაკითხად უმაღლესი დონის 500-მდე მენეჯერისათვის.

მეტად ფართოა მეცნიერის ინტერესების სფერო. 1997 წელს იგი გახლდათ ერთ-ერთი ძირითადი მომხსენებელი პეკინში გამართულ ეკოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე. მონაწილეობა აქვს მიღებული უამრავ შეხვედრაში განათლების დარგის სპეციალისტებთან, ბიზნესმენებსა თუ სახელწიფოთა ლიდერებთან.

მრავალი მეცნიერი თვლის, რომ სწორედ დოქტორმა დე ბონომ შეიტანა ყველაზე დიდი წვლილი შემოქმედებითი აზროვნების განვითარების სფეროში. მეცნიერის საყოველთაო აღიარებაზე მეტყველებს თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი: მისი ერთ-ერთი წიგნის "მართალი ვარ მე და არა _ თქვენ" წინათქმის ავტორებად მოგვევლინა სამი ნობელიანტი მეცნიერი.

აი, რას ამბობენ ამ მეცნიერის შემოქმედების მნიშვნელობის შესახებ ცნობილი სპეციალისტები:

- "კომპანია Du Pont-მა მრავალი მაგალითი იცის, თუ როგორი წარმატებით იქნა გამოყენებული დე ბონოს ლატერალური აზროვნების მეთოდები კომპანიის ტექნიკური პერსონალის მიერ ძნელი პრობლემების გადასაწყვეტად" – დევიდ ტანერი, მეცნიერებათა დოქტორი, Du Pont-ის ტექნიკური დირექტორი.
- "თანამედროვე ყოფის სირთულის და თავბრუდამხვევი რიტმის გათვალისწინებით, რეკომენდაცია უნდა გავუწიოთ დე ბონოს კურსს, როგორც აუცილებელი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს მთელი კაცობრიობისათვის" – ალექს კროლი, Yong & Rubican-ის თავმჯდომარე და პრეზიდენტი.
- "დე ბონოს ნაშრომი, შესაძლოა, ყველაზე მეტად ღირებული რამ გახლავთ დღეს მსოფლიოში" – ჯორჯ გელაპი, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დამაარსებელი.
- "სწორედ დე ბონოს მიდგომის სიცხადის წყალობით მისი აზროვნების კურსი შესანიშნავად გამოდგება, როგორც დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის, ასევე საწარმოთა ხელმძღვანელებისათვის" – ჯონ ნაისბიტი, MEGATRENDS 2000-ის ავტორი.
- "ლატერალურმა აზროვნებამ შეცვალა ჩემი მიდგომა ბიზნესში არსებული პრობლემებისადმი" – ა. ვაინბერგი, კონსულტანტი მენეჯმენტის დარგში ნიუ-იორკიდან.

- "ძნელი საქმეა ედვარდ დე ბონოს შრომების და გამოცდილების ბოლომდე შეფასება. მისი შეხედულებანი აზროვნებასა და შემოქმედებით პროცესზე დამაჯერებელი და საფუძვლიანია" – ჯერემი ბულმორი, ჟ. Walter Thompson კომპანიის თავმჯდომარე.
- "ჩვენ ყველანი ვითვალისწინებთ წარსულს, რათა დავგეგმოთ მომავალი... დე ბონო კი გვასწავლის, გამოწვევა ვესროლოთ ასეთ მიდგომას და მოვნახოთ ახალი გზები პრობლემების შემოქმედებითი გადაწყვეტისათვის" – ფილიპ ლ. სმიტი, General Foods კორპორაციის პრეზიდენტი.

დე ბონოს თეორიის ძირითადი კონცეფცია

აღსანიშნავია, რომ ფიზიოლოგმა დე ბონომ უშუალოდ ადამიანის ტვინზე დაკვირვებების შედეგად გააკეთა სათანადო დასკვნები და 1969 წელს გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი "გონის მოქმედების პრინციპი", რომელშიც აჩვენა, თუ როგორ ახდენენ ტვინის ნეირონული ქსელები აღქმის საფუძვლის - ასიმეტრიული პატერნების ფორმირებას. მეცნიერმა დაადგინა, რომ შემოქმედება გახლავთ თვითორგანიზებადი საინფორმაციო სისტემების აუცილებელი ატრიბუტი. ცნობილმა ფიზიკოსმა მიურეი ჰელ-მანმა აღნიშნა, რომ ამ წიგნმა ათი წლით მაინც გაუსწრო ქაოსის, არაწრფივი და თვითორგანიზებადი სისტემების საკითხებზე მომუშავე მათემატიკოსთა მიერ შემდგომში მიღებულ შედეგებს. სწორედ აღნიშნული გამოკვლევის საფუძველზე დაამუშავა დოქტორმა დე ბონომ თავისი გახმაურებული და საყოველთაოდ აღიარებული ე.წ. ლატერალური აზროვნების მეთოდი (რუსებმა ამ მეთოდს ასეთი სახელწოდება მისცეს – *Обходное мышление*. რა თქმა უნდა, ქართულ ენაზეც სავსებით შესაძლებელია მეთოდის დასახელების იმგვარად თარგმნა, რომ მისი არსი ადეკვატურად იქნეს ასახული, მაგალითად, შემოვლითი ან გვერდითი აზროვნება, მაგრამ ვამჯობინებთ დაგვეტოვებინა ლატერალ ტერმინი, რომელიც სათავეს ლათინური ენიდან იღებს და ეტიმოლოგიურად სიტყვა "გვერდს" უკავშირდება). დე ბონომვე შექმნა ინსტრუმენტები შემოთავაზებული კონცეფციის პრაქტიკაში გამოყენებისათვის. ამასთან, რაც განსაკუთრებით ფასეულია, ეს საშუალებები მარტივად ათვისებადი, ადვილად ხელმისაწვდომია, ფაქტობრივად, ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის, დაწყებული 5 წლის ასაკის ბავშვებიდან – ხნიერი ადამიანებით დამთავრებული. შესაბამისად, მეთოდით სარგებლობის არეალი საკმაოდ ფართო აღმოჩნდა – საბავშვო ბაღები, ინგლისელ ადმირალთა კორპუსი თუ დანიური საფინანსო სისტემა.

მეთოდის პოპულარობაზე ნათლად მეტყველებს ასეთი ფაქტი: მისი დასახელება შეიძლება ყურში მოგხვდეთ, როგორც ფიზიკოსთა კონფერენციებზე, ასევე – ტელესერიალებშიც კი.

ტრადიციული აზროვნება ავტომატურად ასოცირდება ანალიზთან, მსჯელობებსა თუ კამათთან. ყოველივე ეს, დე ბონოს მტკიცებით, მისაღები გახლდათ მხოლოდ ასე თუ ისე სტაბილური, შედარებით ნელი ტემპებით განვითარებადი სამყაროსათვის მასში წარმოქმნილი სიტუაციების გასაანალიზებლად და შესაბამისი, როგორც წესი, სტანდარტული გადაწყვეტილებების მისა-

ღებდა. მაგრამ დღევანდელ სწრაფად ცვლად სამყაროში, სადაც წინა პლანზე წამოიწია მანამდე არარსებულმა ან ნაკლებად შესაძინებელმა პრობლემებმა, სამყაროში, რომელშიც ასე გამძაფრდა კონკურენცია, სტანდარტული, ტრაფარეტულად ქცეული გადაწყვეტილებების მიღება საქმეს ვეღარ შველის და, აქედან გამომდინარე, მთელს მსოფლიოში ძალიან არის გაზრდილი მოთხოვნა ისეთ სპეციალისტებზე, რომელთაც ამა თუ იმ დარგის განსავითარებლად პრინციპულად ახალი გზების მოძიება ძალუძთ; ამასთან, მწვავედ იგრძნობა ინტერესი სწავლების იმ თვისებრივად ახალი ფორმების მიმართაც, რომლებიც სწორედ ასეთი – შემოქმედებითი აზროვნების მქონე სპეციალისტების ჩამოყალიბებაზე გახლავთ ორიენტირებული.

და რაც განსაკუთრებით დამაფიქრებელია – კაცობრიობის წინაშე მდგარი მრავალი პრობლემა დღეს ვეღარ გადაწყდება ამ პრობლემათა წარმოშობი მიზეზების მხოლოდ დადგენითა და მეტ-ნაკლებად მისაღები საშუალებებით მათი აღმოფხვრის მცდელობით.

დგება საკითხი, როგორ ავიცილოთ არასასურველი შედეგი მიზეზის არსებობის პირობებში?

ჯერ მოკლედ, რამდენიმე პუნქტის სახით აღვწეროთ დე ბონოს შეხედულებანი საერთოდ აზროვნების პროცესის შესახებ:

1. მეცნიერი თვლის, რომ აზროვნების პროცესის ხარისხს, უწინარეს ყოვლისა, განაპირობებს არა პიროვნების ისეთი შესაძლებლობანი, როგორცაა, მაგალითად: მახვილგონიერება, დიდი მოცულობის ინფორმაციის სწრაფად აღქმა-გაანალიზების ანდა თავსატეხი ამოცანების ამოხსნის გზების ადვილად მოძებნის ნიჭი, არამედ შემდეგი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისება – სწრაფად ცვლად გარემოში სიტუაციის შესაბამისად აზროვნების “გადაწყობის”, მისი საჭირო მიმართულებით კონცენტრირების უნარი.

2. წარმატების მისაღწევად აუცილებელია, ვისწავლოთ სხვათა აზრების მოსმენა. ამ სურვილის გაჩენას უნდა მოჰყვეს ძალიან მარტივი (თუმცა მეტად ძნელად შესასრულებელი) ქმედებანი:

ა) ვეცადოთ, ჩვენ თვითონ რაც შეიძლება ნაკლები ვილაპარაკოთ;

ბ) გულდასმით (თან ოპერატიულად) გავაანალიზოთ თანამოსაუბრის ნათქვამი. ჩვენი რეაქცია არ უნდა იყოს მომენტალურ-შაბლონური.

3. თუ ჩვენ შესასწავლ ობიექტს ყოველი მხრიდან შემოვუვლით, გაცილებით გავვიადვილებთ მისი აღქმა-შეფასება და მართებული გადაწყვეტილებების მიღება. მთავარია, არ ჩავთვალოთ რაიმეს შესახებ ჩვენი შეხედულებანი ურყევ ჭეშმარიტებად. მეცნიერს მიაჩნია, რომ შტამპების ტყვეობაში მოქცეული ადამიანი ღირებულს ვერაფერს შექმნის. აუცილებელია, ობიექტი, საკითხი, შემოთავაზებული გადაწყვეტილება ადვილად თითოეული შესაძლო ხედვის წერტილიდან. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ მის შესახებ თვისებრივად სრულყოფილი აზრების გამომუშავებას.

4. სწორედ ახალი, მაღალი ხარისხობრივი ღირებულების მქონე აზრების გენერირების უნარი მიაჩნია დე ბონოს პიროვნების მოაზროვნე ადამიანის რანგში აყვანის კრიტერიუმად.

5. მეცნიერის მთავარი სათქმელი კი ის გახლავთ, რომ სათანადო ძალისხმევის შემთხვევაში ასეთი უნარ-ჩვევების შეძენა "რიგითი" ადამიანებისთვისაც კი არ წარმოადგენს განუხორციელებელ ოცნებას. თუმცა, ბუნებრივია, რომ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი პირობაა – ადამიანს ჰქონდეს მწვერვალის (გორაკის მაინც) დაპყრობის დიდი სურვილი და კონკრეტული (იგულისხმება – მეცნიერის მიერ რეკომენდებული) ნაბიჯები გადადგას ამისკენ.

სწორედ ასეთი მიზნების განხორციელებაში – აზროვნების პროცესის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანასა, მისთვის მძლავრი იმპულსის მინიჭებაში – გვებმარება დე ბონოს ნაღვაწი.

მეცნიერის მიერ შემუშავებული ძირითადი კონცეფციის თანახმად, აზროვნების პროცესი იყოფა ექვს სხვადასხვა რეჟიმად. ამასთან, დე ბონო აღნიშნავს, როცა საქმე გვაქვს პრაქტიკული ღირებულების მქონე რაიმე ამოცანის გადაწყვეტასთან, თავს იჩენს შემდეგი სამი ფუნდამენტური სახის სირთულე:

1. **ემოციები.** ხშირად ფიქრის ნაცვლად ჩვენ ქმედებებს განაპირობებს გრძნობები... (უკეთეს შემთხვევაში ალლო, რომელიც არცთუ იშვიათად გვიმტყუნებს ხოლმე), ემოციები და ცრუ წარმოდგენებიც.

2. **საკუთარი უმწეობის შეგრძნება.** ჩვენი რეაქცია არსებულ სიტუაციაზე შეიძლება იყოს მასში გასარკვევად საკუთარი მოუმზადებლობის განცდა: "მე არ ვიცი, რა ვიფიქრო ამის შესახებ; არ მესმის, რა უნდა მოვიმოქმედო!".

3. **დომხალი.** ასეთ სიტუაციას მაშინ აქვს ადგილი, როცა ვცდილობთ, ყველაფრის შესახებ გვქონდეს თავში ინფორმაცია და ყველაფერს გავუწიოთ კონტროლი.

სააზროვნოდ ექვსი ქუდის მეთოდის გამოყენება – მარტივი და პრაქტიკული მიდგომა გახლავთ სამივე ამ წინააღმდეგობის დასაძლევად.

რა როლს ანიჭებს და როგორ შეფასებებს აძლევს დე ბონო აღნიშნულ ცნებებს, დასახული ამოცანის გადაწყვეტის მიზნიდან გამომდინარე?

ემოციები. დე ბონო თვლის, რომ ემოციები აზროვნების უმნიშვნელოვანესი ნაწილია და უმეტესწილად, სწორედ, მათზე დაყრდნობით მიიღება ესა თუ ის გადაწყვეტილება (თუკი ასეთი ქცევა ევროპელებისათვისაც არ გახლავთ უცხო, რაღა უნდა ითქვას, ქართველების მისამართით?! გამოდის, რომ ჩვენში მხოლოდ ემოციები წარმართავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, თუმცა ჯერ დავიცადოთ – მივყვეთ დე ბონოს აზრს). მეცნიერი შენიშნავს – იმ შემთხვევაში, როცა საკითხის გადაწყვეტისას სწორ სააზროვნო გზას ვადგავართ, ემოციების მოხმობა არამცთუ სასარგებლო, აუცილებელიც კი არის, მაგრამ თუკი ასე არ გახლავთ, მაშინ მათ საქმისათვის მხოლოდ ზიანი, ზოგჯერ კატასტროფულიც კი, მოაქვთ.

ექვსი ქუდის მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, ემოციები და გრძნობები გამოვიყენოთ სწორედ საჭირო მომენტში.

საკუთარი უმწეობის შეგრძნება. ეს განცდა მაშინ გვეუფლება, როდესაც არ გავაჩნია სწორად აზროვნებისათვის წინასწარ შემუშავებული ზოგადი სტრატეგიები.

ექვსი ქუდის მეთოდი გვაცნობს სწორედ ამგვარი – სტრატეგიული აზროვნების ძირითად სტრუქტურას. შედეგად, შესაძლებლობა გვეძლევა, სასურვე-

ლი მიზნის მისაღწევად გადავდგათ ადრევე გააზრებულ-დაგეგმილი კონკრეტული ნაბიჯები.

დომხალად მაშინ წარმოგვესახება ვითარება, როდესაც ვცდილობთ, ერთ-ბაშად შევეჭიდოთ უამრავ საქმეს. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ხშირად ხდება, რომ ადამიანს აზრები სხვადასხვა მიმართულებით ეფანტება და იგი ვეღარ ახდენს ყურადღების კონცენტრირებას ერთ კონკრეტულ ამოცანაზე.

ექვსი ქულის მეთოდი გვეხმარება, რომ მზერა მივმართოთ მოცემული მომენტისათვის შერჩეული ერთადერთი მიმართულებით.

ყველა ფერის აზროვნება (თითო ჯერზე თითო ფერის)

ჩანს, ქართველებს დე ბონოზე გაცილებით ადრე მიგვიგნია მის მიერ შემუშავებული მეთოდისათვის, რაზეც მეტყველებს სიტყვა “ყველაფერის” ეტიმოლოგია : -).

მეცნიერი გვეკითხება:

განა არ შეგიძლიათ გაიხსენოთ სიტუაცია, როცა თქვენ ერთდროულად ეძებდით რაიმე ნივთს, თვალ-ყურს ადევნებდით ბავშვის ქცევას, ცდილობდით, პასუხი გაგეცათ სხვა ადამიანის შეკითხვაზე?

განა არ შეგიძლიათ გაიხსენოთ სიტუაცია, როცა თქვენ ერთდროულად ესაუბრებოდით ვინმეს ტელეფონით, ეცნობოდით ფოსტას, ესალმებოდით მეგობარს?

(ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო და) ძალიან ხშირად ამგვარად ვიქცევით ადამიანები აზროვნების პროცესშიც, როცა ვცდილობთ, ფიქრის არეალიდან არ გაგვისხლტეს საჭირო ინფორმაცია, იმავდროულად მივსდით ლოგიკას და საშუალება არ მივცეთ ამ პროცესში მონაწილე სხვა ადამიანებსაც, გადაუხვიონ დასკვნათა შემუშავების მაგისტრალური გზიდან. თუმცა საკითხისადმი კონსტრუქციული მიდგომა იმასაც გულისხმობს, რომ სასურველია, ზოგჯერ ამ გადახვევებს სპეციალურადაც მივმართოთ, რათა უფრო შემოქმედებითად მივუდგეთ განსახორციელებელ საქმეს და მოვიძიოთ ახალი იდეებიც. ამასთან, ამ თამაშზე (თუკი დასაშვებად მივიჩნევთ, აღნიშნულ პროცესს ასე ვუწოდოთ) განუწყვეტლივ ახდენენ ზემოქმედებას ჩვენი ემოციები. როგორც ვხედავთ, აზროვნების პროცესში ერთდროულად მრავალი რამ ხდება.

მეცნიერს მოჰყავს შემდეგი მაგალითი – ფერადი ბეჭდვისას სრულყოფილი გამოსახულების მისაღებად ქაღალდზე ცალ-ცალკე დაიტანება ძირითადი ფერები, მაგრამ, საბოლოოდ, ისინი სასურველი ფერების გამას იძლევიან ერთმანეთთან კომბინაციაში. *(აქვე შევნიშნოთ, რომ ეს საკითხი თავისთავად გახლავთ ძალიან საინტერესო თემა და მისით შეიძლება დაინტერესდნენ არა მარტო მხატვრები, ფიზიკოსები ან ინფორმატიკის დარგის სპეციალისტები. თანამედროვე კომპიუტერების როგორც ფიზიკური, ისე პროგრამული საშუალებებით ადვილად წყდება სასურველი ფერის შერჩევის პრობლემა. ძირითადად, გამოიყენება ასეთი მიდგომა – საჭირო ფერი ფორმირდება სამი საბაზისო ფერის – წითლის – R, ლურჯის – B, მწვანის – G – ინტენსივობათა შერჩე-*

ვით. მოვიყვანოთ მაგალითი: როცა ამ სამივე ფერის ინტენსივობებისათვის მაქსიმალურ მნიშვნელობებს ვირჩევთ, შედეგად ვღებულობთ თეთრი ფერის ნათებას).

ექვსი ფერის მეთოდი, ფაქტობრივად, ამავე პრინციპის გამოყენებას გულისხმობს, ოღონდ ამჯერად აზროვნების პროცესისათვის. ნაცვლად იმისა, რომ ერთბაშად შევიქმნათ წარმოდგენა არსებულ ვითარებაზე, საკითხსა თუ ამოცანაზე, მით უფრო "ერთი დაკვირვით" მივიღოთ გადაწყვეტილება, ჩვენ რიგრიგობით სხვადასხვა ფერის სათვალისა და დავაკვირდებით პრობლემას და მერე გამოვთქვამთ საკუთარ ბრძნულ (გნებავეთ, "ბრძნულ") აზრს. დე ბონო (და პრაქტიკა ამტკიცებს) – პრობლემის გადაწყვეტისადმი ასეთი მიდგომა საშუალო-სტატისტიკურად შეუდარებლად უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე ე.წ. კავალერისტული მიხტომა.

ექვსი ფერი, ექვსი ქული

ექვსი ქულის მეთოდში აზროვნება ექცევა ექვს სხვადასხვა რეჟიმში. თითოეული მათგანი წარმოდგენილია ამ კონკრეტული რეჟიმისადმი მიკუთვნებული ფერის ქულით.

აი, როგორ აღწერს დე ბონო მოკლედ ამ რეჟიმებს (უფრო დაწვრილებითი აღწერა იხ. მომდევნო პარაგრაფებში):



წითელი ქულის რეჟიმი გულისხმობს, ფართო გასაქანი მიეცეს ჩვენს ემოციებს, ინტუიციას, გრძნობებსა და წინათგრძნობებს. არ მოითხოვება, დასაბუთდეს, ლოგიკურად აიხსნას გრძნობებზე დაყრდნობით გამოთქმული აზრები. პირიქით, საკუთარ თავს ვუსვამთ კითხვას:

- როგორი გრძნობები მეზადება მე მოცემულ საკითხთან, იდეასთან დაკავშირებით?

ყვითელი ქულის რეჟიმი. ყურადღება მახვილდება განსახილველი შემოთავაზების მხოლოდ დადებით მხარეებზე, უპირატესობებზე სხვა მიდგომებთან შედარებით. ვსვამთ ამგვარი სახის კითხვებს:

- რატომ უნდა გაკეთდეს ეს?
- რა ღირსებები გააჩნია ასეთ მიდგომას?
- რომელი ფაქტორები განაპირობებს მისი განხორციელების შესაძლებლობას?
- რომელი ფაქტორები განაპირობებს განხორციელების შემთხვევაში გადაწყვეტილების (ხელსაწყოს) მუშაობის ეფექტიანობას?

შავი ქუდის რეჟიმი. რეკომენდებულია, საკითხის განხილვისას გამოვიჩინოთ, რაც შეიძლება მეტი ყურადღება, სიფრთხილე, კრიტიკული დამოკიდებულება გამოთქმული იდეებისადმი, საფუძვლიანად განვსაჯოთ და შევაფასოთ ისინი, დავსვათ შემდეგი სახის შეკითხვები:

- მართალია კი ეს?
- იმუშავებს ასეთი მიდგომა?
- რა ნაკლოვან მხარეებს ვამჩნევთ შემოთავაზებულ გადაწყვეტილებასა თუ იდეაში?

მწვანე ქუდის რეჟიმი. ეს რეჟიმი ახდენს შემოქმედებითი პროცესის პროვოცირებას (*ფაქტობრივად, იგი ე.წ. გონებრივი შტურმის მეთოდის ნაირსახეობა გახლავთ*). გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ახალი იდეების, წინადადებების დაბადებას, მინიმუმ უკვე შემოთავაზებულთა სრულყოფას. მისთვის დამახასიათებელია შემდეგ კითხვებზე პასუხების მოძიების მცდელობა:

- შეგიძლიათ საკითხს სხვა კუთხიდან შევხედოთ?
- როგორი შეიძლება იყოს პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები?
- რა ქმედებები უნდა განხორციელდეს ჩაფიქრებული იდეის რეალიზებისათვის?

თეთრი ქუდის რეჟიმი. ყურადღება მახვილდება საკითხის სრულყოფილად აღქმა-გადაწყვეტისათვის ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციიდან მხოლოდ დადასტურებულ ციფრებსა და ფაქტებზე, საკითხის გარკვევაზე – რამდენად საკმარისია ისინი და საჭიროების შემთხვევაში ახალი, დამატებითი ინფორმაციის გზების მოძიებასა და ვადების განსაზღვრაზე.

ამ რეჟიმისათვის დამახასიათებელი ტიპური კითხვებია:

- რა სახის ინფორმაციას ვფლობთ?
- რამდენად ხარისხიანი და საკმარისია ეს ინფორმაცია?
- საჭიროა ახალი ინფორმაციის ძებნა?
- სად, რა ვადებში და რა გზებით მოვიძიოთ იგი?

ლურჯი ქუდის რეჟიმი. ამ რეჟიმში განიხილება და წყდება განსახილველი საკითხის ირგვლივ აზროვნების, მსჯელობათა ორგანიზების საკითხები. დე ბონო ფრიად საინტერესო დეფინიციას აძლევს ლურჯი ქუდის რეჟიმს – მისი თქმით, იგი გახლავს **აზროვნება აზროვნების შესახებ**.

რაც შეეხება შეკითხვებს, დე ბონო ამ რეჟიმისათვის გვთავაზობს ორად-ორ კითხვით წინადადებას (*ცხადია, არავინ გვიკრძალავს მეტის დასმას*):

- რას მივალწიეთ?
- რისი კეთება უნდა დავისახოთ მიზნად შემდგომ ეტაპებზე?

ფერადი ქუდების ჩამონათვლის ბოლოში მეცნიერი მართებულად შენიშნავს: ცხადია, შეიძლებოდა აზროვნების სხვა ასპექტების გათვალისწინებაც,

მაგრამ ქულების გაზრდილი რაოდენობის შემთხვევაში დაიკარგებოდა მიდგომის ეფექტიანობა (მით უფრო საქართველოში, სადაც რამდენი კაცია, იმდენი ქუდიცაა). ხოლო ქულების რიცხვის შემცირება კი, მისივე სიტყვებით, იდეის განხილვის პროცესის ეფექტიანობას შეამცირებდა (პრინციპულად შესაძლებელია, სამზორბლიანი ავტომობილითაც ვიმგზავროთ, მაგრამ, დამეთანხმებით, ეს მთლად მოხერხებული არ გახლავთ).

დე ბონოს მიერ შემოთავაზებული ექვსი ქუდის არსი ძალიან მოკლედ შეიძლება შემდეგი ტანდემების სახით წარმოვადგინოთ:

წითელი	ინტუიცია და გრძნობები
ყვითელი	უპირატესობები
შავი	საფრთხეები
მწვანე	ალტერნატივები და შემოქმედებითი იდეები
თეთრი	ინფორმაცია
ლურჯი	აზროვნების პროცესის მართვა

დე ბონო იძლევა ახსნა-განმარტებას, თუ რატომ შეარჩია მან თავისი მიდგომისათვის სახელი “აზროვნების ექვსი ქუდი”:

ინგლისურ ენაში (სხვა ენებშიც) აზროვნების და ქუდის ცნებები ტრადიციულად ერთმანეთს უკავშირდება, რასაც განაპირობებს ამა თუ იმ მოსამსახურის ფორმის ყველაზე თვალშისაცემი ატრიბუტი – ქუდი (მეზღვარის, სამხედრო მოსამსახურის, გიმნაზისტის, ტუსადის და სხვ.). სამსახურებრივი როლი კი, ბუნებრივია, მოქმედებს აზროვნების წესზეც და პირის (მით უფრო ოფიციალურის) მიმართ გარშემომყოფთა დამოკიდებულებაზეც. (გავიხსენოთ, როგორ მოხერხებულად იყენებდა ამ ფაქტორს ოსტაპ ბენდერი თავისი მიზნების განსახორციელებლად).

ქუდი მოცემულ სიტუაციაში პირის გარკვეულ როლს უკავშირდება. ამასთან, ძალიან ადვილად და სწრაფად ხდება ქუდის მოხდა-დახურვით როლში შესვლა-გამოსვლა.

ამრიგად, დებონესეული არჩევანი, ვფიქრობთ, სავსებით გასაგები და მისაღებია.

შემდეგ, მეცნიერი ადამიანის მიერ რაიმე საქმის განხორციელების (მაგალითად, განზრახვის, რომ “აზრი შვას”) პროცესისათვის პირველ და უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად მიიჩნევს “როლში შესვლას”:

“პერსონაჟი, რომლის ადგილზეც თავს წარმოიდგენთ, თავის ადგილს დაიკავებს თქვენს რეალურ ცხოვრებაში”, – მიაჩნია მას. თუმცა იქვე შენიშნავს, რომ რიგ შემთხვევებში ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. მაგალითად, მალოსნად ან მოჭადრაკედ თავის წარმოდგენა ადამიანს მომენტალურად ვერ აქცევს სპორტსმენად (იგივე ითქმის მოაზროვნედ ქცევის სურვილის შესახებაც). მაგრამ თუკი მიზნის დასახვას კონკრეტული ქმედითი ნაბიჯებიც მოჰყვება, მაშინ მეტ-ნაკლები შედეგი ყოველთვის იქნება. მთავარია, არასოდეს დაგვავიწყდეს ჩინური სიბრძნე: “ყოველი გრძელი მოგზაურობა პირველი ნაბი-

ჯის გადადგმით იწყება!" (ქართველებისათვის კი უპრიანია დამატებით ასეთი შეგონება: "პირველ ნაბიჯს აუცილებელია დანარჩენებიც მოჰყვეს").

6 ქუდის მეთოდით სარგებლობას სხვა მრავალთან ერთად ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ღირსებაც გააჩნია – იგი ადამიანს ათავისუფლებს შიშისაგან, იქცევს ქილიკის ობიექტად. ნათქვამია: "დაცინვის ეშინია მასაც კი, ვისაც არაფრის არ ეშინიაო!" ამ მეთოდის გამოყენებისას კი აღნიშნული პრობლემა აღარ არსებობს – ადამიანი წინასწარ თავისივე ნებით თანხმდება ამა თუ იმ როლის (უკეთესია როლების) თამაშს და თან იცის, რაც უფრო უკეთ შეასრულებს მისთვის განკუთვნილ როლს, რაც მეტი წარმატებით განასახიერებს ამა თუ იმ ფერის ქუდით დამძიმებულ პერსონაჟს, მით უფრო მეტად დაიმსახურებს დამსწრეთა მოწონებას (განსაკუთრებით მაშინ, როცა მოცემული როლი მის შინაგან ბუნებას ეწინააღმდეგება). ასე რომ, ყოველგვარი კომპლექსები მოხსნილია – ხომ არავინ აიგივებს მსახიობს მის მიერ შესრულებულ როლთან!

ამასთან, სხვა ადამიანის "ტყავში შეძრომა" პიროვნებას საშუალებას აძლევს, გავიდეს საკუთარი აზროვნების ჰორიზონტის მიღმა, გასცდეს ჩარჩოებს, რომელშიც არის მოქცეული მისი მსოფლმხედველობა, სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობებიდან გამომდინარე (მოსამართლეს შესაძლებლობა ეძლევა ადვოკატად იქცეს, ადვოკატს – პროკურორად, ნათელაშვილს – სააკაშვილად, სააკაშვილს კიდეც – ბესელია-კუკავას ტანდემად და ა.შ.)

აქვე დე ბონოს მახვილი თვალი შენიშნავს, რომ ცხოვრებაში ადამიანი ხშირად თვითონვე ირჩევს თავისი ბუნების შესატყვის როლს (მეტწილად შავი ქუდის მატარებლისა), თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად, როგორც წესი, ასახელებს სულ სხვა მიზეზს – კაცობრიობის, ქვეყნის თუ საკუთარი წრის ინტერესებისათვის დაუღალავ მებრძოლად ყოფნის დაუოკებელ წყურვილს.

ქუდებით საზოგადოების, მაყურებლის აზრის მანიპულირების მექანიზმს ადამიანები დიდი ხანია მიმართავენ, როცა ამა თუ იმ პიროვნებასა თუ იდეას ერთ ფერში აღიქვამენ (ვერ თუ არ ამჩნევენ სხვა თანამდევ ფერებს) და არ იშურებენ ძალისხმევას, მოაქციონ აუდიტორია თავისი წარმოდგენების ტყვეობაში. სწორედ ამგვარი ქმედებების განხორციელება შეადგენს ე.წ. პიარ-ტექნოლოგიების დედაარსს. ადამიანთა დიდი ნაწილიც თანახმაა, ტვინის ჰყლეტვის გარეშე მიიღოს ამგვარი წესით დახარისხებული და შესაბამისი ფერის გარსაცმში შეფუთული ინფორმაცია. და ეს ხდება ადამიანის მოღვაწეობის მრავალ და ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სფეროებში: სარეკლამო დარგში, ტელესერიალებში (უარყოფითი და დადებითი გმირების მკვეთრი გამიჯვნის გზით), პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ კაბუკის თეატრში, რომელშიც მაყურებლის წინაშე პიროვნების, უფრო ზუსტად იდეის, დაკრისტალეზებული სახით წარმოდგენის მიზნით, მსახიობები პირდაპირი მნიშვნელობით ირგებენ სახეზე კეთილშობილი პრინცისა თუ ბოროტი ჯადოქარი ქალის ნიღბებს; ამასთან, იდეა-იდეოგრამის რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილობის ხაზგასასმელად იაპონურ თეატრში პრინცის როლს ტრადიციულად გოგონა ასრულებს, ბოროტი ჯადოქარი ქალისას კი – მამაკაცი.

სანამ ამა თუ იმ ფერის ქუდს დავიხურავდეთ და შესაბამისი პოზიციიდან განვიხილავდეთ მოცემულ ობიექტსა თუ საკითხს (ამის შესახებ სხვა დროს), მოკლედ ვისაუბროთ იმ ღირსებების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც თვით დე ბონო აფასებს მის მიერ შემოთავაზებულ მეთოდისას (ცოტაოდნავ ჩვენეული ინტერპრეტაციით):

I. გვეძლევა რეალური საშუალება, ვითამაშოთ 6 ერთმანეთისაგან განსხვავებული როლი;

II. უმეტესწილად ადამიანები სიახლეს აღიქვამენ, როგორც (დიდ ან შედარებით პატარა) სისულელეს. ქუდები აპრიორულ განწყობას „აშუნტებენ“.

III. მიზანმიმართულად ვმართავთ საკუთარ ყურადღებას – იგი „გეგმურად“ გადაგვაქვს ერთი ობიექტიდან მეორეზე, ყოველი მხრიდან ვათვალიერებთ და ვაფასებთ არჩეულს.

IV. გვიადვილდება მოსაუბრესთან საერთო ენის გამონახვა. მან იცის, რომ თამაშის წესებიდან გამომდინარე, სავსებით ლეგიტიმურია მოთხოვნა: „ახლა კი 1800-ით შეცვალეთ თქვენი ხედვის მიმართულება“.

V. „მოწინააღმდეგის“ და ჩვენივე „მორჯულების“ საქმეში ერთვება ფიზიოლოგიაც – ადამიანი თავის ორგანიზმს განაწყობს შეკვეთილი ემოციის შესატყვისად, შემდეგ კი ადგილი აქვს დადებითი უკუკავშირის ამოქმედებას.

VI. „თამაშის“ მონაწილენი ნელ-ნელა ვსწავლობთ ნორმალურად თამაშის (აქ აზროვნების) წესებს. რაც უფრო ადრეული ასაკიდან დავიწყებთ დე ბონოს მეთოდით სარგებლობას, მით უკეთესი. ჯერ ერთი, ადამიანებს უძნელდებათ კამათის უკვე შესისხლხორცებული წესებიდან (უფრო ზუსტად უწესობებიდან) გადახვევა (ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო) და მეორეც – განა შემთხვევითია, რომ მცირეწლოვნები მოზრდილებზე გაცილებით სწრაფად და უკეთესად ითვისებენ კომპიუტერულ თამაშებს და უცხო ენებს?!

დაბოლოს, დე ბონოს განმარტებით, აი, რა მოსაზრებებმა განაპირობეს აზროვნების მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის საერთოდ, ფერის ფენომენისა და კერძოდ კი, მეცნიერის მიერ შერჩეული გამის არჩევანი:

ძველბერძნული (ან ლათინური) სახელების გამოყენება ტრაფარეტულიცაა და, რაც მთავარია, შედარებით ძნელად დასახსომებელი. იგივე ითქმის ქუდის ფორმის მიხედვით ამ მიმართულებების იდენტიფიცირებისთვისაც. ფერებით მონიშვნისას კი სახელდება ხორციელდება შინაარსობრივი დატვირთვის მხრივაც. კერძოდ:

თეთრი ფერი მიუკერძოებელი და ობიექტურია. თეთრი ქუდის ქვეშ „იხარშება“ ციფრებსა და ფაქტებზე დაფუძნებული აზრები.

წითელი ფერი აგრესიულობასა და ზღვარგადასულ კრიტიკასთან ასოცირდება; ხელს არავინ გვიშლის, სრულად გამოვხატოთ „მტრისადმი“, რაიმე იდეისადმი ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება, სათანადო ემოციების აკომპანიმენტით.

შავი ფერი, დე ბონოს შეხედულებით, უპრიანია განსახილველი იდეის მიმართ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების დასაფიქსირებლად

ისეთ შემთხვევებში, როდესაც არ გამოვრიცხავთ მისი განხორციელებისას მიღებული შედეგების "შავბნელ" ფერში წარმოდგენას.

წითელი ფერი მზესა და სიცოცხლის ყოვლისშემძლეობასთან ასოცირდება. ეს ფერი ჩვენში აღძრავს ოპტიმიზმის გრძნობას, ბადებს იმედებს, გვიქმნის პოზიტიურ განწყობილებას.

მწვანე ფერი ახლად შეფოთლილ ხეს გვახსენებს – სიუხვისა და ნაყოფიერების სიმბოლოს ფერის ქუდის ქვეშ დაბადებული აზრები ხელს უწყობს მრავალი ორიგინალური იდეის გენერირება-გაფურჩქნას.

და დასასრულ:

ლურჯი ფერი – საბოლოოდ, მაინც "ცივი გონებით" განმსჯელი ცა მართავს ყველაფერს, მოცემულ შემთხვევაში ობიექტის, იდეის განხილვასთან დაკავშირებულ აზროვნების პროცესსა და მასში მონაწილე სხვადასხვა ფერის ქუდების კარნავალს.

შემდეგ, მხატვრის ფუნჯით შეიარაღებული და ექსტაზში შესული, დე ბონო გვიხატავს დაწყვილებული ფერების ხილვით გამოწვეულ ემოციებსაც, მაგალითად, მისთვის:

წითელი და თეთრი თოვლზე დაღვრილი სისხლია

შავი და ყვითელი კი – შავ ასფალტზე დაფენილი ნარცისები და ა.შ.

დაინტერესებულ, პოეტურად მოაზროვნე მკითხველს ვთავაზობთ, გააგრძელოს ეს ჩამონათვალი.

ახლა კი განვიხილოთ ქუდებით სარგებლობის ტექნოლოგიის ძირითადი თავისებურებანი:

- ადამიანს, რომელსაც უმეტესწილად ახასიათებს მიდრეკილება ამა თუ იმ "ფერის" აზროვნებისაკენ, უხდება 6 განსხვავებული როლის შესრულება, რაც უდავოდ აფართოვებს მის გონებრივ თვალსაწიერს და ამდიდრებს ინსტრუმენტარიუმს.
- მოხერხებული გზით, უმტკივნეულო ფორმით ხდება აზროვნებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამაბრკოლებელი ფაქტორის – პიროვნების ეგოს „დაშუქება“, როცა იგი აცხადებს: "შავ (ყვითელ, მწვანე ...) ქუდში მოქცეული ჩემი აზროვნება მკარნახობს, რომ ..."
- ვებმებით იდეის განსჯაში არა მარტო ჩვენი საკუთარი აზრების სხვებისათვის თავზე მოსახვევად, არამედ ნებაყოფლობით (ან დისკუსიის მონაწილეთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად) ვდგებით, შესაძლოა ჩვენი შეხედულებებისათვის (გნებავთ, ბუნებისადმი) დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციასაც, რაც საქმეს რგებს თუნდაც იმ კუთხით, რომ არბილებს "კანონიერ" უარყოფით განწყობას "მტრული" პოზიციისადმი და რაც შესაძლოა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი არის – მისი დამცველებისადმი.
- საკუთარი ინიციატივითა თუ სხვათა თხოვნის გამო პირისა თუ მთლიანად ჯგუფის მიერ ქუდების დახურვის, მოხდის ან შეცვლის შედეგად საქმიან განხილვის პროცესს თამაშის ელფერი დაჰკრავს, რაც ძალიან უწყობს ხელს სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნას, დისკუსიის მონაწილეთა შორის ნორმალური, ადამიანური ურთიერთობების დამყარებას.

- დროის უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით, შესაძლებელია წინასწარ გაკეთდეს მონახაზი – რომელ ქუდს რომელი მოსდევდეს (მაგალითად, დავთქვამთ, რომ ყვითელ ქუდს ცვლიდეს შავი, რათა ოპერატიულად მოხდეს იდეის კრიტიკული შეფასება), თუმცა ეს არ გამორიცხავს მმართველი პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრის დაშვების შესაძლებლობასაც.

როგორც ვხედავთ, ჩვეულებრივი კამათისაგან განსხვავებით, 6 ქუდის მეთოდი საფუძველშივე გამორიცხავს შემდეგ ტრადიციულ მიდგომას – ამა თუ იმ ერთი მიმართულების გასამარჯვებლად აუცილებელია სხვა იდეების დაჩაგვრა. 6 ქუდის მეთოდის გამოყენებისას ხდება არა იდეათა შეჯახება, არამედ, დე ბონოს სიტყვებით, პარალელურ აზროვნებათა თანაარსებობის დაშვება.

ყველაზე დიდი ღირსება, რომელიც აღნიშნულ მეთოდს გააჩნია, თუ ისევ დე ბონოს დავესესხებით, გახლავთ:

იდეების წამოყენება-განხილვისას დროის მნიშვნელოვანი ეკონომია და დისკუსიის თითოეული მონაწილისათვის მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულად გამოვლენის უზრუნველყოფა.





კანონით მემკვიდრეობა ამერიკის სასამართლო სისტემაში

კანონით მემკვიდრეობა, როგორც ანგლო-ამერიკულ ისე რომანულ-გერმანულ სამართლის სისტემაში, წარმოადგენს მემკვიდრეობას ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ან მისი ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილობის დროს. არამართო საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, მოქალაქეების უმეტესობა არ ტოვებს ანდერძს და შესაბამისად ეს ურთიერთობა წესრიგდება კანონის საფუძველზე.

ანდერძის არსებობის შემთხვევაშიც კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე შეიძლება მოწესრიგდეს მთელი რიგი საკითხები როგორცაა მაგ.: სამკვიდროს განაწილება ანდერძით მემკვიდრეებს შორის, რადგან ხშირად მამკვიდრებელი ანდერძში იყენებს ტერმინს „ჩემს კანონით მემკვიდრეებს“. გასათვალისწინებელია ასევე ისიც რამდენად სრულად არის განსაზღვრული სამკვიდროს ბედი ანდერძით. დარჩენილია თუ არა ანდერძის გარეთ ქონება, რომელიც კანონით მემკვიდრეებს შორის უნდა განაწილდეს.

ამ მხრივ პრეცედენტული ანგლო-ამერიკული სამართლით, მიუხედავად ძირეული და სისტემური განსხვავებისა, მაღალი სასამართლო პრაქტიკისა და ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად, ზოგ შემთხვევაში ეხმაურება ევროპული, რომანულ-გერმანული სამართლის საწყისებს და კერძოდ მის საერთო ოჯახში შემავალ საქართველოს სამოქალაქო კოდექსს. ამ ორი განსხვავებული სამართლის სისტემის შედარებას თავისი ინსტიტუტებით მე ამ ჩემს მოკრძალებულ ნაშრომში ვერ გავბედავ. მინდა შევეხო მხოლოდ ანგლო-ამერიკული სამართლით რეგულირებულ კანონით მემკვიდრეობას, მემკვიდრეობის სამართლის ზოგად პრინციპებს და მკითხველი თავად დაინახავს საერთო და განსხვავებულ ხედვას ქართულ ანალოგიური ინსტიტუტების ნორმებთან. კერძოდ, როგორცაა: კანონით მემკვიდრეთა წრის განსაზღვრა, მათი წილი და უფლება იყვენ მემკვიდრეები. სამკვიდრო ქონების განაწილების წესი და ოდენობა. ამ პრობლემების უკეთ გაანალიზებისათვის შევეხებით საკითხებს ანდერძით მემკვიდრეობიდან და აშშ-ს სხვადასხვა შტატში მემკვიდრეობითი სამართლის კოდექსის წარმოშობის ისტორიას.

აშშ-ს მემკვიდრეობის სამართლის კოდექსის ისტორია

ერთგვაროვანი სამართლის კოდექსი (uniform probate code. U.p.c.) აშშ მიღებული იქნა 1969 წ. სხვადასხვა შტატების ერთგვაროვანი კანონების მიმდებარე უფლებამოსილი ეროვნული კონფერენციის მიერ. მისი ძირითადი მიზანი იყო

გამარტივებინა პროცედურები, რომელიც ეხებოდა ანდერძის შედგენას და სამკვიდრო ქონების განაწილებას.

განსხვავებით სხვა მრავალი ერთგვაროვანი კანონებისგან, როგორცაა მაგ: კომერციული ერთგვაროვანი კანონი, ერთგვეროვანი მემკვიდრეობითი სამართალი მიღებული იქნა შტატების უმცირესობის მიერ. სრულიად ან ნაწილობრივ სულ 15 შტატში: ალიასკა, არიზონა, კოლორადო, აიდახო, მენე, მიჩიგანი, მინესოტე, მონტანა, ნებრასკა, ნიუ-ჯერსი, ნიუ-მექსიკა, ჩრდილოეთ დაკოტა, სამხრეთ დაკოტა, პენსილვანია და იუტე.

შტატებმა, როგორცაა ნიუ-იორკი, კალიფორნია, ილიონისი უარი თქვეს მის მიღებაზე სრულად, თუმცა ამჯობინეს ზოგიერთი ნორმის გადმოღება. ერთგვაროვანი მემკვიდრეობითი კოდექსი შედგება რვა თავისაგან. ყოველწლიურად „დასავლეთ ჯგუფი“ უმსხვილესი იურიდიული ლიტერატურული გამოცემლობა „west group“ გამოსცემს განმარტებებს ამ კანონის გამოყენების შესახებ [1].

აშშ კანონით მემკვიდრეობის სამართლებრივი რეგულირება წარსულში და დღეს

ანგლო-ამერიკულ სამართალში ისევე, როგორც სხვა სამართლებრივ სისტემაში, უძრავი და მოძრავი ქონება დაკავშირებულია სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებთან. განსხვავებულია საკუთრების უფლების წარმოშობა და გარიგების ფორმები მათთან დაკავშირებით. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უნდა იყოს შედგენილი წერილობით და დარეგისტრირებული შესაბამის რეესტრში [2]. ეს უზრუნველყოფს მესაკუთრეთა, გამყიდველთა და მყიდველთა ინტერესებს. (იმავეს იმეორებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183 მ.).

ქონების დაყოფა მოძრავად და უძრავად საერთო სამართლის შტატებში არ მიესადაგება სრული გაგებით რომანულ-გერმანულ სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელ განსაზღვრებას. ძირითადად ტერმინები მოძრავი (movable property) და უძრავი (immovable property) სასამართლოს მიერ იხმარება, ისეთი ურთიერთობების დროს, რომელიც მოწესრიგებულია საერთაშორისო კერძო სამართლით. შიდა სამართლებრივი ურთიერთობების დროს ამ დაყოფებს უფრო ყოფითი მნიშვნელობა აქვს ვიდრე სამართლებრივი.

მოქალაქის გარდაცვალების დროს, ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ან როცა ანდერძში სრულად არ არის მითითებული მთელი ქონება, სამკვიდრო ქონების განაწილება წესრიგდებოდა ერთი ან ზოგჯერ რამდენიმე შტატის მიერ. ინგლისური სამართლის მიხედვით, რომელიც მოქმედებდა აშშ-ში საკუთარი კანონმდებლობის მიღებამდე, მამკვიდრებლის ანდერძის გარეშე გარდაცვალების დროს სხვადასხვა სახის სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით გამოიყენებოდა განსხვავებული ნორმები. ისინი შესაბამისად აწესებდნენ განსხვავებულ მიდგომას უძრავ და მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით. უძრავი ნივთები ხვდებოდათ დაღმავალი ხაზის მემკვიდრეებს (heirs), მოძრავი – დებს ან ძმებს (next in kin) [3].

მემკვიდრეობითი კანონის მიღების შემდეგ აშშ-ში ეს განსხვავებები იქნა უარყოფილი. დღეს ეს ტერმინები გამოიყენება მხოლოდ როგორც ერთმანეთის სინონიმები ანუ ისინი შეიძლება იყვნენ, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების მემკვიდრეები.

საკუთარი კანონმდებლობის მიღების ხარჯზე და სასამართლო პრეცედენტის გამოყენების გამო ინგლისური სამართალი აშშ-ში აღარ გამოიყენება. ამ შტატებს შორის, რომელიც გამოიყენებს საერთო მემკვიდრეობის კანონს, როგორც საკუთარ კანონმდებლობის ნაწილს (uniform probate code; u.p.c) არსებობს ურთიერთობები, რომელიც წესრიგდება განსხვავებული ნორმებით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აქვს უფლება თვითონ აირჩიოს, რომელ მათგანს მიანიჭოს უპირატესობა. შტატები, რომლებიც სცნობენ მეუღლეთა საერთო საკუთრებას, აქვთ ორი სახის ნორმათა ჯგუფი. იმ პირთა გარდაცვალების დროს ვისაც არ დაუტოვებია ანდერძი – ერთი აწესრიგებს სამკვიდროს განაწილებას მემკვიდრეებს შორის მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებიდან და მეორე, სამკვიდროს განაწილებას მათი ინდივიდუალური საკუთრებიდან.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად ითვლება ქონება შეძენილი მათი ქორწინების განმავლობაში (communiti property) ინდივიდუალური ნივთების გამოკლებით თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული [4]. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების დროს ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ეკუთვნის მთლიანი ქონების ნახევარი ოდონდ, არა წილი სამკვიდროდან, არამედ მთლიანი ქონებიდან, ხოლო საერთო ქონების მეორე ნახევარზე იგი გვევლინება მემკვიდრედ. აღნიშნული ნორმა გამოიყენება არა მხოლოდ აშშ-ის რვა შტატში და მათ იურისტები „საერთო საკუთრების შტატებს“ (communiti property states) უწოდებენ. ეს ნორმა ქართული კანონმდებლობისთვისაცაა ცნობილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1339 მუხლის მიხედვით, – „ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის“.

კანონით მემკვიდრეობის ზოგადი პრინციპები

კანონით მემკვიდრეობის დროს პირველი რიგის მემკვიდრეებად გვევლინებიან მეუღლე და შვილები, თუმცა განსხვავებით ქართული სამართლისაგან, მათი წილი არ არის თანაბარი და არც მემკვიდრეები არიან კანონის მიხედვით განსაზღვრული. მეუღლე იღებს წილს, რომლის მოცულობა დამოკიდებულია მამკვიდრებლის შვილების რაოდენობაზე. ძირითადად იგი იღებს ნახევარს ან 1/3 ხოლო შვილების არარსებობის დროს ყველაფერს. შვილები იღებენ ყველაფერს ცოცხლად დარჩენილი მეუღლის წილის გამოკლებით. მისი ცოცხლად არყოფნის შემთხვევაში მთლიანად მთელ სამკვიდროს [5].

შვილიშვილები და აგრეთვე სხვა შთამომავლები მიიღებენ წილს, წარმომადგენლობის უფლებამოსილებით, (representaition; per strips) რომელიც უნდა მიეღო მათ მშობლებს და გარდაიცვალნენ მამკვიდრებლის სიკვდილამდე. თუ მემკვიდრეებიდან არიან მხოლოდ შვილიშვილები და მამკვიდრებლის შვილები აღარ არიან მათ შორის განაწილდება მთლიანი ქონება.

ცოცხლად დარჩენილი მშობლები ან მათი შვილები (დები, ძმები) სამკვიდროს მიიღებენ იმ შემთხვევაში თუ სამკვიდრებელს არ დარჩენია მეუღლე და შვილები. სხვა ნათესავები წილს მიიღებენ თუ ზემოთ ნახსენები ნათესავები არ არსებობენ. საერთოდ ნათესავების არარსებობის დროს ქონება გადაეცემა სახელმწიფოს.

თუკი სამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი არის იმ შტატში, რომელიც აღიარებს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას (კალიფორნია და ტეხასი) ზემოთ ნახსენები ნორმები გამოიყენება მხოლოდ სამკვიდრებლის ინდივიდუალურ საკუთრებაზე. საერთო თანასაკუთრებაზე გამოიყენება სხვა წესები. გარდა ამისა, ცოცხლად დარჩენილი მეუღლე გვევლინება საერთო თანასაკუთრების ნახევრის მესაკუთრედ.

დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიღებამდე აშშ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე საერთოდ არ ითვლებოდა მემკვიდრედ. სამკვიდრო გადაეცემოდა მხოლოდ შთამომავლებს და ასეთის არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს. თუმცა არსებობდა ერთი გამონაკლისი. ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ეძლეოდა საქვრივო წილი (dower interest).

ცოლს ერთი მესამედი ქმრის მიწის ნაკვეთიდან. ქმარს – სამუდამო მფლობელობის უფლება გარდაცვლილი ცოლის ქონებაზე.

მოგვიანებით ე.წ. საქვრივო წილის გარდა ცოცხლად დარჩენილი მეუღლე შესაძლოა გამხდარიყო მემკვიდრე ქმრის ქონებისა იმ შემთხვევაში თუ მას ჰყავდა შვილები. რაც შეეხება ქმარს, იგი ავტომატურად ხდებოდა ცოლის მემკვიდრე მასთან ხელის მოწერის შემდეგ. ეს ნორმა გაუქმდა მე-19 სუკუნეში „ქორწინებაში მყოფი ქალების საკუთრების“ კანონით.

მაგალითად, დღეს ინგლისის კანონით მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით, მეუღლეს უკავია პრივილიეგირებული მდგომარეობა სხვა მემკვიდრეებთან შედარებით. დადამავალი ხაზის ნათესავების არსებობის შემთხვევაში მეუღლე იღებს ფიქსირებულ თანხას 25 ათასს სტერლინგს. დანარჩენი სამკვიდრო ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. თუ სამკვიდრო არ აღემატება ამ თანხას, ქონება მთლიანად ეკუთვნის მეუღლეს. მასვე მიაკუთვნებენ საოჯახო ნივთებსა და მოძრავ ქონებას.

აშშ კანონმდებლობით უმეტეს შტატებში მეუღლე იღებს ნახევარს გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდროდან. კალიფორნიის მემკვიდრეობის სამართლის § 6401 (c) მიხედვით.

მეუღლე, რომელსაც ჰყავს ერთი შვილი იღებს ნახევარს გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდროდან და ერთ მესამედს თუ მას ჰყავს ორი ან მეტი შვილი. ე.წ. საერთო სამართლის შტატებში (uniform probat cod. U.p.c.) თუკი მოკვდა ერთ-ერთი მეუღლე ანდერძის გარეშე და მას დარჩა მეუღლე და სამი შვილი (u.p.c) \$102 თანახმად მიიღებს 50 000 დოლარს და ნახევარს სამკვიდრო ქონებიდან დანარჩენ ქონებას მემკვიდრეები გაინაწილებენ თანაბრად.

მემკვიდრე შვილების არარსებობის დროს ბევრ შტატში, მათ შორის, ტეხასის მემკვიდრეობითი სამართლის § 38 მიხედვით ცოცხლად დარჩენილი მეუღლე ღებულობს სრულიად მთელ სამკვიდროს. მაგრამ აქაც არის გამონაკლი-

სი მთელ რიგ შტატებში და მათ შორის (u.p.c) სამართლის სისტემის შტატებში მამკვიდრებლის სიკვდილის შემდეგ თუკი ცოცხალი არიან მისი მშობლები და ზოგიერთ შტატში და-ძმაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლის სამკვიდრო წილი შეზღუდულია. იგი მიიღებს სამკვიდროს ნახევარს და მხოლოდ ზემოთ ხსენებული ნათესავების არყოფნის დროს დაეუფლება მთელ სამკვიდროს. ეს ნორმა განმტკიცებულია \$102 და \$ 4-1.11 ნიუ-იორკის მემკვიდრეობის სამართლის კანონით.

წილს სამკვიდრო ქონებიდან მიიღებენ გარდაცვლილის შვილები (u.p.c.) \$103 თუკი სამკვიდროს გახსნის დროისათვის თუ შვილები ცოცხალი აღარ არიან, წილს მიიღებენ მათი შვილები. ამ შემთხვევაში მამკვიდრებლის მშობლები და და-ძმები წილს ვერ მიიღებენ.

ერთი ან ორივე მშობლის არსებობის დროს, თუკი მამკვიდრებელს არ დარჩენია შვილები და მეუღლე მთელი სამკვიდრო გადადის მშობლებზე თანაბარი წილით.

ამ საერთო წესიდან არის გამონაკლისი ეს ნორმა განმტკიცებულია ნიუ-იორკის კანონმდებლობით \$ 4-1.4. მშობელი არ შეიძლება იყოს შვილის მემკვიდრე თუ მან მიატოვა შვილი ან უბრალოდ არ ზრუნავდა მასზე, ვიდრე შვილს შეუსრულებოდა 21 წელი. ამ შემთხვევაში სამკვიდრო ნაწილდება ისე, თითქოს მშობელი მოკვდა შვილზე ადრე. სხვათაშორის, ეს არის ერთადერთი ნორმა, რაც დღესაც გამოიყენება 1974 წლიდან. ამ ნორმით სრულწლოვანება დგება არა 18 არამედ 21 წლიდან. მშობლები ვალდებული არიან დაიცვან ეს ნორმა და იზრუნონ შვილებზე ვიდრე ისინი არ მიაღწევენ სათანადო ასაკს.

საინტერესოა თუ როგორი ჩვეული ორიგინალობით აწესრიგებს აშშ-ის (u.p.c.) მემკვიდრეობის სამართალი ნახევარ და-ძმების წილის საკითხს სამკვიდრო ქონებიდან. ისტორიულად ისინი არ ითვლებოდნენ მემკვიდრეებად, მაგრამ დღეს ამ კანონს არ მიმართავს არც ერთი შტატი. თუმცა მათი წილის განსაზღვრისას არის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში.

მაგ., მამას ჰყავს ორი შვილი პირველი და სამი მეორე ქორწინებიდან. თუკი ერთ-ერთი შვილი გარდაიცვლება და მას ცოლი და შვილები არ დარჩება, მისი წილი სამკვიდრო ქონება _ 40% გადავა მის ნამდვილ ძმაზე და მხოლოდ 20% ნახევარ ძმასა თუ დაზე. სწორედ ასეთი სასამართლო გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი 1992 წ. ტეხასის სასამართლოს მიერ კარპი ბილიმანის წინააღმდეგ.

თუმცა (u.p.c.) სამართლის კანონმდებლობით \$ 107 თითოეული და ძმა (იგულისხმება ორივე ქორწინებიდან) თანაბრად მიიღებენ წილს.

სამკვიდრო ქონების განაწილება ყოფილ მეუღლეებს შორის

ამ საკითხის განხილვამდე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ აშშ-ის სამართალი გამოიყენებს ორ ტერმინს: გაყრა (divors) და ქორწინების შეწყვეტა (dissolution of marriage). საქართველოს სამართლის სინამდვილეში პირველ ტერმინს არ გამოვიყენებთ, თუმცა იგი გამოხატავს სამართლებრივ გაგებას, რაც წარმოადგენს „ფაქტობრივ შეწყვეტას საქორწინო ურთიერთობების“.

გაყრა (divorce) წყვეტს საქორწინო ურთიერთობებს იმ შემთხვევაში თუ პროცესუალურად იგი დასრულებულია. მაგალითად: სასამართლო განხილვის დროს 2006 წ. ჰამილტონი ჰამილტონის წინააღმდეგ [6] არკანზასის შტატმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ცოლს აქვს უფლება მიიღოს სამკვიდრო გარდაცვლილი მეუღლეს წილიდან, თუმცა მეუღლეს გარდაცვალების პერიოდში ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და მიდიოდა სასამართლო განხილვა განქორწინებასთან დაკავშირებით.

არსებობს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებაც 2000 წ. კარპი კარპის წინააღმდეგ, სადაც მეუღლეები, მართალია, არ განქორწინებულან, მაგრამ ცოლის სიკვდილის პერიოდში ისინი ცალცალკე ცხოვრობდნენ. სასამართლომ ქმრის სარჩელი სამკვიდრო წილის მიღებაზე არ დააკმაყოფილა [7].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1341 მუხლით [8], დადგენილია არანაკლებ სამი წელი ცალ-ცალკე ცხოვრებისა, რის დროსაც მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება. ეს უფლება შეიძლება ჩამოერთვას ერთ-ერთ მეუღლეს იმ შემთხვევაშიც, თუ ქორწინების ბათილობასთან დაკავშირებით მამკვიდრებლის მიერ სარჩელი წარდგენილი იყო სასამართლოში და იგი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე გარდაიცვალა. (სსკ1342მ).

სასამართლო გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებით მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია და არ წყვეტს ქორწინებას.

სასამართლო პრეცედენტის მიხედვით, ოჰაიოს შტატში 1989 წ. ნიუტონის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება [9]: განქორწინება მეუღლეებს შორის გაუქმდა, რადგან მეუღლეებს არ ჰქონდათ მექსიკაში მუდმივი ბინადრობის უფლება. თუმცა პიროვნება, რომელმაც თავდაპირველად მოითხოვა განქორწინება და მიმართა სასამართლოს ან ხელმეორედ შევიდა ქორწინებაში, კარგავს უფლებას მიმართოს სასამართლოს განქორწინების გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით. ასეთი პოზიცია დაიკავა ოჰაიოს შტატის სასამართლომ 1995 წ. \$ 802 (b) (u.p.c.) დალტონის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილების ბათილობისა, ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებით ქალს ეთქვა უარი, წოდებულიყო მისი ქმრის მეუღლე, რადგან მისგან წასვლის შემდეგ იმყოფებოდა სხვასთან ქორწინებაში.

სამკვიდრო ქონების ბედი ახლო ნათესავების არარსებობის დროს

თუკი არ არიან მამკვიდრებლის მეუღლე, შვილები, მშობლები და მათი შვილები, ნახევარი ქონება გადაეცემა ნათესავებს მამის ხაზით და ნახევარი ნათესავებს დედის ხაზით. ბებიები და ბაბუები თავის მხრივ არიან პრიორიტეტულიები თავიანთ შთამომავლებთან და ეს უკანასკნელნი მიიღებენ სამკვიდროს მხოლოდ მათი არყოფნის დროს. წარმომადგენლობის უფლებამოსილებით სამკვიდროს მიიღებენ ბებია-ბაბუას არარსებობის დროს, გარდაცვლილის ბიძები, დეიდები, მამიდები და მათი შვილები თუ მათი მშობლები ცოცხლები აღარ არიან.

ერთ-ერთი ხაზის არარსებობის დროს მთელი ქონება გადადის მეორე ხაზის მემკვიდრეობაში. მაგალითად: მოკვდა ბილი საიმონი, მას ანდერძი არ დაუწერია. არ იყო დაოჯახებული და არ ჰყოლია შვილები. მისი უახლოესი ცოცხლად დარჩენილი ნათესავები იყვნენ ორი ბიძა მამის მხრიდან. ბებია და ბიძები დედის მხრიდან მოკვდნენ მასზე ადრე და თუმცა მათ დარჩათ შთამომავლები, მთელი ქონება გადავიდა ბიძებზე და უფრო შორეულმა ნათესავებმა ვერ მიიღეს ვერაფერი. ასეთი ნორმა არის დადგენილი (u.p.c.) 1 (e) მემკვიდრეობითი კანონით [10].

სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებიების და ბაბუების და მათი შთამომავლების არყოფნის დროს სამკვიდრო გადაეცემა დიდ ბებიებსა და დიდ ბაბუებს. ნახევარ-ნახევარი დედისა და მამის ხაზით. მათი არარსებობის შემთხვევაში მათ შთამომავლებს წარმომადგენლობის უფლებამოსილებით. თუ ერთ-ერთი ხაზით ნათესავები არ არიან, მთელი ქონება გადაეცემა მეორე ხაზის ნათესავებს. ეს ნორმა განმტკიცებულია იმავე მემკვიდრეობითი კანონის 1(f) ნორმით.

უფრო ახლო ნათესავების არყოფნის დროს, ვიდრე დიდი ბებია და ბაბუა სამკვიდრო გადადის მათზე თანაბარი წილით, როგორც აღწერილია 1 (g) მუხლში „ერთი და იგივე დონის ნათესავებს მიეცემათ თანაბარი წილი, სამკვიდროდან თანახმად, სამოქალაქო სამართლის ნორმებისა და წარმომადგენლობა მათ შორის არ მოხდება“.

ამგვარი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის კალიფორნიის (ეს ნორმები სხვა შტატებში არ შეინიშნება) შტატი იყენებს სპეციალურ ნორმებს. როდესაც მემკვიდრეობელი მოკვდა ანდერძის გარეშე და მას მეუღლე და შვილები არ დარჩენია.

თანახმად კალიფორნიის მემკვიდრეობითი კოდექსის c § 6402.5ee მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება, რომელიც ეკუთვნოდა, როგორც გარდაცვლილ მემკვიდრეულს, ისე მის ადრე გარდაცვლილ მეუღლეს განაწილდება შემდეგნაირად [11]. სამკვიდროს ნახევარი გადავა ადრე გარდაცვლილი მეუღლის შვილებზე და მათი არარსებობის შემთხვევაში გარდაცვლილის მშობლებზე და და-ძმაზე. ეს წესი გამოიყენება, როგორც ყოფილი თანასაკუთრების ნახევარზე, ისე ნახევარზე მთლიანი საკუთრებიდან, რომელიც მიღებულია საჩუქრად ან მემკვიდრეობით.

ადრე გარდაცვლილი მეუღლის პირად საკუთრებასაც იგივე ბედს უმზადებს კანონმდებელი. თანახმად იმავე კოდექსის § 6402.5 (b) ნაწილით, ყოფილი მეუღლისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება ან ჩუქებით (რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი მოხდებოდა ორივეს სიცოცხლეში) მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდეგ უბრუნდება მისი ყოფილი მეუღლის შვილებს და მათი არყოფნის დროს მშობლებს, შემდეგ ძმებს და დებს.

ამ სპეციალური ნორმების თანახმად, ადრე გარდაცვლილი მეუღლის წილი სამკვიდრო ქონებიდან, როგორც საერთო თანასაკუთრებიდან, ისე ინდივიდუალური პირადი საკუთრებიდან შეიძლება გადავიდეს მოგვიანებით გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეებზე: ცოლზე, შვილებზე, მშობლებზე და სხვა

ნათესავებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საერთოდ არ არსებობს არც ერთი ნათესავი პირველად გარდაცვლილი მეუღლისა.

კონვერტაცია სამართლიანობის უფლებისათვის (equitable conversion)

ამერიკული სასამართლო პრეცედენტით, მამკვიდრებლის მიერ დატოვებული, ანდერძის მიხედვით, სამკვიდრო ქონების განაწილება მემკვიდრეებს შორის სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. თუკი ანდერძი ითვალისწინებს, რომ სამკვიდრო უნდა განაწილდეს ნიუ-ორკის შტატის კანონმდებლობით და იმავე კანონით განისაზღვროს მემკვიდრეთა წრე, სასამართლო გამოიყენებს ამ შტატის კანონს, მიუხედავად იმისა, რამდენად იყო მამკვიდრებელი, მემკვიდრეები თუ სამკვიდრო ქონება ამ შტატთან დაკავშირებული.

როცა ანდერძი ითვალისწინებს, რომ მიწის ნაკვეთი უნდა გაიყიდოს და აქედან შემოსული თანხა განაწილდეს მემკვიდრეებს შორის, სასამართლო განიხილავს ამას, როგორც მოძრავ ქონებას და უწოდებენ მას სამართლიანი კონვერტაცია ანუ კონვერტაცია სამართლიანობის უფლებისათვის (equitable conversion). მაგ: ინდიანას შტატში 1998წ. საქმეზე მური ლივინგსტონის წინააღმდეგ [12]. ანდერძი ითვალისწინებდა გაეყიდათ მიწა და გაენაწილებინათ ფული. სასამართლომ გამოიყენა ილინოისის შტატის კანონი მემკვიდრეების წრის განსაზღვრისათვის, თუმცა სამკვიდრო ქონება იმყოფებოდა ინდიანაში, რადგან მამკვიდრებელი გარდაცვალების მომენტში ცხოვრობდა ილინოისში.

სამართლიანი კონვერტაცია არ გამოიყენება თუ მამკვიდრებელი ამას ანდერძში იმპერატიულად არ მიუთითებს და უბრალოდ დაწერს, რომ გაიყიდოს მიწის ნაკვეთი.

კარგად შედგენილი ანდერძი ზუსტად უნდა უთითებდეს იმ კანონს, რომლითაც მოწესრიგდება ეს ურთიერთობები. მაგ.: „ჩემს მემკვიდრეებს, რომელთა წრე განისაზღვრება ჩემი გარდაცვალების დღეს ნიუ-იორკის შტატის კანონით“.

კანონით მემკვიდრეობის უარყოფითი მხარეები

ამერიკული პრეცედენტის მკვლევარი იურისტების აზრით, მემკვიდრეობა კანონით ეფუძნება კანონმდებლის შეხედულებას, თუ როგორ განაწილებდა მამკვიდრებელი თავის საკუთრებას მემკვიდრეებს შორის ანდერძის გარეშე [13]. საერთო წესები და ნორმები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ შესაბამის გადაწყვეტილებას. ამას ხსნიან იმით, რომ შვილებს ეკუთვნით თანაბარი წილი, მაშინ როდესაც ზოგიერთ მშობელს თავად შეუძლია განსაზღვროს, ვის რამდენი მისცეს, გამომდინარე იქიდან, რამდენად და რა პროექტების განსახორციელებლად ესაჭიროებათ მათ თანხა და ა.შ. იმავდროულად შეუძლიათ არ მისცენ სამკვიდრო იმ შვილებს, რომლებიც ცუდად ეპყრობა მათ.

კანონით მემკვიდრეობის მინუსები ვლინდება მაშინ, როდესაც ქონების მემკვიდრეები არიან არაქმედუნარიანები, არასრულწლოვნები, სხვადასხვა შეხედულების მემკვიდრეები, რომელთაც სურთ ან არ სურთ გაიყოს ან გაიყიდოს სამკვიდრო, რადგან საწყის მდგომარეობაში ქონებას მეტი მოგების მოტანა შეუძლია. გარდა ამისა, კანონით მემკვიდრეობის დროს შეუძლებელია ქონება განაწილდეს არანათესავებს შორის.

ანდერძის დროს მამკვიდრებელი ხშირად ითვალისწინებს სამკვიდროს გადაცემას აღმსრულებლისათვის, როგორც ჩანს, ეს ინსტიტუტი მხოლოდ ჩვენთვის არ არის ცნობილი, ძირითადად იმ შემთხვევაში თუ მას ჰყავს არასრულწლოვანი მემკვიდრეები და არ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად გაუძღვნენ სამკვიდროს მართვას.

სამკვიდრო ქონების გაყოფა მემკვიდრეებს შორის თანაბარ წილად კანონით მემკვიდრეობის დროს, ხშირ შემთხვევაში ქმნის სირთულეებს ბიზნესის მართვაში და იწვევს ქონების გაყიდვას, რაც უარყოფითად აისახება შემოსავალზე. ასეთი შედეგების თავიდან აცილების მიზნით მოანდერძე ხშირად ირჩევს ერთ მემკვიდრეს, ძირითადად მის მეუღლეს. ამასთან ერთად მოანდერძეს აქვს უფლება, იყოს თავისუფალი არჩევანში – თუ ვის უანდერძოს ქონება. რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციას ან მეგობარს. ასეთ გადაწყვეტილებას ძირითადად მიმართავენ მამკვიდრებლები, როცა მათი კანონიერი მემკვიდრეები შორეული ნათესავები არიან.

KOBA SAKVARELIDZE

INTESTATE SUCCESSION IN AMERICAN JURISDICTION SYSTEM

Summary

Intestate succession In both Anglo-American and roman-german jurisdictional systems represents an inheritans in case of inexistence of a will or partly existence of it or even in its nullifying.

Not only in Georgia but often in the United states of America most of sitizens, do not leave a will , so their property is shared according lows .

Even having a will, some questions of intestate succession can be dealt according laws. They could be sharing inheritans among heirs, because a person often uses in his/her will a term "to my inheritans " which does not completely show who is a real inheritant and how the inheritance should be divided. And if there is some property not mentioned in the will wich must be also divided as other inheritance.

So precedential Anglo-American jurisdiction despite its basical and systematical difference which is gained by long evolutional and high court practice, in some aspects is the same as European, or roman-german and also the same of Georgian civil code. It is very difficult to compare these two different jurisdictional systems in my modest articl. My wish is only to speak about Anglo-american jurisdictional regulation of entestate succession and about some ways of its development in order to show the different views of Georgian institution.

As to make clear to define members of inheritans, to determain their share and rights to be heirs, rules of sharing inherited property and its size.

To understand these problems better, we will speak about American rules and their history in different states of America.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამომცემლობა „West group“ _ „Lexis-nexis“: cumalativ annual pocket 2001-2002.
2. The barbri group Chicago. 2001.
3. statute of property 1978. London.
4. communiti property states . probate and related laws. 1998.
5. uniform probate code/uniform laws Annotated volum. 2000.
6. Hamilton v. Hamilton 879s. 2006.
7. carp v. carp. 576. 200.
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1341-1342მ.
9. in re Estait of Newton. (Ohio 1989.).
10. Instait succession and wills. U.p.c. 2001
11. Callifornia probate code. 1990.
12. Moor v. Livingston 265 N. 1970.
13. Mc.Govern. New York Estates Powers 1999.





პარაზიტი სახელმწიფოები

„ისტორია ბარბაროსობისა და მიმპლავრების დომხალია“

გოეთე

მსოფლიოს მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების გზაზე უმთავრეს დაბრკოლებას ყოველთვის წარმოადგენდნენ პარაზიტი სახელმწიფოები და ერები მათი ტერიტორიული და რაოდენობრივი (დიდი იქნება თუ მცირე) მაჩვენებლების მიუხედავად.

ამ პრობლემით გულშემძრული და დაზაფრული ვაჟა-ფშაველა მიუთითებდა: „თუ მთელი ერის განვითარებისთვის საჭიროა კერძო ადამიანის აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა“ („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

სწორედ ამ პარაზიტმა სახელმწიფოებმა და ერებმა წარმოშვეს და დააკანონეს საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი ტენდენცია – ტერიტორიის, რესურსებისა და სიმდიდრეების სხვათათვის წართმევის და მიტაცების, სხვის ხარჯზე ცხოვრების ტენდენცია, რომელიც დღემდე ძალაშია (პარაზიტი ბერძნული სიტყვიდან მოდის და მუქთახორას ნიშნავს. პარაზიტები ეწოდება ორგანიზმებს, რომლებიც სხვა ორგანიზმების (მასპინძლების) ხარჯზე იკვებებიან და ზიანს აყენებენ მათ. განარჩევენ ექტოპარაზიტებს (მასპინძლის სხეულის ზედაპირზე მცხოვრები პარაზიტები) და ენდოპარაზიტებს (მასპინძლის სხეულში მცხოვრები პარაზიტები). ქსე, ტ7, გვ. 476. თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველობას არც ექტოპარაზიტები კლებია და არც ენდოპარაზიტები).

პარაზიტი სახელმწიფოს კლასიკურ მაგალითს თავის დროზე წარმოადგენდა რომის იმპერია, რომელიც ძირითადად დაპყრობილი ხალხების ხარჯზე ცხოვრობდა.

ანალოგიური ხაზით ვითარდებოდა ყველა იმპერია – ირანის (სპარსეთის), არაბების, თურქ-სელჩუკების თუ მონღოლთა, თურქთა თუ რუსთა, დიდი ბრიტანეთის თუ აშშ. ამ სახელმწიფოებიდან ზოგი მეზობლების ხარჯზე მდიდრდებოდა და ფართოვდებოდა (მაგ., რუსეთი, ნაწილობრივ აშშ.), ზოგი კი მისგან ათასობით კილომეტრით დაშორებულ ერებს იმონებდა და მარცვავედა (დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, პორტუგალია).

ეს პროცესი დღესაც გრძელდება, ოღონდ შეფარული ფორმით – ვითომდა, სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის (მაგ: აშშ – ერაყსა და ავღანეთში)

ან მცირე ერების დაცვის (რუსეთი „იცავს“ აფხაზებსა და ოსებს ქართველების-გან) საბაზით. სინამდვილეში აშშ-რუსეთის მიზანია ამ ხალხთა დამორჩილება და ადგილებზე თავიანთი მარიონეტების დასმა, მათი ტერიტორიისა და რესურსების მიტაცება და, თუ გაუვათ, სამუდამო მისაკუთრება. ამას ემსახურება აშშ 724 სამხედრო ბაზა მსოფლიოში.

გლობალიზაციის პირობებში უფრო ეფექტური გახდა პატარა და საშუალო ქვეყნების ეკონომიკური მარცვა და დაკაბალება, მათი გამოფიტვა, ვალებში ჩაგდება და მათთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გადაწყვეტილებების თავს მოხვევა. ამ მიმართულებით დიდი სახელმწიფოები შეთანხმებულად მოქმედებენ, ზოგი უხეში ფორმით აკეთებს ამას (რუსეთი), ზოგი კი – ამ ხალხის „დახმარების“ საბაზით (აშშ, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია), თუმცა, არამზადა – არამზადაა, ჰალსტუხიანი იქნება ის თუ უჰალსტუხო და წვერ-გაბურძგენილი.

აშშ მოსახლეობა შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის 5-6%-ს, თუმცა ეს ქვეყანა „ნთქავს“ მსოფლიო რესურსების 30-35%-ს და ესეც აღარ ჰყოფნის. სწორედ ამიტომაც დაიწყო გარედან თავსმოხვეული რევოლუციები ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ არაბულ სამყაროში, რათა აშშ-მა უფრო მეტი რესურსის გაკონტროლება შეძლოს მომავალში, თუმცა ეს მას ზუმერანგვივით შეიძლება დაუბრუნდეს.

რუსეთი ასევე რესურსებისაგან მარცვავს ყოფილ სსრ-კავშირის რესპუბლიკებს, ამას ემსახურება მათი ენერგეტიკული დიპლომატია და ზეწოლა ნავთობით, გაზით და სხვა წიაღისეულით მდიდარ ქვეყნებზე (თურქმენეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და სხვ.), თუმცა არც ტერიტორიების ღიად თუ ფარულად მისაკუთრებაზე ამბობს უარს (საქართველო), რაზედაც მხოლოდ დიპლომატიური პროტესტებით იფარგლებიან აშშ და მისი მოკავშირეები.

არსებობს სხვისი ტერიტორიის ათვისება-გაკონტროლების ისეთი ეშმაკური ფორმა, როგორცაა დემოგრაფიულ-ეკონომიკური ათვისება (ასე იქცევია ჩინელები, რომლებიც მთელ მსოფლიოს მოედნენ და ზოგ ქვეყანაში რამდენიმე მილიონიანი დიასპორა ჰყავთ, მაგ: რუსეთში, აშშ-ში, ად. აზიის ქვეყნებში, ასევე სომხები – საქართველოში და რუსეთში, აშშ-ში და საფრანგეთში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში), ფინანსური ათვისება (ებრაელები ფლობენ მსოფლიო ფინანსების 75-80%-ს და თავის ჭკუაზე ატრიალებენ სამყაროს).

იაპონიაში მომხდარმა მიწისძვრამ და ფუკუშიმას ატომურ სადგურზე განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა თვალნათლივ აჩვენეს, რაოდენ უსუსური და უმწეოა მსოფლიო ანალოგიურ კატაკლიზმებთან ბრძოლაში და ისიც აჩვენეს, თუ როგორი იქნება აპოკალიპსი და მსოფლიო წარღვნა, რაც ემუქრება კაცობრიობას ბუნების ასე მარცვის და მოუფრთხილებლობის პირობებში.

ეს დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. არ შეიძლება გაგრძელდეს სხვის ხარჯზე ცხოვრება, მარცვა-გლეჯვა, სხვისი ტერიტორიების მიტაცება, სხვისი სისხლის წოვა და პარაზიტობა. არ შეიძლება გაგრძელდეს სხვა ერების რუსიფიკაცია (აფხაზების, ოსების, ჩეჩნების, ინგუშების და სხვ.) და ამერიკანიზაცია (ამას მსოფლიო მასშტაბი აქვს), სხვათა კულტურების ნიველირება და ორიგი-

ნაღური ტრადიციების, მახასიათებლების ხელოვნურად წაშლა, მოსახლეობის გარყვნა და გახრწნა საეჭვო ღირებულებებით, (რაზედაც გაბრიელ მარკესი წერდა, რომ თანამედროვე ლიბერალიზმი – ეს არის საკუთარ დედასთან დაწოლის უფლება), საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემების დანგრევა პატარა ქვეყნებში, უზნეობის, უპასუხისმგებლობის წახალისება, ნარკოტიკებით და სხვადასხვა ვირუსებით სხვა ერების დეგრადაცია, ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის ქადაგება და აფიშირება, უღმერთობა და ურწმუნოება, კაცის ქალობა და ქალის – კაცობა. ამას ყველაფერს, რომელიც დიდ ერებსაც ემუქრებათ (მაგ; ფრანგები, ინგლისელები), ხალხები დიდხანს ვეღარც გაუმლებენ და ვეღარც მოითმენენ. ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალი კატაკლიზმები, მასშტაბური ტერაქტები, რელიგიათა და ცივილიზაციათა ახალი კონფლიქტები, რომელიც მსოფლიო ომში გადაიზრდება და საბოლოოდ დაასამარებს ყველას და ყველაფერს, პატარა ქვეყნებსაც და იმპერიებსაც (რომლებსაც ნებისმიერ შემთხვევაში მსხვერვეა ელოდებათ წინ, ადრე თუ გვიან მონღოლთა იმპერიასავით, ერთ დროს მსოფლიოს მპყრობელი მონღოლები ისტორიამ თავს ტყავში დააბრუნა და თავის კვერცხებზე დასვა. ისინი, წინაპართა მსგავსად, ახლაც კუმასს მიირთმევენ და მომთაბარე ცხოვრებით ცხოვრობენ.





გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი გრიგოლ გურიელის შესახებ

*„თავადი გრიგოლ გურიელი, როგორც სიმართლის მოყვარე კაცი,
სახელგანთქმულია ოსმალის საქართველოში“.*
გაზ. „დროება“ [1].

*მადლობა ღმერთს, რომ ოკრუჟენი ნაჩაღნიკად
ბატონი გრიგოლ გურიელი გვყავს.
აგი რომ არ გვყავდეს ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლია.
ახმედ-ალა კაიკაციშვილი.
გაზ. „დროება“ [37].*

გაზეთ „დროებას“ და მის რედაქტორს სერგეი მესხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. როგორც ი. ბოცვაძე სამართლიანად აღნიშნავს, „არ ყოფილა არცერთი აქტუალური საკითხი 70-80-იან წლების (XIX-ე საუკუნე – ა. დ.) საქართველოს ცხოვრებაში, რომელსაც ს. მესხი და მისი „დროება“ არ შეხებოდნენ და რომლის შესახებაც მათ თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვათ“ [2:6].

„დროება“ და მისი რედაქტორი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდნენ ეროვნულ საკითხს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ამ მიმართებით სათანადოდ წარმოაჩენდნენ იმ ამაგდარ მამულიშვილთა ღვაწლს, ვინც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ოსმალთა ბატონობაში არსებულ აჭარისა და სხვა ძირძველი ქართული მხარეების გამოხსნასა და დედა-საქართველოსთან დაბრუნების საქმეში, ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა შორის ძმური კაშირის აღდგენა-გამტკიცების საქმეში. ამ მხრივ მეტად გამორჩეული იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის გრიგოლ დავითისძე გურიელის (1819-1891) ნაყოფიერი მოღვაწეობა, რომელიც დიდი გავლენით და სიყვარულით სარგებლობდა სამუსლიმანო საქართველოს ქართველ მოსახლეობაში. იგი იყო მათი მფარველი და მისი ყოველი სიტყვის სჯეროდათ.

გრიგოლი გურიისა და აჭარა-ქობულეთის მოწყალე მამად იყო ცნობილი [3], – წერდა „დროების“ თანამშრომელი ილია ჭყონია.

ამიტომაც იყო, რომ ამ დიდმა ეროვნულმა მოღვაწემ იმთავითვე მიიპყრო გაზ. „დროების“ და მისი რედაქტორის ყურადღება. „დროების“ ფურცლებზე 40-ზე მეტი სტატია და კორესპონდენცია გამოქვეყნდა, რომელიც ნათელს

ჰვენს გრიგოლ გურიელის მრავალმხრივ ეროვნულ მოღვაწეობას, მის ნაყოფიერ საქმიანობას ახლად დაბრუნებულ აჭარაში ბათუმის მაზრის უფროსის თანამდებობაზე, იმ ქველმოქმედებაზე, რაც მას გაუწევია და სხვა, რასაც ისტორიისათვის და თვით გრიგოლ გურიელის მოღვაწეობის ასახვა-შეფასებისათვის პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს. თუ არა გაზეთ „დროება“-ში დაბეჭდილი იმდროინდელი მასალები, ამ დიდი მამულიშვილის შესახებ ბევრი რამ ბურუსით იქნებოდა მოცული.

1872 წლის 27 ივლისის „დროება“-ში დაბეჭდილი სტატიიდან ირკვევა, რომ ოზურგეთში მდებარე გრ. გურიელის სახლი წარმოადგენს საქართველოს მერმისზე მზრუნველ მამულიშვილთა შეკრების ერთ-ერთ ცენტრს, მნიშვნელოვანწილად ასრულებს ქართული კულტურის დაწესებულების როლს. იგი აკაკი წერეთლის ოზურგეთში ჩასვლას და გრ. გურიელის სახლში მისი მონაწილეობით გამართულ წარმოდგენას ეხება. „დროება“ წერს: „ამ ახლო ხანში ეწვია ოზურგეთს ერთი ჩვენი პოეტი. ...ზემოხსენებული პოეტის მეცადინეობით, ახლა ასრულდა ჩვენი კეთილი მასპინძლისა და მისი ამყოლების აზრი: წარსულს კვირას ითამაშეს გ. გ-ის (გრიგოლ გურიელის – ა. დ.) ვრცელ ზალაში შემდეგი პიესები: „უჭირმაჩინის ქუდი“ და „იჭვიანი ქმარი“. ამ პიესებში თავისთავის როლი ყველამ საკმაო სინდისიანათ ასრულა. მაგრამ განსაკუთრებით მოწონებას დაიმსახურებდნენ „იჭვიანი ქმარი“ და „კიკოლა“, რომლის როლსაც ასრულებდნენ უფ. ა. წ. (აკაკი წერეთელი – ა. დ.) და ე. კ. [4: 5-67].

„ცნობანი ოსმალის საქართველოზე“ – ასეთი სტატია არის დაბეჭდილი „დროების“ 1875 წლის #80 და #81-ში, რომელშიც გადმოცემულია იმხანად ოსმალეთის მფლობელობაში არსებული ძირძველი ქართული მხარეების სოფლების ქართული სახელწოდებანი, იქ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა მიერ შემონახული ქართული გვარების და ქართული ენის შესახებ. სტატიას ხელს აწერს რაფიელ ერისთავი, რომელიც იმავე გაზეთში მიუთითებს, რომ „მომეტებული ნაწილი აქ მოყვანილი ცნობებისა ჩვენ გადმოგვცა თავად გრიგოლ დავითისძე გურიელმა, რომლისთვისაც გულითად მადლობას ვუძღვნით“-ო [6: 7]. აღნიშნული მეტად საინტერესო ცნობები კი თვითონ გრიგოლ გურიელმა 1874 წელს ოსმალეთის საქართველოში მოგზაურობისას მოიპოვა [8: 91-92].

ყურადღებას იპყრობს გაზეთ „დროების“ 1876 წლის 15 ქრისტეშობისთვის ნომერში დაბეჭდილი „დროების“ კორესპონდენცია „ქობულეთი“, რომელშიც საუბარია ქობულეთში არსებულ რთულ მდგომარეობაზე და შეეხება ჩოლოქის საზღვარზე გრიგოლ გურიელის მისვლას, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის სასაზღვრო კორდონის უფროსი იყო, დიდად ეხმარებოდა ქობულეთელებს, განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობას. ამიტომაც მასზე ქობულეთელი ამბობს: „გრიგოლს ყოლი კაციზა კაი უნდა და ყველაი ეცოდება, უფრო ფუხარა კაცები, ძიავ, ღმერთმა დაუმაღლოს“ [9]. ქობულეთელის აღნიშნული შეფასება მეტყველებს იმაზე, რომ გრიგოლ გურიელი „საზღვრის გადაღმა“ ქართველებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს და კეთილ, ფუხარა კაცების შემცოდებელ, დამხმარე კაცად იცნობენ.

1877 წლის 16 თებერვლის „დროება“-ში სტატიის ავტორი გ. ნიკოლაიშვილი წერს რუსეთ-ოსმალეთის ომისათვის მზადებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს თავად გრიგოლ გურიელის გავლენაზე ქართველ მაჰმადიანთა შორის [10]. ახალციხიდან კი ერთი ქართველი გრიგოლ გურიელის და მიხეილ მეფისაშვილის შესახებ „დროება“-ში წერდა: „მე ნამდვილად ვიცი, რომ მთელი აჭარა... ამ ორ პირს თითქმის თაყვანსა სცემს“ [11].

გაზეთის რედაქტორი ს. მესხი 1878 წლის 27 ივნისს „დროება“-ში აქვეყნებს საინტერესო სტატიას „ერთი სადილი შერიფ-ბეგთან“, რომელიც ქ. თბილისში ჩამოსულ აჭარელ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან მის შეხვედრა-საუბარს ეხება, რასაც მიხეილ მეფისოვიც ესწრებოდა და ეროვნულ საკითხებზე მათ შორის გამართულ მნიშვნელოვან საუბარს მოიცავს. ამასთან სტატიის ავტორი მიუთითებს, რომ ორივე ეს პირი მეორე დღეს ქუთაისში უნდა წასულიყვნენ, სადაც მათ უცდიდა თავადი გრიგოლ გურიელი [12], რაც, ცხადია, რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად და სან-სტეფანოს ზავის შესაბამისად აჭარის დედა-საქართველოსთან დაბრუნების საკითხით და შექმნილი რთული მდგომარეობით იყო გამოწვეული.

მეტად მნიშვნელოვანი და საფუძვლიანია ს. მესხის სტატია „როგორ უნდა ბათუმში შესვლა“, რომელიც 1878 წლის 13 მარიაშვილისთვის გაზეთ „დროება“-ში არის დაბეჭდილი და რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში დამარცხებული ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ იმხანად აჭარაში გამიზნულად შექმნილი რთული მდგომარეობის გამო ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით რუსეთისთვის მიკუთვნებული მხარის დაკავებას, კერძოდ, მის მიერ ბათუმში შემოსვლას რომ ეხებოდა. ს. მესხმა კარგად იცოდა თუ რა დიდი გავლენით სარგებლობდნენ აჭარაში გრიგოლ გურიელი და მიხეილ მეფისაშვილი და ამიტომაც ხელისუფლებას ურჩევდა, რომ საუკეთესო საშუალება ის არის, რომ ბათუმში შემავალ ჯარს მიუძღვოდეს წინ ისეთი პირები, რომელთაც იქაური მცხოვრებლები კარგის მხრით, კაი კაცებად იცნობენ. ამისთანა კაცები გვეყვანან ჩვენ; ამას წინათ დავასახელებთ ესენი და ახლაც ვასხელებთ: ესენი არიან თავადი გრ. გურიელი და უ. მ. მეფისოვი. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ ჩვენ ჯარს თავადი გრ. გურიელი წაუძღვება წინ, ქობულეთლები და საზოგადოთ ბათუმის ქართველები, რაც უნდა მოხდეს, თავის დღეში თოფს არ გაისვრიან“ [13].

საკუთრივ ქობულეთელი ახმედ-აღა კაიკაციშვილი 1878 წლის 14 მარიაშვილისთვის №165 „დროება“-ში წერს:

„გამოგვიგზავნიდისო თავადს ლევან გურიელს და მმას მისსო გრიგოლ გურიელსო და ნუგეშის გვეტყოდესო, რადგან ძველი ნაბატონევი არისო, ჩვენ დავუჯერებთ იმასო. ღმერთმა ქნას უფროსად გრიგოლი დაგვენიშნოდესო“ [54].

მართლაც ყოველივე ეს გონივრული რჩევა და ხალხის წარმომადგენელთა მოთხოვნა ხელისუფლებამ რადემენადმე გაითვალისწინა კიდევ; ბათუმში შემავალ რუს-ქართველთაგან შემდგარ ჯარს მთავარსარდლის მოადგილესთან, გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკისთან ერთად პოლკოვნიკი, თავადი

გრიგოლ გურიელი მიუძღოდა წინ, რომელთაც დაბრუნებული მხარის მოსახლეობა აღფრთოვანებით და პურმარილით ხვდებოდნენ. ამასთან რუსეთის ხელისუფლებამ გაითვალისწინა გრიგოლ გურიელის გავლენა, მისდამი აჭარის მოსახლეობის ნდობა, კეთილგანწყობა და იგი ბათუმის ოკრუგის (მაზრის) უფროსად დანიშნა.

ბათუმის მხარის მიღება-ჩასაბარებლად შექმნილი იყო კომისია სვიატოპოლკ-მირსკის თავმჯდომარეობით, რომელშიც გრიგოლ გურიელიც შედიოდა [14]. გაზ. „დროების“ 1878 წლის 23 მარიაშობისთვის #170-ში მითითებულია, რომ გრიგოლ გურიელი, როგორც აღნიშნული კომისიის ერთი წევრთაგანი, ქუთაისიდან ატრიადით წავიდა ციხისძირისაკენ, რომ დაესწროს აღნიშნული ადგილის ჩაბარებას [15].

„დროების“ კორესპონდენციაში, რომელიც მომდევნო #171-ში არის გამოქვეყნებული, ს. მესხი წერს: „თავადი გრიგოლ გურიელი ამჟამად ქობულეთში იმყოფება და იქ იბარებს ხალხს, ქვეყანას და ოსმალს სახელმწიფოს ქონებას (თოფ-იარაღს, არხივებს და სხვ.). ამბობენ, რომ საცა კი თავადი გრიგოლ გურიელი გამოჩნდა, იქ ხალხი სიტყვა ამოუღებლად დამორჩილდა და ერთსაც არ განუზრახავს წინააღმდეგობა“ [16].

ს. მესხი, როგორც „დროების“ რედაქტორი ბათუმში შემავალ რუსეთის ჯარს თან ახლდა და თვალ-ყურს ადევნებდა ყველაფერს. ბათუმში რუსეთის ჯარის შესვლის პროცესი, ადგილობრივი მოსახლეობის მათდამი დახვედრა და განწყობა მან გადმოგვცა იმ შვიდ წერილში, რომელიც გამოაქვეყნა 1878 წლის გაზ. „დროების“ #174, 175, 176, 177, 178, 181 და 184-ში [17; 18; 19; 20; 21; 22; 23], რომლებშიც იგი შეეხო აგრეთვე ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლებას, რასაც „დიდად სამწუხარო მოვლენა“-ს უწოდებს [23] და აღნიშნულთან დაკავშირებით მკითხველს აცნობს გრიგოლ გურიელის გავლენას, მის როლს ბათუმში რუს-ქართველთაგან შემდგარი ჯარის მშვიდობიანად შესვლის, მხარის უსისხლოდ დაკავების, ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთში გადასახლების შეჩერების საქმეში, ქართველ ქრისტიანებთან მათი მძური კავშირისა და დაცემული ვინაობის აღდგენაში, რასაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ს. მესხი საგანგებოდ აღნიშნავს:

„ნამდვილად ამბობენ, რომ 10.000 კაცმა ლაზებმა და ქობულეთლებმა, საწინააღმდეგოდ მომზადებულებმა, დაჰყარეს თოფ-იარაღი და დამორჩილდნენ თავის ბედსაო.“

ამ დამორჩილებაზე და თოფ-იარაღის დაყრაზე, უეჭველია, დიდი გავლენა ჰქონდა თავად გრ. გურიელის გაგზავნას ქობულეთში, რომელიც იქაურ ხალხს ასე უყვარს და რომლისაც ყოველი სიტყვა სჯერათ.

სულ, ამბობენ, ჯერ-ჯერობით ორას ოჯახზე მეტი არ გადასახლებულაო. ბევრი აპირებდა კიდევ წასვლას, მაგრამ გრ. გურიელი რომ დაინახეს, შეჩერდნენო.

ოსმალოდან მოსული მოლლები ვინც ყოფილან, თითქმის ყველანი უკანვე დაბრუნებულან სტამბოლში“ [17].

1878 წლის 31 მარიაშობისთვის „დროება“-ში ს. მესხი წერს:

„ქობულეთი ძალიან პატარა ქალაქია; ბევრი-ბევრი ორი ათასი სული თუ ცხოვრობს აქ; მაგრამ ახლა ესეც აღარ არის დარჩენილი; თვითონ ქალაქიდან და საზოგადოთ ქობულეთის მაზრიდან, როგორც დამარწმუნეს, ჯერ-ჯერობით უკანასკნელი 300 ოჯახი (1500 სულამდინ) გადაესახლნენო. ახლაც მიდიან, თუმცა ისე აღარ, განსაკუთრებით მას აქეთ, რაც შეიტყეს, რომ იმათ უფროსად (სამოქალაქო მმართველად) დანიშნულია თ. გრიგოლ გურიელი.

გასაკვირველია, მართლა, ის რწმუნება, პატივისცემა და სიყვარული, რომელიც თავად გრიგოლს დაუმსახურებია ქობულეთში: ყოველი იმისი სიტყვა სჯერათ, ყოველი საჭიროებისათვის იმას მიმართავენ რჩევისათვის“ [18]. ს. მესხი იქვე დასძენს, რომ „ქობულეთში ყოფნის დროს ჩვენთან მოვიდა ერთი პატარა 12-14 წლის ქობულეთელი ბიჭი, რომელმაც შესჩივლა თავად გრიგოლს ნიხამები შემოშპენ სახლში, პაწაი ძმაი, დაი და ბაბაი (მამა) წეიყვანეს.

მეორემ სთქვა, რომ ჩვენ ყანაში ვიყავით სამუშაოთ და დედა-კაცები ძალით წათრიეს ბათუმსო“ [18].

„დროების“ 1878 წლის 7 ენკენისთვის #181-ში ს. მესხი მკითხველს აუწყებს, რომ ბათუმის მაზრის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა არტანის ატრიადის უფროსი გენერალ-მაიორი კომაროვი, მაზრის უფროსად (окружного начальника) თავადი გრიგოლ გურიელია, ბათუმის პოლიცემისტერად დანიშნულია ჟურული“ [22], 13 ენკენისთვის „დროება“-ში ს. მესხი ქართველ მაჰმადიანთა გადასახლებას, როგორც სამწუხარო მოვლენას ეხება, რომელსაც ძალიან უწყობდა თურმე ხელს დერვიშ-ფაშა [23]. ამასთან ამ სამწუხარო პროცესის შეჩერებაში ყურადღებას მიაპყრობს თავად გრიგოლ გურიელის როლზე, რომელსაც ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ მოსახლეობის ძალით აყრა-გადასახლების პროტესტის ნიშნად ჩაქვის თუ ქობულეთის მცხოვრებლები, დიდი თუ პატარა, კიდაც ხშირად მიმართავენ [18; 23], რადგანაც მისი თანადგომის და დახმარების დიდი იმედი აქვთ და სჯერათ მისი.

1878 წლის 12 ენკენისთვის „დროების“ ორი გვერდი ფაქტიურად გრიგოლ გურიელის ბათუმის მაზრის უფროსად დანიშვნასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოების და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას, ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გრიგოლის მიერ პირველ დღეებიდანვე ნაყოფიერ მუშაობას, საჭირობოროტო საკითხების მოგვარებას და განსაკუთრებით გადასახლებლად მიმავალი თუ გასასახლებლად განწყობილი ქართველი მოსახლეობის დაბრუნებას და ადგილზე დატოვებას შეეხება. „დროების“ პირველ გვერდზე დაბეჭდილია აკაკი წერეთლის მისასალმებელი წერილი „მცირე რამ მოხსენება თავად გრ. გურიელს“, რომელშიც იგი წერს: „დღეს, როდესაც სიმართლემ თავისი მოითხოვა და საფეიქროზედ ისევე ვხედავთ ერთის მხრით გრიგოლს და მეორით მიხაილს (მ. მეფისაშვილს – ა. დ.) მეგობრული, იმედიანის ღიმილით ბარამ მოურავი მაგონდება ერისთავის კამედიადამ:

„ – ბარამ მოურავებო! ახლა გვემართებს, სიფრთხილედ და ჭკუა-გონება!“

მაგრამ ესეც უნდა ვიფიქროთ: ვინც აქამდე არ მოჰყოლია კუდაბზიკაებს და ცარიელ ენათ გადაქცეულ ნაცარ-ქექიებისათვის ყური არ უთხოვებია, ის არც დღეს შეშლის თავის გზას და ღმერთმაც ასე ინებოს... [24]. აკაკი, რომელსაც

ახლო და და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გრიგოლ გურიელთან, კარგად არის დარწმუნებული, რომ გრიგოლი დიდ ეროვნულ გზას ადგას და ამ გზას არც ახლა, ახალ თანამდებობაზე ყოფნისას არ შეშლის.

„დროების“ იმავე ნომერში დაბეჭდილია მისივე თანამშრომლის ალექსანდრე ჭყონიას კორესპონდენცია „ქობულეთი“. ავტორი აღწერს რუს-ქართველთაგან შემდგარი ჯარის მიერ 21 აგვისტოს ციხისძირის დაკავებას. ამასთან ყურადღებას მიაპყრობს ოსმალეთში გადასასახლებლად მიმავალ ქობულეთელებზე და წერს: „მცხოვრებლები თავისი ბარგით, ბარხანით ჩამოვიდნენ ნატეხში და კალონის ნაჩალნიკმა, რადგანაც ბრძანება იყო გაცემული, არ გააშვებინა უბილეთოთ. გამოუცხადა მათ, რომ გამოეცხადონ ბათუმის ოკრუჟნი ნაჩალნიკს თავად გრიგოლ გურიელს ქობულეთის ქალაქში და ვისაც სურს წასვლა ბილეთს ის მოგცემსო და ვისაც არა დარჩებითო.

რასაკვირველია, ქობულეთელებმა გაიგეს თუ არა თავადი გრიგოლ გურიელი არის მათი ნაჩალნიკი, მაშინათვე წავიდნენ იმასთან.

თავადმა გრ. გურიელმა იმნაირათ მოეპყრა იმათ, რომ ეს აბარგული ხალხი თითქმის სულ დაბრუნდნენ თავიანთ ოჯახებში, „რადგან ჩვენი ბატონი გრიგოლი დაუყენებიათ რუს ხელმწიფეს ჩვენდა უფროსადო“.

რადგან თავადი გრიგოლ გურიელი, როგორც სიმართლის მოყვარე კაცი სახელგანთქმულია ოსმალსო საქართველოში, და დიდი ხანია იციან თათრების (გამუსლიმანებულთა – ა. დ.) ბეგებმა, თვით ხალხმაც; ამისათვის იფიქრეს, რომ იმის ხელში არა გაგვიჭირდება-რაო და კიდევაც მოგვივლისო, რადგანაც ჩვენი ამბავი იცისო...“ [24].

აღნიშნული წერილის დასასრული დაბეჭდილია „დროების“ 1878 წლის 21 ენკენისთვის # 190-ში, რომელშიც ალ. ჭყონია წერს იმ ფაქტზე, რომლის თვითმხილველი თვითონაა და რომელიც დევრიშ-ფაშას, აგრეთვე მისი მოხელეების მიერ ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობის იძულებითი წესით ოსმალეთში გადასახლებას და მასთან დაკავშირებით გრიგოლ გურიელის მიერ ოპერატიულად მიღებულ ზომებს რომ ასახავს. წერილის ავტორი აღნიშნავს: „იმათი იუზ-ბაში (ასის-თავი) მოვიდა და ეცადა, რომ ხალხი პირდაპირ გაეშვათ, მაგრამ ბრძანებისა გამო, შესაძლო არ შეიქმნა, მათი უბილეთოთ გაშვება.

ესენი გაგზავნეს ქობულეთში ჩვენის ყარაულით თავად გრიგოლ გურიელთან და კარგი შეგონებით და რჩევით დაბრუნდნენ თავთავიანთ ოჯახებში.

აღმოჩნდა რომ დერვიშ-ფაშას ძალით მიყავდა ქობულეთელები ცოლ-შვილით. დასამტკიცებლად მომყავს ის ფაქტები, რომელნიც მოხდა იმავე დროს:

160 ცხენოსანი (სუარი) დერვიშ-ფაშას გაეგზავნა ზემო ქობულეთში და აჭყვისთავში, რომ ყველა მცხოვრებლები ძალით გამოერეკნათ. ამ დროს ნურიდბეგმა თავდგირიძემ აცნობა თავად გრიგოლ გურიელს ქობულეთში ეს ამბავი და შემწეობა სთხოვა, რომ ესენი ძალით არ გაერეკა სუარებს, რადგანაც მცხოვრებლებს წასვლა არ სურდათ.

თავადმა გრ. გურიელმა იმავე მინუტში მოახდინა განკარგულება და სთხოვა ბარათით კალონის ნაჩალნიკს ლენერალ-მაიორს ნურიდს, რომ მიეცა

შემწეობა და ჯარი გაეგზავნა სუარების გამოსარეკათ. რასაკვირველია ღენ-მაიორმა ნურიდმა გაგზავნა ერთი ბათალიონი იმათ გზის მოსაჭრელად იმავე დროს, დაიჭირეს სუარები და ის ხალხიც, რომელიც ძალით მიჰყავდათ და ჩამოიყვანეს ქობულეთში, და დიდის წყრომით და შეურაცყოფით გარეკეს თათრების „სუარები“ [25].

გრიგოლ გურიელი ბათუმის მაზრის სახელოვანი გამგებელი იყო. ამ თანამდებობაზე მოსვლის პირველი დღეებიდანვე თბილი და ახლო, ყურადღებრივი ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ზრუნავდა მათი დასაქმებისათვის, ადგილზე დამკვიდრებისათვის. ამიტომაც იყო, რომ სწორედ ადგილობრივი მოსახლეობიდან შეარჩია რამდენიმე ათეული პიროვნება, ჩააყენა ისინი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურში და ხელფასი დაუნიშნა. „დროების“ 1878 წლის 28 ენკენისთვის # 195-ში ნათქვამია: „ბათუმიდამვე გვატყობინებენ, რომ თავად გრიგოლ გურიელის განკარგულებით სოფლებში ყარაულობა და დაცვა იმ ადგილებისა განსაკუთრებით გზებისა, საცა უფრო შიშია, მინდობილი აქვს ქობულეთლებისაგან არჩეულ პირებს, რომელნიც თავის სურვილით გამოსულან და რომელთაც თვეში თვრამეტი მანეთი ჯამაგირი ეძლევათ“ [26].

ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით სამხრეთ საქართველოს დედა-საქართველოსთან დაბრუნების აღსანიშნავად ქ. თბილისში 1878 წლის 20 ნოემბერს ისტორიული ნადიმი გაიმართა, რასაც ს. მესხმა „დროების“ სპეციალური სტატია „სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის“ მიუძღვნა [27]. როგორც აღნიშნული სტატიიდან ირკვევა, სხვა მნიშვნელოვან სადღეგრძელოებთან ერთად ნადიმის მონაწილე მამულიშვილებმა დალიეს დიმიტრი ბაქრაძის, აკაკი წერეთლის, გრიგოლ გურიელის, გიორგი ყაზბეგის და სხვათა სადღეგრძელო [27], რაც აჭარის და სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეების დედასაქართველოსთან დაბრუნებაში მათი დიდი ეროვნული წვლილის აღიარება იყო.

გრიგოლ გურიელს ქობულეთში სხვადასხვა პირთაგან ლექსები შეუკრებია, რომელიც გაზეთ „დროების“ რედაქტორისათვის გადაუცია გამოსაქვეყნებლად. 1879 წლის 8 თებერვლის „დროება“-ში დაბეჭდილია გრ. გურიელის მიერ შეკრებილი და გადაცემული „ქობულეთური ლექსები ოლქობაზედ თქმული ჰუსეინ მჟავანაძისაგან“, „ქობულეთელი ზოიდის ქალისაგან ხასან-ბეგ თავდგირიძისადმი მიწერილი“, „პასუხი ხასან-ბეგი თავდგირიძისაგან“, „ქობულეთელი ასლან მესხიძის მიერ თავის მეზობლებზედ გამოთქმული სამტყვევოში, 1869 წ“. [28]. გრ. გურიელს ლექსი „ზმები საქამანდზე თ. გიორგი თავდგირიძისაგან (გურიაში) ნათქვამი ლექსად“ „დროების“ თანამშრომლის ი. ჭყონიასათვის გადაუცია. ამ უკანასკნელს კი იგი „დროება“-ში დაუბეჭდავს [29].

გრიგოლ გურიელი ხმას იმაღლებდა, ამხელდა და მოუწოდებდა ხელისუფლებას, რომ მეტი ყურადღება გამოეჩინათ შემოერთებული მხარის გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის მიმართ და ამასვე მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას. ამ მიმართებით აღსანიშნავია მის მიერ მაზრის

გამგეობის სახელით 1879 წლის 13 თებერვლის „დროება“-ში გამოქვეყნებული განცხადება-მოწოდება ბათუმის მაზრის, კერძოდ ქობულეთელი გაჭირვებული მოსახლეობისათვის შემოწირულობების გაღების და მათდამი დახმარების თაობაზე [30], რასაც გაზეთ „დროების“ რედაქტორი ს. მესხი „დროების“ იმავე ნომერში წერილით „ძმა ძმისთვისაო -ამ დღისთვისაო“ გამოეხმაურა [28]. ასევე გაზეთის იმავე ნომერში ქობულეთელთა დასახმარებლად მკითხველებს მიმართა დიდმა პატრიოტმა გიორგი წერეთელმა, ხოლო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა ილია ჭავჭავაძემ კი დიდი გულისტკივილით აღსავსე წერილი „შინაური მიმოხილვა“ დაბეჭდა გაზ. „ივერია“-ში. აღნიშნულ სტატიაში ერის ლიდერმა ვრცლად მიმოიხილა აჭარა-ქობულეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და გრიგოლ გურიელს პატიოსანი და ხალხის გულშემატკივარი კაცი უწოდა [31:123].

ს. მესხი ბათუმის მაზრის მდგომარეობით კვლავ ინტერესდება და 1879 წლის 23 თებერვალს „დროება“-ში აქვეყნებს სტატიას „ბათუმის მაზრის მდგომარეობა (ნაამზობი ბათუმელისა)“, სადაც ის ეხება აღნიშნული მაზრის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას, ოსმალეთში გადასახლების მიზეზს. წერს ბათუმელის ნათქვამს, რომ „გრიგოლ ბატონიშვილი (გურიელი) ძალიან პატიოსანი კაცია... მაგრამ ორი და სამი რას გაარიგებს“-ო... [32].

გაზ. „დროება“ (# 41, 24 თებერვალი, 1879 წ.) ეხება შეგროვილი თანხის ქობულეთელებისათვის დარიგებას და მიუთითებს: „ერთი კაპეციკ არ დაიკარგება ისე, რომ თავის დანიშნულებას არ მიაღწიოს“ [33]. ამასთან გაზეთი კვლავ ყურადღებას მიაპყრობს გაჭირვებული მოსახლეობისადმი გრიგოლ გურიელის დიდი თანადგომის თაობაზე და გადმოგვცემს თვით მოსახლეობის აზრს, რომ „ბათუმის მაზრაში ისეთი პატიოსანი და ადგილობრივი გარემოებებისა და ხალხის გაჭირვების მცოდნე კაცი გვყავს, როგორც თავადი გრ. გურიელი“ [33]. ირკვევა, რომ მოსახლეობა თავისი გაჭირვების მიუხედავად ნათლად ხედავს კარგი მოხელის და ეროვნული მოღვაწის გრიგოლ გურიელის სწრაფვას და ზრუნავს მათდამი. 17 აპრილის „დროებაც“ გრიგოლ გურიელის მიერ ქობულეთის მცხოვრებლებზე ფულების დარიგებას შეეხება [34]. გაჭირვებული ქობულეთელებისათვის გაზეთ „დროების“ რედაქციაში სხვადასხვა პირთა მიერ შეტანილი 1538 მანეთი უშუალოდ ქობულეთელებისათვის, ქვრივობლებისათვის თვით სერგეი მესხს, ალექსანდრე სარაჯიშვილს და გრიგოლ გურიელს დაურიგებიათ [35].

აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან გამოსხნა და დედა-საქართველოსთან დაბრუნება მნიშვნელოვნად განაპირობა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოღვაწეების გრიგოლ გურიელის და შერიფ ხიმშიაშვილის გმირულმა ნაბიჯებმა. მათი მოყვრული და მეგობრული ურთიერთობა მყარ საძირკვლად გაუხდა საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის აღდგენის საქმეს. ამ დიდ ეროვნულ ღვაწლს ორივენი დიდად აფასებდნენ. „დროება“-ში გამოქვეყნებულ თავის სტატიაში „გულწრფელი აღიარება“ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი წერდა: „განა მოიპოვება ყოველთვის სადმე მისთანა ერთგული მოყვარე მეგობარი, რომ შენი ხვაშიადი მინადო, პატიოსნად შეგინახოს და არა გაგ-

თქვას? განა მოიძებნება მუდამ თავად გრ. გურიელისთანა, უ. მ. მეფისაშვილისთანა და ზოგიერთ ახალციხელებისთანა გამოსადეგი ძმა კაცები გაჭირვებული კაცის ხელის ხელ-მანდილად და წყლული გულის სალბუნ-წამლად რომ ისარგებლოს ჩემისთანა სვე-ბედისაგან განწირულმა კაცმა?!.. [36].

დედა-საქართველოსთან დაბრუნებული აჭარის მოსახლეობის საერთო აზრს გამოხატავდა ასევე ამ მხარის შვილი ახმედ-ალა კაიკაციშვილი, რომელიც „დროება“-ში (16 ენკენისთვე, 1879 წ.) წერდა:

„მადლობა ღმერთს, რომ ოკრუჟნი ნაჩაღნიკად გრიგოლ გურიელი გვყავს. იგი რომ არ გვყავდეს ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლია“ [37].

თუმცა რუსეთის ცარიზმის ხელისუფლებამ გრ. გურიელს ქართველი ერის საკეთილდღეო საქმეების კეთება და დაბრუნებული მხარის მოსახლეობისათვის შემდგომი ზრუნვა აღარ დააცალეს. საპენსიო ასაკის მიზეზით იგი 1880 წლის 13 აპრილს ბათუმის ოკრუჟის (მაზრის) უფროსის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს გენერალ-მაიორის წოდება. გრიგოლ გურიელისათვის, როგორც „დროების“ კორესპონდენტი ლ. მჭედლიშვილი წერს, გამოსათხოვარი სადილი გაუმართავთ. ბათუმის მაზრის მცხოვრებლები გრიგოლს სამუშაოდან გათავისუფლებას განიცდიდნენ და ლამის მოსტიროდნენ [38]. ისინი დიდად აფასებდნენ გრიგოლ გურიელის ღვაწლს, მათ მფარველად მიაჩნდათ.

გრიგოლ გურიელს ბათუმის მაზრის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა აჭარის მოსახლეობასთან. მან კარგად იცოდა, რომ ქართველ მაჰმადიან მოსახლეობას სიღარიბე, გაჭირვება და მმართველობის რუსული წესებით გამოწვეული მრავალი პრობლემა აწუხებდა; მათ შორის უმთავრესი იყო მამა-პაპისეულ მიწა-წყალზე საკუთრების უფლება, საგადასახადო სისტემა, როგორც დაბალი ფენის, ისე ბეგების თუ ადიების საკითხი თუ სხვა. ამიტომაც თვით გრიგოლ გურიელის ინიციატივით და მისი თანხლებით ბათუმის მაზრას და ასევე დაბრუნებულ სხვა მხარეებს კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილე გენერალ-ადიუტანტი ლევან მელიქიშვილი (ლორის მელიქოვი) ეწევა. როგორც „დროების“ თანამშრომელი ალ. ჭყონია წერს, შეხვედრისას მოსხლეობამ საპატიო სტუმარს სთხოვა, რუსეთის სახელმწიფოსაგან მიღებული 20 000 მანეთის პატიება, გადასახადების პატიება, აჭარლების სალდათად არ გაყვანა. აგრეთვე მოახსენეს რუსეთის მოხელეების მიერ ადგილობრივი მცხოვრებლების პირობების გაუარესების, მათდამი ბიუროკრატიული მიდგომის აღმოფხვრაზე, რაზედაც ლ. მელიქიშვილმა პირობა მისცა, რომ ვეცდები ყოველივე თქვენი თხოვნა აღვასრულოთ [39; 40; 41]. აღნიშნულის შემდეგ მართლაც ბევრი რამ შეიცვალა, მოხდა მხარის ხელმძღვანელ პირთა გათავისუფლება-გადაყვანა, განხორციელდა გარკვეული შეღავათები, დახმარებები მოსახლეობის მიმართ, მაგრამ რუსეთის კოლონიური რეჟიმისათვის დამახასიათებელი მმართველობის წესებიდან ბევრი რამ არ შეცვლილა.

„დროების 1880 წლის 11 დეკემბრის კორესპონდენციაში, რომლის სათაურია „ბათუმი“, ფსევდონიმის სახით ხელს აწერს „გ. შ.“ იგი მოსახლეობის გადა-

სახლების მიზეზების აღმოფხვრას ეხება. ამასთან წერილის ავტორი იხსენებს ბათუმში გრიგოლ გურიელის ნაყოფიერ მუშაობას და მიუთითებს, რომ „მილიციონერები და საზოგადოდ მცხოვრებლები თავად გრიგოლ გურიელის აქ სამსახურის დროს ახსენებენ სანეტარო დროთ“ [42].

„ვეფხისტყაოსნის“ ხელახლა დაბეჭდვა-გამოცემის თაობაზე შექმნილმა სარედაქციო კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი და ი. მეუნარგია გაზეთ „დროების“ მეშვეობით მიმართეს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მფლობელებს, რათა ქართველთა შორის წერ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში წარედგინათ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რომელიც ხელნაწერი ტესტების შედარება-რედაქტირების შემდეგ მის მფლობელს უკან დაუბრუნდებოდა [43]. ამ დიდ კეთილშობილურ საქმეს გამოხმურება ძველ ხელნაწერთა ენთუზიასტი გრ. გურიელი, რაზედაც გაზ. „დროება“ წერს:

„ჩვენ მივიღეთ თ. გრ. დ. გურიელისაგან შემდეგი შენიშვნა:

„მე, როგორც მახსოვს, ბიძაჩემს ქაიხოსრო გურიელს ჰქონდა დანაშთი მამითგან ერთი კარგი „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველისა, ხელ-ნაწერი და შიგ გამოხატული მოქმედი პირებით, რომელიც უნდა იყოს, ჩემის აზრით პირველი ანუ სისწორით გადმოწერილი.

დღეს ის, როგორც მე ვიცი, აქვს ჩემს ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ წერეთლის მეუღლეს.

ამისათვის არ იქნება ურიგო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციამ იმას მიმართოს თხოვნით, რომ გამოაგზავნოს და იმედია, უარს არ იტყვის“ [44].

გრ. გურიელის წერილს შედეგად მოჰყოლია. აღნიშნული ხელნაწერი, როგორც ირკვევა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქციის გამომცემელ ზემოთ აღნიშნულ კომისიაში მოხვედრილა და ამ გზით იგი შემორჩა მომავალ თაობას. დღეს ქაიხოსრო გურიელისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართველთა შორის წერ-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდებში S-5006 ფონდის სახით არის შემონახული [45].

გრიგოლ გურიელი უხვი ქველმოქმედებითაც იყო სახელგანთქმული. ხშირად შეეწეოდა ღარიბ-ღატაკებს, ქვრივ-ობლებს, ღარიბ მოსწავლეებს თუ სტუდენტებს, საერო და სასულიერო სასწავლებლებს, ეკლესია-მონასტრებს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და სხვა, რომლის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი გაზეთ „დროების“ და „ივერიის“ ფურცლებზეა ასახული. ამიტომაც იყო, რომ „დროება“ მას გრიგოლ-ქველს უწოდებდა. ამ მხვრივ მეტად საყურადღებოა „დროების“ თანამშრომლის და პუბლიცისტის ილია ჭყონიას სტატია „ოზურგეთი“, რომელიც 1882 წლის 11 ივნისის „დროება“-ში გამოქვეყნებული. მასში ნათქვამია:

„გურიის უკუ-მავალ ცხოვრებამ ორი ბიჯი წარდგა ამ დღეებში წინ...

პირველი ბიჯი წარმართობისაკენ გახლავსთ საქალებო საეპარხიო სკოლის დაფუძნება.

მეორე გახლავთ სამღვდელოებისაგან სახლის და მიწა-წყლის შეძინება სასულიერო სასწავლებლისათვის.

ამ რამდენიმე წლის წინათ აქაურს სამღვდელოებას დრამა ეძლეოდათ ჭირნახულით, მაგრამ მან ითხოვა, რომ ჭირნახულის მაგიერ ეძლიოს კომლზე ორი მასნეთი. მთავრობამ შეიწყნარა მათი თხოვნა. მაშინ სულიერ მამებმა გადასწყვიტეს, რომ ნახევარი ამ შემოსავლისა ორი წლის განმავლობაში შესწიროს სასულიერო სასწავლებლისათვის სახლისა და ადგილის შეძინებას. ეგ შემოსავალი სულ იყო 28. 000 მან. ქველ-მოქმედებისათვის ჰქონდათ მამასადამე 14. 000 მან. მიჰმართავს გურიისა და აჭარა ქობულეთის მოწყალე მამად ცნობილს თ. გრ. გურიელს, რომლის ფრიად დიდი ქვითკირის ერთ-სართულიანი სახლი და ექვსიოდე ქცევა ბაღი და ეზო წყაროებითურთ სამართლიანად ითვლება ოზურგეთის „თვალად“: დაგვითმე თქვენი სახლი და ადგილი და მიირთვიტ შესაფერი სასყიდელიო, სთხოვეს მას. თავადი გრიგოლი დასთანხმდა. ამოირჩია ორივე მხარემ სანდო პირნი, რომელთაც ეს ქონება დააფასეს 28. 000 მანეთად. სამღვდელოება შეუდგა მზადებას, რათა როგორმე მოეხერხებინა ამ ფულის გადახდა, მაგრამ ამ დროს თავადი გურიელი უცხადებს მას, რომ იგი თავის მხრით „სწირავს გურიის სამღვდელოებას სასწავლებლისა და სხვა მის საჭიროებისათვის (მაგ. ეპისკოპოსისათვის სამოსახლოდ) 15.000 მანეთს იმ ფულიდამ, რომელიც მას უნდა მიეცეს სამღვდელოებისაგან, და თავის ქონებას უთმობს 13. 000 მანეთად“. მთელმა სასულიერო წოდებამ და მასთან მთელმა გურიამ უგულითადესი მადლობა განუცხადეს ამ შეწირულობისათვის გრიგოლ-ქველს“... [3].

გრიგოლ გურიელი დიდი მწიგნობარი იყო. იგი საგამომცემლო საქმიანობითაც გამოირჩეოდა. მისი ხარჯით პირველად ქართულ ენაზე დაიბეჭდა და გამოიცა მსოფლო ლიტერატურის მარგალიტი „ქილილა და დამანა“. 1884 წლის 4 მაისის და 2 ივნისის გაზ. „დროება“ მკითხველს აუწყებს, რომ „ქილილა და დამანა“-ს საკუთარი ხარჯით დაბეჭდვა და გამოცემა იკისრა საპატიო თავადმა გრიგოლ გურიელმა, რომელმაც ამ საგნის შესახებ მიჰმართა ჩვენს პატივცემულს არხეისტორიოგრაფს დიმიტი ბაქრაძეს ფრიად საინტერესო წერილით [46; 47]. ამასთან „დროება“-ში დაბეჭდილი კორესპონდენციის ავტორს ი. ჭყონიას მოჰყავს გრ. გურიელის მიერ დ. ბაქრაძისათვის გაგზავნილი წერილიდან ამონარიდი მის მიერ „ქილილა და დამანა“-ს გამოსაცემად თავისი გადაწყვეტილების გაცნობის თაობაზე, ასევე სამეგრელოში ნიკო დადიანის დიდი ბიბლიოთეკის, განსვენებული ირ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკის მოკითხვის და მათი ქართველთა შორის წერ-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადმოცემის შესახებ [47]. გრ. გურიელის 1884 5 მაისით დათარიღებული წერილი დ. ბაქრაძისადმი შემონახული და დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში [48]. გრიგოლ გურიელის გადაწყვეტილება 1886 წლისათვის განხორციელდა, როცა გამოიცა მეფე ვახტანგის მიერ სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი „ქილილა და დამანა“ [49], რომლის მთლიანი ტირაჟი _ 1009 ცალი წიგნი, თითოეული ღირებული სამ მანეთად ანუ მთლიანი ტირაჟის ღირებულება 3027 მანეთად გრ. გურიელს დიდი ეროვნული საქმეების მკეთებელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს [50]. სწორედ ამ და სხვა ფასდაუდებელი შე-

მოწირულობებისა და დიდი თანადგომისათვის გრ. გურიელი აღნიშნული საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს [50; 51]. საზოგადოების საპატიო წევრად კი წესდებიდან გამომდინარე ირჩევდნენ მხოლოდ იმას, ვისაც განსაკუთრებული წვლილი ჰქონდა შეტანილი საზოგადოების მიზნების განხორციელებაში, მის მატერიალურ და ფინანსურ განმტკიცებაში, რაშიც გრიგოლი მართლაც გამორჩეული იყო. ამ მიმართებით გრიგოლ გურიელის ღვაწლის და მის უკვდავსაყოფად ერთი ისეთი ფაქტიც საკმარისი იქნებოდა, რომელიც მის მიერ „დიდი განძი“-ს-*X* საუკუნის სახარების მოძიებას და ქართველთა შორის წრა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეწირვას რომ ეხება, რაზედაც დიდი მეცნიერი, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე 1885 წლის 23 აპრილის „დროება“-ში წერს:

„აქ ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გულითადი მადლობა განვუცხადო თვით თავადს გრიგოლ დავითისძეს გურიელს, რომლისგანაც ამ დღეებში მივიღეთ სადღაც ოზურგეთში მისგან ნაპოვნი პატარა მე-*X* საუკუნის შშვენიერი ასო-მთავრულიანი და ოქრო-ვარაყიანის გასაოცარი ხელოვნების სათაურის ასოებით ეტრატზე ნაწერი სახარება. ეს შრომა უჩვენებს რა მაღალ ხარისხზედ მდგარ ჩვენში თვით მე-*X* საუკუნეში კალიგრაფია და მხატვრობა. ამისათვის იგი დიდ განძს შეადგენს“ [52]. დღეს ეს „დიდი განძი“-*X* საუკუნის ხელნაწერი, ოქროთი მოვარაყებული სახარება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებშია შემონახული [53].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გაზეთი „დროება“, რომელიც 1866-1885 წლებში გამოდიოდა, ეპოქის სულს გამოხატავდა [2:6]. იმდროინდელი მკაცრი ცენზურის მიუხედავად, სათანადოდ ასახავდა რუსეთის და ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში არსებულ საქართველოს მდგომარეობას, დამპყრობთა კოლონიურ რეჟიმს, ძირძველი ქართული მხარეების მოსახლეობის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ოსმალეთის ბატონობიდან გამოსახსნელად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ძმთა შორის კავშირის აღდგენისათვის. ამასთან ნათლად წარმოაჩენდა ამ დიდ ეროვნულ საქმეში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა ღვაწლს, მათ საქმეებს. ამ მიმართებით გაზეთმა „დროება“, მისმა რედაქტორმა და ცნობილმა ეროვნულმა მოღვაწემ სერგეი მესხმა, ეროვნულმა მოღვაწეებმა აკაკი წერეთელმა, ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, „დროების“ თანამშრომლებმა და კორესპონდენტებმა გ. ნიკოლაშვილმა, ლევან მჭედლიშვილმა, ალექსანდრე ჭყონიამ, ილია ჭყონიამ, ალექსანდრე სარაჯიშვილმა, აჭარის მკვიდრებმა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აქტიურმა მოღვაწეებმა შერიფ ხიმშიაშვილმა, გულო კაიკაციშვილმა, ახმედ კაიკაციშვილმა და სხვებმა თავიანთ სტატიებში და კორესპონდენციებში ჯეროვნად ასახეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის გრიგოლ დავითისძე გურიელის გავლენა, მისი განსაკუთრებული როლი აჭარის დედა-საქართველოსთან დაბრუნების საქმეში, გრიგოლის ეროვნული მოღვაწეობა ბათუმის ოკრუგის (მაზრის) უფროსის თანამდებობაზე, ის დიდი წვლილი, რაც ამ ნათლით მოსილმა მოღ-

ვაწემ შეიტანა ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლების შეჩერებაში, მათში ქართული ეროვნული შეგნების ამალღების, ქართული კულტურის აღორძინების, ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა შორის ერთობის და ძმური კავშირის აღდგენის საქმეში. „დროებამ“ ამ ამგდარი მამულიშვილის საქმიანობა თავის ფურცლებზე გამოქვეყნებულ 40-ზე მეტ სტატიასა და კორესპონდენციაში წარმოაჩინა, მათ შორის თვით გაზეთ „დროების“ რედაქტორის ს. მესხის მიერ გრ. გურიელის მოღვაწეობის ამსახველი 10-ზე მეტი სტატია იქნა გამოქვეყნებული. ასეთი წარმოჩენა-აღიარება სხვა ქართველ მოღვაწეებს „დროების“ ფურცლებზე არ ღირსებიათ და ეს შემთხვევითი არ იყო; XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთაგან სამხრეთ საქართველოს ძირძველი ქართული მხარეების, მათი მოსახლეობის გამოხსნის, მათი ბედი და უბედობით ისე ძლიერ არავინ არ დაინტერესებულა და ისეთი დიდი ღვაწლი არ შეუტანია, როგორც ეს გრიგოლ გურიელმა გამოავლინა თავისი პრაქტიკული საქმიანობით, რომელსაც თავის მფარველ ანგელოზსავით შესცქეროდნენ მაჰმადიანი ქართველები, ენდობოდნენ მას და სჯეროდათ მისი.

„დროებამ“ მკითხველ საზოგადოებას გააცნო გრიგოლ გურიელის დიდი ქველმოქმედება, რაც მან გამოიჩინა დედა-სამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის მოსახლეობის, ღარიბ-ღატაკთა, საერო თუ სასულიერო სასწავლებლების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმართ. „დროების“ ფურცლებზე სათანადო ასახვა პოვა გრიგოლ გურიელის იმ ზრუნვამ, რაც მან ძველი ქართული ხელნაწერების მოძიების, გადარჩენის და მათი მომავალი თაობებისათვის შესანახად რომ გასწია. სწორედ მისი გარჯით გადაურჩა მრავალი ძველი ხელნაწერი განადგურებას, რომლებიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებშია დაცული.

გრიგოლ გურიელი მრავალმხრივი ეროვნული მოღვაწე იყო. მისი გული საქართველოსათვის ძეგრდა. მან მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ეროვნულ კონსოლიდაციას შეაღია. ცხადია, მისი დიდი ღვაწლი და ცხოვრებისეული გზა „დროებამ“ სრულად ვერ ასახა, მაგრამ ის, რაც გრიგოლ გურიელის მოღვაწეობის თაობაზე ამ გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა, მნიშვნელოვნად წარმოაჩენს და უკვდავყოფს ამ ამგდარი მოღვაწის საქმეს და სახელს.

AVTANDIL DIASAMIDZE

THE MAGAZINE "DROEBA" AND THE EDITOR OF GRIGOL GURIELI

Summary

The "Droeba" published in the years 1866-1885. He expressed the spirit of the epoch [2:6]. In spite of strict censorship, then the proper coverage of Russia and the Ottoman Empire in the state, colonial invaders, indigenous population of the Georgian national - liberation movement from the Ottoman domination deliver,

territorial integrity and to restore the connection between the brothers. It is clearly demonstrated in this great national work in the national - liberation movement leaders merit, in their cases. In this respect, the newspaper "Droeba", its editor and a prominent national figure, Sergei Meskhi, national figures, Akaki Tsereteli, historian Dimitri Bakradze, "Droeba" of employees and reporters, G. Nikolaishvili, Levan Mchedlishvili, Alexander Chkonia, Ilia Chkonia, Alexander Sarajishvili, the residents, the national - liberation movements active in Sheriff Khimshiashvili, Gulo Kaikatsishvili, Akhmed Kaikatsishvili and others in their articles and correspondence in properly indicated about exercising in the South - West Georgia in the national - liberation movement leader Gregory Gurieli the son of David (1819-1891) influence on the bravery of his mother - in return, Grigol's National Activities the region (district) head, it's great that this is clearly figure into the Muslim population of the Ottoman Empire in the resettlement of the suspension, including the Georgian national consciousness Ascension, a revival of Georgian culture, the Muslim brotherhood and unity between Christians and the restoration of the Union. "Droeba" patriots of his papers published in this labour more 40 - than presented in the articles and correspondence, including the newspaper "Droeba" 's editor. S. Meskhi by Gr. Gurieli activity, reflecting the 10 - and more articles have been published. Such outreach - to recognize the other the figures "Droeba" pages have advantage and it was not accidental; XIX century, the figures from the South of the oldest Georgian parties, their population deliver, their fate and misfortune so strong no one was interested, and such a contribution is not applied, as The practitioners of videos uploaded to that shown. Thus it was that Gregory was his patron look how angel Muslim Georgians, trusted him and believed him.

The "Droeba" readers are introduced to Grigol Gurieli Charity, which she showed her mother - who returned to the homeland of the population, poor - needs, secular or religious institutions, among Georgians and writing - reading of the spreader. In this respect, many facts may be, of which an example pursue such a fact: Gregory opened in his house and estate, the Commission's estimated 28 thousand rubles, Ozurgeti Theological Society sold 13 thousand rubles, and the remaining 15 thousand rubles donated Guria clergy college and the other's needs

Where are you at its own expense, issued a pearl of world literature "Qilila and Damana", with a total circulation of 1009 copies, valuable donated 3,027 rubles between Georgians and writing - reading propagator society, which was marked by the doing and in need of financial assistance. Caring about people and society figure "Times" deservedly called the "Gregoli - Charity", Guria - Adjaria the merciful father.

"Droeba" reflected in the pages of the Gr. Gurieli the care that he is an old Georgian manuscripts to find, save and store them for future generations to resist. It is hard to escape the destruction of many manuscripts, which are currently being kept in the collections of the National Centre of Manuscripts. Among them is the X golden - Gospel, who d. Speaker, "a large heirloom" calls.

Grams. Where are you diversification national figure. He has all his life in Georgia's territorial integrity and the national consolidation dedication . Obviously, Gr. Gurieli great merit, and the way of life "Droeba" can not be proved, but it is his work on these important papers will be published and the Perpetuation of this case and the name patriots.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. „დროება“, # 183, 12 ენკენისთვე, 1878 წ.
2. ს. მესხი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962 წ.
3. გაზ. „დროება“, # 119, 11 ივნისი, 1882 წ.
4. გაზ. „დროება“, # 27, 14 ივლისი, 1872 წ.
5. ნ. გურგენიძე, ი. გორგაძე, აკაკი წერეთელი ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე, თბ., 1989 წ.
6. გაზ. „დროება“, # 80, 16 მკათათვე, 1875 წ.
7. გაზ. „დროება“, # 81, 18 მკათათვე, 1875 წ.
8. ა. დიასამიძე, გრიგოლ გურიელის ექსპედიცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1874 წელს (ზემო აჭარა, შავშეთი, არტანუჯი, ლივანი, ლაზეთი. იხ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საისტორიო აღმანახი კლიო 18, თბ., 2003 წ.
9. გაზ. „დროება“, # 136, 15 ქრისტეშობისთვე, 1876 წ.
10. გაზ. „დროება“, # 18, 16 თებერვალი, 1877 წ.
11. გაზ. „დროება“, # 19, 27 იანვარი, 1878 წ.
12. გაზ. „დროება“, # 126, 27 ივნისი, 1878 წ.
13. გაზ. „დროება“, # 164, 13 მარამობისთვე, 1878 წ.
14. Газ „Голосъ“ № 233, 24- го августа, 1878 г.
15. გაზ. „დროება“, # 170, 23 მარამობისთვე, 1878 წ.
16. გაზ. „დროება“, # 171, 24 მარამობისთვე, 1878 წ.
17. გაზ. „დროება“, # 174, 29 მარამობისთვე, 1878 წ.
18. გაზ. „დროება“, # 175, 31 მარამობისთვე, 1878 წ.
19. გაზ. „დროება“, # 176, 1 ენკენისთვე, 1878 წ.
20. გაზ. „დროება“, # 177, 2 ენკენისთვე, 1878 წ.
21. გაზ. „დროება“, # 178, 3 ენკენისთვე, 1878 წ.
22. გაზ. „დროება“, # 181, 7 ენკენისთვე, 1878 წ.
23. გაზ. „დროება“, # 184, 13 ენკენისთვე, 1878 წ.
24. გაზ. „დროება“, # 183, 12 ენკენისთვე, 1878 წ.
25. გაზ. „დროება“, # 190, 21 ენკენისთვე, 1878 წ.
26. გაზ. „დროება“, # 195, 28 ენკენისთვე, 1878 წ.
27. გაზ. „დროება“, # 239, 23 ნოემბერი, 1878 წ.
28. გაზ. „დროება“, # 30, 8 თებერვალი, 1879 წ.
29. გაზ. „დროება“ # 42, 25 თებერვალი, 1883 წ.

30. გაზ. „დროება“, # 32, 13 თებერვალი, 1879 წ.
31. ჟურნ. „ივერია“, # 2, თებერვალი, 1879 წ.
32. გაზ. „დროება“, # 40, 23 თებერვალი, 1879 წ.
33. გაზ. „დროება“, # 41, 24 თებერვალი, 1879 წ.
34. გაზ. „დროება“, # 80, 17 აპრილი, 1879 წ.
35. გაზ. „დროება“, # 88, 27 აპრილი, 1879 წ.
36. გაზ. „დროება“, # 143, 11 ივლისი, 1879 წ.
37. გაზ. „დროება“, # 191, 16 ენკენისთვე, 1879 წ.
38. გაზ. „დროება“, # 90, 30 აპრილი, 1880 წ.
39. გაზ. „დროება“, # 228, 29 ოქტომბერი, 1880 წ.
40. გაზ. „დროება“, # 237, 11 ნოემბერი, 1880 წ.
41. გაზ. „დროება“, # 240, 14 ნოემბერი, 1880 წ.
42. გაზ. „დროება“, # 261, 11 დეკემბერი, 1880 წ.
43. გაზ. „დროება“, # 241, 15 ნოემბერი, 1880 წ.
44. გაზ. „დროება“, # 259, 9 დეკემბერი, 1880 წ.
45. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S, # 5006.
46. გაზ. „დროება“, # 97, 4 მაისი, 1884 წ.
47. გაზ. „დროება“, # 117, 2 ივნისი, 1884 წ.
48. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ბაქრაძის ფონდი-4, საქმე # 117. ფურც. 1-2.
49. ქილილა და დამანა, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმნი მეფისა ვახტანგისაგან, თავად გრიგოლ გურიელის გამოცემა, ილია ჭყონიას რედაქციით, ტფილისი, 1886 წ.
50. სცსსა, აღწ. 1, საქმე # 107, ფურც. 24.
51. სცსსა, აღწ. 1, საქმე # 147, ფურც. 12.
52. გაზ. „დროება“, # 85, 23 აპრილი, 1885 წ.
53. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი-S, # 962.
54. გაზ. „დროება“, # 165, 14 მარიაშობისთვე, 1878 წ.





ახალი მასალა ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭყვიშის ეკლესიების და გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების წინაპრების ისტორიიდან

სოფ. ჭყვიში მდებარეობს ვანის მუნიციპალიტეტში იმერეთის დაბლობზე მდინარეების რიონისა და ყუმურის შეერთების ადგილას. იგი წყაროებში პირველად ჭყუშის სახელით იხსენიება XVI საუკუნეში[1-409]. ტოპონიმი „ჭყვიში“ მეგრულ-ლაზური წარმოშობის უნდა იყოს. მეგრ. ჭყეშ-ი(ჭყეშის), ჭყიში(ჭყიში)=მწყემსი. ლაზ. ჭკეში//ჭეში=მწყემსი (ნ. მარი)[2-496]. **ამრიგად ჭყვიში-ჭყუიში-ჭყიში-ჭყიში=მწყემსი.** ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმის შესახებ, რომ ამ ტერიტორიაზე გავრცობილი იყო კოლხეთის სამეფო და იგი დასახლებული იყო ძირითადად მეგრულ-ჭანური ტომებით.

ამ სოფელში დაიბადნენ პოეზიის მეფე გალაკტიონი და ქართული ლექსის რაინდი ტიციანი, რომელთა წინაპრები გალაკტიონ ტაბიძის თქმით – „მამის მხრით იყვნენ მწიგნობრები. დაწყებული XIV საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით თაობიდან თაობაზე მიდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური, შეუცვლელივით უერთგულესი მღვდელმსახურება“[3-276]. უეჭველია, როდესაც ამ სტრიქონებს წერდა საუკუნის უდიდეს პოეტს მოეპოვებოდა შესაბამისი ზეპირი გადმოცემები, ვინაიდან წყაროებში ტაბიძეთა საგვარეულოს შესახებ ცნობები არის XVI საუკუნის დასასრულიდან, საიდანაც ვიგებთ, რომ მაზიკა ტაბიძეს და მიხილია ტაბიძეს – ხონის საყდრის ყმებს ემართათ: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი თეთრის ყველი, საპურობით ერთი ქათამი, სამი კოდი ღომი, ათი კოკა ღომი, ოთხი კოდი ცეხვილი, სამასახური“[4-222-223]. უკანასკნელ დროს ტაბიძეთა საგვარეულოს ეტიმოლოგიის შესახებ საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა მკვლევარმა ბ. ცხადაძემ [20-190-194].

1621 წლის აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებელი დავთარის მიხედვით-ხონს მცხოვრებ ათანასე ტაბიძეს ემართა აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა: 5 მთელი ღვინო, ათი თეთრის საკლავი, ორი თეთრის თევზი, ერთი ხეში, ერთი ქათამი. იქვე მცხოვრებ ნასყიდა ტაბიძეს კი 9 მთელი ღვინო, 1 ურემი ღომი, ათი თეთრის საკლავი, ორი თეთრის თევზი, ერთი ხეში, 1 ქათამი“[5-411]. უფრო გვიანდელი წყაროს ცნობით კი XVII საუკუნის ბოლოს – „მთავარეპისკოპოს სვიმონ ჩიჯავაძეს ხონის საყდრისათვის შეუწირავს ბიჭუკა ტაბიძე და დაუდვია მისთვის ბეგარა-ნაადგომეც ალაპის გადახდა ერთი ცხვრით და ერთი კოდი პურით“[4-222].

ამ მასალებიდან არ ჩანს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტაბიძეები საეკლესიო მოღვაწეები რომ იყვნენ. მაგრამ მომდევნო პერიოდის მასალებით, კერძოდ,

1803 წლის სოლომონ მეორის წყალობის სიგელიდან ვიგებთ, რომ ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელს გიორგი ტაბიძეს და მის ძმებს იესეს, ბეჟანიკას და გაბრიელს უთხოვიათ მეფისათვის მიწა. სოლომონ მეორეს მათი თხოვნა დაუკმაყოფილებია და მათთვის და მათი შთამომავლებისათვის უბოძებია ჭყვიშთან არსებული ადგილები [6-141-142]. აღნიშნული ამბები ძალზე საინტერესოდ და ამომწურავად აქვს განხილული პროფ. ნ. ტაბიძეს შესანიშნავ წიგნში „გალაკტიონი“ [7].

მასასადამე ირკვევა, რომ ხონში მცხოვრებ ტაბიძეთა ერთი შტო XIX საუკუნის დასაწყისისათვის ეკლესიის მსახურები არიან. 1820 წლის საეკლესიო აღწერის მიხედვით, ჭყვიშში არის ეკლესია წმ. გიორგის, ხის, აღშენებული 1804 წელს. რომელსაც ჰყავს 20 ოჯახი მრევლი. მღვდელი ამ ეკლესიაში არის დავით კუკარია (36 წლის). რომელიც ამ ხარისხში ხელდასხმულია 1810 წელს განათელი მიტროპოლიტის მიერ. იგი მანამდე **დიაჩოქად** მსახურებდა ეწერში. მეორე მღვდელია იესე ცაგარეიშვილი (50 წლის). **დიაკონი იოანე გიორგის-მე ტაბიძე (20 წლის) წარმოშობით საეკლესიო წოდების**. იგი დიაკვნად ხელდასხმულია ჯუმათელი მიტროპოლიტის მიერ 1818 წელს. წმინდა წერილი უსწავლია ხონში [8] ეს საეკლესიო მოღვაწე არის გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების დიდი ბაბუა, რომელსაც ამტკიცებს აგრეთვე 1832 წლის „კრილოვიე ვედემოსტი“. ამ დოკუმენტის მიხედვით დიაკონ იოანე გიორგის-მე ტაბიძეს(ლბ)-32 წლის ე.ი. დაბადებული 1800 წელს _ ე. გ.) უსწავლია მღვდელ ნიკოლოზ თვალავაძესთან, ხოლო 1818 წელს ჯუმათელი მიტროპოლიტის ნიკოლოზის მიერ ხელდასხმულია დიაკვნის ხარისხში. მას ჰყავს შვილები: 1. ნიკოლოზი(იგ-10 წლის), 2. სტეფანე(ვ-6 წლის). მღვდელი ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესიაში არის იოანეს ყოფილი მასწავლებელი ნიკოლოზ თვალავაძე, საბატონო ყმათაგანი. რომელსაც უსწავლია მღვდელ თედორე ნიკურაძეთან. ის 1800 წელს აღნიშნულ ხარისხში ხელდასხმულია სამეგრელოს მიტროპოლიტის ბესარიონ ჭყონ-დიდელის მიერ [9].

1834 წელს იოანე ტაბიძე უკვე კურთხეულ არს მღვდლის ხარისხში იმერეთის არქიეპისკოპოსის სოფრონიოსის მიერ. მისი შვილები ნიკოლოზი და სტეფანე ამ დროს სწავლობენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში [10]. 1841 წლის მონაცემების მიხედვით ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესიას ეკუთვნის 48 სამრევლო სახლი, სადაც ცხოვრობს 366 სული. აქედან მამრობითი სქესის-198. მდედრობითი-188. ამ ეკლესიას მიწა-მამული არ აქვს. დიაკონია იესე გაბრიელის-მე ბახტაძე (28 წლის), რომელსაც წერა-კითხვა და საღმრთო წერილი უსწავლია ხონის მონასტრის იღუმენ ვასილისაგან. 3. დიაჩოქი-დავით იესეს-მე ბახტაძე [11].


1826 წელს ჭყვიშში არის მეორე ეკლესია ღვთისმშობლის შობის. ხის, სადაც მღვდელია ბესარიონ არველაძე. დიაკონი თედორე ნიკოლაძე [13]. 1835 წლისათვის ამ სახელმწიფო სოფელსა შინა აღწერილია მესამე ეკლესია, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელზე აღმართული 1809 წელს. ჰყავს 65 კომლი სამრევლო სახლი. მეოთხე საბატონო სოფელს შინა ჯვარცმის ეკლესია, ხის, რომელიც აუშენებიათ 1818 წელს. ამ უკანასკნელ ეკლესიებში მსახურებას ადავლებდა მღვდელი მოსე მათეს-მე მანჯგალაძე [9-345-346].

ამრიგად, XIX საუკუნის 30-იან წლებში ჭყვიშში არის ოთხი ეკლესია:

1. ჭყვიშის წმ. გიორგის;
2. ჭყვიშის ღვთისმშობლის შობის;
3. ჭყვიშის მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების;
4. ჭყვიშის ჯვარცმის.


არსებული მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოფელ ჭყვიშში ცხოვრობდნენ, როგორც საეკლესიო, ისე სახელმწიფო და საბატონო გლეხები.

გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების წინაპრების შესახებ გამოკვლევა ჩატარებული აქვს ნ. ტაბიძეს [7-10-11]. მისი ცნობით, მათი გენეალოგია ასე გამოიყურება:



დანარჩენს აღარ განვაგრძობ. ეს დაინტერესებულმა მკითხველმა შეიძლება ნახოს ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში.

ჩვენი კვლევის შედეგად დგინდება, რომ იოანე გიორგის ძე ტაბიძეს და მის მეუღლეს ანნა იესეს ასული ჯანელიძეს ყავდათ შვიდი შვილი: 1. ნიკოლოზი (დაბ. 1819 წ.) [12], 2. სტეფანე (დაბ. 1824 წ.) [12], 3. მიტროვანე (დაბ. 1826. გარდაიც. 1826 წ.) [13], 4. გრიგოლი (დაბ. 1832) [14], 5. თომა (დაბ. 1834) [15], 6. მარტა (დაბ. 1837) [16], 7. ალათი (დაბ. 1841) [17].



იოანეს შვილები: ნიკოლოზი, სტეფანე, და გრიგოლი (გიგო) ღვთისმსახურებას აღავლენდნენ სოფელ ჭყვიშში.

სტეფანე ტაბიძეს (გალაკტიონის და ტიციანის ბაბუა) დაუმთავრებია ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამი კლასი. შემდეგ სწავლა გაუგრძელებია ვანის მონასტერში. 1857 წლის 2 თებერვალს ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესიაში იმერეთის ეპისკოპოსის გერმანეს მიერ ხელდასხმული არის დიაკვნად. იმავე წლის 25 მარტს იმავე ეკლესიაში კურთხეულია მღვდლად. უმწიკვლო მსახურებისათვის 1877 წელს დაჯილდოებულია ენქერით [18-95-100]. მას და მის ცოლს სოფიო გრიგოლის ასულს ჰყავს შვილები: თეოფანე (დაბ. 1859 წ.) [23]; იუსტინე (მომავალში ტიციანის მამა – ე. გ., დაბ. 1862 წ.) [24]; რომელიც 1885 წელს სწავლობს ტფილისის სემინარიაში, კალინიკე (დაბ. 1868), ვასილი (დაბ. 1857 წ.).

1885 წლის „კრილოვიე ვედემოსტის“ მიხედვით, ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესიაში მედავითნეა გიგო(გრიგოლ) იოანე მღვდლის-ძე ტაბიძე. იგი აქ მსახურებს 1868 წლის 28 დეკემბრიდან. ჰყავს შვილები: 1. ივლიანე – 32 წლის, რომელიც ამ სოფელში 30-მდე ბავშვს ასწავლის წერა-კითხვას და ლოცვებს. 2. ევგენი – 19 წლის, იგი სწავლობს სასულიერო სასწავლებელში.

უნაწილო (უმტატო) მედავითნედ მსახურებს **ვასილ სტეფანეს-ძე ტაბიძე** (დაბ. 1857 წ. მომავალში გალაკტიონის მამა – ე. გ.), რომელსაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სრული კურსი. საღმრთო წერილის კითხვა, გალობა და ტიპიკონი უსწავლია იმერეთის ეპისკოპოსის დაწესებულ ეგზემენატორისაგან. მედავითნედ მსახურებს სოფ. ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესიაზე 1881 წლის 25 ივლისიდან. აქვს მიცემული მოწმობა იმერეთის ეპარქიის კანცელარიისაგან სამრევლო სკოლის გახსნის თაობაზე [18]. რომელიც კიდევაც გაუხსნია და ასწავლიდა ბავშვებს იმავე წლიდან [19]. მნათე-მღვდლის შვილისშვილი კონსტანტინე ცაგარეიშვილი, რომელიც აქ მსახურებს 1878 წლიდან. 1885 წლისათვის ამ ეკლესიის სამრევლო ოჯახი შეადგენს 87 კომლს. სადაც ცხოვრობს 599 სული. აქედან მამრობითი სქესის – 297. მდედრობითი – 302. ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესია მრევლს შეუკეთებია და განუახლებია 1877 წელს [18-95-100]. იოანე ტაბიძის უფროსი ვაჟი ნიკოლოზიც ეკლესიის მსახური ყოფილა-ჯერ მედავითნე წმ. გიორგის ეკლესიაში, შემდეგ კი მღვდლი ჭყვიშის მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების და მასზედ ზედმიწერილ ჯვარცმის ეკლესიაზედ [21; 22].

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი წყაროების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ტაბიძეთა ერთ შტოს, რომელიც გადმოსახლებულა XIX საუკუნის დასაწყისში ხონიდან ჭყვიშში და რომელთა შთამომავლებია გალაკტიონი და ტიციანი, გადმოსვლისთანავე 1804 წელს აუგია წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც ისინი საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე აღავლენდნენ ღვთისმსახურებას.

EDISHER (EPIFANE) GVENETADZE

**SOME OF THE NEW MATERIAL VANI MUNICIPALITY
VILLAGE: CHKVISHI CHURCHES AND GALAKTION TITSIAN
TABIDZES ANCESTRY AND HISTORY**

Summary

It is clear archival materials located in the village of Chkvishi Church History. Indicated that 30 of the 19 th century - the century the existence of four churches. This indicates that the two churches are engaged in the service of the great poets and Titsian See Tabidzes ancestors. Set out some of the new archival material about the ancestry of these two great poets of.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.XI1. გვ. 409.
2. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. III. თბ., 2002.
3. ტაბიძე გ., თხზ. ტ. XII.
4. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. IV. თბ., 2007.
5. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965.
6. კაკაბაძე ს., დასავლეთსაქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. II. ტფ., 1921.
7. ტაბიძე ნ., გალაკტიონი. თბ. 2010.
8. საისტორიო ცენტრალური არქივი ფ. 2. ანაწერი 1. ს. 1008.
9. სცა. ფ. 489. ს. 5008.
10. სცა. ფ. 489. ს. 5822.
11. სცა. ფ. 489. ს. 7770.
12. სცა. ფ. 489. ს. 6304.
13. სცა. ფ. 489. ანაწერი 6. ს. 36.
14. სცა. ფ. 489. ანაწერი 6. ს. 173.
15. სცა. ფ. 489. ანაწერი 6. ს. 228.
16. სცა. ფ. 489. ანაწერი 6. ს. 306.
17. სცა. ფ. 489. ანაწერი 6. ს. 408.
18. სცა. ფ. 489. ს. 40423.
19. სცა. ფ. 489. ს. 42687.
20. ცხადაძე ზ., „ტაბიძე“ გვარის სახელის ეტიმოლოგიისათვის. ჟურნ. „პარალელი“, #3 2012.
21. სცა. ფ. 489. ანაწერი 6. ს. 1437.
22. კუზევაძე მ., ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები. ქუთაისი 2008.
23. სცა. 489. ანაწერი 6. ს. 1355.
24. სცა. 489. ანაწერი 6. ს.1557.

*murman TavdiSvil i*

დიდი ფუნქცია – მძიმე ტვირთი

„დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა“, შექმნილიყო ამ ტიპის ნაშრომი, თანამედროვე წიგნი, რომელიც ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ფაქიზი გაანალიზების შედეგად წარმოაჩენდა ქართული იდეის სრულ სახეს, დაგვიხმარებოდა სამივე დროში მცხოვრები ერის ისტორიული მისიის გარკვევაში და აი, ამგვარი გამოკვლევაც გამოჩნდა.

ოღონდ გამოკვლევაა და გამოკვლევაც!

მურმან ლებანიძე ერთ ლექსში ამბობს:

ფანჯარაში ქედია;

ვტყუი – ქედზე მეტია:

საქართველოს ხედია!

იგივე უნდა ვთქვათ ამ ნაშრომზე – თითქოსდა გამოკვლევაა, ოღონდ ჩვენთვის, ივერთათვის, გამოკვლევაზე მეტსა ნიშნავს. ეგ „ზედმეტი“ მნიშვნელობა ტექსტს სწორედ მაშინ ენიჭება, როცა მასზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფიქრობენ, მოსაზრებებს ამწიფებენ, აღვივებენ და მერე უცბად წერენ.

საკითხი, თითქოსდა, ისედაც ნათელია: ქართველი ერის მთელი მურმანი და ჭაპანწყვეტა მიწყვი იქით იყო მიმართული, რათა საკუთარი სუვერენობა შეენარჩუნებინა. ეს ისევე ნათელია, როგორც მზე; ოღონდ გამოკვლევის დონეზე, სამეცნიერო არგუმენტების მოხმობით დაამტკიცე მნათობის ერთი შეხედვით ისედაც ნათელი არსი!

ეს უკვე ურთულესი საქმეა!

იგივე ითქმის წიგნის იმ ერთ-ერთ ცენტრალურ ბგერაზე, რომელსაც სამუშაო დებულების სახე მიუღია და რომელიც ასე ჟღერს:

„მთელი ჩვენი ისტორია, რომელიც ერის სულიერი მდგომარეობის სახეს წარმოადგენს, არის – რადგანაც მას დამოუკიდებლობის მდგომარეობაც ჰქონდა და დამოუკიდებლობის დაკარგვისაც – სუვერენობის იდეის განსახორციელებად გაშლილი ერთიანი, განუწყვეტელი ბრძოლის ფრონტი“ (აპოლონ სილაგაძე, ქართული იდეა, 2010, 50).

ოღონდ, როგორც ითქვა, რა დიდი ძალისხმევა არის საჭირო, რა დიდი პატრიოტიზმი და ოფლისმღვრელი შრომა, რათა ეგ თეზისი მწყობრად დაასაბუთო და ლიტონ განცხადებად არ დაგრჩეს.

ამ მხრივ ავტორს, როგორც ყველაფრიდან ჩანს, თავდადებით უშრომია: ფაქტები, მოვლენები, ავტორთა ნააზრევნი, მწერლური მონაცემები ერთმანეთი-

სათვის შეუწამებია, აფთიაქის სასწორზე აუწონია, გონების ქურაში გამოუტარებია და დამაჯერებელი ორიგინალური დასკვნები გამოუტანია. შესაძლოა, სწორედ ამის გამო, ნაშრომი იკითხება ცხოველი ინტერესით, შეიძლება ასეც ვთქვათ, – ვითარცა ლექსი.

წიგნი შედგება სამი ნაკვეთისაგან: ქართული ისტორია, ქართული იდეა, ბოლოთქმა.

მივყვეთ ტექსტს თანამიმდევრულად და ალაგ-ალაგ ჩვენი შენიშვნები და მოსაზრებებიც გამოვთქვათ.

ამ წიგნში პირველი უსაჭიროესი შეკითხვა ბადის დედათოკის როლს ასრულებს. ამ პირველ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა ნიშნავს დედათოკის გერგილიანად ამოქაჩვასა და მთელი ბადის ზემოთ ზედნიერად ამოზიდვას. ვფიქრობ, ასეც მოხდა. მომყავს საამრიგო ამონარიდი:

„...ერთი მთავარი კითხვა უნდა დაისვას – რა არის საქართველო? საქართველო არის იმ ერის ქვეყანა, რომელიც იყო და არის სუვერენული ერი“ (7).

ამ თეზისის დასასაბუთებლად გონი იწყებს ამოქმედებას და ერთი საგულისხმიერო კითხვაც ჩნდება:

„რამდენია კიდევ ამჟამად ისეთი ერი, რომელსაც ამდენი ათასწლეულის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით დღემდე შენარჩუნებული აქვს სახელმწიფოებრიობა?“

და იქვე გაცემულია ერთობ მნიშვნელოვანი პასუხი: სუვერენობაშენარჩუნებულ ერთა შორის „ჩვენ უძველესი ერის კატეგორიას განვეკუთვნებით, ცოცხალი უძველესი ერისა“ (7).

თავისი კონცეპტუალური დებულებების დაზუსტების შემდგომ მოაზროვნე თითქმის ყოველთვის იოლად პოულობს მწერლობის კლასიკოსთა ილათიან ნათქვამებს, ფრთიან ფრაზებს, მხატვრულ ფიგურებს და ამით სათქმელს უფრო ცხადად გვაწვდის. როცა იმაზე მსჯელობს, რომ ივერია „მუდმივად იყო და არის დამოუკიდებლობის დაუთრგუნველი სურვილის მქონე და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერი, რომლის ეროვნული თვითშეგნება ყოველთვის ცოცხალია“ (8), იქვე მოჰყავს ლიტერატურული სამტკიცო: „სჯობს მონობაში გადიდგაცებულს თავისუფლების მებნაში მკვდარი“.

მართალია, სამწელო არაა იმის შენიშვნა, რომ ამ ერმა „არ დაკარგა ენა, რწმენა, კულტურა, ტერიტორია, სახელმწიფოებრიობა და, როგორც სუვერენული ერთეული, არ გაითქვიფა არც ერთ დიდ მასაში – არც სპარსელებში, არც ბერძნებში, არც არაბებში, არც სკვითებში, არც რუსებში“, მაგრამ საამისოდ მოხმობილი საბუთები და გერგილიანი მსჯელობა ნამდვილად საყურადღებოა. გონის ამ ძიებებს აგვირგვინებს დიდფასი დაკვირვება:

„ქართველობას ყოველთვის სურდა ქართველობა („გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი“)... სხვანაირად მდგომარეობაში იგი არასოდეს ყოფილა. სხვანაირ პერსპექტივას შეგუებული ერი არის არასუვერენული ერი“ (8-9).

მაშასადამე, ავტორმა აიღო სწორი იდეური ორიენტაცია, მართებული სამეცნიერო გეზი.

ქვეყნის დამოუკიდებლობის საფრთხეებზე საუბრისას ავტორი უწინარესად გამოყოფს გარე ფაქტორებს. გარეშემოტევების შედეგად ქვეყანა ზოგჯერ კიდევაც კარგავდა დამოუკიდებლობას, თუმცა არც ამ ვითარებაში იზღუდავდაო თვითმყოფადობას და ქვეყნიერებას ევლინებოდა ვასალურ მდგომარეობაში მყოფ დამოუკიდებელ ხალხად (11).

მოყვანილი კონკრეტული ფაქტები და მათი ანალიზი კიდევ ერთხელ დასტურყოფს, რომ ავტორი პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პროპაგანდას კი არ ეწევა, არამედ იძლევა ჩაღრმავებული ძიებების შედეგებს, ემებს და პოულობს სიღრმისეულ კანონზომიერებებს; უამისოდ მეცნიერება წარმოუდგენელია.

წიგნში არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტი და მოვლენა არაა მივიწყებული, რომელიც საკითხის გარკვევას წაადგებოდა. ნაჩვენებია, თუ როგორი სახელმწიფოებრივი ურთიერთობა მყარდებოდა გამარჯვებულ იმპერიებსა და „დამარცხებულ“ ივერიას შორის. საყურადღებოა სანიშნო დებულება:

„დამპყრობლები მათში ხედავდნენ ქვეშევრდომებს, მაგრამ აღიარებდნენ მეგობრულ ქვეყნებად“ (11).

ამ დებულების თვალსაჩინო ფაქტებად მოყვანილთაგან ერთს გამოვარჩევ: ძლევაში რომელიმე ფარსმან მეორეს თავიანთი იმპერიის დედაქალაქში ძეგლი აუგეს (12). ნება-უნებლიეთ გაგონდება „დამარცხებული“ საქართველოს წარმომადგენლის სტალინის უზარმაზარი ძეგლები საბჭოთა იმპერიისა და მისი დომინიონი ქვეყნების (ევროპა-აზიაში) ქალაქებში.

ქართული იდეისა და სუვერენობის განმტკიცებაში სამართლიანად ენიჭება დიდი მნიშვნელობა ფარნავაზს (13), ოღონდ მის ადმინისტრაციულ-კულტურულ ღონისძიებებში დამწერლობის (ანბანის) შექმნის ვარაუდს მე სარწმუნოდ ვერ მივიჩნევ. საქმე ისაა, რომ „მწიგნობრობის“ შექმნა უთუმცაოდ როდი ნიშნავს ანბანის შექმნასაც. მწიგნობრობა აქვთ ფრანგებს, ინგლისელებს, გერმანელებს, ოღონდ საკუთარი ანბანი (დამწერლობა) – არა! სავარაუდოა, რომ ფარნავაზის მიერ **მწიგნობრობის** დაწინაურება ხდებოდა იმ ორი ანბანის მეშვეობით, რომლებსაც იყენებდა ქრისტე – ეს გახლავთ არამეული და ძველბერძნული. შემთხვევითი არც ის გარემოება უნდა იყოს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის ძეგლი არმაზის ბილინგვა სწორედ ამ დამწერლობით არის შესრულებული.

მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტთა წყებაშია მოქცეული აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს სხვადასხვა იმპერიის გავლენის სფეროებად გამოცხადება (V-VI საუკუნეები); მარჯვედ არის განზოგადებული ის ფაქტი, რომ გორგასალი სპარსელების წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო გუბაზ მეორე ბიზანტიელებმა იმსხვერპლეს (15).

საგულისხმოა, რომ აკაკი წერეთელმა ერთმა პირველმა გამოთქვა მეტად უცნაური აზრი – საქართველო სწორედ იმან გადაარჩინა, რომ ერთიანი და მონოლითური სახელმწიფო არასოდეს ყოფილაო. აღმოსავლეთი რომ დამოუკიდებლობას კარგავდა, მაშინ ქართული ელიტა თავს დასავლეთს აფარებდა; თუ დასავლეთს ემუქრებოდა სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე, მაშინ აღმოსავლეთი სწევდა მოაზროვნე ორგანოს – თავის – როლსაო. აი, როგორ

არის ყოველივე ეს გადმოცემული: „საქართველოს ძველათ ჭირში გამაგრება და სრულიად ამოუფხვრელობა ამ სხვა-და-სხვა ფერობის ბრალი იყო; როდესაც მტერი საქართველოს ერთ რომელსამე კუთხეს მიადგებოდა და დაიპყრობდა ერთ რომელსამე კუთხეს მიადგებოდა და დაიპყრობდა ერთ რომელსამე ნაწილს, მაშინ ქართველობა მეორე კუთხეში, მეორე მხარეში გადადიოდა, იქ იფარავდა თავს და იქ ძლიერდებოდა; მოსულ მტერს ერთი რომელიმე დროთაგანი წლისა უდგა, იმავე დროს ქართველებს ოთხივე დრო ხელთ ეჭირათ – დაბლა, ზარში, სიციხე უდგათ, მაღლა, მთაში, ყინვა იყო; ასე, ამ გვარათ ბუნების წყალობით შეუწახავთ თავი; არასოდეს არ ყოფილან ერთსა და იმავე დროს ერთიანათ დაპყრობილი“ (აკაკი წერეთელი, IV, 1990, გვ. 264).

როგორც ითქვა, ერთობ უცნაური და საინტერესო დებადია! მაგრამ პრიმიტიულად გამოთქმულ ამგვარ თეზას ღრმა ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ განზოგადებას აძლევს აპოლონ სილაგამე. შესაძლოა, ფაქტი წინ გედოს, ოღონდ მისი გააზრებისა და განზოგადების უნარი არ შეგწევდეს. აღნიშნულ ფაქტს ავტორი ასე განიხილავს: „VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე რამდენიმე სუვერენული ქართული პოლიტიკური ერთეული დამკვიდრდა – ტაო-კლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი, ეგრის-აფხაზეთი; ქართველობა არ დანებებულა – იგი კვლავ დამოუკიდებელი იყო“ (17).

ავტორის აზრის მდინარების დიალექტიკური ქვეტექსტი ერთობ გამჭვირვალეა. მას მკვლევარი ქვემორეულ კიდევ უფრო ავითარებს: არაბთა ოკუპაციის შედეგად ზოგი ხალხი და სამეფო მთლიანად გაქრა, ხალხთა მეორე ნაწილი ასიმილირდა, დაკარგა საკუთარი მეობა (მენტალობა). ამ ზეწოლას მხოლოდ ორმა ერმა (ქართველებმა და სომხებმა) გაუძლესო (17). მომდევნო გვერდზე კი მკვლევარი ბრძანებს: „ჩვენმა წინაპრებმა მოქმედებათა ცენტრი სამხრეთში, ტაო-კლარჯეთში, გადაიტანეს – გრიგოლ ხანძთელი, აშოტ კურაპალატი“.

აქ ავტორს მოკრძალებით უნდა შევთავაზოთ ორი ერის გადარჩენის ერთ-ერთი ახსნა: ხომ არ გამოიწვია ყოველივე ეს იმან, რომ ამ ორ ერს ჰქონდა ატომურ იარაღზე უფრო მძლავრი იარაღი – საკუთარი დამწერლობა?

წიგნში მოყვანილია სიმპტომური ფაქტი: ოთხას წელს თბილისი არაბებს ეპყრათ და თბილისის სამირო არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ შეგვიძლია გავიხსენოთ **თიფლისელის** ნისბით მოღვაწე არაერთი პირი (თუნდაც ჰუბაიშ თიფლისელი), მაინც, მიუხედავად ამისა, არაბებმა ჩვენს გარემოში ვერ შექმნეს მუსლიმანური კულტურა, ისეთი კულტურა, ისტორიაში რომ დარჩებოდა (17), არადა ასეთი რამ სხვაგან დიახაც მოხდაო (მოყვანილია ესპანეთის მაგალითი).

აქვე მე თვითონ მომყავს მეორე მკაფიო მაგალითი, თითქმის პარადიგმული ფაქტი.

XII საუკუნეში სპარსული კულტურის სიმძლავრის გამოისობით თითქმის ყველა შუააზიურ და მცირეაზიურ ქვეყანაში გავრცელდა სპარსულენოვანი ლიტერატურა. სპარსული ენის სიტკბომან ბევრ უცხოელს ასურვა მუსიკობანი. სპარსული მეტყველება და კილო გოლიათური ნაბიჯებით გამოემართა კავკასიისაკენ. მან იოლად გადალახა აზერბაიჯანი და აქ შეიქმნა აზერბაიჯან-

ნელ ავტორთა სპარსულენოვანი პოეზია (ხაყანი შირვანი, ნიზამი განჯევი...); ზედ საქართველოს საზღვართან აკვილდა სპარსული ბაიათი და ყანდრული ლექსი, ოღონდ ქართული სამანები მაინც ვერ დაძლია; თუმცა კი რუსთველი მსოფლიო მნიშვნელობის აღმოსავლური ტრადის გამოუკლებელ-გამოუცალ-კვებელი წევრია (ფირდოუსი, ნიზამი, რუსთაველი), მაინც იგი ქართულ ენაზე ქმნიდა; თუმცა კი იდეები, სახეების, ტერმინები, სიტყვები უხვად ისესხა ქართულმა პოეზიამ, ის მაინც ეროვნულ ნიადაგზე დარჩა და საკუთარი მენტალობა არ დაუკარგავს. მგონია, აქ გადამწყვეტი როლი იმან შეასრულა, რომ ქართველებსა და სომხებს საკუთარი ორიგინალური დამწერლობა გვქონდა. თვით თეიმურაზ პირველიც კი, რომელიც აცხადებდა _ სპარსული ენის სიტყბოვან გამხადა პოეტადაო, თუმცა კი თემებს, იდეებს, სახეებს უხვად სესხულობდა, მხოლოდ ქართული ენის ბაზაზე ქმნიდა და აზროვნებდა.

წიგნში ავტორი ხმარობს, ჩემი აზრით, ერთობ ღრმააზროვან და სანიშნო ტერმინს **თვითდაჯერებულ**: ჩვენი ერი არა ოდენ იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, არამედ ამ ასპექტით ერთგვარ თვითდაჯერებლობასაც ამჟღავნებდა (18).

ვინც ყურადღებით ჩაჰკვირვებია ქართულ ხასიათს, ტერმინი აშკარად ენი-აზება. მიუხედავად ამდენი ტერიტორიისა და ხალხის დაკარგვისა, რაც XX-XXI საუკუნეებში განვიცადეთ, ქართველი კაცის სუვერენული თავდაჯერებულობა (ერთი შეხედვით, თითქოსდა სასაცილოც კი) ფაქტია.

მე, ფილოლოგს, დია მომწონს გიორგი მერჩულის ცნობილი ფორმულის _ „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების“ _ ავტორისეული გააზრება. აქ მწერალიო „არავითარ ადგილს არ უთმობს ანტიარაბულ (და ანტიისლამურ) განწყობას და პასაჟი მთლიანად ანტიბიზანტიურ იდეაზეა აგებული“ (19).

მეც ასე მგონია.

951 წლისათვის იმდენად აღარაფრად მიაჩნია გიორგი მერჩულეს არაბული საშიშროება, რომ უკვე ყურადღებას ამახვილებს ქრისტიანულ მოსახლეობაში გამოწყობილ ბიზანტიურ საფრთხეზე. ამ მხრივ საგულისხმოა ფორმულის ბოლო ნაწილი, რომელზედაც მკვლევრები რატომღაც ყურადღებას არ ამახვილებენ. აქ ნათქვამია: დღემდე ქართულ ეკლესიებში შემორჩენილია ბერძნული მოთანი „კვირიე ელეისონ“; საჭიროა იგი ითარგმნოს და ქართულად ასე ითქვას: ან „უფალო, წყალობა ყავ!“; ანდა „უფალო, შეგვიწყალებ!“.

სუვერენობის შესანარჩუნებლად გაშლილ ბრძოლაში ქართველებს მონალოლთა მძლავრობის ეპოქაშიც არ დაუთმიათ არც საქართველო, არც ბაგრატიონთა დინასტიის უპირატესობა, არც ტერიტორიები, არც იურიდიული და არც ფაქტობრივი სუვერენიტეტი (20). შემდგომ მოკლედ მოყვანილია თემურლენგის რვაგზის შემოჭრის ისტორია და სიღრმისეული ანალიზის გზით ნაჩვენებია:

„ეს იყო სამხედრო გამარჯვებულის ზავი სულიერად და პოლიტიკურად გამარჯვებულ ერთან“.

მართებული და, ამავე დროს, დიდფასი, თანაც ერთობ აქტუალურია ფაქტების სიღრმისეული ანალიზიდან გამომდინარე დასკვნა: ჩვენს ისტორიულ

საზღვრებში „ჩვენ ვიყავით მკვიდრი ერი და ვქმნიდით სახელმწიფოებრიობასაც და კულტურასაც. სხვა ასეთი მკვიდრი ერი, რომელსაც იგივე შეეძლო, აქ არ არსებობდა; სხვა მხოლოდ ჩვენ გვერდით იყო წარმოდგენილი მცირე ტომის სახით და მთლიანად ჩვენთან ინტეგრირდებოდა“ (26). ამგვარ მცირე წარმონაქმნებს ჩვენს ტერიტორიაზე არათუ კულტურა, თვით უბრალო საკანცელარიო დოკუმენტიც არ შეუქმნიათო.

და ისევ აკაკი!

მისი სახარება ამჟამად უკვე 29-ე გვერდზე ამოიძარტება.

ეხება რა XV საუკუნის აქეთა ამბებს, ავტორი ბრძანებს:

„ჩვენი დაქუცმაცებული არსებობა ისევ და ისევ ემსახურება ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუვერენობის შენარჩუნებაზე ზრუნვას“.

ავტორის კიდევ ერთი საგულისხმიერო დაკვირვება: მხოლოდ ქართლ-კახეთსა და იმერეთს ჰქონდათ სამეფოს სტატუსი, ყველა სხვას – სამთავროსი და ეგ იმიტომ, რომ ამათი ლიდერები ბაგრატიონები იყვნენო. ამას მოსდევს მოსალოდნელი დასკვნა: დაშლილმა საქართველომ მაინც შეინარჩუნა არაოდენ ბაგრატიონთა დინასტია, არამედ მათი მეთაურობით შექმნილი ერთიანი სუვერენული სამეფოს ერთგულება. „ის, რასაც ბაგრატიონები არ მართავდნენ, იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე იყო დაყენებული“ (30). ყოველივე ამას კი მოსდევს შესანიშნავი ფორმულა, რომელიც თავისი არსით აკაკის იდეის ერთგვარი განვითარება და დასრულება გახლავთ:

„ჩვენ ვერთიანდებით ჩვენი სუვერენული არსებობისათვის, ჩვენ დაქუცმაცებულად ვცოცხლობთ ჩვენი სუვერენული არსებობისათვის; ჩვენთვის გაერთიანებაც სუვერენიტეტის ფორმა იყო და დაშლილ მდგომარეობაში ყოფნაც“ (31).

ჩემი აზრით, ამ წიგნის არსებობას მართლ ეგ მრავლისმეტყველი ფორმულაც კი გაამართლებდა!

სანიშნოა ეგ განზოგადება:

„სუვერენობის შენარჩუნების გზაზე საქართველო არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა – არც ადამიანურს, არც სხვას, მათ შორის პროგნოზირებად სამხედრო მარცხსაც“ (21).

სუვერენიტეტის შენარჩუნების გზაზე ჩვენ მიერ გადახდილი ზოგი ომი თუ ბრძოლა წინასწარგანწირული იყო. ეს იცოდნენ ხელმძღვანელებმა, ოღონდ მაინც წინ მიუძღოდნენ ლაშქარს. ეს გახლდათ, ჩემი ტერმინით, ე.წ. „ჩვენებითი ომი“. ამგვარ ფაქტებად ავტორს მოყვანილი ჰყავს გიორგი პირველის მოქმედება ბასილი კეისრისა და გიორგი სააკაძის გამოსვლა შაჰ-აბასის წინააღმდეგ (35).

და აქ უნებლიეთ თავში გაგიელვებს აზრი: დონ კიხოტი სიკვდილის წინ სანჩო პანსას უკანასკნელ დარიგებას აძლევს: დევებსა და ავსულებს მაინც-დამაინც იმიტომ კი არ ვებრძოდი, რომ მათი უსათუო დამარცხებისა მწამდა, არამედ იმ მიზნით, რათა ხალხისთვის მეჩვენებინა, რომ იმათ წინააღმდეგ საჭიროა ხმისა და ხმლის ამოღებაო.

და, მართლაც, ვინ იცის, რამდენი ისეთი ბრძოლა გადაგვიხდია, სადაც დაემარცხებულვართ, ოღონდ მათ ბევრ გამარჯვებულ ბრძოლაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ.

მომდევნო ღირებული დებადი ისაა, რომ სუვერენობისათვის ბრძოლაში ჩაბმული იყო არა მხოლოდ სამხედრო, არამედ საზოგადოების ყველა ფენა, მთელი ერი. ეს თეზისი დასაბუთებულია არაერთი მრავლისმეტყველი ისტორიული მაგალითით.

ჩემი აზრით, XIX საუკუნეში, როდესაც დაიკარგა პოლიტიკური სუვერენიტეტი, წინ წამოიწია კულტურული ავტონომიის იდეა; განხორციელდა კ. გამსახურდიას ფორმულა: როცა ერი პოლიტიკურ დიქტატურას კარგავს, მან კულტურული დიქტატურა უნდა დაამყაროსო. სწორედ ამგვარი დიქტატურის საუკეთესო ნიმუშია ქართველთა თერგდალეულთა მოღვაწეობა. ამიტომაც სავსებით მართებულად მეჩვენება მკვლევრის ამგვარის მსჯელობა:

„XIX საუკუნე... არ იყო ამოვარდნილი ჩვენი არსებობის მთავარი იდეის – სუვერენობის დაცვის – ისტორიიდან; იგი არ წყვეტდა ჯაჭვს“ (48). სწორედ ამის შედეგი გახლდათ ის, რომ „საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს ფაქტობრივად ჰქონდა ავტონომია იმპერიის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებდა მთავრობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით“ (51).

ბოლოს, ცალკეულ გარკვეულ ფაქტთა ანალიზის საფუძველზე, მოცემულია დებულება, რომ ჩვენმა ხალხმა ისტორიის განმავლობაში შეინარჩუნა მებრძოლი ერის სტატუსი.

ვფიქრობ, აწ კი დროა არა მოკრძალებით, არამედ თამამად განვაცხადო: აღნიშნულის მიზეზი ჯერ მტერმა არ იცის, რადგან არ იცის არც მოყვარემ – ეს გახლავთ თავისებური ატომური იარაღი, ანუ ორიგინალური დამწერლობა, და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული ორიგინალური კულტურა.

ეგ იარაღი (აბა, სხვა რაღა, თუ არა ეს!) წარმატებით მოქმედებდა საბჭოთა იმპერიის ხანაშიაც. ფ.ს. კაპიცა (არაქართველი) აღიარებდა: „მრავალი ათწლეულის განმავლობაში საქართველო გახლდათ ერთი ყველაზე დამოუკიდებელი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში“ (54). ამის საბუთად მოყვანილია ცნობილი ფაქტები: არც ერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკას არა ჰქონია ისე ბობოქარი 1921-24 წლები; არც ერთ ერს 1978 წელს საკუთარი ენის სტატუსი ისე მძლავრად არ დაუცავს, როგორც საქართველოს; არც ერთ ერს არა ჰქონია ისეთი მძლავრი საუკუნოვანი სკოლა და უნივერსიტეტი, როგორც ჩვენ, არც ერთ ერს არა ჰქონია ისე თვითმყოფადი კულტურა, როგორც ჩვენ (55).

კიდევ უფრო „უცნაური“ ის გახლავთ, რომ 1990 წლის მარტში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ (საბჭოთა ორგანომ) 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას მისცა აგრესიის კვალიფიკაცია, გააუქმა 1921 წლის შემდგომი ყველა ძირითადი საკანონმდებლო აქტი. „ეს უნიკალური გადაწყვეტილება იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობის აღგენის საქმეში“ (56).

მთელი ეს კვლევა, უამრავი ისტორიული მოვლენისა და ფაქტის გააზრება ავტორს აძლევს ლოგიკური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას:

„დამოუკიდებლობისათვის ერთხელ და სამუდამოდ გაშლილი ერთიანი და განუწყვეტელი ფრონტი... მოქმედებდა საბჭოთა წლებშიც“ (57).

ფაქტებისა და მოვლენების მეთოდოლოგიურად სწორმა კვლევამ ავტორი მიიყვანა ახალი ტერმინის შექმნამდე, რაც წინას განვითარებად მეჩვენება – **კატეგორიული სუვერენობის იდეა** (69). ყოველივე ამას განაპირობებდაო ქართველი კაცის მიერ იმის შეგნება, რომ მის სამშობლოს ჰქონდა სპეციფიკური და განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომ საქართველო არა ოდენ აღმოსავლეთ-დასავლეთის უბრალო გეოგრაფიული მიჯნაა, არამედ, ამავე დროს, სამყაროთა შეხვედრის ადგილიც (71). ამ მიმე ფუნქციას განაპირობებდა ის ფაქტორი, რომ მას ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინა სახელმწიფოებრიობაგანუვითარებელი ჩრდილოეთი და სახელმწიფოებრიობაგანვითარებული სამხრეთი; მეორე მხრივ, ქრისტიანულ და მუსლიმურ კულტურათა დიალოგში ჩაბმულიყო.

მაშ, ქვეყანას ჰქონდა და აქვს დიდი საერთაშორისო ფუნქცია.

მაგრამ უმთავრესი საბუთი, ზეარგუმენტი კატეგორიული სუვერენობის ქართული იდეისა, ავტორის აზრით, ასეთია: „ქართულ იდეას და ქართულ სუვერენობაზე განუხრელ ზრუნვას კიდევ ორი – მეტად მნიშვნელოვანი – მკვებავი ჰქონდა. ერთი – შორეული წარსულის, მეორე – უკიდურესად შორეული მომავლის სახით... პირველი გულისხმობს ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში ჩარჩენილ ინფორმაციას ჩვენი უძველესი წარსული – პროტოსამშობლოს და უძველესი ცივილიზაციის – შესახებ... დამოუკიდებლობის დაკარგვის და სახელმწიფოებრიობის მოშლის შემთხვევაში, ქართველთა რწმენით, იკარგებოდა არა უბრალოდ ქვეყანა, არა უბრალოდ სპეციფიკური ქვეყანა, არამედ უძველეს და განსაკუთრებულ წარსულთან დაკავშირებული ქვეყანა... და მისი განსაკუთრებული ისტორია და პრეისტორია“ (77-78); ავტორის ფიქრით, ჩვენს კატეგორიულ სუვერენობას კვებავს იმის შეგრძნება, რომ სამი პროეთნიკური ელემენტი ორის (პროტოსემიტებისა და პროტოინდოევროპელების) წარმომადგენლები დღესაც მრავლად არიან შემორჩენილნი, ხოლო „მესამე ეთნიკური ელემენტის“ (პროტოქართულის) გაქრობით ეს მესამე შტო არსებობას წყვეტს (84-91).

ამ იდეას განამტკიცებს იმაზე მსჯელობაც, რომ კავკასიის რეგიონში, ფაქტობრივად, სახელმწიფო ჰქონდათ მხოლოდ ქართველებს (90-91). ამ აზრით, ქართველი ერი „უნიკალური“ ერია (92), აი, დაუშრეტელი წყარო და მკვიდრი სათავე კატეგორიული სუვერენობის მოთხოვნისა.

ერის მისიის სფეროში მკვლევარს თამამად შემოაქვს ქართული ენის მისია, მისი როლი და მისი არსის გაგება.

ქართული ენის უნიკალურ როლზე საუბარია 92-93-ე გვერდებზეც. აქ უმნიშვნელოვანესია დეზადი: ქართველმა ტომებმა არ ისურვეს ცალ-ცალკე ენის სტატუსი და ერთობლივად შექმნეს ერთი სალიტერატურო ენა ერთი დამწერ-

ლობით. ეს ნიშნავს, რომ მათ ისურვეს ერთ ერთად ყოფნა და ასე ზრუნვა სუვერენობაზე ერთიანი ქართული იდეის საფუძველზე (93).

როცა პატრიოტიზმი წრეს გადადის, იგი მჟღავნდება. ჩვენი ავტორი წერს არ გადადის და საქართველოს მსოფლიო მესიანიზმის იდეას თავს არ ახვევს (გვაქვს ამისი მაგალითებიც!). სამაგიეროდ, საბუთიანად მსჯელობს იმაზე, რომ იმთავითვე გვექონდა საკუთარი ადგილი და ფუნქცია. შესაძლოა, ეს იყოს „შუაში ყოფნის ფუნქცია“ და იქვეა განმარტებული, რომ ეს არ ნიშნავს არც ვინმეს წინ ან უკან ყოფნას (99).

პირადად მე ეს თეზისი ერთობ მეჭაშნიკება!

საგულისხმოა ისიც, რომ „ქართული სუვერენობის იდეას საკუთარ ფუნქციაზე ზრუნვას გულისხმობს“ (100) და, ამავე დროს, „ამ იდეაში თავიდანვე და თავისთავად გააზრებულია სხვათა სუვერენობის აღიარება და კატეგორიული უარყოფა სხვათა _ ყველას _ სუვერენობის შელახვისა“ (107).

ძალიან სახამსოა, რომ ქართული იდეა, ავტორის მოსაზრებით, გამორიცხავს ეროვნული ტერიტორიების მექანიკურ ზრდას (111). ამ იდეის პრაქტიკული განხორციელების მაგალითად სახავს დავით აღმაშენებელს (112-113).

საბოლოო დასკვნა, რომელიც მკვლევარს გამოაქვს, გამოხატულია ლაპიდარულად: „ჩვენ ვიყავით, ჩვენ ვართ, ჩვენ ვიქნებით!“ (121). ეგ ქართული იდეა ვრცლად, გშლილად და მხატვრულად წარმოდგენილია ჯერ კიდევ გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანში“, რომელიც, სამწუხაროდ, მკვლევრებს დღემდე მცდარად (ანდა არასრულყოფილად) აქვთ გააზრებული. აქ ოდენ სიყვარულის ყოვლისწამლევკავ გრძნობას ხედავენ და მხედველობიდან ეკარგებათ მთავარი _ ტექსტში განვითარებულია **ივერიის უკვდავების იდეა**: ყველა მომხდური, ყველა სახის „ყივჩაღი“ მოისპობა, აღიგვება პირისაგან მიწისა, ხოლო ივერია იყო, არის და იქნება; ქსანზედ, არაგვზედ ჰყვავოდა ხოდაბუნები და კვლავაც ილაღანებს; ქართველი ლამაზმანი ათასი წლის წინათაც ახელებდა ვაჟკაცებს და კვლავაც გააგიჟებს: ქართველი ვაჟკაცი ადრეც რაინდობდა და კვლავაც ირაინდებს _ ცოლის, ოჯახის, ქვეყნის ღირსებას დაიცავს. მაშ, საქართველო უკვდავია!

წარსულზე იმდენი არ უნდა ილაპარაკო, რომ აწმყო დაგენგრეს და მომავალი თვალსა და ხელს შუა გაგიქრეს. აპოლონ სილაგამე იმ ტიპის მოაზროვნეა, რომელსაც არანაკლებ აინტერესებს ქვეყნის მომავალი. ამ მომავალს კი, ეჭვი არაა, დიდმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბევრი რამ და, მათ შორის, რუსეთთან ჩვენი სამომავლო ურთიერთობა. ამის გამო თუა, ავტორი მახვილ მზერას თავის ვრცელ „ბოლოთქმაში“ აქეთ გადმოატარებს _ წიგნში საკმაოდ ფაქიზად ნაჩვენებია შემდეგი: თუ ქართული იდეა მცირე, კომპაქტურ, საკუთარ ტერიტორიებზე გაშლილ სახელმწიფოსა და მისი სუვერენიტეტის დაცვას გულისხმობს, სხვაგვარია რუსული იდეა:

„ზედდი სახელმწიფო რუსეთის არსებობის ფორმაა. იგი ან იქნება დიდი, ან საერთოდ აღარ იქნება. არსებობის სხვა ფორმა მას არ გააჩნია“ (145).

ერთობ საინტერესო მოსაზრებაა და საგულისხმოა, რომ დაახლოებით ამგვარი რამ, რუსი ინტელიგენტების ნათქვამი, თავადაც მომისმენია.

ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან პრობლემას ეხება აგრეთვე ის მითითებები, რომელთაც პატიოსანი და სამართლიანი კაცი უნდა დაეთანხმოს:

„ზედიდი სახელმწიფო _ ეს რუსული იდეაა.

საქართველო დღეს რუსეთის _ ზედიდი სახელმწიფოს _ გამოცდაა.

ეს ქართული იდეაა მოქმედებაში, თავის ერთ-ერთ გამოხატულებაში“ (152).

საგულისხმოა ამავე თემაზე განვითარებული სხვა თამამი და ახალი მოსაზრებებიც (141, 151).

ყოველივე ეს ნაშრომს ობიექტურობის შუქით ანათებს და დამაჯერებლობასა ჰმატებს.

ნაშრომი სავსეა დაკუმშული ფორმულებით, რომელთა გაშლა და მათზე ლოგიკური კრიტიკული მსჯელობა უსასრულოდ შეიძლება.

არადა წერილი გამიგრძელდა.

უფრო მოკლედ და სხარტად გამოხატვა წიგნში დაუნჯებული უზარმაზარი პრობლემისა და მისი დასაბუთებისა ვერ შევძელი, მაგრამ თავს ასე ვინუგეშებ:

ტოლსტოის ერთი ქალბატონი გადაეკიდა _ გნებავთ თუ არა, სამად სამი სიტყვით მითხარით, რის გაოხატვას აპირებდით მრავალტომიანი „ომი და ზავითაო“?

პასუხი ერთობ მოკლე გამოდგა:

მაგ სათქმელის სამი სიტყვით გამოხატვა რომ შემძლებოდა, პირობას გაძლევთ, მეტს არც გამოვიყენებდიო.





 *daviT andriaZe*

წარმატების სტრატეგია რაიტი, გროპიუსი, კორბუზიე, მის ვან დერ როე... დავითაია

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არტისტული ბიოგრაფია, როგორც ასეთი, თანამედროვე ხელოვნების საგნად, დიახ, თემად კი არა, თვითკმარ საგნად იქცა.

დღეს უკვე სერიოზულად ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ თავად ხელოვნება იქცევა ბიოგრაფიის პროექტირებად და პირიქით: ბიოგრაფიის კონსტრუირება გვევლინება ერთგვარ ხელოვნებად.

ასეა, ხელოვანი ახლა თავად ხდება საკუთარი შემოქმედებითი ბედისწერის აბსოლუტური ბატონ-პატრონი, გამაფრებული ინტენსიურობით რომ აღიქვამს ამ ბედისწერას.

ამდენად, ხელოვანის ბიოგრაფია აიგება (და გაიგება), როგორც ცხოვრებისეული გზის _ Curriculum vitae-ს კონტექსტუალურად კონსტრუირებული მეტანარატივი.

ამ მხრივ, არტისტის რეალური არსებობა, როგორც ბიოგრაფია თავისთავად არტეფაქტად გვევლინება, თუმცა, ამ არტეფაქტუალიზაციას გამორჩეული ინდივიდები თუ ახერხებენ, რომელთაც ნიჭიერადვე შეუძლიათ ითამაშონ საკუთარი ბედით და თავადვე „წერონ“ ამ ბედის ქრონიკები.

ვახტანგ დავითაიამ იცის, რომ ბიოგრაფიას მოპოვება უნდა, ისევე როგორც მოპოვება უნდა _ წარმატებას.

წარმატების მოპოვებას თავისი კრიტერიუმები და სტრატეგიები აქვს; ამასთან არსებობს „უბრალოდ“ წარმატება, მაგრამ არსებობს აღიარება. ეს _ სხვადასხვა ცნებებია!

რაც მთავარია, არსებობს „მაღიარებელთა“ ის ლეგიმიტური ჯგუფი, რომელსაც „რეფერენტულ ჯგუფს“, მეორენაირად, „ეტალონურ ჯგუფს“ ვუწოდებთ.

აი, ასეთი ეტალონური „ჯგუფის“ _ პრადის უმაღლესი ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის ეგიდით გამოიცა სოლიდური მონოგრაფია სახელწოდებით: „არქიტექტურა, პროექტები, რეალიზაციები“.

ესაა XX საუკუნის მსოფლიო არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის ფართოდ ილუსტრირებული „პარალელური ტექსტები“, რომელიც იმავდროულად, სტუდენტ-არქიტექტორთა სახელმძღვანელოცაა ანუ დაუსწრებელი მასტერ-კლასის კრებული.

თქმა იმისა, რომ ქართველი არქიტექტორი, თუმცა მსოფლიოს ავტორიტეტულ ხუროთმოძღვართა წრეებში ინტეგრირებული და მიღებული, „მოხვდა“

ამ არაჩვეულებრივ დასში, ზერელე შეფასება იქნება დავითაიას მორიგი აღიარებისა.

ისე, „სხვათა შორის“ ასეთ ანთოლოგიურ გამოცემებში არ „ხედებიან“; არახალი ამბავია, რომ ვახტანგ დავითაია კარგახანია ჩაეწერა თანამედროვე არქიტექტურული პროცესის კონტექსტში. ცნობისათვის: არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის (სოფია) კრებული „არქიტექტურა და საზოგადოება“ („Architecture and Society“), ინგლისურ-რუსულ ენებზე, 1987 წ. # 6 ეძღვნება არქიტექტურული კონტექსტის პრობლემას და ეს პრობლემა განხილულია ხუთი არქიტექტორის მაგალითზე: ბოგდან ბოგდანოვიჩი (იუგოსლავია), ვახტანგ დავითაია (საქართველო), იუსტუს დაჰინდენი (შვეიცარია), რიჩარდ ინგლანდი (მალტა), იმრე მაკოვეცი (უნგრეთი).

1990 წ. ქ. მოსკოვში გამოვიდა ცნობილი მკვლევრის, აკადემიკოს ალექსანდრე რიაბუშინის მონოგრაფია „Новые горизонты архитектурного творчества 1970-1980-е гг.“ ეს ჰორიზონტი“ განხილულია 6 საბჭოთა და 6 უცხოელი არქიტექტორის შემოქმედების ანალიზის საფუძველზე. საბჭოთა ექვსეულის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო ვახტანგ დავითაია. უცხოელი წარმომადგენელი იყვნენ: რიკარდო ბოფილი (საფრანგეთი), მაიკლ გრეივზი (აშშ), ფილიპ ჯონსონი (აშშ), კიშო კუროკავა (იაპონია), სერ ჯეიმს სტერლინგი (ინგლისი), სერ ნორმან ფოსტერი (ინგლისი).

1992 წელს, ვახტანგ დავითაია მიწვეული იყო ქ. ნარას (იაპონია) საერთაშორისო არქიტექტურულ სიმპოზიუმზე (18 საზღვარგარეთელი და 12 იაპონელი არქიტექტორი), პერსონალური გამოფენით და საავტორო გამოსვლით. მონაწილეთაგან 12 პრიცკერის პრემიის – „არქიტექტურული ნობელის“ ლაურეატი იყო. დაიბეჭდა ამ სიმპოზიუმის „დღიური“ – კრებული სამ ტომად. ვ. დავითაიას ექსპოზიცია გადაეცა ნარას თანამედროვე არქიტექტურის მუზეუმს.

ვახტანგ დავითაია არის არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო პროფესორი, არგენტინის და მექსიკის არქიტექტურული კოლეჯების საპატიო წევრი, აშშ-ის ბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების კოლეჯის მიწვეული პროფესორი. გამარჯვებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, არქიტექტურულ ბიენალეებზე, საავტორო გამოსვლები და გამოფენები 30-მდე საერთაშორისო ფორუმზე და უნივერსიტეტებში, სტატიები, წიგნები.

მგონი, საკმარისია!

დავითაიას თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება, რახანია იმ ტალღაზე, ანუ როგორც ახლა ვიტყვით, იმ „ტრენდზე“, რომელიც კონკრეტულ არქიტექტურულ პრაქსისს გაცილებით უნივერსალურ, კულტუროლოგიურ ფასს ანიჭებს. კიდევ უფრო საგულისხმო ისაა, რომ მისი კრეატიული პროგრამა – „ტრადიცია, კონტექსტი, კომუნიკაბელობა“ ამ წიგნში ასეთივე ღირებულებითი სტატუსის მატარებლად მიიჩნევა, როგორც XX ს. არქიტექტურული მეტრების – რაიტის „არქიტექტურის ეკოლოგია“ თუ ადოლფ ლოსის „Raumplan“.

ამ სამი კონცეპტის – „ტრადიციის“, „კონტექსტისა“ და „კომუნიკაბელობის“ მიღმა სივრცის არქიტექტურული (და არქიტექსტურული) მოდელირების თავისებური ნარატივი მოიაზრება, ხუროთმოძღვრის „ყოველდღიური“ მგრმ-ნობელობით რომაა ნასაზრდოები და ამდენადვე, წარმოგვიდგენს არქიტექტურულ კრეატივს, როგორც ესთეტიკური ინფორმაციისა და მისი უწყვეტი, კონტინუალური, თამაშებრივი ტრანსლაციის სისტემას, რომლის კვალობაზეც, არქიტექტორი არა უბრალოდ აშენებს, არამედ ამ „შენების“, როგორც სააზროვნო სიტუაციების კონსტრუირების რეპრეზენტაციასაც ახდენს.

ამ 350 გვერდიან მონოგრაფიაში ვიზუალური და „ლიტერატურული“ ტექსტებიც ისეთ უნისონში არიან წარმოდგენილნი, რომ კიდევ ერთხელ გვიდასტურებენ ბორხესის ფორმულას – ამქვეყნად ყველაფერი წიგნად ქცევისკენაა მიმართული.

და არქიტექტურაც ასეთ „წიგნად“ გვევლინება წიგნში, რომელიც თეორიას, რაც ძველბერძნული ეტომოლოგიით, „ჭვრეტას“ ნიშნავს, სწორედაც, საკუთრივი ჭვრეტის რეფლექსიის საგნად აქცევს და საშუალებას გვაძლევს, ამგვარი ჭვრეტის კონტექსტშივე იქნეს წაკითხული დიდ არქიტექტორთა ბიოგრაფიები; არქიტექტორებისა თავიანთ „ბიოს“ – „გრაფიოდ“ რომ აქცევენ ანუ ბრენდებდნენ, რომლებიც გარკვეულწილად, მათივე ნაწარმოებებისაგან დამოუკიდებლად მოიაზრებიან.

ასეთ ავტორიტეტულ გამოცემებში რეალური ღირებულებები სიმბოლურ ღირებულებებში იცვლება, „სიმბოლურ კაპიტალად“ წარმოჩინდება, ამგვარი კაპიტალი კი, პიერ ბურდიეს თუ დავესესხებით, სხვა თუ არა, სოციალური და კულტურული კაპიტალი, სოციალური ველის შიგნით არსებული ჯგუფის აღიარების პირობებში, ეკონომიკურ კაპიტალად რომ ძალუძს ტრანსფორმაცია.

სამწუხაროდ, ჩვენში, საქართველოში ჯერ კიდევ ვერ მივეჩვიეთ ამ ძნელად მოსაპოვებელი „სიმბოლური კაპიტალის“ ჯეროვად დაფასებას და მსოფლიო არქიტექტურულ რუკაზე ვერ ვამჩნევთ ფიგურებს, რომლებსაც კარგახანია უკავიათ მართლაც შესაშური სტრატეგიული პოზიციები.

სხვათა შორის, „წარმატების სტრატეგიაც“ შემოქმედებით ნიჭთან ერთად, განსაკუთრებული ტალანტია, რომელიც თავად ავტორის სოციალური კომუნიკაბელობისა და სიმპათიის უნარიდანაც მიმდინარეობს და სხვაგვარ პატივს იმსახურებს, თავად პატივი კი, იური ლოტმანისა არ იყოს, ისტორიულად, მუდამ იერარქიული გაცვლის კონტექსტში იყო ჩართული. აქედან გამომდინარე, აღიარება წარმოგვიდგება როგორც იერარქიული ძალაუფლების გადანაწილება, წარმატების მიღწევა კი, სახელმწიფო ძალაუფლების აღიარებას უტოლდება.

ეს – ფეოდალურ საზოგადოებაში.

აი, ევროპულ კულტურაში კი, სახელდობრ, კულტურის ავტონომიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ, აღიარების წყაროდ გვევლინება საზოგადოება.

ამ შემთხვევაში, სწორედ ეს „საზოგადოება“ პრადის უმაღლესი ტექნიკური სკოლის არქიტექტურის ფაკულტეტი, რომელმაც თავის თავზე აიღო XX საუკუნის არქიტექტურული ბრენდინგიც და რებრენდინგიც და თავის „მე-

რადღირებულ“ ფურცლებზე დაუთმო ადგილი ვახტანგ დავითაიას არქიტექტურასაც, მის კონცეფციასაც, პროექტებსაც და რეალიზაციებსაც.

პრადამი გამოცემულ ამ უნიკალურ წიგნს „ბიოგრაფიული პროექტები“ შეიძლება ეწოდოს; მსოფლიო არქიტექტურის შედარებით მოკლე ისტორიის მანძილზე „განხორციელებული პროექტები“, რომელნიც ამ აზრსაც გვკარნახობს, რომ არსებობს აქტუალური არქიტექტურა, რომელიც კონტექსტშიც (ისევე კონტექსტი!) თანამედროვე მხტვრული პრაქტიკა ამჟღავნებს ერთგვარ მიდრეკილებას, მოახდინოს არტისტული ბიოგრაფიის მეტაფიზიკური პლანის ნიველირება და მას „კარიერა“ ჩაუნაცვლოს.

ამ გაგებით, განსაზღვრულ მოტივაციად გვევლინება არა „უკვდავყოფა“, როგორც ასეთი, არამედ წარმატება „აქ“ და „ახლა“.

ამგვარი „წარმატება“ უკვე „ღია“ სისტემაა და თანამედროვე არტისტიც, მათ შორის, არქიტექტორი აღარაა ჩაკეტილი თავის ნაწარმოებში, მეტიც, ის ვეღარ აკონტროლებს არტეფაქტს; და ამიტომაცაა, რომ დღეს ანუ „აქ“ და „ახლა“ გაცილებით ძვირად ფასობს წარმატების და მით უმეტეს აღიარების მოპოვება.

თუკი, კლასიკურ ხელოვნებაში იყო სამყაროს შემეცნების იდეა, ჭეშმარიტების წვდომის იდეა და ა. შ. და ეს იდეები იმდენად განსაცვიფრებელი იყო, რომ უკვდავების გარანტიას თავად იძლეოდა, დღეს ხელოვანი გამუდმებით კარგავს თავის ნაწარმოებს და ამდენადვე, თვით ნაწარმოების იდეაც, მოდურად რომ ვთქვათ, დეკონსტრუირდება.

ამ მხრივ, იგივე თანამედროვე არქიტექტურა მით უფრო ემსგავსება თეატრს, სცენის ხელოვნებას, მხოლოდ და მხოლოდ პრეზენტულ დროში რომ არსებობს; არსებობს აქტუალურ რეალობაში...

დღევანდელ ქართულ სინამდვილეში, არქიტექტურა მით უფრო იოლად „ინგრევა“; და ქართული არქიტექტურაც, მით უფრო შეგუებულია, რომ მისი ნამუშევარი „ხვალვე“ შეიძლება შეიწიროს პოსტმოდერნისტული ხელისუფლების „დეკონსტრუქტივისტულმა“ ახირებებმა.

რას იზამ, ამასაც გაგება უნდა!

ჩვენ ხომ, გამოუვალობისა და იმავდროულად, თავისუფლების დროში გვიხდება ცხოვრება; და არქიტექტურაც, სხვა ხელოვნების დარად, კონფლიქტის პროდუქტად გვევლინება, როდესაც ცივილიზაცია – კულტურის ეს ველური დამკვეთი თავისას ითხოვს.

იმედგაცრუების და ტოტალური განდგომის დროა ჩვენი დრო – როგორც იურგენ ჰაბერმასი ამბობს, „დიდი განდგომილობის ავანგარდი“.

ასეთი ავანგარდის აპოსტატები არიან პიტერ ეიზერმანი, იმრე მაკოვეცი და... ვახტანგ დავითაია...

ამგვარ სიტუაციაში, არქიტექტურულ ველსაც უნდა აღმოაჩნდეს იმუნიტეტი, გადაარჩინოს თავისი „არქიტექსტები“ და ისინი წიგნებში „გააქვავოს“.

ასეა თუ ისე, არქიტექტორის, როგორც არტისტის აღიარებაც, ახლა მხატვრული ჟესტის ნაირსახეობად გვევლინება და ამგვარი ჟესტიც, მით უფრო ძვირად ფასობს, რამდენადაც თვით ნაწარმოებისა და მით უფრო, „ავტორის“ აღიარების ინსტრუმენტული მომზადების რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრებულ-

ლია; და რაც ასევე არსებითია: ავტორს თავად არ შეუძლია აღიაროს თავისი ნამუშევრები „ნაწარმოების“ სახით – აღიარება „სხვა მხრიდან“ უნდა მოდიოდეს.

აი, რატომ არის არტისტული ბიოგრაფია ოლეგ კულიკისათვის, ამ „ძალი-მხატვრისათვის“ (როგორც იგი უწოდებს თავის თავს) „სხვისი პოზიციების ფოკუსი“!

ამას წინათ დემიან ხერტსმა, ნიუ-იორკის ერთ-ერთ გალერეასთან პერსონალური გამოფენის კონტრაქტი დადო. ხოლო, რა იქნებოდა გამოფენილი, ამ კონტრაქტში ერთი სიტყვაც არ იყო ამაზე ნათქვამი. სამაგიეროდ, მითითებული იყო ბიუჯეტი – 6 მილიონი დოლარი.

მოვლენად იქცა არა გამოფენა, არამედ მისი ბიუჯეტი.

ესეც – წარმატების სტრატეგიაა; აღიარებისა და წარმატების შედეგი!

მომავლის არქიტექტურაში კი, თუკი მას კვლავაც სწადია აქტუალური კულტურული არტიკულაცია, ალბათ, ამგვარი „პროექტებიც“ არტისტულ-ბიოგრაფიულ რესურსად იქნება გამოყენებული.

არქიტექტურა ე.წ. თავისუფალი ხელოვნებისაგან დიდად აღარ განსხვავდება, არქიტექტურაც იქცა „შეფუთული“ იმიჯის მქონე პროდუქტად, რომლის სოციალური მომხიბვლელობაც, ისევე შეიძლება იყიდო და გაყიდო, როგორც არტეფაქტი. შემთხვევითი არაა, რომ ახლა არქიტექტურის კოლექციონერებიც გამოჩნდნენ რომლებიც ისევე „აგროვებენ“ ფრენკ ლოიდ რაიტს, მის ვან დერ როესა თუ ლე კორბუზიეს, როგორც ვილემ დე კუნინგს, ჯექსონ პოლოკსა თუ ენდი უორჰოლს...

სხვა საქმეა ის ონტოლოგიური „არყოფნა“ ანუ როგორც როზალინდა კრაუსი იტყოდა, „გამორიცხვის კომბინაცია“, რომელიც ქანდაკებისა და ფერწერისა არ იყოს, არქიტექტურასაც შეეხო.

მთავარია, ვიცოდეთ საკუთარი იმიჯის მართვა და, რაც მთავარია, გვექონდეს თანდაყოლილი არტისტული ნება, „სხვას“ დავენახოთ, და არა უბრალოდ დავენახოთ, არამედ წარმოვუდგეთ ტრადიციისა და კომუნიკაბელობის კონტექსტში და ასე ჩავეწეროთ ტრანსნაციონალურ არქიტექტურულ ვარსკლავთა ხომლში.



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

PARALLELI

Literary-Scientific Journal

მთავარი რედაქტორი:

რევაზ მიშველაძე

სარედაქციო კოლეგია:

მერაბ ახოზაძე

გიორგი გაჩეჩილაძე

ჯემალ გახოკიძე

ვახტანგ დავითაია

ივანე თვალავაძე

იგორ კვესელავა

მიხეილ რამაზაშვილი

ჰენრი კუპრაშვილი

შალვა ნაჭყებია

ვაჟა პაპასკირი

გიორგი სალუქვაძე

სოსო სიგუა

(რედაქტორის მოადგილე)

არჩილ ფრანგიშვილი

ქეთევან ქოქრაშვილი

რუსუდან ქუთათელაძე

ბადრი ცხადაძე

(პასუხისმგებელი მდივანი)

თემურ ჯაგოდნიშვილი

ანანია ჯაფარიძე

EDITOR:

REVAZ MISHVELADZE

EDITOR STAFF:

MERAB AKHOBADZE

GIOGRI GACHECHILADZE

JEMAL GAKHOKIDZE

VAKHTANG DAVITAIA

IVANE TVALAVADZE

IGOR KVESELAVA

MIKHEIL RAMAZASHVILI

HANRY KUPRASHVILI

SHALVA NACHKEBIA

VAZHA PAPASKIRI

GIORGI SALUQVADZE

SOSO SIGUA

(DEPUTY EDITOR)

ARCHIL FRANGISHVILI

QETEVAN QOQRASHVILI

RUSUDAN QUTATELADZE

BADRI TSKHADADZE

(EXECUTIVE SECRETARY)

TEMUR JAGODNISHVILI

ANANIA JAPARIDZE

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGINEERING FACULTY

ყდის დიზაინერი ვახტანგ დავითაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ნონა ცაბაძე

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად,

აღდგა 2011 წელს.

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

Tbilisi, kostava 77; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru

ಬುಲೆಬುಲೆಬುಲೆಬುಲೆಬುಲೆ
ಬುಲೆಬುಲೆಬುಲೆಬುಲೆಬುಲೆ

